ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲔᲓᲔᲐ ᲒᲝᲒᲑᲐᲫᲔ

ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲘ

ᲓᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

2020

მედეია გოგსაძე
გენდერი და საქართველოს საზოგადოება

ავტორი: © მედეია გოგსაძე
დაკაბადონება და ყდის დიზაინი: მედეია გოგსაძე

სერია „ფემინისტური ბიბლიოთეკა“ ფონდი ტასო, 2020

ყველა უფლება დაცულია

Medeia Gogsadze
Gender and Society of Georgia

Author: © Medeia Gogsadze
Layout & design: Medeia Gogsadze

Feminist Library Series, © Taso Foundation, 2020

All rights reserved

ISBN – 978-9941-8-2602-3
ISSN – 1987-5193

ფონდი ტასო, თბილისი, 0108, რ. თაბუკაშვილის 15
Taso Foundation, 15, R. Tabukashvili Str., 0108, Tbilisi, Georgia

ქალთა გლობალური ფონდის მხარდაჭერით
Supported by Global Fund for Women

დაიბეჭდა სტამბაში „ფავორიტი“, თბილისი, 2020
Printed in Favorite print house, Tbilisi, 2020

სარჩევი

ავტორისაგან 9

თავი პირველი: მიზოგინიის ზეობა - ფემიციდი

აისბერგის წვერთან 15
ოცი წლის წინათ 16
ოცი წლის შემდეგ 18
არსებობს პრობლემა? საჭიროა კანონი 19
მამაკაცები ქალებზე ძალადობის წინააღმდეგ 20
უჩინარი ფემიციდი 24

თავი მეორე: „ცხენი“ და „მათრახი“

წარსული მითოლოგიზაციის გარეშე 27
ახალი ეპოქის გარიჟრაჟზე 29
„აღსაზრდელი“ კანონმდებელნი 33
„აღსაზრდელი“ საზოგადოება 35
მანანა მელიქიშვილი - ერთი მრავალთაგანს შორის 38
კარგი „ცხენი“ „მათრახს“ არ მოითმენს 40
„აღსაზრდელი“ პოლიცია 43
დროებითი გამოსავალი - თავშესაფრები 49
დაძრული ყინული 51
გვიშველა თუ არა კანონმა? 53

თავი მესამე: ტრეფიკინგი, ანუ თანამედროვე მონები

„ობობას ქსელში 59
დანაშაულებრივი გულგრილობა? 63
...და ისეც არასამთავრობო სექტორი 66
ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს 69

თავი მეოთხე: სექსი და საზოგადოება

ის, რაზედაც არ ლაპარაკობდნენ 74
ოდესღაც, ისტორიის გარიჟრაჟზე 75
...გუშინ 80
ოცი წლის შემდეგ 87

თავი მეხუთე: ქალწულობის ინსტიტუტი

ქალწულობის ინსტიტუტი საქათველოში..... 94
ისტორიულ საწყისებთან 95
ახალი ეპოქა და ძველი სტერეოტიპები..... 98

თავი მეექვსე: ვინ არის სინამდვილეში პატივაყრილი?

ძალადობა ძალადობის შემდეგ 102
გაგაუპატიურეს? ე.ი. დაიმსახურე 105
„კანონიერი“ გაუპატიურება 108
„ხმა ქართველი ქალისა“ მოტაცების წინააღმდეგ..... 109
მოძალადე - საკუთარი თანამეცხედრე 110
წლების შემდეგ: რა შეიცვალა.....111
კანონი და ცნობიერება 114

თავი მეშვიდე: ნარკოტიკების ტყვეობაში

ქალის ცოდვა უფრო მძიმეა? 117
გზა თვითგადარჩენისკენ..... 120
თანადამოკიდებული ქალის სინდრომი 123

თავი მერვე: ტრანსგენდერი ადამიანები

მე - „მეს“ წინააღმდეგ..... 127
გარიყულნი..... 129
როცა არცოდნა არცოდვა არ არის..... 131
ისტორია და თანამედროვეობა 132
მენტალიტეტი, მედიცინა და კანონი 134
... და ისევ ფსიქოლოგიური ფაქტორი..... 137

თავი მეცხრე: გენდერი საკუთრებრივი უფლებები

არის თუ არა ქალი მესაკუთრე?..... 141
ბიბლია და თანამედროვეობა 142
ლეკვი ლომისა სწორია?..... 143
გარანტი მოულოდნელობების წინააღმდეგ..... 145
ქაღალდზე დარჩენილი კანონი 147

თავი მეათე: გენდერი და შრომის კანონმდებლობა

შრომის კანონმდებლობა და ოჯახში ძალადობა 150
გუშინწინ და გუშინ 154
დღეს..... 157

თავი მეთერთმეტე: ქალთა პოლიტიკური აქტიურობა

მამაკაცებს ქალთა გააქტიურება აფრთხობთ 161
პირველი წარმატებები 165
თვისობრივი გარდატეხა 167
პოლიტიკური მონაწილეობა და „სავსე ქისის“ პრინციპი 169

თავი მეთორმეტე: ქალის კულტი - მითი თუ რეალობა?

შენიღბული სტიგმა 173
მარადიული მსხვერპლის გამღები 175
„ბანკომატი“ დედები 177
ქალი „კუხნაში“, ან „ბუტკაში“?! 181
ამორძალის სინდრომი 184

თავი მეცამეტე: ძველი თემა - დედიკოს ბიჭები

„დედის წიაღში“ ჩარჩენილნი 188
მიზეზი - ზედმეტი განებივრება 189
„გოგია უიშვილის“ სინდრომი 192
შეზღუდული პასუხისმგებლობის მშობელი 196

თავი მეთოთხმეტე: „ჩატეხილი ხიდის“ გენდერული ვერსია

„მზეთუნახავი“ და „ურჩხული 202
ორი ნაპირი 206
ქალი - ფარული მმართველი? 209
„ნეკნის“ შიში 210
როგორ აღვადგინოთ „ჩატეხილი ხიდი“? 214
ბოლოსიტყვაობა 218

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი 221

ვუძღვნი ჩემს ქალიშვილს, გურანდას,

ერთგულ მეგობარს და თანამოაზრეს

ავტორისაგან

რატომ დავინტერესდი გენდერული პრობლემატიკით? იმიტომ, რომ საზოგადოებაში დამკვიდრებული წარმოდგენები ქალისა და მამაკაცის როლსა და ურთიერთობაზე ყოველთვის ცხოვრებას მირთულებდა; ამისი პირველი სიგნალები უკვე ღრმა ბავშვობაში ვიგრძენი. ყოველ ნაბიჯზე აშკარად ვხედავდი, რომ საზოგადოების თვალში მამაკაცი რატომღაც ქალზე მეტად ფასობდა. ვიზრდებოდი და ცხოვრება „მარგალიტებივით“ წინ მილაგებდა კლიშეებს: „გოგო ხარ და შენ ეს არ შეგეფერება!“ (თამამ საქციელზე), „ის ბიჭია, შენ კი გოგო, ამიტომ ნაზი უნდა იყო!“ (როდესაც თავხედი ბიჭუნას გამოხდომას არ ვეპუებოდი); უფრო საფუძვლიანად მეათე კლასში მასწავლებელმა „განმანათლა“. ვუმტკიცებდი, ინტელექტუალური შესაძლებლობები სქესზე არ არის დამოკიდებული-მეთქი. დღემდე მახსოვს მისი სიტყვები: „მაგით ნუ მოტყუვდები, რომ ბევრ ბიჭზე უკეთესად სწავლობ. საბოლოოდ, ნიჭიერი ბიჭი მაინც გაჯობებს - იმიტომ რომ გოგო ხარ!“. გაითვალისწინეთ - სწორედ ეს მასწავლებელი გვიკითხავდა საზოგადოებათმცოდნეობის კურსს, რომელშიც სქესთა თანასწორუფლებიანობაზე იყო ლაპარაკი.

ყველაზე მტკივნეული გაკვეთილები კი ურთიერთობის სფეროში მივიღე: ქალისგან განუზომლად მეტს მოითხოვდნენ და ნაკლებს პატიობდნენ. სამაგიეროდ მამაკაცებს სრული თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული. თან, ყველა სიკეთესთან ერთად, საზოგადოებას ეს რატომღაც სავსებით ნორმალურად მიაჩნდა (ჩემი ოჯახის წევრების ჩათვლით). „მამაკაცისგან ღალატი ოჯახიდან გადაფურთხებაა, ხოლო ქალისგან კი ოჯახში შემოფურთხება!“ - მითხრა ერთხელ დედაჩემმა. საშინლად გავღიზიანდი; რადგანაც მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული - ერთიც და მეორეც ოჯახში შემოფურთხებაა.

ერთი შემთხვევა განსაკუთრებით დამამახსოვრდა: როდესაც შსს რაიონულ განყოფილებაში პასპორტის ასაღებად მივედი, უცნობმა ყმაწვილმა კრიტიკულად ამათვალიერ-ჩამათვალიერა და ცალყბად ისროლა:

- სულ მიკვირს, ქალებს რაღად უნდათ პასპორტი? ჩაეწერონ ქმართან და ის იქნება!

- მოსამსახურედაც ხომ არ დაგიდგეთ? - ვერ დავიოკე გაბრაზება.

- ცოლი მოსამსახურეა, აბა რა!

ასე - არც მეტი და არც ნაკლები...

სკოლის დამთავრების მომენტისთვის გენდერულ შეგონებათა „კრიალოსანი“ დალაგდა მენტალურ კონსტრუქციად - „შენ გოგო/ქალი ხარ!“, რომელიც სიკ-ვდილამდე „დამღასავით“ უნდა მეტარებინა. ეს ფაქტობრივად იყო „განაჩენი“ უამრავი შეზღუდვით და უსამართლო მოთხოვნებით. სხვა საკითხია, რომ კატე-გორიულად არ დავეთანხმე. შესაძლოა, ეს ყველაფერი ასე მკაფიოდ იმიტომ ვიგრძენი, რომ მშობლები განქორწინებულნი იყვნენ და, როგორც ახლა ამბობენ, მოწყვლადი აღმოვჩნდი. საზოგადოების თვალში ქალს ფასს და წონას ანიჭებდა ქმარი, ხოლო გოგონას - მამა. არაერთხელ გამაგონეს ფრაზა: „მედიკოს დედა ქმართან გაშორებულია“. ძირითადად, ეს იყო ვინმე არამკითხე მოამბის მეტიჩრული გამოსვლა, ან ზურგსუკან ჩურჩული. ის ჩიტი არასოდეს ვყოფილვარ თავს ვინმეს რომ დააჩაგვრინებს, ამიტომ პირველი პროტესტი, დიფუზიური და გაუაზრებელი, სწორედ ამაზე გამოვხატე:

- დიახ, გაშორებულია. შენი საქმე არ არის!!!

როცა წამოვიზარდე, კიდევ ერთი ფრიად შემაწუხებელი კანონზომიერება აღმოვაჩინე: ექსტრავაგანტური ჰაბიტუსის ქალს საზოგადოება ეჭვის თვალით უყურებდა („მაგას პატრონი თუ ჰყავს, ზედ არ ეტყობა რაც არის?“). სამაგიე-როდ, თუნდაც გადაჭარბებულად ექსტრავაგანტურ მამაკაცს, „კოლორიტად“ მო-იხსენიებდნენ. „მაგარი ტიპის“ ატრიბუტიკაც თუ ამკობდა (მანქანა, ფული და „კაი ცხოვრება“ მაქვს მხედველობაში), მქუხარე ტაშს იმკიდა (რა „ჯიგარი“ ტიპია!). ყველა ჩამოთვლილ „პლუსს“ თანამდებობაც თუ აძლიერებდა, მქუხარე ტაში ოვაციაში გადადიოდა და „თითით საჩვენებელ ვაჟკაცს“ საზოგადოება ფეხზე უდგებოდა. ქალის შემთხვევაში ძლიერი სოციალური პოზიცია (ქონება, გავლე-ნიანი ოჯახი და ა.შ.) შეზღუდვათა ჩარჩოს მეტ-ნაკლებად აფართოებდა, მაგრამ საბაზისო ტრადიციული მოთხოვნები ფორმალურად მაინც უნდა დაეცვა; ანუ, ამ შემთხვევაშიც, ქალს მეტ შეზღუდვას უწესებდნენ.

პატრიარქალური სტიგმის მაგალითები თბილისის სახელმწიფო უნივერსი-ტეტში სწავლის პერიოდშიც ჭარბად ვიხილე. პიროვნული თავისთავადობა და ტრადიციული კლიშეების უარყოფა ქალისთვის აქაც დიდ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. უკეთეს შემთხვევაში, უბრალოდ, არ გიღებდნენ, ხოლო უარესში - წნეხს აწყდებოდი. თუმცა, ეს ძალზე სასარგებლო გამოცდილება გამოდგა. რო-გორც ცნობილია, რაც არ გკლავს - გაძლიერებს; ცხადია, სწორად მიდგომა-გა-აზრების შემთხვევაში.

სწავლის პერიოდში გავთხოვდი. ცოტა ხნის შემდეგ საკითხი ასე დადგა: ან უნდა მიმეღო ტრადიციული მოთხოვნები, ანდა, როგორც იტყვიან, „ოჯახი უნდა დამენგრია“. გარედან დაძალებულ უაზრო შეზღუდვებს ვერასოდეს ვეგუებოდი; თანაც, იმ მომენტისთვის უკვე საბოლოოდ გავაცნობიერე, რომ ადგილი, სადაც ცალმხრივად გაკონტროლებენ (ჩაცმის სტილიდან და კონტაქტებიდან - სახლი-დან გასვლა-შემოსვლის დრომდე) ოჯახი კი არა, ციხეა; ამიტომ განქორწინება ვარჩიე და მოწყვლადობა კიდევ უფრო დავიმძიმე. საზოგადოების თვალში ქმარ-თან განქორწინება, უკეთეს შემთხვევაში, დიდი შეცდომა იყო, ხოლო უარესში - „საეჭვო ყოფაქცევის“ ქალთა კატეგორიაში გადასვლა, აქედან გამომდინარე დის-

კომფორტული შედეგებით. ქალების მხრიდან - არაჯანსაღი ფანტაზიები, ხოლო მამაკაცებისგან - შემაწუხებელი, ხშირად კი შეურაცხმყოფელი ყურადღება მაქვს მხედველობაში. „განათხოვარი ქალის“ სტატუსიც ფრიად „ნაყოფიერი“ ცხოვრებისეული გამოცდილება გამოდგა - კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ვიგრძენი სტიგმური მენტალიტეტის „სიკეთენი“, დავინახე, რა ფატალურად დაბინძურებული იყო მენტალური გარემო და არც გამოსავალი ჩანდა. მთვარეზე ვერ გადავსახლდებოდი; აქედან გამომდინარე, საკუთარი წესებით სწორედ ამ გარემოში უნდა მეცხოვრა და ვიცხოვრე კიდეც.

ქორწინება-განქორწინების პერიპეტიებმა სადიპლომო ნაშრომის თემა მიკარნახა: **„ოჯახში ქალისა და მამაკაცის როლურ ფუნქციებზე განწყობების სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი“.** გამოკვლევის ჩასატარებლად კითხვარიც შევადგინე, რომლის კითხვების შინაარსი საკუთარ ოჯახში გაჩენილმა პრობლემებზე ავაგე (უთანხმოება საოჯახო ფუნქციების განაწილების, უფლება-მოვალეობების, ურთიერთობის ეტიკეტის და უამრავი სხვა კუთხით). ასზე მეტი ადამიანი გამოვკითხე, რაც სადიპლომო ნაშრომისთვის სავსებით საკმარისი ბაზა იყო. შემიძლია სრული უფლებით ვთქვა - დამსახურებული ხუთიანი მივიღე, რაც დღესაც მეამაყება. ეს მოხდა 1984 წელს. ვერ დავიჟინებ, რომ ამ საკითხებზე მუშაობაში სულ პირველი ვიყავი, მაგრამ ერთ-ერთი პირველი - აუცილებლად.

სადიპლომო ნაშრომზე მუშაობისას მივხვდი, რომ მსგავსი პრობლემები სხვა ქალებსაც ჰქონდათ და განსხვავება მხოლოდ რეაქციაში იყო: საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა ვერც კი აცნობიერებდა სიტუაციის მანკიერებას და დინებას მიჰყვებოდა. შედარებით მცირე ნაწილს მეტ-ნაკლებად ესმოდა, რომ ყველაფერი რიგზე არ იყო, მაგრამ თვალს ხუჭავდა და თავის დამშვიდებას სიტუაციის გამართლება-რაციონალიზაციით ახერხებდა. მოჯადოებული წრის გარღვევას და საკუთარი წესებით ცხოვრებას მხოლოდ ერთეულნი თუ ცდილობდნენ. საზოგადოების პირველი ორი ნაწილი მესამეზე მეტ-ნაკლებ ზეწოლას ახდენდა. რაც გამოიხატებოდა ნეგატიურ შეფასებებში, ან პირდაპირ აგრესიაში. ანუ, ჩემი ყველა პრობლემა იქიდან მოდიოდა, რომ ყოველთვის მესამე „გუნდის“ „მოთამაშე“ ვიყავი; მაგრამ სხვანაირად მოქცევა არ მინდოდა და არც შემეძლო; საკუთარ თავთან თანხმობაში ცხოვრება მერჩივნა. კოგნიტური დისონანსი, ანუ მუდმივი გაორება, განუზომლად უფრო აუტანელი იქნებოდა. სადიპლომო ნაშრომის წერის პროცესში ისიც გავაცნობიერე, რომ, თურმე, ფემინისტი ვყოფილვარ.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში გამანაწილეს ფსიქოლოგად და ცხოვრების გაკვეთილები იქაც გაგრძელდა; მახსენდება კოლეგის საყვედური:

- მედიკო, ენას ვერ გააჩერებ? უკვე მთელმა ქარხანამ გაიგო რომ ქმართან გაშორებული ხარ!

- რატომ უნდა დავმალო?

- შენი საქმისა შენ იცი, მაგრამ რად გინდა ხალხს რომ ალაპარაკებ? არ იცი რას იტყვიან?

კიდევ ერთი ფაქტი:

- ჩემს დედამთილთან ნუ იტყვი, რომ ქმართან გაშორებული ხარ - მითხრა

ერთხელ ამხანაგმა - ძველი ყაიდის ქალია და ზედმეტებს დააბრეხვებს!

დედამთილი რომ არც მისი პატივისცემით გააჩერებდა ენას, ძალიან მრავლისმეტყველია; ამიტომ, წლების შემდეგ, ქმარს თავადაც რომ გაეყარა, არც გამკვირვებია. მოკლედ, ყოველდღიურობა ანალიზისა და დასკვნების გამოტანის რესურსს არ მაკლებდა. ეს შესაძლებლობა ძალზე ნაყოფიერად გამოვიყენე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იმავე თემაზე სადისერტაციო თემა გავაფორმე. სადიპლომო ნაშრომის კითხვარი გადავამუშავე, კითხვების რაოდენობა გავზარდე და, ამჯერად, თითქმის სამასი ადამიანი გამოვკითხე (მათი უმრავლესობა თბილისის მკვიდრი და უმაღლესი განათლებით იყო). სსრკ-ში განვითარებულმა პროცესებმა ჩემი გეგმები კარდინალურად შეცვალა. რა დროს ხარისხის დაცვა იყო - პატარა ბავშვი და მოხუცი ბებია მყავდა; როგორმე თავი უნდა გადაგვერჩინა. სწორედ ამ პერიოდში, აწ განსვენებული და უსაყვარლესი მეგობრის, **ჟურნალისტ ლილი არაბულის** რჩევით, ჟურნალისტიკაში გადავინაცვლე. **1995-1997** წლებში **„ქალთა გაზეთში“** გამოვაქვეყნე პუბლიცისტური ციკლი **„ქალის ტვირთი“**, რომელშიც სადისერტაციოდ მოგროვილი მასალებიც გამოვიყენე. შემდგომ წლებშიც ჩემი ჟურნალისტური საქმიანობის ლომის წილი სწორედ გენდერული საკითხების ანალიტიკურ გაშუქებაზე მოდიოდა. სხვადასხვა დროს სტატიებს ვაქვეყნებდი გამოცემებში: ჟურნალი **«Подруга»(2005-2010),** ყოველკვირეული გაზეთი **„Комсомольская правда в Грузии“ (2010-2021),** ჟურნალ **„ლიბერალის“ ინტერნეტ–ვერსია (2013–2014), http://tspress.ge (2012–2014), For.ge (2013), „მერიდიანი–44“(1998–2000), „გზა“, (1998–2000 და 2013–2014), „დრო“, „იმიჯი“ (2001–2002), „ქალთა გაზეთი“ (1995–1997), აგრეთვე: „სარკე“, “კვირის პალიტრა” „ექო“, „ახალი ჟურნალი“, „ქალის საიდუმლო“, „საოჯახო გაზეთი“** და ა.შ.

2000 წლისთვის ჯერ კიდევ მკრეხელობად მიაჩნდათ იმის გაფიქრებაც კი, რომ რუსთაველის და თამარის სამშობლოში ქალებზე ძალადობდნენ. ამიტომ სტატიებზე მუშაობისას ყოველთვის ვცდილობდი არგუმენტირებული პასუხი გამეცა კითხვებზე:

1) თანასწორად ასახავდა თუ არა კანონმდებლობა ორივე სქესის უფლებებს და რამდენად იყო ეს უფლებები დამკვიდრებული საზოგადოების მენტალობაში?

2) რამდენად იყო დაცული დედებისა და ბავშვების უფლებები?

3) რამდენად იყვნენ ქალები წარმოდგენილნი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში?

4) სარგებლობდა თუ არა ქალი ოჯახში მამაკაცის თანაბარი ხმის უფლებით?

5) ინაწილებდა თუ არა მამაკაცი მეუღლესთან შვილის აღზრდის ფუნქციას?

6) როგორი იყო ქალისა და მამაკაცის წილი ოჯახის რჩენის საქმეში და როგორ აისახებოდა ეს წილი მათ უფლებრივ სტატუსზე?

7) რამდენად იყო დაცული ქალი ოჯახში ძალადობისგან ყოფით და სახელმწიფოებრივ დონეზე? ჰქონდა თუ არა საშუალება ძალადობის შემთხვევაში მიემართა სამართალდამცავი ორგანოებისთვის და მიეღო კვალიფიციური დახმარება?

8) გვქონდა თუ არა დაცული თავშესაფრები, სადაც ქალებს შეეძლოთ გარიდებოდნენ მოძალადეს, აგრეთვე გაეარათ ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბი-

ლიტაციის კურსი?

9) რამდენად დაცული იყო ქალის საკუთრებრივი უფლებები განქორწინების შემთხვევაში?

10) რამდენად შემწყნარებელი იყო საზოგადოებრივი აზრი იმ ქალის მიმართ, რომელიც საკუთარი ღირსების დასაცავად იბრძოდა?

11) მოქმედებდა თუ არა საქართველოში ანტიტრეფიკინგული კანონმდებლობა?

წლების განმავლობაში ამ კითხვებზე პასუხი ოპტიმიზმის საფუძველს ნამდვილად არ იძლეოდა. მოგვიანებით უამრავი სასიკეთო ცვლილება მოხდა და ვცდილობდი, შესაძლებლობის მიხედვით, პროცესს მივყოლოდი. შემოთავაზებულ პუბლიცისტურ ნაშრომში ასახულია გენდერული ლანდშაფტის ტრანსფორმაციები უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე. ვეცადე, 1995 წლიდან დღემდე გამოქვეყნებული სტატიების კვალდაკვალ, გამეშუქებინა, როგორ იცვლებოდა სიტუაცია საკანონმდებლო, სოციალური და მენტალური თვალსაზრისით, რომელი პრობლემა იყო აქტუალური სხვადასხვა პერიოდში და როგორ ცდილობდა სამთავრობო, თუ არასამთავრობო სექტორი მის გადაწყვეტას. გამოვიყენე, აგრეთვე, არასამთავრობო სექტორის და კოლეგა ჟურნალისტების ზოგიერთი პუბლიკაცია, რაც მითითებულია ბიბლიოგრაფიაში. მადლობას მოვახსენებ ყველა ექსპერტს, რომელმაც კომენტარისთვის დრო დამითმო და მოვუბოდიშებ მათ, ვისაც პანდემიასთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაციის გამო ხმა ვეღარ მივაწვდინე. ექსპერტთა რეგალიები მითითებულია კომენტარის ჩაწერის მომენტში არსებული მდგომარეობის მიხედვით.

ნამდვილად არ მაქვს პრეტენზია, რომ ეს წიგნი ამომწურავად ასახავს საქართველოს გენდერული ლანდშაფტის ტრანსფორმაციის პროცესს და ამ პროცესში არასამთავრობო სექტორის ფასდაუდებელ ღვაწლს - ერთი ადამიანის ძალები, თან ერთი წიგნის სივრცეში, ამ ურთულეს ამოცანას, უბრალოდ, ვერც გასწვდებოდა. ეს არის თქვენი მონა-მორჩილის მორიდებული წვლილი საქართველოს გენდერისტიკაში. წიგნი გათვლილია ფართო მკითხველზე და, იმედია, მოწონებას დაიმსახურებს.

2009 წელს „ფონდმა ტასო“ გადმომცა პრემია - საოფისე ტექნიკა და გამოყენებული სტატიების დიდი ნაწილი სწორედ იმ პირველ კომპიუტერთან დავწერე. თავად წიგნიც ფონდის ფინანსური მხარდაჭერით დაიწერა. ამ შესაძლებლობისთვის მინდა უდიდესი პატივისცემით მადლობა მოვახსენო „ფონდ ტასოს“ და პირადად მის ხელმძღვანელს - ქალბატონ მარინა თაბუკაშვილს.

მედეა გოგსაძე

თავი პირველი

ამიზოგინიის ზეოგა -

ფეამცილი

აისბერგის წვერთან

საუბარს გენდერული ნიშნით ძალადობის რადიკალური ფორმით - ფემიციდით დავიწყებ. ეს არის ძალადობის ყველაზე ულმობელი გამოვლინება, ვინაიდან მოძალადე ქალს სიცოცხლეს უსპობს მხოლოდ იმიტომ, რომ მის ნებას არ ემორჩილება. ეს თემა ბოლო წლებში ძალზე გამწვავებულია.

მოდით, გენდერული ნიშნით ძალადობა ოკეანეში მოტივტივე აისბერგად წარმოვიდგინოთ. მაშინ ფემიციდი წყალსზედა ნაწილის წვერია, ხოლო კალთებს ფიზიკური, ყოფითი და ფსიქოლოგიური ძალადობა ქმნის. ოკეანის ზედაპირზე აისბერგის მხოლოდ მცირედი ნაწილი ჩანს; ძირითადი მასა, ანუ სტიგმით გაჯერებული და, ხშირად, გაუცნობიერებელი სტერეოტიპები, წყალქვეშაა დამალული. ანუ გენდერული ძალადობის ისტორიულ-კულტურული და ფსიქოლოგიური მიზეზები „წყლის“ სიღრმეში უნდა ვეძიოთ. ამ იდუმალ ნაწილზე მოგვიანებით ვისაუბრებთ. უკუნ სიღრმეებში ჩაყვინთვამდე ჯობს ჯერ ხილული ნაწილი „დავათვალიეროთ“.

UNODC-ის (გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულთა სამმართველო) მონაცემებით, 2017 წელს გენდერული მოტივაციის საფუძველზე 87 ათასამდე ქალი გამოასალმეს სიცოცხლეს. ყველაზე მეტი ფაქტი დაფიქსირდა **აზიაში** - თითქმის 20 ათასი, **აფრიკაში** პარტნიორებისა და ნათესავების მხრიდან ძალადობას 19 ათასი ქალი შეეწირა, **ამერიკაში** - რვა ათასი, **ევროპაში** - სამი ათასი, ხოლო **ოკეანეთში** - 800. მკვლელობის მიზეზი, ხშირ შემთხვევაში, მეუღლის, ან პარტნიორის მხრიდან ეჭვიანობა, ან მიტოვების შიში ხდება.

ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობა ყოფილი, ან „მოქმედი“ პარტნიორების მიერ საქართველოშიც გახშირდა. 2018 წლამდე, სპეციალური საკანონმდებლო ნორმის უქონლობის გამო, ფემიციდის ფაქტებს არ ანიჭენდნენ გენდერულად მოტივირებული დანაშაულის კვალიფიკაციას. **საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად**, 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, 62%-ით მეტი ქალი იქნა მოკლული. მათ შორის გენდერული მოტივით - 57%-ით მეტი. ანგარიშში ნათქვამია: „ქალთა მკვლელობებისა და მკვლელობის მცდელობათა რაოდენობრივი მაჩვენებლების შეჯამებით გამოიკვეთა, რომ შემთხვევათა უმრავლესობა ჩადენილია პარტნიორის, ყოფილი პარტნიორის, ან პირის მიერ, რომელსაც უარი ეთქვა პარტნიორულ ურთიერთობაზე“ **(„ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა“, საქართველოს სახალხო დამცველი, 2015).**

მხოლოდ ციფრები: ბოლო წლებში საქართველოში, საშუალოდ, ფემიციდის 14 შემთხვევა ფიქსირდება. 2010 წელს ერთი ასეთი ფაქტი დაფიქსირდა; 2011 წელს – სამი, 2012 – რვა, 2013 – შვიდი, 2014 – პირველი ხუთი თვის მონაცემთა თანახმად – ხუთი; 2015 წელს მოკლეს 18 ქალი; 2016 წელს - 32; 2017 წელს - 26, 2018 – 22. 2019 წელს ათი თვის განმავლობაში გენდერული ნიშნით 16 ქალი გამოასალმეს სიცოცხლეს.

ოცი წლის წინათ

„მოგმართავთ უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები, რომლებსაც დედა მამამ მოგვიკლა. თქვენი გაზეთის ფურცლებიდან გვინდა მივმართოთ მამას, რომელმაც საკუთარი ცოლი არ დაინდო:

დედამ ყმაწვილქალობა შენ შეგალია. შენ კი ვერ დააფასე მისი სიკეთე, ცამეტი წელი ტანჯე სრულებით დაუმსახურებლად. არც ჩვენ გვინდობდი; გვაწამებდი, ჩხუბობდი, გვაგინებდი, გვცემდი. ბევრჯერ გთხოვა საბრალო დედამ გონზე მოსულიყავი, მაგრამ ამაოდ... მაინც ითმენდა, არ უნდოდა უმამოდ გავზრდილიყავით, თუკი შეიძლება მამა ეწოდოს შენნაირ ბოროტ ადამიანს...ბოლოს ვეღარ გაგიძლო და საბოლოოდ დაგტოვეთ. შენ კი საბრალო დედიკოს ქუჩაში დახვდი და როდესაც შერიგებაზე უარი მიიღე, ექვსი ტყვიით დაცხრილე... შენ ისეთი ბოროტი ხარ, რომ დედა ჩვენთვისაც კი არ გემეტებოდა. მაინც ვის იმედზე დაგვტოვე? დედიკოს გაუბედურებული მშობლების იმედზე? მათ ხომ შეეძლოთ უარი ეთქვათ თავისი შვილის მკვლელის შვილების გაზრდაზე? მაშინ ხომ ქუჩაში ვრჩებოდით! რას აპირებ, ციხიდან რომ გამოხვალ? ვინ დაგხვდება - ცოლი, თუ შვილები?! ჩვენ აღარასოდეს მიგიღებთ. სრული ასაკის მიღწევისთანავე შენს გვარსაც მოვისპობთ და დედიკოს გვარს ვატარებთ...“

ეს ტკივილით გაჯერებული წერილი **„ქალთა გაზეთის“** რედაქციაში 1996 წელს მოვიდა. პუბლიკაციის მომზადება თქვენს მონა-მორჩილს დაავალეს და ეს იყო უმძიმესი დავალება, რაც კი ოდესმე მიმიღია. შედეგად დაიწერა სტატია **„მკვლელი“**, რომელიც ზემოთმოყვანილი წერილით იწყება.

ტრაგედია **1995 წლის 5 მარტს** დატრიალდა. **საპატრულო-საგუშაგო პოლიციის ინსპექტორმა დავით ჯ-მ,** დღისით-მზისით, თავზარდაცემული ხალხის თვალწინ, სატაბელო იარაღით მოკლა ყოფილი მეუღლე, თავისი სამი შვილის დედა – **ცისანა ც**. შემაძრწუნებელი დანაშაული მრავალწლიანი ძალადობის „დაგვირგვინებად“ იქცა. **დავით ჯ-მ** მოიტაცა **ცისანა ც,** როდესაც გოგონა მხოლოდ 16 წლის იყო. მსხვერპლის მშობლები მოერიდნენ „ოჯახის შერცხვენას“ და გოგონა იძულებული გახდა მოძალადის ოჯახში დარჩენილიყო. თავიდან დავითი საქვეყნოდ არ ავლენდა ხასიათს, სამაგიეროდ სახლში ცოლს შავ დღეს აყრიდა. ცისანას ნათესავი ახალდაქორწინებულებთან ერთად ცხოვრობდა და არაერთხელ გამხდარა დავითის სასტიკი საქციელის მოწმე. თავის ოთახშიც ხშირად ესმოდა ცისანას ტირილი. ერთხელ ამაზრზენ ფაქტს შეესწრო: კაცმა ცოლი ცივი წყლით სავსე აბაზანაში ჩააგდო და ამოსვლის უფლებას არ აძლევდა; მის ხვეწნა-მუდარაზე კი შეშლილივით ხარხარებდა. აშკარა იყო, რომ ნეტარებას ჰგვრიდა ქალის წვალება. ცისანა ამ მომენტში პირველ ბავშვზე იყო ფეხმძიმედ. ერთხელაც დავითმა საკუთარ დას დაუწყო ჩხუბი - რატომ ვალს არ მიბრუნებო. ცისანა მულს გამოესარჩლა

და სახეში მუშტი მიიღო. არც შვილის დაბადებამ შეცვალა მამაკაცის სადისტური ბუნება; პირიქით, სიტუაცია იმდენად აუტანელი გახდა, რომ ქალმა თავისი გასაჭირი დედას გაანდო და სთხოვა - სახლში დავბრუნდებიო. საუბედუროდ, დედამ ვერ დაძლია სტიგმური წარმოდგენები და ოჯახის შენარჩუნება ურჩია. ამასობაში კიდევ ორი შვილი შეეძინათ. ცისანა დედას აღარაფერს ეუბნებოდა და შვილებსაც არიგებდა - ბებიასთან არაფერი წამოგცდეთ, ტყუილად არ ანერვიულოთო. ამით გათამამებულმა მამაკაცმა სულ „გაშალა ფრთები"; ერთხელაც ცოლი ისე სცემა, რომ ძლივს მოასულიერეს და ცალ თვალში მხედველობა დაკარგა. საბოლოოდ, ქალმა ძალა მოიკრიბა, ბავშვებს ხელი დაავლო და მშობლებთან დაბრუნდა. ფინალი მკითხველისთვის უკვე ცნობილია: დავითი არ შეეპუა ცოლის „ურჩობას" და სიცოცხლე მოუსწრაფა.

საინტერესო დეტალი: სასამართლოზე მკვლელი გულმოდგინედ ცდილობდა მის მიერ მხეცურად მოკლული ქალის რეპუტაციის შებღალვას - სხვა კაცთან ჩახუტებული დავინახე და მისი ამორალური საქციელი ვერ ავიტანეო. საქმის მასალებში მოწმეთა ჩვენებებს გულდასმით გავეცანი; ამდენად სრული პასუხისმგებლობით ვამბობ - დამნაშავე უსინდისოდ ტყუოდა. საუბედუროდ, მსხვერპლისთვის ტალახის შესხმა დღესაც „თავის გამართლების" ძალზე გავრცელებული პრაქტიკაა.

მკვლელობის საქმის მასალების შესწავლისას აშკარად დავინახე, რომ პროცესში ჩართული ყველა ოფიციალური პირი ბოროტმოქმედისთვის ბრალის შემსუბუქებას ცდილობდა. ბრალდებულის ადვოკატი კბილებით იბრძოდა რომ მისთვის **106–ე მუხლი** წაეყენებინათ **(განზრახ მკვლელობა მსხვერპლის მხრიდან შეურაცხყოფის, ან ძალადობის ნიადაგზე)**. მაინც რა შეურაცხყოფა მიაყენა ქალმა დავით ჯ-ს, ან რა ძალადობა ჩაიდინა მის მიმართ? თურმე ნუ იტყვით და, როცა ქუჩაში ხალხის თვალწინ თმით მიათრევდა, დამპალი უწოდა და ეს მკვლელობის შემამსუბუქებელი გარემოება ყოფილა! უფრო მეტიც: ამნისტიის შესახებ კანონის საფუძველზე ადვოკატმა საქმის შეწყვეტა მოითხოვა. მოსამართლემ არ დაეკმაყოფილა ეს აბსურდული მოთხოვნა, სამაგიეროდ, წარმოუდგენელი „შემამსუბუქებელი გარემოება" გამოაცხო: თურმე ბრალდებული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით ყოფილა დაკავებული და ამიტომ ლმობიერებას იმსახურებდა! საბოლოოდ, „საზოგადოებრივად სასარგებლო მკვლელს" **105–ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე)** მიუსაჯა სასჯელი, თან ორი წლითაც შეუმსუბუქა. სხვათა შორის, დაზარალებული მხარის ადვოკატი თავის შეფასებებსა და მოთხოვნებში ფრიად მოკრძალებული აღმოჩნდა. მასალის მომზადების პროცესში გავესაუბრე და გაოგნებული დავრჩი მისი უპასუხისმგებლობით და საქმისადმი გულგრილობით.

ცნობისთვის: სასამართლო ექსპერტიზის თანახმად დავით ჯ. შერაცხადი იყო, თუმცა ფსიქოპათიური გადახრები დაუდგინდა. გასაოცარია, რომ ასეთი ადამიანი წლების მანძილზე მსახურობდა პოლიციაში და სატაბელო იარაღს ატარებდა.

ოცი წლის შემდეგ

2014 წლის ზაფხულში მთელი საქართველო შეძრა შემაძრწუნებელმა ტრაგედიამ: ზესტაფონის ცენტრალურ პარკში **პოლიციის თანამშრომელმა სერგი ს-მ** მოკლა ყოფილი მეუღლე – თავისი ვაჟიშვილის დედა, ოცდაორი წლის **სალომე ჯ.** მკვლელობის მოტივი ეჭვიანობა გახდა. სალომე ჯ. უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტზე სწავლობდა და ფოტომოდელობითაც ყოფილა გატაცებული. მეუღლე დაჟინებით ცდილობდა მასთან შერიგებას და უარი ვერ „მოინელა“. **ქუთაისის საქალაქო სასამართლოს** გადაწყვეტილებით სერგი ს-ს თერთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

სალომე ჯ-სა და **ცისანა ც-ს** ტრაგედიაში ბევრი რამეა საერთო. ორივე პოლიციის თანამშრომელმა მოიტაცა დაქორწინების მიზნით; ორივემ ვეღარ გაუძლო მეუღლის „მზრუნველობას“ და წერტილის დასმა გადაწყვიტა, ორივე შემთხვევაში მოძალადემ „შელახული ღირსება“ ტყვიით „აღიდგინა“. თუმცა არსებითი განსხვავებებიც არსებობს: 1995 წელს საქართველოში პერსონალური კომპიუტერი ჯერ იშვიათობა იყო და არც სოციალური ქსელები არსებობდა; ამდენად ცისანა ც-ს ტრაგედია ფართო საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა. სამაგიეროდ, სალომე ჯ-ს საქმე საყოველთაო განსჯა-განქიქების საგანი გახდა: „ეგ გოგო წმინდა წყლის არ იქნებოდა, ალბათ უღალატა და კაცი მაგას როგორ მოითმენდაო“ და ა.შ. საზოგადოების ნაწილი სერგი ს-ს გამართლებასაც კი შეეცადა - საწყალი, ალბათ, როგორ იტანჯებოდა, როგორ ყვარებია ცოლი ამ ზომამდე რომ მივიდაო. ფეისბუკში ფემიციდის ფაქტებზე დადებული სტატუსების ქვეშ უამრავ ასეთ „სიბრძნეს“ იხილავთ. საუბედუროდ, მოძალადის დაცვა და მსხვერპლის დადანაშაულება ჩვენში ძალიან „მოსულა“. ამის მაგალითი იყო, თუნდაც, **2019 წლის ოქტომბერში მოკლული ნათია გ-ის** ყოფილი მულის განცხადება - ქმარი ამ ზომამდე თვითონ მიიყვანაო.

მკვლელობამდე სალომე ჯ-მ არაერთხელ მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს თხოვნით - დაეცვათ ქმრის ძალადობისგან, მაგრამ მისი მიმართვები რეაგირების გარეშე დარჩა; სახელმწიფომ, ფაქტობრივად, ხელი დაიბანა და ამით მოძალადეს მწვანე შუქი აუნთო. ეს სულაც არ არის ერთეული შემთხვევა. სახალხო დამცველი თავის გამოსვლებში აღნიშნავს, რომ სამართალდამცავნი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ინფორმირებულნი არიან, მაგრამ, რიგ შემთხვევებში, ვერ ახერხებენ (?) მის პრევენციას. **სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 11 იანვარის გადაწყვეტილებით სალომე ჯ-ს** ტრაგედიაში დამნაშავედ სახელმწიფო სცნო. **შსს-ს** და **მთავარ პროკურატურას** სალომეს დედისთვის მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრეს. ეს ინფორმაცია გაავრცელა **ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ**, რომელიც დაზარალებულის ოჯახის ინტერესებს იცავდა. სასამართლომ დაადგინა, რომ შესაბამისმა სტრუქტურებმა სალომეს მოთხოვნა უყურადღებოდ დატოვეს და კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები არ

გაატარეს, რამაც მოძალადეს ირიბად უბიძგა მკვლელობისკენ; სწორედ ამიტომ გოგონას სიკვდილზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს დაეკისრა. ძალზე დამაფიქრებელია, რომ **პროკურატურამ** და **შსს-მ** პირველი ინსტანციის მართლზომიერი გადაწყვეტილება გაასაჩივრეს, თუმცა პასუხისმგებლობა მაინც ვერ აირიდეს. ამ ინსტანციებს აშკარად თავი დამნაშავედ არც მიაჩნდათ, რაც ახალი რისკების თვალსაზრისით ძალზე დამაფიქრებელია.

„ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის“ თანახმად: „2013 წელთან შედარებით, 2017 წელს მკვლელობების 18%-ით შემცირების ფონზე ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობების რაოდენობა 3-ჯერ გაიზარდა (ზრდის გამომწვევი მიზეზები უცნობია). 2017 წელს რეგისტრირებული მკვლელობის 25% (ყოველი მეოთხე) ჩადენილია ოჯახური დანაშაულის შედეგად, ხოლო დანაშაულებრივად გარდაცვლილ ქალთა 50% (ყოველი მეორე) მოკლულია ოჯახში ძალადობის ნიადაგზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა მთავრობისთვის და შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია“ (#26/36, 08.02.2019.)

არსებობს პრობლემა? საჭიროა კანონი!

როგორც წესი, ფემიციდი მსხვერპლზე განხორციელებული წინარე ძალადობის „დაგვირგვინებაა“. აქედან გამომდინარე, ფემიციდის პრევენციის უპირველესი მეთოდად ძალადობის პრევენცია უნდა ვაღიაროთ. **2014 წლის ნოემბერში,** ფემიციდის საკითხებს მიძღვნილ კონფერენციაზე, **შსს მინისტრის მოადგილემ ლევან იზორიამ** ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგიის პროექტის შექმნა დააანონსა. ძალზე საგულისხმოა, რომ ტექსტში არ შევიდა „ფემიციდის“ (ქალთა მკვლელობის) ცნება. **ბატონ იზორიას** განმარტებით, პროექტის ავტორებმა მიიჩნიეს, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არსებობდა ნორმები, რომლებიც „ფარავდნენ“ ფემიციდის ფენომენს. იმ კონფერენციაზე მეც გახლდით და დავინტერესდი რომელ ნორმებზე იყო საუბარი; აღმოჩნდა, რომ სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა ჰქონდა მხედველობაში. პასუხმა გამაოგნა! კონფერენციაზე ფემიციდის ოცდაოთხი გაჟღერებული ფაქტიდან არც ერთი სექსუალურ ნიადაგზე არ ყოფილა ჩადენილი. გენდერი სექსზე ბევრად უფრო ფართო ცნებაა. აქედან გამომდინარე, სრულებითაც არ არის აუცილებელი, რომ გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობა მაინცდამაინც სექსუალურ ნიადაგზე მოხდეს.

2014 წელს ილიას სახელობის უნივერსიტეტში ყოფილმა ქმარმა პროფესორი **მარიკა წ.** გამოასალმა სიცოცხლეს და მერე თავი მოიკლა**. კავშირ „საფარის“ აღმასრულებელი დირექტორის ბაია პატარიას** სიტყვით, ეს იყო ბოლო წვეთი, რომელმაც საზოგადოებაში დიდი შეშფოთება გამოიწვია:

- გაიმართა ძალიან დიდი შეხვედრა, რომელსაც ორ-

მოცდაათამდე სხვადასხვა ასაკის ქალი ესწრებოდა. ეს არ ყოფილან მხოლოდ ფემინისტები, ან არასამთავრობო სექტორში მოღვაწე ქალები. შეიკრიბა საკმაოდ ჭრელი საზოგადოება, რომელიც ამ საკითხზე მუშაობის სურვილმა გააერთიანა. ინიციატივას დაერქვა **„ქალთა მოძრაობა“.** ფეისბუკში გვერდიც გვაქვს, რომელიც დღეს უკვე ოთხი ათასამდე ქალს აერთიანებს. **2014 წლის 25 ნოემბრიდან,** მთელი საქართველოს მასშტაბით, ოცდახუთ ქალაქში გენდერული ძალადობის საწინააღმდეგო **16-დღიანი კამპანია** მოეწყო. ორი კვირის განმავლობაში ტელევიზიით გადაიცემოდა ფემიციდის პრობლემას მიძღვნილი ვიდეორგოლები. პარლამენტის შენობასთან საპროტესტოდ უპრეცენდენტოდ ბევრი ხალხი გამოვიდა. ვითხოვდით **სისხლის სამართლის კოდექსში** ფემიციდის საწინააღმდეგო მუხლის შეტანას. ამას მოჰყვა დიდი გამოხმაურება და შსს-ს წარმომადგენლები ჩვენთან სალაპარაკოდ დასხდნენ. **2018 წელს კი განზრახ მკვლელობის მუხლში** შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, **გენდერული მოტივი დამამძიმებელი გარემოებაა და ასეთი დანაშაული 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.**

პარალელი: 2014 წლისთვის ლათინური ამერიკის თექვსმეტი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსში ფემიციდის ცნება უკვე ფიგურირებდა. 2015 წელს იგივე გააკეთეს ბრაზილიამ და კოლუმბიამ. ბრაზილიის კანონმდებლობის თანახმად, ფეხმძიმე, ან შეზღუდული შესაძლებლობის, აგრეთვე 14 წელზე უმცროსი, ან 60 წელზე ხანდაზმული ქალის გენდერული ნიშნით მკვლელობისთვის სასჯელი კიდევ უფრო მძიმდება.

მამაკაცები ქალებზე ძალადობის წინააღმდეგ

1989 წლის 6 დეკემბერს ავტომატით შეიარაღებული ახალგაზრდა მამაკაცი **მარკ ლეპინი მონრეალის პოლიტექნიკური სკოლის** აუდიტორიაში შეიჭრა, აიძულა იქ მყოფი ყმაწვილები გარეთ გასულიყვნენ და სტუდენტი გოგონები ამოხოცა. ამის შემდეგ სხვა სართულებზეც კიდევ რამდენიმე გოგონას გაუსწორდა და ბოლოს თავი მოიკლა. რას ერჩოდა ტვინნაღრძობი ფსიქოპათი მისთვის სრულებით უცნობ ადამიანებს? როგორც გაირკვა, ეს იყო „გათავხედებული ქალების“ დასჯის აქტი. ლეპინს სძულდა ყველა „მატრაკვეცა ძუკნა“, რომელიც „მამაკაცურ პროფესიას“ ეუფლებოდა. თავად რამდენიმე მცდელობის შემდეგაც ვერ მოახერხა იმავე სკოლაში ჩაბარება და განსაკუთრებით ამაზე იყო გამწარებული. ხელმოცარული კაცუნას თვალში გოგონები არასწორად გაგებული ფემინიზმის სიმბოლოებად იქცნენ. სწორედ ამიტომ გაუსწორდა ასე სასტიკად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მოკლული გოგონა არ ყოფილა ფემინისტური მოძრაობის წევრი. ამ მხეცურმა აქტმა კანადის მთელი საზოგადოება ფეხზე დააყენა. ქუჩაში აქციაზე ასი ათასამდე განრისხებული მამაკაცი გამოვიდა, რომლებსაც მკერდზე ქალებზე ძალადობის წინააღმდეგ პროტესტის სიმბოლო - თეთრი ლენტი ჰქონდათ მიმაგრებული. **1991 წლისთვის** ჩამოყალიბდა **„თეთრი ლენტის“ საერთაშორისო მოძრაობა,** რომელმაც შეითავსა უსაფრთხო დედობის დაცვა, სამართალდამცავ

ორგანოთა და არჩევნების სიწმინდისთვის ბრძოლა და ა.შ.

რაც შეეხება ქართველ მამაკაცებს, მათი უმრავლესობა ფემინიზმს დღესაც ოდიოზურ მოვლენად აღიქვამს, ხოლო „თეთრ ლენტზე“ არაფერი სმენია და მსგავსი საკითხები არც აინტერესებს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მოძრაობის და ფემინიზმის გულშემატკივარნი საქართველოშიც არსებობენ. **2002 წელს** ამ საკითხზე **მხატვარ გია ბუღაძეს** ვესაუბრე:



„ფემინიზმი კაცობრიობის განვითარების ლოგიკური შედეგია და ნიშნავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის აქტიური პოზიციის მხარდაჭერას, რასაც მივესალმები. ხშირად მიწევს ურთიერთობა ახალგაზრდებთან და უნდა ვაღიარო, რომ ბიჭებში უფრო ხშირია ამბიცია, ხოლო გოგონებში - ცნობისწადილი. ძალზე საწყენი იქნება, თუ ამ პოტენციას უხეში ძალა ჩაკლავს. **პირადად მე „თეთრი ლენტის“ პირველი კავალერი ვარ ამიერკავკასიაში.** ჩემთვის მიუღებელია ქალზე რაიმე ძალადობა. გონიერი და განათლებული ქალი შიშს მხოლოდ გაუნათლებელ, უნებისყოფო და ლაჩარ მამაკაცებში აღძრავს. სამწუხაროდ, მამაკაცების მიერ მოწყობილ გარემოში ჭკვიანი ქალი არაჯანსაღ მოვლენად მიიჩნევა. ფემინისტი - მითუმეტეს...“

„მეც ფემინისტი ვარ!“ განმიცხადა **2008 წელს** ჩაწერილ ინტერვიუში **„ფონდ ტასოს“ თანადამფუძნებელმა და თანამშრომელმა დავით გაბუნიამ:**

- დაუსვით კითხვა ნებისმიერ ანტიფენისტს: რა არის ფემინიზმი? გარკვევით ვერაფერს გიპასუხებს. არასამთავრობო სექტორის ბევრი წარმომადგენელიც კი დიპლომატიურად აცხადებს - ფემინიზმთან საერთო არაფერი მაქვს, გენდერისტი ვარო. მათ, უბრალოდ, არაფერი იციან არც ფემინიზმზე და არც გენდერისტიკაზე. აუცილებელია, რომ გენდერი უმაღლესი განათლების სისტემაში შესასწავლი საგანი იყოს. ისიც უნდა ვთქვა, რომ ყველაზე თავგადაკლული ანტიფემინისტები ხანდახან სწორედ ქალები არიან. ზოგჯერ უბრალო არაინფორმირებულობის ამბავია, მაგრამ, რიგ შემთხვევებში, სხვა მიზეზებიც არსებობს. მაგალითად, კონკურენციის ფაქტორი. გრანტის მიღება საკმაოდ რთულია. ფემინისტური ინიციატივები კი ხშირად იღებენ დაფინანსებას დონორებისგან. სწორედ ამიტომ ახალი სახეები ახალი კონკურენტების გამოჩენას ნიშნავს. ჰოდა, იქმნება პარადოქსული სიტუაცია: ქალების აქტივიზმი თავად ქალებში იწვევს უკურეაქციას. ფემინიზმი ხომ, ფაქტობრივად, ქალთა აქტივიზმის საფუძველია!

კორექტულად მოაზროვნე მამაკაცი არასამთავრობო სექტორში სხვაც მინახავს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, თუ მთლიანად საქართველოშიც იმრავლებენ „თეთრი ლენტის“ კავალრები და ფემინისტი მამაკაცები. განსაკუთრებით - სამართალდამცავ ორგანოებსა და გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში (ეს ჯერჯერობით ფანტასტიკის სფერაა!). არანაკლებ მნიშვნელოვანია, გენდერისა და ფემინიზმის საფუძვლების ცოდნა მოსახლეობის ფართო ფენებისთვის გახდეს ხელმისაწვდომი. მაშინ აღარ მოვისმენთ უკბილო ხუმრობას, რომ ქალთა მოძრაობა სექსმოკლებული და გრანტებს დანატრებული მდედრების სერობაა.

ბოლო წლებში გენდერულ აქტივიზმში ჩართვა მამაკაცებმაც დაიწყეს. **2014 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს კანცელარიის** წინ აქცია-პერფომანსი შედგა,

რომლის ინიციატორი **აქტივისტი სოფო კილასონია** იყო. აქციის საბაბად ფემიციდის ფაქტებიც გახშირება იქცა. მონაწილეებმა პროტესტი სამზარეულოს ქვაბების და ტაფების რახუნით გამოხატეს. ეს იყო სიმბოლური მინიშნება იმ ჩაკეტილ სამყაროზე, რომელშიც საზოგადოებრივმა სტიგმამ გამოკეტა ქალები და რომლისგან თავის დაღწევა, რიგ შემთხვევებში, სიცოცხლის ფასად უჯდებათ. სამწუხაროდ, აქციაზე სულ 200 თუ 300 ადამიანი მოვიდა - ძირითადად, გოგონები და ახალგაზრდა ქალები. აქა-იქ ახალგაზრდა მამაკაცთა სახეებსაც დალანდავდით.

აი, რა მითხრა აქციის მონაწილემ, საშუალო **სკოლის მოსწავლემ ნოდარ რუხაძემ,** რომელსაც ხელში ეჭირა პლაკატი წარწერით: „გაგვაგონეთ ქალთა ხმა!“:

- როგორც ხედავთ, მამაკაცები აქციაზე ცოტანი ვართ. ალბათ შეეშინდათ პოზიციის დაფიქსირება, ან, უბრალოდ დაეზარათ მოსვლა და ცოტა ხნით მაინც გაჩერება. მე კი არ შემეძლო არ მოვსულიყავი. მამაკაცები ვალდებულნი ვართ ამ ბრძოლაში ქალების გვერდით დავდგეთ. მარტო გამარჯვება გაუჭირდებათ; თანაც, ნახონ, რომ ყველა მამაკაცი მოძალადე და მკვლელი არ არის. რითი განსხვავდებიან თანამედროვე მოძალადენი თუნდაც ვარსქენ პიტიახშისგან?! არც არაფრით! მოძველებული წარმოდგენები, „ქალი - კუხნაში!“ და ა.შ. ისტორიას უნდა ჩაბარდეს. მაშინებს თუ არა ძლიერი ქალი? რატომ უნდა მაშინებდეს? მათი მხოლოდ სუსტ და მხდალ მამაკაცებს ეშინიათ. რამდენი ქალბატონი მუხლჩაუხრელად შრომობს თავისი ოჯახის გადასარჩენად! ისინი უდიდეს პატივისცემას იმსახურებენ. ნამდვილი ქალი სწორედაც რომ ძლიერი, დამოუკიდებელი და მშვენიერი უნდა იყოს. ყველა ქალი ამისკენ უნდა მიისწრაფოდეს. სამწუხაროდ, ზოგიერთ გოგონას წარმოდგენაც არ აქვს, რა არის ძლიერი ქალი და როგორ უნდა გახდეს ასეთი. ამას განათლების ნაკლებობით და ეკლესიის გავლენით ავხსნიდი. სწორედ ეკლესიის და არა რელიგიის. სახელმწიფო, ეკლესია და ოჯახი ყველაზე მეტად სწორედ ქალს „პრესავენ“. ეკლესიის მსახურნი პირდაპირი ტექსტით მოუწოდებენ ქალებს მორჩილებისკენ და მათ ხშირად უჭირთ ამ ზეგავლენისთვის წინააღმდეგობის გაწევა. დროა ცხოვრების წესი შევცვალოთ. ამას ახალგაზრდობაზე უკეთესად ვერავინ გააკეთებს.

საინტერესო დეტალი: აქციაზე უფროსი ასაკის მამაკაცები არსად ჩანდნენ; ნაშრომის ავტორის აზრით, ეს უფრო კანონზომიერება იყო, ვიდრე შემთხვევითობა.

2014 წლის 25 ნოემბერს, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი აქციის ფორმატში, თბილისში პარლამენტის შენობის წინ გაიმართა საპროტესტო აქცია ქალებზე ძალადობის წინააღმდეგ. საზოგადოება შეძრა ქალთა მკვლელობის გახშირებამ, მაგრამ აქციის საბაბი მხოლოდ ეს არ იყო: **1999 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 25 ნოემბერი ქალებზე ძალადობასთან ბრძოლის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა.** პირქუში და წვიმიანი 25 ნოემბერი გაგვითენდა, მაგრამ ქალთა ორგანიზაციების მიერ მომზადებული აქციები მაინც ჩატარდა. „ქალებზე ძალადობა დანაშაულია!“, „შევაჩეროთ ქალებზე ძალადობა!“ - ეს იყო ამ ღონისძიებათა მთავარი გზავნილი. აქციებზე საზოგადოებას გააცნეს მიმართვის ტექსტი ფემიციდის აღმოფხვრის მოწოდებით. თბილისში ჩატარებულ აქციაზე ხალხის წინაშე წარსდგა ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი მსხვერპლის, **გიტა უ-ს** დედა. გიტამ დამცირება-შეურაცხყოფას ვეღარ გაუძლო და სიცოცხლე

მოისწრაფა. სულისშემძვრელი იყო დედის მწარე გოდება: „თხუთმეტი წლის წამართვეს, მომტაცეს ჩემი ანგელოზი და ხუთი წლის შემდეგ მკვდარი დამიბრუნეს...“ ამ ტრაგედიაში ფემიციდის გარდა სხვა გენდერული დატვირთვის პრობლემებიც გამოიკვეთა: მოტაცებას, სექსუალურ ძალადობას და არასრულწლოვანზე დაქორწინებას ვგულისხმობ. კორექტული გენდერული ცნობიერების დანერგვის გარეშე ვერც ერთის მოგვარება ვერ მოხერხდება.

ამჯერად აქციაზე უამრავი ახალგაზრდა მამაკაცი ვიხილეთ. განსაკუთრებით დამაინტერესა ყმაწვილმა, რომელსაც ეჭირა ბანერი წარწერით: „ნამდვილი ვაუკაცი ქალზე არ ძალადობს!“. ეს გახლდათ **„ახალგაზრდული ცენტრის“ წარმომადგენელი გიორგი ნიქაბაძე:**

– მინდა ჟურნალისტების დახმარებით ეს სიტყვები მთელმა საქართველომ და მსოფლიომაც გაიგოს. ნამდვილი ქართველი ვაუკაცი არასოდეს შეურაცხჰყოფს ქალს. მით უმეტეს, არასოდეს იძალადებს მასზე; იმიტომ, რომ მასში მანდილოსანს აფასებს. თუ საჭიროა, მისი კეთილდღეობისათვის სიცოცხლესაც კი გაწირავს. ბანერზე მიწერია „ქართველი ვაუკაცი“, რაც სავსებით შეგნებულად გავაკეთე. ბოლო ხანს ქართველი ვაუკაცის ფენომენი გაკილვა-ირონიის ობიექტად იქცა. ასეთი გადაცემაც კი არსებობს. სწორედ ამიტომ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ნამდვილი ქართველი ვაუკაცი ქალს უღირსად არასოდეს ექცევა. პირიქით: ყოველთვის იცავს და აფასებს...

– იცავს და აფასებს როგორც სუსტს და უმწეოს, თუ როგორც თანასწორს და ძლიერს?

– ცხადია, როგორც თანასწორს და ძლიერს. დღეს აქ ქალთა დასაცავად მოვედი. მაგრამ ასევე ვაპროტესტებ ნამდვილი მამაკაცურობის დისკრედიტაციას. მამაკაცური – ეს არ ნიშნავს უხეშს და აგრესიულს. ბევრს ჰგონია, რომ ვაუკაცობა არის ბილწსიტყვაობა, სუსტის დაჩაგვრა, ოჯახში უფროსობისკენ სწრაფვა, ცოლზე ძალადობა და ა.შ. განა ასეთნი იყვნენ ქართველი კაცები ორიოდე საუკუნის წინ?

– სწორედ ასეთია ტარიელ მკლავაძე ეგნატე ნინოშვილის „ჩვენი დროის რაინდიდან“ – უხეში, თავხედი და სასტიკი. მისი სახე „ვაუკაცის“ ცნების „დევალვაციას“ ასახავს. განა ეს არ ამტკიცებს, რომ აღნიშნული პრობლემა მაშინაც იდგა?

– გეთანხმებით. ცუდია, რომ ნამდვილი მამაკაცურობის დაკნინების პრობლემაზე მუშაობა მაშინვე არ დაიწყეს. მაგრამ ოდესმე ხომ უნდა დავიწყოთ? თუ ახლა არა, მაშ როდის?! ეს აქცია ჩემთვის მარტო ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა კი არ არის, არამედ იმის საშუალებაცაა, რომ ქართველ მამაკაცთა ღირსების აღდგენის აუცილებლობა გავახმოვანო!

ჭეშმარიტად თეთრი ლენტის კავალერის ღირსი განაცხადია. მამაკაცის მკერდზე თეთრი ლენტი იმის მიმანიშნებელია, რომ ის არა მარტო გმობს ქალებზე ძალადობას, არამედ ასეთ სიმახინჯეს თავის გარშემოც არასოდეს დაუშვებს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ლენტთან ასოცირებულმა ფასეულობებმა ღირსეულთა მკერდიდან ყველა მამაკაცის გულში გადაინაცვლოს და გონებაშიც დაფიქსირდეს.

უჩინარი ფემიციდი

გენდერული მოტივაციით განპირობებული ქალების ხოცვა ხილული ფაქტია. ამას ყველაზე თავგადაკლული მიზოგინიც კი ვერ უარჰყოფს. მაგრამ არსებობს ფემიციდის არანაკლებ სასტიკი, ფარული ფორმა. სელექციური აბორტებს, ანუ მდედრობითი სქესის ნაყოფის მოშორების პრაქტიკას ვგულისხმობ. შთამომავლობის მიზოგინურ სელექციას უძველესი ისტორია აქვს და ადრე კიდევ უფრო არაადამიანური სახე ჰქონდა. უძველეს კულტურებში გავრცელებული მდედრობითი სქესის ჩვილების ხოცვა განსაკუთრებით ხშირად ხდებოდა მოუსავლიან პერიოდებში; ხოცავდნენ მათ, ვინც „ნაკლებად ფასეული“ იყო, ანუ ე.წ. „ზედმეტ მჭამლებს“. ასეთებად კი ძირითადად მდედრობითი სქესის ბავშვები და აგრეთვე მოხუცები მოიაზრებოდნენ.

„ვაჟია, თუ ქალი?“ - ასე ეკითხებდნენ ძველად საქართველოში ბავშვის დაბადების მახარობელს, თან გული უსკდებოდათ: „ღმერთი არ გაუწყრეს, „ქალი“ არ გვიპასუხოსო“. იგივე შეკითხვა ისმებოდა იმის გასაგებად, წარმატებით დაბოლოვდა რაიმე საქმე, თუ მარცხით; ანუ ყველანაირი სიკეთე და წარმატება სწორედ ძეობასთან იყო ასოცირებული; გოგონას დაბადება ნაკლებად სასურველად, ანუ არაპრესტიჟულად მიიჩნეოდა. ამ მიზოგინურ ინერციას პოზიციები დღესაც არ დაუკარგავს. მამაკაცთა დიდი ნაწილი ვაჟის გაჩენას საკუთარი ღირსების დადასტურებად მიიჩნევს. ქალები, კი, ან ემორჩილებიან ქმრის ნებას, ან თავადაც ვაჟი ურჩევნიათ. ძალზე ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა პერიოდში გოგონათა მამებისთვის სახელდახელოდ „გამოაცხეს“ სახუმარო ეპითეტი „ბრაკოდელ!“ („წუნის მკეთებელი“). მიზოგინური სტიგმა საზოგადოებრივ ცნობიერებაში იმდენად ღრმადაა ფესვგადგმული, რომ ზოგიერთი წყვილი ხელოვნური განაყოფიერების დროსაც მოითხოვს - აუცილებლად ბიჭი გვინდაო. მეცნიერული თვალსაზრისით ეს შესაძლებელია, მაგრამ, ეთიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, პაციენტები მტკიცე უარს იღებენ.

სახელმწიფოს ამ საკითხთან დაკავშირებით აქვს ერთმნიშვნელოვანი პოზიცია - სქესი არ შეიძლება იყოს აბორტის გაკეთების მიზეზი. **2014 წელს** აბორტის შესახებ კანონმდებლობაში გაკეთდა ჩანაწერი, რომლის თანახმად სქესის ნიშნით სელექციური აბორტის გაკეთება საერთოდ აიკრძალა. რაც შეეხება ამ კანონის აღსრულების მექანიზმს, აქ საქმე უფრო რთულადაა. თავიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ სქესის დადგენის მიზნით ექოსკოპიის ჩატარება ორსულობის გარკვეულ ვადამდე საერთოდ აკრძალულიყო; მაგრამ ექიმს შეუძლია ნაყოფის სქესი ზეპირადაც უთხრას პაციენტს და ამას ვერავინ გააკონტროლებს. ცალკე პრობლემაა, რომ ფეხმძიმობის მეთორმეტე კვირის შემდეგ აბორტი უაღრესად სახიფათოა; ანუ უჩინარმა ფემიციდმა ათასობით ქალის ჯანმრთელობა და სიცოცხლეც სასწორზე შეაგდო. ისიც საკითხავია, საკუთარი სურვილით გააკეთეს საბედისწერო არჩევანი, თუ ქმრების ნება-სურვილს დაჰყვნენ.

დღესდღეობით სელექციური აბორტის ლეგალურად გაკეთება გამორიცხულია. მაგრამ „გვარის გამგრძელებლებს“ დანატრებულნი ამას არალეგალურადაც „ჩინებულად ახერხებენ“. სწორედ ამიტომაა შეუძლებელი ზუსტი სტატისტიკის დადგენა. სამაგიეროდ არსებობს „ირიბი“ სტატისტიკური მექანიზმი - ახალშობილთა ბუნებრივი თანაფარდობა სქესის მიხედვით, რაც საქართველოში შესამჩნევად დარღვეულია.

გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, დაბადებული გოგონების რიცხვი იმაზე ნაკლებია, ვიდრე თანაფარდობის მიხედვით უნდა იყოს. 90-იანი წლების დასაწყისიდან - 2010 წლამდე საქართველოში დაახლოებით 25 ათასი გოგონა ვერ დაიბადა. თუკი ეს ტენდენცია გაგრძელდა, აღნიშნული რიცხვი 2020 წლისთვის 40 000-მდე, ხოლო 2050 წლისთვის - 80 000-მდე გაიზრდება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ცუდადაა საქმე კახეთში, ქვემო ქართლში და სამცხე-ჯავახეთში.

გაეროს მოსახლეობის ფონდის შეფასებით, შობადობის მაჩვენებელი 2,2-ჯერ მაღალია იმ ოჯახებში, სადაც ვაჟი არ ჰყავთ. თუ პირველი ორი შვილის სქესი მდედრობითია, სელექციისკენ მიდრეკილება საგრძნობლად მატულობს. გამოვლენილი ტენდენცია ერთმნიშვნელოვნად სექსისტურ-მიზოგინურია. სტიგმით შეპყრობილი მშობლები ცდილობენ ნაყოფის სქესი ფეხმძიმობის რაც შეიძლება ადრეულ ფაზაში დაადგინონ; და თუ ის არასასურველი აღმოჩნდა, სასიკვდილო „განაჩენი“ არ დააყოვნებს. გვარის გამგრძელებელთა სურვილით შეპყრობილებს როგორღაც ავიწყდებათ, რომ, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დღეს გვარის გაგრძელება გოგონასაც შეუძლია; ნამდვილად არ ღირს რაღაც დრომოჭმული წესისთვის შვილის შეწირვა. სელექციის პროცესის გაკონტროლება საძნელოა, ამიტომ ადმინისტრაციული აკრძალვაც - ნაკლებად ეფექტიანი, ვინაიდან ნებისმიერი აკრძალვა მიმართულია მოვლენის არა მიზეზის, არამედ შედეგის წინააღმდეგ. უჩინარი ფემიციდის მიზეზი პატრიარქალური სტიგმით შეპყრობილი ცნობიერებაა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცვალოს. აუცილებელია ფართო საგანმანათლებლო კამპანია მასმედიაში და ყოველ კონკრეტულ წყვილთან მუშაობა.

2019 წლის ოქტომბერში სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა ფეისბუკში გამოაქვეყნა ვიდეორგოლი სელექციური აბორტების წინააღმდეგ მინაწერით: “ქალებზე ძალადობა აქედან იწყება. საკმარისია!“. სომხეთთან შედარებით სელექციური აბორტების სტატისტიკა ჩვენთან უფრო დაბალია, მაგრამ ასეთი ტიპის განცხადებების გაჟღერება არც ჩვენი პირველი პირებისგან იქნებოდა ურიგო.

თავი მეორე

„ცხენი“ და „მათრახი“

წარსული მითოლოგიზაციის გარეშე

ქართულ საზოგადოებას ყოველთვის ახასიათებდა ისტორიული წარსულის იდეალიზაცია. კვაზიპატრიოტული მითოსის თანახმად, ქართული ტრადიციული ოჯახი - დასაბამიდან იყო უნაკლო და სიწმინდეებით დატვირთული სავანე, რომელზედაც უნდა გველოცა და მოვფრთხილებოდით. ოციოდე წლის წინ რეალური ვითარების გაცნობიერების პროცესი დაიწყო, მაგრამ ფართო საზოგადოება კიდევ დიდხანს არიდებდა თვალს მწარე სიმართლეს. სწორედ ამიტომაა, რომ ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო კანონპროექტის წარდგენამ პარლამენტში დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. კანონმდებელთა კონსერვატიულად განწყობილმა ნაწილმა ეს ინიციატივა ტრადიციების შელახვად მიიჩნია: ყურმოთრეული თემაა, როგორ შეიძლება „რუსთაველის და თამარის ქვეყანაში“ ასეთი რამ არსებობდესო? არაფრით უნდოდათ იმის დაჯერება, რომ, სინამდვილეში, „ასეთი რამ“ უხსოვარი დროიდან იყო საქართველოს რეალობის შემადგენელი ნაწილი. კონსერვატორებს ისტორიულ-ეროვნული მენტალობის ყველაზე უტყუარ სიმბოლოდ მიაჩნდათ „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები. ვფიქრობ, რეალური ვითარება ეპიკურ პოემაში კი არა, ფოლკლორში უნდა ეძებნათ. სწორედ ფოლკლორში აისახება ხალხური ყოფის დეტალები და წარმოდგენები მათი რეალური, შეულამაზებელი სახით. გთავაზობთ ორ ფრიად კოლორიტულ ნიმუშს:

ქალი ტიროდა ქართლელი ქართლისა შუა გზასაო,
დავყარე წვრილი ობლები, ვერ გამოვრეკე წყალსაო;
იმისი სული კრულია, ვინც ქალი ენდოს ქმარსაო,
კოხტასა, ამპარტავანსა, წვერუხვეველა ყმასაო.
მიყოლა, გადამიყოლა, გამწირა შუა გზასაო...
მეშვიდე ღამეს მოვიდა თვალშუაღამის ხანსაო,
ერდოდან ჩამომიძახა: „რათ არ გამიღებ კარსაო?!“
ავდექ, ავანთე სანთელი, შუაღამისა ხანსაო,
ოქროსა სკამი მივართვი: „დაბრძანდი ღვთისა მადლსაო!“.
ქალმანს სახდელად შევადექ, მუშტი მიღერა ყბასაო:
„შე ბოზო, ბოზის გაზრდილო, აქ რას აკეთებ, რასაო?
რათ არ ასდექ და იარე, ჩაჰბარდი შენსა ძმასაო?!“
ავდექ და გამოვუდექი, ქართლისა შინა გზასაო,
უკან რომ თავი ვიბრუნე, მოაელვებდა ხმალსაო...
- ძაღლო, ვის ცოლად დადიხარ, აქ საქარავნო გზასაო?

ლოყა უგავდა სინასა, შუბლი ქისურსა ქვასაო.

- ვაჟო, რა გინდა, რას მომდევ, შენი რა წამიღიაო?

ცივი წყლით სახლი მომირწყავს, ზედ ვარდი მომიშლიაო,

დედამთილი, მამამთილი ბოსტანში გამიშვიაო...

ცხრა მაზლი ნამგლის მქნეველი შეაგდებიან ზღვასაო,

ზღვა დაჰკრავს, ქვაში დაჰრეკავს ძუძუკოკობა ქალსაო...

კიდევ ერთ ნიმუშს წარმოგიდგენთ:

- ცოლი სჯობავ, თუ წაწალი, ჯაბანო შენა გკითხავო?

- ცოლი სჯობავის წაწალსა, წაწალ ფეხებზე მკიდაო...

წაწალს ფერება სჭირდება, ცოლსა კი არას ვკითხავო...

შესაძლოა, ვინმე შემოგვედავოს, რომ ეს ფოლკლორული ნიმუშები მხოლოდ ცალკეული შემთხვევების ასახვაა და საქართველოში გენდერული ძალადობის, როგორც სოციალური ფენომენის არსებობაზე სულაც არ მიუთითებს. ასეც იქნებოდა, რომ არა კიდევ ერთი არსებითი ფაქტი: ჩვენს წინაპრებს დესპოტი ქმრების მოსარჯულებლად საკანონმდებლო ნორმების დაწესებაც კი მოუხდათ:

„კაცი რომ ცოლს სტანჯავდეს და უპატიურად ეპყრობოდეს და ურიგოს უშვრებოდეს, მეფემ ის კაცი დაბას და დატუქსოს, ავად მოეპყრას და კათალიკოზმაც ასე უყოს. სხვა რამ ამას გარდა თუ ცოლ-ქმრობაში რამე ურიგო მოხდეს, ის კათალიკოზმან იცის“ (ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი; მუხლი 64).

ვერავინ დასწამებს მეფე ვახტანგს, რომ აღნიშნული ნორმა სამართლის წიგნში რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ან გრანტების მოპოვების მიზნით შეიტანა. კანონს რეალობაში არსებული საჭიროება ქმნის. ქალებზე ძალადობა საქართველოში ისტორიულად ნამდვილად არსებობდა, თანაც ისეთი შემაწუხებელი ფორმით, რომ სპეციალური კანონის შემუშავებაც კი გახდა საჭირო. ოჯახში ძალადობის „ტრადიცია“ **ვახტანგ მეფის** შემდგომ პერიოდშიც აქტიურად გაგრძელდა. ამის მაგალითები ჭარბადაა ასახული მიუკერძოებელი რეალისტების, **ეგნატე ნინოშვილისა** და **დავით კლდიაშვილის** შემოქმედებაში. იმდროინდელ პრესაშიც დავლანდავთ კოლორიტულ სურათებს ქართული ოჯახების „ცხოვრებიდამ“. მაგალითად, **„დროების“** ერთ-ერთ ნომერი გვაუწყებს, რომ სასამართლომ განიხილა **თავად ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის** აპელაცია; თურმე „კნიაზმა“ თავისი „კნეინა“ სახლში გამოკეტა და გულმოდგინედ უბათქუნებდა. სასამართლომ თავადი დამნაშავედ სცნო, მაგრამ სასჯელი შეუმსუბუქა.

როგორც ვხედავთ, ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო კანონის მიღება იყო ქართული სამართლებრივი ტრადიციის აღდგენა-გაგრძელება და არა შელახვა, როგორც ამას დაუინებით გაიძახოდნენ ოპონენტები. მათი პოზიცია ეროვნულ-პატრიოტული კი არა, სინამდვილეში, ეროვნულ ფესვებს მოწყვეტილია.

ახალი ეპოქის გარიჟრაჟზე

დამოუკიდებლობის მოპოვებამ და ახალი ინფორმაციის შემოდინებამ აშკარა გახადა, რომ „წმიდათა წმიდა სავანეს“ საფუძველი მორყეული ჰქონდა. 90-ან წლებში სოციალური და ეკონომიკური კრიზისის ფონზე „წყალი“ კიდევ უფრო „აიმღვრა“, თუმცა საზოგადოების დიდი ნაწილი კიდევ ათიოდე წელი ჯიუტად უარყოფდა ამას. ოჯახში ძალადობის თემის საზოგადოებრივი ყურადღების ფოკუსში მოქცევა მთლიანად არასამთავრობო სექტორის და მასმედიის დამსახურებაა. ამას წინ უძღოდა ქალთა მოძრაობის წარმომადგენელთა მიერ პრობლემის გაცნობიერების არცთუ ხანმოკლე პერიოდი. ზოგმა საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების მაგალითზე დაინახა, რომ „თანასწორი ლომის ლეკვები“ სინამდვილეში სულაც არ იყვნენ თანასწორნი; ზოგმა კი - პროფესიული საქმიანობის კვალდაკვალ.

ძალიან საინტერესოა **ქალთა საკონსულტაციო ცენტრ „სახლის“ ხელმძღვანელის, ფსიქოლოგ რუსუდან ფხაკაძის** გამოცდილება:

- ოჯახში ძალადობის პრობლემის გაცნობიერებასა და წინ წამოწევაში ძალიან შემიწყო ხელი ფსიქოლოგად მუშაობამ. ლაპარაკია 80-ანი წლების დასაწყისზე. ვმუშაობდი სხვადასხვა ადგილებში: ონკოლოგიურ საავადმყოფოში, ნდობის ტელეფონზე და ა.შ. ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში ფსიქოლოგის ამპლუაში სიმსივნით დაავადებულ ქალებთან ვიმუშავე. წარმოიდგინეთ რამდენმა ადამიანმა გაიარა ჩემს ხელში! სხვადასხვა მეთოდებით ვიკვლევდით მათ მდგომარეობას. ფსიქოლოგიური მუშაობის პროცესში მიამბობდნენ თავის ოჯახურ სიტუაციებზე. სულ ვგრძნობდი, რომ ამ ქალებს განცდების უხილავ სპექტრში აწუხებდა „რაღაც“, რასაც სახელსაც კი ვერ ვარქმევდი. ეს „რაღაც“ ყოველდღიურობასთან მყარად იყო დაკავშირებული და დამთრგუნველ გავლენას ახდენდა მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. მაშინ ჩვენ არ ვიცნობდით ტერმინს - „ოჯახში ძალადობა“ და არც ფენომენი იყო შესწავლილი. ამდენად, ამ „რაღაცას“ სახელს ვერ ვარქმევდი. 90-იან წლებში ნდობის ტელეფონზე ფსიქიატრებთან ერთად მომიწია მუშაობა. დიაგნოსტირების კუთხით ეს ძალზე მნიშვნელოვანი გამოცდილება აღმოჩნდა, ვინაიდან ფსიქოლოგიის საზღვრები ამის საშუალებას არ მაძლევდა. უამრავი ხალხი რეკავდა სხვადასახვა გასაჭირით: ფსიქიკური დარღვევებიდან - პიროვნულ პრობლემებამდე. სწორედ იქ დავინახე, რომ რასაც წინათ სახელს ვერ ვარქმევდი, იყო ძალადობა. ამ პერიოდში **საერთაშორისო ორგანიზაცია „ოქსფამმა“** ქალთა უფლებების საკითხში ვაკანსია გამოაცხადა და მათთან მუშაობა დავიწყე. **1997 წელს** დავაფუძნე **ქალთა საკონსულტაციო ცენტრი „სახლი“.** არც სახელი შემირჩევია შემთხვევით. ის მოვლენა, რომელიც წლების წინათ შევამჩნიე და სახელს ვერ ვარქმევდი, სწორედ სახლში,

ცოლ-ქმრის ურთიერთობაში ხდებოდა. ამ პერიოდისთვის უკვე ლიტერატურასაც გავეცანი და გადავწყვიტე მემუშავა ტერმინით „ძალადობა ოჯახში“, მაგრამ იყო რისკი, რომ საზოგადოება ამას არ მიიღებდა. მოგეხსენებათ, ჩვენთან უამრავი რამ იყო ტაბუირებული. ტერმინი „ოჯახში ძალადობა“ მართლაც ძალიან მწვავედ იქნა აღქმული და კონსულტაციებზე არავინ მოდიოდა. ქართული კულტურა ზოგადად ფასადურია და ფარდის ახდა უმწვავეს რეაქციას იწვევს. ისმოდა ტექსტები: „საქართველოში ქალებზე ძალადობა არასოდეს ყოფილა!“, „ლეკვი ლომისა სწორია!“ „ჩვენ ქალთა პატივისცემა კულტურულად მოგვდგამს“ და მისთანანი. მე კი თურმე **ოქსფამში** ვიჯექი, ამერიკიდან ყურით მოთრეულ პრობლემას ვუკეთებდი კალკირებას, თან გრანტიჭამიობით ვიყავი დაკავებული. ანუ, ამ სფეროში სრული „გაუვალობა“ იყო. მაშინ ვიფიქრე, რომ უფრო ეფექტიანი იქნებოდა განსაზღვრება „ოჯახურ კონფლიქტებზე მომუშავე ფსიქოლოგი“, რაზეც ვეღარ მომედავებოდნენ. კონფლიქტები ოჯახში ხდება და ამას ვერავინ უარყოფს. ახალმა ტაქტიკამ გაჭრა. მოქალაქეებმა დაიწყეს ჩვენთან მოსვლა, მაგრამ გაუძნელდათ იმის აღიარება, რომ ქმართან კონფლიქტი იყო არა შემთხვევითი, არამედ განმეორებადი და კანონზომიერი, თავად კი ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ. სიტუაციის შეცვლის მცდელობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!

ცნობისთვის: 2002 წელს ქალთა საკონსულტაციო ცენტრმა „სახლი“ თბილისში ჩაატარა გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო ოჯახში ძალადობის პრობლემის მიმართ დამოკიდებულების შესწავლა. გამოკითხული იქნა ოთხასი ადამიანი, რომელთა 85%-ს უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული. საქართველოში ოჯახში ძალადობის არსებობის ფაქტი ქალთა 41,9%-მა და მამაკაცთა მხოლოდ 21,2%-მა აღიარა. ანუ, საზოგადოების დიდ ნაწილს საერთოდ არ სჯეროდა ქართულ ოჯახებში ასეთი მოვლენის არსებობა. ძალადობის კონკრეტულ შემთხვევებს კი პროვინციული მენტალიტეტის „ჩამორჩენილობით“ ხსნიდნენ.

ა/ო „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ კოორდინატორმა ელისო ამირეჯიბმა ოჯახში ძალადობის პრობლემა პატიმარი ქალების მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზებში ჩაღრმავებისას გააცნობიერა:

- **არასამთავრობო ორგანიზაცია „პეონი“** ქალთა ციხეში პირველად შევიდა **1999 წელს** და შემდგომ წლებშიც პროექტებს ახორციელებდა. ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ. **2001-2002 წლებში** უკვე გვქონდა პროექტი და პატიმარ ქალებს ვეხმარებოდით. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და საყოფაცხოვრებო პირობების მონიტორინგი მაქვს მხედველობაში. მაშინ პირველად შევხვდით პირისპირ ოჯახში ძალადობის შედეგებს, ვნახეთ ქალები, რომლებსაც მოკლული ჰყავდათ ქმარი, ძმა და შვილიც კი. წარმოიდგინეთ ჩვენი გაოგნება... მაშინ ვერც კი წარმოგვედგინა, რამ შეიძლება აიძულოს ქალი მოკლას თავისი ოჯახის წევრი, განსაკუთრებით კი შვილი. სწორედ დანაშაულის ჩადენის მიზეზთა ძიებამ მიგვიყვანა ოჯახში ძალადობის თემამდე. ერთ-ერთ შეხვედრაზე **ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ ქალთა პროგრამის კოორდინატორმა მარინა თაბუკაშვილმა,** რომელსაც უდიდესი წვლილი აქვს

ჩვენი ქსელის გაძლიერება-ფეხზე დადგომაში, შემოგვთავაზა ოჯახში ძალადობის თემაზე მუშაობა. მისი წინადადება ჭკუაში დაგვიჯდა, ვინაიდან პატიმარი ქალების მოტივებში გარკვევა გვაინტერესებდა. ქალბატონმა მარინამ, ფაქტობრივად, დაგვახვედრა ქსელის სტრუქტურა - რეგიონული კომიტეტები, რომლებიც მერე ქსელში გავაერთიანეთ. ქსელის ჩამოყალიბებამდე რეგიონებში მცხოვრები აქტიური ქალები ჩაბმულნი იყვნენ ქალთა კოალიციაში. ეს კოალიცია ესტონეთის **აღმოსავლეთ პარტნიორობის ცენტრის პროგრამების დირექტორმა ტინა ილსენმა** შექმნა. ამ ქალბატონმა მაშინ უამრავი ორგანიზაცია დააყენა ფეხზე და საშუალება მოგვცა გენდერულ საკითხებზე გვემუშავა. მაშინ ბოლომდე გააზრებული არ გვქონდა, რა გლობალურ პრობლემას ვკიდებდით ხელს. უფრო მეტიც: ვერავის წარმოედგინა ოჯახში ძალადობა საქართველოშიც რომ არსებობდა.

ა/ო „ჰეპა+"-ის ხელმძღვანელი მანანა სოლოღაშვილი წლების მანძილზე მუშაობდა ფსიქოლოგად **„ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელში".** მან გენდერული პრობლემებისა და, კონკრეტულად, ოჯახში ძალადობის თემის გაცნობიერების ძალიან საინტერესო გზა გამოიარა:

- ფემინისტი მგონი ბავშვობიდან ვარ. უკვე მაშინ დავიწყე იმის გაცნობიერება, რომ ქალებისა და მამაკაცების ურთიერთობაში ყველაფერი რიგზე არ იყო. პირველი პროტესტი მაშინ გამიჩნდა, როდესაც ბებიამ მე და ჩემს დას თითო-თითო კანფეტი დაგვირიგა, ხოლო ძმას მთელი პარკი მისცა ხელში. თანაც გვითხრა: არ გეწყინოთ, ბიჭია და მეტი ეკუთვნისო. ან მოიტანდა კომშებს, ყველაზე დიდს და ლამაზს ძმას მისცემდა, ჩვენ კი მომცროებს დაგვირიგებდა; იმავე მიზეზით, ცხადია. ვერაფრით ვხვდებოდი, რატომ ეკუთვნოდა ჩემს ძმას მეტი მხოლოდ იმიტომ, რომ ბიჭი იყო. ბებიას მამაჩემის გარდა ორი ქალიშვილი ჰყავდა და ამბობდა - ერთი შვილი მყავსო. მამაჩემი ახალგაზრდა გარდაიცვალა და ბებიაჩემმა ისე განიცადა, რომ თავი მოიწამლა - ერთი შვილი მყავდა და ისიც მომიკვდაო. ანუ, გოგონები, მის თვალში, შვილები არც კი იყვნენ. ცხადია, მაშინ სპეციალური ტერმინები არ ვიცოდი, ამისთვის სახელი რომ დამერქმია, მაგრამ ვგრძნობდი - ეს არ იყო სწორი და პროტესტი მიჩნდებოდა. დედის მხარეს კი ბიჭების კულტი არასოდეს ყოფილა. ხუთი შვილი ჰყავდა დედაჩემის მშობლებს - ორი ბიჭი და სამი გოგო. საახალწლოდ, თურმე, ხუთ ერთნაირ ჩანთას ერთნაირი საახალწლო ნუგბარით ავსებდნენ. განათლების მიცემის თვალსაზრისითაც შვილები არ გაურჩევიათ - ხუთივეს უმაღლესი განათლება მისცეს. როგორც ჩანს, ჩემზე იმანაც იმოქმედა, დედის და მამის მხარეს რომ ვადარებდი; ორივე მხარეს ბიჭების კულტი რომ ყოფილიყო, ვინ იცის, იქნებ მეც პატრიარქალურ-სტერეოტიპული აზროვნება მქონოდა. იმასაც ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ვერც ჩემი მშობლების ურთიერთობაში იყო ყველაფერი წესრიგში. რატომ უნდა ეკითხა დედაჩემს მამაჩემისთვის ნებართვა ბაზარში, ან მშობელთა კრებაზე წასასვლელად?! თუ უნებართვოდ წავიდოდა, ყველაფერი ოჯახური სკანდალით მთავრდებოდა. მამაჩემი ძალზე პატიოსანი ადამიანი იყო; ნათესავებსა და მეგობრებშიც ვაჟკაცი კაცის სახელი ჰქონდა და ყველა პატივს სცემდა. მიუხედავად ამისა, ახლა ვხვდები - სახლში დედას ტიპური მოძალადესავით ექცეოდა და ამას ვერც კი აცნობიერებდა.

პრობლემატიკის გაცნობიერების და უცხოური გამოცდილების გაცნობის კვალ-დაკვალ, **90-ანი წლების შუახანს** საქართველოში ქალთა მოძრაობის ახალი ეტაპი დაიწყო. **1998 წელს ფონდში „ღია საზოგადოება - საქართველო“ ამოქმედდა ქალ-თა პროგრამა. 1997 წელს „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორი-სო ცენტრის“** მიერ დაარსდა **„კავკასიის ქალთა კვლევითი და საკონსულტაციო ქსელი“,** რომელმაც **2001 წელს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ბიუროს (OSCE/ODIHR)** დაფინანსებით დაიწყო **რეგიონული პროგრამა „ქალთა უფლებების დაცვა, გენდერული თანასწორობა და ქალთა მონაწილეობა საზოგადოებაში“.** ტრენინგები ჩატარდა თერთმეტ რეგიონში (**აჭარა, შიდა ქართლი, სვანეთი, იმერეთი, სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, გურია, კახეთი, რაჭა, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი).** მონაწილეობა 1800-მდე ქალმა მიიღო. პარალელურად ჩატარდა გამოკითხვა და ჩაიწერეს უამრავი ცხოვრებისეული ისტორია. შეფასებისთვის გამოყოფილი იქნა სხვადასხვა პარამეტრები: ქალთა უფლებები, ტრეფიკინგი, ოჯახში ძალადობა, შრომითი უფლებები და სხვა. სამწუ-ხაროდ, მამაკაცებში გამოკითხვა არ ჩატარებულა. მოპოვებული მასალები **2002 წელს გამოქვეყნდა წიგნად: „ქალები: სიტუაციის პროფილირება საქართველოში“.**

საინტერესო დეტალი: ყველაზე დიდი წონა გამოკითხულებმა მიანიჭეს ზო-გად განსაზღვრებას - „ქალთა უფლებები“: 51,2%-დან - 75,4%-მდე (რეგიონების მიხედვით); ხოლო ოჯახში ძალადობას კი მხოლოდ 1,5%-დან - 25,6%-მდე. აქე-დან გამომდინარე, გამოკითხული ქალები ვერც კი აცნობიერებდნენ, რომ ოჯახში ძალადობა ქალთა უფლებების დარღვევის უმწვავესი ფორმაა.

2000 წელს ორმოცდათექვსმეტმა დამფუძნებელმა ამერიკული ორგანიზაცია **Project Harmony-ს** წინადადებით შეიქმნა **„ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძო-ლის კოალიცია“,** რომელიც ორას ადამიანს აერთიანებდა. **რუსუდან ფხაკაძის სიტყვით,** კოალიციის წევრები ხშირად ძალიან სწორ აქცენტებს აკეთებდნენ. მა-გალითად, გაჟღერდა სამინისტროებში ტრენინგების ჩატარების ინიციატივა. ეს იყო ძალზე მართებული წინადადება, ვინაიდან ხელს შეუწყობდა არასამთავრობო და სამთავრობო სექტორის ძალისხმევის კოორდინაციას გენდერული პრობლემატიკის გარშემო. მაგრამ კოალიციის წევრთა უმრავლესობას ამ თემასთან არანაირი შე-ხება არ ჰქონია; ამ მხრივ ცალკე სამუშაო იყო ჩასატარებელი. **Project Harmony-ს** პროექტის დასრულებამდე კოალიციამ საკმაოდ აქტიურად იმუშავა და ბევრი რამ გააკეთა ქალთა მოძრაობის წარმომადგენელთა ინფორმირებისთვის.

საინტერესო დეტალი: 2001 წელს აჭარის წარმომადგენლობის ოფისში, ა/ო „ჟურნალისტის ტრიბუნის“ ეგიდით, ჩატარდა პრესკონფერენცია თემაზე: „არის თუ არა საქართველოში ქალი ოჯახში ძალადობის მსხვერპლი?“. პრესკონფერენციაზე დაფიქსირებულმა მოსაზრებებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საზოგადოებას ამ პრობლემის მიმართ გამოკვეთილი პოზიცია არ ჰქონდა - არ სჯეროდათ მისი არსებობა და ყურმოთრეულ თემად თვლიდნენ.

„აღსაზრდელი“ კანონმდებელნი

XXI საუკუნის დასაწყისში, ერთი შეხედვით, ყველაფერი თითქოს წესრიგში იყო: ჯერ კიდევ **1994 წელს საქართველო მიუერთდა კონვენციას „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“(CEDAW).** გარდა ამისა, **1995 წელს** საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო **პეკინში ქალთა საკითხებზე ჩატარებულ მეოთხე მსოფლიო კონფერენციაში** და **პეკინის სამოქმედო პლატფორმას შეუერთდა.** მიუხედავად ამისა, მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა - საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობას არ ესმოდა გენდერული პრობლემატიკის არსი და ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის ფუნდამენტური მნიშვნელობა. უფრო მეტიც: ისინი არც კი აღიარებდნენ ასეთი ტიპის პრობლემების არსებობას საქართველოში. სწორედ ამიტომ, მათი შემდგომი მოქმედებები ფორმალური და ე.ი ზიანის მომტანი იყო.

საინტერესო დეტალი: 2000 წელს პრეზიდენტმა შევარდნაძემ #64 ბრძანებულებით დაამტკიცა ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრისთვის გასატარებელ ღონისძიებათა სამწლიანი სამოქმედო გეგმა. ქალთა საკონსულტაციო ცენტრ „სახლის“ მიერ ჩატარებულმა მონიტორინგმა ცხადჰყო, რომ ეს გეგმა, ფაქტობრივად, არ შესრულებულა. ამას ყოველი მიუკერძოებელი და გენდერულად მგრძნობიარე დამკვირვებლის ემპირიული გამოცდილებაც ადასტურებდა.

გასული საუკუნის მიწურულს, იუსტიციის მინისტრის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობდა ქალთა მიმართ დისკრიმინაციული ჩანაწერები. ბატონ მინისტრს აშკარად გამორჩა, რომ კანონმდებლობაში არც დისკრიმინაციისგან დამცავი ნორმები არსებობდა; პრევენციაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამასთან, კანონმდებელნი არ აღიარებდნენ ქალთა დისკრიმინაციის არსებობას და არც მიაჩნდათ საჭიროდ მისი საწინააღმდეგო ნორმების არსებობა. ამ მოსაზრებას პარლამენტართა დიდი ნაწილიც იზიარებდა.

აღნიშნული პოზიციის მაგალითია იმ პერიოდის მოწვევის **პარლამენტის საგარეო საქმეთა საპარლამენტო კომიტეტის წევრის შოთა მალაშხიას (ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები“)** პოზიცია. მასთან ინტერვიუ **2005 წელს „ქალთა გაზეთისთვის“** ჩავიწერე:

- რა ოჯახში ძალადობაზეა ლაპარაკი ქალის კულტისა და თამარის ქვეყანაში? ასეთი კანონის საჭიროება საერთოდ არ არსებობს. ერთადერთი, რაც დღეს საქართველოში წესრიგშია, არის ოჯახი და ოჯახური ურთიერთობები, რაც ტრადიციების წყალობით შევინარჩუნეთ. ჩემს საურთიერთობო წრეში ოჯახში ძალადობის ფაქტებზე არასოდეს არაფერი მსმენია. წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი. სხვა საკითხია, რომ რადგანაც

სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციებს მივუერთდით, იძულებულნი ვართ კანონმდებლობა მათ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ. დასავლეთს არ აინტერესებს რამდენად შეესაბამება მათი მოდელები ჩვენს რეალობას. ბრმა წამბაძველობა იქამდე მიგვიყვანს, რომ ოჯახში ძალადობას მართლა გავაჩენთ. ამ კანონპროექტის პრეზენტაციას უცხოელი სტუმრებიც დაესწრნენ. დავინტერესდი, შემცირდა თუ არა ძალადობა ოჯახში იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი კანონი მიიღეს, მაგრამ ვერავინ მიპასუხა. პირდაპირ გეტყვით: ამ კანონპროექტს მხარს არ დავუჭერ!

ეს სრულებითაც არ ყოფილა კონკრეტული პარლამენტარის კერძო მოსაზრება. აი, რას ამბობს ა/ო **„ქალთა ფონდი საქართველოში“ აღმასრულებელი დირექტორი ნანა ფანცულაია** აღნიშნული კანონპროექტის გარშემო შექმნილ სიტუაციაზე:

- პოლიტიკოსების მხრიდან ძალიან არასერიოზული დამოკიდებულება იყო. საპარლამენტო სხდომებზე მამაკაცი დეპუტატები დაუფარავად ქირქილებდნენ: აბა, სადაა ძალადობა, მე ცოლზე არ ვძალადობ და არც ჩემს ახლობლობაში ხდება ასეთი რამეო. ვფიქრობ, ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო კანონის მიღების საკითხში, ხელისუფლებამ უფრო საერთაშორისო ვალდებულებების გამო დათმო.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელის, „ქალთა გლობალური ფონდის“ მრჩეველის ელენე რუსეიკის აზრით, კანონპროექტის მიღება დააჩქარა **პარლამენტარ გოჩა ჩახვაძის** ოჯახში მომხდარმა ძალადობის ფაქტმა. შეგახსენებთ: ამ პარლამენტარმა ცოლს მისი მკვლელობის მცდელობაში დასდო ბრალი. სასამართლოზე ქალბატონის სრული უდანაშაულობა დამტკიცდა. საქმე დაიხურა, მაგრამ პროვოკატორი პარლამენტარის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე რატომღაც (?) არ აღიძრულა. ამ თემაზე **„ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ საკონსულტაციო ცენტრ „სახლთან“ და ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელთან ერთად პრესკონფერენცია მოაწყო.** ელენე რუსეიკი დანანებით აღნიშნავს, რომ მაშინ ამ საქმის ბოლომდე მიდევნება ვერ მოხერხდა, ვინაიდან გენდერული თანასწორობის ინსტიტუციები ჯერ ჩამოყალიბებული არ იყო.

არასამთავრობო სექტორის მიზანმიმართული მუშაობის და მასმედიაში გამოქვეყნებული მასალების კვალდაკვალ ყინული დაიძრა და დაიწყო პრობლემის სერიოზულობის გაცნობიერება. სტატისტიკური სურათის დადგენამაც უფრო რეგულარული და მოწესრიგებული სახე მიიღო.

ოჯახში ძალადობის თაობაზე შემოსული ზარების მიხედვით ვითარება **2013-2017 წ.წ.-ში** შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

2013 *– 10 169,* ***2014*** *– 12 386,* ***2015*** *– 17 895,* ***2016*** *– 19 078,* ***2017*** *– 22 478.*

რაც შეეხება ძალადობის რეგისტრირებულ ფაქტებს:

2013 *– 459,* ***2014*** *– 591,* ***2015*** *– 901,* ***2016*** *– 1 416,* ***2017*** *– 2 192.*

2012 წლის 14 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ოჯახში ძალადობის ამსახველი ციფრები **2007 წლიდან 2011 წლამდე.** აღნიშნული პერიოდში დაფიქსირდა ოჯახში ძალადობის 1025 ფაქტი. მოძალადის ამპლუაში ფიგურირებდა 887 მამაკაცი და 89 ქალი. მსხვერპლის როლში კი 904 ქალი და

117 მამაკაცი. სამწუხაროდ, არ იქნა დაკონკრეტებული მოქმედი პირების საოჯახო სტატუსი (ქმარი, ცოლი, ბებია, ბაბუა, ან შვილები), რომელიც სურათს ანალიზისთვის უფრო მოსახერხებელს გახდიდა. ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი ყველაზე ხშირად ხდებოდნენ 25-დან 44-წლამდე ქალები და 44 წელს გადაცილებული მამაკაცები. ძალადობის ფაქტების რაოდენობით პირველ ადგილზე აღმოჩნდა თბილისი (632 ფაქტი), ხოლო მეორეზე კი აჭარა (84).

2018 წელს საქართველოში ქალზე ძალადობის 5875 შემთხვევა აღირიცხა. **შინაგან საქმეთა სამინისტროს** მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, ოჯახში ძალადობის შემთხვევებიდან მსხვერპლი 5875 ქალი იყო, ხოლო კაცი - 1018. მოძალადე 5671 შემთხვევაში იყო კაცი, ხოლო 954 შემთხვევაში - ქალი.

IDFI-ს (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი) მონაცემების თანახმად, 2019 წელს 2013-თან შედარებით ოჯახში ძალადობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა (+305 შემთხევა, +10,38%). სამაგიეროდ, შსს-ს მონაცემებით, გაიზარდა მომართვიანობაც, რამაც პრობლემასთან გამკლავების შესაძლებლობები გაზარდა: 2018 წელს გამოძიება დაიწყო ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის 5621 შემთხვევაზე, 2019 წელს - 6000-ზე მეტ შემთხვევაზე.

სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან, პრობლემის მნიშვნელობის გაუცნობიერებლობასთან დაკავშირებით, ოჯახში ძალადობის სტატისტიკური სურათის დადგენა საკმაოდ გვიან დაიწყო. ფაქტების უდიდესი ნაწილი სამართალდამცავებამდე დღესაც არ მიდის, მაგრამ ციფრები მაინც შთამბეჭდავია.

„აღსაზრდელი“ საზოგადოება

„ცოლ-ქმრის ამბავი მხოლოდ საწოლმა უნდა იცოდესო“ - ბრძანებს ქართული ხალხური ანდაზა. ეს რეტროგრადიზმი ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენა-პრევენციას დღესაც აფერხებს. ხოლო ფემიციდის გახშირებული შემთხვევები და საზოგადოებრივი რეაქციის არაადეკვატურობა თვალნათლივ აჩვენებს, რამდენი „ნაგავი“ დაგროვდა „წმიდათა-წმიდა სავანეში“ კოხტად დალაგებული და ატლასგადაფარებული საწოლის ქვეშ. არასამთავრობო სექტორს და მასმედიას დიდი მუშაობა დასჭირდა, რათა საზოგადოებას ეღიარებინა, რომ ოჯახში ძალადობის სახით რეალურ მონსტრთან ჰქონდა საქმე და ამ მონსტრის წინააღმდეგ საბრძოლველად შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა იყო საჭირო. ოჯახში ძალადობაზე მორგებული სპეციალური კანონის მიღებამდე, თითო-ოროლა არასამთავრობო ორგანიზაცია ცდილობდა დახმარებოდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებს. ცხადია, შესაძლებლობის ფარგლებში. **ა/ო „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ რეგიონული კოორდინატორი ელისო ამირეჯიბი** დღესაც იხსენებს, რა საშინელი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ აღმოჩნდნენ ორგანიზაციის წევრები, როდესაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრის ორგანიზება გადაწყვიტეს: „ყველა დაგვცინოდა: რა თავშესაფარი, მანდ რომელი ქართველი ქალი მოვა, გიჟები ხომ არ ხართ, ეს პროექტი ჩავარდებაო“.

გენდერული მგრძნობელობით არც მედია მენეჯერთა უმრავლესობა გამოირჩეოდა. 2003 წელს „ქალთა გაზეთის" ერთ-ერთმა მესვეურმა უაპელაციოდ განმიცხადა: საქართველოში ოჯახში ძალადობა არ არსებობს, გრანტების მოსახვეჭი თემააო. რედაქციის დანარჩენი წევრები დიპლომატიურად დუმდნენ. მაშინ ქალბატონს მაგიდაზე დავუდე ზემოაღნიშნული წიგნი - **„ქალები: სიტუაციის პროფილირება საქართველოში"**. იმაში კი დარწმუნდა, რომ ეს თითიდან გამოწოვილი თემა არ იყო, მაგრამ მაინც ბრძანა: ქალი რომელიც ცემას მოითმენს, ნამდვილად ყველაფრის ღირსიაო. ალბათ, დაგაინტერესებთ ფაქტები, რომელთა საფუძველზე ასეთი გამაოგნებელი დასკვნა გააკეთა. აი, მხოლოდ მცირედი ნაწილი:

„ქალმა ტექნიკური სასწავლებელი ფრიადზე დაამთავრა და უმაღლესში სწავლის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ გათხოვდა და სამი შვილი გააჩინა. როდესაც ბავშვები ცოტა წამოიზარდნენ, ისევ გაუჩნდა უმაღლესში ჩაბარების სურვილი. ქმარი ძალზე ეჭვიანი გამოდგა; არ გაუშვა არც სასწავლებლად, არც სამსახურში... ქმარი მუშაობს და ხელფასი მხოლოდ 70 ლარი აქვს. ცოლი გამუდმებით ეხვეწებოდა გამიშვი სამსახურშიო, მაგრამ ქმარი წლების მანძილზე არ თანხმდებოდა. ორი წელია რაც ქალმა მაინც გაიწია და მუშაობა დაიწყო, თუმცა ქმარი ყოველდღე ეჩხუბება ამის გამო. რა ჰქვია ასეთ კაცს?"

ნ.ჯ. შიდა ქართლი

„ერთმა ქალმა გაყრა რომ მოინდომა, ქმარმა სცემა უსაშველოდ. როდესაც მასთან მივედი, არ გამიკარა - ქმარმა რომ გაიგოს ამის შესახებ მოვყევი, მომკლავსო".

ლ.ლ. კახეთი

„ჩემი მეგობარი გოგონა მეზობელ სოფელში მცხოვრებმა ბიჭმა გაიტაცა. მის სახლში მისვლის დღიდან თავს დამცირებულად გრძნობს. მეუღლე დათვრება, ზედ აფურთხებს, შიშველს დააყენებს და სადისტივით აწამებს. ამის შემხედვარე დედამთილი კი საწოლზე სიამოვნებით კოტრიალობს. ბიჭი შეეძინა რომ ბავშვიანად მშობლებთან დაბრუნდა. წელიწადი და ორი თვე თავგანებებულები იყვნენ, მაგრამ დედამთილმა და ქმარმა ისევ წაიყვანეს. ორი კვირა კარგად ექცეოდნენ. ..ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა და ბავშვიანად ცალკე მიაგდეს ორი თეთვშისა და ჭიქის ანაბარა...უფულობით სასამართლომდეც ვერ მიდის. ბავშვის უმამოდ გაზრდაც არ უნდა. ქმარი კი დედამისს უჯერებს და ცოლის არ ესმის".

გ.რ. კახეთი

„ჩემს მეგობარ ქალს მეუღლე ხშირად სცემდა. მთელი ცხოვრება გაუმწარა. ბოლოს ჩემი მეგობარი ამის გამო დაინვალიდდა და ქმარმა მიატოვა".

ი.გ. სამეგრელო

„მოვიყვან მაგალითს ჩემს ახლობელ ქალზე. იგი სამი შვილის დედაა. მეუღლე გარდაეცვალა. დედამთილი არ უშვებს სამსახურში - ქალაქში ხალხი რას იტყვის, ქვრივი ქალი ეზოდან როგორ უნდა გავიდესო?!".

ი.ჯ. გურია

„ერთ ჩემს ახლობელს ქმარი ეჭვიანობის ნიადაგზე გაშორდა. ორი შვილი დააატოვებინეს. საზოგადოებამაც გარიყა. ამ ტრაგედიის გამო ქალი ფსიქიკურად დაავადდა“.

ნ.ვ. გურია

„კაცმა მეათე კლასიდან მოიტაცა გოგონა, მაგრამ მშობლებმა არ მოაბრუნეს და დარჩა. შეეძინათ ერთი შვილი. ქმარი ლოთობდა, ქურდობდა, სცემდა ცოლს. ქალმა ვერ გაუძლო და მშობლებთან დაბრუნდა. ქმარმა იეჭვიანა - არ გამცილდესო. მივიდა მასთან სახლში ავტომატით და რვა ტყვიით გამოასალმა სიცოცხლეს. სასამართლოზე თქვა - მიყვარდა და იმიტომ მოვკალი. თუ ჩემი არ იქნება, ვერც სხვისი გახდებაო“.

დ.ვ. გურია

2000 წელს ორგანიზაციამ „ქალები დემოკრატიისთვის“ თბილისსა და იმერეთში სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა. რესპონდენტებს დაუსვეს შეკითხვა: „მიგაჩნიათ თუ არა ოჯახში ძალადობა (ცემა, შეურაცხყოფა, გინება, მუქარა, საზოგადოებისგან იზოლაცია, ფინანსური კონტროლი) სოციალურ პრობლემად?“. გამოკითხულთა 80%-მა უპასუხა: „არ ვიცი“. 17% - „დიახ“, 3% - „არა“. იმ პერიოდისთვის საზოგადოების დიდ ნაწილს ჯერაც არ ჰქონდა გაცნობიერებული პრობლემის არსი და, შესაბამისად, არც მის მიმართ დამოკიდებულება ჰქონდა განსაზღვრული. როგორც იმერეთში, ისე თბილისში გამოკითხულთა უმრავლესობა ცოლის მხრიდან მოთმენის მომხრე აღმოჩნდა. შესაბამისად, ქმარზე მომჩივან ცოლს უფრო გაამტყუნებდნენ, ვიდრე მხარში ამოუდგებოდნენ. ასეთ სიტუაციაში აღლუმი მიჰყავდა და, ხშირად, დღესაც მიჰყავს სტიგმით გაჯერებულ მარადიულ კითხვას: „რას იტყვის ხალხი?..“

საინტერესო დეტალი: იმერეთში გამოკითხულებმა განაცხადეს: თუკი ქმარი ცოლს სცემს, ამაში თავად ქალია დამნაშავეო. პასუხებში გაიუღერა ცნობილმა ქართულმა ანდაზამ: „კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამს!“.

კვლევებში გამოიკვეთა სამი ძირითადი მომენტი: 1) ქალები ძალადობად მხოლოდ ცემას აღიქვამდნენ, ფსიქოლოგიური ძალადობა კი ცოლ-ქმრული ურთიერთობის ჩვეულებრივ ნაწილად მიაჩნდათ. 2) ქმრის მხრიდან სექსუალური ძალადობას გაუპატიურებად არ თვლიდნენ. 3) ქალის მხრიდან ყველაზე კეთილგონივრულ საქციელად მოთმენა დაასახელეს (იგივე გააკეთეს იმავე პერიოდში თბილისში გამოკითხვის მონაწილე უფროსკლასელმა გოგონებმა).

პარალელი: წიგნის ავტორის მიერ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ჩატარებულ გამოკვლევაშიც საინტერესო შედეგები გამოიკვეთა. გამოკითხულ მამაკაცთა 83, 33%-მა და ქალთა 39,34%-მა ოჯახში გადამწყვეტი სიტყვა მამაკაცს მიანიჭა. ამ საკითხში თანასწორობის მომხრე აღმოჩნდა მამაკაცთა 19,30% და ქალთა 34,5%. დამთმობლობა ორივე მეუღლისთვის თანაბარ ღირსებად მიიჩნია მამაკაცთა 50%-მა და ქალთა 72,13%-მა. როგორც ვხედავთ, ამ პერიოდში

მამაკაცთა უფლებრივი პრიორიტეტი საკმაოდ თვალშისაცემია; თუმცა, ქალებში , მეტ-ნაკლებად, უკვე იგრძნობა გარკვეული „რყევები“

წიგნში „ქალები: სიტუაციის პროფილირება საქართველოში“ **ფემინისტი-ჟურნალისტი გალინა პეტრიაშვილი** თავის დასკვნით ანგარიშში აღნიშნავს:

- ქართველი ქალი ზოგადად აღტაცებული არ არის ტრადიციებით, რომლებიც მას უარეს შემთხვევაში ნივთად, ხოლო უკეთესში - მამაკაცის უმცროს პარტნიორად აქცევენ; მაგრამ იშვიათად აპროტესტებს ამას, ვინაიდან იცის - პროტესტით დააზარალებს ახლობლებს, რომლებიც ჩვეული ტრადიციების წიაღში თავს მშვიდად და კომფორტულად გრძნობენ. აი, რა თქვა ტრენინგზე ერთმა გოგონამ: „არასოდეს მივცემ თავს უფლებას ვიყო თავისუფალი, იმიტომ რომ ვიცი - ამით გულს ვატკენ ჩემს მშობლებს...

თქვენი მონა-მორჩილის მორიდებული აზრით, ახლობლების გარკვეული ნაწილი, შესაძლოა, სინამდვილეში, სულაც არ გრძნობდა თავს მშვიდად და კომფორტულად. ტრადიციების მიყოლა მათ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ კოგნიტური დისონანსით გაჯერებული კონფორმიზმი იყო.

რა დასკვნების გაკეთება შეიძლება წარმოდგენილი მასალებიდან?

XXI საუკუნის დასაწყისში საზოგადოებას არ ჰქონდა გაცნობიერებული ფსიქოლოგიური ძალადობის არსი და მისი დამანგრეველი შედეგები. დაცინვა, პროფესიული საქმიანობის აკრძალვა, ჩაცმულობის და კონტაქტების კონტროლი მამაკაცის ბუნებრივ უფლებად მიიჩნეოდა. ქალს ლამის რომ წართმეული ჰქონდა პიროვნულობა, ხოლო ღირსების დაცვა და მოძალადე ქმარზე ჩივილი შეუფერებელ საქციელად ითვლებოდა.

მანანა მელიქიშვილი - ერთი მრავალთაგანს შორის

2000 წელს გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი აქციის შემაჯამებელ კონფერენციაზე **„გენდერის განვითარების ასოციაციის“ ხელმძღვანელი ნანი ჭანიშვილი** გამოვიდა მოხსენებით: „გენდერული ძალადობა გარდამავალ პერიოდში“, რომელშიც ხაზგასმული იქნა ოჯახში ძალადობის ზრდის ტენდენცია სოციალური კრიზისისა და უმუშევრობის პირობებში. უმუშევრობით და საკუთარი უძლურებით გამწარებული მამაკაცები ჯავრს ცოლებზე იყრიდნენ. ძალადობის ტენდენციის გაძლიერებამ აქტუალური გახადა თავშესაფრების სისტემის ორგანიზება, მაგრამ იმ დროს ეს უფრო უტოპიას წაგავდა. **პიდა რიპლიმ (WomenAid International)** აღნიშნა, რომ გენდერული ძალადობის გარშემო სიჩუმის კედლის გარღვევა ამ პერიოდისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა იყო.

აქციის განმავლობაში ორჯერ იქნა ნაჩვენები **დოკუმენტური ფილმი „მანანა“. ავტორმა ლია ჯაყელმა (ა/ო „სტუდიომობილის - აქცენტი მოძრაობაზე“ ხელმძღვანელი),** ძუნწი, მაგრამ მეტყველი შტრიხებით ასახა მაღალმთიანი სოფ-

ლის მკვიდრის **მანანა მელიქიშვილის** ისტორია. მისი ცხოვრება გენდერული წნეხის ქვეშ მოქცეული ადამიანის ძალზე ტიპური ნიმუშია. მანანა მელიქიშვილი, გარკვეული გაგებით, ქალი-სიმბოლოა, რომლის მიღმა ათასობით სხვა ქალის სახე ჩანს. მას ესმის საკუთარი პრობლემის არსი, ხედავს აკიდებული ტვირთის არათანაზომიერებას, მაგრამ ხვედრს მორჩილად თავს უხრის, რამეთუ „თუ არ დათმობ, მაშინ ოჯახიც უნდა დათმო“ და „ქმარგაყრილად ყოფნას, რომ არ გათხოვდე, ის სჯობია“.

„ქალი სატანჯველად არის გაჩენილი. ყოველთვის ასე იყო, არის და იქნება!“ - ამბობს მანანა მელიქიშვილი, რითაც პრაქტიკულად აღიარებს მასზე განხორციელებული ძალადობის კანონიერებას.

გმირის მონოლოგი საშინაო საქმეების ფონზე მიმდინარეობს: ქალი არემონტებს ღობეს, ჩეხავს შეშას, აშენებს ქვის ზღუდეს, აპურებს გოჭებს, ალაგებს, საჭმელს აკეთებს... მოკლედ, მკითხველს აღარ შევაწყენთ. მეუღლე ფილმში და, როგორც გმირის მონოლოგიდან ირკვევა, მის ცხოვრებაშიც, მხოლოდ სიმბოლურად ფიგურირებს. მაინც სად არის? ვინ იცის... ქეიფობს თუ ქალებში „გულაობს“ - ვარიანტები უამრავია. „აბა მოინდომოს - ათი კაცის საქმეს გააკეთებს, მაგრამ არ უნდა და რა ვქნა? “ - და უსაქმური ქმრისთვის ნამუსის ამოსაწმენდად ქალი მას „სასწავლებლად“ აგზავნის. ვიღაც ხომ დაიჯერებს! გაჭიანურებული უშვილობა, ცხადია, მანანას დაბრალდა, მერე ზედიზედ ორი ქალიშვილის გაჩენა, რაც ასევე დიდ ნერვიულობად დაუჯდა და ბოლოს კი დიდი ხნის ნანატრი „ღვთის წყალობა“ - ძეობა! აბა როგორ, ბიჭი ხომ გვარის გამგრძელებელია, მასთან გოგო რა სახსენებელია! საინტერესოა, როგორ დაითანხმა **ლია ჯაყელმა** თავისი გმირი კამერის წინ ასე გულახდილად საუბარზე? შესაძლოა, მანანა მელიქიშვილის მოქალაქეობრივი გამბედაობა მრავალი წლის მანძილზე წვეთ-წვეთად დაგროვილმა ტკივილმა და ქვეცნობიერმა პროტესტმა განაპირობა.

ფილმმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. დისკუსიის პროცესში წარმოჩნდა გენდერული პრობლემატიკის გაცნობიერების ხარვეზები თავად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებში. საინტერესოა, რომ კონფერენციის ზოგიერთმა მონაწილემ მანანა მელიქიშვილის ცხოვრება კერძო შემთხვევად, ხოლო მისი განზოგადება კი გადაჭარბებად მიიჩნია. მანანა მელიქიშვილის მაგალითი მართლაც აქცენტირებულად რელიეფურია, მაგრამ სწორედ ესაა სიმბოლოს დანიშნულება; მას ყოველთვის ახასიათებს სპეციფიკური დეტალების მაქსიმალური მოცემულობა, რაც პრობლემატიკის უკეთ დანახვა-გააზრებას ემსახურება. ფილმზე მომუშავე ჯგუფის მიერ გაწეული შრომა უდიდეს პატივისცემას იმსახურებს.

საინტერესო დეტალი: კონფერენციაზე აღინიშნა ქალთა მკვლელობების გახშირება დიდ ქალაქებში. ხელისუფლებას ამ პრობლემისთვის მაშინ მეტი ყურადღება რომ დაეთმო, შესაძლოა, ფემიციდის კუთხით ახლა ბევრად უკეთესი სიტუაცია გვქონოდა.

კარგი „ცხენი“ „მათრახს“ არ მოითმენს!

სტიგმით შეპყრობილ საზოგადოებას ღირსეული ქალის მოვალეობად მიაჩნდა მორალური და ფიზიკური ტკივილის უჩუმრად მოთმენა და ოჯახის შენარჩუნება. ამ დაუწერელი კანონის დამრღვევი ქალი სერიოზული ბულინგის სამიზნე ხდებოდა. სამწუხაროდ, ასეთი დამოკიდებულება დღემდეა შენარჩუნებული.

ა/ო „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ იურისტი მანანა ფურცხვანიძე ოჯახში ძალადობის საკითხებზე 2003 წლიდან მუშაობს:

- **2006 წლის დასაწყისში** მქონდა სწორედ ასეთი შემთხვევა - ცოლი ქმრის მხრიდან დამცირებას და ცემა-ტყეპას ოჯახის შენარჩუნების „საპატიო“ მიზეზით იტანდა. ამ ქალბატონის ისტორიას წლების განმავლობაში ვადევნებდით თვალ-ყურს. ქმარი ისე სცემდა, რომ სულ ასისხლიანებდა. ოჯახში დამკვიდრებული შიშის ატმოსფერო ანგრევდა მისი შვილების ჯანმრთელობას. ბიჭები მამისგან აბსოლუტურად დათრგუნულნი და დამორჩილებულნი იყვნენ. სტრესული მდგომარეობის ფონზე 13 წლის უფროსი ვაჟი ენურეზით დაავადდა. ბებია (ანუ დედის დედა) ქალიშვილს მაინც მოთმინებას უქადაგებდა. გაითვალისწინეთ: თავადაც ქმრისგან ძალადობის მსხვერპლი იყო. სამწუხაროდ, ზოგიერთი ქალი ასე მსჯელობს: მე თუ ვითმენდი, ეგ რით არის ჩემზე უკეთესი, რომ მოთმენა არ უნდა? ბოლოს და ბოლოს შვილები ჰყავს და უმამოდ როგორ უნდა დატოვოს? ასე ფიქრობდა ამ ქალის დედაც. თანაც სიძე არაჩვეულებრივ ადამიანად მიაჩნდა: აქაოდა სამსახურშიც და ძმაკაცებშიც დაფასებული კაცური კაცი და კარგი მსმელიაო. შევეკითხე: თქვენი ქალიშვილი ერთხელ მაინც თუ გყავთ ნანახი ნაცემი-მეთქი? კიო, ერთხელ ვნახეო. მერე და თქვენთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა-მეთქი? ქალი იმ დროს თავშესაფარში გვყავდა გადაყვანილი და დედა გამწარებული ეძებდა; ამიტომ ისე დაიჭირა თავი, ვითომ ნანობდა თავის ადრინ-დელ პოზიციას. მერე კი აღმოჩნდა, რომ სულაც არაფერს ნანობდა - აიძულა, რომ ისევ ქმარს შერიგებოდა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქალს არ გაუჭირდებოდა დამოუკიდებლად ცხოვრება, ვინაიდან საკუთარი ბინაც ჰქონდა, აგრეთვე კარგი სამსახურიც და შესაბამისი შემოსავალიც. ქმარი ძალოვანი სტრუქტურის მუშაკი იყო. პირადად არ შევხვედრივარ, მაგრამ სატელეფონო საუბარი მქონდა, ვინაიდან მასზე სისხლისსამართლებრივი დევნა დავიწყეთ. ქალბატონი თავშესაფარში რომ გადავიყვანეთ, ოჯახში ძალადობის კანონპროექტზე ჯერ მხოლოდ მსჯელობდნენ, ამიტომ პოლიცია დიდად ვერ ეხმარებოდა. საბედნიეროდ, ქალბატონი ხშირად დადიოდა საზღვარგარეთ მივლინებებში. ერთ-ერთი ასეთი მივლინების დროს დარჩა და ასე დააღწია თავი ქმრისგან ძალადობას.

თამარ დადიანმა („საქართველოს უფლებადამცველთა კავშირის“ ლიდერი) 2002 წელს მოცემულ კომენტარში აღნიშნა, რომ კატასტროფულად იმატა ისეთი

ოჯახების რიცხვმა, სადაც ცოლის ცემა-ტყეპა, თმით თრევა და დასისხლიანება ჩვეულებრივ ამბად იყო ქცეული:

- ჩვენამდე ასეთი საქმეები მხოლოდ მაშინ აღწევს, როდესაც მსხვერპლის სიკვდილ-სიცოცხლის დილემა დგება. მოგიყვებით ერთ ოჯახზე, სადაც ცემა-ტყეპა წლების განმავლობაში გრძელდებოდა. არანორმალურმა ატმოსფერომ ცხოვრება დაუსახიჩრა ქალს და გზას ააცდინა ბავშვები. სანამ მომავალ ცოლს შეხვდებოდა, ქმარმა თოთხმეტი წელი ციხეში გაატარა და კანონიერ ქურდად ითვლებოდა. გოგონა კი მხოლოდ 17-18 წლისა იყო. მამაკაცი ყველანაირად შეეცადა მის მოხიბვლას, რაშიც „ქურდული რომანტიკა“ ძალიან დაეხმარა. გოგონას გაგიჟებით შეუყვარდა და სიხარულით დათანხმდა ცოლობაზე. ქმარს ხშირად მოჰყავდა სახლში მეგობრები და მათ შორის „დაქალებიც“. ცოლი კი მათ დიდებულ სუფრას უშლიდა. ერთხელაც „კეთილისმსურველმა“ ჩააწვეთა: ეგ დედაკაცები დაქალები კი არა, მაგის კახპები არიანო. როგორც ჩანს, არც ტყუოდა. გოგონა, რომელიც ამ დროს უკვე ფეხმძიმედ იყო, იმდენად გამწარდა, რომ „დაქალები“ სახლიდან კინწისკვრით გაყარა და მისი ტანჯვა-წამებაც აქედან დაიწყო. ქმარი გაცოფდა: ხმის ამოღება როგორ გაბედეო და ქალი ისე სცემა, რომ სულ დაასისხლიანა. ამის შემდეგ სულ აიწყვიტა - ყოველდღე ფეხქვეშ ჰყავდა გაგებული. საბედნიეროდ, ნარკოტიკებისთვის დააპატიმრეს (ყველა სიკეთესთან ერთად ნარკომანიც გამოდგა), თორემ ბავშვი აღარ შერჩებოდა. როცა ქალმა ციხეში შეატყობინა - ბიჭი გეყოლაო, ქმარმა შემოუთვალა - ეგ რაში მაინტერესებს, ფული გამომიგზავნე, დიდი თანხა წავაგეო. ქალმა ჯერ სამკაულები გაყიდა, მერე დანარჩენი ძვირფასეულობა... მოკლედ ყველაფერი „შეაჭამა“. როდესაც კაცი ციხიდან გამოვიდა, მოვლენები ძველი სცენარით წარიმართა - ცემა-ტყეპას ხვევნა-კოცნა ენაცვლებოდა და ხვევნა-კოცნას - ცემა-ტყეპა. ამასობაში კიდევ ეყოლათ ქალ-ვაჟი და „ეგზეკუციები“ ბავშვების თვალწინ გაგრძელდა. ხანდახან, გამწარებული, პოლიციაშიც გაქცეულა, მაგრამ იქაც გაამტყუნეს - აბა რა გეგონა, ქურდს და ნარკომანს რომ მიყვებოდიო. ამასობაში უფროსი ბიჭი წამოიზარდა - უაღრესად გაბოროტებული და აგრესიული ყმაწვილი. სკოლაში დანას ატარებდა და მასავით ავარდნილი ბიჭების ხროვა ჩამოაყალიბა. სხვათა შორის, ყველა ძალადობრივი ოჯახიდან იყო. ბიჭს მამის მიმართ გაორებული განცდა ჰქონდა: ერთი მხრივ - დედის გამო სიძულვილი, მეორე მხრივ - „ქურდული რომანტიკით“ აღტაცება. ეს გაორება, როგორც ჩანს, კიდევ უფრო აბოროტებდა. მისი ძმაკაცები კი მამამისის „ფანები“ იყვნენ - დიახაც, ყველა ქალი წელში უნდა გაღუნოო. რამდენჯერ ვიღაც დაუჭრიათ. ერთხელაც, მორიგი ჩხუბის დროს ადამიანის დაჭრის გამო, ქალმა სახლი გაყიდა პოლიციაში საქმე რომ „მოეგვარებინა“ და ოჯახი ქუჩაში დარჩა. მაგრამ რად გინდა? ბიჭმა ისევ ვიღაც დაჭრა და ციხეში ამოყო თავი. გოგონას ამბავს არ იკითხავთ? იმდენად მობეზრდა ყოველდღე აყალ-მაყალი და ნაცემი დედის ყურება, რომ 15-16 წლის ასაკში შეყვარებულთან ერთად გაიპარა. ძმამ მიაგნო, ორივე საფუძვლიანად „დაამუავა“ და გოგონა დააბრუნა. არც სასიძოს ოჯახს უნდოდა ასეთ ხალხთან დამოყვრება. გოგონას ამის შემდეგ ძალიან აერია ცხოვრება. არც უმცროსი ძმა გადარჩა ოჯახური ატმოსფეროს ზეგავლენას. დანამ-

დვილებით ვიცი, რომ ისიც დანით დადის.

ოჯახში ძალადობის პრობლემაზე მუშაობისას არასამთავრობო სექტორის მოღვაწენი კიდევ ერთ, არანაკლებ ხელისშემშლელ ბარიერს წააწყდნენ - ეს იყო ძალადობის მსხვერპლის წინააღმდეგობრივი და არათანმიმდევრულო საქციელი. ქალები ჯერ არ იყვნენ მზად საკუთარი უფლებების დასაცავად, ანუ თავადაც „აღ-საზრდელები“ იყვნენ.

პარალელი: წიგნის ავტორის მიერ 80-იან წლებში სადისერტაციო ნაშრომის-თვის ჩატარებულ გამოკვლევაშიც, ქალთა 62,9%-მა ყველაზე შესაფერ საქციე-ლად ქმრის საქციელთან შეგუება და ოჯახის შენარჩუნება მიიჩნია; საკუთარი ღირ-სებისთვის ბრძოლის და განქორწინების მომხრე მხოლოდ 8,2% აღმოჩნდა.

2002 წელს სახალხო დამცველის ოფისში გამართულ მორიგ პრესკონფერენ-ციაზე, **საქართველოს შსს განყოფილების ადმინისტრაციული პოლიციის უფრო-სის მოადგილის ჰამლეტ ლოლაშვილის** სიტყვით, მსხვერპლის არამყარი პოზიცია პოლიციელებს ხშირად საქმის ბოლომდე მიყვანის საშუალებას არ აძლევდა:

- როდესაც ასეთი ტიპის განცხადება შემოდის, ვალდებულნი ვართ მეუღლეს დავაწერინოთ ახსნა-განმარტების ბარათი, ჩავუტაროთ საფუძვლიანი საუბარი და ოჯახი ნახევარ წლამდე კონტროლზე ავიყვანოთ. თუ ფაქტის რეციდივი მოხდა, ცხადია, დამნაშავე პასუხს აგებს. მაგრამ ცოლ-ქმარი, როგორც წესი, რიგდება და იგივე ქალი გუშინ თვალცრემლიანი რომ გეხვეწებოდა - შენი ჭირიმე, მიშვე-ლეო, ქმარზე გაბრაზება რომ გადაუვლის, მზადაა თვალები დაგთხაროს - რას გადაგვეკიდე, ხომ ხედავ, წყნარად იქცევა, თავი დაგვანებეო. გაიხსენეთ რებეკა „კუკარაჩადან“ - სწორედ ანალოგიური სიტუაციაა. კიდევ ამიტომაა, რომ პოლიცი-ის მუშაკებს დიდად გულზე არ ეხატებათ ასეთი საქმეები.

ჩნდება ლოგიკური კითხვა: რა დგას ძალადობის მსხვერპლთა, ერთი შეხედ-ვით, პარადოქსული საქციელის მიღმა?

უფლებადამცველი ელისო ამირეჯიბი ამას ოჯახის დანარჩენი წევრებისა და საზოგადოებრივი რეაქციის წინაშე შიშებით ხსნის:

- წარმოიდგინეთ, ქალი ცხოვრობს რეგიონში დედამთილ-მამამთილთან ერ-თად. ქმარმა სცემა. ქალმა პოლიცია გამოიძახა და კაცს შემაკავებელი ორდერი გა-მოუწერეს. როგორ გგონიათ, რა დღეში ჩააგდებს ამ ქალს ოჯახი და მეზობლობა? ამდენად, არაა გასაკვირი, რომ ქალები ხშირად უკან იხევენ და ცხელ გულზე გამოძახებულ პოლიციასთან აღარ თანამშრომლობენ. მეტ-ნაკლებად, ასე ხდება ყველგან; ყველაზე მოწინავე ქვეყნებიც კი არ არის გამონაკლისი - მათაც თითქმის იგივე პრობლემები აქვთ; უბრალოდ - უფრო შერბილებული ფორმით. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია გენდერულ პრობ-ლემებს ამძაფრებს. ამ საკითხში სახელმწიფო პოლიტიკაა აუცილებელი, რათა მსხვერპლმა თავი იმედიანად იგრძნოს და აღარ შეშინდეს.

შეგახსენებთ: თავის დროზე ვახტანგ VI-მ ოჯახში ძალადობის პრობლემაზე რე-აგირება სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა.

ქალთა საკონსულტაციო ცენტრ „სახლის“ მიერ **2002 წელს** ჩატარებულ გა-მოკითხვაში, კითხვაზე: ვის მიმართავენ საქართველოში ძალადობრივი ოჯახური

კონფლიქტის დროს, ქალთა 88,6%-მა და მამაკაცთა 77,3%-მა ნაცნობ-მეგობრებზე მიუთითა. პოლიცია, ორივე შემთხვევაში, მხოლოდ 15%-მა დაასახელა. **ფსიქოლოგ რუსუდან ფხაკაძის** განმარტებით საჩივრის შეტანისას ქალი, ერთი მხრივ, წინ უნდა აღუდგეს მოძალადე ქმარს და საზოგადოებრივ აზრს, ხოლო მეორე მხრივ - საკუთარი სისუსტე და შიშებიც დაძლიოს. ამას დიდი პიროვნული სიმყარე და ნებისყოფა სჭირდება, რასაც აღზრდის ტრადიციული მოდელი ქალში მიზანმიმართულად ახშობს. ცხადია, გრძნობათა ინერციაც გასათვალიწინებელია. არცთუ იშვიათად, ქალს მოძალადე ქმარი ჯერ კიდევ უყვარს და ვერ იმეტებს. ესეც არის მსხვერპლის, ერთი შეხედვით, პარადოქსული ქცევის მიზეზი. ასე იკვრება მანკიერი წრე: ჯერ ჩხუბი, ცემა-ტყეპა, გაბუტვა; ცოტა ხანში - მამაკაცის „სინანულის“ და ხვეწნა-მუდარის შემდეგ შერიგება, მერე - ე.წ. „თაფლობის თვე“ და... ყველაფერი თავიდან იწყება. საკვანძო დეტალები ყველა შემთხვევაში იდენტურია.

2017 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ჩაატარა კვლევა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე. ქვეყნის მასშტაბით 15-64 წლის 6006 ქალი და 15-64 წლის 1601 კაცი იქნა გამოკითხული. მიღებული შედეგების თანახმად, შვიდიდან ერთი ქალი ცხოვრებაში ერთხელ მაინც გამხდარა ძალადობის მსხვერპლი მეუღლის, ან პარტნიორის მხრიდან. თუკი ამ მონაცემებს პოლიციაში შემოსული ზარების რაოდენობას შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ, რიგ შემთხვევებში, საქმე ზარამდე არც მიდის. ჩნდება კითხვა: ეს მსხვერპლის და მისი ოჯახის „დამსახურებაა“, თუ პოლიციის მიმართ უნდობლობა?

„აღსაზრდელი“ პოლიცია

წლების მანძილზე ძალადობის მსხვერპლთა მიმართ სამართალდამცავთა დამოკიდებულება ფრიად არაკორექტული იყო. უკეთეს შემთხვევაში - წაყრუება, ხოლო უარესში - მსხვერპლის დაცინვა-გამტყუნება. ეს გასაკვირი არც არის, ვინაიდან ოჯახში ძალადობის მიმართ ადეკვატური პოზიციის შემუშავება **ცივილიზებული დიდი ბრიტანეთის** პოლიციასაც კი გაუჭირდა. **ლონდონში** მხოლოდ **XX საუკუნის მიწურულს** ჩატარდა პოლიციელთა ტრენინგი ოჯახში ძალადობის სიტუაციებისთვის, ხოლო პირველი თავშესაფრები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, ქალთა ორგანიზაციების მიერ მხოლოდ **გასული საუკუნის 70-იან წლებში** გაიხსნა. რაღა ითქმის ნახევრად ქურდული, ნახევრად ფეოდალური მენტალიტეტის საქართველოზე, რომელიც, ამასთან, ეკონომიკური კრიზისით და სისხლიანი კონფლიქტებით იყო გასრესილი?!

მეორე მხრივ, როგორც უკვე აღინიშნა, საზოგადოება კარგა ხნის მანძილზე ჯეროვნად ვერ აფასებდა ოჯახში ძალადობის სოციალურად დამანგრეველ გავლენას. ხშირად იმასაც ვერ ხვდებოდა, რომ ძალადობასთან ჰქონდა საქმე, ან საერთოდ არ აღიარებდა მის არსებობას. დღესაც უამრავი ადამიანი გულწრფელად დარწმუნებულია, რომ ძალადობა მხოლოდ ცემა-ტყეპაა. მაშინაც კი, როდესაც საზოგადოება ძალადობის ფაქტს თავის სახელს უწოდებს, ხშირად მაინც არ იწონებს სამართალდამცავთა ჩარევას და მოძალადის დაცვას ცდილობს: ასე იმიტომ მოიქ-

ცა, რომ ცოლი „არ უჯერებდა“, ჭირვეულობდა, მოთმინებიდან გამოიყვანა და ა.შ. სტიგმური სტერეოტიპი - „კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყავს“ საქართველოში დღესაც ცოცხალია და მისი ამოძირკვა არც ისე იოლი საქმეა. პოლიციაც საზოგადოების ნაწილია და ხშირად სავსებით იზიარებს ასეთ წარმოდგენებს.

საინტერესო დეტალი: ცალკე საკითხია, რომ ადრე სამართალდამცავებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვას არც კანონი ავალდებულებდა. ეს სსრკ-ს სამართლებრივი გარემოს ინერცია იყო. საბჭოთა კანონმდებლობით ადამიანის ცემა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (ქუჩა, ეზო, დაწესებულება და სხვა) კვალიფიცირდებოდა როგორც ბოროტი ხულიგნობა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ხოლო იგივე დანაშაულის ჩადენა ბინაში, საკუთარი მეუღლის მიმართ, რატომღაც ხულიგნობად აღარ ფასდებოდა, იმის მიუხედავად, რომ, ორივე შემთხვევაში, დგებოდა იდენტური შედეგი - ნაცემი ადამიანი.

ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო კანონის მიღებამ სიტუაციაზე ზემოქმედების მექანიზმი გააჩინა. სამაგიეროდ, დარჩა კიდევ უფრო ძნელად მოსაშორებელი ბარიერი - პატრიარქალური სტიგმა სამართალდამცავ ორგანოებში. ამიტომ პოლიციაში მიმართვისას მსხვერპლი ხშირად არაადეკვატურ რეაქციას იმკიდა.

35 წლის მარინა ჟ-სთან საუბარი 2002 წელს ჩავიწერე. ორი შვილის დედა წლების განმავლობაში ითმენდა ქმრისგან გინებას და ცემას:

- თხუთმეტი წელია ცოლ-ქმარი ვართ. სიყვარულით დავქორწინდით, მაგრამ მოგეხსენებათ, გაჭირვება გრძნობებს ნელ-ნელა წყალს უყენებს. რამდენიმე წელია უმუშევარია. თავიდან რაღაცას ხლაფორთობდა, მერე კი ფარ-ხმალი დაყარა და სმა დაიწყო. ბოლოს კუჭის წყლული დაემართა. მაგისი წამლების ფული მძიმე ტვირთად გვაწევს. ისევ მე ვდგავარ გარეთ, ვვაჭრობ და სულს მაგით ვიბრუნებთ. ოჯახი ჩემს კისერზეა. ამის შემხედვარე უფრო ბოროტდება. როგორია - მოხვალ სახლში და კიდევ ლანძღვა-გინება და მუჯლუგუნები უნდა ითმინო? ერთხელ ძალიან მეტი მოუვიდა და პოლიციაში გავიქეცი. მერე რად გინდა?! ინსპექტორმა გამოიძახა და „დაარიგა“: ცუდად გიცემია, აქამდე რომ მოაღწიაო. სახლში რომ დაბრუნდა მასხარად ამიგდო: აბა რა გეგონა, დამიჭერდნენო?!

აი კიდევ იმავე პერიოდში ჩაწერილი კომენტარი **27 წლის თიკა მ-სთან**:

- არ მუშაობს და აღმა-დაღმა დადის. მე ერთ კვირას საპარიკმახეროში ვმუშაობ, ერთ კვირას - კაფეში. წელებზე ფეხს ვიდგამ, თეთრს თეთრზე ვაწებებ, შვილს ხეირიანად ვერც ვნახულობ - დედაჩემი უვლის. ქმარი ხანდახან შემოივლის, საჭმელს შეჭამს, მეჩხუბება და წავა. ხან ერთ ძმაკაცთანაა, ხან მეორესთან, რომ დარჩეს, ხომ რაღაც მაინც უნდა გააკეთოს და მგონი ამას გაურბის. ჩვენი ქორწინება რეგისტრირებული არ არის და ხელზე ეს აქვს დახვეული. პრაქტიკულად, ერთად აღარც ვწევართ. ბოლოს დროს ხელებიც წაიგრძელა. ამასწინათ კი თვალი ჩამილურჯა. პოლიციაში მითხრეს - განცხადებას ნუ დაწერ, ისე დაველაპარაკებითო. დაელაპარაკნენ, ცოტა ხნით დაიკარგა, მაგრამ ამას წინათ გამოჩნდა. ისე იბღვირება, რომ ცემაზე უკან ისევ არ დაიხევს. არ ვიცი, პოლიციაში რას ელაპარაკნენ, მაგრამ, აშკარად, დიდად არ შეშინებულა...

კიდევ უფრო დაუჯერებელ ფაქტებს იხსენებს **ადვოკატი ეკა იობაძე (შპს „ახალი**

იურიდიული ჯგუფი"), რომელიც **ქალთა საკონსულტაციო ცენტრში „სახლი"** მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა:

- მქონდა პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა: ქმრის საყვარელი გართობა იყო ცოლს აივნიდან ფეხით დაკიდება. მორიგი „გართობის" დროს ქალის კივილით შეწუხებულმა მეზობელმა პოლიცია გამოიძახა. აივნიდან ფეხით გადმოკიდებულმა ქალმა საკუთარი თვალით დაინახა ეზოში შემოსული პოლიციელი უკან როგორ გაბრუნდა. თურმე გაიგო, რომ კონფლიქტი ოჯახის წევრებს შორის იყო და უთქვამს: ეს ოჯახის საქმეა და ჩვენ ვერ ჩავერევითო. მსგავსი ისტორიები საკმაოდ მრავლად გვქონდა, ვინაიდან პოლიციელებს მიაჩნდათ, რომ ოჯახური კონფლიქტები მათ კომპეტენციას სცილდებოდა. რაღა გასაკვირია, რომ ქალებს უჭირდათ თავის დაცვა და პრობლემაზე ღიად საუბარი? არ ჰქონდათ იმის იმედი, რომ საზოგადოება და სამართალდამცავები გვერდში დაუდგებოდნენ. კარგა ხნის განმავლობაში სიტუაციას ვერც ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონის მიღებამ უშველა, ვინაიდან დაიწყო სირთულეები მის დანერგვასთან დაკავშირებით. სამართალდამცავნი ვერ აცნობიერებდნენ რა მოეთხოვებოდათ. **ქალთა საკონსულტაციო ცენტრმა** მათი ცნობიერების ასამაღლებლად **პოლიციის აკადემიაში** ლექციები ჩაატარა. არ ველოდით, მაგრამ პირველი წინააღმდეგობა სწორედ იქ შეგვხვდა. ლექციის დროს შევეკითხეთ, რას მოიმოქმედებდნენ თუკი, დავუშვათ, მამაკაცის მიერ ქალის ცემის ფაქტს ქუჩაში შეესწრებოდნენ? ჩავერევითო - გვიპასუხეს. თუ იგივე ფაქტი რომელიმე ოჯახში მოხდებოდა-თქო? - შევუბრუნეთ კითხვა. ამ კითხვის დასმას მოჰყვა საკმაოდ დიდი პრეტენზიები - ჩვენს კადეტებს რაღაც ტვინს ურევთო და, საბოლოოდ, ლექცია შეგვაჩერებინეს.

იურისტი მანანა ფურცხვანიძეც აღნიშნავს, რომ პოლიციელებს ცოლზე ძალადობა ხშირად ჩვეულებრივ რამედ მიაჩნდათ:

- ქალებს პოლიციაშიც გავყოლივარ, ვინაიდან არაადეკვატური რეაქციის ეშინოდათ. ასეთ საქმეზე მისულ ქალს ისეთი თვალით უყურებდნენ, თითქოს უცხო ფრინველი შეფრენილიყო: რად მიგყავს იმ ზომამდე, რომ გირტყამსო?! პრობლემაში წვდომა დიდად არავის აინტერესებდა. ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ქალს განცხადება უკან გამოეტანა. ნელ-ნელა კანონმაც ცვლილებები განიცადა და ძალოვნების ფსიქოლოგიამაც. ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაციის შემდეგ დაზარალებულისგან განცხადება სულ არ არის საჭირო. მთავარია, შეტყობინება რაღაც სახით შევიდეს - თუნდაც მეზობლისგან. წინათ ქალს ცხელ გულზე შეტანილი განცხადება შეეძლო უკან გამოეტანა და ეს ხელს უშლიდა პოლიციას დანაშაულის აღკვეთაში. ახლა ასე აღარ არის; შეტყობინების შემთხვევაში, თუკი ძალადობის ფაქტი დადასტურდა, საქმე აღიძრება და დამნაშავე დაისჯება.

უფლებადამცველი ელისო ამირეჯიბის სიტყვითაც, თავიდან პოლიციელები საერთოდ არ ეხმარებოდნენ:

- პოლიცია ფიქრობდა ზუსტად ისე, როგორც მთლიანად საზოგადოება: რაც ოჯახში ხდება, მხოლოდ ოჯახის საქმეა, ქმარზე ჩივილი არ შეიძლება, ქალმა ყველაფერი უნდა აიტანოს, ნაგავი სახლიდან არ უნდა გაიტანოსო, და მისთანა-

ნი. არც კანონი ავალდებულებდა რამეს და ასეთ თემებზე არც სწავლება უტარ-დებოდათ. მაშინდელი კანონმდებლობით, თუ ქმარი ცოლს შეაგინებდა, ან გაარტყამდა, ეს არ მიიჩნეოდა საქმის აღძვრის საკმარის საფუძვლად. გამოძიება იწყებოდა მხოლოდ მაშინ, თუ სისხლის სამართლის დანაშაული მოხდებოდა. მახსოვს, ერთხელ მოძალადემ როგორღაც მოაგნო ჩვენს თავშესაფარს და სცადა შემოჭრილიყო. ცხადია, მაშინვე პოლიციაში დავრეკეთ. გვიპასუხეს - არა გვცალი-აო და არ მოვიდნენ. მაშინვე გავიქეცით განყოფილებაში, შევედით უფროსთან და ავუწერეთ სიტუაცია. უნდა გენახათ დამოკიდებულება: რა თავშესაფარი? წესი-ერ ქალს რა უნდა მაგ თავშესაფარში? ალბათ, თავად გააგიჟა კაცი და მიიყვანა მაგ ზომამდეო. თავშესაფრებს მსუბუქი ყოფაქცევის ქალების თავშეყრის ადგილად აღიქვამდნენ. მოსვლა და დახმარების გაწევა კი საკუთარი ღირსებისთვის და-მამცირებლად მიაჩნდათ. რომ აღარ მოვეშვი, მოიმიზეზეს, თანამშრომლები არ გვყავსო. მაშინ დავანახე განყოფილების ეზოში მოსეირნე ფერ-ხორციანი მუშაკები - აბა ესენი ვინ არიან-მეთქი და უმანქანობა მოიმიზეზა - ფეხით ხომ ვერ წა-მოვლენო. გავიქეცი, ტაქსი დავიჭირე და მივადექი: აგერ, მანქანა მოგიყვანეთ და გამაყოლეთ ხალხი-მეთქი. კეთილი ინებეს, გამოგვყვნენ, მოძალადე დააპატიმრეს და განყოფილებაში მიაბრძანეს. მათი ასეთი საქციელი არც გაგვკვირვებია. ჩვენი ახლობლებიც კი იგივე აზრზე იყვნენ და პოლიციისგან რა იყო საწყენი, ან გა-საკვირი? პირიქით, წასახალისებლად, მეორე დღეს ოფიციალური მადლობის წერილიც კი გავუგზავნეთ ოპერატიული მუშაობისთვის და მოძალადის დაკავე-ბისთვის. წარმოიდგინეთ, გაჭრა: ძალიან ესიამოვნათ. პოლიციას ყველა აგინებ-და და ლანძღავდა; ამ დროს კი მადლობის მთქმელი გამოჩნდა. ამის შემდეგ კვირაში სამჯერ გვირეკავდნენ: რამე დახმარება ხომ არ გჭირდებათო? სწორედ მაშინ გავაცნობიერეთ, რომ პოლიცია იყო პირველი, ვინც ჩვენს მუშაობაში დასაყ-რდენად გვჭირდებოდა. პოლიციელთა გენდერული მგრძნობელობის ამაღლებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ცნობისთვის: ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის გარკვეული იურიდიული საფუძველი უკვე მიმდინარე საუკუნის დასაწყისში არსებობდა. მხედ-ველობაში მაქვს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „ქალთა მიმართ ძა-ლადობასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის (2000-2002 წ.წ.) დამტკიცების შესახებ“ (#64 25.02.00), სადაც პირდაპირი ტექსტით იყო მითითებული ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა. წლების განმავლობაში მის აღსრულებას, სტიგმურ მენტალიტეტთან ერთად, შეუსრულებლობის ტრადიციაც აფერხებდა.

„ძალადობისგან დაცვის ეროვნულმა ქსელმა“ 2005 წელს დაიწყო მიზანმიმარ-თული ტრენინგების სერია პოლიციელთა გენდერული ცნობიერების ასამაღლებ-ლად. **ესტონეთის აღმოსავლეთ პარტნიორობის ცენტრის პროგრამების დირექ-ტორის, ტინა ილსენის** დახმარებით, ორგანიზებული იქნა კონფერენცია მაღალი თანამდებობის პოლიციელებისთვის. ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუშაობაში პო-ლიციის როლის შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ ექსპერტები ავსტრიიდან. ხოლო როდესაც **„ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“** მუშაკები საზღვარგარეთ კონფერენციებზე მიდიოდნენ, სხვადასხვა უწყებების მაღალი რანგის მოხელეე-ბიც მიჰყავდათ. ასე ხდებოდა გენდერულ საკითხებზე სწორი წარმოდგენების ჩა-მოყალიბების ხელშეწყობა სახელმწიფო სექტორში. **ელისო ამირეჯიბი** სიამაყით

აღნიშნავს, რომ **2005 წლის ბოლოსთვის** პოლიციელები უკვე თავად ითხოვდნენ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონის შემუშავებას: როგორ დავეხმაროთ მსხვერპლს, თუკი კანონმდებლობა ამის საშუალებას არ გვაძლევსო?! ეს იყო უმნიშვნელოვანესი მიღწევა. **2006 წელს მიღებული იქნა კანონი „ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.** მოწინავე ქვეყნების მაგალითზე შემოღებული იქნა **შემაკავებელი და დამცველი ორდერები,** რომლებიც მოძალადეს ძალადობრივ ქმედებებს უკრძალავდნენ.

2007 წლის ნოემბერში სახალხო დამცველის ოფისში ჩატარდა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა შეხვედრა სამართალდამცავებთან. ამ დროისთვის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონი უკვე მიღებული იყო. ისაუბრეს კანონის იმპლემენტაციის და პოლიციელთა მიერ თავისი მოვალეობების შესრულების ქმედით მექანიზმებზე. წინდაწინ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, უბნის ინსპექტორთა 80% იმედგაცრუებული დარჩა ახლადმიღებული კანონით, რომელიც, მათი აზრით, მსხვერპლის დაშინების და დანაშაულის რეციდივის პრევენციისთვის ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდა. ამ მოსაზრებას საპატრულო პოლიციის მუშაკთა 65% დაეთანხმა. ინსპექტორთა 80%-მა დააყენა ორდერის ინსტიტუტის დახვეწის საკითხი. არ არსებობდა მექანიზმი, რომელიც მოძალადეს ორდერის პირობების შესრულებას აიძულებდა; ანუ ჯერ კიდევ არ იყო დაწესებული მკაცრი პასუხისმგებლობა დამრღვევისთვის. იმავე შეხვედრაზე პოლიციამ მთელი სიმწვავით დააყენა მსხვერპლის არათანმიმდევრული პოზიციის საკითხი. მათი სიტყვით, ხშირად სწორედ ეს აფერხებდა კანონის აღსრულებას. არასამთავრობო სექტორის მუშაკებმა კი მოძალადესთან მუშაობის და მისი ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საკითხზე ისაუბრეს.

აი, რა თქვა შემაჯამებელ გამოსვლაში **საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელის მოადგილემ ლევან მაჭავარიანმა:**

- მოდით, შევთანხმდეთ: ან ვიცავთ მსხვერპლს, ან არ ვიცავთ. თუკი მსხვერპლმა მოგვმართა, კეთილი ინებოს, გააცნობიეროს ამ ნაბიჯის სერიოზულობა და მუშაობაში ხელს ნუ შეგვიშლის. ცალკე საკითხია კანონის აღსრულების მექანიზმთა ხარვეზიანობა, რის შედეგადაც, შემაკავებელი ორდერის დარღვევის შემთხვევაში, დამნაშავის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს ვერ აღვძრავთ. ამას მსხვერპლის დაცვის შესაძლებლობები ნულამდე დაჰყავს. რაც შეეხება მოძალადესთან მუშაობას და მის ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას, ავსტრიაში, მაგალითად, მათ თან არავინ ჰყვება. ჩვენი პრიორიტეტი მსხვერპლის დაცვა უნდა იყოს. მოძალადემ კი თავს თვითონ მიხედოს.

მაჭავარიანს ბოლოს მოსაზრებაში ვერ დავეთანხმებით. სინამდვილეში მოძალადესთან მუშაობა ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. ამ სამუშო მიმართულებას ძალიან საინტერესო ისტორია აქვს. აი რას ამბობს ამ საკითხზე **ა/ო “ჰეპა+“-ის ხელმძღვანელი მანანა სოლოღაშვილი:**

- აშშ-ში საცხოვრებლად წასულ პოლონელ ემიგრანტებში ძალზე აქტუალური იყო ალკოჰოლზე დამოკიდებულების პრობლემა. თანაც, რომ დალევდნენ ცოლებს ურტყამდნენ; მეზობლები პოლიციას უძახებდნენ და ციხე პოლონელი ემიგრანტებით გაივსო. ხელისუფლება დაფიქრდა - რა მოვუხერხოთ ამ ხალხსო? სწო-

რედ მაშინ დაიწერა საინტერვენციო პროგრამა მოძალადეებისთვის, რომელიც დულუსის ციხეში იქნა აპრობირებული და **„დულუსის მოდელის“** სახელწოდებითაა ცნობილი. **2010-2011 წლებში „ძალადობისგან დაცვის ეროვნულმა ქსელმა“ იუნისეფის** დაფინანსებით საპილოტე პროექტი განახორციელა. ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამაში ორი მიმართულება შემუშავდა. ერთი ითვალისწინებდა მუშაობას მშობლებთან, რომლებიც აღზრდის ძალადობრივ მეთოდებს იყენებდნენ, ხოლო მეორე - ოჯახში ძალადობისთვის მსჯავრდებულ პრობაციონერებთან. მოძალადეებთან მუშაობა ძალზე რთულია. ამის გამოცდილება აღრეც გვქონდა. **„ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი”** 2003 წლიდან ახორციელებდა საოჯახო თერაპიის პროგრამებს. ძალადობის მსხვერპლ ქალთან მუშაობისას ყოველთვის ქმართანაც ვითხოვდით შეხვედრას. მოძალადეთაგან მხოლოდ 3% მოვიდა და მათგანაც მხოლოდ ერთმა გააცნობიერა პრობლემა: გამოსასწორებელი ცოლი მეგონა და, სინამდვილეში, თურმე მე ვყოფილვარო. ზოგადად, მოძალადე „აღზრდას“, ანუ თერაპიას, მსხვერპლზე უფრო ძნელად ემორჩილება. ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად გაუჩნდება „ბრაზის მართვის“ და სიტუაციის გამოსწორების გულწრფელი სურვილი.

როგორც ვხედავთ, მოძალადეებთან მუშაობა ცალკე სფეროა, რომელიც სპეციალური სტრატეგია-ტაქტიკის შემუშავებას საჭიროებს. ნაშრომის ავტორის აზრით, პოლიციელების „მენტალურ აღზრდას“ და გენდერულ საკითხებში დატრენინგებას ისიც ართულებს, რომ მათი ნაწილი ძალადობრივი ქცევისკენა თავადაა მიდრეკილი; თუმცა მრავალწლიანმა მუშაობამ გარკვეული შედეგი გამოიღო. რაღაც ეტაპზე თავად პოლიციელებმა გააცნობიერეს, რომ ოჯახში ძალადობის პრობლემაზე ზემოქმედების მექანიზმი სჭირდებოდათ; ამიტომ ჯერ მოითხოვეს კანონის შემუშავება, მერე კი მისი დახვეწა. დღესდღეობით, სამართალდამცავთა მუშაობაში არსებული ხარვეზების მიუხედავად, მასალას საკანონმდებლო სიახლეების შესამუშავებლად, რიგ შემთხვევებში, სწორედ პოლიცია იძლევა (როგორც ეს, მაგალითად, ორდერების შემთხვევაში მოხდა). შემდეგ კი მუშაობაში არასამთავრობო სექტორის ექსპერტები და იურისტები ერთვებიან. ეს ტანდემი რეალობაზე მორგებული კანონების შესამუშავებლად ძალზე მნიშვნელოვანია.

საუკუნის დასაწყისში პოლიციასთან მუშაობისას აქცენტი გენდერული მგრძნობელობის გაძლიერებაზე კეთდებოდა. ამჟამად ტრენინგები, ძირითადად, საკანონმდებლო სიახლეების გაცნობაზე ტარდება. ეს სრულებითაც არ ნიშნავს რომ გენდერული მგრძნობელობის ამაღლებაზე მუშაობამ აქტუალობა დაკარგა. მედიაპუბლიკაციები პოლიციის არაკორექტული მოქმედების შესახებ გვიჩვენებს, რომ სამართალდამცავები კიდევ დიდხანს იქნებიან „აღსაზრდელნი“. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ წიგნზე მუშაობის პროცესში ვერაფრით მოვახერხე შსს-ს მუშაკთა დაყოლიება თანამშრომლობაზე. მიუხედავად პრესცენტრში არაერთგზის დარეკვისა, უწყებას ინტერესი არ გამოუვლენია. არადა, მათი შეფასებები წიგნს ძალზე წაადგებოდა ინფორმაციულობის და ობიექტურობის თვალსაზრისით.

დროებითი გამოსავალი - თავშესაფრები

ოჯახში ძალადობის პრობლემის სერიოზულობა და მსხვერპლთათვის თავშესაფრების ორგანიზების აუცილებლობა არასამთავრობო სექტორმა სამთავრობოზე ადრე გააცნობიერა. ყოველდღიურმა მუშაობამ აშკარა გახადა, რომ მხოლოდ თავშესაფარი იყო საფრთხის არიდების, ხანდახან, კი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების ერთადერთი საშუალება. საქართველოში პირველი თავშესაფარი **2003 წელს** გახსნა **„ძალადობისგან დაცვის ეროვნულმა ქსელმა“, ქალთა პროგრამის (ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“)** მხარდაჭერით.

აი, რას ამბობს ამის შესახებ **ელისო ამირეჯიბი:**

- ეს იყო პირველი, რაც ჩვენ გავაკეთეთ. ჩვენი ხელმძღვანელის, **ნატო შავლაყაძის** მამა **რობერტ შავლაყაძე** ოლიმპიური ჩემპიონი იყო და მისი პატივისცემით სპორტსმენებმა სპორტული კომპლექსის საერთო საცხოვრებლის შენობაში თავშესაფრისთვის ფართი მოგვცეს. კრიზისული ცენტრისთვის 6-7 კვ.მ. ფართობის ოთახი გამოვყავით, სადაც ერთი კომპიუტერი გვედგა და სამი ქალი ვმუშაობდით. საკუთრივ თავშესაფრისთვის რამდენიმე ოთახი გვქონდა. მცირე თანხით დიდ საქმეს შევეჭიდეთ და ერთდროულად მხოლოდ ათი მსხვერპლის მიღება შეგვეძლო. შენობა ძველი იყო, ამიტომ რემონტი ჩავატარეთ და სამუშაო სივრცე მეტ-ნაკლებად კეთილმოვაწყეთ. ყველა ოთახს თავისი მოწესრიგებული აბაზანა და ტუალეტი ჰქონდა; ანუ, იმ პერიოდისთვის საკმაოდ ნორმალური პირობები იყო. ორმა ახალგაზრდა გოგონამ ჯერ კიდევ რემონტის დამთავრებამდე მოგვმართა. ერთ-ერთი საკუთარი მამისგან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდა. გოგონას ადრე სუიციდის მცდელობაც ჰქონდა და აუცილებლად ესაჭიროებოდა ოჯახში შექმნილი სიტუაციისგან იზოლირება. გაითვალისწინეთ, რომ მაშინ არ გვქონდა ძალადობის მსხვერპლთან მუშაობის გამოცდილება, არ ვიცოდით, სად და როგორ მიგვემართა. პოლიცია ამ თემას არც ეკარებოდა, იგივე დამოკიდებულება იყო მთლიანად საზოგადოებაში. მაგრამ გვქონდა ჟინი, რომ გავმკლავებოდით ამ სიტუაციას და მიზნისთვის მიგვეღწია. რაც უფრო მეტი ქალი მოგვმართავდა, რაც უფრო მეტს ვაკვირდებოდით სიტუაციას, ვხვდებოდით, რომ გაჩერება არ შეიძლებოდა, რომ დაუშვებელი იყო ქალს ასეთ სიტუაციაში ეცხოვრა. თითოეულ შემთხვევას მოჰქონდა დამატებითი პასუხისმგებლობა. წარმოიდგინეთ, როდესაც უსმენ ქალს და ხვდები, რომ თუ არ დაეხმარები, შესაძლოა, თავიც კი მოიკლას. მატულობდა მრისხანება მოძალადეების მიმართ. უმძიმესი ბრძოლები გავიარეთ. კანონი არ არსებობდა, სოციალური სამსახურები არ არსებობდა. ვიყავით ათზე ცოტა მეტი ადამიანი პლუს **მარინა თაბუკაშვილი,** რომელიც ყოველთვის გვერდში გვედგა. მახსოვს, ერთხელ შვედები გვეწვივნენ და ჩვენი კრიზისული ცენტრის ნახვაზე გაოგნდნენ: აქედან როგორ მართავთ საქართველოში ძალადობის თემებსო? წარმოიდგინეთ, დაცვაც კი არ გვყავდა. სწორად გამიგეთ, მაგრამ ამ გადასახედიდან რომ ვაფასებ სიტუაციას, ვხდები, რომ

საოცრად გამბედავები და, კარგი გაგებით, გიჟებიც კი ვიყავით...

ახლა სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. უკვე ძალადობის მსხვერპლებზე სახელმწიფო ზრუნვის სისტემა არსებობს კრიზისული ცენტრების და თავშესაფრების სახით. ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების **კრიზისული ცენტრი** წარმოადგენს **ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის** სტრუქტურულ ერთეულს. მომსახურება უფასოა და მისი მიღება შესაძლებელია ყოველდღე, შაბათ-კვირის და უქმე დღეების გარდა, 09 საათიდან 18 საათამდე. სერვისი ითვალისწინებს: ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაცია/დახმარებას, სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას, იურიდიულ კონსულტაცია-ადვოკატირებას, თარჯიმნის მომსახურებას. საჭიროების შემთხვევაში დაზარალებულს გადაიყვანენ **თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის** დროებით სადღეღამისო საცხოვრისში. კრიზისული ცენტრები აგრეთვე ფუნქციონირებს **თბილისში, ქუთაისში, გორში, ოზურგეთში** და **მარნეულში.**

სახელმწიფო თავშესაფრები საქართველოში **2009 წლიდან** არსებობს. ამჟამად გახსნილია **სიღნაღში, ქუთაისში** და **გორში.** სერვისი ითვალისწინებს: სადღეღამისო საცხოვრისს, ფსიქო–სოციალურ რეაბილიტაციას, სამედიცინო მომსახურებას, სამართლებრივ დახმარებას, საჭიროების შემთხვევაში - თარჯიმნის მომსახურებას. მუშაობს ჯგუფი იურისტის, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკისა და მედმუშაკის შემადგენლობით. ბავშვებზე ძალადობის საშიშროების შემთხვევაში შესაძლებელია სოციალური მომსახურების სააგენტოსთან დაკავშირება. თავშესაფარში ყოფნის პერიოდში ბენეფიციარები განთავისუფლებულნი არიან საყოფაცხოვრებო საზრუნავისგან; მხოლოდ საკუთარი პრობლემების მოგვარებით და პიროვნული ზრდით არიან დაკავებულნი. აქ პროფესიული გადამზადების პროგრამებიც ივულისხმება. ამ საკითხზე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმია გაფორმებული. პარალელურად ბენეფიციარს დასაქმებაშიც ეხმარებიან. თუკი სამი თვის შემდეგ მისი მდგომარეობა ისევ სპეციალისტთა ყურადღებას მოითხოვს, თავშესაფარში ყოფნის ვადა, შესაძლოა, კიდევ სამი თვით გაგრძელდეს. ხოლო როდესაც თავშესაფარს ტოვებს, ერთი წლის განმავლობაში მისი მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება. საჭიროების შემთხვევაში ისევ თავშესაფარში აბრუნებენ.

სახელმწიფო თავშესაფარში განთავსებისთვის ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსია საჭირო. პრაქტიკულად ყველა ბენეფიციარი ლანძღვა-გინებას, ცემას და ფსიქოლოგიურ ზეწოლას უჩივის. ზოგი ქმრისგან სექსუალურ ძალადობასაც. ცალკე პრობლემაა ეჭვიანობის ნიადაგზე ზეწოლა: სამსახურში არ წახვალ, თორემ... და ა.შ. **ფონდმა აამუშავა 24-საათიანი „ცხელი ხაზი“ - 116 006 (ზარი უფასო და ანონიმურია)**. თვეში რამდენიმე ასეული ქალბატონი რეკავს. კონსულტაციისთვის პირადად მისვლაც შეიძლება. სამწუხაროდ, „ცხელ ხაზზე“ დარეკვას ვიზიტი ყოველთვის არ მოჰყვება, მაგრამ არც ვიზიტი ნიშნავს საკუთარი უფლებების დასაცავად მზაობას. ეს კონკრეტული ქალის ხასიათზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, ქალები თავშესაფარში მხოლოდ მაშინ მოდიან, როდესაც ოჯახური კრიზისი კულმინაციას აღწევს, ანუ ცემა-ტყეპა და ზეწოლა სისტემატურ ხასიათს ღებულობს. საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია სასამართლოში წარ-

სადგენად საბუთების გამზადება და წარმომადგენლობის გაწევა. მივა თუ არა პროცესი ბოლომდე, ბენეფიციარის სურვილზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, ხშირად უჭირთ საქმის ბოლომდე მოყვანა. იტყვის: კმარა, ვშორდები! მოუმზადებენ საბუთებს და... გადაიფიქრებს! მიზეზი უამრავია: მაგალითად, წასასვლელი არსად აქვს, ან ეკონომიურად ქმარზეა დამოკიდებული. ხშირად, საკუთარი შემოსავალიც აქვს, არც ბინა უჭირს, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებას მაინც ვერ ახერხებს. ასეთ შემთხვევაში მიზეზი ქალის სუსტ ხასიათში უნდა ვეძიოთ.

ავტორის აზრით, ქალების მხრიდან ორჭოფობის და ძალადობის საპრევენციოდ, მუშაობა ოთხი მიმართულებით უნდა განხორციელდეს: 1) ქალების ეკონომიკური გაძლიერება; 2) პიროვნული ზრდის პროგრამების ფართო დანერგვა; 3) მოძალადეებთან მუშაობა; 4) სამოქალაქო განათლების კურსში საოჯახო ეთიკის საკითხების შეტანა. ამასთან, ეს მუშაობა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი უნდა გახდეს, ვინაიდან ოჯახის ინსტიტუტი სტრატეგიული სფეროა.

დაძრული ყინული

ევრიონტეგრაციის კურსი გადამწყვეტი ფაქტორი გახდა გენდერულად კორექტული პოლიტიკის შემუშავებისთვის. არასამთავრობო სექტორი ხელისუფლებას მოდუნების საშუალებას არ აძლევდა. საერთაშორისო ორგანიზაციებიც რეკომენდაციებს გვაწვდიდნენ.

მოდით, თვალი გადავალოთ ხელისუფლების საკვანძო ნაბიჯებს გენდერული პოლიტიკის დემოკრატიზაცია-ჰუმანიზაციის მიმართულებით:

1994 - განხორციელდა CEDAW კონვენციის ხელმოწერა და რატიფიცირება ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.

1995 - მიღებული იქნა პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა;

1998-2000 - განხორციელდა ეროვნული სამოქმედო გეგმით „ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის“ გათვალისწინებული ღონისძიებები.

1999 - საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში შეიქმნა სახელმწიფო კომისია; იგი შედგებოდა 27 მაღალი რანგის წევრისგან, რომელთა შორის იყვნენ მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები. აგრეთვე შემუშავდა ქალთა წინსვლის სახელმწიფო პოლიტიკა.

1999 - მიღებული იქნა 511-ე დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებებს ქალთა უფლებების დაცვის გაძლიერების შესახებ საქართველოში.

2000-2002 - განხორციელდა ეროვნული სამოქმედო გეგმით „ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ გათვალისწინებული ღონისძიებები.

2000-2004 - განხორციელდა ეროვნული სამოქმედო გეგმით „ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის“ გათვალისწინებული ღონისძიებები.

2004 - შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო.

2005 - შეიქმნა გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისია.

2006 - დამტკიცდა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია.

2006 - დამტკიცდა საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.

2008 - განხორციელდა ეროვნული სამოქმედო გეგმით „ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, დაცვისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების შესახებ“ გათვალისწინებული ღონისძიებები.

2007 – საქართველოს მთავრობის დადგენილებით, გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისია გაუქმდა და შეიქმნა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემმუშავებელი უწყებათაშორისი კომისია. კომისიის დანიშნულება გახლდათ გენდერულ პრობლემატიკასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, არსებული მდგომარეობის შესწავლა, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მთავრობის მიერ განხორციელებული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი.

2007-2009 - განხორციელდა ეროვნული სამოქმედო გეგმით „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ გათვალისწინებული ღონისძიებები.

2009-2010 - განხორციელდა ეროვნული სამოქმედო გეგმით „ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ გათვალისწინებული ღონისძიებები.

2010 - დამტკიცდა საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ;

2011-2012 - განხორციელდა ეროვნული სამოქმედო გეგმით - „ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ გათვალისწინებული ღონისძიებები.

2012 - განხორციელდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია. სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორეს მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება ისჯება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, ვადით ოთხმოციდან ასორმოცდაათ საათამდე. იგივე ქმედება ჩადენილი: ორსული ქალის, არასრულწლოვანის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირი მიმართ, არასრულწლოვანის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ, ორი ან მეტი პირის მიმართ, პირთა ჯგუფის მიერ, არაერთგზის, ამავე მუხლის მეორე ნაწილით ისჯება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, ვადით ასიდან ორას საათამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

2012-2015 - განხორციელდა ეროვნული სამოქმედო გეგმით „გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 1325-ის შესაბამისად“ (2011 წლის დეკემბერი) გათვალისწინებული ღონისძიებები.

2013 - შეიქმნა თანამდებობა - პრემიერ მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში; სახალხო დამცველის აპარატში გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი ჩამოყალიბდა.

2013-2015 - განხორციელდა ეროვნული სამოქმედო გეგმით „ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ გათვალისწინებული ღონისძიებები.

2014 - დამტკიცდა საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;

2014-2016 - განხორციელდა ეროვნული სამოქმედო გეგმით „გენდერული თა-

ნასწორობის შესახებ“ გათვალისწინებული ღონისძიებები.

2014 - ხელი მოეწერა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას (ე.წ. სტამბულის კონვენცია).

2014 - განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებების პირველი ტალღა, კანონმდებლობის ჰარმონიზება სტამბულის კონვენციის შესაბამისად.

2015 - საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაამტკიცა გენდერული თანასწორობის სტრატეგია, დაინიშნა კოორდინატორი გენდერულ საკითხებში.

2015 - საქართველოს პრეზიდენტმა 2015 წელი ქალთა წლად გამოაცხადა;

2016 - დამტკიცდა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა.

2016 - დამტკიცდა ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2016-2017 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა.

2017 - მოხდა ევროპის საბჭოს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება;

2017 - შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია.

2018 - დამტკიცდა ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა.

2018 - დამტკიცდა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

2019 - საქართველომ გაეროში წარადგინა პეკინის მოქმედებათა პლატფორმის 25 წლის განხორციელების ანგარიში.

მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში, ფორმალისტური ხასიათისა (მაგალითად გენდერული სფეროსაგან შორს მყოფი კახა ბენდუქიძის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემმუშავებელი უწყებათაშორისი კომისიის ხელმძღვანელად დანიშვნაც გამოდგება), პროცესი, საერთო ჯამში, შეუქცევადი იყო და, დროთა განმავლობაში, კონსტრუქციული შედეგები გამოიღო.

გვიშველა თუ არა კანონმა?

კანონმა სასურველი შედეგი რომ მოგვიტანოს, აუცილებელია მისი აღსრულების მექანიზმების შექმნა. ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო კანონმდებლობის შემუშავების პერიოდში ამ საკითხზე ვესაუბრე **მარი მესხს, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პროექტის კოორდინატორს:**

- კანონის შემუშავების აუცილებლობა განაპირობა როგორც საერთაშორისო ვალდებულებებმა, ისე შინაგანმა აუცილებლობამ. საერთაშორისო ვალდებულე-

ბებში იგულისხმება თუნდაც კონვენციები, რომლებსაც მივუერთდით: **„ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კონვენცია“, „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი“** და ა.შ. ამ კუთხით საერთაშორისო ვალდებულებები რომც არ გვქონოდა, ეს კანონი მაინც დაგვჭირდებოდა. მსხვერპლს სჭირდება დაცვა სამართლებრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური და, რიგ შემთხვევებში, სამედიცინო თვალსაზრისით. ყველა ეს პარამეტრი კანონში გათვალისწინებულია. კანონს დაცვის მექანიზმებიც სჭირდება - მაგალითად, ფინანსური უზრუნველყოფა. **საია** ამჟამად მუშაობს სამოქმედო გეგმაზე, რომლის მიზანი კანონის წარმატებით დანერგვის ხელშეწყობაა. გეგმა მრავალპლანიანია: ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო კანონისთვის სამართლებრივი სივრცის შექმნა, ანუ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; საზოგადოების ინფორმირება ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით (იგულისხმება მასმედია, სემინარები, ბროშურები, ბუკლეტები და ა.შ.); ოჯახში ძალადობის საპრევენციო ღონისძიებათა შემუშავება, მსხვერპლთა დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებათა შემუშავება, ფინანსური უზრუნველყოფის სტრატეგიის შემუშავება და სხვა.

ამ საუბრის შემდეგ დიდი გზა გამოვიარეთ. „საფარის“ აღმასრულებელი დირექტორის, ბაია პატარაიას აზრით, ამჟამად შემაკავებელი და დამცავი ორდერები ძალიან კარგად მუშაობს. მათი გამოყენების შემთხვევაში დანაშაულის რეციდივი დაბალია. მძიმე შედეგი, ძირითადად, მაშინ დგება, როდესაც, მიუხედავად ქალის არაერთგზის მიმართვისა, ორდერი არ არის გამოწერილი.

შსს-ს საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს დაფიქსირდა შემაკავებელი ორდერების დარღვევის 6%-იანი მაჩვენებელი; 2019 წელს, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერი მხოლოდ 4%-მა დაარღვია. 2018-2019 წლებში, შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადაში არც ერთი მკვლელობა არ მომხდარა.

მიუხედავად მიღწეული შედეგებისა, დღესაც აქტუალურია კითხვები: გვიშველის თუ არა ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო კანონმდებლობა? შეუწყობს თუ არა ხელს ფაქტების უფრო ეფექტიანად გამოვლენას და პრევენციას?

ადვოკატ ეკა იობაძის აზრით, კანონმა რომ კარგად იმუშაოს, აუცილებელია მისი გზადაგზა დახვეწა:

- თავიდან პოლიციელებს ორდერების გამოწერა უჭირდათ, ვინაიდან ადგილზე რომ მიდიოდნენ, მოძალადე ხშირად უკვე დამშვიდებული ხვდებოდათ; სამაგიეროდ, გადატანილი სტრესის გამო, მსხვერპლი იყო ისტერიკაში. ფიზიკური ძალადობის კვალი თვალით ჩანს; მაგრამ, ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში, როგორ დაედგინათ, რომ ძალადობა ნამდვილად მოხდა? ხშირად მომხდარის კვალიფიკაციის პრობლემაც იდგა; ანუ, კანონის რეალურად ასამუშავებლად, უამრავი ნიუანსი იყო დასაზუსტებელი. აღსრულების მექანიზმიც მოისუსტებდა. გარკვეული პერიოდი დასჭირდა იმის გაცნობიერებას, რომ გაფრთხილების მექანიზმი არ მუშაობდა და პირდაპირ შემაკავებელი ორდერი უნდა გამოწერილიყო. გაფრთხილება, ძალადობის პრევენციის ნაცვლად, ფაქ-

ტობრივად, მის წახალისებას ახდენდა. რამდენიმე წლის წინათ, ქუთაისში ერთი და იმავე მოძალადის მიმართ შვიდი გაფრთხილება იქნა გამოწერილი - ეს ფაქტი თავისთავად მრავლისმეტყველია. ძალადობის რისკის შეფასების ინსტრუმენტის შემოღების შემდეგ ორდერის გამოწერის პროცესი მოწესრიგდა. ამ ეტაპზე, ვფიქრობ, კანონი გაცილებით ეფექტიანად მუშაობს, თუმცა, დასაბალანსებელია. კერძოდ, აუცილებელია მისი ბოროტად გამოყენების საპრევენციო მექანიზმის შემუშავება. ეს რეალურად ხდება როგორც ქალების, ისე მამაკაცების მხრიდან, რაც სწორედ ორდერების გამოწერის გაადვილებამ განაპირობა. ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაშიც კი ორდერები იოლად გამოიწერება. მოძალადეები კი მოხერხებული მანიპულატორები არიან, კარგად აუღეს ალღო და აქეთ აწერინებენ შემაკავებელ ორდერს ცოლების წინააღმდეგ. ანუ, ეს დაუბალანსებლობა ისევ ქალებს უბრუნდებათ. ცხადია, ბოროტად გამოყენება არც ქალების შემთხვევაშია გამორიცხული. იყო ასეთი ფაქტი: ყოფილ მეუღლეებს შორის ქონებრივი დავის ფონზე ქალმა სკანდალის პროვოცირება მოახდინა; მერე პოლიცია გამოიძახა და ყოფილი მეუღლისთვის შემაკავებელი ორდერი გამოაწერინა. უნდოდა ამ დოკუმენტით მოსამართლეზე გარკვეული ზემოქმედება მოეხდინა - აქაოდა, მოძალადეაო. ორდერის გამოწერას ერთგვარი სირთხილით უნდა მოვეკიდოთ, რაშიც, ბუებრივია, არ ვგულისხმობ მისი გამოწერის გართულებას. სასამართლოს მიერ მისი დამტკიცებისას საფუძვლიანად უნდა მოხდეს გარემოებების გადამოწმება, რათა რომელიმე მხარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება გამოირიცხოს.

კავშირ „საფარის“ ჰქონდა კურიოზული შემთხვევა: მოძალადემ ცოლს პოლიციაში მიასწრო და ორდერი აქეთ გამოაწერინა - ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი ვარ, სიდედრი და ცოლი მწყევლიანო. ორგანიზაციის ძალისხმევით ორდერი გაუქმებული იქნა.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი ელენე რუსეცკი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნის სფეროში:

- 2016 წლის შემდეგ ყველა მუნიციპალიტეტი ვალდებულია შექმნას გენდერული თანასწორობის საბჭო, რაშიც „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ დიდი წვლილი შეიტანა. ეს საბჭოები ძალზე სერიოზული დასაყრდენია რეგიონებში გენდერული პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებისთვის. იქამდე კანონი მუნიციპალიტეტს ამას არ ავალდებულებდა; ამიტომ მსგავსი სტრუქტურები არამდგრადი იყო - იქმნებოდა და იშლებოდა. გარდა ამისა, ყველა მუნიციპალიტეტებს უკვე აქვს გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმები და კიდეც ახორციელებენ. სამოქმედო გეგმებში უდევთ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება და საჭიროებების კვლევა. ადრე წარმოუდგენელი იყო მუნიციპალიტეტის ვალდებულება გენდერული ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიის ორგანიზების თაობაზე. ახლა ეს უკვე რეალობაა. შარშან, მაგალითად, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტმა ეს აქტივობა განახორციელა. რამდენიმე მუნიციპალიტეტმა გამოჰყო გრანტები ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე. პანდემიის პერიოდში, როდესაც

ქალთა მიმართ ძალადობა უფრო გაძლიერდა, **ბოლნისის** და **მარნეულის** რაიონებში მუნიციპალიტეტების დახმარებით საინფორმაციო უზრუნველყოფა გავაკეთეთ მობილურებზე **SOS აპლიკაციის** დასაყენებლად, რომლის დახმარებით მსხვერპლს შეუძლია თითის ერთი დაჭერით გამოიძახოს პატრულის თანამშრომლები.

2020 წელს გამოქვეყნდა **გაეროს ორგანიზაციების ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის“** ფარგლებში მომზადებული კვლევის ანგარიში. გამოკვლელული იქნა გენდერული წარმოდგენები და ქცევები 2019 წელს და გაკეთდა შედარებითი ანალიზი 2013 წლის ანალოგიურ მონაცემებთან. აღმოჩნდა, რომ ძალადობის მიმართ დამოკიდებულება უფრო კორექტული გახდა. 2013 წლის კვლევაში რესპონდენტების 80%-ზე მეტმა გამორიცხა ისეთი ვითარება, როდესაც ქალი, შესაძლოა, ცემას კიდეც იმსახურებდეს და ეს დამოკიდებულება 2019 წლისთვის შენარჩუნებული იქნა. სამაგიეროდ, ქალების 10,1%-მა და მამაკაცების 17,8%-მა განაცხადა, რომ ოჯახის შესანარჩუნებლად ქალმა ძალადობა უნდა აიტანოს. ამასთან, გამოკითხულ მამაკაცთა 52,5% და ქალთა 35% დღესაც დარწმუნებულია, რომ ოჯახში ძალადობა პირადი საკითხია და სხვები არ უნდა ჩაერიონ. რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს აქედან? აშკარაა, რომ სამართლებრივი „რევოლუცია“ დიდად ვერაფერს გვიშველის, თუ ადამიანთა თავებში მენტალური „რევოლუცია“ არ მოხდა.

ამ წიგნზე მუშაობის პროცესში, **2020 წლის 13 ივლისს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის** ძალისხმევით, მესამე მოსმენით, მიღებული იქნა **კანონპროექტი მოძალადეზე ელექტრონული ზედამხედველობის შესახებ.** ძალადობის შემთხვევაში, მოძალადეს სხეულზე ელექტრონული სამაჯური დაუმაგრდება. ელექტრონული ზედამხედველობა განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ პოლიციელი ჩათვლის, რომ ძალადობის განმეორების რისკი არსებობს. ზედამხედველობაზე ნებართვას სასამართლო გასცემს. მოძალადის ადგილზე არყოფნისას, პოლიციელს აქვს უფლება, რომ სხეულზე ელექტრონული საშუალების დასამაგრებლად იგი განყოფილებაში დაიბაროს. გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოცხადდება ძებნა ქვეყნის მასშტაბით. ოჯახის წევრთა ჩამონათვალს კი დაემატა წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი, მხარდაჭერის მიმღები, მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი პირები. **ცვლილებები ძალაში 2020 წლის 1 სექტემბერს შევიდა.** ეს მნიშვნელოვანი სიახლე, უდავოდ, შეასუსტებს რისკებს. კანონმდებლებს მის დანერგვაზე ჯერ კიდევ 2006 წელს რომ ეზრუნათ, ვინ იცის, რამდენი ქალის სიცოცხლე გადარჩებოდა.

ახლა უკვე შეგვიძლია არგუმენტირებული პასუხი გავცეთ შოთა მალაშხიას შეკითხვას - ამცირებს თუ არა კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ ოჯახში ძალადობას. სწორად შემუშავების და, ასევე, სწორად დანერგვის შემთხვევაში, ცხადია, შეამცირებს, ვინაიდან, ყოველი კონკრეტული დანაშაულის აღკვეთაზეა ორიენტირებული. მაგრამ ოჯახში ძალადობას, როგორც სოციალურ მოვლენას, ყველაზე საუკეთესო კანონიც კი ვერ გააქრობს. რატომ? იმიტომ რომ სამართლებრივი მეთოდები დანაშაულის მხოლოდ შედეგზე მუშაობს - ეს მოკლევადიანი სტრატეგიაა. რეალურად, შეიძლება ვილაპარაკოთ ოჯახში ძალადობის

მხოლოდ მაქსიმალურ მინიმიზაციაზე, რაც მის გამომწვევ მიზეზებზე კარგად გათვლილი და მიზანმიმართული ზემოქმედებითაა შესაძლებელი. ყველა მანკიერი მოვლენის ძირეული მიზეზი ადამიანთა მენტალობაშია. შესაბამისად, გრძელვადიანი პრევენციული ეფექტისთვის, სწორედ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე მუშაობა, ანუ გრძელვადიანი სტრატეგია დაგვჭირდება; სამოქალაქო აღზრდის სისტემა მაქვს მხედველობაში. ვფიქრობ, მოკლეევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიის შეთავსებით ძალადობრივი სინდრომის მინიმუმამდე დაყვანა, პერსპექტივაში, სავსებით შესაძლებელია.

თაკი მესამე

ტრეფიკინგი,

ანუ

თანამედროვე მონობა

„ობობას ქსელში“

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის თანახმად, „ტრეფიკინგი“ ნიშნავს ადამიანთა გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას, თაღლითობით, მოტყუებით, ძალის გამოყენებით, მოტაცებით, ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით. ამ ქმედებათა მიზანი ადამიანთა ექსპლუატაციაა. ექსპლუატაციაში იგულისხმება როგორც იძულებითი შრომა, ისე სხეულით ვაჭრობის იძულება. ტრეფიკინგის მიზანი, შესაძლოა, ორგანოების არალეგალური ტრანსპლანტაციაც იყოს. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ტრეფიკინგის მსხვერპლი 27 მილიონამდე ადამიანია. ადრე მიიჩნევდნენ, რომ ტრეფიკინგი იყო მოგების სიდიდის მიხედვით მსოფლიოში მესამე კრიმინალური ბიზნესი (იარაღით და ნარკოტიკებით ვაჭრობის შემდეგ). შემდეგ გაჩნდა იმის მტკიცების საფუძველი, რომ ამ მაჩვენებლით ორივეს უსწრებს; ლაპარაკია მილიარდობით დოლარზე.

გენდერული ნიშნით ძალადობაზე საუბრისას ტრეფიკინგის თემას გვერდს ვერ ავუქცევთ. ახალგაზრდა ქალებს, ძირითადად, პროსტიტუციაში „ასაქმებენ“. ამდენად, მონობის თანამედროვე ვერსია - ტრეფიკინგი ქალთა დისკრიმინაციის უსასტიკეს ფორმად უნდა მივიჩნიოთ. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს პოლიტიკურ წრეებში გენდერული თემატიკა სწორედ ამ პრობლემაზე საუბრით დაიწყო. 90-იანი წლების სოციალური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში არაკონტროლირებადმა შრომითმა მიგრაციამ არალეგალ მიგრანტთა ექსპლოატაციისთვის ნოყიერი ნიადაგი შექმნა; ხოლო ანტიტრეფიკინგული კანონმდებლობის და შრომითი მიგრაციის კანონების უქონლობამ ტრეფიკიორებს, ფაქტობრივად, მწვანე შუქი აუნთო. მათ მოტყუებით გადაჰყავდათ ქალები საზღვარგარეთ; მერე კი დაშინებითა და შანტაჟით სხეულით ვაჭრობას აიძულებდნენ.

უფლებადამცველ თამარ დადიანის სიტყვით, 90-იან წლებში საქართველო სატრეფიკინგო ქსელის გამტარი რგოლი იყო:

- თბილისი-ბათუმი-თურქეთი-ემირატები - ასეთი იყო მარშრუტი, რომლითაც ადგილობრივი, აგრეთვე აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ჩამოყვანილი ქალები მუსლიმანურ ქვეყნებში გაჰყავდათ. თურქეთში სისტემის მთავარი რგოლს სათავეში ედგა ასაკოვანი ქალი, ვინმე მანუკიანი, რომელსაც პოლიციაში თავისი ხალხი ჰყავდა. თუმცა, საბოლოოდ, მაინც დააკავეს და როგორც შევიტყვეთ, ციხეში გარდაიცვალა. არალეგალურად გადაყვანილთა შორის ბევრი დევნილი იყო. ისეთი სიტუაციაც მახსოვს, როდესაც ტრეფიკიორებს გამოქცეული ქართველი ქალები ქუჩაში დადგნენ და ფეხზე „სამი ლარი“ დაიწერეს. გაჭირვებამ ხალხი ისეთ დღეში ჩააგდო, რომ 1990-1995 წლებში ვაგზლის მოედანზე ბიოლოგიური მშობლები თავისი ხელით აბარებდნენ არასრულწლოვან გოგონებს ტრეფიკორებს. ამაზე 90-იან წლებში ბეჭდურ მედიაში უამრავი მასალა გავუშვით. მახსენდება შემთხვევა,

რომლის თაობაზე უშიშროებასაც შევატყობინეთ: ერთ-ერთი სოფლიდან გოგონა დაიკარგა. კარგა ხანს არ იცოდნენ, სად იყო; მერე კი ვიღაც მამაკაცის ხელით ფურცლის ნაგლეჯზე ბებიას წერილი გამოუგზავნა: საშინელ დღეში ვარ, გამომკეტეს, შენ ბოსელში ცხოველები რომ გყავს, იმაზე უარესად მექცევიან. შემოდიან ვიღაც ბებერი კაცები, მაუპატიურებენ, მცემენ, ხანდახან კი საჭმელს მაჭმევენო. ეს ბავშვი დაიკარგა, მის გზა-კვალსაც ვერ მიაგნეს. როგორც წესი, ასეთი იყო ტრეფიკინგის მსხვერპლის ცხოვრების ფინალი. ანტიტრეფიკინგული კანონმდებლობის მიღება გაჭიანურდა იმიტომ, რომ შევარდნაძის რეჟიმს არ აწყობდა მისი არსებობა. ყველა ჩრდილოვან ბიზნესს, იქნებოდა ეს ტრეფიკინგი, თუ ნარკოტიკებით ვაჭრობა, უშიშროების ხალხი ლობირებდა.

1997 წლის აპრილში ვესაუბრე **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს (ყოფილი ნარკომანიის და პროსტიტუციის განყოფილება) უფროსს გოჩა სისაურს** და ამავე რგოლის **განყოფილების გამგეს რეზო სულაქველიძეს.** გასვლითი პროსტიტუცია მათ შეაფასეს როგორც ქვეყნის წინაშე მდგომი ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა. თვალსაჩინოებისთვის კი გამაცნეს მასალები, რომელთა წაკითხვისას თმები ყალყზე დამიდგა. ნიჭიერი კინორეჟისორი ამ მასალებზე დაყრდნობით საშინელებათა ფილმს გადაიღებდა. ჩემს თვალწინ აღიმართა ოთხი მონსტრი, ოთხი მდედრობითი სქესის სისხლისმსმელი „ობობა“; სამს თურქეთში ჰქონდა გაბმული ქსელი, ხოლო ერთს - ემირატებში. ამ ქსელში უამრავი ქალი გაიხლართა. მათ მრავალჯერ დაცდილი სქემით აბამდნენ: დასაქმების დაპირება, საზღვარგარეთ ჩაყვანა, დაშინება, არაადამიანური ექსპლოატაცია და ბოლოს პირში ჩალაგამოვლებული გამოპანღურება, ან სულაც უპასპორტოდ და უსახსროდ მიგდება. ეს იყო კონვეიერივით აწყობილი და კარგად ორგანიზებული სისტემა. „მამაშები“ წარმატებით „უძღვებოდნენ“ ბიზნესს არა მარტო საქართველოში, არამედ ემირატების და აგრეთვე თურქეთის სასტუმროებში. ძალოვან სტრუქტურებშიც თავისი ხალხი ჰყავდათ.

ყველაფერი იწყებოდა „მამაშას“ მიერ კარგად ორგანიზებული აგენტურის მიერ სოციალურად შეჭირვებული ახალგაზრდა ქალის გამოვლენით. აგენტების როლში გამოდიოდნენ ქალის მეზობლები, ნათესავები, დაქალები; ანუ ადამიანები, რომლებსაც მონიშნული მსხვერპლი ენდობოდა. დაყოლიების მეთოდი შეირჩეოდა კონკრეტული სიტუაციის და პოტენციური მსხვერპლის ხასიათის მიხედვით. ხანდახან ქალს სხეულით ვაჭრობით ფულის შოვნის წინადადებას პირდაპირი ტექსტით აძლევდნენ. უფრო ხშირად კი, უბრალოდ, ატყუებდნენ, ანუ კარგ სამსახურში მოწყობას პირდებოდნენ. „მამაშა“ თავიდან „კეთილი ფერიის“ როლში ევლინებოდა, თავის ხარჯზე უფორმებდა დოკუმენტებს (როცა გექნება, ფულს მაშინ დამიბრუნებო), თან პასპორტს ხელში არ აძლევდა, რომ ქალი მასზე ყოფილიყო დამოკიდებული; ადგილზე ჩასვლისას კი ფაქტის წინაშე აყენებდა. მსხვერპლი „მამაშას“და მისი ამფსონების წინაშე უძლური იყო, ვინაიდან „წელში გატეხვის“ ტექნიკა კარგად ჰქონდათ დამუშავებული. ამასთან ადგილზე ყოველთვის ჰყავდათ ხელშემწყობი პირები: პოლიციის თანამშრომლები, სასტუმროს მეპატრონეები და ა.შ. ურჩობის შემთხვევაში ქალს აპატიმრებდნენ და მეძავობისთვის ასამართლებდნენ.

მსხვერპლზე ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ფორმა იყო შან-

ტაჟი. ქალის ოჯახის წევრებს, როგორც წესი, ეგონათ, რომ სამუშაოდ იყო წასული. „მამაშა“ ამას ჩინებულად იყენებდა: ნუ მეურჩები, თორემ აქ ყოფნის „შელამაზებულ“ ვერსიას შენს ოჯახს შევატყობინებო. კიდევ უფრო სასტიკი მეთოდი იყო პასპორტით მანიპულირება. „მამაშა“ ქალს ემუქრებოდა, რომ გაყიდდა მის პასპორტს და, ავტომატურად, მყიდველის საკუთრება გახდებოდა; ანუ, მეძავისა და „მამაშას“ ურთიერთობა იყო „მონათმფლობელი-მონას“ ტიპური დამოკიდებულება, თანხმლები ცემით, შეურაცხყოფით და ა.შ. ამ კატეგორიის მეძავთა ანაზღაურება იმ წლებში მერყეობდა ათი დოლარიდან ასორმოცდაათამდე, საშუალოდ, კი, ოცდაათს დოლარს უდრიდა. კლიენტთა დღიური რაოდენობა დამოკიდებული იყო ქალის მონაცემებზე, კონკრეტულ სიტუაციაზე და „მამაშას“ სიხარბეზე - ანგარიშსწორება მასთან ხდებოდა. ქალს ფულს ხელში არც აძლევდნენ და გამომუშავებული თანხიდან მხოლოდ მათხოვრული პროცენტი რჩებოდა. საბოლოოდ, თვიური ხელფასი რაღაც 200-300 დოლარამდე მერყეობდა, მაგრამ ამასაც არ აძლევდნენ.

როდესაც „მამაშა“ მისგან სასურველ თანხას ამოქაჩავდა, ქალს „ჩაწყობილ“ რეიდში მოაყოლებდა და ციხეში უშვებდა, ან თავლაფდასხმულს საქართველოში აბრუნებდა. ხშირი იყო ქალების უგზო-უკვლოდ დაკარგვის ფაქტები. ანუ ახლობლები ეძებდნენ, მაგრამ მის კვალსაც ვეღარ პოულობდნენ. პუბლიკაციის მომზადების მომენტში **რეზო სულაქველიძისთვის** ოთხი ასეთი ფაქტი იყო ცნობილი. ხშირად პასპორტში შავ ჯვარს უსვამდნენ. ამის შემდეგ თურქეთში ცხვირსაც ვეღარ შეყოფდა.

აი რამდენიმე ტიპური ისტორია:

ი. ჟ. – 21 წლის, ქმართან განქორწინებული. როდესაც უკიდურესად გაუჭირდა, კლასელმა გოგონამ შესთავაზა - ჩემს ნაცნობ ქალებთან მიგიყვან და საზღვარგარეთ სამუშაოდ მოგაწყობენო. კერძოდ, რესტორანში ოფიციანტობა შესთავაზეს. ამ ქალებმა ძირითად დამქირავებელთან, ვინმე ა-სთან დააკავშირეს, რომელმაც პასპორტი ერთ დღეში გაუკეთა და მეორე დღესვე ორ სხვა გოგონასთან ერთად **თურქეთის** გზას გაუყენა. იქ სამივე ერთ სასტუმროში მოათავსა. ამის შემდეგ ა.-მ „კეთილი ფერიის“ ნიღაბი ერთბაშად მოისროლა და ი.ჟ-ს უბრძანა მამაკაცს ნომერში წაჰყევიო. რა თქნა უნდა, „ტვინის გამორეცხვაც“ არ დააკლო. გოგონა შეშინდა და კლიენტს ტირილ-ტირილით გაჰყვა, მაგრამ როდესაც მამაკაცთან მარტო აღმოჩნდა, გაჯიუტდა და არ დანებდა. „სასჯელმაც“ არ დააყოვნა - მეორე დღესვე პოლიციის რეიდში მოაყოლეს, რის შემდეგაც ქვეყანაში შესვლის აკრძალვით საქართველოში იქნა გადმოყვანილი. თბილისში ტრეფიკიორის ქმარი მოადგა და ლანძღვა-გინებით აიკლო - ფული ტყუილად დაგახარჯეთო. ბოლოს კი ყალბი პასპორტით თურქეთში დაბრუნება შესთავაზა. თანხმობის შემთხვევაში გოგონა ა-ს ყურმოჭრილი მონის როლში აღმოჩნდებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, თავი ხელში აიყვანა და პოლიციას მიმართა. ი.ჟ-ს სიტყვით იმ ორ ქალმა, რომლებმაც ა-ს დააკავშირეს, მისი „აღმოჩენისთვის“ ტრეფიკიორებისგან 300 დოლარი გასამრჯელო მიიღეს.

ი. დ. – 27 წლის. ა-მ მასაც ჩაავლო კლანჭები და სასტუმროში იძულებით „ამუშავა“, ბოლოს არც გასამრჯელო მისცა და პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.

ვ. ვ. – 29 წლის. ვინმე **ს. ს.-მ** მოატყუა, თურქეთში სასტუმროს დამლაგებლად მოგაწყობო. ტრეფიკიორმა მომავალ მსხვერპლთან ამ შემთხვევაშიც „კეთილი

ფერიის“ ნიღაბი მოირგო; თავდაპირველად დამშეულ ქალს ფინანსურად დაეხმარა და ტანსაცმელიც კი უყიდა. ასე დაბრმავებული ჩაიყვანეს ადგილზე. იქ კი აუხსნეს, რა შედიოდა მის მოვალეობებში. ქალის თავზარი დაეცა და უარი განაცხადა. მაშინ ს.ს.-მ თავისებურად „ჭკუა დაარიგა“: სასტიკად სცემა და აგინა. ბოლოს ვ. ვ. მის ნებას დაემორჩილა, მაგრამ ასეთ ცხოვრების წესს ფიზიკურად ვერ გაუძლო და ერთი თვის შემდეგ დასნეულდა. ს.ს. გააცოფა ამ ფაქტმა - ეგონა ქალი თავს ძალით იავადმყოფებდა და სასტიკად სცემა. როცა დარწმუნდა, რომ ვ.ვ.-ს მართლა არ შეეძლო „მუშაობა“, „მოწყალება“ გაიღო - გზისთვის 70 დოლარი მისცა და გამოაპანღურა.

30 წლის მ.ი-ს უფროსი და თურქეთში იყო წასული და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ს.ს. მ.ი-ს თურქეთში სამსახურში მოწყობას და დის მოძებნაში დახმარებას შეპირდა. ქალმა იფიქრა - ბედს ვეწიე, ვიმუშავებ და თან დასაც მოვძებნიო. ს.ს.-მ გზის ფული ასესხა, დოკუმენტებიც თავის ხარჯზე გაუკეთა - მერე დამიბრუნებო. დოკუმენტი, ცხადია, ხელში არ მისცა. ადგილზე კი მოვლენები ჩვეული სცენარით განვითარდა: მ.ი. გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდა. ერთადერთი „პლუსი“ ის იყო, რომ დის ამბავი შეიტყო: ისიც ს.ს.-ს მსხვერპლი აღმოჩნდა. თურმე იმავე სასტუმროში ჰყავდა გამოკეტილი და ბოლოს ნივთივით ვიღაც თურქ მამაკაცს მიჰყიდა. საბოლოოდ მ.ი-მ დას მაინც ვერ მიაგნო.

კიდევ უფრო საშინელი სიტუაცია იყო **ემირატებში**. საქართველოს სიშორით დაიმედებული „მამაშები“ იქ განსაკუთრებული სისასტიკით და ცინიზმით მოქმედებდნენ. მსხვერპლის ხელში მოგდების სქემა კი ანალოგიური იყო: „კეთილი ფერიის ნიღბით“ ქალისათვის საზღვარგარეთ სამუშაოს შეთავაზება, ემირატებში მოტყუებით გადაყვანა და „აღმზრდელობითი ღონისძიებების“ შემდეგ „საშოვარზე“ გაშვება. ქმარშვილიანი ქალი **ე.ლ**. სწორედ ასე გააცურეს. **ს.-მ** ყველა ღონე იხმარა მისი მორალური განადგურებისთვის, ცემა და შიმშილით წამება არ დაუკლია. ბოლოს ე.ლ. ბედს შეურიგდა. როდესაც აღმოჩნდა რომ ფეხმძიმედ იყო, „მამაშა“ გაცოფდა, მორიგი „ეგზეკუცია“ მოუწყო და „საქმიანობის“ გაგრძელება აიძულა. ქალი იძულებული გახდა შვიდი თვის განმავლობაში მომსახურებოდა კლიენტებს. როცა ნაადრევი მშობიარობა დაეწყო, ლ.ს.-მ ექიმიც კი არ გამოიძახა, თავზე დაადგა და ცემის მუქარით აიძულა, რომ ჩუმად ემშობიარა. მერე ჭიპლარი თავისი ხელით გადაჭრა და ჩვილი ტუალეტში ჩააგდო. მშობიარობიდან ორი-სამი დღის შემდეგ ე.ლ. ისევ „სამუშაოდ“ გაუშვეს, მაგრამ ფიზიკურად ვერ გაუძლო და დასნეულდა. ლ.ს. მიხვდა, რომ ქალი ვეღარ „გაქაჩავდა“, ამიტომ უპატრონოდ მიაგდო და თბილისში დაბრუნდა. არაადამიანური დამცირების ფასად ე.ლ-მ მაინც მოახერხა თბილისში დაბრუნება. აეროპორტში კი ლ.ს.-ს საყვარელი დახვდა თავისი დამქაშებით და ანგარიშსწორების მუქარით გაჩუმება უბრძანა.

საშინელი წამება გამოიარა **ლ.ს.-ს** ხელში **36 წლის ლ.ბ.-მ.** მას თავიდანვე უთხრეს, რა საქმეზე ეპატიჟებოდნენ; თანაც „ანუგეშეს“ - ერთი მუდმივი კლიენტი გეყოლებაო; მერე კი ქუჩაში გაამწესეს. ურჩობის შემთხვევაში „ჭკუაზე მოსაყვანად“ ქალებს სასტიკად სცემდნენ და ოთახში მშივრებს კეტავდნენ. „სამუშაო დღის“ შემდეგ ვალდებულნი იყვნენ ფული „მამაშისთვის“ ჩაებარებინათ. ლ.ს. აშიშვლებდა და ისე ჩხრეკდა. თუკი ვინმეს ფულის გადამალვაზე გამოიჭერდა, სასტიკად უსწორდებოდა. ლ.ბ.-მ ამდენ ტანჯვა-შეურაცხყოფას ვერ გაუძლო და ფანჯრიდან

გადმოხტა, მაგრამ „გადარჩა“.

მასალების წაკითხვის შემდეგ, ცხადია, დავინტერესდი რა ზომები იქნა მიღებული. სისაურმა და სულაქველიძემ მიპასუხეს, რომ მატერიალური და ფიზიკური რესურსების არასაკმარისობის გამო, სამართალდამცავი ორგანოები მოკლებულნი იყვნენ მოვლენებზე რაიმე ქმედითი ზეგავლენის საშუალებას. გამოძიება გულისხმობს საჭირო ფაქტების მოკვლევას, მეთვალყურეობის წარმოებას, საჭიროების შემთხვევაში, ზედამხედველობის განხორციელებას; ამისათვის კი აუცილებელია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის და მუშაკთა კონტინგენტის არსებობა. ნარკომანიის და პროსტიტუციის განყოფილებისთვის სახელის შეცვლამ კი ავტომატურად განაპირობა ასეთი რგოლის გაუქმება. ანუ პროსტიტუციის კუთხით მუშაობა ამ განყოფილების კომპეტენციიდან ამოვარდა.

დოკუმენტებში მოწოდებული ფაქტები მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მუშაკთა პირადი ინიციატივით იქნა მოკვლეული და შსს-ს ხელმძღვანელობაც საქმის კურსში ჩააყენეს. რეაგირების შეუძლებლობის გამო ყველა მასალა დროებით დაკონსერვებული იყო. შეკითხვაზე სადამდე გაგრძელდებოდა ეს „დროებით“, სულაქველიძემ და სისაურმა მიპასუხეს, რომ ეს თავადაც აინტერესებდათ.

დანაშაულებრივი გულგრილობა?..

2001 წლის 21 თებერვალს „მიგრანტთა და უცხოელ მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის ცენტრმა“ ტრეფიკინგით დასაზარალებულ მოქალაქეთა ჯგუფთან ჟურნალისტების შეხვედრა მოაწყო. ორგანიზაციამ შეხვედრაზე მოიწვია **შსს-ს, პროკურატურის და უშიშროების სამინისტროს** წარმომადგენლები, მაგრამ მათ მობრძანებისგან რატომღაც თავი შეიკავეს. საქმე ეხებოდა **შპს „შავი ცხენის“** თაღლითურ მოღვაწეობას. **შპს-ს დირექტორმა, ვინმე მარინა სინჯიაშვილმა 2000 წლის 16 ოქტომბერს ბულგარეთში** გაამგზავრა მოქალაქენი, რომელთაც, ხელშეკრულების თანახმად, ადგილზე შრომით მოწყობას შეპირდა. ლაპარაკი იყო ქათმების შეფუთვაზე და სხვა ელემენტარულ სამუშაოებზე თვეში 500 დოლარის ანაზღაურებით. ფირმა კისრულობდა ხალხის სასტუმროში დაბინავებას სამჯერადი კვებით. ხელშეკრულების თანახმად კლიენტებს ფირმისთვის უნდა გადაეხადათ 500 დოლარი. აქედან 60% ხელმოწერისას, ხოლო დანარჩენი - გამგზავრების წინ.

ალბათ, მკითხველი უკვე მიხვდა, რომ ხელშეკრულების არც ერთი მუხლი (გარდა სასტუმროში დაბინავებისა) არ შესრულებულა. ადგილზე ჩასვლისთანავე მარინა სინჯიაშვილმა და მისმა დამქაშმა **რამაზ ფირცხალავამ** კლანჭები გამოაჩინეს. შანტაჟი, დამცირება, შეურაცხყოფა - არაფერი დააკლეს თავგზააბნეულ ადამიანებს. ფირცხალავა ქურდი ძმაკაცებით აშინებდა - ვინც ჭკუით არ იქნება, საქართველომდე „ტრუსიკიანს“ ვარბენინებო. ბოლოს, ზოგს ერთი-ორი კაპიკი მიუგდეს და უკან წამოიყვანეს. ნაწილი კი საკუთარი ხარჯებით წამოვიდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი გაირკვა, რომ დაზარალებულთათვის თანხის დაბრუნებას არავინ აპირებდა. სინჯიაშვილი აქეთ იმუქრებოდა: ფეხებსაც ვერ

მომჭამთ, პროკურატურა 9 ათას დოლარად „მოვჩანგლეო“. სინჯიაშვილი არცთუ უსაფუძვლოდ იყო დიდ გულზე.

აი რა მითხრა შპს „შავი ცხენის“ მიერ **დაზარალებულმა ელენე ქევხიშვილმა:**

- შეტანილ განცხადებაზე რატომღაც **არასრულწლოვანთა და სტუდენტ ახალგაზრდობას შორის დამნაშავეობასთან ბრძოლის დეპარტამენტის უფროსმა რ. ფაილოძემ** მიპასუხა. მან გვამცნო, რომ მოქალაქე სინჯიაშვილის მოქმედებაში „არ შეინიშნება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, ხოლო თანხის საკითხი წარმოადგენს სამოქალაქო დავას“ და გვირჩევს მივმართოთ სასამართლოს.

ანალოგიური პასუხი მოუვიდა **დაზარალებულ მაია გოგოლაძეს.** სხვები პასუხის ღირსადაც არ ჩათვალეს. სასამართლოსაც დაზარალებულთა დაცვით თავი არ აუტკივებია. როდესაც **სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ გიორგი ღლონტს** სიტუაციის სამართლებრივი შეფასება ვთხოვე, მან ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ შპს „შავი ცხენის“ მოღვაწეობა ატარებდა თაღლითობის ყველა ნიშანს. შპს გაფორმებული იყო როგორც ტურისტული ფირმა, ამდენად, შრომითი მოწყობის დაპირება უკვე დანაშაული იყო. ზოგადად, თაღლითობა ყოველთვის ძნელი გამოსაძიებელია, მაგრამ, ამ შემთხვევაში არსებობდა ხელმოწერილი დოკუმენტი - ხელშეკრულება ბულგარეთში გადაყვანის და დასაქმების შესახებ. ამდენად, კანონით სრულიად გამართლებული იქნებოდა ფირმის მესვეურთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. სამართლებრივი ბაზის არარსებობა ამ შემთხვევაში მხოლოდ თავის დაძვრენის საბაბი იყო, ვინაიდან აბსოლუტურად საფუძვლიანად შეიძლებოდა თაღლითობის მუხლის გამოყენება. **საია-ს იურისტმა ნინო ბაქაქურმაც** ანალოგიურად შეაფასა სიტუაცია: შრომითი მიგრაციის კანონის არარსებობის პირობებში დასაქმების შეთავაზება უკვე იყო უკანონო ქმედება. ასეთი კანონის არსებობის შემთხვევაშიც ტურისტულ ფირმას არ ჰქონდა დასაქმების შეთავაზების უფლება. ანუ მოქმედი კანონმდებლობა იძლეოდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საშუალებას.

სამართალდამცავთა რეაქცია შპს „შავი ცხენის“ დანაშაულზე ნათლად წარმოაჩენს, რამდენად გაუჭირდებოდათ დამნაშავეთა ბრალეულობის დამტკიცება ტრეფიკინგის მსხვერპლ ქალებს, რომელთა შესახებ წინა თავში გიამბეთ.

საინტერესო დეტალი: 1994 წელს საქართველო შეუერთდა გაეროს კონვენციას ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ხოლო 1999 წელს - ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციას. აღნიშნული დოკუმენტები პირდაპირი ტექსტით გვავალდებულებდნენ შრომითი მიგრაციისა და ანტიტრეფიკინგული კანონმდებლობის მიღებას, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევამდე პროცესი უსაშველოდ გაიწელა. ჩნდება კითხვა - რატომ?



ამ კითხვით მივმართეთ **საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში ბ-ნ ალექსანდრე ნალბანდოვს,** რომელიც **2000 წლის დასაწყისიდან ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში ადამიანის უფლებათა განყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა,** ხოლო როდესაც განყოფილება **ადამიანის უფ-**

ლებათა დაცვის დეპარტამენტად გადაკეთდა, **დირექტორის მოადგილე** გახდა:

- საქართველო ამ დროისთვის უკვე მიერთებული იყო გაეროს კონვენციებს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის და ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. კონსტიტუციის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებას შიდა კანონმდებლობასთან შედარებით უპირატესი იურიდიული ძალა აქვს და პირდაპირ გამოყენებას ითვალისწინებს. შესაბამისად, იმპლემენტაციას შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტების მიღება არც სჭირდება. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში **2000 წლიდან** ჩავერთე, ამიტომ მიჭირს იმაზე პასუხის გაცემა, რამ შეუშალა ხელი ანტიტრეფიკინგული კანონმდებლობის მიღებას 90-იან წლებში. შემიძლია გითხრათ, რა სიტუაცია იყო **2000 წლისთვის** და შემდეგ რა ნაბიჯები იქნა გადადგმული. ჩემს საქმიანობაში ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრით ვიყავი დაკავებული, მათ შორის ტრეფიკინგის საკითხებითაც და არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ჭრილში. იმ წლებში **ქ-ნ რუსუდან ბერიძის** ხელმძღვანელობით **უშიშროების საბჭოში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კომისია** ფუნქციონირებდა. არსებობდა მოქმედების ეროვნული გეგმებიც. ამ მხრივ ინტენსიური თანამშრომლობა გვაკავშირებდა საქართველოში ეუთოს **(OSCE - ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია)** მისიასთან, რომლისთვისაც ტრეფიკინგის პრობლემა საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტული მიმართულება იყო. ჩვენი საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ **აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი** ყოველწლიურად ამზადებს ანგარიშს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით არსებული ვითარების შესახებ. **2000 წლისთვის** ამ ანგარიშებში საქართველოს მისამართით უარყოფითი შეფასებები იყო დაფიქსირებული. ანტიტრეფიკინგული ღონისძიებებისა და კანონმდებლობის კუთხით ვითარების მხრივ ამ ანგარიშში ქვეყნები სამ ჯგუფად („კალათად") ლაგდება. აქედან ყველაზე ცუდი მესამე „კალათაა": იქ მოხვედრა ნიშნავს, რომ ქვეყანაში ტრეფიკინგი არსებობს, მაგრამ სახელმწიფო ვერ, ან არ იბრძვის მის წინააღმდეგ. აუცილებელი იყო ამ სიტუაციის გამოსწორება, ვინაიდან ტრეფიკინგი არა მარტო ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს აზარალებდა, არამედ ყოველგვარი სამართლებრივი თუ პრაქტიკული დაცვის გარეშე ტოვებდა ტრეფიკინგის მსხვერპლს. ამასთან, გადაუჭრელ პრობლემა იყო ტრეფიკინგის ჩამდენი პირის პასუხისგებაში მიცემა, რაც ხელს უწყობდა დაუსჯელობის სინდრომის ჩამოყალიბებას. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს წარუმატებლობა და/ან უუნარობა ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებში, ნეგატიურად აისახებოდა იმ საერთაშორისო დახმარებაზე სხვადასხვა სფეროში, რომელიც ქვეყანას ესოდენ სჭირდებოდა და რომელიც, შესაძლოა, ამის გამო აღარც მიეღო.

წიგნის წერის პროცესში შევხვდი მარი მესხს (უწყებათაშორისი კომისიის „ევროკავშირი - გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად" პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე), რომელმაც გვითხრა, რომ სახელმწიფო დონეზე სერიოზული ბარიერები, ცხადია, არსებობდა; თუმცა მხოლოდ საქართველო არ ჰქონდა მხედველობაში. პრობლემამ ამ მასშტაბებს იმიტომ მიაღწია, რომ ტრეფიკინგს ჰყავს მფარველები, რომლებიც რეაგირების მექანიზმებს გასაქანს არ აძლევენ.

...და ისევ არასამთავრობო სექტორი

წოვინარ ნაზაროვა („ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობის საზოგადოების" საბჭოს თავმჯდომარე) სამართლიანად აღნიშნავს, ადამიანთა ვაჭრობა „ყვავის" იქ, სადაც „ყვავის" კრიზისი და უმუშევრობა, ხოლო სახელმწიფო ვერ იცავს თავის მოქალაქეებს. გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო ადამიანთა ვაჭრობის მარშრუტში სატრანზიტო დერეფანი, აგრეთვე საწყისი და დანიშნულების პუნქტია, რაც ძალზე ართულებდა და ართულებს ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლას.

ძალიან საგულისხმოა, რომ ტრეფიკინგის შემთხვევაშიც განგაშის ზარი პირველად არასამთავრობო სექტორმა შემოჰკრა. **1998 წელს ამუშავდა ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო" ქალთა პროგრამა.** მისი ინიციატივით, საქართველოში პირველი ანტიტრეფიკული პროგრამის განხორციელებას მოჰყვა ხუთი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერების გადამზადება ქალთა უფლებების ექსპერტებად (**წოვინარ ნაზაროვა, ნატო შავლაყაძე, ია ვერულაშვილი, მარინა მესხი და ხათუნა სანიკიძე)**. 1999 წელს, ამავე პროგრამის მხარდაჭერით, საქართველოში უკვე ტარდება საინფორმაციო შეხვედრები და კონსულტაციები, იბეჭდება და ვრცელდება ბროშურები ადამიანებით ვაჭრობის საფრთხესთან დაკავშირებით.

2003 წლის ივნისში აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც, **„ადამიანით ვაჭრობისა და ძალადობისგან დაცვის 2000 წლის აქტის (TVPA)"** საფუძველზე, საქართველო მესამე დონის ქვეყანათა ჯგუფში „შეყვანის" საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. მესამე ჯგუფს მიკუთვნებული ქვეყნები სრულად ვერ აკმაყოფილებენ **TVPA-ში** მითითებულ მსხვერპლთა დაცვის მინიმალურ სტანდარტებს, და, ამავე დროს, არც მუშაობენ იმისთვის, რომ ამ სტანდარტებს მიუახლოვდნენ. მესამე ჯგუფში მოხვედრის თავიდან ასაცილებლად საქართველოს ხელისუფლებამ აღიარა ქვეყანაში ადამიანებით ვაჭრობის პრობლემის არსებობა და სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანა შესაბამისი დამატება, რაც ძალაში **2003 წლის 10 ივლისიდან** შევიდა.

სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების ინტენსიურმა მუშაობამ, რომელიც ეუთოს მისიის მხარდაჭერით 2003-2006 წლებში განხორციელდა, ტრეფიკინგთან დაკავშირებული საერთაშორისო საკანონმდებლო დოკუმენტების რატიფიცირების, და შესაბამისი ეროვნული რეფერალური მექანიზმის მიღების საქმე დაჩქარა. შემუშავდა „ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმა", რომელიც, თავისი #623 განკარგულებით, საქართველოს პრეზიდენტმა 2004 წლის 29 დეკემბერს დაამტკიცა. 2006 წლის 28 აპრილს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა „საქართველოს კანონს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ".

ტრეფიკინგის პირველი ოფიციალურად აღიარებული ფაქტი საქართველოში

ზემოაღნიშნული კანონის მიღებამდე - **2004 წელს** გამოვლინდა. **ცენტრალური აზიის** ქვეყნიდან გადმოყვანილი 14 დაზარალებული ქალი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაშინ სპეციალიზირებული თავშესაფარი არ არსებობდა, ხოლო ორგანიზაციას, რომელმაც ისინი შეიფარა, არ გააჩნდა შესაფერისი პირობები და რესურსები. მაშინ ფონდის **„ღია საზოგადოება - საქართველო“ ქალთა პროგრამამ, ფინანსური ოფისის თანამშრომელთა** დახმარებით, ერთ ღამეში მიიღო გადაწყვეტილება და შესაბამისი სახსრები დაზარალებულთათვის ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად იმ პერიოდისთვის, რაც ამ ქალებს გამოძიების დასრულებამდე საქართველოში უნდა გაეტარებინათ.

ნატო შავლაყაძე, „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ თავმჯდომარე, იხსენებს:

- ჩვენი ორგანიზაცია, კოლეგებთან ერთად, **1998 წლიდან** იბრძოდა ანტიტრეფიკინგული კანონის მისაღებად. შესაბამის უწყებებს მაგიდაზე კონკრეტული ფაქტებიც დავულაგეთ, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენელნი მაინც გაიძახოდნენ - ყურით მოთრეული თემაა. საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა რომ არა, ანტიტრეფიკინგული კანონმდებლობის მიღებას კიდევ კარგა ხანს გააჭიანურებდნენ. მე და ჩვენი ორგანიზაციის **იურისტი გია გოგიბერიძე** ვიყავით ჯგუფში, რომელიც კანონპროექტზე მუშაობდა. შემიძლია არაერთი ფაქტის გახსენება, როდესაც ქალები ხიფათს ბეწვზე გადარჩნენ. **2004 წელს ცენტრალური აზიიდან გადმოყვანილი 14 გოგონა** რომ გაანთავისუფლეს, ცხრა მათგანი მოათავსეს ჩვენს თავშესაფარში, დანარჩენები კი სხვაგან გადაანაწილეს. სახელმწიფო ფონდის გახსნამდე თავშესაფარში ტრეფიკინგის მსხვერპლთა განთავსების ოცამდე შემთხვევა გვქონდა. სახელმწიფო თავშესაფარში მოსახვედრად დაზარალებულს ტრეფიკინგის მსხვერპლის საგანგებო სტატუსი უნდა ჰქონოდა. ამიტომ, სტატუსს სანამ მიანიჭებდნენ, ეს ხალხი ჩვენთან ცხოვრობდა. ერთ-ერთი ქეისი განსაკუთრებით შემაძრწუნებელი იყო. 25 წლამდე ქალბატონმა ისეთი ჯოჯოხეთი გამოიარა, რომ კინოფილმი გამოვიდოდა. ბეწვზეა გადარჩენილი. ტრეფიკიორები შანტაჟით და დაშინებით არა მარტო სექსბიზნესში ამუშავებდნენ, არამედ ნარკოტრაფიკშიც ჩართეს - აიძულეს უკანა ტანით ნარკოტიკი გადაეზიდა. ეს ქალი ბოლოს დაიჭირეს, მაგრამ ციხეში ერთბაშად ვერ გაუშვებდნენ, ვინაიდან ჩვილი ბავშვი ჰყავდა. ბავშვი სამი წლის რომ გახდა, ციხეში მაშინ გადაიყვანეს და, ანტიტრეფიკინგული კანონის მიღებამდე, რამდენიმე თვის მანძილზე სასჯელის მოხდა მოუწია. კანონის მიღების შემდეგ ყველაფერი ვიღონეთ, რომ მისი საქმე გადასინჯულიყო და მსხვერპლის სტატუსი მიანიჭეს. ამის შემდეგ შესაძლებლობა მოგვეცა ციხიდან გამოგვეყვანა. კომპენსაციაც მიიღო - ათასი ლარის ოდენობით. ცხადია, ეს მიზერული თანხაა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მეტი არ არის გათვალისწინებული. წარმოიდგინეთ, რა ჯოჯოხეთი გამოიარა: ტრეფიკინგი, დაკავება, მერე, სანამ ბავშვი სამი წლის შესრულდა, ჩვენს თავშესაფარში ყოფნა, მერე ციხე, მერე ისევ თავშესაფარში დაბრუნება... ახლა, საბედნიეროდ, ყველაფერი რიგზე აქვს, ბიზნესიც ააწყო და კარგ კაცსაც გაჰყვა ცოლად. ქმარს ძალიან უყვარს და თავს ევლება.

როგორც ვხედავთ, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარება ძალზე შრომატე-

ვადი და რთული პროცესია, რასაც მაშინ საკანონმდებლო ბაზის არარსებობის გარდა, კიდევ სხვა უამრავი ფაქტორი აბრკოლებდა. მაგალითად, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა. საქართველო, ადამიანებით ვაჭრობის თვალსაზრისით, ერთდროულად წარმოშობის, ტრანზიტისა და დანიშნულების ქვეყანაა, რაც ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლას მნიშვნელოვნად ართულებს.

აი, რას ამბობს ამის შესახებ **წოვინარ ნაზაროვა:**

- ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მოწყვლადია აჭარა: ტურისტული ზონა, საზღვარი თურქეთთან და საზღვაოსნო პორტი. უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში საქართველო დანიშნულების ქვეყანა გახდა ქალთა უკანონოდ გადმოსაყვანად, ძირითადად - ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან. ჩვენს ფილმში **„მონობა აბრეშუმის გზით“** ნაჩვენებია, მოტყუებით როგორ გადმოჰყავდათ ქალები **აჭარაში** და სექსბიზნესში მუშაობას აიძულებდნენ. ამ მდგომარეობამ საზოგადოების ყურადღება განსაკუთრებით **2013 წლის ზაფხულის ბოლოს** მიიპყრო, როცა ამ თემაზე გაჩნდა პუბლიკაციები და სატელევიზიო რეპორტაჟები გონიოდან; ხოლო როცა ბეშუმის ტყეში ადამიანით მოვაჭრე ქალის დაკვეთით მოკლული ახალგაზრდა ქალის გვამი აღმოაჩინეს, პოლიციაც ამოქმედდა. **აჭარის პოლიციის მთავარი სამმართველოს მაშინდელი უფროსის, ვალერიან თელიას** განცხადებით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დამნაშავემ 2012-2013 წლებში ხუთი ახალგაზრდა ქალი, უზბეკეთის მოქალაქეები, მათ შორის - ბეშუმის ტყეში მოკლული, მოტყუებით გადმოიყვანა საქართველოში, და ღამის კლუბებში ძალით ამუშავებდა. ჩვენთვის სხვა შემთხვევებიცაა ცნობილი. ხუთი წლის წინ **უზბეკეთიდან** ჩამოიყვანილი ქალები ცოტა ხანს გონიოში გააჩერეს, მერე კი გადაიყვანეს **თურქეთში,** სადაც სასტუმროში მეძავობას აიძულებდნენ და ისევ გონიოში აბრუნებდნენ. ფულს არ უხდიდნენ - ჯერ უზბეკეთიდან ჩამოყვანის და „დასაქმების“ ვალი უნდა გაისტუმროთო. გოგონები ხმას ვერ იღებდნენ იმის შიშით, რომ ტრეფიკიორი მშობლებს გააგებინებდა მათი საქმიანობის შესახებ. ეს ამბავი გვიამბო ტრეფიკინგის მსხვერპლმა, რომელიც **საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე** დააკავეს. ტრეფიკორებმა თურმე იმ ახალგაზრდა ქალებთან ერთად ჩამოიყვანეს. პასპორტი გადახეული ჰქონდა, ხელზე კი განგრენა ჰქონდა დაწყებული. გოგონა **წითელი ხიდის სასაზღვრო პუნქტის მუშაკთა და სამიგრაციო პოლიციის** ხელშეწყობით ჩვენს ორგანიზაციაში გადმოაგზავნეს. სასწრაფოდ მივიყვანეთ საავადმყოფოში და სიცოცხლის გადასარჩენად ხელის ამპუტაცია ჩაუტარდა. შემდეგ მოვუწყვეთ ინტერვიუ „**ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდში“,** სადაც მან კანონით გათვალისწინებული ყველა სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება მიიღო. გოგონამ ჩვენი დახმარებით დოკუმენტები გააფორმა და შინ დაბრუნდა. ამ სამუშაოს ჩვენი ორგანიზაცია მოხალისეობრივად ასრულებს. სახელმწიფო სტრუქტურები თავად ახორციელებენ ანტიტრეფიკინგულ სამუშაოს, ამიტომ ამ პრობლემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს სახელმწიფოსაგან ფინანსური მხარდაჭერა არ აქვთ. ამ დროს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულს სახელმწიფო სტრუქტურებამდე მისვლა გაუადვილო. საქართველოს მოქალაქენი სამუშაოდ **თურქეთში, რუსეთში,**

საბერძნეთში, იტალიაში და სხვა ქვეყნებში მიემგზავრებიან. მუშაობის უფლების არქონის შემთხვევაში, მარტივად შეიძლება ადამიანებით მოვაჭრეთა ხელში აღმოჩნდნენ, რადგან, როგორც უკანონო მიგრანტები, პოლიციასთან ურთიერთობას თავად გაურბიან. **ადამიანთა უკანონო ტრანზიტი სარფის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე საზღვრის დარღვევის შემთხვევათა დაახლოებით 30%-ს შეადგენს.** ხშირად ეს არიან თურქეთიდან საპასპორტო რეჟიმის დარღვევის გამო დეპორტირებული ქალები, რომლებიც უკან დაბრუნებას მთის ბილიკებით ცდილობენ.

საიას პროექტის კოორდინატორი ნინო ჩიხლაძე აღნიშნავს:

- **2009 წლამდე როგორც საია-ში, ისე ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდში** მომართვიანობა მაღალი იყო. საზღვარგარეთ დასაქმებასთან დაკავშირებით მოქალაქეებს საია-ში უწევდნენ კონსულტაციას, უმოწმებდნენ კონტრაქტებს და ა.შ. ანუ, ფაქტობრივად, ხდებოდა ტრეფიკინგის პრევენცია. უკანასკნელი ცხრა-ათი წელის განმავლობაში ორივე უწყებაში მომართვიანობა დაბალია. მსხვერპლთა რიცხვიც თავშესაფარში ცოტაა. ტრეფიკინგის მიმართულებით დაფინანსების არარსებობის გამო, ვერც ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია სიტუაციას ვეღარ იკვლევს. ამიტომ, ძნელი სათქმელია, მომართვიანობა მსხვერპლთა რიცხვის კლების გამო დაეცა, თუ, უბრალოდ, არ მოდიან. არ მჯერა, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლები არ გვყავს. უბრალოდ, საინფორმაციო კამპანიები აღარ ტარდება, ბროშურები აღარ ქვეყნდება და აღარც სარეკლამო რგოლები ტრიალებს. კანონის მიღების შემდეგ ხალხი აქტიურად მოდიოდა, რაც თბილისში და რეგიონებში ჩატარებული ფართომასშტაბიანი საინფორმაციო სამუშაოს შედეგი იყო.

კანონის მიღების თანმდევი საინფორმაციო აქცია საკმარისი არ არის. საინფორმაციო მუშაობა პერმანენტულად უნდა მიდიოდეს. სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან შეჯანჯღარების გარეშე, არასამთავრობო სექტორის რეკომენდაციებს არ ითვალისწინებს. ამ დროს, არასამთავრობო სექტორი სამთავრობოზე უფრო ახლო ფოკუსით ხედავს სოციალურ პრობლემატიკას, და, ამდენად, რეალობას მორგებული რეკომენდაციების შემოთავაზება შეუძლია. განვითარებულ ქვეყნებში არასამთავრობო სექტორის პროექტებს ხშირად მთავრობა აფინანსებს, ვინაიდან მასში მოკავშირეს და დამხმარეს ხედავს.

ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს

2000 წლის შემდგომ ქვეყნის მაშინდელმა ხელისუფლებამ დააფიქსირა მკაფიო პოლიტიკური ნება კონკრეტული ანტიტრეფიკინგული ღონისძიებების განსახორციელებლად. **2002-2005 წლებში** განხორციელდა ეროვნული სამოქმედო გეგმით „ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ“ გათვალისწინებული ღონისძიებები. დასამალი არ არის, რომ ნამდვილად დაგვიანდა. ეს რომ 90-ან წლებშივე გაე-

კეთებინათ, შესაძლოა, ის ტრაგედიები, რომლის შესახებაც ამ თავის დასაწყისში გაუწყეთ, არც კი მომხდარიყო. ანტიტრეფიკინგული კანონმდებლობის მიღების თანმდევი პერიპეტიები ნათელი მაგალითია იმისა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ოპერატიულობას კანონების მიღების სფეროში. მაგრამ, ცხადია, ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

მოდით, თვალი გადავავლოთ ამ პერიოდში გადადგმულ საკანონმდებლო ნაბიჯებს:

2003 - სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომელთა თანახმად, ადამიანებით და კერძოდ არასრულწლოვნებით ვაჭრობა სისხლის სამართლით დასჯადი გახდა.

2005-2006. - განხორციელდა ეროვნული სამოქმედო გეგმით „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ გათვალისწინებული ღონისძიებები.

2006 - მიღებული იქნა საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

2006 - შეიქმნა ტრეფიკინგის მსხვერპლთა და საუწყებათაშორისო საბჭო. სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებსაც ღონისძიებების გატარება დაევალა.

2006 - გაიხსნა სახელმწიფო თავშესაფარი ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის.

2007-2008 - განხორციელდა ეროვნული სამოქმედო გეგმით „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ გათვალისწინებული ღონისძიებები.

2009 წელს - ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის გაიხსნა სახელმწიფო ფონდი.

2014 წლის 11 აპრილს - საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტებისა და წესის დამტკიცების შესახებ“.

დღესდღეობით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს **მუხლი 143¹-ე - „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“,** აგრეთვე **მუხლი 143²-ე -** „არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“. აღნიშნული მუხლები ადამიანთა ვაჭრობისთვის ითვალისწინებს სასჯელს შვიდიდან - ოც წლამდე. თუ არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილმა დანაშაულმა გამოიწვია მსხვერპლის დაღუპვა, ან დადგა სხვა სახის მძიმე შედეგი, შეიძლება უვადო პატიმრობაც კი იყოს შეფარდებული.

2009 წელს ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდის ხელმძღვანელად დანიშნეს **მარი მესხი,** რომელიც **2003 წელს** მიღებულ ანტიტრეფიკინგულ ნორმებზე მომუშავე ჯგუფის წევრი გახლდათ:

- კანონში გაწერილი წესის თანახმად ჩვენთან აგზავნიდნენ ყველას, ვისაც შსს-ს მიერ მსხვერპლის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული. გათვალისწინებული იქნა ის უდიდესი სტრესი, რომლის ქვეშაც ტრეფიკინგგამოვლილი ადამიანები იმყოფებოდნენ. მათ ძალიან ეშინოდათ ტრეფიკიორების მხრიდან შანტაჟის, ჯანმრთელობის დაზიანების და სიცოცხლის მოსპობის. ამიტომ მსხვერპლის სტატუსის მინიჭება არ იყო აუცილებლობით მიბმული სამართალდამცავებთან თანამშრომლობაზე. ფონდის შექმნის შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში, ორი თავშესაფარი გაიხსნა და აშშ-ს მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებში ჩვენი ქვეყანა „პირველ კალათში“ გა-

დავიდა. ტრეფიკინგის მსხვერპლები იყვნენ როგორც ქალები, ისე მამაკაცებიც. იყო წლები, როცა თავშესაფარში მამაკაცი მეტი გვყავდა და პირიქით. გააჩნია შრომითი ექსპლოატაციის რომელ ფორმასთან გვქონდა საქმე. მშენებლობაზე, მაგალითად, ძირითადად, მამაკაცები შრომობენ. სექს-ბიზნესში კი ზრდასრული ქალები არიან მსხვერპლის როლში; ზოგადად, მსხვერპლთა შორის მამაკაცთა რიცხვი ქალთა რიცხვს ბევრად არ ჩამოუვარდება.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდი ტრეფიკინგის მსხვერპლს სთავაზობს თავშესაფარში განთავსებას 3 თვემდე ვადით, აგრეთვე ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას, სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღებას, სამართლებრივ დახმარებას, ერთჯერად ფულად კომპენ-საციას, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურებას.

მოქმედებს ცხელი ხაზი 116 006 (ზარი უფასო და ანონიმურია).

თავი მეოთხე

სექსი

და

საქართველოს საზოგადოება

გამოღმით მე ვარ, გაღმა - შენ
შუაზე მოდის მდინარე,
ხიდი არ გვიძე წყალზედა,
ფიქრი გვკლავს მოუთმინარე.
მინდა გაკოცო, მაკოცო,
შენს სახეს ვხედავ მღიმარეს,
მაგრამ ვერსაით გამოვედ
ამ სატიალო მდინარეს.
მეც უნავო ვარ, შენაცა,
ცურვა არ ვიცით, ვტირითა;
მეშველიც არვინ გვიჩნდება
არც ციდან, აღარც ძირითა,
შენ მე მიმელი, მე - შენა
გაცინებული პირითა.
ვეღარც ხმას გაწვდენ, გითხრა რამ,
მდინარე ბრაზობს, ღრიალებს,
ჩემს ძახილსა ნოქავს მის ზვირთი,
როგორ შავადა ტრიალებს!..
რა უნუგეშო ყოფნაა,
წელთა სვლა მხოლოდ მზერაში;
რომ მოვკვდე, ბევრით ჭკობია,
მაინც გარგივარ ვერრაში!..
არა, ის მინდა, გხედავდე,
ნუგეშსა ვპოვებ ცქერაში.

ვაჟა-ფშაველა

ის, რაზედაც არ ლაპარაკობდნენ

ალბათ, არც არსებობს საქართველოში ადამიანი, ვისაც არ სმენია ვაჟა-ფშაველას პოეტური სულის ეს ულამაზესი ქმნილება და მის საფუძველზე შექმნილი ასევე ულამაზესი სიმღერა. მაგრამ შინაარსს თუ ჩავუღრმავდებით, მოულოდნელ აღმოჩენას გავაკეთებთ: მშვენიერი ლირიკული საბურველის მიღმა სექსუალური აკრძალვებით შებოჭილი ურთიერთლტოლვა იმალება. ზვირთებაშლილი მდინარე, რომლის გადალახვა ასე ძნელია, ინტიმურ სფეროში გამეფებული შემბოჭავი წარმოდგენების პროექციად შეიძლება „გაიშიფროს“. ცნობიერად, თუ ქვეცნობიერად დიდმა პოეტმა გამოხატა ტრადიციის მიერ რომანტიზებული „შორით წვა და შორით დაგვა“, რომელიც საუკენეთა მანძილზე ამაღლებული ურთიერთობის იდეალად ითვლებოდა; მაგრამ თუ ტრადიციით რომანტიზებულ საბურველს მოვაშორებთ, შეგვრჩება ფობიებით გაჟღენთილი კლიშეები, რაც ქალსა და მამაკაცს შორის სრულფასოვან ერთიერთობას შეუძლებელს ხდიდა.

ეს წერილი **გაზეთ „ასავალ-დასავალში“**, თუ არ ვცდები, **1997 წელს** გამოქვეყნდა. ავტორმა ანონიმად ყოფნა არჩია. მისი გამომგზავნი ქალის პრობლემები იმდენად ტიპურია, რომ ტექსტი შევინახე და სექსუალური ტაბუების თემას მიძღვნილ პუბლიკაციებში არაერთხელ გამოვიყენე:

„სტუდენტი გოგონების დედა ვარ, მაგრამ მეც ხომ მაქვს უფლება ვიყო ბედნიერი? 45 წლის ასაკში რატომ უნდა დავიმარხო? გაჩენის დღიდან ვალდებულნი ვართ ჯერ მშობლების, მერე ქმრის, შვილების და მგონი მთელი რესპუბლიკის წინაშე. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე. სკოლა ისე დავამთავრე, რომ ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა სქესობრივ ურთიერთობებზე. ეს თემა ოჯახშიც და სკოლაშიც ტაბუდადებული იყო. ძალიან მინდოდა და მაინტერესებდა მამაკაცთან სქესობრივი ურთიერთობა, მაგრამ როგორ გავბედავდი?! სანამ ჩემს მეუღლეს გავყვებოდი, რამდენიმე თაყვანისმცემელი მყავდა, მაგრამ ისეთი უკარება ვიყავი, რომ კოცნასაც ვერ მიბედავდნენ. მეუღლეს სიყვარულით მივთხოვდი 25 წლის ასაკში. ჩამოყალიბებული, დინჯი, მორიდებული მამაკაცი იყო. ბედნიერი მეუღლე და დედა გავხდი. ჩემი ცოდნა სექსში ქმართან ურთიერთობით ამოიწურებოდა. ერთხელ, როდესაც სახლში მარტო ვიყავი, მეზობლის ქალმა პორნოკასეტები ამოიტანა (ჩვიდმეტი წლის ბიჭი ჰყავს და მისგან ჩუმად წამოიღო). მეც დავინტერესდი. ჩემთვის აღმოჩენა იყო რაც ვიხილე. მომეჩვენა, თითქოს ნამდვილ ქალად არც მიგრძვნია თავი. იმ შემთხვევის შემდეგ ჩუმად მომქონდა გაქირავების პუნქტიდან პორნოკასეტები, ჩავიკეტებოდი და მარტო ვუყურებდი. ნანახის ფონზე ჩემი და მეუღლის ურთიერთობა გაუფერულდა. მის მიმართ ზიზღი გამიჩნდა. ჩემს წარმოსახვაში პორნოფილმებიდან ამოტივტივებულ გმირს ვეძებდი. ჩემი მეუღლე 52 წლის აზიატი კაცია, კარგი მამა და ერთგული მეუღლე, მაგრამ ჩემი ქალური ბედნიერებისთვის ეს აღარ კმარა. ახლაღა მივხვდი

ხორციელი სიყვარულით ტკბობის ფილოსოფიას, რაც ჩემთვის ცოლ-ქმრული ვალის აღსრულება იყო მხოლოდ. ხანდახან ვფიქრობ - საყვარელს გავიჩენ-მეთქი, მაგრამ შინაგანი პროტესტის გრძნობა მეუფლება. ქმრის მიმართ უაზრო აგრესია გამიჩნდა. მაღიზიანებს მისი პრიმიტიულობა და საბაბს ვეძებ რომ ვეჩხუბო. ამ კინკლაობაში ოჯახი მენგრევა, მაგრამ ვერც გაყრა წარმომიდგენია. რას იტყვის ხალხი?! ქალიშვილები გასათხოვრები მყავს. აღარც მე ვარ ახალგაზრდა რომ ყველაფერი ახლიდან დავიწყო...“

წერილის ავტორის თანაცხოვრება ქმართან, ფაქტობრივად, „გვერდი-გვერდ მარტოობაა“. აღნიშნული სინდრომი საფუძველშივე „ტოქსიკურია“, ვინაიდან კმაყოფილების და ბედნიერების განცდის ნაცვლად გაღიზიანება მოაქვს, ყველა აქედან გამომდინარე ფსიქოსომატური შედეგით. წერილიდან ჩანს, რომ ასეთი ტიპის ურთიერთობა წყვილისთვის ჩვეულ თანაცხოვრებად იქცა. ქალბატონს ერიდება თავის სურვილებზე გულახდილი საუბარი მეუღლესთან, რომელიც, დიდი ალბათობით, ვერ გაუგებს, „გათახსირებულობას“ დასწამებს და, ეს ამბავი რით დამთავრდება, ძნელი წარმოსადგენი არ არის.

„ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ გურიის რეგიონის კომიტეტი 2003-2004 წლებში განქორწინების მიზეზთა სტატისტიკით დაინტერესდა და ამ შეკითხვით ერთ მოსამართლე ქალბატონს მიმართა. ათიდან ცხრა შემთხვევაში განქორწინების ოფიციალურ მიზეზად ხასიათის შეუთავსებლობა იყო დასახელებული. კომიტეტის თხოვნით ასეთი პროცესების დროს მოსამართლეს ცალკე სასაუბროდ გაჰყავდა მოსარჩლე და რეალური მიზეზით ინტერესდებოდა. **კომიტეტის წევრი მანანა ჯინჭარაძე** იხსენებს, რომ ათიდან შვიდ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ რეალური მიზეზი სექსუალური გაუცხოება იყო - მეუღლეები საერთო სახლში მეზობლებივით ცხოვრობდნენ, მაგრამ ქალები გაურბოდნენ ამაზე ღია საუბარს. ქმართან განქორწინების გამო საზოგადოების მხრიდან ისედაც დიდი ზეწოლა მიდიოდა და, რეალური მიზეზის დასახელების შემთხვევაში, საშინელ დღეში ჩაგდებდნენ. ესეც ნათელი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ ტაბუირებული და სტიგმატიზირებული იყო თაობათა მანძილზე სექსის თემა.

90-იანი წლების ბოლოს „ასავალ-დასავალში“ ვიხილე კიდევ ერთი სტატია სახელწოდებით: „რა მოსდით ქართველ ქალებს?“. ავტორი გაოგნებული იყო თურქეთში ნანახით: ქართველ ქალებს საკუთარი ინიციტივით დათრეული მამაკაცები გვერდზე გაჰყავდათ; ხოლო როდესაც საქმეს მოითავებდნენ, ისეთი გამარჯვებული სახეებით გამოდიოდნენ, თითქოს მტერზე ეზეიმათ. მართლაც, რა მოსდიოდათ ქართველ ქალებს და, აგრეთვე, ქართველ მამაკაცებსაც?

ოდესღაც, ისტორიის გარიჟრაჟზე...

ზბიგნევ ლევ სტაროვიჩმა (პოლონელი ფსიქიატრი, ფსიქოთერაპევტი, სექსოლოგი) სექსის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით მსოფლიოს ხალხთა სოციალურ-კულტურული მრავალფეროვნება რამდენიმე ტიპად დაალაგა:

აპოლონური - სექსის ცხოვრების ბუნებრივ ნაწილად აღქმა, ხოლო ურთიერთობაში ორივე მხარის სექსუალური დაკმაყოფილებისკენ და სრული ჰარმონიისკენ სწრაფვა. ასეთი ტიპის ურთიერთობები უფრო წარმართულ ეპოქას ახასიათებდა.

ლიბერალური - შემოდის გარკვეული აკრძალვები, თუმცა მთლიანობაში სექსის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულებაა შენარჩუნებული;

სექსი სიღარიბის კულტურებში - ტიპური პატრიარქალური მოდელი თავისი აკრძალვებით. მამაკაცი დომინანტია და სიამოვნება მხოლოდ მისთვისაა აუცილებელი. ქალისთვის ეს არაარსებითად მიიჩნევა, ვინაიდან, მის შემთხვევაში, რეპროდუქციული ფუნქციაა აქცენტირებული. ასეთი ტიპის ურთიერთობები მოსახლეობის ღარიბი და ნაკლებად განათლებული ფენებისთვის იყო დამახასიათებელი.

ორგიასტული კულტურები - იგულისხმება სექსუალური ურთიერთობის ტიპი საზოგადოების ელიტურ და ბოჰემურ წრეებში, აგრეთვე, ზოგიერთ რელიგიურ სექტაში. ამ ტიპში სექსუალური დაკმაყოფილება თვითმიზნადაა გადაქცეული.

მისტიკური - აქტის დროს სქესთა შორის ენერგიების მიმოცვლასთან და პარტნიორების ენერგეტიკულ ურთიერთგაძლიერებასთან დაკავშირებული რელიგიური კულტები იგულისხმება (მაგალითად - ტანტრიზმი).

რეპრესიული - პატრიარქალური მოდელის აპოთეოზი ხისტი აკრძალვებით, რომელთა დარღვევა უმკაცრესად ისჯება. მკვეთრადაა გამოხატული ოიდიპოსის კომპლექსი. მამაკაცის ცხოვრებაში მთავარი პერსონა დედაა, რომელიც მას ქალების მიმართ უნდობლობას უნერგავს. ამ ტიპისთვის დამახასიათებელია მკაცრი ეტიკეტი სქესთა ურთიერთობაში და ფრიგიდულობა-ანორგაზმიის სიხშირე ქალებში. ადამიანთა ცხოვრებას განაგებს მარადიული - „რას იტყვის ხალხი“?

პურიტანული - ესეც პატრიარქალური მოდელის ფორმაა, რომელიც ქრისტიანული რელიგიის იმავე სახელწოდების მიმდინარეობისთვისაა დამახასიათებელი. სექსის სფერო მწვავე ფობიებითაა გარემოცული. კერძოდ, მიაჩნიათ, რომ სქესობრივი კონტაქტი ბილწი ცოდვაა; მისი სიხშირე ფიტავს ადამიანს, ხოლო ორგაზმი საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს. ამიტომ აქ აკრძალვის დამრღვევს სჯის არა იმდენად საზოგადოება, არამედ უფრო საკუთარი შიშები. ექიმებს აღწერილი აქვთ სრულიად ჯანსაღი ადამიანების სიკვდილის შემთხვევები აქტის დროს, რაც სწორედ ამ ფობიებითაა განპირობებული.

ნევროტული - აქაც გამოხატულია მამაკაცური შიშები ქალის და სქესობრივი აქტის მიმართ. ლათინურ ამერიკაში მცხოვრები ზოგიერთი ტომებისთვის იყო დამახასიათებელი.

ლევ სტაროვიჩის მიერ გამოყოფილი ტიპები ძირითადი ნიშნებით აშკარად გადაიკვეთება და ხანდახან ფარავს კიდეც ერთმანეთს. ეს გვაძლევს იმის საფუძველს, რომ სექსის მიმართ დამოკიდებულებაში გამოვკვეთოთ ორი ძირითადი მიდგომა - „ნებადამრთველი“ და „ამკრძალავი“. აპოლონური და მისტიკური კულტურები ნებადამრთველია; დანარჩენი კი წარმოადგენს ამკრძალავი კულტურის ნაირსახეობებს, რომელთა ადგილობრივ თვისებურებებს კონკრეტული რეგიონის ისტორიული სპეციფიკა განსაზღვრავს. ნებადამრთველი კულტურა ისტორიულად წინ უსწრებდა ამკრძალავს; ეს უკანასკნელი, დროთა განმავლობაში, პრაქტიკულად, მთელი პლანეტის მასშტაბით ჩაენაცვლა. ნებადამრთველი კულტურის რელიქტური ნაშთები ზოგიერთ რეგიონში უახლეს ისტორიულ პერიოდამდე შემორჩა. კონკრე-

ტულ სოციუმში შესაძლებელია რამდენიმე კულტურის დეტალი იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, აღორძინების პერიოდის ინგლისში აშკარაა ორგიასტული (მაღალ საზოგადოებაში), პურიტანული (ბურჟუაზიულ წრეებში) და სიღარიბის კულტურისთვის (დაბალი სოციალური ფენები) დამახასიათებელი ნიშნები.

რელიგიურ-ფილოსოფიური პოზიციიდან აკრძალვა-ნებადართულობა იმაზეა დამოკიდებული, როგორ არის გადაწყვეტილი კონკრეტულ სოციუმში სხეულისა და სულის ურთიერთმიმართების საკითხი. თუ მატერიასთან/სხეულთან დაკავშირებული ატრიბუტიკა ცოდვასთან და ჭუჭყთანაა გაიგივებული, მაშინ ყალიბდება ამკრძალავი კულტურა შესაბამისი ტაბუებით და რეპრესიული მორალით, რომელიც სექსს ცოდვის კონტექსტში განიხილავს და მისაღებად მხოლოდ ქორწინების ფორმატში მიაჩნია. იმავე მიზეზით, ეჭვის თვალით უყურებს სექსუალურ სიამოვნებას. გამრავლების აუცილებლობა - აი რატომ ურიგდება სექსს. სამაგიეროდ ზღუდავს „ზედმეტობებს“ - პრელუდიას, სექსუალურ ტექნიკას, პოზათა მრავალფეროვნებას და ა.შ. ამკრძალავი იდეოლოგიის თანახმად, ეს ყველაფერი სიბინძურეა. ადამიანს ვეგეტატიური გამრავლების უნარი რომ ჰქონდეს, რადიკალი ორთოდოქსები სექსს, ალბათ, საერთოდაც აგვიკრძალავდნენ. სექსუალური ჰარმონია და სრულფასოვანი ოჯახური თანაცხოვრება მხოლოდ ღია და განდობილი ურთიერთობების პირობებშია შესაძლებელი. ამკრძალავი კულტურა ამას ან ართულებს, ან სულ გამორიცხავს, ვინაიდან სხეულებრივ მოთხოვნილებებს საფრთხესთან და ბიწიერებასთან აკავშირებს. სექსისტური სტიგმით გაჯერებული ცრურწმენათა წნეხი მეტ-ნაკლებად ყველას პრობლემებს უქმნის.

„ზნეობა ეწოდება თეორიას იმის შესახებ, რომ ყოველ ადამიანურ საქციელს შეიძლება ეწოდოს ან წესიერი, ან უწესო და რომ საქციელთა ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი უწესოა!“.

ეს **ამერიკელი ესეისტის, ჟურნალისტის და სატირიკოსის ჰ.ლ. მენკენის** ცნობილი ციტატაა, რომელშიც, ფაქტობრივად, ამკრძალავი კულტურის ამოსავალი პრინციპია გამოხატული. სწორედ ეს ხდებოდა საქართველოში უახლესი პერიოდის ჩათვლით. რომანტიკული საბურველით შეფუთული გადაჭარბებული ურთიერთკრძალვა იდეალად იყო აღიარებული, რაც ხისტი აკრძალვებით განპირობებულ ნევროტულ პრობლემებს ვერ აბალანსებდა. ვაჟა-ფშაველს ლექსი ამის აშკარა, თუმც კი, მხატვრული თვალსაზრისით, სრულყოფილი ნიმუშია. ეთნოგრაფიული მონაცემები, ლიტერატურული ნიმუშები, აგრეთვე, დღემდე შემორჩენილი სტიგმური ადათ-წესები იძლევა იმის მტკიცების სრულ საფუძველს, რომ ქართული კულტურა, ისტორიულად, მიეკუთვნება რეპრესიულ ტიპს ნევროტულის აშკარა ნიშნებით. ამაზე მიუთითებს სქესთა ურთიერთობაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ხისტი აკრძალვები, დედის აქცენტირებული როლი, მეტ-ნაკლები ფემინოფობია, ფრიგიდულობა-ანორგაზმიის სიხშირე და ა.შ. საბჭოთა პერიოდში ორგიასტული და სიღარიბის კულტურისთვის დამახასიათებელი ნიშნებიც გამოიკვეთა. პირველი, მეტ-ნაკლებად, დამახასიათებელი იყო უმაღლესი პარტიული ნომენკლატურისთვის, ბოჰემური წრეებისთვის და არალეგალური გზით გამდიდრებული სოციალური ჯგუფებისთვის, მეორე - მოსახლეობის ფართო ფენებისთვის.

საგულისხმო დეტალი: პატრიარქალური აკრძალვები სექსის თემატიკის ტაბუ-

ირების პარალელურად ამკვიდრებს ორმაგ სტანდარტებს; უნებურად მახსენდება მეხსიერებაში მწარედ ჩარჩენილი ფრაზა: „ქმრის მხრიდან ღალატი ოჯახიდან გამოფურთხებაა, ხოლო ცოლის მხრიდან - ოჯახში შემოფურთხება“.

საუკუნეთა მანძილზე საქართველოში სქესთა ყოფითი ურთიერთობის ფორმატსაც მკაცრი ამკრძალავი ნორმები განსაზღვრავდა. გავიხსენოთ **შუშანიკ**ის აღშფოთება: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე თუცა დედათა და მამათა ერთად ეჭამა პური?“, რომელშიც კარგად ჩანს სქესთა ურთიერთკრძალვა-განრიდების ტრადიცია. საინტერესოა, რომ წირვა-ლოცვის დროსაც ქალები და მამაკაცები განცალკევებულად იდგნენ. სახალხო თავყრილობებიც მკაცრი ეტიკეტით რეგულირდებოდა. ამკრძალავმა კულტურამ ქართულ ხალხურ ცეკვებსაც დაასვა თავისი დაღი. **ცეკვა „ქართული“,** ესთეტიკური სრულყოფილების მიუხედავად შებოჭილი ეროტიკის ნიმუშია. სხეულები უძრავი უნდა იყოს; მამაკაცის ჩოხის კალთაც კი არ უნდა შეეხოს ქალის ტანსაცმელს. ქალი თვალდახრილი ცეკვავს, ვინაიდან დაუშვებელია მამაკაცისთვის თვალის გასწორება. ამ ცეკვაში არის ფრიად საინტერესო დეტალი - ქალი თითქოს გაურბის მამაკაცს, რომელიც მოწიწებით, მაგრამ შეუპოვრად მისდევს და, ბოლოს, ყველაფერი ჰეფი-ენდით სრულდება. თუკი **ცეკვა „ქართულს“** ამ კუთხიდანაც შევხედავთ, დავინახავთ, რომ მისი შინაგანი ფსიქოლოგიურ-ემოციური ქარგა, ფაქტობრივად, ამკრძალავი ეტიკეტით შებოჭილი ურთიერთლტოლვაა: მამაკაცს თან სურს ქალის დაპყრობა, თან ერიდება, ქალს სურს დამორჩილდეს, თან გაურბის. უნებლიედ გაგვახსენდება თავის დროზე ძალზე პოპულარული ფრთოსანი ფრაზა **იტალიური ფილმიდან: „არ ააცდინო ასუნტა“:** „ნამდვილი მამაკაცი ცდილობს, ნამდვილი ქალი კი ეწინააღმდეგება!“.

ორთოდოქსულ-პატრიარქალური ტრადიციით რომანტიზირებული ურთიერთკრძალვა საუკუნეთა წარმართავდა სქესთა ურთიერთობას, რაც, საბოლოო ჯამში, უამრავი კომპლექსის საფუძველი გახდა. გავიხსენოთ **გიორგი ერისთვის „გაყრა“**. **გაბრიელის** მიერ **ყარდაშვერდისთვის** სიყვარულის გამოცხადების სცენა, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე კომიკურია ამ ნაწარმოებში. ამ კომიზმს პერსონაჟების არაადეკვატური საქციელი განაპირობებს („ია, მეხი კი დაგეცა!“). ძალზე ნიშანდობლივია **გაბრიელის** დასკვნა: „ქართული სიყვარული სულ გინება გახლავთ!“. აბა, სხვანაირად როგორ დაძლევდნენ ღობეზე გამობმული თვალებით („კარგი, არავინ დაგვინახოს“) დაფეთებული ქართველი ქალები დანაშაულის კომპლექსს! აქ უნებლიედ შიშისგან საწოლის ქვეშ შემძვრალი **ქეთო ყარაულაშვილი** და მისი კეკლუცი დაქალი გაგვახსენდება **ფილმიდან „სიყვარული ყველას უნდა“.** სიმპტომატურია, რომ სექსუალური თავისუფლება ყოფაშიც და ხელოვნებაში (ლიტერატურა, ფილმები), ძირითადად, მსუბუქ ყოფაქცევასთან იყო გაიგივებული.

საინტერესო დეტალი: საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში შემორჩა ნებადამრთველი კულტურის მინავლებული რელიქტი - ფშავური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა. ორივესთვის (განსაკუთრებით, კი, წაწლობისთვის) დამახასიათებელია ქალისა და მამაკაცის მეტ-ნაკლებად თავისუფალი ურთიერთობა - მათ შორის ინტიმშიც. საინტერესოა, რომ არც წაწლობა და არც სწორფრობა ქორწინებას ხელს არ უშლიდა. ხევსურეთში ძალიან მოსწონდათ ქალის სითამამე. ამას ხაზგასმით აღნიშნავს მკვლევარი ნათელა ბალიაური წიგნში „სწორფრობა ხევსურეთში“: „ის ქალი უფრო უყვართ სოფლელებს, ვინც ყველგან თავისუფლად

იქცევა. არა მარტო თავის გვარის ხალხთან, არამედ ყველა სოფლელთან". ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ბარში ასეთი ქცევა აბსოლუტურად საპირისპირო რეაქციას გამოიწვევდა. მთის ხალხის მეტი სექსუალური თავისუფლება ცეკვებშიც აისახა. ქალის მთელი სხეული ლაღადაა ჩართული ცეკვის ილეთებში და ამაყად თავაწეული ეცეკვება მამაკაცს. როგორც ჩანს, მთიანეთის გეოგრაფიულმა იზოლაციამ სოციალურ-ისტორიული „კონსერვანტის" როლი შეასრულა.

როგორც ვხედავთ, ქართული კულტურა ზღუდავდა ქორწინებაში, ან ნათესაურ კავშირში არმყოფი ქალ-ვაჟის სივრცით სიახლოვესაც კი. ეს ძალზე ართულებდა სქესთა სრულფასოვან ურთიერთობას ეროტიკის და ინტიმის სფეროში. „საქართველოში ჯერ სიყვარულის მაგალითი არ ყოფილა, რამანიც არ დაიწერება. ა რამან ბეზ ლიუბვი ეტო უჟასნო!" - ბრძანებს „გაყრის" ერთ-ერთი პერსონაჟი **ივანე დიდებულიძე**. ჩვენი „ნასტავლი" რუსეთუმე სნობის პირობაზეც კი გვარიანად აჭარბებს, სიყვარულის მაგალითი როგორ არ ყოფილა - **მეფე ლაშა-გიორგის** ისტორიის გახსენებაც საკმარისია. საბედისწერო ქალის ვერსიაც გვყავდა **თამარ ცბიერის** სახით. მაგრამ ფაქტია, რომ ამკრძალავი კულტურის რეპრესიული მექანიზმები ქართველ ქალებს, დიდებულიძეს თუ დავესახებით, „უგრძნობლებად" და „სიყვარულის უმეცრებად" გარდაქმნიდა, რაც გზას უხსნიდა „ლანძღვა-გინებას", თვალთმაქცობას და სხვა ნევროტულ გამოვლინებებს. გავიხსენოთ საბჭოთა პერიოდი, როდესაც დამშეული ქართველი მამაკაცები ცის გახსნასავით ელოდნენ რუსი ლამაზმანების ჩამოსვლას, ხოლო არანაკლებ დამშეული ქართველი ქალები, კი, ბოღმით გულზე სკდებოდნენ. სწორედ ამ ეპოქის გამოძახილია „ასავალ-დასავალის" რედაქციაში მოსული წერილი, რომელშიც რეპრესიული და ნევროტული ელემენტებიც ჭარბადაა წარმოდგენილი:

1) „სკოლა ისე დავამთავრე, რომ ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა სქესობრივ ურთიერთობებზე. ეს თემა ოჯახშიც და სკოლაშიც ტაბუდადებული იყო.." - აშკარაა ამ ურთიერთობების როგორც „სასირცხვილო თემის" აღქმა და მასზე ღიად საუბრის ტაბუირება, რაც სქესის და სექსუალური ურთიერთობების საკითხებში სრულ არაინფორმირებულობას განაპირობებს.

2) „ძალიან მინდოდა და მაინტერესებდა მამაკაცთან სქესობრივი ურთიერთობა, მაგრამ როგორ გავბედავდი?! სანამ ჩემს მეუღლეს გავყვებოდი, რამდენიმე თაყვანისმცემელი მყავდა, მაგრამ ისეთი უკარება ვიყავი, რომ კოცნასაც ვერ მიბედავდნენ.." - ესეც მკაცრი ეტიკეტი, რომელიც ითვალისწინებს სქესთა მეტ-ნაკლებ ურთიერთიზოლაციას, როგორც ინტიმური, ისე არაინტიმური თვალსაზრისით. შედეგი - ნევროტული დაძაბულობა და კომპლექსები. ეს გრძელდებოდა საუკუნეთა მანძილზე და ზღუდავდა სქესთა არა მარტო არარეგლამენტირებულ ინტიმურ დაახლოებას, არამედ, აგრეთვე, მეგობრობა-ამხანაგობას.

3) „ამ კინკლაობაში ოჯახი მენგრევა, მაგრამ ვერც გაყრა წარმომიდგენია. რას იტყვის ხალხი?!" - სახეზეა რეპრესიული მორალი, ანუ აკრძალვათა დარღვევის მკაცრი გაკიცხვა, რასაც ისტორიულად, შესაძლოა, სრული მოკვეთის, ან ფიზიკური ანგარიშსწორების სახეც მიეღო. ამის მაგალითს ვხედავთ **საკულტო ფილმში „ნატვრის ხე".** ცხადია, მას შემდეგ რეპრესიები შუდარებლად შერბილდა, მაგრამ წერილის ავტორი არცთუ უსაფუძვლოდ შიშობს, რომ პრობლემაზე ღიად საუბრის

შემთხვევაში, საზოგადოებრივი აზრისგან „ვირზე შემოსმა“ არ ასცდება.

4) მეუღლესთან სექსუალურ თემაზე საუბრის ტაბუირება - ქალბატონი ერიდება გულახდილ საუბარს მეუღლესთან, რომელიც, მისი სიტყვით „აზიატი კაცია“. მას სავსებით საფუძვლიანად მიაჩნია, რომ ქმარი „ბინძური“ სურვილებისთვის გაკიცხავს.

ახლა უკვე შეგვიძლია გავცეთ პასუხი ამ თავის დასაწყისში დასმულ კითხვას - რა მოსდიოდათ ქართველ ქალებს, როდესაც საკუთარი ინიციტივით დათრეული თურქი მამაკაცები გვერდზე გაჰყავდათ და მერე კი ისეთი გამარჯვებული სახეებით გამოდიოდნენ, თითქოს მტერზე გამარჯვება ეზეიმათ. ვფიქრობ, ოდითგან მოქმედი წნეხის შედეგად დაგროვილი აგრესია, მუდამ გვერდზე მომზირალ ქმრებზე განაწყენება და პერმანენტული დაუკმაყოფილებლობა ამის ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ახსნა მაინც გახლავთ.

გუშინ...

საუკუნეთა ექოს უახლეს პერიოდშიც რომ მიჰყავს „აღლუმი“, განსაკუთრებით სექსუალური აღზრდის სისტემის არქონაში იგრძნობა. გავიხსენოთ სცენა ყველასათვის საყვარელი **ქართული ნახატი ფილმიდან „ჩხიკვთა ქორწილი“:**

სიყვარულისაგან ჭკუადაკარგული ზაქარა გატაცებით უმღერის მუხამბაზს მშვენიერ ქეთევანს.

- დედა, რა უნდა ზაქარას? - ჩააცივდება დედა კურდღელს მატრაკვეცა ნაშიერი.

- კომბოსტო, შვილო! - თავს იძვრენს მშობელი.

დედა-კურდღელი ტრადიციული მითის უნიჭო ვერსიას ეფარება. არადა, უბრალოდ, შეეძლო ეთქვა: ზაქარას უყვარს ქეთევანი და უნდა მასთან ერთად იცხოვროს. აი, როგორც მე და მამიკომ. მერე შენსავით საყვარელი პატარა შვილი ეყოლებათ. ამით გააკეთებდა ძალზე მნიშვნელოვან საქმეს: ბაჭიას ცნობიერებაში ქვეყნად მოვლინებას სიყვარულს დაუკავშირებდა. მაგრამ ამკრძალავი კულტურის წნეხმა დედების წარმოდგენაში ქვეყნად მოვლინების მექანიზმი ბიწიერებას დაუკავშირა. სწორედ ამიტომ, შვილების ბუნებრივ შეკითხვაზე: „საიდან გავჩნდი?“, აქეთ-იქით თვალებს აცეცებდნენ და ზღაპრებს ყვებოდნენ. აბა როგორ გაუმხელდნენ უცოდველ ბავშვს ამ „სიბინძურეს“? პატრიარქალური სტიგმა და მასთან დაკავშირებული დანაშაულის კომპლექსი შეუძლებელს ხდის ადეკვატურ სქესობრივ აღზრდას. ამ დროს გენდერული თვითიდენტიფიკაციის სწორი ჩამოყალიბება ამაზეა დამოკიდებული.

ოციოდე წლის წინათ **საქართველოს სექსოლოგთა ასოციაციამ** სქესობრივი აღზრდის ახალი მოდელი შესთავაზა საზოგადოებას. ამან უმწვავესი რეაქცია გამოიწვია - ბავშვების გარყვნის უფლებას არ მოგცემთ, ჩვენი მამა-პაპა სექსუალური განათლების გარეშეც ჩინებულად ახერხებდა ათი და მეტი შვილის გაჩენასო. **2000 წლის მარტში საპატრიარქომ** ჩაატარა შეხვედრა თემაზე: **„გარემო პირობების ზეგავლენა მოზარდის ფსიქო-მენტალურ მდგომარეობაზე“.** შეკრებაზე სქესობრივი აღზრდის

საკითხმაც გაიჟღერა. საზოგადოების უდიდესი ნაწილი მიემხრო თვალსაზრისს - სექსუალური აღზრდა არ არის საჭირო; თავის დროზე ახალგაზრდები თავადაც ისწავლიან ყველაფერსო. ასეთი თვითდაჯერებულობა არც ისე უსაფუძვლოა. ბავშვები აუცილებლად შეეცდებიან მათთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიებას და მიაგნებენ კიდეც. მაგრამ სად და როგორ? იმ წლებში „სასწავლო რესურსები“ ფრიად შეზღუდული გახლდათ: უფრო „გათვითცნობიერებულ“ თანატოლებთან კონსულტაცია, მშობლებისგან თვალმიფარებულად პორნოპუბლიკაციების კითხვა-თვალიერება, უხამსი გრაფიტი და სხვა „კომპეტენტური“ წყაროები. გავიხსენოთ, მოგვიანებით, ბაჭია ეშმაკურად ხითხითებს და დედას აღარაფერს ეკითხება. მან უკვე დამოუკიდებლად დააზუსტა რა უნდოდა ზაქარას; მაგრამ, ვაი ამ დაზუსტებას! ზემოაღნიშნული შეხვედრის მონაწილეებს აშკარად არ ესმოდათ, რომ ათასი ჯურის პედოფილი პოტენციურ მსხვერპლს სწორედ უშნო გაცნობიერებით ცნობისმოყვარეობაგაღვიძებულ ბავშვებსა და მოზარდებში პოულობს. ახითხითებული ბაჭია მგლისთვის იოლი საკბილოა. საზოგადოების დიდი ნაწილი დღესაც ვერ აცნობიერებს სქესობრივი აღზრდის მნიშვნელობას.

იმავე 2000 წლის მარტში ჩავიწერე ინტერვიუ **სექსოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ანდრო კანდელაკთან:**

- მშობლები გაურბიან სიმართლის თქმას იმიტომ, რომ მოვლინების მექანიზმზე „დამაზუსტებელი შეკითხვების“ ეშინიათ. ეს უსაფუძვლო შიშია. ბავშვები ამ ასაკში იშვიათად ინტერესდებიან მოვლინების მექანიზმით. მაგრამ თუკი ასეთი შეკითხვა მაინც გაჩნდა, მშობელმა „ბუნებრიობის პრინციპით“ უნდა იხელმძღვანელოს. თბილად და ალერსიანად გადაიტანოს ბავშვის ყურადღება ბუნების მოვლენებზე: როგორ მრავლდებიან აკვარიუმში თევზები, როგორ იზრდება ქოთანში ყვავილი, როგორ ამოდის დედის მუცლიდან კნუტი და ა.შ. თან აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას მშობლების ურთიერთსიყვარულს. იმის გაცნობიერება, რომ ის მშობლების სიყვარულის ნაყოფია, ბავშვის უსაფრთხოების საბაზისო განცდას ემსახურება. ამ მხრივ საინტერესოა **ქრისტიან ვერდუს, ჟან კოენის, ჟაკლინ კანტანისა და უილბერ ტორუმანის ბროშურა: „მოზარდთა სქესობრივი აღზრდა, ფიზიოლოგია და სექსოლოგია“.** ქართულენოვანი თარგმანი 1991 წელს გამოიცა.

- ანუ ბავშვს ერთი წამითაც არ უნდა გაუჩნდეს განცდა, რომ მისი ქვეყნად მოვლინების მექანიზმი ბიწიერია, ვინაიდან ეს შეიძლება ფსიქოლოგიური ტრავმისა და შემდგომი გართულების მიზეზი გახდეს?...

- ცხადია! **ფროიდი** თავის დროზე **დაბადების ტრავმაზე** საუბრობდა. კომფორტული გარემოდან, ანუ დედის თბილი მუცლიდან, ბავშვი უეცრად აღმოჩნდება უცხო გარემოში, სადაც ცივა, რაღაც უცხო შთაბეჭდილებებია... დედისა და შვილის შემდგომი ურთიერთობა ემსახურება ამ ტრავმის დაძლევას და უსაფრთხოების განცდის ჩამოყალიბებას. წარმოიდგინეთ, რა გამოვა, თუ დაბადების ტრავმას დაბადების საიდუმლოს ტრავმაც დაემატება! ამ შიშებმა შესაძლოა მშობლების მიმართ უნდობლობა განაპირობოს. რა უსაფრთხოების განცდაზეა აქ ლაპარაკი?! დაბადების ტრავმის უარყოფით შედეგებზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

- ამ ტრავმის დასაძლევად აშკარად მხოლოდ მშობლების ძალისხმევა არ იქ-ნება საკმარისი..

- ბუნებრივია! პროცესში უნდა ჩაერთვნენ სკოლამდელი აღზრდის სისტემის მუ-შაკები. აგრეთვე პედიატრები, ფსიქოლოგები. ჩვენი პროექტი ითვალისწინებს მათ-თვის სპეციალური სასწავლო ტრენინგების ორგანიზებას. აუცილებელია ბავშვებთან მომუშავე კადრების საგანგებო შერჩევა. დაუშვებელია აქ მუშაობდნენ არასწორი აღზრდით ტრავმირებული და დაკომპლექსებული ადამიანები. მხედველობაში მაქვს თუნდაც **„შინაბერას კომპლექსი“**, ან **„უკანონო შვილის კომპლექსი“.** ასეთი ხალხი თავად საჭიროებს დახმარებას. მათი პირადი პრობლემები, შესაძლოა, ბავშვზე გადატყდეს და მძიმე ტრავმის საფუძველი გახდეს. შემდგომი ეტაპი სქე-სობრივი მომწიფების პერიოდს მოიცავს - 10-14 წლის პერიოდს (აქსელერაციის გათვალისწინებით). ამ პერიოდში მოზარდებში მიმდინარეობს კარდინალური ფიზიოლოგიური ცვლილებები. გოგონებში აქტუალურია მენსტრუაციის, ხოლო ბიჭებში - პოლუციის პრობლემა, რაც ხშირად შიშების წყაროდ იქცევა, რიგ შემ-თხვევებში, კი, ნევროზული განცდები ყალიბდება. აქვე ხაზგასასმელია ეთნიკურ-კულტურული მომენტი. სქესის ფენომენი და სექსუალური ცხოვრება ხშირად უარ-ყოფით კონტექსტშია მოქცეული. დააკვირდით, როგორ მოიხსენიებენ ხალხში მენსტრუაციას - ცუდად, ან ავად ყოფნა. მიაჩნიათ, რომ ამ დროს არ შეიძლება სქესობრივი ურთიერთობა, რაც მცდარი შეხედულებაა.

- რიგ რეგიონებში ქალური წესის დროს ქალი უწმინდურად ითვლებოდა. ფშავში მას სახლში არ უშვებდნენ და სპეციალურ შენობაში იჯდა, სანამ არ „ჩა-ირეცხებოდა“..

- მერე რაზე მიუთითებს ეს? ჩვენს კულტურაში, სქესთან დაკავშირებული უარ-ყოფითი განწყობის საფუძველზე, ჩამოყალიბდა უარყოფითი დამოკიდებულება სქესის ყოველგვარი ფიზიოლოგიური გამოვლინების მიმართ. ამის შედეგია საკუ-თარი სხეულის არაცნობიერი მიუღებლობა. ალბათ შეგიმჩნევიათ მოზარდთა ნე-გატივიზმი საკუთარ სხეულში და ფიზიოლოგიაში ასაკობრივი ცვლილებების მი-მართ. გოგონები ხშირად მძიმედ განიცდიან პირველ მენსტრუაციას, ერიდებათ წამოზრდილი მკერდის. ბიჭებს უხერხულობაში აგდებს და, რიგ შემთხვევებში, აშინებს პოლუციები, ერექცია. სწორედ ესაა საკუთარი სხეულის მიუღებლობის გა-მოვლინებანი. ამ პერიოდში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სხეულში მომხდარი ცვლილებების რაობის და მნიშვნელობის ახსნას. ანუ, უნდა მოხდეს საკუთარ სხე-ულთან „შერიგება“, ვინაიდან მისი მიუღებლობა მომავალში გამოიწვევს სხვისი სხეულის მიუღებლობას და, აქედან გამომდინარე, პრობლემებს სექსუალურ ცხოვ-რებაში. **ფრიგიდულობის, ანორგაზმიის, სქესობრივი აქტის წინაშე შიშის, ან ზიზ-ღის** სიღმისეული ფესვები, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ამ ასაკში დაშვებული სექსუალური აღზრდის ხარვეზებში უნდა ვეძიოთ. ჩვენი პროექტი აგრეთვე ითვა-ლისწინებს ამ ეტაპის შესატყვისი მეთოდების შემუშავება-დახვეწას. მშობლებს გაუ-ჭირდება ამ ურთულესი პერიოდის პრობლემებთან მარტო გამკლავება. როგორც წესი, ისინი თავადაც მოუმზადებელნი არიან ამ საკითხებში.

- კიდევ ერთი მტკივნეული მომენტი: ახალგაზრდა ჩამოყალიბდა ანატომიურად და ფიზიოლოგიურად, მაგრამ სულიერ-ემოციურად ჯერ კიდევ უმწიფარ, ან თუ გნებავთ, „მაჭრის“ მდგომარეობაშია. სწორედ ამ დროს ხდება ყველაზე აქტუალუ-

რი ინფორმაცია სექსუალური ცხოვრების შესახებ, მაგრამ კონსერვატიული მენტალიტეტი უფრთხის ამ თემაზე საუბარს...

- აკრძალვა მხოლოდ ნეგატიურ შედეგებს გამოიღებს. კითხვები მომწიფდა და პასუხი უნდა გაეცეს. სხვა ალტერნატივა არ არსებობს. მოზარდი (ეს ეტაპი 14-18 წლების პერიოდს მოიცავს), მაინც შეეცდება „აკრძალულ ოთახში" „ჭუჭრუტანიდან" შეიჭყიტოს. ხანდახან პირდაპირი მნიშვნელობითაც.

- შესაძლოა, აქედანაც საზრდოობს ვუაერიზმის (უჩუმრად თვალთვალის) ფენომენი...

- მახსენდება მომენტი ჩემი ბიჭობიდან. საბჭოთა პერიოდში, გეხსომებათ, ყოველგვარი ეროტიკა ტაბუდადებული იყო. თანაკლასელი ბიჭები ინგლისურის გაკვეთილის წინ ერთმანეთს თავ-პირს ვალეწავდით პირველ მერხზე დასაჯდომად. იცით რატომ? მასწავლებელი ახალგაზრდა, ლამაზი ქალი იყო და თუ დაიხრებოდი, მაგიდის ქვეშ მისი ლამაზი ფეხები ჩანდა..

- მსგავსი სიტუაცია გამახსენდა ფელინის „ამარკორდიდან"...

- დიახ, ფელინიმ შესანიშნავად გადმოსცა მომწიფების ასაკში მყოფი მოზარდის თვალით დანახული სამყარო. ჩემი თანატოლებისთვის ტანმოვარჯიშეების სურათებიც კი პორნოგრაფიის ტოლფასად განიცდებოდა. არა მგონია თანამედროვე მოსწავლეებს ასეთი რეაქციები ახასიათებდეს; ყოველ შემთხვევაში, ძალზე აქტუალურად. სამაგიეროდ, გაჩნდა მეორე უკიდურესობის საშიშროება: სექსუალური რევოლუცია საქართველოში უკვე დაიწყო - ეს ფაქტია. თუ არ გვინდა რომ ანარქიაში გადაიზარდოს, მაშინ აუცილებელიცაა პროცესის კონტროლი სქესობრივი აღზრდის კორექტული მოდელის დანერგვით.

- ციციკორეს (ფილმიდან „ნატვრის ხე") ტყუილად კი არ ეშინოდა მატარებლის: „ჰაერი არ მოიწამლება, უნამუსობა არ ჩამოვარდება?!!!". მატარებელი, ამ შემთხვევაში, გამოხატავს ჩაკეტილი სოციუმის გახსნას, გარე სამყაროსთან კავშირის დამყარებას და უცხო კულტურის შემოსვლას. ციციკორეში ასახულია სტიგმადექცეული ტრადიციის შიში სიახლის მიმართ...

- ასეა თუ ისე, მატარებელი საქართველოში უკვე ჩამოდგა და პროცესებს ვეღარ შევატრიალებთ. არც არის საჭირო. მატარებელმა შეიძლება ბევრი სიკეთეც ჩამოიტანოს, ხომ ასეა? ხოლო თუ გვინდა რომ „გამონაბოლქვმა" არ შეგვაწუხოს, ზომები უნდა მივიღოთ. აუცილებელია აღზრდის სწორი ორიენტირების შემუშავება. სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს სქესობრივი აღზრდის კორექტული მოდელი. ჩვენს კლინიკაში არსებული მასალების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 33% სექსუალურ საკითხებზე ნაკლებადაა ინფორმირებული. ეს ციფრი მიღებულია მომართვიანობის მაჩვენებლის საფუძველზე, ამდენად სიტუაციის რეალურ სიმძიმეს არ ასახავს. სქესობრივი აღზრდა არის არა უბრალოდ სექსუალური ტექნიკის სწავლება, როგორც ეს ბევრს ჰგონია, არამედ საკუთარი სქესობრივი მიკუთვნებულობის გაცნობიერება და საწინააღმდეგო სქესთან ადეკვატური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაა. ჩვენს პროექტში გათვალისწინებულია აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ანუ, სქესობრივი აღზრდა უნდა მიჰყვებოდეს ადამიანის ჩამოყალიბების ეტაპებს. კითხვას პასუხი უნდა გაეცეს მაშინ, როდესაც ეს კითხვა ბუნებრივად მომწიფდება. მოვლენებს წინ არ უნდა გავუსწროთ. მაგალითად, სამი-ხუთი წლის ბავშვს არა-

ფერში ესაჭიროება ინფორმაცია სქესობრივი აქტის შესახებ. მას აინტერესებს საიდან გაჩნდა. ეს უმნიშვნელოვანესი მომენტია; ამ დროს მიღებული ტრავმა უარყოფით გავლენას იქონიებს მთელ მის მომავალ ცხოვრებაზე.

- ალბათ ისიცაა გასათვალიწინებელი, რომ დანერგვის პროცესში, შესაძლოა, თავი იჩინოს გაუთვალისწინებელმა მომენტებმა და თქვენს მოდელში კორექტივების შეტანაც გახდეს საჭირო..

- პროგრამა განვითარებადია. ყველაფერი დაიწყება სოციოლოგიური გამოკითხვით, რათა ბავშვებში, მოზარდებში, მშობლებში და პედაგოგებში ინფორმირებულობის დონე დადგინდეს. დასატრენინგებელ სპეციალისტთა ჯგუფების სწორად დაკომპლექტებისთვის ჩატარდება ტესტირება. ყოვლად დაუშვებელია მიმღებლობის სხვადასხვა დონის ხალხის ერთ ჯგუფში მოხვედრა - ეს გაართულებს პროცესს. გზადაგზა გათვალისწინებული იქნება ინფორმირებულობის დონის ამაღლება, ანუ პროგრამა პერმანენტულად იმუშავებს, თავდაპირველად დაინერგება ექსპერიმენტის სახით და ბოლოს მოიცავს მთელ ქვეყანას. სქესობრივი განათლება, ცხადია, არ არის პანაცეა, მაგრამ, უდავოდ, ნორმალური ცხოვრების ხელშემწყობი პირობაა. ამ სფეროში რომ არ მემუშავა, არც მეცოდინებოდა პრობლემის მთელი სიმძიმე. წარმოიდგინეთ, ჩემს პრაქტიკაში იყო ხუთასი ვირგოგამიური წყვილი (როდესაც სრულფასოვანი აქტი არ ტარდება, ე.წ. ქალწულებრივი ქორწინება - ავტ.) და არა რაიმე ფიზიოლოგიური დარღვევის, არამედ სწორედ სექსუალურ საკითხებში გაუნათლებლობის წყალობით. ბევრი სექსოლოგთან ვიზიტსაც ერიდება, რაც აგრეთვე სექსუალურ საკითხებში გაუნათებლობის შედეგია.

ექიმი-სექსოლოგი პაატა სოფრომაძეც აღნიშნავს - სექსუალური გაუნათლებლობა თაობათა მანძილზე ზღუდავდა სქესთა ჰარმონიულ ურთიერთობას; ოჯახური ბედნიერების არარსებობა კი ფასადური კეთილდღეობით ინიღბებოდა:

- ქართული გარემოსთვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ფალოცენტრიზმი. ვინ მიაჩნდათ ჩვენში ნამდვილ მამაკაცად? ვისაც ნებისმიერ დროს, ნებისმიერ გარემოში და ნებისმიერ ქალთან ჰქონდა ერექცია. ანუ, ვინც პიონერივით სულ მზად იყო. ამიტომ, როდესაც ასე მოაზროვნე მამაკაცი, არაადეკვატურ დროს, არაადეკვატურ გარემოში და არაადეკვატურ პარტნიორთან ცდილობდა აქტის ჩატარებას და არაფერი გამოსდიოდა, ამაზე კატასტროფული რეაქცია ჰქონდა. ქალის სექსუალური დაკმაყოფილების საკითხი არ იდგა. როდესაც ჩვენთან მოსულ მამაკაცს ვეკითხებოდით, იღებდა თუ არა მისი მეუღლე სიამოვნებას, საპასუხოდ მოდიოდა სერიოზული აგრესია: რას მიქვია სიამოვნებას იღებს თუ არა, ის ხომ ცოლი და ჩემი შვილების დედაა! ამისთანა რამეებზე არც უნდა ფიქრობდესო..

- პატრიარქალური პოზიციის თანახმად, სექსი ქალისთვის უნდა ყოფილიყო მხოლოდ გამრავლების მექანიზმი. ემანსიპაციამ ორგაზმის უფლებაც მოიტანა...

- ძალიან მომეწონა ეს ტერმინი - „ორგაზმის უფლება“. საქმის არსს სრულად გამოხატავს. ქართველ ქალს საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში საერთოდ არ

ჰქონდა ორგაზმის უფლება, იმიტომ რომ ეს გარყვნილებად ითვლებოდა. ეჭვიც არ მეპარება, რომ იყო ქალთა კატეგორია, რომელიც ორგაზმის დროს ტუჩებს იკვნეტდა, რომ არაფერი დატყობოდა და ქმარი მის ზნეობაში არ დაეჭვებულიყო. ცხადია, თავისუფალი ხელობის ქალბატონებზე არ მაქვს საუბარი. მათ შემთხვევაში ეს პირიქითაც იყო.

- მახსენდება, ერთმა ასეთმა მამრმა სუფრაზე კარგი ანეკდოტივით მოყვა, როგორ სცემა ქალს, რომელთანაც საფუძვლიანად ისიამოვნა. როდესაც ვკითხე, მაინც ვერ მივხვდი რას ერჩოდით-მეთქი, ისე შემათვალიერა, თითქოს ყბებს წინასწარ მიზომავდა და მიპასუხა - ქალი რომ სხეულებრივ სიამოვნებაზე ფიქრობს, დიახაც, საცემიაო. დისკუსია, ცხადია, აღარ გავაგრძელე - დიაგნოზი ისედაც ნათელი იყო. სამწუხაროდ, წლების მანძილზე, ქართველი ქალის ძალზე გავრცელებული და თვალმიჩვეული ტიპაჟი იყო წონაგაქცეული, თავწაკრული დიასახლისი, სულ რაღაცას რომ იტკივებს, ნერვებს უჩივის და კაპასობს. ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, სწორედ სექსუალური დაუკმაყოფილებლობა იყო...

- ერთ-ერთი - აუცილებლად! სექსუალობა ფაქიზი სფეროა. ქალის - განსაკუთრებით. მასში განსაკუთრებით ძლიერია ფსიქო-ემოციური კომპონენტი. რა არის ანორგაზმია? როდესაც არის ლტოლვა და აღგზნება, იწყება გარკვეული ფიზიოლოგიური პროცესები, მაგრამ რაღაცის გამო კულმინაციამდე ვერ მიდის...

- ეს „რაღაც“, ალბათ, სექსუალური კულტურის უქონლობა და თაობათა მანძილზე გამეფებული პატრიარქალურ-სტიგმური ცრურწმენებია.

- ცხადია! ხოლო აღგზნების გაუხარჯავი ენერგია, ადრე თუ გვიან, სომატურ პრობლემებს წარმოშობს: თავი მტკივა, გული მტკივა, კუჭი მტკივა, ღამე არ მძინავს, ხასიათი გამიფუჭდა... თავის ტკივილის მომიზეზება ხშირად ქმრისთვის უარის თქმის მიზეზი იყო. თავად განსაჯეთ: რატომ უნდა დაიქანცოს ადამიანმა თავი სირბილით, როდესაც იცის, რომ ფინიშამდე მაინც ვერ გავა და ტყუილად დაიღლება? რად უნდა ქალს აქტი, თუკი ორგაზმს მაინც ვერ იგრძნობს? ამ დროს, შესაძლოა, სულ პატარა მიზეზი იყო და სპეციალისტისთვის რომ მიემართათ - ადვილად მოუვლიდნენ. გასაუბრებისას პრობლემის რეალური მიზეზები იკვეთება. მქონდა ადრე ასეთი შემთხვევა: მამაკაცს სწრაფი ეაკულაციის პრობლემა ჰქონდა და ქალი დაკმაყოფილებას ვერ ასწრებდა. ერთხელაც დედამისს შესჩივლა. დედამ დაუცაცხანა: სუ, შენს ქმარზე ასეთი არაფერი თქვა. ნახე როგორი შემომტანი და მეოჯახეა, რა სიტყვა-პასუხი აქვს, სუფრაზეც რა კარგი მსმელი და თამადაა, ძმაკაცებიც როგორ აფასებენ. შენ კი რაზე ფიქრობ, ბოზი ხომ არ ხარო?! უკვე შეიძლება ვივარაუდოთ, რას წარმოადგენდა თავად სიდედრის სექსუალური ცხოვრება. მახსენდება, ერთ ქალბატონს შევეკითხე: გიყვართ თქვენი ქმარი-მეთქი? რა თქმა უნდა! - მიპასუხა რიხიანად. ნელ-ნელა შევედით ინტიმური ცხოვრების დეტალებში. ვეკითხები: რამდენად ითვალისწინებს ქმარი თქვენს სურვილებს, რამდენად მნიშვნელოვანი ხართ მისთვის როგორც ადამიანი? მაქსიმუმ ნახევარსაათიანი ჩაღმავებული საუბრის შემდეგ იწყება ტექსტები: „ჩემი ქმარი ჩავდევი კუბოში, მიყურებს როგორც ხორცის ნაჭერს, რაში აინტერესებს მე კმაყოფილი ვარ თუ არა? რომ ვუთხრა რამე - მეტყვის: რა გინდა ქალო, რამე გაკლია? „შუბა“ და იაპონური სერვიზი ხომ გიყიდე? მანქანა ხომ გვყავს? ზღვაზე ხომ გაგიშ-

ვი?..“ სულ გამოცდილებიდან აღებული ფრაზებია.

თხუთმეტიოდე წლის წინათ, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის გურიის კომიტეტის წევრი მანანა ჯინჭარაძე ოზურგეთში ღონისძიებაზე იმყოფებოდა. რთი ექიმი წამოდგა და თქვა: არ მინდა, რომ ჩემს შვილს ლიბიდოდაქვეითებულმა მასწავლებლებმა ასწავლონონ. ეს მაშინ წარმოუდგენლად თამამი განცხადება იყო. ამაზე სოფლებში კი არა, ჯერ ქალაქშიც არ საუბრობდნენ. მანანა ჯინჭარაძეს გვერდზე მჯდომი გაუთხოვარი რუსულის მასწავლებელი ისე განაწყენდა, რომ ტირილი დაიწყო. მაშინ ქალბატონმა მანანამ აუხსნა, რომ ლაპარაკი იყო მენტალურად ლიბიდოდაქვეითებულ ადამიანზე, რომელიც ცხოვრებისგან ვერანაირ დაკმაყოფილებას ვერ იღებს.

იმ პერიოდში, როდესაც ანდრო კანდელაკთან და პაატა სოფრომაძესთან ინტერვიუები ჩავიწერე, სქესობრივი განათლების პოპულარიზაციის მიმართულებით გარკვეული საზოგადოებრივი ინიციატივები იქნა განხორციელებული. მაგალითად, **გამომცემლობა „დიოგენემ“** გამოსცა წიგნები: **„მხიარული საუბრები ჰიგიენის, სექსისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ“ („მოზარდთა განვითარების ცენტრი“, 1998 წელი)** და **„ცვლილებები სხეულში, ცვლილებები ცხოვრებაში“ (2002 წელი)**. რეაქცია კატასტროფული იყო; განსაკუთრებით - მეორე წიგნზე. „ზნეობის დამცველნი“ გამომცემლობის მისამართზე მივარდნენ; რომ არავინ დახვდათ, კარიდან ფირნიში ჩამოგლიჯეს და დაწვეს. **პოლიტიკოსი გურამ შარაძე** იმდენად აღაშფოთა ამ წიგნის გამოცემამ, რომ არც კი წაუკითხავს, სამაგიეროდ, საჯაროდ დაწვა გაზეთი, რომელშიც მისი ნაწყვეტები იყო გამოქვეყნებული. ორივე წიგნს გავეცანი და მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ: სარედაქციო კოლეგიამ ბევრი იმუშავა ტექსტზე და ყველანაირად გაითვალისწინა აუდიტორიის მიმღებლობის დონე. მიუხედავად ამისა, ვრცელდებოდა ფანტასტიკური ჭორები, თითქოს წიგნი **„ცვლილებები სხეულში, ცვლილებები ცხოვრებაში“** ინცესტისკენ და ჰომოსექსუალიზმისკენ უბიძგებდა მკითხველს. ერთი შეხედვით, პარადოქსულია, მაგრამ ყველაზე მეტად ის ხალხი ილანძღებოდა, აღნიშნული წიგნები თვალითაც რომ არ ჰქონდა დანახული.

ამავე პერიოდში გაზეთ **„მერიდიან-44“-ში** მეც გამოვაქვეყნე პუბლიცისტური ციკლი **„სექსუალური აღზრდის პრობლემები“.** ციკლში გაკეთდა სექსუალური თემატიკის ტაბუირების რელიგიურ-ფილოსოფიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი. ეს იყო მკაცრად აკადემიური პუბლიცისტური ნაშრომი. რედაქციამ, ყოველი შემთხვევისთვის, სათაურიდან ამოიღო სიტყვა „სექსუალური“, თუმცა საზოგადოების ორთოდოქსულად განწყობილი ნაწილის რისხვისგან მაინც ვერ დამიფარა. მრევლის წევრებმა უაღრესად აგრესიული გამოხმაურებები გამოაქვეყნეს გაზეთებში: **„მრევლი“** („ნუცა ვინ გაცთუნებს თქუენ ცუდითა სიტყვითა“, #10-2000წ, **თეა პაიჭაძე, .** „რად უნდა მგელს ცხვრის ტყავი?!“, #11-2000, **მანანა ყიფიანი**), **„ახალი თაობა“** („არავის მივცემთ უფლებას ჩვენი შვილები საკუთარ კერპებს შეწირონ“**,** 25.04.2000, **ნინო ბზვანელი**), **„საქართველოს რესპუბლიკა“** („განირყუნნეს და ბილწ იქმნეს ისინი უშჯულოებითა“, 04.07.2000, **ნინო ბზვანელი**). აღნიშნულ პუბლიკაციებს საფუძვლიანად გავეცანი და პასუხიც გამოვაქვეყნე. სხვათა შორის, ავტორებს არც კი უცდიათ დამშვიდებული გონებით წაეკითხათ და ობიექტურად

გაეაზრებინათ ჩემი სტატიები. მათი მხრიდან, ფაქტობრივად, მხოლოდ უსაფუძვლო ბრალდებების აგრესიული კორიანტელი წამოვიდა. ერთ-ერთმა, ყველა სიკეთესთან ერთად, ორაზროვნად ჩემს მორალური სახესაც კი გაჰკრა კბილი.

საინტერესო დეტალი: 2020 წელს გამოქვეყნდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში მომზადებული კვლევის ანგარიში, რომელშიც საგულისხმო ციფრებს იხილავთ. გამოკითხულ მამაკაცთა 56,3% და ქალების 31,1% დარწმუნებულია - ქალი, რომელიც კონდომს ატარებს, „შესაბმელად“ ადვილად ხელმისაწვდომია. მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილში ქალის ინფორმირებულობა და თავშენახულობა დღესაც „მსუბუქ“ ყოფაქცევასთანაა გაიგივებული; განსაკუთრებით - მამაკაცებში.

ოცი წლის შემდეგ

საქართველოს სექსოლოგთა ასოციაციის მიერ შემოთავაზებული სქესობრივი აღზრდის სისტემას უამრავი წინააღმდეგობა შეხვდა და, საბოლოოდ, ვერ დაინერგა. მიუხედავად ამისა, განვლილ ოცწლიან პერიოდს უკვალოდ არ ჩაუვლია.

აი რა გვითხრა ოცი წლის შემდეგ **ანდრო კანდელაკმა:**

- ინტერნეტი უფრო მისაწვდომი გახდა და ადამიანები სასურველ ინფორმაციას სხვადასხვა წყაროებიდან იღებენ. როგორც ექიმი-კლინიცისტი ვიტყვი, რომ ამან გარკვეული ცვლილებები მოიტანა - დადებითიც და უარყოფითიც. პლუსი პირველ რიგში ის არის, რომ სექსუალურ საკითხებში ინფორმირებულობა გაიზარდა. მაგრამ ეს არ მომხდარა სისტემურად, ანუ სახელმწიფოებრივად გააზრებული განათლების ფორმატში. ძირითადად განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივები; ხშირად საეჭვო და ისეთი ფორმით მოწოდებული, რომ ძალიან გააღიაზიანა საზოგადოების კონსერვატიული ნაწილი. გარდა ამისა, ინტერნეტში ხელმისაწვდომი ქაოტიური და, ხანდახან, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია სექსუალური განათლების საიმედო წყარო ნამდვილად არ არის. შედეგად ინფორმირებულობა წყვეტილია, გამოტოვებულია სხვადასხვა ასაკობრივი ეტაპები; ანუ ადამიანები ვერ იღებენ აუცილებელ ინფორმაციას მაშინ, როდესაც ეს სჭირდებათ და იმ სახით, რა სახითაც სჭირდებათ. ეს ძალზე სახიფათოა; განსაკუთრებით იმიტომ, რომ სექსუალური ცხოვრების ასაკმა დაიწია. ამასწინათ ჩემმა ნაცნობებმა მთხოვეს, იქნებ სკოლაში უფროსკლასელ ბიჭებს შინაურულად ლექცია ჩაუტარორო. ბავშვები უკვე გრძნობენ ამის აუცილებლობას და ადეკვატური ინფორმაციის არარსებობა აბნევთ. მშობლებიც ნევროზულ მდგომარეობაში არიან - განსაკუთრებით, დედები. არ იციან, შვილებს რა უპასუხონ. ცხადია, უარი არ მითქვამს. ახლახან მომმართა ახალგაზრდა მამაკაცმა, რომელიც ღამის კლუბში დაუცველი სექსის შედეგად ათაშანგით დაავადდა. ვერც კი მიხვდა, რა სჭირდა - შემთხვევით დაუდგინეს. წარმოდგენა არ ჰქონდა ამ დაავადებაზე, მისი გადაცემის გზებზე, საპრევენციო საშუალებებზე და ა.შ. ცხადია, ჩვენგან ყველა აუცილებელი ინფორმაცია მიიღო. ახლა ამბობს: „ეს ყველაფერი სკოლაში რომ ესწავლებინათ, ხომ გავფრთხილდებოდიო!“. დასკვნები თავად გააკეთეთ. კიდევ

ერთ მნიშვნელოვანი დეტალს უნდა შევეხო: ჩვენი ყოფისთვის ახალ ფენომენს - პორნოსაიტებზე დამოკიდებულებას. ამ დროს ადამიანი მოწყვეტილია რეალურ სექსს, მისი სექსუალური ცხოვრება ძირითადად შემოიფარგლება მასტურბაციით. შედეგად უყალიბდება არასწორი წარმოდგენები და მოლოდინები. მქონდა ასეთი შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდა მამაკაცი იმდენად მიეჯაჭვა მასტურბაციას, რომ მასზე დამოკიდებულება განუვითარდა, ორგანიზმი გამოფიტვამდე მიიყვანა და სამკურნალო გახდა. ისიც ხდება, რომ მამაკაცს მეუღლე ჰყავს, მაგრამ მასტურბაციაზეა გადასული. ამასთან ასეთი შემთხვევები საკმაოდ გახშირდა, მაგრამ სტატისტიკა არ არსებობს. დასავლეთში ეს პრობლემა უფრო შესწავლილია. მინდა პოზიტიური მომენტებიც აღვნიშნო. მოიმატა წყვილების ერთობლივმა მომართვიანობამ. ადრე ეს თითქმის წარმოუდგენელი იყო. მამაკაცისთვის რომ გეთქვა - პარტნიორი ქალი მოიყვანეო, გპასუხობდა - რას ამბობ, რა ქალი მოვიყვანოო. კიდეც ბრაზდებოდა. არც ქალები იკლავდნენ თავს მოსვლაზე. ახლა ერთად მოდიან და ქალები უკვე კიდეც აქტიურობენ. წინ წამოიწია ქალის ეროტიკულ-სექსუალური დაკმაყოფილების მომენტმა. განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში (40 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას ვგულისხმობ). ეს დიდად წინ წადგმული ნაბიჯია.

- ანუ ფალოცენტრიზმიდან (ერექციის ხარისხზე აქცენტისგან), რომელიც ადრე წამყვანი იყო საქართველოში, ექსტაზოცენტრიზმისკენ (რეალური სექსუალური დაკმაყოფილებისკენ) გადავინაცვლეთ...

- ნამდვილად ასეა! ადრე, თუ ძირითადი ჩივილი ერექციის პრობლემები და სწრაფი ეაკულაცია იყო, ახლა წინ სექსუალური ლტოლვის დაქვეითებამ წამოიწია. მე ამას ავხსნიდი ფსიქოლოგიური გარემოს დაბინძურებით და პორნო საიტებზე მიჯაჭვულობით. კიდევ ცალკე თემაა სექსუალური ლტოლვის ჩანაცვლება აზარტულ თამაშებზე და ნარკოტიკებზე დამოკიდებულებით - სულ აღარ უნდათ ქალი! ყველა ემოციას ნარკოტიკიდან, თამაშიდან, ან პორნო საიტიდან იღებენ. მენტალური ჯანმრთელობა ძალიან ცუდ დღეშია. ჩვენი პაციენტების 60-70%-ის პრობლემები ნარკომოხმარების ფონზეა, მაგრამ მოწევას და აბების მიღებას ნარკომანიას უკვე აღარც უწოდებენ. ამ დროს ზოგს მეხსიერებას უქვეითებს, ზოგს სქესობრივ უნარებს. მენტალური გარემოს კრიზისი პირდაპირ აისახება სექსუალურ ურთიერთობებზე. კიდევ ერთ საინტერესო დეტალს გეტყვით: მქონდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოგვმართეს სექსუალური ჩივილით. მამაკაცებს არ ჰქონდათ ერექცია, ანუ ვერ ხორციელდებოდა კოიტუსი (სქესობრივი შეღწევა ქალის სხეულში - ავტ.). წყვილმა ამის კომპენსირება მოახდინა ალტერნატიული მეთოდებით და წლების მანძილზე სავსებით აკმაყოფილებდათ ასეთი ურთიერთობა; მე მხოლოდ იმიტომ მომმართეს, რომ შვილი უნდოდათ. მოგეხსენებათ, დაფეხმძიმებისთვის სწორედ სექსუალური შეღწევაა საჭირო.

- ეს უკვე ფალოცენტრიზმის დაძლევის არცთუ ჯანსაღი ფორმაა, ანუ - მეორე უკიდურესობა. ერექციის არქონა ჯანმრთელობის სხვა პრობლემებზეც მიუთითებს და, წესით, ამით უფრო ადრე უნდა დაინტერესებულიყვნენ...

- ცხადია! მამაკაცს აღენიშნებოდა ჭარბი წონა, წნევები და ა.შ. მოდით ახლა დავაჯამოთ პლუსები და მინუსები. პლუსად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ინფორმირებულობა გაიზარდა, წყვილების დონეზე პრობლემები წარმოჩნდა, ქალებს ორგაზმის სიმულირება აღარ უნდათ და რეალური ორგაზმისკენ ისწრაფვიან. სექ-

სუალური ურთიერთობა ცრურწმენებისგან უფრო თავისუფალი გახდა. სამაგიეროდ, მოხდა პრობლემების „გადანაცვლება“: ადრე ლტოლვის დაქვეითება და ანორგაზმია თუ ქალური პრობლემები იყო, ახლა მამაკაცური გახდა. უფრო მეტიც - მამაკაცებმა ორგაზმის იმიტაცია დაიწყეს. ხდება არაპენეტრიაციული (შეღწევის გარეშე) სექსის უფრო მშვიდად მიღება როგორც ქალების, ისე მამაკაცების მხრიდან. საინტერესოა, რომ ასაკოვან ადამიანებშიც გაჩნდა სექსუალური ცხოვრების მოთხოვნილება. ჩემთან მოვიდა 92 წლის კაცი, რომელსაც ცხოვრების ფინანსური მხარე აბსოლუტურად მოგვარებული აქვს, მაგრამ ცოლი რამდენიმე წლის წინ გარდაეცვალა. 60-67 წლის ასაკოვან მამაკაცებზე აღარაფერს ვამბობ. ანუ აქვთ სექსუალური სურვილები, თანაც როგორც წესი, სავსებით ჯანსაღი და ასაკობრივ ნორმასთან მისადაგებული. ძალზე საინტერესოა, რომ მოდიან ჰომოსექსუალები თავის ჰომოპარტნიორებთან ურთიერთობაში პრობლემების გადასაწყვეტად. წინათ კი ოჯახის წევრებს ყურით მოჰყავდათ - ორიენტაცია შეუცვალეთო.

ოცი წლის შემდეგ **პაატა სოფრომაძესაც** შევხვდი. ისიც აღნიშნავს, რომ ინფორმირებულობის და ურთიერთობების ხარისხის თვალსაზრისით სიტუაცია აშკარად უკეთესობისკენ შეიცვალა:

- პრობლემები ყველა ასაკში მოსალოდნელია; როგორც სომატური, ისე ფსიქოგენური. საქმე ისაა, როგორია ამ პრობლემების მიმართ დამოკიდებულება და რეაგირება. ამ კუთხით დადებითი ძვრები ნამდვილად შეინიშნება. ახლა მამაკაცებისთვის უკვე მნიშვნელოვანია, რომ სიამოვნება ქალმაც მიიღოს და ეს სერიოზული წინსვლაა. ინფორმირებულობის ზრდამ სექსოლოგებთან ქალთა მომართვიანობაც გაზარდა. წინათ ქალი საკუთარ თავსაც ვერ უტყდებოდა, რომ ანორგაზმია მისთვის პრობლემა იყო, ახლა მოდის და ცდილობს მის გადაწყვეტას. ქორწინებამდელი სქესობრივი კავშირებიც მეტია. ქალწულობის ინსტიტუტი ნელ-ნელა კარგავს თავის პოზიციებს. ოცი წლის წინანდელს კი არც შევადარებ. როდესაც ახალგაზრდა ქალები მოდიან, უკვე ისმის ტექსტები: აი, ასეთი გამოცდილება მქონდა, ასეთი სექსუალური პოზა მოვსინჯე და ა.შ. ანუ გაიზარდა სექსუალური მიმღებლობის დიაპაზონი, გამრავალფეროვნდა ტექნიკები. უკვე აღარ არის ისე, რომ ქალს ეშინოდეს - ეს რომ გავაკეთო, ჩემზე ცუდად ხომ არ იფიქრებსო. წყვილი უფრო ღიად ელაპარაკება ერთმანეთს თავის სურვილებზე, ფანტაზიებზე. ადრე ორალური სექსი სასირცხვილად ითვლებოდა (განსაკუთრებით მამაკაცის მხრიდან - კუნილინგუსი მაქვს მხედველობაში), ახლა კი ეს პრაქტიკა უამრავ ოჯახშია მიღებული. უნდა გითხრათ, რომ სქესობრივი ცხოვრების დაწყების ასაკი ძირს ჩამოვიდა. შესაბამისად, ახალგაზრდების მომართვიანობამაც იმატა. 14-15 წლის არასრულწლოვანებიც კი გვყოლია. წინათ 17-18 წლის ასაკიდან მოდიოდნენ. ბიჭები მყავს მხედველობაში. გოგონებზე ინფორმაცია ნაკლებად გვაქვს, მაგრამ, სავარაუდოდ, სექსუალური ცხოვრების ასაკმა მათ შემთხვევაშიც დაიწია. საბედნიეროდ, ბევრი რამე შეიცვალა. მოსაზრება, რომლის თანახმად მამაკაცის სექსუალურობას აპლოდისმენტებით უნდა შევხვდეთ (ანუ რაც მეტი ქალი ჰყავს, მით უფრო მაგარი ვინმეა), ხოლო ქალი კი მორცხვი და მკაცრად მონოგამი უნდა იყოს, უკვე აღარაა ჭეშმარიტებად მიჩნეული.

სექსის მიმართ დამოკიდებულების სფეროში წინააღმდეგობრივად, მაგრამ მაინც მიმდინარეობს სტიგმის დაძლევის შეუქცევადი პროცესი. აი, რა გვითხრა

გამომცემლობა „დიოგენეს“ დამფუძნებელმა, ფსიქოლოგმა თამარ ლებანიძემ:

- გადავწყვიტეთ, „მხიარული საუბრები ჰიგიენის, სექსისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ“ კიდევ ერთხელ გამოვცეთ. ცხადია, ტექსტს ხელახლა დავამუშავებთ; სქესობრივი განათლების სფეროში ლიტერატურის, ან რაიმე დამხმარე სასწავლო მასალების გამოცემისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ცნობიერებაში მომხდარი ცვლილებები და საზოგადოების მიმღებლობა. ამიტომ ჯერ საფუძვლიანი კვლევაა ჩასატარებელი. წიგნი „ცვლილებები სხეულში, ცვლილებები ცხოვრებაში“ ადაპტირებული თარგმანი იყო. წლების განმავლობაში მივედით დასკვნამდე, რომ უმჯობესია სქესობრივი განათლების თემას მიძღვნილი პუბლიკაციის ტექსტი ადგილობრივ მასალაზე დაყრდნობით იყოს შემუშავებული. ეს პრინციპულად მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, სქესობრივი განათლების სისტემა აუცილებლად განვითარებადი უნდა იყოს, ვინაიდან მენტალობა და მიმღებლობის დონე დროთა განმავლობაში იცვლება. მაგალითად, დამოკიდებულება ინვიტრო განაყოფიერების, ან კონტრაცეფციის მიმართ; შესაბამისად ჩნდება ახალი კითხვები, რომელსაც აუცილებლად უნდა გაეცეს კომპეტენტური პასუხი.

2019 წლის ზამთარში ვიხილეთ **ა/ო „განათლებისა და შრომის ასოციაციის“** საგანმანათლებლო ხასიათის ვიდეოები სექსუალური განათლების საკითხებზე. ვიდეოები მომზადებული იქნა **UNESCO-ს** სექსუალური განათლების საერთაშორისო ტექნიკურ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით და გათვალიწინებულია 8 წლის ასაკიდან ბავშვებისთვის. ლექციურ მასალებს კი **გენდერის მკვლევარი ხატია ახალია** გვაცნობს. საზოგადოების აზრი ორად გაიყო: ნაწილი მიესალმა ამ ინიციატივას, ხოლო ორთოდოქსულ-კონსერვატიულად მოაზროვნე ნაწილმა ინიციატივის ავტორებს და პირადად **ხატია ახალაიას** ლანძღვა-გინება დააყარა. ფიზიკური ანგარიშსწორებისკენ მოწოდებმაც კი გაიჟღერა. ანუ „ტრადიციების დამცველნი“, როგორც ყოველთვის, თავის ამპლუაში იყვნენ.

წიგნის ავტორის აზრით, სქესობრივი განათლების საზოგადოებრივი ინიციატივები თავისთავად ძალზე კონსტრუქციული მოვლენაა, მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნა ანდრო კანდელაკმა, აქ რეალურ შედეგს მხოლოდ სახელმწიფოებრივი პოლიტიკა და სისტემური მიდგომა მოგვიტანს. აუცილებელია საზოგადოებაში მიმღებლობის დონის გათვალისწინება და საქართველოს რეალობას მორგებული განვითარებადი მოდელის შემუშავება; სწორედ განვითარებადი, ვინაიდან, როგორც სავსებით სწორად აღნიშნა თამარ ლებანიძემ, მიმღებლობა დროთა განმავლობაში იცვლება, რაც სქესობრივი განათლების მოდელში აუცილებლად უნდა აისახოს. სქესობრივი განათლების საზოგადოებრივ ინიციატივებში ხშირად აქცენტირებულია ანატომიურ-ფიზიოლოგიური საკითხები, რაც, ავტორის აზრით, საკითხის პრიმიტივიზაციაა;. ცრურწმენებითა და ქვეცნობიერი ფობიებით შეპყრობილ ადამიანებთან დელიკატური მიდგომაა საჭირო; მათი სქესობრივი განათლება სასქესო ბაგეების ფორმაზე საუბრით ნამდვილად არ უნდა დავიწყოთ. ამ თვალიზ საქმეში არც ჩამორჩენა გვარგებს და არც მეტისმეტად წინ გაჭრა. სქესის და სქესობრივი ურთიერთობების საკითხებს აქვთ როგორც ანატომიური, ისე ფიზიოლოგიური და

ფსიქოლოგიური პარამეტრები. ყველა პარამეტრის დაბალანსებული და ასაკთან მისადაგებული მიწოდება უფრო მიზანშეწონილია. სქესობრივი განათლების დანერგვას წინ უნდა უსწრებდეს ფართომასშტაბიანი ახსნა-განმარტებითი კამპანია მასმედიაში. ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ხანდახან გონივრულად მოფიქრებულ პროექტს, სწორედ არაგონივრული განხორციელება წაახდენს. სქესობრივი განათლების საკითხში განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო.

ნებისმიერ შემთხვევაში, ერთმნიშვნელოვნად ცხადია - გენდერული ლანდშაფტის სექსუალური განზომილება იცვლება. უამრავი ძვრა მოხდა - როგორც სასიკეთო, ისე საკამათო. ყველაზე სასიკეთო კი ისა არის, რომ „ვაშლი“ აკრძალული ხილი აღარაა; პრობლემაზე ღიად საუბარი უკვე შესაძლებელია. ქალბატონი, რომლის წერილით ეს თავი დავიწყეთ, დღეს უკვე აშკარად მოახერხებდა მეუღლესთან გულახდილად საუბარს, რასაც ეს უკანასკნელი, დიდი ალბათობით, ბინძურ სურვილებად აღარ მიიღებდა. ანუ ქალსა და მამაკაცს შორის აზვირთებულმა კომპლექსების ნაკადმა დაშრეტვა დაიწყო.

ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის მუშაკი მანანა ჯინჭარაძე კმაყოფილებით აღნიშნავს:

- ოზურგეთში ჩატარებული ღონისძიებაზე მყოფ თაობას ახლა რომ ვუყურებ, მაშინდელთან შედარებით ცაში ასულია. მაგალითად, ატირებულმა რუსულის მასწავლებელმა კარდინალურად შეცვალა თავისი პირადი ცხოვრება. არ გათხოვილა, მაგრამ ჰყავს მეგობარი, რომელიც მისი არა მხოლოდ ხორციელი, არამედ სულიერი თანაზიარია. შედეგი? ქალი მხრებში გაიშალა, თვალებში სხივი ჩაუდგა, სხეული ცეკვავს და სულიც ცეკვავს - როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით; პროფესიაშიც უფრო ენერგიული და შემოქმედებითი გახდა.

სიამოვნებით დავასრულებდი თავს ნათელ ტონალობაში, რომ არა **გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის“** ფარგლებში ჩატარებული, უკვე ნახსენები კვლევის შედეგები. აგრეთვე, უამრავი სხვა ხელმისაწვდომი ინფორმაცია (სოციალურ ქსელებში ჩანაწერებზე რომ არაფერი ვთქვათ. ამ მასალებს გზადაგზა გაგაცნობთ). სექსის სფერო და მისი თანმდევი ცხოვრებისეული კოლიზიები ისევ გენდერული სტიგმითაა გაჯერებული და არაჯანსაღი ცნობისმოყვარეობის სამიზნეა. შედეგად, ქალების შემთხვევაში, გადაწყვეტილების უფლება ისევ დახავსებული და სტიგმად ქცეული ნორმებითაა შეზღუდული. პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს ქალის უფლება საკუთარ სხეულზე. ამ საკითხზე უფრო ფართოდ ქალწულობის ინსტიტუტის და სექსუალურ ძალადობას მიძღვნილ თავებში ვისაუბრებთ.

აშკარაა, რომ უკვე თვალსაჩინო გარდატეხის მიუხედავად, საზოგადოების დიდი ნაწილი დღესაც სტიგმური წარმოდგენების ტყვეობაშია. მენტალური რევოლუციის წარმატებებზე მხოლოდ სექსოლოგებთან მისული კონტინგენტით ვერ ვიმსჯელებთ. ეს საზოგადოების შედარებით თავისუფლად მოაზროვნე ნაწილია, მაგრამ არის მეორე ნაწილიც, რომელსაც სექსოლოგთან დღესაც ყურითაც ვერ მიიყვან; ხოლო, თუნდაც, უკორექტულესი სქესობრივი განათლების პროგრამის და-

ნერგვა, მის თვალში, ბავშვების და ახალგაზრდების გახრწნას უტოლდება. ცალკე საკითხია, რომ სისტემური პოლიტიკის შემუშავებას. არც სახელმწიფო ცდილობს

„არ შეიძლება იყო დამონებული სექსუალურში და თავისუფალი სოციალურში.“ - მითხრა ერთხელ ფსიქოლოგმა ლიკა ნადარაიამ. სწორადაა შენიშნული! როგორც სექსუალური, ისე სოციალური აქტივობა ენერგიის საერთო წყაროდან - ლიბიდოდან საზრდობს. შემთხვევითი არ არის, რომ ტოტალიტარული რეჟიმები სექსუალურ სფეროს უმკაცრესად აკონტროლებდნენ და აკონტროლებენ. საზოგადოებრივი კეთილღეობისთვის და ადამიანის ფსიქიკური სიჯანსაღისთვის აუცილებელია ამ ენერგიის ყველა გამოვლინების ჰარმონიზაცია. სქესობრივი აღზრდის სისტემა სწორედ ამ მიზანს, ანუ თავისუფალი საზოგადოების თავისუფალი მოქალაქის ჩამოყალიბებას ემსახურება.

თაკი მეხუთე

ქალწულობის ინსტიტუტი

ქალწულობის ინსტიტუტი საქართველოში

ათასწლეულთა მანძილზე ქორწინებამდე საქალწულე აპკის სიმრთელე მომავალი ცოლის აუცილებელ ატრიბუტად ითვლებოდა. გამონაკლისი, ცხადია, არც საქართველოც გახლდათ. ქალწულობის ინსტიტუტი იმდენად ღრმადაა ფესვგამჯდარი ხალხის ცნობიერებაში, რომ მასში ეჭვის შეტანა საზოგადოების ნაწილში დღესაც აღშფოთებას იწვევს. საბჭოთა პერიოდში კი ეს საკითხი ისევე აქტუალური იყო, როგორც საუკუნეების წინათ. გასული საუკუნის 80-ან წლებში დასავლეთ საქართველოში მომხდარმა შემთხვევამ ლაკმუსის ქაღალდივით გამოაბრდღვიალა რამდენად ღრმად იყო ჩამჯდარი აღნიშნული სტიგმა საზოგადოებრივ ცნობიერებაში. იმერეთის ერთ-ერთ სოფელში პირველი ღამეს ქმარმა 17 წლის პატარძალი სასტიკად სცემა - ქალიშვილი არა ხარო და... მილიციაში წაათრია! მილიციის მუშაკები გოგონას სახეზე „ეგზეკუციის“ ნიშნებით არ დაინტერესდნენ, სამაგიეროდ, საჭიროდ მიიჩნიეს ქმრის „ღირსების“ დაცვა: თუ არ გამოტყდები ვისთან დაკარგე ქალიშვილობა, პასუხისგებაში მიგცემთო. ცხადია, კანონში მსგავსი ჩანაწერი არასოდეს არსებულა, უბრალოდ, პატარძალს ფსიქოლოგიურად ატერორებდნენ. როგორც გაირკვა, გოგონა ორიოდე წლის წინ ჯგუფურად გააუპატიურეს. თურმე სოფლის გზაზე მიდიოდა. ამ დროს უცნობმა მამაკაცებმა მანქანა გააჩერეს და ტყეში წაათრიეს, შემდეგ კი იქვე მიაგდეს. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ბავშვს სახლში დიდად არც დაუგვიანია. მშობლებს მომხდარი უბედურება დაუმალა და ყველაფერი გულში ჩაიმარხა, ვინაიდან შიშობდა (ვფიქრობ, სავსებით საფუძვლიანად), რომ აქეთ გაამტყუნებდნენ და კარგადაც მოსცხებდნენ. ქმრის ოჯახმა გოგონა მშობლებთან დააბრუნა. როდესაც დავინტერესდი, ახლა როგორაა-მეთქი, აგდებულად მიპასუხეს: გდია ტახტზე, ჩუმად იცრემლება და არავინ ეკითხება შია, თუ სწყურიაო. საზოგადოებას მოძალადეთა მიმართ აღშფოთება არ გამოუხატავს - მთელი რისხვა გოგონას დაატეხა: თუ თავის იმედი არ ჰქონდა, რას თხოვდებოდა, ოჯახი ხარჯში ტყუილად რატომ ჩააგდოო?! ხალხის აზრით, ამ ამბავში ყველაზე მნიშვნელოვანი სასიძოს „ღირსება“ და ჯიბე ყოფილა! ქალის ღირსება მხედველობიდან აშკარად გამორჩათ, ხოლო მისი უფლება პირად ბედნიერებაზე საერთოდ იგნორირებულ იქნა.

პარალელი: ავტორის მიერ ჩატარებულ გამოკვლევაში, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლის, გამოკითხულ მამაკაცთა 85,09%-მა და ქალთა 70,50%-მა ქალწულობა პატარძლის აუცილებელ ატრიბუტად მიიჩნია,

საქალწულო აპკის მთლიანობის „კანონგარეშე“ დარღვევა ქალს დღესაც არა მარტო სოციალურად, არამედ ფსიქოლოგიურადაც აზარალებდა. ეს უკანასკნელი კი ყოველთვის ყველაზე მეტად დამანგრეველი იყო, ვინაიდან ქალის თვითშეფასება კატასტროფულად ეცემოდა. მახსენდება ერთი ასეთი შემთხვევა. საქმე ეხება ძალზე ღირსეულ, განათლებულ და კარგად აღზრდილ ქალიშვილს; მას

ვაჟი თავდავიწყებით შეუყვარდა და ფიზიკურ სიახლოვეზე უარი ვერ უთხრა. მომხდარის შემდეგ გოგონას მთელი სიცოცხლე დაუსახიჩრდა; თავს გათხოვება საერთოდ აუკრძალა - ჩემს პრობლემებს სხვას ვერ მოვახვევო. ძალზე ხშირი იყო საწინააღმდეგო შემთხვევებიც: როდესაც საკუთარ თავზე ხელჩაქნეული ქალი თავით გადაეშვებოდა ხანმოკლე სექსუალური თავგადასავლების მორევში. შედარებით ასაკოვანი თაობა უამრავ ასეთ მაგალითს გაიხსენებს. საკვირველი არაა, რომ გოგონები, თუკი „ფეხი გადაუცდებოდათ“, სასწრაფოდ იჭერდნენ თადარიგს და ქალწულობას ქირურგიულად აღიდგენდნენ.

საინტერესო დეტალი: „გაკერილი ქალიშვილი“ მომავალი სადედამთილოების კოშმარი იყო. 1998 წელს ჟურნალში „სარკე“ გამოქვეყნდა ანონიმური ინტერვიუ: „ნუ გეშინიათ, გოგონებო, გაგკერავთ და გათხოვდებით!“. იატაკქვეშა დასტაქარის გამოსვლას ვაჟების დედათა აღშფოთებული გამოხმაურებები მოჰყვა.

90-იანი წლების ბოლოს გულახდილად ვესაუბრე ერთ მამაკაცს, რომელიც წარმომავლობით და ცხოვრების წესით ე.წ. „ელიტის“ წარმომადგენელი იყო. წლების მანძილზე მოგზაურობდა და ცხოვრობდა ევროპაში. ჰქონდა საშუალება დაკვირვებოდა სხვადასხვა კულტურებს, გაეფართოებინა თვალსაწიერი და გაეკეთებინა დასკვნები. ერთი შეხედვით, თითქოს გაითავისა მიღებული გამოცდილება. ინტიმურ ცხოვრებაში ფრიად თავისუფალი და სხვათა შემწყნარებელი იყო. მაგრამ დადგა დღე, როცა ოჯახის შექმნაზე დაფიქრდა და... ჩვენმა „ფართოდ მოაზროვნე“ ინტელექტუალი დაქორწინდა... თავისზე ბევრად უმცროს, ნაკლებად განათლებულ (თუმცა დიპლომიან!) და ძალიან ლამაზ გოგონაზე. ერთ-ერთი საზომი, კი სწორედ საპატარძლოს ქალწულობა იყო. მეუღლემ იუცხოვა ქმრის არაორდინარული ცხოვრების წესი და ოჯახი დაიშალა. გგონიათ ეს გამოცდილება მამაკაცისთვის გაკვეთილად იქცა? თქვენც არ მომიკვდეთ! როგორც საუბრის დროს გაირკვა, ქალწულობა მისთვის ისევ აუცილებელ ატრიბუტად დარჩა: „ქალი პირველ მამაკაცს განსაკუთრებული გრძნობით ეკიდება და თუ უკანასკნელიცაა, უფრო მეტად უყვარს და აფასებს. მამაკაცი რომელიც საწინააღმდეგოს ამტკიცებს, უბრალოდ ეშმაკობს და „გულაობას“ იადვილებოსო“. მოკლედ, ჩვენმა გმირმა ჯერ თავისი მოიოხა და, როდესაც ცოლის მოყვანის დრო დაუდგა, თავისი ჭეშმარიტი ბუნება გამოავლინა - მოიქცა იმის საპირისპიროდ, რასაც მთელი ცხოვრების მანძილზე ქადაგებდა.

პარალელი: გასული საუკუნის ბოლოს წლებში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტის ერთ-ერთი წამყვანი მეორეს შეეკითხა: „საცოლეს მინის ჩააცმევ, თუ მაქსისო?“. პასუხი ფრიად მრავლისმეტყველი მიიღო: „ჩემს საცოლეს მაქსი ეცვას და დანარჩენს კი ყველას მინი!“. ვფიქრობ, კომენტარები ზედმეტია.

ისტორიულ საწყისებთან

არც ერთი სოციალური ინსტიტუტი ცარიელ ადგილზე არ წარმოიქმნება. ამისათვის ჯერ სოციალური შეკვეთა უნდა არსებობდეს. სქესობრივი ურთიერთობების ევოლუციის ისტორიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ კაცობრიობის ისტორიის გა-

რიურაუზე ქალისთვის ფიზიკური „უმანკოების“ მოთხოვნის არანაირი საფუძველი არ არსებობდა. **ანთროპოლოგ ლუის მორგანის** აზრით, პირველყოფილი ჯოგის საფეხურზე ადამიანები ცხოვრობდნენ უწესრიგო, არარეგულირებადი სქესობრივი ურთიერთობის ატმოსფეროში. მეცნიერებაში ამ ფენომენს „პრომისკუიტეტს“ უწოდებენ. **მორგანის** აზრით, პრომისკუიტეტი სქესობრივ ურთიერთობათა უძველესი ფორმაა, რომელიც წინ უსწრებდა ქორწინებისა და ოჯახის წარმოშობას. მოგვიანებით, სექსუალურ ურთიერთობებში მოხდა ნათესაური აკრძალვების ეტაპობრივი შემოტანა; თანდათანობით ჩამოყალიბდა ე.წ. **„წყვილური ოჯახი“,** სადაც სხვა პარტნიორებს შორის მამაკაცს ჰყავდა „ძირითადი“ ცოლი და ქალსაც სხვა პარტნიორებს შორის - „ძირითადი“ ქმარი. ამდენად, ამ ეტაპზე ქალწულობის ინსტიტუტზე საუბარიც კი ზედმეტი იყო. აღნიშნული მდგომარეობა შეესაბამება მატრიარქალურ პერიოდს.

საინტერესო დეტალი: ახლა ძალიან მოდაშია მატრიარქატის, როგორც კაცობრიობის განვითარების საფეხურის უარყოფა. აღნიშნული თეორიის მოწინააღმდეგეთა აზრით, მატრიარქატის თეორია ფრანგ ანთროპოლოგ ჟ. ფ. ლაფიტოს (1681 - 1746), შვეიცარელ ეთნოგრაფ ი. ა. ბაჰოფენის (1815 - 1887), ამერიკელ ეთნოგრაფ ლუის მორგანის (1818 - 1881) და ფ. ენგელსის მიერ გამომცხვარი ზღაპარია. ისინი აშკარად უგულებელყოფენ იმ ფაქტს, რომ უამრავი პრიმიტიული ეთნოსის ყოფაში ჭარბად იქნა აღმოჩენილი და აღწერილი მატრიარქალური „რუდიმენტები“. ვფიქრობ, მატრიარქატის არსებობის უარყოფის მიღმა ქალთა დომინანტური სოციალური სტატუსის შინაგანი მიუღებლობა დგას; ანუ, მატრიარქატის, როგორც კაცონრიობის განვითარების საფეხურის უარყოფის მიზეზი არა მეცნიერული, არამედ ფსიქოლოგიური და იდეოლოგიურია.

მდგომარეობა ეტაპობრივად შეიცვალა, როდესაც სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში ნელ-ნელა მამაკაცი გაბატონდა. ამის მიზეზებზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ჩამოყალიბდა პატრიარქალური თემი, რომლის წიაღში ჩაისახა კერძო საკუთრება და დღის წესრიგში დადგა მისი მემკვიდრეობით გადაცემის საკითხი. ყოფის პატრიარქალური მოდელიდან გამომდინარე, ეს მამის ხაზით უნდა განხორციელებულიყო. ნათესაური კავშირებით შეზღუდული თავისუფალი სექსუალური ურთიერთობები მამობის დადგენას ფრიად საალბათოს ხდიდა. სწორედ ამან გააჩინა ქალთა მონოგამიურობის აუცილებლობა. მამაკაცებს სურდათ ქონება საკუთარი ბიოლოგიური მემკვიდრისთვის გადაეცათ; ანუ სოციალურ-მენტალური ცვლილებები ეკონომიკურმა რეალობამ განსაზღვრა.

ცხადია, ქალთა მონოგამიურობა ერთბაშად არ დამკვიდრებულა. **ფრიდრიხ ენგელსმა** თავის ნაშრომში **„ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“** კარგად გააანალიზა ეს პროცესი. თავდაპირველად, ეტაპობრივად შეიზღუდა მხოლოდ ქორწინების შემდგომი სექსუალური კონტაქტები. მერე პროცესი გაღრმავდა; კერძომესაკუთრული ურთიერთობის განვითარებამ განაპირობა კერძომესაკუთრული მენტალიტეტის ჩამოყალიბება და ამ ფონზე ძველ გენდერულ სტერეოტიტებს ნელ-ნელა ახალი ჩაენაცვლა. ქალის სტატუსმა მიიღო მამაკაცის საკუთრების - კანონიერი მემკვიდრეების გაჩენის „ინკუბატორის“ სახე, რომლის ვარგისიანობის გარანტი საქალწულე აპკი იყო. სამაგიეროდ, მამაკაცებმა, ისარგებლეს რა გაბატონებული სოციალური სტატუსით, პოლიგამიის უფლება შეინარჩუნეს, რასაც, აგრეთვე, დიდად ხელი შეუწყო „მომგებიანმა“ ანატომიურ-ფიზიო-

ლოგიურმა კონსტიტუციამ; ბოლოს და ბოლოს, ეს მემკვიდრის კანონიერებაზე არ აისახებოდა! პარალელურად ამუშავდა სოციალურ-მენტალური მექანიზმები და მოხდა სოციალურ-გენდერული სიახლეების იდეოლოგიური „ჩაცემენტე-ბა“; ანუ ქალის შემთხვევაში ქორწინების წინა სექსუალური კონტაქტები უმძიმეს ცოდვად იქნა აღიარებული. ქალწულობა დაკავშირებული იქნა ისეთ ზნეობრივ კატეგორიებთან, როგორიცაა სულიერი სიწმინდე, სათნოება, კდემამოსილება, კეთილგონიერება. გათხოვებამდე სექსუალური გამოცდილების არქონა, ხოლო შემდგომ - მკაცრი მონოგამია ქალის პატიოსნების სინონიმი გახდა. შედეგად, მივიღეთ წარმოდგენები, რომელთა თანახმად, ქალის მხრიდან ღალატი ბო-ზობაა (ფანჯარაში შემოფურთხება), ხოლო მამაკაცის მხრიდან - მისატევებელი შეცდომა, ან ბუნებრივი პრივილეგია (ფანჯრიდან გადაფურთხება). მოკლედ, თუ **მარქსის** ტერმინოლოგიით ვისარგებლებთ, ეკონომიკამ განსაზღვრა ცნობიერება (სოციალურ-მენტალური რეალობა) და ამაში ბიოლოგიაც წაეხმარა. მონოგამიური ოჯახის პატრიარქალური ფორმის ჩამოყალიბებას **ენგელსმა** ქალთა სქესის მსოფ-ლიო-ისტორიული დამარცხება უწოდა.

საინტერესო დეტალი: ძალიან მრავლისმეტყველია, რომ, პარალელურად, მოხდა ქალწულობის საკრალიზაცია. ყველა დიდ რელიგიაში ღვთაების მიწიე-რი ემანაცია უწმიდესი ჭურჭლის - უბიწო ქალწულის სხეულის მეშვეობით ხდება: ბუდა მაიამ შვა, კრიშნა - დევაკიმ, ხოლო ქრისტე - მარიამმა, რომელმაც, წმიდა წერილის თანახმად, ქალწულება მშობიარობის შემდეგაც შეინარჩუნა.

ქალწულობის ინსტიტუტში თვალსაჩინოდაა ასახული პატრიარქატის არსი: მა-მაკაცი - მესაკუთრე, რომელიც დაქვემდებარებულისგან მოითხოვს „საკუთრების ვარგისიანობის“ გარანტს, ანუ საქალწულო აპკის სიმრთელეს. თუკი „მესაკუთრეს“ „ლუქი“ ახსნილი დახვდებოდა, სამოქალაქო და ზნეობრივი კანონის თანახმად, შე-ეძლო დაესაჯა მისი „უფლებების შემლახავი“ ქალი. სასჯელის ფორმა ეპოქის, კონ-კრეტული სოციუმის ადათ-წესების და დამსჯელის“ ხასიათზე იყო დამოკიდებული. ამ ფონზე სავსებით გასაგებია დასავლეთ საქართველოში მომხდარი ისტორიის მოქმედ პირთა აბსურდული საქციელი და სისასტიკე. მამაკაცში ალაპარაკდა ისტო-რიული მესაკუთრე, რომელსაც „ლუქახსნილი ნივთი“ შეატყუეს. ამიტომ მეუღლეს არა მარტო სცემა და გამოაგდო, არამედ ქვეყანაც შეუყარა. მილიციის მუშაკთა უაზრო ქმედებაც ზუსტად შეესატყვისება უძველესი პატრიარქალური თემის ოფი-ციალურ სამართალს. არც იმ მამაკაცთა საქციელია გასაკვირი, დღესაც კერძო ექსპეტიზებს რომ უკვეთენ ცოლის „ქალიშვილობის“ გასარკვევად. აშკარაა, რომ საზოგადოებრივი ცნობიერება წინ დიდად არ წასულა. პროგრესზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როდესაც მეუღლეები ერთმანეთის წარსულში ჩარჩენილი სექ-სუალური ცხოვრებით აღარც დაინტერესდებიან.

პარალელი: ხევსურულ სწორფრობას და ფშავურ წაწლობას თამამად შეიძლება ვუწოდოთ „გერლფრენდ-ბოიფრენდობის“ არქაული ანალოგი. ურთიერთობაში დაშვებული იყო ეროტიკულ-სექსუალური მომენტები. მაგრამ სრული სქესობრივი კონტაქტის, ანუ კოიტუსის (სხეულში შეღწევა) გარეშე. მეორე მხრივ, წაწლობა ახალგაზრდებს მომავალი სოციალური როლებისთვის ამზადებდა, ანუ ერთგვა-რი სქესობრივი აღზრდის სისტემაც იყო. ქალი უკერავდა და უქსოვდა ვაჟს, ვაჟი ქალური ხელსაქმის იარაღებს უთლიდა და ა.შ.

ახალი ეპოქა და ძველი სტერეოტიპები

ორგანიზაციამ „ქალების ინიციატივა თანასწორობისთვის“ გასული საუკუნის ბოლოს საზოგადოებაში მსოფლმხედველობითი ორიენტაციების დადგენის მიზნით გამოკითხვა ჩაატარა. მკვლევარებს აინტერესებდათ დამოკიდებულება ოჯახურ ფასეულობებთან, სქესთაშორისი ურთიერთობების კრიტერიუმები და სხვა. გამოვლინდა, ერთი შეხედვით, პარადოქსული კანონზომიერება: ყველაზე ლიბერალური გამოდგა „მშობელთა“ კატეგორია (35-40 წ.წ). იგულისხმება დამოკიდებულება სექსუალური ტაბუების, ქალწულობის ინსტიტუტის მიმართ და.შ. „მამებმა“ შემწყნარებლურად შეაფასეს ქორწინებამდე ქალწულობის დაკარგვა. ხოლო „ბაბუებმა“ და „შვილიშვილებმა“, ფაქტობრივად, ერთნაირი კონსერვატიზმი გამოავლინეს. რა არის ამ, ერთი შეხედვით, პარადოქსული მოვლენის მიზეზი? სოციალური კრიზისის ფონზე მოხდა ფასეულობათა აღრევა. ამან განაპირობა ანარქია როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ურთიერთობებში, რაც უამრავი ცხოვრებისული დრამის წყარო გახდა. ყოველივე ამან ახალგაზრდა თაობაში ფსიქოლოგიური დისბალანსი, ანუ შინაგანი შფოთვიანობა გამოიწვია. ცხადია, გაჩნდა მისწრაფება ბალანსის აღდგენისკენ, რისთვისაც აუცილებელი იყო მყარი ფასეულობითი საყრდენი. ახალ ზნეობრივ ფასეულობებზე დაფუძნებულ ურთიერთობებში ჩართვა საჭიროებს დიდ პიროვნულ სიმყარეს, რაც საყოველთაო ფსიქოლოგიური არამდგრადობის სიტუაციაში არც ისე ხშირი ღირსებაა. შესაძლოა, ამან განაპირობა ლიბერალიზმის დეფიციტი გამოკითხულთა ახალგაზრდულ ნაწილში: „შვილებმა“ საყრდენი ძველი ფასეულობების ხაზგასმულ აღიარებაში ჰპოვეს და ამით მიაღწიეს მეტ-ნაკლებ შინაგან წონასწორობას.

ეს კომენტარი 2002 წელს ჩავიწერე და ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება. **ლალი კ. (22 წლის):**

- წინდაწინ ვუთხარი, რომ ქალიშვილი არ ვიყავი. თითქოს გაგებით მოეკიდა, მაგრამ ძალიან მალე შევნიშნე, რომ ნანობდა თავის „სისუსტეს“. არა, არაფერი წამოუძახებია, მაგრამ სულ გაღიზიანებული იყო, ყველა წვრილმანზე მიბრაზდებოდა და ადვილად ვხვდებოდი რატომ. ახლა ერთად არ ვართ და შვილს მარტო ვზრდი. ჩემმა დაქალმა „გაიკერა“ და დღესაც ერთად არიან, მაგრამ მაინც არ ვნანობ, წინასწარ რომ ვუთხარი. ჩემთვის უფრო ადვილია სიმართლე ვთქვა, ვიდრე ტყუილი გულზე ლაქად მქონდეს. ბოლოს და ბოლოს, ალბათ გამოჩნდება ადამიანი, რომელიც გამიგებს. ყველა ერთნაირი ხომ არ არის?!..

24 წლის დათოსაც დაახლოებით იმავე პერიოდში ვესაუბრე:

- ქართველი კაცი აზიელია და ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა. საბოლოოდ, ყველას ურჩევნია, რომ ცოლად ქალიშვილი მოიყვანოს. სხვაა, როდესაც მეუღლისთვის პირველი და უკანასკნელი ხარ; მაშინ **განუყოფლად შენია, შენ გეკუთვნის.** ისიც მესმის, რომ გოგონებს ეს ბევრ პრობლემას უჩენს - ბუნება თავისას მოითხოვს.

დავდიოდი სხვადასხვა გოგონებთან, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი მათთვის არაფერი დამეზიანებინა. სისუსტის მომენტი ყველას აქვს; მეც ორ მათგანთან თვითკონტროლი დავკარგე და... თვითონვე ძალიან შევწუხდი, მაგრამ რაღას გავაწყობდი. ისინიც დაფრთხნენ, მაგრამ, საბოლოდ, ყველაფერი მოგვარდა - ორივემ გაიკერა. ერთს საამისოდ ფულიც კი მივეცი. მეორე იმდენად ძლიერი ოჯახიდანაა, რომ ჩემი დახმარება არაფერში სჭირდებოდა. აქეთ დაეხმარება ყველას.

- დანარჩენ გოგონებს რა ბედი ეწიათ?

- ყველა გათხოვდა.

- ცოლი ალბათ სიყვარულით მოიყვანე და, ცხადია, ქალწული იყო...

- ცხადია. არც მიცდია ქორწილამდე საწოლში ჩამეწვინა.

- დავუშვათ, გაიგე, რომ შენს ცოლსაც ჰქონდა შენთან შეხვედრამდე მსგავსი რომანი. რა გუნებაზე დადგები?

რესპონდენტი შეცბა და მწვავე რეაქციისგან მხოლოდ ჩვენმა კეთილმეგობრულმა ურთიერთობამ მიხსნა. საბოლოოდ, კითხვაზე პასუხისგან თავი შეიკავა. ალბათ გახსოვთ: „ჩემს საცოლეს მაქსი უნდა ეცვას, დანარჩენს კი ყველას მინი!“ - დაახლოებით იგივე დამოკიდებულებაა. ორმაგი სტანდარტი ქალწულობის ინსტიტუტის აუცილებელი ატრიბუტია.

მას შემდეგ თითქმის ოცი წელი გავიდა. ქალწულობის ინსტიტუტი დიდი ხანია „დაჩირქებულ აპენდიქსად“ იქცა, თუმცა მისი „ამოკვეთა“ ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ვფიქრობთ, უმტკივნეულოდ ეს არც მოხდება. ქალების არცთუ მცირე ნაწილი დღემდე იზიარებს ქალწულობის აუცილებლობის მოთხოვნას. ამისი მიზეზი არა მარტო ისტორიულ-მენტალური ინერციაა; ბევრად უფრო ადვილია არსებული და უკვე მოსინჯული სტერეოტიპების პასიური მიყოლა, ხოლო, დარღვევის შემთხვევაში, ქალწულობის ქირურგიული აღდგენა, ვიდრე განთავისუფლება საუკუნეთა მარყუჟისგან. ახალ გზაზე სიარული დიდ სიძლიერეს მოითხოვს. თანაც საზოგადოება ამ გზაზე შემდგარებს აპლოდისმენტებით არ ეგებება. სწორედ ამიტომ გოგონები, ხშირად, შეჩვეულ ეშმაკს ამჯობინებენ შეუჩვეველ ანგელოზს. ანუ, როგორც **ერიხ ფრომი** იტყოდა - „თავისუფლებას გაურბიან“.

მიუხედავად ამისა, ჩვენს თვალწინ მიმდინარე სექსუალურმა რევოლუციამ სიტუაციაში გარკვეული კორექტივები მაინც შეიტანა. **სექსოლოგმა ანდრო კანდელაკმა** აღნიშნა, სექსუალური ცხოვრების ასაკმა ბიჭებში დაიწია - 14-15 წლისანი უკვე „დავაჟკაცებულნი“ არიან. ოციოდე წლის წინ ასე არ ყოფილა. გოგონების შემთხვევაში ინფორმაცია ნაკლებია, მაგრამ, სავარაუდოდ, ბარიერმა იქაც დაიწია. **სექსოლოგ პაატა სოფრომაძესაც** მიაჩნია, რომ ქალწულობის ინსტიტუტი ნელ-ნელა კარგავს თავის პოზიციებს.

როგორც უკვე აღინიშნა, სექსოლოგებთან მიღებაზე მისული კატეგორია მთელი საქართველოს სახე, როგორც ჩანს, არ არის. გამოკითხვები გვიჩვენებს, რომ სტიგმური საზოგადოებრივი სტერეოტოპები ისევ აქტუალურია. **„კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - საქართველომ“ („CRRC – საქართველო“)** 2020 წლის იანვარში გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა. გამოკითხულთა 66%-მა ქალის შემთხვევაში ქორწინებამდე სრული თავშეკავება მოიწონა. ასეთი საკითხების მიმართ სურათი 2013 წლიდან, ფაქტობრივად, არ შეცვლილა, რაც პატრიარქალური სტიგმის

მდგრადობაზე მიუთითებს. სწორედ ამიტომაა ქალწულობის აღდგენის ქირურგიულ ოპერაციას დღესაც რომ არ დაუკარგავს აქტუალობა.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დღემდე ტარდება ქალწულობის დამდგენი ექსპერტიზები. ეს, ჩვეულებრივ, ოფიციალური გამოძიების პროცედურასთაა დაკავშირებული და დანაშაულის ფაქტის დადგენას ემსახურება; მაგრამ კერძო შეკვეთებსაც იღებენ. როგორც საფუძვლიანად მიუთითებს **უფლებადამცველი ბაია პატარაია,** ეს, აშკარად, რაღაც საეჭვო მიზეზებითაა განპირობებული; ანუ მამაკაცებს აინტერესებთ არიან თუ არა მათი საცოლეები „უბიწოები“.

2012 წელს ქალთა მოძრაობამ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან მოაწყო აქცია სლოგანით: „ვხურავთ ქალწულობის ინსტიტუტს!“. საპროტესტოდ შეკრებილი ქალბატონების სულისკვეთებას მთლიანად ვიზიარებ, მაგრამ, ვშიშობ, ამ ისტორიულ რუდიმენტს მხოლოდ ქუჩის აქციებით ვერ მოვიშორებთ. ორგანიზაციის „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - საქართველო“ გამოკვლევის თანახმად, გამოკითხულთა 25%-მა განაცხადა, რომ მამაკაცისთვის ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობა „ყოველთვის გამართლებულია“; ქალის შემთხვევაში იგივე მხოლოდ 7%-მა მიჩნია დასაშვებად. როგორც ციფრებიდან ჩანს, „დაჩირქებული აპენდიქსის“ ამოკვეთა არც ისე ადვილია. ამ სენს მხოლოდ თართომასშტაბიანი საგანმანათლებლო საქმიანობით მოვერევით.

თაკი მეექვსე

ვინ ქრის სინაჯდვილეში ჰაბიკაურილი?

ძალადობა ძალადობის შემდეგ

- ეს ამბავი 80-იანი წლების დასასრულს შემემთხვა. ჩვენს სადარბაზოში საცხოვრებლად გადმოვიდა 26-27 წლის ბიჭი. შევამჩნიე რომ მითვალთვალებდა, მაგრამ მნიშვნელობა არ მივანიჭე. ერთხელაც ლიფტით დამემგზავრა. არ მესიამოვნა - აშკარად ნასვამი იყო, მაგრამ რაც ჩაიდინა, იმას ვერც კი წარმოვიდგენდი. როგორც კი ლიფტის კარი ჩაიკეტა, ღლაბუცი დამიწყო. როდესაც გავუძალიანდი, შეეცადა ტანსაცმელი შემოეხია. სხვადასხვა ღილაკებზე აჭერდა ხელს, ლიფტი რომ არ გაჩერებულიყო, თან ჯიუტად ცდილობდა ჩემს დამორჩილებას. მემუქრებოდა: ხმა არ ამოიღო, თორემ ცხვირ-პირს ამოგინაყავო. კივილით მთელი კორპუსი შევძარი. თავი საშინელ სიზმარში მეგონა. ბედად, კარი სწორედ იმ სართულზე გაიღო, სადაც ხმაურზე გამოსული ხალხი იყო თავშეყრილი. ერთმა გოგონამ ლიფტის კარი დაიჭირა. იმედმოცემულს ძალა მომემატა, გამოვუსხლტი და გარეთ გამოვვარდი. ცხადია, ვუჩივლე. იმედი მქონდა, რომ მეზობლები გვერდში დამიდგებოდნენ (ბოლოს და ბოლოს, მათ თვალწინ გავიზარდე), მაგრამ მწარედ მოვტყუვდი. გამაოგნეს თავისი სისულელეებით: როგორ არ რცხვენია, მეზობელს რომ უჩივისო, რა ეტყობა ამ ბიჭს სამაგისო - სალამს ვერ დაასწრებო, სირცხვილით როგორ ამხელს, გაუპატიურება რომ დაუპირესო, აბა რა ეგონა, მოკლე კაბებით რომ დადისო და ა.შ. ერთმა ისიც კი ბრძანა - რა უნდოდა, მაგ ბიჭს ლიფტში რატომ შეყვაო? გაითვალისწინეთ, რომ მეექვსე სართულზე ვცხოვრობ, ის ვაჟბატონი, კი - მეორეზე, ამდენად, ძნელი მისახვედრი არ ყოფილა - ვინ ვის შეყვა. უბრალოდ, იმ ვაჟბატონის ეშინოდათ, თანაც სასამართლოში მისვლაც ესიკვდილებოდათ. იქით მოძალადის ძმაც დამემუქრა - დამაცა, დედას გიტირებო, მაგრამ მაგასაც ვუჩივლე და მოჯდა. მილიციამ აშკარად მოძალადის მხარე დაიჭირა. პირდაპირი ტექსტით არ იცავდნენ, მაგრამ კარგა ხანს აჯანჯლეს საქმე; ალბათ, ეგონათ მომბეზრდებოდა და ხელს ჩავიქნევდი. გამომძიებელმა ფსიქოლოგიური ზემოქმედებაც კი სცადა, უხეშად მელაპარაკებოდა - ნუ მაჩქარებ და მუშაობას ნუ მასწავლიო. ეტყობა ეგონა, რომ ვერ გავუძლებდი და საქმეს ჩაფარცხავდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა; სარაიონო განყოფილებას საქმის გაჯანჯლებისა და უხეში მოპყრობისთვის სამინისტროში ვუჩივლე. ამის შემდეგ საქმე დაიძრა და განცხადების შეტანიდან რვა თვის თავზე, ზოგ-ზოგების გულის გასახეთქად, სასამართლო მაინც შედგა. იმ ვაჟბატონმა „ავღანელთა კავშირიდან“ (ავღანეთში იყო თურმე ნაომარი) შუამდგომლობა მოიტანა და კიდევ ნერვული სისტემის ცუდ მდგომარეობაზე ჯანმრთელობის ცნობაც მოაკვარახჭინა. ბოლოს პირობითი სასჯელი აკმარეს. ცხადია, შემეძლო გასაჩივრება, მაგრამ ჩემი მიზანი არ ყოფილა მისი მაინცდამაინც ციხეში გასტუმრება. მთავარი ის იყო, რომ ჭკუა ვასწავლე. ამის შემდეგ რომ მხვდებოდა, თვალს მარიდებდა. მეზობლებთან კი, მათი საქციელიდან გამომდინარე, დისტანცია დავიჭირე.

გაგიმხელთ „საშინელ საიდუმლოს“ - ამ ისტორიაში დაზარალებული თქვენი

მონა-მორჩილია. დასკვნების გამოსატანად ეს ამაზრზენი ფაქტიც ფრიად სასარგებლო გამოდგა. ყველაზე საინტერესო საზოგადოების რეაქცია იყო: ნაძირალა მამაკაცს გვერდში დაუდგნენ და მისგან დაზარალებული ქალი კი გაამტყუნეს! მაშინ მათი საქციელი ლაჩრობად და სიბრიყვედ შევაფასე. მხოლოდ წლების შემდეგ მივხვდი, რომ ეს არ ყოფილა, უბრალოდ, ლაჩრობა, ან, თუნდაც, სიბრიყვე. ეს იყო ბევრად უფრო სერიოზული და სახიფათო მოვლენა, რომლის ფესვები ათასწლეულებში იკარგებოდა. წლების შემდეგ მის აღმნიშვნელ ტერმინებსაც მივაკვლიე: პატრიარქალური სტიგმა, ანუ ქალების წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციული წარმოდგენები; აგრეთვე მასკულინისტური სექსიზმი, რომლის თანახმად ქალი ყოველთვის დამნაშავეა, ხოლო მამაკაცს სრული „ინდულგენცია“ (ცოდვათა მიტევება) ენიჭება. ამისი მაგალითები გარშემო უამრავია.

ოცდაათიოდე წლის წინათ (ანუ სსრკ-ს დაისის წლებში), **ცენტრალურმა ტელევიზიამ** ქუჩაში ექსპრეს-გამოკითხვა ჩაატარა. კორესპონდენტი მოქალაქეებს აჩერებდა და ეკითხებოდა, ვინ არის გაუპატიურების შემთხვევაში დამნაშავე - მოძალადე, თუ მსხვერპლიო? უმრავლესობამ პასუხისმგებლობა მსხვერპლს დააკისრა - ალბათ ჩაცმულობით და ქცევით მოძალადე თავად გამოიწვიაო. მსგავსი სტიგმური ტენდენცია სხვა გამოკვლევებშიც არაერთხელ დადასტურდა. **1996 წელს** სექსუალური ძალადობის თემაზე პუბლიკაციას ვამზადებდი და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს გავესაუბრე. მკითხველთან ბოდიშის მოხდით, მისი სიტყვების ზუსტ ციტირებას მოვახდენ: „თავმოყვარე ქალი არც გაამხელს რომ გააუპატიურეს. იმისთანა ქალს რა ვუთხარი, აქ რომ მოვა და სავარძელზე ფეხებს აჩაჩხავს!“. ეს იყო პატრიარქალური სტიგმისა და მასკულინისტური სექსიზმის ტიპური გამოვლინება, თანაც სამართალდამცავ ორგანოში.

აქვე მინდა დავაზუსტო - ფემინისტური სექსიზმი მასკულინისტურზე არანაკლებ ამაზრზენია. ავტორის აზრით, სექსიზმი ყველა გამოვლინებაში მიუღებელია.

როდესაც გაუპატიურებაზე საუბრობენ, უკითხავადაც ცხადია - მსხვერპლი ქალია, ხოლო მოძალადე კი მამაკაცი. ეს ქალის დისკრიმინაციული სოციალური სტატუსის და მოწყვლადი ანატომიური აღნაგობის „დამსახურებაა“. სწორედ ამიტომ სექსუალური ძალადობა ქალთა დისკრიმინაციის ერთ-ერთ ყველაზე ამაზრზენ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. ტრადიციულად დამკვიდრებული ტერმინებიც კი დისკრიმინაციული შინაარსის მატარებელია. „გაუპატიურება“, „ნამუსის ახდა“, „გაბახება“ ნიშნავს ღირსების წართმევას და პატივის აყრას. ანუ, მასკულინისტურ-მესაკუთრული სექსიზმის თანახმად, ღირსებაწართმეული მოძალადე კი არა, მსხვერპლია. პატრიარქალური ხედვით, „ნამუსახდილი“ და „პატივაყრილი“ ქალი „დაზიანებული საკუთრება“ იყო, ამიტომ, აღარც მეუღლედ და აღარც შვილების დედად აღარ გამოდგებოდა. რა ბედი ეწეოდა, წყვეტდა მისი მესაკუთრე მამაკაცი (მამა, ან ქმარი). ქალიც იზიარებდა ამ პოზიციას და, ხშირად, საკუთარი თავისთვის უმკაცრესი განაჩენი გამოჰქონდა. ქართულ ლიტერატურაში გვაქვს ამ მანკიერი პრაქტიკის ამსახველი მაგალითები. გავიხსენოთ, თუნდაც, **მიხეილ ჯავახიშვილის დრამა „შერცხვენილნი“,** სადაც საქმრო მიატოვებს გაუპატიურებულ საცოლეს, ხოლო სასოწარკვეთილი ქალი თავს იკლავს. **ეგნატე ნინოშვილის დარიკოც** სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს, ვინაიდან ქმრის ღირსებას უფრთხილდება: „თავი მოგჭრა შენმა ცოლმა, ერთ ღამეს სხვის ხელში იყო-თქვა.

მართალია, ნებით არა, მარა სულერთია, ქვეყანა მაინც ეტყვის, გასცინებს, „ასეთ-ისეთის ქმარი ხარო... მარა არ შეგარცხვენ, მე აწი კაცი ვეღარ მნახავს-თქვა... სიმონს არ ეკადრება შერცხვენა, კაი ვაჟკაცია...“.

მენტალური სტიგმის ინერცია დღესაც გრძელდება. კანონი მოძალადეს სჯის, ხოლო საზოგადოება - მსხვერპლს და ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა პარადოქსული. როგორც შორებელი, ისე ახლობელი, ფაქტობრივად, მოძალადის „საქმეს“ აგრძელებს და ნოყიერ ნიადაგს ქმნის ახალი ძალადობისთვის. საზოგადოებრივი აგრესიის ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი გამოვლინება მითქმა-მოთქმა და ჭორებია. ანუ, საზოგადოება ძალადობს მსხვერპლზე მოძალადის სასარგებლოდ და... ზნეობის სახელით! ქალი კეთროვანის პოზიციაში აღმოჩნდება. აუტოსტიგმა, ანუ საკუთარი თავის დადანაშაულება, კიდევ უფრო აღრმავებს საზოგადოების და მოძალადის მიერ მიყენებულ ტრავმას. რა გასაკვირია, რომ ხშირად გაჩუმებას და მომხდარის გულში დამარხვას ამჯობინებს? საკუთარი ღირსებისთვის მებრძოლი, ამაყად თავაწეული ქალი, კი, უკეთეს შემთხვევაში, გაოცებას აღძრავს, ხოლო უარესში - უსასტიკესი წნეხის ქვეშ აღმოჩნდება.

„აფხაზეთის ქალთა საბჭოს“ თავმჯდომარე ქალბატონი როზა კუხალაშვილი აღნიშნავს, რომ სოხუმის აღებისას ქალებს სიკვდილზე მეტად გაუპატიურების ეშინოდათ. ვისაც ეს გადახდა, წლების მანძილზე გულში ატარებდა ტკივილს, ხოლო, გამუღავნების შემთხვევაში, დამატებით ტრავმას იღებდა. ვისაც ეს გადახდა, ძალიან უჭირს პატიებასა და შერიგებაზე ლაპარაკი.

უკვე ნახსენებ **წიგნში „ქალები; სიტუაციის პროფილირება საქართველოში“** მოვიძიე სულისშემძვრელი ისტორია, სტიგმური „სიკეთეების“ ამაზრზენი „თაიგული“: საზოგადოების გულგრილობა, თანამემამულეთა მხრიდან გამყიდველობა, საკუთარი ოჯახისგან, კი, ულმობელი წნეხი მაქვს მხედველობაში:

„არეულობის პერიოდი იყო. ერთი ძალიან ჭკვიანი გოგონა მოდიოდა აფხაზეთიდან, მაგრამ ვერ შეძლო გადმოფრენა თვითმფრინავით - ეს მაშინ ძალიან ძნელი იყო. ცხრა ბიჭი დაპირდა, რომ გამოაფრენდნენ. გოგონა მათ ენდო და გაჰყვა. სოხუმში რომ ჩავიდნენ, ძალიან სასტიკად მოექცნენ ამ გოგონას და გააუპატიურეს. გოგონამ ვერ აიტანა შეურაცხყოფები და იქვე ვენები გადაიჭრა. ამ ცხრა ბიჭიდან ერთ-ერთს ძალიან შეეცოდა და გადაარჩინა. საავადმყოფოში წოლისას იქვე იმყოფებოდნენ გოგონას ნათესავის მეზობლები. მათ შეატყობინეს ოჯახს და გოგონა სვანეთში გადმოიყვანეს. აქ კი, თანაგრძნობის მაგიერ, მშობლებისა და ძმებისგან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. ბოლოს და ბოლოს, გოგონას თავი მოაკვლევინეს.“

ყოველი სამხედრო კონფლიქტი გაუპატიურებების ახალ ტალღას წარმოშობს. ასოციაცია „გენდერ-მედია-კავკასიის“ ხელმძღვანელის, გალინა პეტრიაშვილისა და როზა კუხალაშვილის აზრით, მოწინააღმდეგეზე ზემოქმედების ეს ფორმა განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა ისჯებოდეს.

გაგაუპატიურეს? ესე იგი დაიმსახურე!

2001 წლის ნოემბერში სასტუმრო შერატონ მეტეხი-პალასის თანამშრომელი **ო.მ.** შეღამებულზე სამარშრუტო ტაქსით სახლში ბრუნდებოდა. დანით შეიარაღებულმა პირებმა ქალბატონი იძულებით ჩამოიყვანეს. ამ ამბის შემსწრე ყველა მგზავრი მძღოლითურთ „დაბრმავდა“, „დაყრუვდა“ და „დამუნჯდა“. დანით დაჭრის მუქარით **ო.მ.** ერთ-ერთი მოძალადის ბინაში აიყვანეს და უსასტიკესი ფორმით გააუპატიურეს. ყველა „სიკეთესთან“ ერთად, მოძალადეებმა მსხვერპლი ათაშანგით, მუნით და ტილებით „დაასაჩუქრეს“. როგორც ჩანს, არ ელოდნენ რომ ქალი იჩივლებდა და მხოლოდ ამიტომ დატოვეს ცოცხალი, მაგრამ „არ გაუმართლათ“. გამწარებულმა ქალბატონმა სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა და მისი გათელვის შემდეგი „წრე“დაიწყო. აი რა მითხრა ო.მ-მ :

- პროკურატურა ჩემს განცხადებაზე კარგა ხანს არც განძრეულა. გამომძიებლები რატომღაც ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ იმ ნაძირლებს ადრეც ვიცნობდი. არ მესმის, რის საფუძველზე დაასკვნეს, ან რატომ ამართლებს ეს ჩემზე ძალადობას? ისედაც სტრესგამოვლილს აქეთ მიტევდნენ, ყოველ სიტყვას ათასგვარად მიტრიალებდნენ, მიყვიროდნენ - ტყუილად რას გვაწვალებ, საქმეს ბოლომდე მაინც ვერ მიიყვან, ყოველთვის ასე ხდებაო (!). ორი მთავარი „გმირი“ **ვალერი ხ. და კახა ლ,** აგრეთვე თანამონაწილე **დავით ა.** (სამივე ადრე ნასამართლევი), მხოლოდ ორიოდე კვირის შემდეგ დააპატიმრეს. ისიც მაშინ, როდესაც საქმეში **სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი** ჩაერია. ოთხი მოძალადე კი დღესაც გარეთ დასეირნობს. ცალკე კოშმარი ვალერი ხ-სთან დაპირისპირებისას გამოვიარე; გამომძიებლის თვალწინ დამემუქრა: სადაც გნახავ, დედას გიტირებო, რისთვისაც არავინ მისცა შენიშვნა. მისმა ადვოკატმა კი მეძავი გამომიყვანა. იმის მტკიცებაც კი სცადა რომ ვითომ შეშლილი ვიყავი და რაღაცები მელანდებოდა. ბოლოს დამექადნა - ჩვენებებს მაინც შეგაცვლევინებო. ამის მოწმე გამომძიებლებს წარბიც კი არ შეუტოკდათ. მაშინ კი მივხვდი, რატომ ეგონათ რომ საქმეს ბოლომდე ვერ მივიყვანდი. ძალადობის ყველა მსხვერპლს თუ ასე აწამებენ, არც მიკვირს რომ ვეღარ უძლებენ და ჩერდებიან. როგორ უნდა გვქონდეს სამართალდამცავების იმედი, როდესაც მოძალადენი ხშირად თავად არიან?!

პუბლიკაციის მომზადებისას სამართალდამცავებსაც გავესაუბრე. **ისან-სამგორის რაიონული პროკურატურის გამომძიებელმა ვახტანგ უმანკოშვილმა** განაცხადა, ყველანაირად გვერდში დავუდექით დაზარალებულს, ხოლო ეჭვმიტანილები მაშინ ავიყვანეთ, როდესაც ამის ობიექტური საშუალება მოგვეცაო. **ბატონ უმანკოშვილს** აშკარად დაავიწყდა, რომ საქმე მხოლოდ მაშინ დაიძრა, როდესაც საქმეში **სახალხო დამცველი, ნანა დევდარიანი** ჩაერია. დევდარიანის სიტყვით, ამ საქმეში მისი ჩარევის მთავარი მოტივი ის იყო, რომ პროკურატურა მსხვერპლის დადანაშაულებას ცდილობდა.

დაზარალებულ ო.მ-სთვის ყველაზე მტკივნეული საზოგადოების არაადეკვატუ-

რი პოზიცია აღმოჩნდა:

- სამსახურშიც ზოგი ფიქრობს, რომ იმ ნაძირლებს ადრეც ვიცნობდი და ჩემი მხრიდან თანხმობას არ გამორიცხავს: აბა რატომ არ იყვირაო?! ერთი მაგათთვის მიებჯინათ მუცელზე დანა და დავინახავდი, რა „გმირებიც“ ბრძანდებიან. სხვები არ მადანაშაულებენ, მაგრამ მაგათი სიტყვით, გამოდის რომ ჩივილი არც ღირდა - რა ვქნათ, ქალაქი ჯიბგირებით გაივსოო. თურმე გაუპატიურება წვიმასავით ბუნებრივი მოვლენა ყოფილა! დაქალებს პანიკური შიში გაუჩნდათ; ჩემს გვერდით სიარულსაც კი ერიდებიან. ერთ მეგობარს დედამისმა ჩემს ოჯახში მოსვლა აუკრძალა - რამე არ შეგყაროსო. ჩემგან დარეკვაც კი აღარ სიამოვნებს. მეც აღარ ვრეკავ - მაგათი სახვეწი არაფერი მაქვს. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის უცხოელთა მიმართ, რომელთა ოჯახში დამხმარედ ვმუშაობ. გაორმაგებული პატივისცემით მექცევიან და გვერდში მიდგანან. როდესაც გაიგეს, რომ უბედურება შემემთხვა და სამკურნალო ვიყავი, დიასახლისმა გაიჭირვა და ადგილი შემინარჩუნა. ნეტა ასე ჰუმანურად თანამემამულენი იქცეოდნენ! დედაჩემის ერთმა ახლობელი კიდეც გაოცდა: ნახე შენ, ამის შემდეგ შვილთან როგორ მიუშვესო.

საინტერესო დეტალი: სასამართლოზე მოძალადეები ამაყად იფხორებოდნენ, ხოლო მათი დედები დარბაზიდან საჰაერო კოცნას უგზავნიდნენ. ერთი-ერთი მოძალადის ნათესავმა „იოხუნჯა“: რას ჰგავს, ნეტა ეგ როგორ იხმარესო?! ო.მ ჰყავდათ მხედველობაში, რომელიც მათ კრიმინალ ვაუბატონებზე ყველა პარამეტრით ასი თავით მაღლა იდგა. თავხედობამ ვერ უშველათ - მოძალადენი აღმოჩნდნენ იქ, სადაც მათი ადგილი იყო - ციხეში.

წიგნზე მუშაობის პროცესში ამ ფაქტის შესახებ **ნანა დევდარიანს** ისევ ვესაუბრე:

- ეს ამბავი კიდევ, იცით, რა მხრივ იყო ძალზე რეზონანსული? პირველად მოგვეცა საშუალება საჯაროდ გვეთქვა - მსხვერპლის დადანაშაულება ისეთივე დანაშაულია, რაც მის მიმართ უკვე ჩაიდინეს. მოძალადემ თუ ფიზიკურად გააუპატიურა, საზოგადოება სულიერად და ზნეობრივად აუპატიურებს. ისედაც ტრავმირებულ მსხვერპლს თავში რომ ჩაუჩაჩქუნებ, ამაზე უარესი რა უნდა ჩაიდინო?! ამას კადრულობენ მდაბიო აზროვნების ადამიანები, მიუხედავად მათი, შესაძლოა, ძალზე „განათლებული“ ჰაბიტუსისა. რა სისულელეა მსხვერპლის დადანაშაულება, რომ, ვითომ, თავად გამოიწვია მოძალადე? ამასწინათ რეგიონში 80 წლის ქალი რომ გააუპატიურა ახალგაზრდა ბიჭმა, იმ ქალსაც მოკლე კაბა ეცვა და გამომწვევად იქცეოდა?! ეს, უბრალოდ, მენტალიტეტის პრობლემაა. მოძალადე მიისწრაფვის, რომ სხვისი გასრესით თავი დაიმკვიდროს. ასეთი დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს. საზოგადოება ნელ-ნელა აქეთ მიდის და ეს გარდაუვალია.

2001 წელს კიდევ ერთი ამაზრზენი ფაქტი გაუღერდა: **ბორჯომში** მცხოვრებმა ადრე ნასამართლევმა **გიორგი ყ-მ** სიდედრი გააუპატიურა. „**ქალთა გაზეთის“ კორესპონდენტი მაია გონაშვილი** პუბლიკაციის მოსამზადებლად ბორჯომში ჩავიდა. დაზარალებული და მისი ოჯახი ჟურნალისტს საკმაოდ უკმეხად დახვდნენ და საუბარი არ ისურვეს. როგორც ჩანს, სურდათ რაც შეიძლება მალე გადაეტრიალებინათ

ცხოვრების ეს ფურცელი და ყველაფერი დაევიწყებინათ. ისიც ხაზგასასმელია, რომ ცოლი დედამისზე ძალადობის გამო ქმართან არ განქორწინებულა. არანაკლებ დამაფიქრებელი იყო პროკურატურის თანამშრომლების ცინიკური დამოკიდებულება მომხდარი ფაქტის და ჟურნალისტის მიმართ. „ქალი იმისთვისაა, რომ რამე უქნა!“ - „გაიხუმრა“ გამომძიებელმა, რომელიც ყველანაირად ცდილობდა დასმულ კითხვებზე პასუხისთვის თავის არიდებას. ჟურნალისტმა მისი უკბილო ხუმრობა ჯეროვნად „დააფასა“ და მასალის სათაურში გამოიტანა.

საგულისხმო დეტალი: ბორჯომელებმა მაია გონაშვილს ურჩიეს, რომ ამ საქმეზე ხელი აეღო: „მთელი რედაქცია რომ ჩამოხვიდეთ, მაინც ვერაფერს გახდებით... შესაძლოა, მალე ისიც კი აღმოჩნდეს, რომ ეს ქალი არავის გაუუპატიურებიაო!“

აი, როგორ შეაფასა **„ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა კავშირის“ ლიდერმა თამარ დადიანმა** საუკუნის დასაწყისში შექმნილი სიტუაცია:

- იცით ყველაზე საშინელი რა არის? გაუპატიურება ხშირად დანაშაულად არც კი მიაჩნიათ. მახსენდება ერთი ფაქტი: დევნილმა ქალბატონმა თბილისის ერთ დაწესებულებაში დაიწყო მუშაობა. ერთხელაც, სამსახურში სუფრა გაიშალა. შუა ქეიფში ქალი ტუალეტში გავიდა. უკან უჩუმრად თანამშრომელი მამაკაცი აედევნა და კაბინაში შეუვარდა. ქალმა კივილი ატეხა. შეიყარა მთელი დაწესებულება, ქუჩაშიც ხალხი შეგროვდა. თანამშრომელთა რეაქცია გამაოგნებელი გამოდგა: ყველა მამაკაცს მიემხრო. განსაკუთრებით ქალებმა იაქტიურეს: რა გაყვირებს, შე უსირცხვილო, კოლექტივს არცხვენო. ესღა უნდოდა ისედაც ტრავმირებულ ადამიანს?! გამწარებულმა ქალმა სასამართლოში იჩივლა, მაგრამ სამსახურმა შეგებებული სარჩელი შეიტანა - უდისციპლინობასა და ცუდად მუშაობაში დასდეს ბრალი. მოქრთამულმა მოსამართლემაც „იმარჯვა“ - მსხვერპლის სარჩელი იგნორირებული იქნა და მხოლოდ შეგებებული სარჩელი განიხილეს. სამწუხაროდ, სიმართლის დამტკიცება შეუძლებელი გახდა. სამსახურიდან გაგდებამ, დაცინვამ, უბედური ქალი ჭკუიდან შეშალა. დადის ახლა ქუჩაში და საკუთარ თავს ელაპარაკება.

მას შემდეგ სიტუაცია დიდად არ შეცვლილა. მასკულინისტური სექსიზმი უდანაშაულობის პრეზუმპციას, ქალის შემთხვევაში, მეტ-ნაკლებად აუქმებს. გაგაუპატიურეს? ე.ი. დაიმსახურე! წესიერ ქალს არავინ გააუპატიურებს! - ასეთია საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილის აზრი. კვლევაში „კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება“, მამაკაცთა 34,3%-მა და ქალთა 17,1%-მა აუცილებლად მიიჩნია სექსუალური ძალადობის მსხვერპლის რეპუტაციის დადგენა (თბილისი 2020; კვლევა ჩაატარა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა, შვედეთის მთავრობისა და გაეროს ერთობლივი პროგრამის, „გენდერული თანასწორობისთვის“ მხარდაჭერით). ვაი-ტრადიციონალისტთა აზრით, „ცუდი“ რეპუტაცია „შემამსუბუქებელი“ გარემოებაა.

„კანონიერი“ გაუპატიურება

„მახსოვს, შვიდი წლის ვიყავი, როდესაც მოიტაცეს ერთი ქალი. ბიჭს გოგო ძალიან უყვარდა, გოგოს კი - არა. მაშინ გათვითცნობიერებული არ მქონდა ყოველივე ეს და ყურადღება არ მიმიქცევია; ვამბობდი - მერე რა, უყვარდა და მოიტაცა! ახლა კი ყოველივეს მივხვდი. ვიცი, რომ იმ ქალს შეელახა მისი უფლებები. დაურღვიეს უფლება, რომელიც პიროვნების ხელშეუხებლობას ეხება. დღესდღეობით, ასეთი რამ რომ მოხდეს, თუ ქვეყანა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, იცავს ყველა იმ უფლებას, რაც ნებისმიერ პიროვნებას შეეხება, ქალია ეს თუ კაცი, მივმართავდი სასამართლოს და ყველა შემთხვევაში ვიბრძოლებდი, რომ არცერთ პიროვნებას არ შელახვოდა მისი უფლებები.

ჯ.მ. 15 წლის

ჯერ კიდევ არსებობს ტრადიციით „გაკეთილშობილებული“ „კანონიერი“ გაუპატიურება, რომელიც წლების განმავლობაში რომანტიკული საბურველით იყო შენიღბული. მხედველობაში მაქვს ქალის მოტაცება დაქორწინების მიზნით. აი, რა ფაქტი მოგვაწოდა **2002 წელს რუსუდან ფხაკაძემ** საკუთარი პრაქტიკიდან:

- ეს ამბავი აღმოსავლეთ საქართველოში მოხდა. მოძალადე და მსხვერპლი თანაკლასელები იყვნენ. ყმაწვილის ოჯახი ერთ-ერთ ყველაზე გავლენიანად ითვლებოდა, მიუხედავად ამისა, გოგონას მისგან თავი შორს ეჭირა. განებივრებული „ყოჩი“ ვერ შეეპუა უარს და თანაკლასელებს მოელაპარაკა - მოტაცებაში დამეხმარეთო. მანქანაში ჩაჯდომისას გოგონამ ვერც კი იაზრა, რომ ამხანაგები მახეს უგებდნენ. როდესაც საერთო ნაცნობის ოჯახში მიიყვანეს, დიასახლისმა კიდეც „დაანამუსა“: რას ჯიუტობ, ბედი კარზე მოგდგომია, ასეთი ოჯახის შვილს ცოლად უნდიხარო! ვაჟი ყველას თვალწინ შევიდა ოთახში, სადაც გოგონა იყო გამომწყვდეული და ძალით დაიმორჩილა. ყველასათვის მოულოდნელად მსხვერპლი კერკეტი კაკალი გამოდგა და მოძალადეს უჩივლა. ვაჟის ოჯახმა უამრავი ფული ჩაყარა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ორიოდე წლის შემდეგ, როდესაც ყველაფერი ჩაწყნარდა, მოძალადემ ახალი საჩივარი შეიტანა. ამჯერად ქრთამმა გაჭრა. გოგონას თითოეულ ნაბიჯს მიკერძოებული შეფასება მიეცა: რატომ ჩაჯდა მანქანაში? რატომ არ შეძრა წივილ-კივილით მთელი რაიონი? რატომ არ გადააბრუნა მთელი ავეჯი? რატომ არ დაკაწრა ვაჟი? როდესაც ჩვენი „მართლმსაჯულების“ წარმომადგენლთა „ანალიტიკური ტვინის ნაყოფს“ გავეცანი, აღარ ვიცოდი მეცინა, თუ მეტირა. ყველაზე სავალალო მსხვერპლის სულიერი მდგომარეობა იყო. სოფელმა ეს ორი წელი ჯოჯოხეთად უქცია: რისი პატრონია? ასეთი ოჯახი რძლად კადრულობდა, მაგან კი ტლინკები აჰყარაო. რა მოხდა ბიჭმა ძალა რომ იხმარა? ცოლად უნდოდა, ისე ხომ არ აუბედურებდა, შარში რატომ გახვიაო?! ბოლოს გოგონას მშობლებიც დაუპირისპირდნენ: ეს რა ცეცხლში ჩაგვყარე, გარეთ აღარ გაგვესვლებაო. მამა შვილს ეზოს იქით არ უშვებდა: ისევ ვიღაცას ჩაუჯდები მანქანაში

და თავში სახლელი გაგვიხდებაო. იმ უბედურმა წნეხს ვერ გაუძლო და დანაშაულის კომპლექსი გაუჩნდა. საშინელ დეპრესიაშია. მეშინია, თავი არ მოიკლას. ძალადობის მსხვერპლს ხშირად უჩნდება თვითმკვლელობის აზრი, რაშიც ლომის წილი სწორედ საზოგადოების არაადეკვატურ დამოკიდებულებას ეკუთვნის.

საინტერესო დეტალი: მამაკაცების 50,5% და ქალების 29,4% დღესაც მიიჩნევს, რომ გაუპატიურებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც ქალი მამაკაცს ფიზიკურად ეწინააღმდეგება. შესაბამისად, ძალადობად არ აფასებენ სექსუალური კავშირის დამყარებას დაშინებით და შანტაჟით, როდესაც ფსიქოლოგიურად განადგურებული ქალი მამაკაცს ფიზიკურ წინააღმდეგობას არ უწევს („კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება"; თბილისი, 2020). როგორც ჩანს, ამ კუთხითაც ფართო მასშტაბის საგანმანათლებლო სამუშაოა ჩასატარებელი.

„ხმა ქართველი ქალისა" მოტაცების წინააღმდეგ

გთავაზობთ ნაწყვეტს სტატიიდან **„ქართველ ქალებს სცემენ და აუპატიურებენ"**, რომელიც **1917 წელს** გამოქვეყნდა გაზეთში **„ხმა ქართველი ქალისა"**.

„...ჩვენი თავისუფალი სიტყვა ასეთი სიავის გამოაშკარავებას უნდა მოხმარდეს. ჩვენ არ გამოვუდგებით მის გამოაშკარავებას... რა გადახდათ ქართველს ქალებს ამ ასი წლის განმავლობაში; რამდენი ემსხვერპლა სიტლანქეს და ტანჯული ჩაესვენა ცივ სამარეში. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ მას, თუ რა ხდება დღეს ჩვენში და როგორ შეიგნეს მამრობითი სქესის ნაძირლებმა თვისუფლება ადამიანის პიროვნებისა. მათ ჰგონიათ, რომ პოლიტიკური თავისუფლება და ადამიანის და მოქალაქის უფლება გამოიხატება იმაში, რომ ჩაიდინოს ის, რაც მათ პირუტყვს ბუნებას მოეპრიანება... მათი უწესი საქციელი ყოველგვარ საზღვარს სცილდება, რომლითაც ყველაზე მეტად ქალები იტანჯებიან... დღეს საკმარისია ვინმე ლოთმა, ერეტომანმა აითვალთვალოს რომელიმე ქალიშვილი, რომ ის მისი მსხვერპლი გახდეს, თუ რომ ეს უკანასკნელი გავლენიანი ჭირისუფლების პატრონი არ არის. ამ ორი თვის განმავლობაში ქუთაისის დაბა-სოფლებში ისე გახშირდა ქალების მოტაცება, როგორც უძაღლო ოჯახში მელიებისგან საქათმოდან ვარიების მოპარვა. სოფელ კულაში გაიტაცეს ერთი მკერავი ქალიშვილი. მას სხვა ჭირისუფალი არ ჰყავდა, გარდა ერთი მოხუცებული მამიდასი და პატარა ძმისა, რომელნიც მისი შრომით არსებობდნენ. და მიუხედავად ვედრებისა აღმასრულებელ კომიტეტთან და მილიციონერებთან, ეს ქალი მოძალადე საქმრომ გაიტაცა შუა დღისას, დღისით, მზისით, შუა ბაზარში და მის გულის შემზარავ კივილ-ჩხავილზე მას არავინ მიმშველებელი და მოსარჩლე არ გასჩენია... მიყრუებულ სოფლებში რა ხდება, ერთმა ღმერთმა უწყის! ასეთ ბარბაროსულ მოვლენას, ასეთ გათახსირებას ქართველი კაცისას, არათუ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, არამედ პირზე ღიმილით უხვდებიან ის პირები, რომლებიც ცარიელი ენით ქალთა სწორუფლიანობას აღიარებენ"...

უცნობმა ავტორმა ახსენა, რომ ქართველ ქალებს მსგავსი უბედურება განვლილი ასი წლის განმავლობაშიც ემართებოდათ. ჩვენის მხრიდან დავუმატებთ, რომ ეს კიდევ უფრო ადრეც ხდებოდა. ქართული კულტურისთვის ისტორიულად დამახასიათებელი იყო მოტაცება ცოლად მოყვანის მიზნით, ხოლო თანმდევი სექსუალური ძალადობა საზოგადოებას ადვილად მისატევებელ ცოდვად მიაჩნდა. ამას გაუპატიურებას არც კი უწოდებდნენ. არავინ უწევდა ანგარიშს მსხვერპლის გრძნობებს და სურვილებს. ამ შემთხვევაში მთავარი იყო ოჯახის რეპუტაცია, რომელსაც, ტრადიციული წარმოდგენების თანახმად, მხოლოდ ქორწინება აღადგენდა. მამაკაცები, კი, ქალის მოტაცებით, ასე ვთქვათ, „სავაუკაცო“ ქულებს იწერდნენ, ამიტომ ხალისით იყენებდნენ დაქორწინების ამ მეთოდს.

საინტერესო დეტალი: ერთ-ერთი ვერსიით, პატარძლის მოტაცების ინსტიტუტი პატრიარქატის და მატრიარქატის გასაყარზე ჩაისახა. მატრიარქატის დროს გავრცელებული იყო მატრილოკალური ტიპის დასახლებები, ანუ ქმარი ცოლის გვარში გადადიოდა საცხოვრებლად. როდესაც პატრილოკალური დასახლებების ჩამოყალიბება დაიწყო, ათასწლოვანი ტრადიციის ერთბაშად გაუქმება ვერ მოხერხდა, მოტაცება ერთგვარი გამოსავალი აღმოჩნდა. ეს პერიპეტიები, როგორც ჩანს, საქორწინო რიტუალებშიც აისახა. ომახიანი შეძახილებითა და ბათქა-ბუთქით მოჭენებული მაყრიონი მატრილოკალურ დასახლებაში ქალის მოსატაცებლად შემოჭრილი მამაკაცთა ჯგუფის შორეული ანარეკლია. ქალის ოჯახის შემორიგება ადვილი არ იყო, ამიტომ სიძის მხარე გულმოდგინედ ირჯებოდა. ვფიქრობ, საქორწინო წეს-ჩვეულებებში ეს მომენტიც დაფიქსირდა. ეთნოგრაფ მზია ბექაიას წიგნში „ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში“ (ბათუმი, 1974) აღწერილია ქალის მხარის სარიტუალო ჭირვეულობა. თუკი რამე „არ მოეწონებოდათ“ (პურ-მარილი, ეტიკეტი ან სხვა), სასიძოს ოჯახს შავ დღეს აყრიდნენ: უხოცავდნენ შინაურ ფრინველს, ტყვიას უშედნენ კერიის ჯაჭვს, წვავდნენ თივის ზვინებს, ჩეხდნენ ნარგავებს. უბოდიშოდ ხმასაც ვერავინ გასცემდა. მეზობლებისთვის შემთხვევით მიყენებულ ზარალს კი სასიძოს ოჯახი ანაზღაურებდა. ვაჟა-ფშაველაც აღწერს სარიტუალო მტრულ დამოკიდებულებას სასიძოს მიმართ. დღესდღეობით, მოტაცების სახით „ტკბილი ოჯახის“ შექმნის საბაბით ჩადენილი სექსუალური ძალადობა შეგვრჩა.

მოძალადე - საკუთარი თანამეცხედრე

„ჩემი მეგობარი ქალი იმიტომ გაშორდა ქმარს, რომ იგი ყოველდღე ძალით ამყარებდა მასთან სექსუალურ კავშირს. ე.ი. აუპატიურებდა. ეს საზოგადოებისთვის უცნობია, ამიტომ გაყრისთვის ქალს ამტყუნებენ“.

ნ.დ. გურია

ვფიქრობ, მიზეზის გაგების შემთხვევაშიც, საზოგადოების უდიდესი ნაწილი ქალს გაამტყუნებდა. პატრიარქალური სტიგმის თანახმად, ცოლის სხეული ქმრის კუთვნილი „ყანაა“ და როდესაც მოეხასიათება, მაშინ „მოხნავს“. ქმრის მხრიდან სექსუალური ძალადობა, როგორც წესი, არც სამართალდამცავებს მიაჩნიათ გა-

უპატიურებად. ხშირად, ქალებიც იზიარებენ ამ თვალსაზრისს და ქმრის მხრიდან გაუპატიურებას, უკეთეს შემთხვევაში, უხეშობად და მუტრუკობად აფასებენ.

აი რა გვითხრა **2008 წელს ფსიქოლოგმა მანანა სოლოღაშვილმა:**

- **„ძალადობის წინააღმდეგ ეროვნული ქსელის“** მიერ დაფიქსირებული ყოველი მეექვსე შემთხვევა მეუღლის მხრიდან გაუპატიურებასაც მოიცავდა. ის შემთხვევები მაქვს მხედველობაში, როდესაც თავად ქალებმა მისცეს მომხდარს სწორი შეფასება. ქმრის მხრიდან გაუპატიურებები ბევრად მეტია ვიდრე ჩვენამდე მოდის; უბრალოდ, ქალები ამას გაუპატიურებად არც აღიქვამენ. ხანდახან გაცნობიერება მხოლოდ ფსიქოთერაპიული სეანსის დროს ხდება. ჯგუფის მუშაობის დროს ქალი ისმენს სხვის ისტორიას და უცებ გონება უნათდება: კი მაგრამ, მეც ხომ მაიძულა, როდესაც სულ არ მინდოდა და ვეწინააღმდეგებოდი! ასეთი ფაქტი მახსენდება: ჩვენთან მოვიდა ქალბატონი, ორი შვილის დედა. მეუღლე - ყოფილი ძალოვანი, ძალიან უხეში და სასტიკი ადამიანი, შავ დღეში აგდებდა. ქალს არ სურდა მასთან სარეცლის გაყოფა, მაგრამ ქმარს ეს სრულებით არ აწუხებდა. განქორწინების ხსენებაზე კი მოკვლით ემუქრებოდა. ქალს გაცნობიერებული ჰქონდა, რაც ხდებოდა მის თავს და ყველაფერს თავის სახელს არქმევდა. ჩვენ მხოლოდ მორალური მხარდაჭერისთვის მოგვაკითხა. საბოლოოდ, გაბედა განქორწინებაზე განცხადების შეტანა. ვერც კი წარმოიდგენთ, რა ქარიშხალი დატრიალდა! ქმარმა დაჭრა კიდეც, მაგრამ ცოლი მაინც აღარ გაუჩერდა. სხვა შემთხვევაში ქალმა მხოლოდ ჩვენთან გააცნობიერა, რომ მას ყოველდღიურად აუპატიურებდნენ, თან ყველა გაგებით.

იმავე პერიოდში **აწ განსვენებულ ნატალია ზაზაშვილს (კავშირი „საფარი“, დირექტორი),** ვესაუბრე. იგი გაოგნებული იყო: ერთმა ქალბატონმა შემოსვლისთანავე პირდაპირ განუცხადა - გამაუპატიურესო! ანუ დამოუკიდებლად გაიაზრა მომხდარი და ყოველგვარი ფსიქოლოგიური მუშაობის გარეშე მოძალადედ ქმარი დაასახელა. ქალს ისიც ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა. უბრალოდ, არ იცოდა რა ეღონა. ორგანიზაციაში დააკვალიანეს და პროფესიული გადამზადების კურსებზეც გაუშვეს. შეძენილი ხელობა, მოგვიანებით, დამოუკიდებელი შემოსავლის წყაროც გახდა.

კვლევამ „კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება“ (თბილისი, 2020) დაადგინა, რომ ყოველი მეოთხე ქალი და ყოველი მესამე კაცი დღესაც ფიქრობს, რომ ქალი ქმარს სექსზე უარს ვერ ეტყვის. ანუ, არ ცნობენ ქალის უფლებას საკუთარ სხეულზე ადვილი წარმოსადგენია, რას ფიქრობდნენ ამ საკითხზე ოცი წლის წინათ და კიდევ უფრო ადრე.

წლების შემდეგ: რა შეიცვალა?

ორიოდე წლის წინ, **ჟურნალისტმა თენგიზ აბლოტიამ** გამოაქვეყნა ბლოგი: **„XXI საუკუნის ამორძალები“,** სადაც ძალიან საინტერესოდ ისაუბრა **მოტაცების ინსტიტუტის** გაქრობის მიზეზებზე:

„მოტაცების ინსტიტუტის გარდაცვალება საქართველოს საზოგადოებაში ქალის სტატუსის მკვეთრმა ცვლილებამ განაპირობა. 90-იან წლებში, როდესაც მამაკაცებს, ძირითადად, ის აინტერესებდათ, უბანში ვინ ქურდი იყო და ვინ არიფი, ოჯახების გადამრჩენების როლი ქალებმა იტვირთეს. ჯინმა თავი დააღწია ბოთლს: ქალებმა გააცნობიერეს თავისი შესაძლებლობები და გადაწყვიტეს - მამაკაცებზე უარესი რით ვართო? ამ მომენტიდან მოტაცებებმა აზრი დაკარგა. ყოვლისშემძლე საზოგადოებრივი აზრის წინაშე შიში უკვალოდ გაქრა და მისი მორჩილების აუცილებლობაც უკან მიჰყვა.“.

თენგიზ აბლოტიამ ძალზე სწორად შენიშნა ყველაზე არსებითი დეტალი: არაჯანსაღი ტრადიციისადმი მორჩილებას ქალის მოწყვლადი სოციალური სტატუსი და მისი მასაზრდოებელი საზოგადოებრივი მოდელი განაპირობებს. როგორც კი მოდელს წყალი შეუდგა და ქალის ფაქტობრივი სტატუსი შეიცვალა, სტიგმური ტრადიციაც ჩამოიშალა. ავტორს მხოლოდ ერთ რამეში ვერ დავეთანმხმები - მეტისმეტად იჩქარა ჰეფი ენდის გამოცხადება. მოტაცება და თანმდევი სექსუალური ძალადობა ისე ხშირად არა, მაგრამ მაინც ხდება; განსაკუთრებით **ქვემო ქართლსა და კახეთში**, სადაც „ჩაკეტილი“ თემები ცხოვრობენ და სამოქალაქო ცნობიერება მოისუსტებს. განსაკუთრებით შემაშფოთებელია, როდესაც გამტაცებელთა ხელშემწყობნი ქალები არიან; ანუ როდესაც ქალზე ძალადობას ხელს ისევ ქალი უწყობს. როგორც ჩანს, ამ სოციალურ-ისტორიული რუდიმენტის აღმოსაფხვრელად კიდევ ბევრი ბრძოლა დაგვჭირდება.

სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, 2016 წელს მოტაცების 27 შემთხვევა მოხდა, 2017 წელს - 41. 2016 წელს 16 წელს მიუღწეველ გოგონებთან სექსუალური კონტაქტის 173 ფაქტი დაფიქსირდა, ხოლო 2017 წელს - 183. კანონის თანახმად, ეს გაუპატიურებას უტოლდება. მოტაცების ფენომენის აქტუალურობაზე ისიც მეტყველებს, რომ ეს პრობლემა შევიდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაციაში: „ქალი და კაცი საქართველოში“ (თბილისი, 2018).

გასული წლის ზაფხულში გორში ყმაწვილმა 17 წლის გოგონა მოიტაცა და დასავლეთ საქართველოში გააქანა. პოლიციის თანამშრომლებმა, კი, დაუყოვნებელი რეაგირების ნაცვლად, მშობლებს ქალიშვილის გაბედნიერება მიულოცეს. სოციალურ ქსელებში ატეხილი ხმაური რომ არა, ალბათ, არც გაიძრეოდნენ. XXI საუკუნის მეორე ათწლეული გავლიეთ, მაგრამ სამართალდამცავთა დიდი ნაწილის მენტალიტეტი დიდად არ შეცვლილა. გამოძიებას, ხშირად, ზანტად და უყურადღებოდ აწარმოებენ. ავტორის აზრით,მათ სულში ხშირად პოტენციური (ან იქნებ აქტუალური?) მოძალადეა მოკალათებული. მათი საქციელი ძალადობის შემდეგ ძალადობის ნიმუშია და დამატებითი სტრესის წყარი ხდება.

ჟურნალისტ ნინო ღვინიაშვილის პუბლიკაციაში „საქართველოში გაუპატიურების შემთხვევების გამოძიება რთულია“ (2012 წლის 10 აგვისტო http://reporter.ge/saqartvelosi-gaupatiure/) მოყვანილია ფაქტი, როდესაც პროკურატურამ გამოძიება ორი წელი აჭიანურა და, მთელი ამ ხნის განმავლობაში, მსხვერპლი უსასტიკესი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ამყოფა (წარა-მარა დაჰყავდათ ძალადობის ადგილის დათვალიერებაზე და პროკურორთან ჩვენების მისაცემად). ორი წლის შემდეგ გოგონა ისე დაიქანცა, რომ საქმის დახურვა მოითხოვა.

საზოგადოების დამოკიდებულებაშიც დიდი არაფერი შეცვლილა: მსხვერპლი დღესაც არაჯანსაღ ცნობისმოყვარეობასა და ზიზღნარევ სიბრალულს იმკის. არავინ იცის ეს დაობებული სტიგმა კიდევ რამდენ ხანს შეინარჩუნებს პოზიციებს. ამიტომ ქალები დღესაც მალავენ სექსუალური ძალადობის ფაქტს და გაუპატიურებების რეალური სტატისტიკა უცნობია. **საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემებით, 2008-2012** წლებში გაუპატიურების **170** საქმე იქნა განხილული**. თბილისის საქალაქო სასამართლომ** ამავე პერიოდში **100** საქმე განიხილა. **2017 წელს** გაუპატიურების **59** ფაქტი დაფიქსირდა. **2018 წელს - 96**; **IDFI-ს (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი)** მონაცემების თანახმად, **2019 წელს გაუპატიურების მაჩვენებელი 36%-ით გაიზარდა, (+18 შემთხვევა).** დუმილის ტრადიციიდან გამომდინარე, ეს ციფრები რეალობას არ ასახავს.

2020 წლის 8 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა და ევროპის საბჭომ ერთობლივ ონლაინ კონფერენციაზე წარადგინეს კვლევის შედეგები სექსუალური ძალადობის კუთხით მართლმსაჯულების განხორციელებაზე. აღმოჩნდა, რომ **2017 წლის ივნისიდან 2019 წლის მაისამდე** პოლიციაში 361 შეტყობინება შევიდა, აქედან გამოძიება 251 საქმეზე დაიწყო და მხოლოდ 26 განაჩენი იქნა გამოტანილი. დამნაშავედ 20 პირი ცნეს, ხოლო ექვსი ბრალდებული სექსუალური ძალადობის ნაწილში გამართლდა. რატომ ხდება ასე, რატომ ძნელდება გაუპატიურებების ფაქტებზე საქმის აღძვრა, სრულფასოვანი გამოძიება და დამნაშავის საკადრისი დასჯა?

მოქმედ კანონმდებლობაში არსებობს სერიოზული ხარვეზი. გაუპატიურების მუხლით დაზარალებულად ცნობისთვის ადამიანმა უნდა დაამტკიცოს, რომ სხვა ტიპის ძალადობის მსხვერპლიცაა; იგულისხმება, მაგალითად, ფიზიკური დაზიანებები, რაც აშკარა წინააღმდეგობაშია ე.წ. სტამბოლის კონვენციასთან (ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია), რომელსაც საქართველომ 2014 წელს მოაწერა ხელი. ამ სისტემური ხარვეზის გამო ფსიქოლოგიური ძალადობის გამოყენებით ჩადენილი გაუპატიურებები, ფაქტობრივად, დაუსჯელი რჩება.

ისევ აქტუალურია სამართალდამცავთა არაკორექტული დამოკიდებულება მსხვერპლის მიმართ. სისხლის სამართლის პროცესის დროს, მსხვერპლს ხშირად საქმისთვის არაარსებით, ღირსების შემლახავ შეკითხვებს უსვამენ. სასამართლომდე კი გამოძიებას უსაშველოდ ართულებს ქალი სასამართლო ექსპერტების ნაკლებობა, რაც აფრთხობს დაზარალებულს. ამ დროს, ექსპერტიზის დასკვნის არარსებობა გამოძიების შეწყვეტის საფუძველია; ანუ, ასეთ შემთხვევაში, დამნაშავე სასჯელისგან თავს დაიძვრენს.

აი, რა ამბობს ამის თაობაზე **კავშირ „საფარის“ აღმასრულებელი დირექტორი ბაია პატარაია:**

- ქალების უმრავლესობა პოლიციას არ მიმართავს. ამის ერთ-ერთი მიზეზი სამართალდამცავთა დაბალი სენსიტიურობაა. მათ არ იციან როგორ იმუშაონ ძალადობის მსხვერპლთან და მოძალადესთან; ამიტომ უჭირთ ასეთი ტიპის დამაშაულის გამოძიება და საგამომძიებლო პროცედურები საკმაოდ დისკომფორტულია. დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემაც არანაკლებ მწვავეა. ხშირად მსხვერპლს არ ჰყავს მოწმეები და ძნელდება იმის დადგენა, ძალადობას ჰქონდა ადგილი,

თუ ყველაფერი თანხმობით მოხდა. სექსუალური შევიწროების საწინააღმდეგო კამპანიებმა შედეგი გამოიღო: გაუპატიურების სტატისტიკა მატულობს, მაგრამ არა იმიტომ, რომ მეტ ქალს აუპატიურებენ, არამედ იმიტომ, რომ კანონს მეტი მიმართავს. შესაბამისად, მეტი ფაქტი ხდება გამოვლენილი. თუმცა, რეალური სტატისტიკა, ალბათ, კიდევ უფრო მაღალია და ამ მიმართულებით კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი.

რაც შეეხება საკუთარი მეუღლის მხრიდან ძალადობას, ორიოდე წლის წინ ორმა ქალბატონმა სცადა განცხადების შეტანა, მაგრამ პოლიციელებმა სასაცილოდ აიგდეს და განცხადებები არ მიიღეს. სამაგიეროდ, როდესაც 2017 წელს რუსთავში ცოლმა ქმარს სექსუალური ძალადობისთვის უჩივლა, ადგილზე მისულმა პოლიციამ მამაკაცი დააკავა. მოსამართლემ დაკავებულს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა. რით დამთავრდა ეს ამბავი, ავტორისთვის, სამწუხაროდ, უცნობია.

სიტუაცია ძალიან ზანტად იცვლება. კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ: პროცესის დასაჩქარებლად, საკანონმდებლო რეფორმების პარალელურად, აუცილებელია საგანმანათლებლო მუშაობა სამართალდამცავ სისტემაში. ქალის ნებართვის გარეშე მისი სხეულის ხელშეუხებლობის თემა პოლიციისთვის ჩატარებულ ტრენინგებზე აქცენტირებულად უნდა იყოს მიწოდებული.

კანონი და ცნობიერება

მართლმსაჯულების სისტემამ უნდა აღიაროს - სექსუალური ძალადობა ქალთა დისკრიმინაციის ფორმაა. ამაზე მიუთითებს ქალთა მოწყვლადი სოციალური და ანატომიური კონსტიტუციის გამოყენება; აგრეთვე სტიგმური დამოკიდებულება სექსუალური ძალადობის მსხვერპლის მიმართ. უკვე არსებობს საბაზისო მექანიზმიც - 2014 წელს დამტკიცდა **კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.** იმავე წელს ხელმოწერილი **სტამბოლის კონვენცია** მოიცავს რეკომენდაციებს გაუპატიურების საწინააღმდეგო კანონმდებლობის გაუმჯობესების კუთხით. უკვე გადაიდგა ნაბიჯები საქართველოს კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასთან ჰარმონიზებისთვის. **2017 წელს მოხდა ევროპის საბჭოს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციის** რატიფიცირება. ყველა ზემოაღნიშნული ნაბიჯი პირდაპირი გზაა სექსუალური ძალადობაზე მუშაობის გასაუმჯობესებლად.

აი რას ამბობს საიას პროექტის კოორდინატორი ნინო ჩიხლაძე:

- სტამბოლის კონვენციის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობაში გაუპატიურების განმარტება შეიცვალა. ახლა ჩაწერილია, რომ გაუპატიურება შეიძლება მოხდეს არა მარტო სასქესო ორგანოთი, ან ადამიანის სხეულის სხვა ნაწილით, არამედ, აგრეთვე, რაიმე საგნით. თუმცა სრული შესაბამისობა **სტამბოლის კონვენციასთან** ჯერაც არ არის. ჩვენს კანონში ლაპარაკია ფიზიკური ძალადობის გამოყენებაზე; კონვენციის მიხედვით, კი, ფიზიკური ძალადობა თუნდაც არ იქნას გამოყენებული, მსხვერპლის უარის შემთხვევაში უკვე ადგილი აქვს გაუპატიურებას.

არის კიდევ ერთი სერიოზული ხარვეზი: სექსუალური ძალადობის პრევენციის კუთხით დიდი არაფერი კეთდება. სამართალდამცავებს ამ კუთხით კვალიფიკაციის სერიოზული ამაღლება სჭირდებათ.

ქალის უფლებების საკითხში განათლების დონე არა მარტო სამართალდამცავებშია დაბალი. მოქალაქეთა უდიდესი ნაწილი ინარჩუნებს ქალის როლის მიმართ კონსერვატიულ განწყობას. ყველაზე ეფექტიანი მექანიზმი გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის პრევენციისთვის საზოგადოებრივი მენტალიტეტის გაჯანსაღებაა. დღესდღეობით, ამ საკითხზე ზრუნვას, ძირითადად, არასამთავრობო სექტორი ცდილობს, რაც ნამდვილად არ არის საკმარისი. ძალზე საინტერესოა, მაგალითად, **ფემინისტური ორგანიზაცია „ქალთა მზერის“** საქმიანობა. მათ საიტზე შესაძლებელია ინფორმაციის მოძიება შრომის პოლიტიკაზე, კულტურული და რელიგიური უმცირესობების უფლებებზე, სქესობრივ და რეპროდუქციულ საკითხებზე და ა.შ. ძალზე საინტერესოა ციკლი: **„ყველაფერი შენი სხეულის შესახებ“**, რომლის **მეთერთმეტე თავი „სექსუალური თავდასხმა, შევიწროება და გაუპატიურება“** სწორედ ამ საკითხზე ინფორმირებასა და სტიგმის მოსხნას ემსახურება.

ყველაზე საუკეთესო კანონი და ყველაზე დატრენინგებული სამართალდამცავნი ვერაფერს გააწყობენ, თუ საზოგადოებრივი ცნობიერება არ შეიცვალა. ჰუმანისტურ-დემოკრატიული მენტალიტეტის ფორმირება სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. ავტორის აზრით, გრძელვადიანი შედეგების მისაღებად ძალზე პერსპექტიულია სასკოლო საგნობრივი კურსი „მე და საზოგადოება“. მხოლოდ ჰუმანისტურ-დემოკრატიული ფასეულობებით გაჯერებული აღზრდა მიიყვანს საზოგადოებას იმ აზრამდე, რომ პატივაყრილი და შერცხვენილი სინამდვილეში მოძალადეა; პასუხიც, როგორც სამართლებრივი, ისე ზნეობრივი თვალსაზრისით, სწორედ მას უნდა მოვთხოვოთ.

თაკი მეშვიდე

ნარკოტიკების ტუვეოხაში

ქალის ცოდვა უფრო მძიმეა?...

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია ყველაზე მწვავედ მოწყვლად ჯგუფებში იგრძნობა. შეგახსენებთ, რომ მოწყვლადია ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც მოკლებულნი არიან სხვა ჯგუფებისთვის ადვილად ხელმისაწვდომ სიკეთეებს, რაც ხშირად, შეიძლება, დისკრიმინაციასთან იყოს დაკავშირებული. მოწყვლადნი არიან, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის პირები, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის, ან გენდერული იდენტობის ადამიანები და ა.შ.

ამ თავში ნარკომომხმარებელ ქალებზე ვისაუბრებთ. აღნიშნული თემი გაათმაგებული გენდერული წნეხის მაგალითია. ნარკომომხმარებელი ქალი საზოგადოების თვალში სამარცხვინო არსებაა, რომელსაც არ აქვს, არც მეუღლეობის და არც დედობის უფლება, ამიტომ უყოყმანოდ უნდა მოიკვეთოს. სწორედ ამით აიხსნება მათი პანიკური შიში პრობლემის გამჟღავნების მიმართ (ქმარმა რომ გაიგოს – მომკლავს!!!). რაც უნდა პარადოქსული იყოს, სტიგმა არც მედიცინის მუშაკებისთვისაა უცხო; ამიტომ ნარკომომხმარებელ ქალს სამედიცინო დაწესებულებებსა და ზიანის შემცირების სერვისებში მიმართვაც უჭირს. საზოგადოებრივი წნეხი სპეციფიკური გენდერული პრობლემების ჩამოყალიბებას განაპირობებს; დროთა განმავლობაში, კი, ფსიქოლოგიურად ანადგურებს: იგი ითავისებს, რომ უღირსი არსებაა, ამიტომ შეურაცხყოფაზე პროტესტის უფლება არ აქვს და კარგს არაფერს იმსახურებს. სპეციალისტები ამას თვითსტიგმატიზაციას უწოდებენ.

ნარკოტიკების მომხმარებელ ქალის, მ.ნ-ს (39 წლის) სულიერი მდგომარეობა თვითსტიგმატიზაციის ტიპური მაგალითია:

– ნარკოტიკები მამაკაცს, უბრალოდ, ვნებს, ქალს კი ქალობას აკარგვინებს. ქალი ოჯახის მფარველ ანგელოზად და შვილების აღმზრდელად არის გაჩენილი. მას „უწყინარი“ სიგარეტიც კი ანადგურებს. სიგარეტს ხელში რომ აიღებ, რაღა ქალი ხარ! პირველივე მოწევაზე მშობლების, ოჯახის, ქვეყნის პატივისცემას აბიჯებ... ამის შემდეგ სხვა რამესაც იოლად გაბედავ. ნარკოტიკებზე თუ ზიხარ, ხომ სრული არარაობა ხდები. ჰოდა, შესაბამისადაც გექცევიან! ნარკომან ქალს სახლში ვინ შეუშვებს?! შესაძლოა, ვიღაც ასეთივე ნარკომანი, მერე დოზისთვის ფულის საშოვნელად ქუჩაში რომ გაუშვას.

არსებითი დეტალი: საზოგადოება ნარკომომხმარებელ მამაკაცებს ასე სასტიკად არ განიკითხავს და კეთროვანივით არ ექცევა; არც ოჯახი იკვეთს. ანუ ნარკომოხმარების პრობლემას გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ასპექტი ნამდვილად ახასიათებს.

ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველო“ 2014 წლის თებერვალში ჩაატარა შეხვედრა თემაზე: **„ქალი ნარკომომხმარებლები და მათზე ორიენტირებული ზიანის შემცირების სერვისები საქართველოში“.** მომხმარებელ ქალთა წინააღმდეგ მიმართული სტიგმა განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა.

აი, რა მითხრა სხდომის შემდეგ **ექიმმა-ფსიქოთერაპევტმა მანანა სოლოღაშვილმა:**

– ნარკოტიკების მომხმარებელ მამაკაცს ოჯახი ჯარიმებსაც უხდის, ციხეში ამანათებიც დააქვს, მოთმინებითაც ელოდება, როდის ინებებს ნარკოტიკის „გადაგდებას“. ქალს ამდენს არავინ ელოლიავება. ამიტომ ცდილობს თავისი პრობლემის დამალვას. თავს მოიკლავს, მაგრამ არ გაამხელს, რომ ნარკოტიკებთან რაიმე შეხება აქვს. მახსენდება ასეთი შემთხვევა: ჩემთან დადიოდა გოგონა, რომლის შეყვარებული ნარკოტიკების მომხმარებელი იყო. მალე მივხვდი, რომ თავადაც იგივე სენი სჭირდა. მერე სადღაც გაქრა. დიდი ხნის შემდეგ მესიჯი მივიღე: „მანანა დეიდა, სიგარეტსაც კი შევეშვიო!“. წარმოიდგინეთ, მხოლოდ სანახევროდ გამომიტყდა, ისიც დაუსწრებლად! ჩემი მეუღლე ქირურგია. ოპერაციის დროს, საანესთეზიო დოზის გასათვლელად აუცილებელია იმის ცოდნა, მოიხმარს თუ არა პაციენტი ნარკოტიკს. ქალების მხრიდან აღიარების ერთ შემთხვევასაც ვერ იხსენებს; აი, კაცები კი უპრობლემოდ ეუბნებიან, რომ ნარკოტიკების კუთხით პრობლემები აქვთ.

მნიშვნელოვანი დეტალი: თუ ნარკომომხმარებელი ქალი ციხეში აღმოჩნდა, გამოსვლის შემდეგ, ხშირად, ყოველგვარი საყრდენის გარეშე რჩება. ასეთ სიტუაციაში ადვილია ისევ ნარკომოხმარების ჭანჭრობმა ჩაითრიოს. ასეთ დროს საზოგადოებრივი სტიგმა განსაკუთრებით დამანგრეველია.

ეს ცხოვრებიეული ისტორია ნარკოდამოკიდებულ ქალთა ნამუშევრების გამოფენის მომწყობებმა მოგვიწოდეს. ღონისძიება რამდენიმე წლის წინ **სტუდია „იდეალისტმა“** და **ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაციამ** მოაწყვეს ფონდის **„ღია საზოგადოება - საქართველო“** და **„ზიანის შემცირების ქსელის“** მხარდაჭერით:

„დედა ოცდაორი წლის ასაკში დაქვრივდა. მაშინ წლინახევრის ვიყავი. შვიდი წლის შემდეგ დედა გათხოვდა და თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. მე კი ბებიამ გამზარდა. მეორე კურსზე პოლიციის თანამშრომელზე გავთხოვდი. მერე ნარკოტიკებს მიეძალა და სამსახურიდან დაითხოვეს. მალე რამდენიმე წლით ციხეში ამოყო თავი, მე კი თბილისში ნათესავებთან გადავედი საცხოვრებლად. იქ დავუახლოვდი გოგოებს, რომლებიც ასევე ნარკოტიკებთან „მეგობრობდნენ“. როდესაც დაინახეს, რომ ფული არ მიჭირდა, ყველაფერი იღონეს ჩემს ჩასათრევად. ნათესავებმა ეს ამბავი რომ გაიგეს, მცემეს, მოტყუებით სახლში დამაბრუნეს და გამომკეტეს. საშინელი „ლომკის“ შემდეგ გავიპარე და ისევ ნარკოტიკებში გადავეშვი. ბოლოს ციხეში აღმოვჩნდი. როცა ჩემს ზურგს უკან ციხის მძიმე კარი მიიხურა, მეგონა რომ ჩემი ცხოვრება დასრულდა. ყველაზე მეტად კი შვილებთან განშორება მტანჯავდა. მოსამართლეს შევეცოდე და ჯარიმით შემოიფარგლა...“

აი კიდევ ერთი ტიპური ისტორია:

„ბედნიერი და უზრუნველი ბავშვობა მქონდა. მშობლები განქორწინდნენ, მაგრამ დედა ყოველთვის გვერდში მყავდა. სკოლის დამთავრებისთანავე გავთხოვდი. დიდი სიყვარულით, ცხადია, და თვრამეტი წლის ასაკში უკვე ბავშვს ველოდი. მძიმე მშობიარობა მქონდა. საკეისროს გაკეთება დამჭირდა, მერე კი აღმოჩნდა, რომ სამშობიაროს ფული ქმარმა გაურკვეველი მიზნებისთვის დახარჯა. იძულებული გავხდი ბავშვით ხელში ფანჯრიდან გავპარულიყავი. ნერვიულობისგან რძეც გამიშრა. სახლში გონდაკარგული ქმარი დამიხვდა. თურმე, უკვე კარგა ხა-

ნია ნარკოტიკებზე „იჯდა“. უკანასკნელი ათი ლარიც წამალში დახარჯა - ბავშვის საკვების საყიდლად გავიდა და დაიკარგა. მერე გავიგე, რომ ჭიათურაში სხვა ქალთან წაბრძანებულა. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ დაბრუნდა. დედაჩემი წინააღმდეგი იყო, მაგრამ ძალიან მიყვარდა და ჩუმად ვხვდებოდი. მერე ძმებმა რუსეთში წაიყვანეს. დამპირდნენ, რომ მოგვიანებით მეც წამიყვანდნენ, მაგრამ მას შემდეგ აღარ გამოჩენილა. ასე დავრჩი მარტო ცხრამეტი წლის ასაკში შვილთან ერთად. რაც დრო გადიოდა, გოგონა სულ უფრო ემსგავსებოდა მამამისს. ეს ჭკუაზე მშლიდა. ერთხელ მეგობრებმა წამალი შემომთავაზეს - ცოტა გუნებაზე მოგიყვანსო და... ამის შემდეგ დაიწყო... ყველაფერი გავყიდე... სულ უცხო ხალხსაც კი ფულს ვძალავდი. უკვე ყველა მერიდებოდა. ათიოდე წლის შემდეგ მივხვდი, რომ უნდა გავჩერებულიყავი. კარგ კაცზე გავთხოვდი და მალე კიდეც დავფეხმძიმდი. სამშობიაროში ნარკოზი დამჭირდა. როდესაც ნორმალურმა დოზამ არ იმოქმედა, ექიმები მაშინვე ყველაფერს მიხვდნენ. დღესაც მახსოვს მათი ზიზღით სავსე თვალები... მშობიარობის შემდეგ საკაცეზე საქონელივით დამაგდეს და არც ბავშვის დაბადება მომილოცეს. რაც ორგანიზაცია „ქსენონს“ მივმართე, ბევრი რამე შეიცვალა. ახლა ბიჭი რვა წლისაა, ხოლო გოგონა - ჩვიდმეტის. ვცდილობ კარგი დედა ვიყო და თავსაც მივხედო. ბავშვებს უნდათ რომ ლამაზი დედა ჰყავდეთ...“

საზოგადოების მხრიდან დემონიზაციის გამო ნარკომომხმარებელი ქალების თემი მამაკაცების თემთან შედარებით უფრო ჩაკეტილია და საუბარზეც უფრო იშვიათად თანხმდებიან. ძალიან მინდოდა ავტორ-ქალბატონებს გავცნობოდი, მაგრამ მათ უჩინრებად დარჩენა ამჯობინეს. გასაუბრებისას ხშირად ირკვევა, რომ ნარკოტიკებს პარტნიორმა - ნარკომომხმარებელმა მამაკაცმა აზიარა. მამაკაცი ქალს ხანდახან განგებ „სვამს“ ნარკოტიკზე, რომ მერე ქუჩაში სამეძაოდ გაუშვას და მორიგი დოზისთვის ფული ამ გზით იშოვოს. პარტნიორის მხრიდან ასეთი მანიპულატორულ-მომხმარებლული დამოკიდებულების მიუხედავად, ქალი მაინც ცდილობს მის შენარჩუნებას, ვინაიდან მამაკაცის გარეშე ნარკოტიკს არავინ მიჰყიდის. არასაიმედოდ თვლიან - მაინც ქალია და თუ ჩავარდება, ყველაფერს დაფქვავსო. ანუ პატრიარქალური სტიგმა თავად ნარკომომხმარებლებსაც შორის აქტუალურია. ნარკომომხმარებელი ქალი ხშირად ინფექციებზე გამოკვლევასაც კი თავს არიდებს, ვინაიდან დადებითი პასუხის შემთხვევაში მამაკაცი მიატოვებს და ნარკოტიკთან მისასვლელი გზა გადაეკეტება.

2008 წელს „ზიანის შემცირების ქსელმა“ ნარკომომხმარებელ ქალთა გამოკითხვა ჩაატარა. თანამშრომლობაზე სოციალურად ნაკლებად დაცული ფენების წარმომადგენელნი დათანხმდნენ (35% სექს-სერვისში საქმიანობდა). გაირკვა, რომ ნარკომომხმარებელი ქალები სამედიცინო კლინიკებს და ზიანის შემცირების სერვისებს ვერ აკითხავდნენ, ვინაიდან თანამშრომელთა მხრიდან ნეგატიური რეაქციის ეშინოდათ. არცთუ უსაფუძვლოდ: იყო შემთხვევები, როდესაც სტიგმით შეპყრობილი ექიმები არ უწევდნენ ხარისხიან მომსახურებას, თანაც ინფორმაციას პოლიციას აწვდიდნენ. გამოკითხულთა 30,5%-მა განაცხადა, რომ სამართალდამცავნი ნარკომომხმარებელ მამაკაცებზე უფრო სასტიკად მათ სდევნიდნენ. 19,5% უხეშ მოპყრობას უჩიოდა. ხოლო 14%-ს პოლიციელებმა, სექსუალური მომსახურების სანაცვლოდ, ექსპერტიზიდან განთავისუფლება შესთავაზეს. ნარკომომხმარებელი ქალის მიმართ დამოკიდებულება გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფართო

სპექტრს წარმოგვიდგენს. საზოგადოება მას, ფაქტობრივად, ადამიანთა უფლებების სფეროდან აძევებს, თან უზნეო ბავშვივით თითს უქნევს: „ცუდი გოგო ხარ, ახლავე წადი და დადექი კუთხეში!“; თვითსტიგმატიზირებული ქალიც დატუქსული ბავშვივით პასუხობს: ჰო, ძაააააააალიან ცუდი გოგო ვარ, უკვე მივდივარ! და... მართლაც კუთხეში იტუზება! **ფსიქო-სოციალური ინფორმაციის და კონსულტაციის ცენტრის „ახალი გზა“ ხელმძღვანელის, დალი უშარიძის დაკვირვებით,** ზოგი ნარკომომხმარებელი ქალი, პირიქით, თავს კიდეც იწონებს: „აუ, ცხენის დოზებით ვკაიფობდი!“, „იცი რა ხალხთან ერთად გამიკეთებია?!“. წიგნის ავტორის აზრით, ესეც დოინჯშემოყრილი „ბავშვის“ პოზაა.

საინტერესო დეტალი: ისეთი შემთხვევებიც არსებობს, როდესაც ნარკომომხმარებელი ქმარი თავად ჩართულია ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში, ცოლს კი სათოფეზე არ აკარებს და... ნარკოტიკით ამარაგებს; ანუ საკუთარ თავს შველის, ხოლო ქალს კი უფრო ღრმად ძირავს. მიზეზი გამაოგნებელია - აქაოდა, პროგრამაში რომ ჩაერთოს, გაიგებენ რომ ნარკოტიკზე ზის და ოჯახს „თავი მოეჭრებაო“. საკუთარი ნარკოდამოკიდებულება ოჯახისთვის „თავის მოჭრად“ არ მიაჩნია. ესეც დისკრიმინაციის ძალზე თვალსაჩინო დადასტურებაა.

გზა თვითგადარჩენისკენ

როგორც უკვე აღინიშნა, ნარკომომხმარებელ ქალს ხშირად თავადაც სჯერა, რომ უღირსი ადამიანია და პროტესტის უფლება არა აქვს. ფსიქოლოგის ძირითადი მიზანი ამ მტანჯველი კომპლექსის „დემონტაჟია“. ამისთვის აუცილებელია ნარკომომხმარებელ ქალთა პრობლემების საფუძვლიანი შესწავლა. **ხუთწლიანი პროექტი „იმედი“ 2009-2014 წ.წ-ში აშშ–ს ჯანდაცვის ინსტიტუტებისა** და მათ დაქვემდებარებაში მყოფი **წამალდამოკიდებულების ინსტიტუტის** დაფინანსებით განხორციელდა. პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ნარკომომხმარებელ ქალთა შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენა-განვითარება. საკუთარ თავში შემოქმედებითი უნარების აღმოჩენა მათ თვითშეფასებას მკვეთრად უმაღლებს და ნარკოდამოკიდებულების დაძლევაში ეხმარება. მუშაობა რამდენიმე მიმართულებით წარიმართა: ჩაღრმავებული ინტერვიუები, ზიანის შემცირებისა და სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე - ინფექციების კუთხით სარისკო ქცევის შემცირება. ჩაიწერა ორმოცდათხუთმეტი ინტერვიუ: თხუთმეტი **თბილისში,** ოცი **გორში,** თხუთმეტიც დასავლეთ საქართველოს ქალაქებში **(ფოთში, ბათუმში, ზუგდიდში)**.

ინტერვიუ **ირმა კირთაძესთან (დამოკიდებულების კვლევის ცენტრის „ალტერნატივა - ჯორჯია“ მკვლევარი**, **პროექტის კოორდინატორი)** ზემოთაღნიშნული კვლევის განხორციელების პერიოდში ჩავიწერე:

- პირველ რიგში, გვაინტერესებდა, რატომ იმალებიან და არ სარგებლობენ მათზე ორიენტირებული სერვისებით, რა უშლით ხელს მკურნალობის ჩატარებაში და ა.შ. სერვისების

მუშაკთა მხრიდან ანტიპათია მნიშვნელოვანი ბარიერია. როდესაც სერვის-პროვაიდერებს შევთავაზეთ, სამი ზედსართავით დაეხასიათებინათ მომხმარებელი ქალები, მცირე პოზიტივიც კი არ დაფიქსირდა. თვითშეფასების ამაღლებას თვითსტიგმატიზაციის დასაძლევად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მომხმარებელ ქალებს ვასწავლიდით თავის მოვლა-გალამაზებას: მაკიაჟის დადების წესებს, ფრჩხილების მოვლას; ვუტარებდით მძივებისაგან და სხვა მასალებისაგან სამკაულების კეთების, ტანსაცმლის გაფორმება-გადაკეთების და თექაზე მუშაობის გაკვეთილებს. ვერც კი წარმოიდგენთ, რამხელა სტიმულია ამ ადამიანებისათვის დასრულებული ნამუშევრის ხილვა, რომელიც ასეთი ლამაზი და მშვენიერია! არა აქვს მნიშვნელობა მძივია ეს, სამაჯური, თმის სამაგრი, თუ სხვა რამე, საკუთარ თავში სილამაზის შექმნის უნარის აღმოჩენა თვითშეფასებას ამაღლებს და, შესაბამისად, თვითდარწმუნებულობასაც ავითარებს. თავდაპირველად პროექტში თექა არ ყოფილა გათვალისწინებული, მაგრამ, როცა ერთი ქალბატონის ხელით შექმნილი სილამაზე დავინახეთ, გადავწყვიტეთ რეკრეაციული აქტივობის პედაგოგად აგვეყვანა.

– პროექტის განხორციელების პროცესში სამართალდამცავებთან შეხება არ მოგიწიათ?

– როდესაც ამნისტია გამოცხადდა, იუსტიციის სამინისტროდან თავად მოგვმართეს: ამდენი ხალხი გამოვიდა, არ იციან სად წავიდნენ, იქნებ რამე გვირჩიოთო. არსებული სერვისებითაც დაინტერესდნენ. ცხადია, ჩვენი კარი ღიაა ციხიდან გამოსული ყველა ნარკომომხმარებელი ქალბატონისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, პროექტის რესურსები შეზღუდულია და პროგრამაში ყველა მსურველს ვერ ჩავრთავთ; ამიტომ, ჩვენი ორგანიზაციის კუთვნილი ტექნიკის ბაზაზე, ქალებს კომპიუტერის შესწავლას ვთავაზობთ. მყავს არაჩვეულებრივი მეგობრები, რომლებიც მზად არიან ქალებს უფასო სამედიცინო კონსულტაცია გაუწიონ თერაპიის, კარდიოლოგიის, რეპროდუქტოლოგიის, გინეკოლოგიის და სხვა მიმართულებებით. აგრეთვე, ვგეგმავთ პიკნიკური ტიპის გასეირნებებს; შევაგროვებთ ფოთლებს და მხატვრულ ნამუშევრებს შევქმნით. მოვაწყობთ ფილმების ჩვენება-განხილვას და სხვა. ჩვენი მიზანია შევქმნათ ისეთი ადგილი, სადაც მომხმარებელ ქალებს თავისუფლად მოსვლა შეეძლებათ. გვინდა ნელნელა მოგვეჩვიონ, მდგომარეობიდან გამოვიდნენ და სერვისებს მიმართონ. კვლევის შედეგად დავრწმუნდით, რომ მინიმალური ყურადღებაც კი აშკარა ეფექტის მომცემია.

– თქვენი საქმიანობა, ალბათ, დასაქმების შესაძლებლობასაც ქმნის?

– გააჩნია კონკრეტულ შემთხვევას. ჩვენი მხრიდან ვეხმარებით დასაქმებისათვის აუცილებელი ისეთი უნარების ათვისებაში, როგორცაა: რეზიუმეს დაწერა, ინტერვიუს დროს თავის წარმოჩენა, სამუშაოს შოვნის შემთხვევაში მისი შენარჩუნების ტაქტიკა და ა.შ. არჩევნების პერიოდში ერთი ქალი ეუთო-ში დამლაგებლად დავასაქმეთ. მისმა გულწრფელობამ დამქირავებლებზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა: არ დაუმალავს, რომ კანონთან პრობლემები ჰქონდა: შვილებისთვის კარაქი მოიპარა. დღეში, თუ არ ვცდები, 34 ევრომდე უხდიდდნენ.

– თავად ქალები როგორ აფასებენ კვლევის პროცესში შექმნილ გარემოს?

– ყოველ ჯერზე ძალზე პოზიტიური შეფასებები მოგვცეს. განსაკუთრებით დაათასეს კონფიდეციალურობის მომენტი. აღნიშნეს, რომ ჩვენთან შექმნილია თბილი, ჭეშარიტად ქალური გარემო, სადაც შეუძლიათ მოდუნდნენ, იყონ ის, რაც

არიან და ამისთვის არ გაიკიცხებიან. პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ყველა ქვეყანაში მომხმარებელი ქალი მეტ-ნაკლებად სტიგმატიზირებულია; ოღონდ სხვადასხვა ჭრილში და სხვადასხვა ხარისხით. სწორედ ამიტომ ურჩევნიათ ქალური გარემო. მოგეხსენებათ: ქალი ქალთან საუბრობს სხვანაირად, ვიდრე კაცი – კაცთან. მსოფლიო გამოცდილებამაც აჩვენა, რომ ყველაზე ეფექტიანია მიდგომა: „ქალი – ქალთან და ქალი – ქალისთვის". ჩვენ გვინდოდა სწორედ ამ მოდელის ტესტირება და შეფასება. აღმოჩნდა, რომ ქალთა ორივე ჯგუფში „იმუშავა". ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ საზოგადოებაში ასე აუგად მოხსენიებული ნარკომომხმარებელი ქალი ხშირად ძალიან კარგი დედაა, რომელსაც თავის სენი ყოველთვის უდიდეს ბარიერებს უქმნის. ინტერვიუებში სწორედ ამას ამბობდნენ: ექვს საათამდე უნდა მომესწრო და თავი მომეწესრიგებინა, რომ მერე ბავშვის მოვლის, მასთან თამაშის თავი მქონოდა; ბავშვი უგუნებობას რომ გამჩნევს, თავადაც დარდობსო. აბსოლუტურად ყველა ინტერვიუში ბავშვის გაჩენის სურვილი ახალი ცხოვრების დაწყების მცდელობასთან იყო დაკავშირებული. ორგანიზაციის მუშაკთა დასკვნის თანახმად, დედობა ნარკოდამოკიდებულების დაძლევის ყველაზე ძლიერი სტიმულია.

ცნობისთვის: 2012 წელს ორგანიზაციამ „ნაბიჯი მომავლისაკენ" ნარკომომხმარებელ ქალთა მორიგი გამოკითხვა ჩაატარა. რესპოდენტთა 79%-მა ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნია ნარკოდამოკიდებულ ქალთა პროფესიული სწავლება, 24%-მა – თავშესაფრების ორგანიზება, 21%-მა – საბავშვო კუთხეების მოწყობა (გამოკითხულთა 2/3-ს შვილები ჰყავდა).

მომხმარებელ ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაცია **„აკესო"-ს** ხელმძღვანელი **ეკა გარდაფხაძე** ზემოთმოხსენიებული პროექტის ფარგლებში ბენეფიციარ ქალებს თექაზე მუშაობას ასწავლიდა. ნარკოტიკების მოხმარება სულ ახალგაზრდამ დაიწყო - ქმრის გავლენით. მაგრამ როცა დამოკიდებულების დაძლევა მოახერხა, ნარკოტიკებს დაუძინებელი ბრძოლა გამოუცხადა. **ეკა გარდაფხაძის** აზრით, აუცილებელია კონკრეტულად მომხმარებელ ქალებზე ორიენტირებული სერვისების ორგანიზება, ვინაიდან მათ თავშესაფრებში არ უშვებდნენ. ამ დროს, ქალს ხშირად წასასვლელი არსად აქვს. მომხმარებელ ქალთა ცენტრში თბილი, ოჯახური გარემო უნდა იყოს შექმნილი. იქ ისეთი ადამიანები უნდა მუშაობდნენ, ვისაც ეს გზა თავადაც გავლილი აქვს, ვინაიდან მომხმარებელი ქალი მათთან უფრო მივა. გარდაფხაძის სიტყვით, ჩამნაცვლებელი თერაპიის ცენტრებშიც არაერთმნიშვნელოვანი სიტუაციაა. ქალი იქ რომ შევა, მერე მასზე ორმოცდაათი კაცი ჭორაობს და აგინებს. პარადოქსია, მაგრამ მამაკაცი, რომელიც ნარკოტიკებთან „მეგობრობს", ხშირად იმავე ჩვევისთვის ქალს უხამსად განიკითხავს. ესეც მასკულინისტური სექსიზმის გამოვლინებაა.

პარალელი: პატიმარი ქალებიც გაორმაგებულ საზოგადოებრივ წნეხს განიცდიან. სწორედ ამიტომ მამაკაცებზე ბევრად მეტად უჭირთ მათთვის განკუთვნილი სერვისების მისაღებად მიმართვა. პატიმარ მამაკაცებს ოჯახი შედარებით იშვიათად ენგრევათ. პატიმარ ქალს კი მეუღლე (ხშირად მთელი ოჯახიც) ზურგს აქცევს და ციხიდან გამოსვლის შემდეგ წასასვლელიც კი არსად აქვს. „ყოფილი მსჯავრდადებულის" დამღა ქალს დამანგრეველ თვითსტიგმას უყალიბებს: „მე სამსახურში ვინღა ამიყვანს?", „რას წარმოვადგენ ახლა მე?" და ა.შ. პარალელები აშკარაა. ამის მიზეზი გახლავთ ისევ და ისევ პატრიარქალური სტიგმა, რომლის

თანახმად, „ქალის ცოდვა უფრო მძიმეა“. უფლებადამცველი მანანა ჯინჭარაძე ასეთ ფაქტს იხსენებებს: ქალს თავის საქმიანობაში გადაცდომა მოუვიდა და ციხეში აღმოჩნდა. რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდა და... ოჯახმა არ მიიღო! არც ქმარმა და არც შვილებმა. ამ წლების მანძილზე შვილებს მეზობლებმა იმდენი აძახეს - საზიზღარი დედა გყავთ, ყველაფერი სიხარბით მოუვიდაო, რომ სულ შეაძულეს. ქალმა „ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელს“ მიმართა. სპეციალისტები ძალიან ცდილობდნენ შვილებისთვის დედისგან მიღებული სიკეთეები გაეხსენებინათ. აეხსნათ, რომ ადამიანს შეიძლება შეცდომა მოუვიდეს. გოგონას მოუხერხეს რაღაც, მაგრამ ბიჭმა მათი არგუმენტები არ მიიკარა. „დარწმუნებული იყავით, რომ იმავე სიტუაციაში მამას მიიღებდნენ. ნაცხარი მამები რომ ბრუნდებიან, ოჯახი ლამის აღფრთოვანებით ხვდება“ - ამბობს მანანა ჯინჭარაძე.

თანადამოკიდებული ქალის სინდრომი

ნარკომომხმარებელი ქალების გენდერულ პრობლემებთან დაკავშირებით, თანადამოკიდებულების სინდრომსაც უნდა შევეხოთ. თანადამოკიდებულებას უწოდებენ მტანჯველ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომელიც ნარკოდამოკიდებულთა ახლობლებს უვითარდებათ. იგულისხმება ავადმყოფური ემოციური მიჯაჭვულობა ნარკოდამოკიდებულზე და მისი პრობლემებით ცხოვრება. ანუ თანადამოკიდებულება ნარკოდამოკიდებულის პრობლემების საკუთარ თავზე ნებაყოფლობით აღებაა. ოჯახის წევრთა ამ სენით დაავადება, როგორც წესი, დედიდან იწყება, ვინაიდან, უფრო ხშირად, პირველი ის იგებს შვილის პრობლემის შესახებ. მერე, თანდათანობით, თანადამოკიდებულებაში ოჯახის დანარჩენ წევრებსაც ჩაითრევს. ნარკოდამოკიდებული ადამიანი ოჯახის ცენტრი ხდება - ყველაფერი მის გარშემო ტრიალებს. ოჯახი ყოველდღე მტანჯველი შიშითაა შეპყრობილი: სად არის? როგორ გრძნობს თავს? ხომ არ დაიჭირეს? რამე ხომ არ შეემთხვა? დედების და პარტნიორი ქალების შემთხვევაში თანადამოკიდებულება უფრო ფატალურ ფორმას იღებს; ანუ ესეც გენდერული კვლევის სფეროა.

ამ თემაზე მუშაობისას დავრწმუნდი, რომ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, თანადამოკიდებული ადამიანი ნარკოდამოკიდებულზე ბევრად უფრო მძიმე დღეშია: ნარკოდამოკიდებულებს ხშირად უპრობლემოდ ვიყოლიებდი ინტერვიუზე, თანადამოკიდებულთა შემთხვევაში კი ყრუ კედელს წავაწყდი: ზოგმა მაშინვე უარი განაცხადა, ზოგი ჯერ დამთანხმდა, მერე კი გადაიფიქრა; ერთი ქალბატონი ანონიმურ სატელეფონო ინტერვიუზე თითქოს დავითანხმე, მაგრამ მერე დაიმალა და ზარზე აღარ მიპასუხა. საბოლოოდ, ნარკომოხმარების პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომელი გამესაუბრა. მას თავად ჰყავს ნარკოდამოკიდებული შვილი და კარგად ესმის საზოგადოების სრულფასოვანი ინფორმირების მნიშვნელობა. საზოგადოებისგან არაადეკვატური რეაქციის თავიდან ასაცილებლად ქალბატონმა ანონიმად ყოფნა არჩია.

ლ.კ. (ფსიქოთერაპევტი):

– მშობლები, ზოგადად, სირაქლემას პოზიციას ამჯობინებენ. ჰგონიათ, თუკი

ვერავინ გაიგებს - ამაყად ივლიან. თანადამოკიდებული მთლიანად იძირება დამოკიდებულის პრობლემებში და ბოლომდე იზიარებს მის განცდებს. თქვენ წარმოიდგინეთ, ხშირად მის გარეშე ფიზიკურადაც კი ვერ ძლებს – რა ტანჯვა-წამებაც არ უნდა შეამთხვიოს, მაინც მის გვერდით ყოფნა უნდა. დანაშაულის განცდაც კი უჩნდება: რაღაც გამომრჩა, ვერ მოვუარე და ამ უბედურებაში ლომის წილი ჩემზე მოდისო. ამის გამო კიდევ უფრო მიჯაჭვული ხდება. თანადამოკიდებულებისადმი მიდრეკილება ადამიანის პიროვნულ და სოციალურ მოწყვლადობაზეა დამოკიდებული. ისტორიულად, ორივე თვალსაზრისით, უფრო მოწყვლადი ქალია; ამიტომ უფრო ადვილად და ძლიერად ხდება თანადამოკიდებული. თუ დამოკიდებულთან ინტიმურ თანაცხოვრებაშია, კიდევ უფრო იოლად გადაეშვება თანადამოკიდებულების მორევში. დისჰარმონიულ ოჯახში გაზრდილი ქალის ფსიქიკა კიდევ უფრო სუსტია და თანადამოკიდებულებაც იოლად უვითარდება. არის კიდევ ერთი ფაქტორი: საქართველოში შვილების აღმზრდელი და ძირითადი პასუხისმგებელი დედაა. ეს საოჯახო როლების ტრადიციული განაწილებიდან მოდის: ბავშვმა რაღაც დააშავა? ე.ი. დედამ ვერ გაზარდა! შვილის ნარკოდამოკიდებულების შემთხვევაშიც მას უფრო ადანაშაულებენ. მათ შორის, თანადამოკიდებული მამაც – შენ ვერ მიაქციე ყურადღებაო. დედაც იღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის ძირითად სიმძიმეს, რაც გამანადგურებელ განცდებად უბრუნდება. სწორედ ამიტომაა ასე ჩაკეტილი. ჩემი შვილის ამბავში მე და ჩემი მეუღლე თანაბრად ვართ დამნაშავენი, მაგრამ ჩემნაირად ნამდვილად არ განიცდის. ამ დარგის სპეციალისტი ვარ და ყველა ეს მექანიზმი კარგად მაქვს გააზრებული; მიუხედავად ამისა, დანაშაულის განცდა მაინც ვერ მოვიშორე.

- ნარკოდამოკიდებულება ქრონიკული სენია. თანადამოკიდებულებაზეც იგივე ითქმის?

– დიახ, თანადამოკიდებულებაც ქრონიკული სენია. მისი მიმდინარეობა ნარკოდამოკიდებულის მიერ ნარკოტიკის მოხმარების რიტმზეა აწყობილი. თუკი რემისიამიღებული ნარკოდამოკიდებული მოხმარებას დაუბრუნდა, ემოციურად მასზე მიჯაჭვული ადამიანის შემთხვევაშიც თანადამოკიდებულების რეციდივი მოხდება. შიში ერთი წუთითაც არ გშორდება. ამჟამად ჩემი ვაჟი ციხეშია და ნარკოტიკებზე ხელი არ მიუწვდება, მაგრამ დარდი მაინც არ მინელდება. იცით, როდესაც მის საყვარელ კერძს ვამზადებ, ცრემლებს ვერ ვიკავებ... სულ ვფიქრობ, ნარკოტიკები რომ არა, ახლა სახლში დაბრუნდებოდა, დავახვედრებდი და ესიამოვნებოდა.

– თანადამოკიდებულები თავისი პრობლემის გამჟღავნებას დამოკიდებულებზე მეტადაც კი გაურბიან. რა არის ამის მიზეზი?

– ნარკოდამოკიდებული ნარკოტიკზეა გადართული; საზოგადოებისა და ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა დაქვეითებული აქვს; ამდენად, დანაშაულსაც ნაკლებად აცნობიერებს. თანადამოკიდებულისთვის კი ეს მთელი ოჯახის სირცხვილია. ამიტომ სირცხვილის და დანაშაულის განცდა გამძაფრებულია.

– იქნებ ეს ჩვენი კულტურის კოლექტივისტური საწყისებიდანაც გამომდინარეობს? დასავლეთის ინდივიდუალისტურ კულტურაში თანადამოკიდებულნი ტელეკამერის წინ ღიად საუბრობენ თავის პრობლემებზე...

– სწორედ ამით განსხვავდება ქართული მენტალობა, მაგალითად, ამერიკულისაგან. იქ თანადამოკიდებულს ღიად საუბარი არ უჭირს და თავად აკითხავს

თვითდახმარების ჯგუფს. ქართველებს კი ჯგუფში ჩართვაც უჭირთ. მათ დასათანხმებლად ინდივიდუალური მუშაობა მჭირდება - საშუალოდ ერთი-ორი თვე მაინც. შიშობენ, რომ ჯგუფში, შესაძლოა, ნაცნობს გადააწყდნენ. ასეთი შემთხვევები კიდეც მომხდარა და ეს დაბრკოლებად იქცა – წავიდნენ და აღარ გამოჩენილან. ერთი ცნობადი სახე ჯგუფში ჩართვაზე საერთოდ ვერ დავითანხმე. თანადამოკიდებულთა სულ ცოტა 70% „სირაქლემას პოზიციას“ არჩევს.

ჩვენს კულტურაში მეტ ჩაკეტილობას თანადამოკიდებული მამაკაცები ავლენენ. ლ.კ. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მათი ჯგუფში მუშაობაზე დაყოლიება ძალზე ძნელია; კატეგორიულად არ სურთ იმის დანახვა, რომ რაღაც სჭირთ და გამოჯანმრთელებაზე უნდა იზრუნონ. ნარკომოხმარების სფეროში უამრავი გენდერული ნიუანსია, რაც სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს. ამის გარეშე ეფექტიანი ნარკოპოლიტიკის შემუშავება, უბრალოდ, შეუძლებელია.

თაკი მერვე

ტრანსგენდერი ადამიანები საქართველოში

მე - „მეს“ წინააღმდეგ

„ერთმა ღვთისმსახურმა მითხრა, რომ არ მქონდა სქესის შეცვლის უფლება: ღმერთმა ასეთი გაგაჩინა, როგორც ჩანს, წინაპართა ცოდვების გამო ისჯები. ამიტომ სიცოცხლის ბოლომდე უნდა იტანჯოო. ამ აზრს ვერ დავეთანხმები. დავუშვათ, მართლაც წინაპართა ცოდვებმა მიწია. მაგრამ ტრასსექსუალიზმის გარდა სხვა თანდაყოლილი ფიზიკური პათოლოგიებიც არსებობს და გამოდის, რომ მათი კორექციაც დაუშვებელია. მაგალითად, დაიბადა ბავშვი ღორის დინგით, ან ცალი ყურით, გაიზარდა და გადაწყვიტა თავისი დეფექტის გამოსწორება. ამ დროს რომ მოვიდეს ღვთიმსახური და უთხრას: შვილო ჩემო, წინაპართა ცოდვებისთვის ისჯები და სიკვდილამდე ასე უნდა იტანჯოო, რამდენად მართებული იქნება? ტრანსსექსუალში ფსიქოლოგიური სქესი არ ემთხვევა ბიოლოგიურს. ეს არის კაცი ქალის სხეულში, ან პირიქით. თუ ანატომიური ქალი ფსიქოლოგიურად მამაკაცია, მაშინ მისი ჭეშმარიტი სქესი მამრობითია. ჩემს შემთხვევაშიც სწორედ ასეა - მე მამაკაცი ვარ!!! ჩვენს საზოგადოებას უჭირს ტრანსსექსუალთა პრობლემების გაგება, რადგან საკმარისად ინფორმირებული არ არის. თავად რომ ტრანსსექსუალი არ ვიყო, მეც გამიჭირდებოდა - საზოგადოებაში გამეფებული მახინჯი აზრი არ მომცემდა ამის საშუალებას. ტრანსსექსუალები არიან არა გარყვნილი, ან სულიერად დაავადებული ადამიანები, არამედ გატანჯული ხალხი, რომელსაც თანადგომა სჭირდება. ტრანსსექსუალის ქვეცნობიერში უკვე ბავშვობიდან იწყება მტანჯველი ბრძოლა სულსა და სხეულს შორის. ის ნელ-ნელა აცნობიერებს, რომ „უცხო“ სხეულში იმყოფება. თაცდაპირველად ეს მსუბუქი განცდაა, რომელიც თანდათან ძლიერდება და პიკს სქესობრივი მომწიფების ასაკში აღწევს. მეორეული სქესობრივი ნიშნების ჩამოყალიბება ტრაგედიად იქცევა. ზოგიერთი ასეთ ტკივილიან ცხოვრებას თვითმკვლელობას ამჯობინებს. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლას თავის ანატომიურ სქესთან. ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ბუნების ანტაგონიზმის გამო ტრანსსექსუალში თვითგანადგურების პროგრამაა ჩადებული... საზოგადოების მტრული დამოკიდებულება კიდევ უფრო ამძიმებს მის მდგომარეობას.“

ეს ტრანსგენდერი მამაკაცის **ნ.ჩ-ს** მოსაზრებებია, რომელიც **2001 წელს** ჩავიწერე. ადამიანებს, რომელთა ბიოლოგიური სქესი ფსიქოლოგიურს არ ემთხვეოდა, მაშინ **ტრანსსექსუალებს** ეძახდნენ. ანუ ტრანსსექსუალი იყო ქალი მამაკაცის სხეულში, ან პირიქით. ახლა, მკვლევართა დიდ ნაწილს, ტერმინი „ტრანსსექსუალი“ მოძველებულად მიაჩნია და **„ტრანსგენდერულ იდენტობას“** იყენებს. **იდენტობაში** იგულისხმება ადამიანის წარმოდგენა საკუთარ „მე“-ზე, რომლის მიხედვითაც თავს გარკვეულ სოციალურ ჯგუფს მიაკუთვნებს. მაგალითად, სახელმწიფოს, ეროვნებას, ასაკობრივ კატეგორიას, სქესს, და ა. შ. ტრანსგენდერული იდენტობის შემთხვევაში, ბიოლოგიური მამაკაცი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, თავს ქალად გრძნობს, ხოლო ბიოლოგიური ქალი - მამაკაცად.

აი რას წერს **ექიმი-პრაქტიკოსი მაია ჭავჭანიძე:**

„ზოგიერთი ტრანსგენდერული იდენტობის ინდივიდი პირდაპირ ამბობს, რომ არ იცის როგორ მოხდა მის ტვინში სქესის შეგრძნების ჩამოყალიბება, მაგრამ სქესთან დაკავშირებული პირველი განცდა იყო გაკვირება, რატომ მიაჩნდათ ის საპირისპირო სქესის წარმომადგენლად, თორემ თვითონ საკუთარ ფსიქიკურ სქესში ეჭვი არასოდეს შეჰპარვია ანატომიური „შეუსაბამობის“ მიუხედავად“.

(„კლინიკური სექსოლოგიის პროპედევტიკა“ თბილისი 2014 გვ. 261).

სწორედ ამ დღეში აღმოჩნდა ნ.ჩ ღრმა ბავშვობაში, როდესაც საკუთარი თავის და სამყაროს გაცნობიერება დაიწყო. დედას მისი განცდები ფსიქიკური გადახრა ეგონა. შვილი კი ჯიუტად ეძებდა კითხვებზე პასუხს და სპეციალურ ლიტერატურას კითხულობდა.

- ასეთი წიგნების კითხვა სულ გაგაგიჟებს! - წუხდა დედა.

- ამის კითხვა კი არა, უცოდინრობა გამაგიჟებს - პასუხობდა შვილი.

დედას „გოგონა“ ფსიქიატრებთან დაჰყავდა, ისინი კი ძლიერმოქმედ პრეპარატებს უნიშნავდნენ. ერთხანს, წამლებით მოშხამული, ლოგინადაც კი ჩავარდა. ბოლოს, დედის დასამშვიდებლად, „ჭკუაზე მოვიდა“, კაბა ჩაიცვა და ქალობა სცადა. იმასაც კი ამბობდა - უნდა გავთხოვდეო და თავადაც ზარავდა საკუთარი სიტყვები. ექვსი წელი ეკლესიურად იცხოვრა; ჰყავდა მოძღვარი, რომელიც განზრახვას უწონებდა. ამასობაში დედა გარდაეცვალა, მამა უფრო ადრე დაეღუპა და სულ მარტო დარჩა. ქალის სხეულში ცხოვრება აღარ შეეძლო და, თითქოს, არც გამოსავალი ჩანდა. სწორედ ამ დროს ერთ-ერთი გაზეთიდან შეიტყო სქესის შეცვლის შესაძლებლობის შესახებ და **კლინიკა „მედლაინს“** მიაკითხა. სპეციალისტები წელიწადნახევრის განმავლობაში აკვირდებოდნენ. ჩაუტარდა საფუძვლიანი ფსიქიატრიული ექსპერტიზა და **ჯანდაცვის სამინისტროსთან** მაშინ არსებულმა **ბიოეთიკის კომისიამ** დადებითი დასკვნა გამოიტანა.

სქესის კორექციის პირველი ქირურგიული ოპერაცია საქართველოში სსრკ-ს პერიოდში ჩატარდა. საბჭოთა სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებდა ახალი პასპორტის აღებას ჭეშმარიტი სქესის შესაბამისი ჩანაწერით. დამოუკიდებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესაბამისი პროცედურა არ იყო გათვალისწინებული. **ნ.ჩ**. საქართველოდან ისე გაემგზავრა, რომ ამ პრობლემის მოგვარება ვერ მოახერხა. მას შემდეგ ამ ყმაწვილზე აღარაფერი მსმენია.

საზოგადოებას წარმოდგენა არ აქვს, რა არის ტრანსგენდერული იდენტობა და სტიგმით გაჯერებული მითების ტყვეობაშია. ტრანსგენდერი ადამიანების დემონიზაციის შედეგია: აქტიური დაბულინგება, სოციალური თვითრეალიზაციისთვის ხელის შეშლა და ფიზიკური აგრესია; ზოგჯერ კი ფიზიკური განადგურებაც. იგივე ხდება ჰომოსექსუალთა შემთხვევაშიც. ყველას კარგად გვახსოვს 2013 წლის 17 მაისის აქციის წინააღმდეგ აზვირთებული სიძულვილის ცუნამი. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა აღდგომელაშვილმა, იმავე დღეს, ეს საკითხი „ნეტგაზეთში“ დააკომენტარა. ექსპერტმა მიუთითა საზოგადოებრივ რისკებზე, რომელსაც სიძულვილით მოტივირებულ დანაშაული განაპირობებს. იგი მხოლოდ ერთი ადამიანს, ან კონკრეტულ ჯგუფს კი არ უქმნის

საფრთხეს, არამედ, შესაძლოა, სამოქალაქო დაპირისპირებაც კი გამოიწვიოს. სწორედ ამიტომაა ასე მნიშვნელოვანი მოსახლეობის ფართომასშტაბიანი და სიღრმისეული ინფორმირება ამ ფენომენის შესახებ.

გარიყულნი

კოვიდ19-ის პანდემიის გამო გამოცხადებული კარანტინის პერიოდში ტრანსგენდერმა ქალმა თბილისის მერიასთან ცეცხლი წაიკიდა. სამართალდამცავებმა ოპერატიულად აღკვეთეს თვითმკვლელობის მცდელობა. ქალმა დამწვრობა მიიღო და თბილისის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანეს. მასმედიაში გავრცელდა **სამოქალაქო აქტივისტის, ნატა ფერაძის** კომენტარი, რომლის თანახმად, ამ შემთხვევიდან სამიოდე დღით ადრე, თვითმკვლელობა კიდევ ერთმა ტრანსგენდერმა ქალმა სცადა. კარანტინმა ამ თემს არსებობის წყარო გადაუკეტა და გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო. ყველა ტრანსგენდერი ან სახლიდან გამოგდებულია, ან იძულებული გახადეს რომ წამოსულიყო. არატრადიციული გენდერული იდენტობიდან გამომდინარე, ვერც სამსახურს შოულობენ, ამიტომ იძულებულნი არიან თავი სხეულით ვაჭრობით ირჩინონ. კარანტინის პერიოდში ისინი რეალურად დადგნენ შიმშილით სიკვდილის საშიშროების წინაშე. ყველა უბედურებასთან ერთად, ქუჩაში დარჩენაც ემუქრებოდათ. ნატა ფერაძის სიტყვით, ერთი თვის ქირის თანხა სამოქალაქო აქტივისტებმა მოუგროვეს, მაგრამ როდესაც მეორე თვის ქირის გადახდის დრო დადგა, სიტუაცია ისევ დამძიმდა.

საუბედუროდ, ალმოდებული ქალის ვიდეომ საზოგადოების ნაწილის მხრიდან დაცინვა, ან ფსევდო ზნეობრივი შეგონებები გამოიწვია:

„ეს ჟურნალისტი ზუსტად იმ დროს და იმ ადგილას როგორ აღმოჩნდა გადასაღებად????... თან კამერა როცა მიუახლოვდა, მაშინ დაიწყო ლაპარაკი!!!! აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ თავის დაწვა უნდოდა და ცეცხლმოკიდებული ტანსაცმელი სასწრაფოდ გაიხადა... უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი...“.

„მაგის შესრულებასაც ოსტატობა უნდა და ეგეც არ გამოსდით; ისე, მაგათ დამცველი კი არა, მკურნალი უნდათ. თუ ავადმყოფებად არ თვლიან თავს, მაშინ უნდა მიუშვა და ყველა ერთად თუ დაიწვავს თავს, მადლი იქნება...“

„ეს ცხოველი მისნაირთან ერთად, რამდენიმე თვის წინ, სასამართლოს შენობაში ვნახე. თავს ძლივს ვიკავებდი, ისეთი ამაზრზენები იყვნენ - მოკლე კაბაში ტრუსიკები უჩანდათ. აი, მაშინ დიდი სიამოვნებით წავუკიდებდი ცეცხლს...“

ამ საყოველთაო ბაკქანალიაში გონივრული მოსაზრებებიც ჭარბად გაჟღერდა:

„არ შეიძლება ადამიანი იყოს ისეთი, როგორიც სურს, თუ მაინცდამაინც უნდა ისეთი იყოს, როგორიც სხვას უნდა? სახელმწიფო იმაში უნდა დაეხმაროს, რომ საზოგადოებას არ შეეძლოს მათზე ძალადობა, რომ შეეძლოთ მუშაობა ნებისმიერ სფეროში და თავის გატანა, რაც არ შეუძლიათ, რადგან მათ კლავენ; თუ თქვენთვის ეს არაა ცნობილი და არ იცით, რა ხდება საქართველოში?“

„ძალიან ბოროტი ხალხი ხართ უმეტესობა! პირველად ცხოვრებაში ძალიან შემრცხვა თქვენს მაგივრად, ვინც ამ საწყალ ადამიანს ლანძღავთ და აგინებთ! ზუსტად თქვენისთანების გამოა, ეგ ნაბიჯი რომ გადადგა! ჩაგაფურთხეთ მაგ ვითომ სუფთა სულებში!“

„რა მნიშვნელობა აქვს ტრანსგენდერობას?! ჯერ ადამიანია და სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს მოქალაქეზე! სამარცხვინო კომენტარებია უბრალოდ“

ვიდეოს რამდენიმეჯერ დიდი ყურადღებით ვუყურე. არ დაგიმალავთ, მეც დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ქალბატონის საქციელი მინიმალური ზიანის მიღებაზე იყო გათვლილი. მაგრამ, ფაქტია, რომ საზოგადოების ყურადღების მიქცევას სიცოცხლისთვის რეალურად საშიში ქმედებით შეეცადა. შესაძლოა, ვერც მოესწრო ტანსაცმლის გახდა და ცეცხლი თმაზეც წაკიდებოდა, აქედან გამომდინარე ფატალური შედეგით! ასეთ სასიკვდილო ეპატაჟს მხოლოდ უკიდურესად გამწარებული ადამიანი თუ მიმართავს.

ასეთი გამწარება სავსებით სამართლიანია, ვინაიდან ტრანსგენდერი ადამიანები დღეს ერთ-ერთი ყველაზე დისკრიმინირებული ჯგუფია. ბიოლოგიურ სქესთან შეუფერებელი ჰაბიტუსი საზოგადოების დიდ ნაწილს თვალში ეჩხირება, ამიტომ ჰომოსექსუალებზე განუზომლად უფრო სასტიკად აბულინგებენ. ამის გაუღერებული მაგალითები წლების მანძილზე უამრავი დაგროვდა. გაუუღერებელი რამდენია, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ. გავიხსენოთ ინცინდენტი, რომელიც ორიოდე წლის სოციალურ ქსელებში წინ ფართო მსჯელობის საგანი გახდა: ორთაჭალის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ჯარისკაცთა ჯგუფი სასტიკად გაუსწორდა **ტრანსგენდერ ქალბატონ ამანდას.** დაზარალებულს კარგი დღე არც **„კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალში“** დააყენეს. **ამანდას** სიტყვით, ექიმი იმდენად მტრულად ექცეოდა, რომ იძულებული გახდა სხვა საავადმყოფოსთვის მიემართა. იქ ისტორია ახალი დეტალებით „გამდიდრდა“: ექიმმა **ამანდას მეგობარს** მოსაცდელში გაჩერების საშუალება არ მისცა და გარეთ გასვლა მოსთხოვა, რის გამოც ქალმა დისკრიმინაციის ფაქტის დასაფიქსირებლად პატრული გამოიძახა. ამანდას ცემა მხოლოდ რიგითი ფაქტია ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ ჩადენილ დანაშაულთა გრძელ „კრიალოსანში“. საკმარისია გავიხსენოთ, რა დღეში ჩააგდეს **მირანდა ფაღავა,** რომელიც დღეს ემიგრაციაშია, ხოლო ადამიანთა უსულგულობით გამწარებულმა **ბიანკა შიგუროვამ** თავად მოსწრაფა სიცოცხლე. საზოგადოებამ, საუბედუროდ, უკვე დაივიწყა **საბი ბერიანის** ტრაგედია. ტრანსფობ მამაკაცს ხელიც კი არ აუკანკალდა, ისე გამოჭრა ყელი. ჩემის აზრით, მკვლელს ჩადენილ დანაშაულთან არათანაზომიერად მსუბუქი სასჯელი მიუსაჯეს. მომხდარის ჯეროვან გააზრებსა და საზოგადოებრივ განხილვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!

ტრანსგენდერი ქალების დისკრიმინაცია ხდება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდებით. არაპირდაპირი მეთოდია, მაგალითად, როდესაც ამ თემას სკანდალური სატელევიზიო შოუების „მსუყე ლუკმად“ გადააქცევენ. ორიოდე წლის წინ **ა/ო „თანასწორობის“ ხელმძღვანელ ლევან ბერიანიძესთან** ვრცელი ინტერვიუ ჩავიწერე. მან სავსებით სამართლიანად აღნიშნა, რომ ტელესივრცეში ხდება ლგბტ თემის არაჯანსაღი სექსუალიზაცია. როდესაც სიუჟეტის თემა ტრანსგენდერ პირზე ძალადობაა, ოპერატორი ცდილობს მსხვერპლი კადრში სწორედ სექსუალურ-ეროტიკული რაკურსით წარმოაჩინოს. ეს კიდევ უფრო აღრმავებს სტიგმას

და ტრანსფობიურ განწყობებს. წიგნის ავტორიც ფიქრობს, რომ ლგბტ თემის ზოგიერთი წარმომადგენელი ასეთი შოუების სტუმრობით დიდ შეცდომას უშვებს და საკუთარ თემს აზარალებს.

ტრანსგენდერ ადამიანებზე ძალადობას სტიგმით ნაკვები ტრანსფობია განაპირობებს. თემის გარშემო აგორებულ ცრურწმენათა დაძლევა მხოლოდ კორექტული ინფორმაციის გავრცელებითაა შესაძლებელი. მასმედიას ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება.

როცა არცოდნა არცოდვა არ არის

სტატისტიკა თანახმად, ასი ათას ადამიანზე ერთი ტრანსგენდერი მოდის. ამ გაანგარიშების, თანახმად, საქართველოში 50-70 ტრანსგენდერი უნდა იყოს. ანუ, საქართველოში თვითგანადგურების პროგრამით შეპყრობილი, სულ ცოტა, ორმოცდაათი ადამიანი დადის. ამ პროგრამის დამუხრუჭება მხოლოდ ჰუმანისტური დამოკიდებულებითაა შესაძლებელი. ეს ის შემთხვევაა, როცა არცოდნა არცოდვა ნამდვილად არ არის.

„გენდერში" მოიაზრება ფუნქციები, რომელსაც საზოგადოება თითოეულ სქესს საკუთარი წარმოდგენების მიხედვით აკისრებს. ეს წარმოდგენები უცვლელი არ არის; მათში ასახულია ისტორიული პერიოდის და კონკრეტული სოციუმის სპეციფიკა. გენდერული იდენტობის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს ოთხი კომპონენტი: ანატომიური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური (გენდერული). ადამიანთა უმრავლესობის შემთხვევაში პირველი სამი კომპონენტი ერთმანეთს ემთხვევა და ადამიანი ორგანულად ითავისებს იმ გენდერულ როლს, რომელსაც სოციუმი აკისრებს. მაგრამ, ხანდახან, ბიოლოგიური მამაკაცი ქალის ფსიქიკით იბადება, რასაც ცხოვრების რაღაც ეტაპზე აცნობიერებს; შესაძლოა, პირიქითაც მოხდეს - ბიოლოგიური ქალი მამაკაცის ფსიქიკით დაიბადოს. აი, როგორ ვლინდება ტრანსგენდერული იდენტობა ბავშვობის პერიოდში:

„ბავშვი ჭირვეულობს. დაბადებით მამრობით სქესს მიეკუთვნება, მაგრამ არ უნდა ბიჭობა, გოგონებთან თამაშობს გოგონების სათამაშოებით, ლამაზი კაბები მოსწონს, უნდა რომ გრძელი თმა ჰქონდეს. ირჩევს ქალის ტანსაცმელს და თამაშობს „დედობანას". ინტერესები ქალური სტერეოტიპის შესაბამისია" („კლინიკური სექსოლოგიის პროპედევტიკა", გვ. 259).

ანუ, ადამიანი ვერ ეგუება საზოგადოების მიერ დაკისრებულ სოციალურ როლს. გენდერული თვითაღქმის წინააღმდეგობა სხეულთან და საზოგადოებრივ მოლოდინებთან მუდმივი სტრესის წყარო ხდება. ტრანსფობიური (ტრანსგენდერების მოძულე) ატმოსფერო ხელს უწყობს დეპრესიის ჩამოყალიბებას, რაც, ხშირად, თვითმკვლელობისკენ უბიძგებს. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ექიმი მაია ჭავჭანიძე

„ეჭვს აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ სქესის ფსიქიკური აღქმა ყოველთვის არ ემთხვევა ანატომიურს; რომ გენიტალიების მიხედვით მინიჭებული სქესი - მამრო-

ბითი, მდედრობითი - ყოველთვის არ ნიშნავს ქალს და მამაკაცს“ (იქვე - გვ. 253) .

ტრანსგენდერული იდენტობის კვლევის კვალდაკვალ აღმოჩნდა, რომ ეს ფენომენი არ ამოიწურება ტრანსგენდერი ქალებით და მამაკაცებით; არსებობს შემთხვევები, როდესაც ადამიანი თავს ხან ქალად გრძნობს, ხან მამაკაცად, ან არც ერთ სქესს არ აკუთვნებს და ა.შ. **ტრანსგენდერი აქტივისტი, პროფესორი სტივენ თომას უიტლი (დიდი ბრიტანეთი)** ტრანსგენდერ ადამიანებს სამ ძირითად ჯგუფად ჰყოფს: ტრანსგენდერი ქალები, ტრანსგენდერი მამაკაცები და ტრანსები. როგორც ჩანს, ყველა დანარჩენ ვარიანტს მესამე ჯგუფში აერთიანებს. მეცნიერებისთვის უცნობია რა მიზეზები განაპირობებს ტრანსგენდერულ იდენტობას; არსებობს უამრავი თეორია, მაგრამ სარწმუნო ექსპერიმენტული ბაზა არც ერთს არ აქვს. ტრანსგენდერული იდენტობის ფენომენის სირთულიდან გამომდინარე, ცნებები და ფორმულირებები, ალბათ, კიდევ არაერთხელ შეიცვლება.

ტრანსგენდერული იდენტობა და ჰომოსექსუალობა, ხშირად, ერთმანეთში ეშლებათ. ამ დროს, კარდინალურად განსხვავებული მოვლენებია. ტრანსგენდერობა - გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული პრობლემაა, ხოლო ჰომოსექსუალიზმი - სექსუალურ ორიენტაციასთან. ჰომოსექსუალი თავს საწინააღმდეგო ბიოლოგიური სქესის ადამიანად არასოდეს მიიჩნევს; ანუ, გენდერულ იდენტობასთან პრობლემები არ აქვს. მის შემთხვევაში ტრადიციული წარმოდგენებისგან განსხვავებულ სექსუალურ ქცევასთან გვაქვს საქმე - თავისივე ბიოლოგიური სქესის ადამიანები იზიდავს. ტრანსგენდერ ადამიანთა გარკვეული რაოდენობა ჰომოსექსუალური ორიენტაციით იბადება (როდესაც ტრანსგენდერ ქალს სექსუალურად ქალები იზიდავს, ხოლო ტრანსგენდერ მამაკაცს კი კაცები).

ისტორია და თანამედროვეობა

ტრანსგენდერული იდენტობის ფენომენი ძველთაგანვე იყო ცნობილი, რაც ფოლკლორსა და მითოლოგიაშიც აისახა. მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებში ხშირად გვხვდება ვაჟკაცი ასული, რომელიც მაგიის წყალობით მამაკაცად იქცევა და ცოლად მზეთუნახავი მოჰყავს. მითოლოგიაშიც გვხვდება პერსონაჟები, რომლებმაც სქესი შეიცვალეს. თუნდაც **წინასწარმეტყველი ტირესია „ოდისეადან“, ძველინდური ეპოსის „მაჰაბჰარატას“** პერსონაჟი მეფის ასული **შიქჰანდინი** და სხვა.

კიდევ უფრო საინტერესოა უძველეს ავტორთა ჩანაწერებში დაფიქსირებული რეალური ფაქტები. რომაელი ავტორების **პლინიუსის** (ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნე) და **მარტიალეს** (ძველი წელთაღრიცხვის I-II საუკენეები) ნაშრომებში მოხსენიებულია ქალები, რომლებმაც მამაკაცის სოციალური როლი მოირგეს და პარტნიორი ქალებიც ჰყავდათ. **ლუკიანე** (ძვ. წ.აღ-ის 125-180 წ.წ.) იხსენიებს ვინმე **მეგილას,** რომელიც დაბადებით ქალი იყო, მაგრამ თავი გადაიპარსა და მამაკაცივით ცხოვრობდა. ახლა ძნელია იმის დადგენა, ტრანსგენდერ მამაკაცებზეა ლაპარაკი, თუ ჰომოსექსუალებზე; მაშინ ეს ფენომენები გამიჯნული არ იყო და არც ტერმინები არსებობდა.

საინტერესო დეტალი: რომის იმპერატორი ჰელიოგაბალი (ახ. წ. აღ. 204-222

ნ.წ.) დიდ თანხას პირდებოდა ექიმს, რომელიც მაქსიმალურად უმტკივნეულოდ გარდაქმნიდა ქალად.

წარმართული რელიგიის თავისებურებებიდან გამომდინარე, ტრანსგენდერ ადამიანთა მიმართ დამოკიდებულება შემწყნარებლური იყო. უფრო მეტიც: კეთდებოდა სქესის კორექციის პრიმიტიული ოპერაციები - პაციენტს პირველად სქესობრივ ნიშნებს კვეთდნენ. ეგვიპტეში, ძველ საბერძნეთსა და რომში ეს პროცედურა რელიგიური კულტის შემადგენელი ნაწილი იყო: ტრანსგენდერ ქალებს ჯერ ასოს აჭრიდნენ, მერე კი სასქესო ბაგეებისა და კლიტორის იმიტაციისთვის ღრმა იარებს უკეთებდნენ. რელიგიური სტატუსის გამო, ამ ქალებს დიდი მოწიწებით ეპყრობოდნენ. ინდოეთში კი დღემდე არსებობს ქალ-ტრანსგენდერთა, **ე.წ. ჰიჯრათა კასტა**, რომელსაც სოციალურ იერარქიაში სავსებით ლეგალური, თუმცა არც ისე პატივდებული ნიშა უჭირავს. ჰიჯრები ქორწილებში და ბავშვის დაბადების აღსანიშნავ დღესასწაულებზე სტუმრებს ცეკვით და სიმღერით ართობენ. ვისაც ეს არ ეხერხება, თავს პროსტიტუციით და მათხოვრობით ირჩენს.

ქრისტიანულ ხანაში პროცესები ჰომოფობია-ტრანსფობიის ნიშნით წარიმართა. ტრანსგენდერი ადამიანები ან არავისთან ამხელდნენ თავის იდენტობას, ან მისთვის ბრძოლას ეწირებოდნენ. XVI საუკუნეში საეკლესიო სამსჯავროს წინაშე წარსდგა ფრანგი ტრანსგენდერი მამაკაცი **ანრი ეტიენი**, რომელმაც ახალი ცხოვრების დასაწყებად საცხოვრებელი ადგილი და სახელი გამოიცვალა. თავიდან გაუმართლა - ვაჭრობას მიჰყო ხელი და დაქორწინდა კიდეც; მაგრამ ერთხელაც ვიღაცამ იცნო და ხელისუფლებას შეატყობინა. ანრის შესთავაზეს - ქალის ცხოვრებას დაუბრუნდი და სიცოცხლეს შეგინარჩუნებთო, მაგრამ თავის ჭეშმარიტ იდენტობაზე უარის თქმას კოცონზე ასვლა არჩია. XVII საუკუნეში **ნიდერლანდებში** ცხოვრობდა წარმატებული ბიზნესმენი, ტრანსგენდერი მამაკაცი **დევიდ იანსი.** ამ პერიოდის ნიდერლანდებში ტრანსგენდერული იდენტობის ორმოცდაათზე მეტი შემთხვევაა ცნობილი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში **დიდი ბრიტანეთის** ერთ-ერთ მოხუცებულთა თავშესაფარში აღმოაჩინეს, რომ ახლად მიღებული მამაკაცი **ჩარლი უილსონი** ანატომიურად ქალი იყო. დიდი დავიდარაბისა და აურზაურის შემდეგ მას ქალის ტანსაცმლის ტარება აიძულეს.

1998 წლის 28 ნოემბერს ბოსტონში დაუდგენელმა პირმა დანით დაჩეხა ტრანსგენდერი მომღერალი ქალი **რიტა ჰესტერი**. ერთი წლის შემდეგ, დაღუპულის ხსოვნის პატივსაცემად, ასობით ადამიანი ანთებული სანთლებით ქუჩაში გამოვიდა. მომდევნო წლებშიც აშშ-ს უამრავ ქალაქში ყოველწლიურად აღინიშნებოდა რიტა ჰესტერის ხსოვნის დღე. აქციამ მალე ტრანსფობიის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღის სახე მიიღო და მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში აღინიშნება. ამ დღეს ჩატარებული მსვლელობების, სემინარების და ლექციების მიზანია კაცობრიობისთვის იმ ფაქტის შეხსენება, რომ ტრანსგენდერი ადამიანები ფიზიკური ძალადობის და სიცოცხლის ხელყოფის სამიზნეები სხვა მოწყვლად ჯგუფებზე ხშირად ხდებიან. მსგავსი ფაქტები განსჯა-გააზრების საგანი ხდება: ქვეყნდება მეცნიერულად კორექტული სტატიები, იწერება წიგნები, იქმნება ფილმები.

მკითხველებს, ალბათ, ეხსომებათ ამერიკული ფილმი **„ბიჭები არ ტირიან“ (რეჟ. კიმბერლი პირსი, 1999 წ.)**, რომელსაც საფუძვლად რეალური ისტორია დაედო. **ტინა ბრენდონი** პატარაობიდანვე თავს ბიჭად გრძნობდა; როდესაც წამოიზარ-

და ჯარში სამსახურიც კი სცადა, მაგრამ ფიზიკურად ვერ „გაქაჩა“, რაც ძალიან მძიმედ განიცადა. ბოლოს გადაწყვიტა ცხოვრება თავიდან დაეწყო, სხვა ქალაქში გაემგზავრა და ბრენდონ ტინი დაირქვა. წარმოიდგინეთ, იმდენად წარმატებით „ბრენდონობდა“, რომ გოგონები ძალიან წყალობდნენ. მალე შეყვარებულიც გაიჩინა. ლინდა ჭკუას კარგავდა ბრენდონზე და თავისი სამეგობრო წრე გააცნო. რაღაც მომენტში მოსახდენი მაინც მოხდა: ლინდას ძმაკაცებმა გაარკვიეს, რომ ბრენდონი ბიოლოგიურად ქალი იყო. ამის შემდეგ მოვლენები „ტრადიციული“ სცენარის მიხედვით განვითარდა: „ლესბოსელს“ ჯერ ცხვირ-პირი ამოუნაყეს; ბოლოს კი „ჭკუის სასწავლებლად“ გააუპატიურეს. ბრენდონმა პოლიციას მიმართა, მაგრამ სამართალდამცავებს მის დასაცავად თავი დიდად არ შეუწუხებიათ. სამაგიეროდ მოძალადეებმა იუკადრისეს - ჩივილი როგორ გაგვიბედაო, სახლში მიუვარდნენ და ჩაცხრილეს. მკვლელები, ცხადია, დაისაჯნენ, მაგრამ ბრენდონს ამით აღარაფერი ეშველებოდა. სწორედ ასეთი ტიპის ფილმების, სპექტაკლებისა და წიგნების, აგრეთვე მედია პუბლიკაციების დამსახურებაა, რომ დასავლეთის საზოგადოება დაფიქრდა პრობლემაზე, ხოლო სახელმწიფო ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ ადეკვატური პოლიტიკის შემუშავებას ცდილობს.

საქართველოში ეს ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ყველას გვახსოვს, როგორი მტრული რეაქცია გამოიწვია ლევან აკინის ფილმმა - „და მერე ჩვენ ვიცეკვეთ“. ფილმის ჰომოფობიის თემას ეხება, მაგრამ ეს არსებითი არ არის. ჰომოფობიაც და ტრანსფობიაც განსხვავებულობის წინააღმდეგ მიმართული აგრესიაა, რაც ყოველდღიურად უამრავ ნიუანსში ვლინდება.

მენტალიტეტი, მედიცინა და კანონი

მენტალიტეტის გაჯანსაღების საკითხი საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკასთან. ჩნდება კითხვა: როგორი უნდა იყოს ადეკვატური სახელმწიფო პოლიტიკა ტრანსგენდერული იდენტობის საკითხში?

თავად თემი და ექსპერტები პირველ ნაბიჯად საბუთებში მენტალური სქესის დაფიქსირებას მიიჩნევენ. ერთი შეხედვით, ამისათვის მხოლოდ პოლიტიკური ნებაა საჭირო, მაგრამ, სინამდვილეში, საქმე არც ისე მარტივადაა. ზოგ ქვეყანაში ჩანაწერის შესაცვლელად ტრანსგენდერული იდენტობის დამადასტურებელი სამედიცინო მოწმობაც საკმარისია, მაგრამ სხვაგან სახელმწიფო სამსახურები სქესის ქირურგიული კორექციის დამადასტურებელ საბუთსაც ითხოვენ. ტრანსგენდერი ადამიანების დიდი ნაწილი ამ მოთხოვნას უსამართლოდ მიიჩნევს და, ხანდახან, სასამართლოშიც კი აპროტესტებს. აღნიშნული ოპერაცია ძალიან სარისკო და ძვირია; რიგ შემთხვევებში, იწვევს მძიმე, ზოგჯერ კი - სასიკვდილო შედეგებს. ზოგიერთ ტრანსგენდერ ადამიანს პანიკურად ეშინია ამ ტიპის ქირურგიული ჩარევის. 2017 წელს **საერთაშორისო სასამართლომ გადაწყვეტილებით („გარსონი და ნიკო საფრანგეთის წინააღმდეგ“)**, ანატომიური სქესის ქირურგიული შეცვლის მოთხოვნა არაადამიანურ მოპყრობას და წამებას გაუთანაბრდა.

დოკუმენტებში ჩანაწერის შესაცვლელად სქესის სრულ ქირურგიულ კორექცი-

ას საქართველოშიც ითხოვენ. პროცედურის დამარეგულირებელი იურიდიული მექანიზმი არ არსებობს, ხოლო სამოქალაქო აქტების შესახებ კანონში ნათქვამია, რომ ჩანაწერის ჩასწორება ხდება დაბადების შესახებ დოკუმენტში სქესის არასწორად მითითების შემთხვევაში. მაგრამ იმავე აქტებში არც ისაა მითითებული, რომ ბავშვის დაბადებისას სქესის შესახებ ჩანაწერს მაინც და მაინც ანატომიური თვალსაჩინოობა უნდა განსაზღვრავდეს. ამდენად გაუგებარია, რას ეყრდნობა საჯარო დაწესებულების მიერ სქესის სრული ქირურგიული კორექციის მოთხოვნა.

აი, რას მითხრა **თამარ მჭედლიშვილმა (ა/ო „თანასწორობის იურისტი“)**, რომელთანაც კომენტარი 2018 წელს ჩავიწერე:

- ორჯერ მივმართეთ იუსტიციის მინიტრს ოფიციალური წერილით და გამოვითხოვეთ ამ მოთხოვნის კანონიერების დამადასტურებელი საბუთი, მაგრამ პასუხი არ გაგვცეს. ახლა ვაპირებთ სასამართლო წესით გამოვითხოვოთ. ჩვენი ვარაუდით, ასეთი ნორმატიული აქტი საერთოდაც არ არსებობს და ეს მხოლოდ შიდაუწყებრივი მითითებაა. ისიც გაუგებარია, რა სახის ცნობა უნდა წარმოადგინოს მოქალაქემ, რა რეკვიზიტები უნდა ახლდეს, ვის მიერ უნდა იყოს გაცემული და ა.შ. ამჟამად სასამართლოში გვაქვს რამდენიმე დავა, ტრანსგენდერი პირებისთვის სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლის თაობაზე.

იურიდიული ნონსენსების პარალელურად, ისიც გაურკვეველია, სად და როგორ უნდა გაიკეთოს მოქალაქემ ოპერაცია, ვინაიდან შესაბამისი გაიდლაინები (სახელმძღვანელო პრინციპი/მითითება, რეკომენდაცია, ან ინსტრუქცია) არ არსებობს. ცალკე პრობლემაა ოპერაციის და ჰორმონალური თერაპიის სიძვირე; სახელმწიფო პროგრამა და სახელმწიფო დაზღვევა ამ პროცედურებს არ აფინანსებს.



მოვუსმინოთ **„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) იურისტს, ქეთი ბახტაძეს,** რომელიც ამ კომენტარის ჩაწერისას, ანუ 2018 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში ორი ტრანსგენდერი მამაკაცის ინტერესებს იცავდა:

- ჩვენ მივმართეთ **ჯანდაცვის სამინისტროს** შეკითხვით, არსებობს თუ არა სქესის შეცვლის სამედიცინო პროცედურების კლინიკური გაიდლაინი ან პროტოკოლი. გვიპასუხეს, რომ სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროტოკოლები შეგვიძლია ვებ-გვერდზე ვნახოთ, მაგრამ ჩამონათვალში ხსენებული საკითხების მარეგულირებელი პროტოკოლი ან გაიდლაინი არ არის. მოგვიანებით ვთარგმნეთ **საერთაშორისო ორგანიზაციის „მსოფლიო პროფესიული ასოციაცია ტრანსგენდერთა ჯანმრთელობისთვის“** მიერ შემუშავებული **„ზრუნვის სტანდარტები - ტრანსსექსუალი, ტრანსგენდერი და გენდერულად არაკონფორმული პირების ჯანმრთელობისთვის“.** დოკუმენტი სამინისტროს ჯერ კიდევ 2017 წლის დასაწყისში მივაწოდეთ. ვითხოვდით სამუშაო ჯგუფის შექმნას, რომელიც საქართველოს რეალობაზე მორგებულ კლინიკურ გაიდლაინზე ან პროტოკოლზე იმუშავებდა. სამუშაო ჯგუფში ჩართვის სურვილიც გამოვხატეთ. სამწუხაროდ, სამინისტროს ამ დრომდე არ გადაუდგამს კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით. გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხებზე

სამუშაო შეხვედრებში **ევროსაბჭოს** წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მათ მთავრობას მიუთითეს სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლის მექანიზმის, აგრეთვე სქესის კვლავმინიჭების სამედიცინო პროცედურების რეგულაციების აუცილებლობაზე. მნიშვნელოვანია შეიქმნას მექანიზმი, რომელიც სამართლებრივ და სამედიცინო საკითხებს ერთმანეთისგან გამიჯნავს.

ამ მოსაზრებებს **„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარის მოადგილე ნონა ქურდოვანიძეც** იზიარებს:

- ოპერაციის დაძალება არასწორი პრაქტიკაა და უნდა შეიცვალოს. სამედიცინო დასკვნა საკმარისი საფუძველი უნდა იყოს სქესის შესახებ ჩანაწერის შესაცვლელად. ამასთან, კონკრეტულ ტრანსგენდერ პირს, შესაძლოა, არც კი ჰქონდეს სქესის სრული ქირურგიული კორექციის ჩატარების სურვილი, ფინანსური შესაძლებლობა, ან საჭიროება.

საინტერესოა, რას ამბობენ ამ მოთხოვნაზე თავად თემის წევრები. 32 წლის ტრანსგენდერი მამაკაცის **ლაშას** აზრით, სქესის ქირურგიული კორექციის მოთხოვნა ადამიანს ართმევს გადაწყვეტილების უფლებას. მას, ფაქტობრივად, სტერილიზაციას აძალებენ და შვილოსნობის უნარს აკარგვინებენ. ლაშას მიაჩნია, რომ დოკუმენტებში ჩანაწერის ჩასასწორებლად, სპეციალისტების მიერ გაცემული სამედიცინო დასკვნაც საკმარისი უნდა იყოს. 27 წლის ტრანსგენდერი ქალი **ნატა** კი სექსუალური ორიენტაციით ჰომოსექსუალია, ამდენად სქესის სრული კორექცია არც სურს. მისი აზრით, სრული კორექცია მხოლოდ ჰეტეროსექსუალური ორიენტაციის ტრანსგენდერი ქალების შემთხვევაშია გამართლებული. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, სქესის შესაცვლელად ქირურგიული ოპერაციის აუცილებლობა არასწორად მიაჩნია. ანუ, ეს თავად ტრანსგენდერი ადამიანის გადასაწყვეტი უნდა იყოს.

ამ საკანონმდებლო დილემის გადაწყვეტას სჭირდება ხელისუფლების პოლიტიკური ნება, რომელსაც მხოლოდ ბანალური ბიუროკრატიული სიზანტე როდი ამუხრუჭებს. ავტორის აზრით, ძირითადად კანონმდებელთა მენტალური პრობლემები, ანუ ტრანსფობია „მუშაობს“.

ოპერაციის აუცილებლობის გარშემო მწვავე დებატებია გაჩაღებული. სამაგიეროდ, ყველა ექსპერტი თანხმდება, რომ ტრანსგენდერული იდენტობის დამადასტურებელი საბუთის გაცემა სახელმწიფო მონიტორინგის სფეროა და კომისიური წესით უნდა ხდებოდეს. ცხადია, მოქალაქის უფლებებისა და პიროვნული ღირსების სრული დაცვით. რას ამბობენ სამედიცინო დაკვირვების აუცილებლობაზე თავად ტრანსგენდერი პირები? **ლაშას** ზოგიერთ მეგობარს ცნობა უკვე აღებული აქვს. თავად ამისთვის ჯერ ვერ მოიცალა, მაგრამ სამომავლოდ აპირებს. **ნატა** კი ფიქრობს, რომ სპეციალისტთა დაკვირვება პრინციპში საჭიროა, მაგრამ ვადა ინდივიდუალური უნდა იყოს:

- **საბი ბერიანს**, ან **ბიანკა შიგუროვას** რა დაკვირვება სჭირდებოდათ? ყოველგვარი დაკვირვების გარეშეც ცხადი იყო, რომ ქალები იყვნენ, თანაც ჰეტეროსექსუალი ქალები. ასეთ შემთხვევაში ორიოდე კონსულტაციაც საკმარისია. პირადად მე, უკვე ხუთი წლიდან დავიწყე გაცნობიერება, ვინ ვიყავი. თუკი ადამიანს უჭირს საკუთარ თავში გარკვევა, მაშინ, ცხადია, დაკვირვებას გარკვეული დრო დასჭირდება.

ჯანდაცვის სამინისტროსთან ადრე არსებობდა კომისია, რომელშიც სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები იყვნენ გაერთიანებულნი. განცხადების ავტორს აკვირდებოდნენ სექსოპათოლოგები, ენდოკრინოლოგები, ფსიქიატრები და ა.შ. ეს კომისია აღარ არსებობს, მაგრამ სპეციალისტები ყოველ კონკრეტულ განცხადებას შეისწავლიან. დაკვირვების ვადა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. საქართველოში ადრე ერთიდან - ორ წლამდე იყო. ახლა ექვსი თვიდან - ერთ წლამდეა. პროფესორ ანდრო კანდელაკის განმარტებით, ადამიანის ფსიქოსომატური შესწავლა იმისთვისაა აუცილებელი, რომ ფსიქიკური დაავადება გამოირიცხოს. ცნობილია შემთხვევები, როდესაც ტრანსგენდერული იდენტობის თვითაღქმა ფსიქიკური პრობლემებით განპირობებული ილუზია გამოდგა. ასეთ დროს ადამიანს ფსიქოთერაპევტის დახმარება სჭირდება. არსებობს სხვა რისკებიც: **იურისტი ქეთი ბახტაძე** აღნიშნავს, რომ გენდერის სამართლებრივი აღიარება უშიშროების საკითხიცაა, ვინაიდან, შესაძლოა, ადამიანმა სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლა რაღაც ფარული მიზნების მისაღწევად მოინდომოს.

ისტორიული პარალელი: XVIII საუკუნის საფრანგეთში ცხოვრობდა ცნობილი ავანტიურისტი შევალიე დ'ეონი. იგი ქალად დაიბადა, მაგრამ მშობლებმა ბიჭად გაზარდეს. მიზეზი ბანალური იყო - უშვილო ნათესავის ქონების ხელში ჩაგდება სურდათ. შევალიემ ცხოვრების დიდი ნაწილი მამაკაცის ამპლუაში იცხოვრა და აქტიურად იყო ჩართული საიდუმლო დიპლომატიაში. ერთხელაც მეფე ლუდოვიკო XV-ს დაშანტაჟება სცადა, მერე კი თავი ინგლისს შეაფარა. წლების შემდეგ, როდესაც სამშობლო მოენატრა, ისევ ქალი გახდა. დ'ეონის გენდერულ იდენტობაზე ბიოგრაფები დღესაც კამათობენ. ზოგს ბიგენდერად მიაჩნია, ზოგს ანდროგინად და ა.შ. თავად სიცოცხლის ბოლო წლებში ამბობდა - სინამდვილეში ყოველთვის ქალი ვიყავიო.

...და ისევ ფსიქოლოგიური ფაქტორი

რამდენიმე წლის წინ სოციალურ ქსელებში აქტიურად განიხილავდნენ ტრანსგენდერი ქალის, **ლიკას** ტრაგედიას. მშობლებმა მოიკვეთეს და ბაბუა პატრონობდა. როდესაც ტუბერკულოზით დაიღუპა, ოჯახმა არც კი მიაკითხა - პროზექტურიდან გაასვენეს. საზოგადოების დიდმა ნაწილმა კი წყევლა-კრულვა მიაყოლა.

ფსიქოთერაპევტი გიორგი წოწკოლაური გარდაცვლილს პირადად იცნობდა:

- დავიწყებ იმით, რომ დაუშვებელი იყო ტელევიზიის მიერ მისი დიაგნოზის გასაჯაროვება, მაგრამ ახლა ამას აღარაფერი ეშველება. როდესაც ლიკა გავიცანი, 16 წლის იყო და ბათუმში ბებია-ბაბუასთან ცხოვრობდა. მშობლები განქორწინებულნი იყვნენ და, სურვილის მიუხედავად, მათთან კავშირი არ ჰქონდა. ცდილობდა ემუშავა, თავი გაეტანა. როდესაც აივ-ინფექცია აღმოაჩნდა, „**შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდის" ბათუმის ფილიალში** დაიწყო მუშაობა. სხვა დამატებითი სამსახურებიც ჰქონდა და ხელი ყველა სერ-

ვისზე მიუწვდებოდა. ანუ მისი ცხოვრება მატერიალური კუთხით გაუმჯობესდა, მაგრამ მორალური კუთხით არაფერი შეცვლილა; მიუღებელი იყო ყველაზე ახლობელი ადამიანებისთვის - საკუთარი ოჯახისთვის; მხოლოდ ბაბუამ არ ჰკრა ხელი. მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, არაცნობიერად ყველაფერს აკეთებდა, რომ თავი გაენადგურებინა. იყო პერიოდები როდესაც მედიკამენტებსაც არ იღებდა. მთელი თემი გვერდით ედგა, მაგრამ მისთვის ეს არ იყო საკმარისი. რთულია, როდესაც ეკლიანი გზის გავლა გიწევს, თავი იმად რომ იგრძნო, ვინც სინამდვილეში ხარ. **ლიკას** ტრაგედიაში სარკესავით გამოჩნდა რა აწუხებს ტრანსგენდერ ადამიანებს ყველაზე მეტად. თავად განსაჯეთ: მუშაობდა, მატერიალური პრობლემები შეიმსუბუქა, თემი გვერდში ედგა, მაგრამ მაინც იტანჯებოდა. იმიტომ რომ აწუხებდა ოჯახისგან მოკვეთა, და აგდებული დამოკიდებულება საზოგადოების მხრიდან. რთულია ყოველდღიურად და ყოველწუთიერად ასეთი წნეხის ატანა. კიდევ უფრო გაუსაძლისია, როცა მორალურ პრესს ყოფითი პრობლემებიც ემატება.

აი რას ამბობს ამის შესახებ **ნატა:**

- პირველი სიძნელეები ტრანსგენდერ ადამიანს ხვდება მას შემდეგ, რაც ლაპარაკს იწყებს თავის იდენტობაზე და ამას ჩაცმით და ქცევით გამოხატავს. ძნელია სულიერი წონასწორობა შეინარჩუნო, როდესაც ოჯახმა ხელი გკრა, უსწავლელი დარჩი და ვერც საქმდები. როგორმე ბინის ქირა რომ იხადო და უბრალოდ იარსებო, იძულებული ხარ სიცოცხლე სასწორზე შეაგდო და სექს-სამუშაოში ჩაერთო. რაც უნდა ძლიერი იყო, ყოველდღიური ფსიქოლოგიური და უამრავი სხვა პრობლემის გავლენით ნერვული სისტემა რყევას იწყებს. ამას ვერ მიხვდები, თუ თავად არ გაქვს გადატანილი.

ა/ო „ჰეპა+"-მა 2018 წელს გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა. ჩაწერილი იქნა ჩაღრმავებული ინტერვიუ 14 ტრანსგენდერ ადამიანთან (10 ქალი, 4 მამაკაცი). ყოველმა მათგანმა იდენტობის გამო განიცადა როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური ძალადობა. ნაწილი კი ცივი და ცეცხლსასროლი იარაღითაც კი დაჭრეს. უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ პოლიციის დამოკიდებულება კიდეც გაუარესდა.

ეკლიანი გზა განვლო ტრანსგენდერმა ქალმბატონმა **მირანდა ფ-მ**, რომელიც ახლა საზღვარგარეთ იმყოფება. 17 წლის იყო, როდესაც სახლიდან თბილისში სასწავლებლად წამოვიდა. ამ დროიდან დაიწყო მისი ორმაგი ცხოვრება: დღისით უნივერსიტეტში ბიჭის ტანსაცმელი ეცვა, ხოლო საღამოთი იკეთებდა მაკიაჟს და კლუბებში დადიოდა. ორიოდე წლის შემდეგ ორმაგი ცხოვრება გაუსაძლისი გახდა:

- რამდენჯერმე თვითმკვლელობა ვცადე. ბოლოს გადავწყვიტე, რომ დღისითაც ქალის ფორმით უნდა მევლო. შედეგად, უნივერსიტეტის დატოვება მომიხდა და სამსახურიც დავკარგე. საბოლოოდ, სექს-მუშაკობით მომიწია თავის რჩენა. სანამ ფინანსურად არ მოვძლიერდი, ოჯახთან არაფერი ვთქვი. როდესაც გაიგეს, დედაჩემს ძალიან ცუდი რეაქცია ჰქონდა. ძმა ყოველთვის მიცავდა, მაგრამ ამ მომენტში, სამწუხაროდ, საზღვარგარეთ იყო. ნათესავებთან საუბრის თავი აღარ მქონდა; ისედაც ვიცოდი, რომ უმრავლესობა ზურგს მაქცევდა. მერე კი შევრიგდით, მაგრამ მთხოვდნენ - საჯაროდ ტელევიზიით ნუ გამოხვალო. ტრანსსექსუალები

უმძიმეს მდგომარეობაში არიან. უმეტესობას არ შეუძლია საჯარო თავშეყრის ადგილებში გამოჩენა და თითქმის ყოველდღე ძალადობის მსხვერპლი ხდება. ახლახან სოციალურ ქსელებში ვიღაც ტაქსისტი ამაყობდა, ოთხი ტრანსსექსუალი იარაღით როგორ შეაშინა და ტაქსიდან როგორ გადაყარა. გეხსომებათ **ზიზი შეყილაძის** საქმე, რომელსაც ჯერ სცემეს და მერე ყელი გამოჭრეს. მე მიყვარს საქართველო და განვიცდი ყველაფერს, რაც აქ ხდება. მეგობრებსაც ვერ მივატოვებ. საზღვარგარეთ იურიდიული განათლების მიღებას ვაპირებ, მერე კი დავბრუნდები და გავაგრძელებ რასაც აქამდე ვაკეთებდი - დავიცავ ადამიანთა უფლებებს.

2018 წლის ივნისში NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველომ გამოკვლევა ჩაატარა. შედეგები დამაფიქრებელი აღმოჩნდა: მოსახლეობის მხოლოდ 23% მიიჩნევს, რომ ლგბტ თემის უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია. 44%-მა ეს უმნიშვნელოდ მიიჩნია, 26%-მა ნეიტრალური პოზიცია გამოავლინა, ხოლო 6%-მა პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა.

ლგბტ თემის უფლებებს, ძირითადად, არასამთავრობო სექტორი იცავს; აგრეთვე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს საკანონმდებლო ინიციატივებს აწოდებს. მაგრამ მხოლოდ სამედიცინო და იურიდიული მხარის მოგვარებით პრობლემა არ მოიხსნება; ბევრად უფრო არსებითია საზოგადოებრივი მენტალობის ცვლილება. მედიას და არასამთავრობო სექტორს ამ მიმართულებით სერიოზული საგანმანათლებლო სამუშაოს ჩატარება მოუწევს. მოქალაქეთა ნაწილის აზრით, ტრანსგენდერი ადამიანების მოთხოვნების შესრულება ტრადიციულ ფასეულობებს ეწინააღმდეგება. ვუპასუხებთ, რომ რამდენიმე წლის წინ ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო კანონმდებლობაზეც იგივეს ამბობდნენ.

გაუღერებული ფაქტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საზოგადოება ნეკროფილურ აგრესიას უფრო ხშირად ტრანსგენდერი ქალების მიმართ ავლენს. ჰომოსექსუალთა თემის შემთხვევაში, კი უფრო მამაკაცი ჰომოსექსუალები ზარალდებიან. წიგნის ავტორის აზრით, ამის მიღმა ქვეცნობიერი მიზოგინია დგას, რაც ქალური ჰაბიტუსის გათავისების მიმართ აგრესიაში ვლინდება: ქალის „გამამაკაცება" ნაკლებ აგრესიას აღძრავს, ვიდრე მამაკაცის „გაქალება". ან, იქნებ, მიზეზი ისაა, რომ „ბიჭები (ტრანსგენდერი მამაკაცები და ლესბოსელები) არ ტირიან", და მათი ტკივილი ნაკლებად ჩანს?.. ცხადია, ეს მხოლოდ ავტორის ვარაუდებია და საკითხი კვლევას საჭიროებს.

თაკი მეცხრე

გენდერი

და

საკუთრებრივი უფლებები

არის თუ არა ქალი მესაკუთრე?!

„ქალის ყველაზე საუკეთესო დამცველი მისი სავსე ქისაა!“

ლუსილ ბოლი

მსახიობი და ტელეპროდიუსერი

წიგნზე მუშაობის პროცესში ერთ საჯარო დაწესებულებაში მისვლა მომიწია. მიღების მოლოდინში თანამშრომელ ქალბატონს ვესაუბრე. როგორც გაირკვა, ზრდასრული ქალ-ვაჟის დედა იყო. მისმა აზრებმა ჩემზე, რბილად რომ ვათქვათ, არასასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა:

- ორი ბინა გვაქვს. როდესაც ჩემი მეუღლე გარდაიცვალა, ორივე ბიჭს გადავუფორმე. რა უფლება მქონდა არ მიმეცა? მამამისის ქონება იყო.

- თქვენი ქალიშვილიც იგივე მამის შვილია. რატომ ერთი ბინა მას არ მიეცით?

- გოგონა უკვე გათხოვილია და მეუღლის ოჯახში ცხოვრობს. ამდენად, ბინის პრობლემა არ აქვს.

- დავუშვათ, განქორწინდნენ. თუ ის ბინა სიძის მშობლებს ეკუთვნის, შესაძლებელია თქვენი ქალიშვილი უბინაოდ დარჩეს.

- ჩემს ბიჭს და ისე უყვარს, რომ ღია ცის ქვეშ არ დატოვებს.

- ძმის ადამიანობაზე რატომ უნდა იყოს დამოკიდებული? რატომ საკუთარი ჭერი არ უნდა ჰქონდეს? თქვენთვის ცნობილია, რომ კანონი ქალს და მამაკაცს თანაბარ საკუთრებრივ უფლებებს ანიჭებს?

შეკითხვა უპასუხოდ დარჩა...

გაითვალისწინეთ, რომ ქალბატონი არც გაუნათლებელი იყო და არც, როგორც იტყვიან - „გამოუსვლელი“. ასეთი პოზიცია არც წარმომავლობაზეა დამოკიდებული და არც ფორმალურ განათლებაზე. მოსახლეობის ტრადიციულ-კონსერვატიულად მოაზროვნე ნაწილი სწორედ ასე ფიქრობს. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საკუთრებრივი უფლებები ორივე სქესისთვის იდენტურია, მაგრამ ქალის სოციალური მდგომარეობის ნორმალიზაციაზე მხოლოდ მაშინ შევძლებთ ლაპარაკს, როდესაც თანასწორი საკუთრებრივი უფლებები საზოგადოებრივ მენტალობაშიც მყარად დაფიქსირდება.

საბჭოთა კანონმდებლობისგან განსხვავებით, საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსში არის ჩანაწერი **საქორწინო ხელშეკრულების შესახებ (1172-ე მუხლი).** აღნიშნული ხელშეკრულება განსაზღვრავს მეუღლეთა ქონებრივ უფლება-მოვალეობებს როგორც დაქორწინების, ისე განქორწინების შემთხვევაში. ეს კანონი განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთათვისაა ხელსაყრელი. სოციალურ-ისტორიული თვალსაზრისით, მდედრობითი სქესი ყოველთვის მეტ-ნაკლები დისკრიმინაციის საფუძველი იყო. ეს მდგომარეობა დღესაც მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია. განსაკუთრებით - მენტალობაში. აქედან გამომდინარე,

ქალები დღესაც მოწყვლადი ჯგუფია. მაგალითად ზემოთმოყვანილი ფაქტიც იკმარებს. პატრიარქალური ინერციიდან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის ფაქტებშიც, დაზარალებული, როგორც წესი, ქალია. საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტი, საკუთრივ ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო კანონმდებლობასთან ერთად, სწორედ ამ დისკრიმინაციის პრევენციას ემსახურება.

საქორწინო ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელია როგორც ქორწინების რეგისტრაციისას, ისე ქორწინების განმავლობაში. დოკუმენტის გაფორმებისას დგინდება თითოეული მეუღლის კუთვნილი წილი და უფლება დოკუმენტში აღნიშნულ ქონებაზე. საქორწინო ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისას თითოეული მეუღლის უფლებები და სურვილი თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული. რომელიმე მხარისთვის მადისკრიმინირებელი პირობების ჩადება სასტიკად აკრძალულია.

ბიბლია და თანამედროვეობა

საკუთრებრივ ურთიერთობებს ოდითგანვე სამ „ვეშაპზე“ მოკალათებული პატრიარქალური მოდელი არეგულირებდა. „ვეშაპებში“იგულისხმება: მამაკაცთა დომინანტური საზოგადოებრივი სტატუსი, ქალის შემთხვევაში დამოუკიდებელი სტატუსის უქონლობა და პატრიარქალური კერძო საკუთრება. ანუ, გვარის ძირითადი ქონების მემკვიდრე მამაკაცი იყო, ქალი კი მზითევით უნდა დაკმაყოფილებულიყო. ვაჟის არყოლის შემთხვევაში მამული გადაეცემოდა ბიძას, ან რომელიმე მამრობითი სქესის ნათესავს უფროსობის პრინციპით. მოგვიანებით, მემკვიდრეობის გადაცემის პატრიარქალურ მოდელში გარკვეული კორექტივები შევიდა, რაც ბიბლიაშიც აისახა. აღთქმული მიწისკენ მსვლელობისას გარდაიცვალა იოსებიანთა გვარის წარმომადგენელი **ცელაფხადი,** რომელსაც დარჩა ხუთი ქალიშვილი: **მაჰლა. ნოა, სოგდა, მილქა** და **თირცა**. როგორც ჩანს, უდაბნოში მოგზაურობისას მამის გვერდზე ვაჟკაცურად დგომამ გამოაწრთო მათი ხასიათი. ამ საოცარმა ქალებმა რევოლუციური გადატრიალება მოახდინეს. ისინი თამამად წარსდგნენ **მოსეს** წინაშე და მამისეული ქონების მათთვის გადაცემა მოითხოვეს:

„რატომ უნდა გაქრეს მამაჩვენის სახელი მისი საგვარეულოდან იმიტომ, რომ ვაჟები არ ჰყავს? მოგვეცი ჩვენი სამკვიდრო მამაჩვენის ძმებს შორის...“ („რიცხვნი“ 27-4).

„ასე უთხრა უფალმა მოსეს: მართალს ამბობენ ცელაფხადის ასულნი. უნდა მისცე მათ საკუთარი სამკვიდრო მათი მამის ძმებს შორის. მათზე უნდა გადაიტანო მამის სამკვიდრო.

ისრაელიანებს კი ასე უთხრა: თუ ვინმე მოკვდა და ვაჟი არ დარჩა, მისი სამკვიდრო მის ასულზე გადაიტანეთ“(„რიცხვნი“ 27-7,8).

ეს წესი ახალი აღთქმის ეპოქამაც შეითვისა და ყველა ქრისტიან ერს ახასიათებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული წესი ქალის საკუთრებრივ უფლებებს იცავს არა ზოგადად, არამედ მხოლოდ სიტუაციურად - ძირითადი მემკვიდრის, ძის არყოლის შემთხვევაში. ქალის ინდივიდუალური საკუთრება მხოლოდ მზი-

თევი იყო, რომელშიც ძირითადად ოჯახისთვის საჭირო საგნები, სამკაულები და სხვა მოძრავი ქონება შედიოდა. ზოგიერთ ხალხში მზითვის ნუსხის შედგენაში სასიძოს მხარეც იღებდა მონაწილეობას, რაც საქორწინო მოლაპარაკებას სავაჭრო გარიგების ელფერს აძლევდა. ძალიან საინტერესოა, რომ მსგავსი წესი აჭარლებშიც გვხვდება, რაზეც მიუთითებს ეთნოგრაფი **მზია ბექაია** თავის **ნაშრომში „ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში“ (ბათუმი, 1974).** როგორც ვხედავთ, საუკუნეთა მანძილზე. საკუთრებასთან დაკავშირებული ადათ-წესები და კანონმდებლობა ემსახურებოდა ქალის მიმაგრებას ჯერ მამის, მერე კი ქმრის ოჯახზე, ანუ მის გადაქცევას სოციალური მანიპულაციების ობიექტად. პრივილეგირებულ წრეებში მზითვის ნუსხაში უძრავი ქონების შეტანაც დაშვებული იყო, თუკი ეს ძირითად უძრავ საკუთრებას არ დააზარალებდა.

პარალელი: მიწა, როგორც მზითევი, ნახსენებია დავით აღმაშენებლის მიერ არიშიანთათვის ბოძებულ წყალობის წიგნში. კიდევ ერთი მაგალითი: რუსუდანის ასულს, თამარს მზითვად სხვა უძრავ ქონებასთან ერთად, აწყურიც დაუდგინეს.

ლეკვი ლომისა სწორია?...

*2002 წლის დეკემბერში **იუსტიციის ყოფილ მინისტრს თედო ნინიძეს** ინტერვიუს ჩასაწერად მივაკითხე. საქორწინო ხელშეკრულების თემაზე პუბლიკაციას ვამზადებდი და მისი პოზიცია მაინტერესებდა.*

*- ყველაფერი, რაც კანონში წერია, კარგი კი არ არის. რა საქორწინო ხელშეკრულებაზე ლაპარაკი? „კრახაბორობაა“ და მეტი არაფერი. საფრანგეთში დღესაც არსებობს ნაპოლეონისეული კანონი, რომლის თანახმად რაც ეკუთვნის ცოლს, ის ეკუთვნის ქმარს - საუბრის დასაწყისშივე ბრძანა **ბატონმა ნინიძემ.***

- და რაც ეკუთვნის ქმარს, ის ეკუთვნის ცოლს? - შევაპარე ფრთხილად.

ექს-მინისტრმა პირქუშად შემომხედა და ინტერვიუზე უარი განმიცხადა.

აქაც თვალსაჩინოა მენტალობაში მამაკაცთა პრივილეგიების მყარი ფიქსაცია, რაც დემოკრატიულ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მოდის. დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი საზომია გენდერული ბალანსი. საქორწინო ხელშეკრულება კი სწორედ ამ ბალანსის დამყარებას ემსახურება. ჩნდება კითხვა: რატომ არის ეს „კრახაბორობა“? ანუ, რუსთაველის ცნობილი აფორიზმი არც ამ შემთხვევაში „მუშაობს“.

ავტორის აზრით, შესაძლებელი რომ იყოს, მამაკაცთა უმრავლესობა სიხარულით მისცემდა ხმას ნაპოლეონისეული სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმის საქართველოში დანერგვას.

იმავე პუბლიკაციის მომზადებისას **ქალთა საკონსულტაციო ცენტრ „სახლს“** მივაკითხე. აი, რა მითხრა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **რუსუდან ფხაკაძემ:**

- კანონმდებლობით, ყველა შვილი, სქესის მიუხედავად, თანასწორუფლებიანი მემკვიდრეა, მაგრამ მემკვიდრეობის გადაცემა, ფაქტობრივად, ისევ ძველი წარ-

მოდგენების შესაბამისად ხდება. გოგონას ეძლევა მზითევი და, უკეთეს შემთხვევაში, უნარჩუნდება ბინაში ჩაწერა; ბინისა და ქონების უდიდესი ნაწილის მეკვიდრე კი ვაჟი ხდება. ლაპარაკი გვაქვს ზოგად ტენდენციაზე. ცალკეული შემთხვევები ამინდს ვერ შექმნის. კანონისა და მენტალიტეტის ასეთი აცდენა უამრავ მტანჯველ პრობლემას და იურიდიულ კოლიზიებს წარმოშობს. გოგონას თავისი კუთხე, ფაქტობრივად, არ გააჩნია; გათხოვებამდე ცხოვრობს მშობლებთან, ხოლო გათხოვების შემდეგ კი - ქმართან. განქორწინების შემთხვევაში ბინიდან წილს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ ეს საერთო შენაძენია. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დაბრუნდეს იქ, სადაც გაიზარდა; ცხადია, თუ მშობლებმა მიიღეს, ან რძალი წინააღმდეგი არ წავიდა. რომც მიიღონ, რამდენად კომფორტული იქნება მათი თანაცხოვრება ყოფითი და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით? ამიტომ ქალს ხშირად მხოლოდ მოსალოდნელი საბინაო პრობლემები აკავებს მამაკაცთან, რომელთანაც ემოციურად აღარაფერი აკავშირებს.

წარმოგიდგენთ ორ ნიმუშს **საკონსულტაციო ცენტრ „სახლის“** ჩანაწერების ჟურნალიდან:

„25 წლის ქალბატონი მეუღლესთან და მცირეწლოვან შვილებთან ერთად ცხოვრობს მამამთილის ბინაში. მამამთილმა საკუთარი ინიციატივით დააგირავა ბინა. როგორ მოიქცეს?

პასუხი: კანონით მამამთილს აქვს უფლება თავისი ბინა განკარგოს სურვილისამებრ.“

„35 წლის ქალბატონი დაინტერესდა, ეკუთვნის თუ არა განქორწინების შემთხვევაში წილი მამამთილის საკუთრებაში არსებული ბინიდან.

პასუხი: არა.“

როგორც ვხედავთ, ქალები სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. ეს პრობლემები, სულ ცოტა, შერბილდებოდა, თავის დროზე საქორწინო ხელშეკრულება რომ გაეფორმებინათ ჩანაწერით ბავშვების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე.

2002 წელს ჩავიწერე ინტერვიუ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის მოსამართლე ზაურ მებონიასთან, რომელმაც საკითხის მიმართ ცალსახა პოზიცია დააფიქსირა:

- საქორწინო ხელშეკრულება თავიდან აგვაცილებს უამრავ გაუგებრობას, ვინაიდან დასაწყისშივე ადგენს და აზუსტებს ყველა საჭირბოროტო საკითხს. წარმოიდგინეთ ასეთი სიტუაცია: ცოლ-ქმარი ეყრება, ჰყავთ შვილები, რომლებსაც მამის ბინიდან წილი ეკუთვნით. მამაკაცს არ სურს ბინის გაყოფა, ამიტომ მიმართავს ეშმაკობას - გადააფორმებს რომელიმე მშობელზე და ქალს აქეთ „აწვება“: რას გადამეკიდე, ბინა მამაჩემისაა, არაფერი გამაჩნიაო. ასეთ შემთხვევაში კანონი უძლურია. საქორწინო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში კი ქალი ამას თავიდან აიცილებდა. საბჭოთა კავშირის პერიოდში ყველაფერი წინასწარვე რეგლამენტირებული იყო. კერძო საკუთრება არ არსებობდა. ბინა, როგორც წესი, ეკუთვნოდა სახელმწიფოს, თითოეული მობინადრის წილიც მკაცრად იყო განსაზღვრული. მოქმედებდა ჩაწერის ინსტიტუტი. განქორწინების შემთხვევაში კანონი იმასაც ადგენდა, რა რჩებოდა თითოეულ მეუღლეს და რა მონაწილეობა უნდა

მიეღოთ ბავშვების აღზრდაში. ახლა ასეთი მკაცრი განსაზღვრებები აღარ არსებობს. ცალკე სალაპარაკოა თავად ქალის საკუთრებრივი უფლებები. ქალებმა კრიზისულ სიტუაციაში შესაშური ფხა გამოიჩინეს. დღეს, ხშირად, ოჯახს ისინი არჩენენ. ამ დროს ქმარი ჯიუტად გაიძახის: რა გაგაჩნია, ყველაფერი მე მეკუთვნისო. ანუ, მისი წარმოდგენით, ქალის მონაწილეობა ოჯახის უზრუნველყოფაში არაფერს ნიშნავს. ხშირად ქალი განქორწინებისგან თავს მხოლოდ იმიტომ იკავებს, რომ ქუჩაში დარჩენის ეშინია. ჩემი პრაქტიკიდან კიდევ ასეთი ფაქტი მახსენდება: ქმარმა ცოლს ღალატში დასდო ბრალი (როგორც ჩანს, არცთუ უსაფუძვლოდ) და გადაწყვიტა „დაესაჯა". ბინა, რომელშიც ცხოვრობდნენ, საერთო საკუთრება იყო, მაგრამ მამაკაცმა დაყვავებით და „მოფერებით" გაყიდვაზე დაითანხმა. მერე კი ფული ხელში ჩაიგდო და ცოლს ერთი თეთრიც კი არ არგუნა. სასამართლო დავა დღესაც მიმდინარეობს. ცხადია, ქმრის ღალატი ცუდი საქციელია, მაგრამ ეს ცოლის საკუთრებრივ უფლებებთან არაფერ კავშირშია. თავის დროზე საქორწინო ხელშეკრულება რომ გაეფორმებინათ, ქმარი ამას ვერ ჩაიდენდა.

ასეთი სიტუაცია იყო საუკუნის დასაწყისში. მას შემდეგ, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა. წიგნზე მუშაობის პროცესში ჩავიწერე კომენტარი **„ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის" იურისტ მანანა ფურცხვანიძესთან:**

- სწორედ ახლა ვმუშაობ საქორწინო ხელშეკრულების საკითხთან დაკავშირებულ საქმეზე. ქმარმა ცოლი აიძულა რომ ხელშეკრულება დაქორწინებიდან ათი წლის შემდეგ გაეფორმებინა. დოკუმენტში ჩაიწერა მადისკრიმინირებელი მუხლი, რომლის თანახმად განქორწინების შემთხვევაში ქმარი ქალს თბილისის შემოგარენში ერთოთახიან ბინას უყიდდა და სხვა არაფერზე პრეტენზია არ უნდა წამოეყენებინა. მამაკაცმა ბიზნესში შესაშური ფხა გამოიჩინა, ამდენად ფული არ უჭირს. მიუხედავად ამისა, ამ პირობის ნორმალურად შესრულებაც არ სურს: გარდაბანიც თბილისის რაიონში შედის და იქ გიყიდიო. 1179-ე მუხლი კრძალავს დოკუმენტში ისეთი პირობების ჩადებას, რომელიც არათანასწორ მდგომარეობაში ჩააყენებს რომელიმე მეუღლეს. ამ მუხლზე დაყრდნობით, ახლა ვაპირებთ სარჩელის შეტანას საქორწინო ხელშეკრულების ბათილად გამოცხადების თაობაზე. ამჟამად ქალი, შვილთან ერთად, ცხოვრობს მშობლების ბინაში, სადაც მათ გარდა კიდევ სამი ოჯახია.

მოსამართლე ზაურ მებონიამ შვილებს ნამდვილად კარგი რჩევა მისცა; იმედია, გაითვალისწინეს. რეალობაში თანასწორობას წერილობითი გარანტია სჭირდება.

გარანტი მოულოდნელობების წინააღმდეგ...

ქალთა საკონსულტაციო ცენტრს *36 წლის სანდომიანმა ქალბატონმა მოაკითხა. მის ცხოვრებაში უმძიმესი ტრაგედია დატრიალდა - ქალიშვილობაში ცალი ფეხი დაკარგა. ახლა მეუღლე აყვედრის, რომ ცალფეხა მოიყვანა, აგდებულად ექცევა და თავს არიდებს მასთან სექსუალურ ცხოვრებას. ნიშანდობლივია, რომ, ოდესღაც, ქმარმა დაქორწინების ინიციატივა თავად გამოიჩინა. ქალს სხვა უყვარ-*

და, მაგრამ როდესაც ფეხი დაკარგა, შეყვარებულმა მიატოვა. სამაგიეროდ იაქტიურა უარყოფილმა თაყვანისმცემელმა, საავადმყოფოში მიაკითხა. ცხადია, სასოწარკვეთილი გოგონასთვის ეს სიბნელეში სხივის ტოლფასი იყო. მშობლებიც ურჩევდნენ: ხომ გამოჩნდა სინამდვილეში ვის ყვარებიხარ, ეს კაცი შენთვის კარგი პატრონი იქნებაო. ასე მოხდა მათი დაქორწინება. გავიდა ხანი და ქმრის გრძნობები განელდა. ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან მისი „დიდსულოვნების“ მიღმა არა სიყვარული, არამედ უარყოფილი კაცის კომპლექსი იდგა. ხომ დაამტკიცა რამდენად უკეთესი იყო იმ სხვაზე და რამდენად „უსამართლოდ“ უარყოფდნენ?! ამბიცია კი დაიკმაყოფილა, მაგრამ მისმა „სიყვარულმა“ ყოველდღიურობას ვერ გაუძლო. საბოლოოდ, ქალი მარტო აღმოჩნდა თავისი პრობლემების წინაშე. ახლობლებს ყველას თავისი ცხოვრება ჰქონდა და მასთან არავინ მიდიოდა; ამდენად, გულის გადაყოლების შესაძლებლობას მოკლებული, დეპრესიაში ჩავარდა. თვითმკვლელობაზე ფიქრებიც კი მოეძალა. რაც ყველაზე პარადოქსულია, ქმარმა შეუზღუდა სახლიდან გასვლა, იმიტომ რომ... ეჭვიანობდა! ცხადია, ეს მხოლოდ განქორწინებისთვის საპატიო მიზეზის ძიება იყო და სხვა არაფერი. ქალის მდგომარეობა იმითაც იყო გართულებული, რომ არაფერი გააჩნდა.

ეს ისტორია ცალსახად გვიჩვენებს - საქორწინო ხელშეკრულებას აქვს კიდევ ერთი პლუსი: განსაზღვრავს საოჯახო ხარჯების გაწევის წესს არა მარტო ქორწინების განმავლობაში, არამედ - ქორწინების შეწყვეტის შემდეგაც. ამდენად, მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა უფლებების დასაცავად გამოდგება. კანონის თანახმად, შეზღუდული ქმედუნარიანობის პირი საქორწინო ხელშეკრულებას დებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით **(მუხლი1175).**

„საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობის ქალთა საერთაშორისო ასოციაციის“ პრეზიდენტი მანანა გალუაშვილი მიუთითებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის პირთა საკუთრებრივი უფლებების დაცვის კუთხით, საქორწინო ხელშეკრულებას აქვს კიდევ ერთი უპირატესობა: მასში ყოველთვის გათვალისწინებულია მომავალი შვილების უზრუნველყოფის მომენტი. ამდენად, თუკი ოჯახში არსებობს ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვი, განქორწინების შემთხვევაში მას გარკვეული ეკონომიკური გარანტიები ექნება. „ყველას ვურჩევდი ამ ხელშეკრულების დადებას. კანონი რომ არ არსებობდეს, მის შემოსაღებად ვიბრძოლებდი“ - მითხრა **მანანა გალუაშვილმა.**

ხელშეკრულება მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში ფორმდება. მაგრამ წყვილთა ნაწილი საეკლესიო წესითაა დაქორწინებული, ზოგი კი სულაც რეგისტრაციის გარეშე ცხოვრობს. ამ შემთხვევაში ოჯახზე ორიენტირებული კანონები არ მუშაობს და ვერც ხელშეკრულებას დადებენ. ანუ, უამრავი ქალი საკუთარ და შვილების საკუთრებრივ უფლებებს ვერ დაიცავს. ეს ხარვეზი აუცილებლად გამოსასწორებელია.

ფაქტი: მოქალაქე ციალა პერტია 29 წელი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა. ცოლ-ქმარს შვილი არ ჰყოლია. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქონებას გარდაცვლილის ძმისშვილი ითხოვს. სარჩელი უკვე საკონსტიტუციო სასამართლოშია შეტანილი. ციალა პერტაიას ადვოკატი დავით დიდმანიძე ევროსასამართლოს პრაქტიკაზე მიუთითებს. გახმაურებულ საქმეში „კორინი ნიდერლანდების წინააღმდეგ“ აღნიშნულია, რომ „ქორწინება გასცდა ფორმალურ

ურთიერთობებს...". შესაბამისად, კანონმდებლობა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მოქალაქეებზეც უნდა ვრცელდებოდეს. ცხადია, თუ მუდმივი თანაცხოვრების საკმარისი მტკიცებულება არსებობს.

ქაღალდზე დარჩენილი კანონი

კანონი საქორწინო ხელშეკრულების შესახებ მიღებულია, მაგრამ ცოლქმარს შორის საკუთრებრივი ურთიერთობები დღესაც მოლაპარაკებებით წყდება. სიტყვიერი მოლაპარაკება განქორწინებისას წარმოქმნილი პრობლემის გადაწყვეტის გარანტიას ნამდვილად არ იძლევა. საქორწინო ხელშეკრულების დადების ტრადიცია საქართველოში ვერ დაინერგა, ვინაიდან აქ კანონშემოქმედება, ხშირად, საზოგადოებრივ ცხოვრებას მოწყვეტილია. კანონის მიღებას ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს იდეა - აზროვნებითი პროცესი, რაც მომწიფების რაღაც სტადიაზე კანონის შექმნით ბოლოვდება. ჩვენთან კი კანონი ავტომატურად შემოაქვთ მაშინ, როდესაც არ არსებობს არც იდეა და არც მის გარშემო ჩამოყალიბებული რაიმე საზოგადოებრივი აზრი. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად არც საკმარისი საინფორმაციო-განმანათლებელი მუშაობა ტარდება. სწორედ ამიტომაა რომ მენტალურად მოუმზადებელი საზოგადოებაში კანონი არ მუშაობს. საქორწინო ხელშეკრულება ქონებრივი ურთიერთობების დარეგულირებას ითვალისწინებს, რასაც პრაგმატიზმს შეუჩვეველი საზოგადოება შეცდომით „კრახაბორობად" აღიქვამს და არ იკარებს. ამ საკითხმა ისე დამაინტერესა, რომ კითხვა - „არის თუ არა საჭირო საქორწინო ხელშეკრულების გაფორმება?" სოციალურ ქსელში დავპოსტე. აი, ზოგიერთი ყველაზე საინტერესო პასუხი:

„აუცილებელია, მითუმეტეს ახლა. თუ უძრავ-მოძრავი ქონება კაცს ქორწინებამდე აქვს შეძენილი, შეუძლია განქორწინების შემთხვევაში მეუღლე ბავშვებიანად გამოაგდოს ქუჩაში და არც მოიკითხოს სად გაათენებენ ღამეს. თანაც, განქორწინებისას, ეს მრავალ პრობლემას აარიდებს წყვილს, ვინაიდან ქონებრივი უფლებები წინასწარ იქნება გაწერილი და ქონებაზე დავა აღარ მოუწევთ. რა თქმა უნდა, როცა ოჯახი იქმნება, განქორწინებაზე არავინ ფიქრობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც დაქორწინდებოდნენ; მაგრამ ცხოვრება ცხოვრებაა, დაზღვეული არავინაა, რომ ასეთი რამ არ მოხდება, ამიტომ გარანტიები საჭიროა".

„აუცილებელია - შემდგომი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, რაც ხშირად სავალალო შედეგებამდეა ჩვენთან მისული. ვგულისხმობ განქორწინების შემდგომ მდგომარეობას და მშობლების უპასუხმგებლო მიდგომას მეტწილ!" .

„როცა ბედნიერი ხარ და პატარა, ამაზე არ ფიქრობ, მაგრამ მიმაჩნია, რომ აუცილებელი და საჭიროა. თუნდაც, განქორწინების შემთხვევაში, ბევრი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად".

„ამის საჭიროებას თავად წყვილი განსაზღვრავს. თუ თვლიან საჭიროდ - დადებენ, თუ არა - არა... აუცილებელი და სავალდებულო არაფერია ამ ქვეყანაზე".

„საერთოდ, ოჯახი არის ეკონომიკური ქმნილება, ამიტომ საზოგადოებაში მომხდარი ყველანაირი ეკონომიკური ცვლილება მასზეც აისახება. განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ორივე მეუღლე ხშირად დიდი ქონების პატრონია, ამას აზრი აქვს. ანუ, ჩვენთან ეს ჯერჯერობით საჭირო არ არის, ვინაიდან ხშირად გასაყოფი არც არაფერია“.

როგორც ვხედავთ, ზოგიერთ მოქალაქეს აშკარად არ ესმის, რომ საქორწინო ხელშეკრულება მხოლოდ ქონების წინასწარ გაყოფას არ ნიშნავს - ეს, პირველ რიგში, უფლება-მოვალეობების წინასწარ განსაზღვრაა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია (განსაკუთრებით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის). ამ ექსპრეს-გამოკითხვაში საქორწინო ხელშეკრულების აუცილებლობა, ძირითადად, ქალებმა აღიარეს, ვინაიდან მეტწილად სწორედ ისინი არიან დაზარალებულნი.

ამ ინსტიტუტის მიმართ დამოკიდებულების რეალური სურათის დასადგენად მასშტაბური გამოკითხვის ჩატარებაა საჭირო. იმედს ვიტოვებ, რომ ეს პუბლიკაცია არასამთავრობო სექტორის მოღვაწეებში ასეთი პროექტის განხორციელების სურვილს გააჩენს. მდგომარეობა მართლაც სერიოზულია. არსებობს საკუთრებრივი უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელსაც არ, უფრო სწორედ, ვერ ვიყენებთ.

საქართველოს ნოტარიუსთა საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების სტატისტიკა ყოველწლიურად უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იზრდება. 2010 წელს 7 საქორწინო ხელშეკრულება დამოწმდა სანოტარო წესით; 2011 წელს - 13; 2012 წელს - 21; 2013 წელს - 23; 2014 წელს - 32; 2015 წლის პირველ სამ თვეში კი მხოლოდ 12 საქორწინო ხელშეკრულება იქნა გაფორმებული. ეს არის ჩვენს ხელთ ამუამად არსებული ინფორმაცია. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ დღესაც, უკეთეს შემთხვევაში, ტენდენციის უმნიშვნელო ზრდაა შენარჩუნებული. კანონი, თუნდაც დასახვეწი, არსებობს, მაგრამ, ფაქტობრივად, მხოლოდ ქაღალდზეა დარჩენილი. ძირითადი ბარიერი არაინფორმირებულობა და მენტალური სტიგმაა, რაც აუცილებლად უნდა დაიძლიოს. ამისათვის სამთავრობო-არასამთავრობო სექტორის და მედიის ერთობლივი ძალისხმევაა საჭირო.

თაკი შეკთე

გენდერი

და

ფრთის კანონმდებლობა

შრომის კანონმდებლობა და ოჯახში ძალადობა

- ქმარი თუ მთხოვს, არ ვიმუშავებ და ოჯახს მივხედავ! - განმიცხადა ერთხელ ჩემმა თხუთმეტი წლის ქალიშვილმა.

ჩემს „აღტაცებას“ სიტყვებით ვერ აგიწერთ.

- ჰოდა, დიდ შეცდომას დაუშვებ!

- რატომ?

- წარმოიდგინე ორი სიტუაცია: ერთში საკუთარი შემოსავალი გაქვს, ხოლო მეორეში - ნიფხავის საყიდელი ფულიც კი ქმარს უნდა სთხოვო. როგორ გგონია, ორივე შემთხვევაში ერთნაირად მოგექცევა?

ჩემი ქალბატონი ჩაფიქრდა, მაგრამ აზრი მაინც არ შეუცვლია.

ამ საუბრიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ბაზრობაზე მოგვიწია წასვლა და უნებლიედ ძალიან საინტერესო სცენას შევესწარით. ახალგაზრდა ქალი ბავშვთან ერთად ქმარს ბუზღუნით მისდევდა:

- კარგი ახლა, მომეცი ფული, ჩემთვის რომ გაქვს გამეტებული და თვითონ ვიყიდი რაც მინდა!

სულგანაბული ველოდი ჩემი ქალიშვილის რეაქციას:

- დაინახე დედიკო?! ანუ, რამე რომ მომინდება, ქმარს ასე კუდში უნდა ვდიო და ვეხვეწო? არა, აუცილებლად ვიმუშავებ!

გულში ჩამეღიმა და განგებას მადლობა შევწირე. პრაქტიკული მაგალითი ყველაზე ძლიერი არგუმენტია; რით დამთავრდა იმ ცოლ-ქმრის დიალოგი, სამწუხაროდ, არ ვიცი, ვინაიდან სულ რამდენიმე წამში თვალს მიეფარნენ.

ქალის ყველაზე საუკეთესო დამცველი, ფინანსური დამოუკიდებლობა, ანუ „სავსე ქისაა“. მაგრამ საკუთრება არა მხოლოდ მემკვიდრეობით გადაცემული ქონებაა - ის საკუთარი შრომითაც იქმნება. პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ეს შრომა საიმედოდ იყოს დაცული. ანუ გენდერული პრობლემატიკა განუყოფლადაა დაკავშირებული შრომის კანონმდებლობასთან.

უკვე დიდი ხანია აღარავინ კამათობს, რომ მოქალაქეთა შრომითი უფლებები დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია. წლების მანძილზე საქართველოს შრომით კანონმდებლობაში წონასწორობა დამსაქმებლის სასარგებლოდ იყო დარღვეული. სრულფასოვანი მედიატორის როლს ვერც სახელმწიფო ასრულებდა, რამეთუ შრომით დავებში მეტ-ნაკლები უფლებრივი პრიორიტეტი დამსაქმებელს ჰქონდა მინიჭებული. ეს საკანონმდებლო ხარვეზი თავს განსაკუთრებული სიმწვავით იჩენდა ქალების შემთხვევაში. გენდერული ნიშნით ძალადობა ადვილად განხორციელებადია, როდესაც მსხვერპლს არ აქვს დამოუკიდებელი სოციალური საფუძველი; ასეთ საფუძველს კი, პირველ რიგში, საკუთარი შემოსავალი ქმნის. თუ ქალს საკუთარი შემოსავალი და საკუთრება არ

გააჩნია, მისი სოციალური პოზიცია საფრთხეშია.

აი, რას მითხრა ამის შესახებ 2010 წელს **ანა არგანაშვილმა (ა/ო „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“):**

- ძალზე მნიშვნელოვანია ქალს ჰქონდეს შრომით ბაზარზე შეუზღუდავი დამკვიდრების საშუალება, ხოლო კანონში ჯეროვნად იყოს წარმოდგენილი შრომითი საქმიანობის გენდერული სპეციფიკა. წლების მანძილზე საქართველოს შრომის კანონმდებლობა ამ კუთხითაც საფუძვლიან კრიტიკას იმსახურებდა. უამრავი საკითხი დღესაც გასაუმჯობესებელია. გენდერულად კორექტული შრომის კოდექსის გარდა, სასიცოცხლოდ აუცილებელია ქალთა დასაქმების პროგრამებიც. საკუთარი შემოსავლის გარეშე თავს ვერავინ დაიცავს. ცნობილი ფაქტია: როგორც კი ქალი განქორწინებაზე ენას დაძრავს, მამაკაცი შანტაჟს იწყებს: წასასვლელი არსად გაქვს, არც შემოსავალი გაგაჩნია; ბავშვების გამოკვებას ვერ შეძლებ, ამიტომ ვერ წაიყვანო!

ფაქტი: 48 წლის ქეთი თომეიშვილზე ინფორმაცია ა/ო „ქალები საქართველოდან Women of Georgia“-ს Facebook გვერდზე მოვიძიე. ამ ქალბატონმა განქორწინების შემდეგ შრომითი მიგრანტობის მთელი სიმძიმე იწვნია: „ქმარმა დაშორების წინ მომაძახა, ახლა გიყურებ როგორ გეტირება დედაო. მაშინ გულში ვიფიქრე, სახლიც მექნება და შემოსავალიც, მაგარ შვილსაც გავზრდი და მანქანაც მეყოლება-თქო... საქართველოში რომ დავბრუნდი, მივაკითხე ჩემს ყოფილ ქმარს სახლთან... დავუსიგნალე და ფარები ავუნთე. მიყურებდა ბუსავით. ეს იმხელა სიამოვნება იყო, რომ გადაფარა იმ 14 წლის ტანჯვით შრომა.“ მშვენიერია ილუსტრაციაა იმ ჭეშმარიტებისა, რომ ქალის საუკეთესო დამცველი მისი მყარი ეკონომიური მდგომარეობა, ან, თუ გნებავთ, „სავსე ქისაა“.

გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ეკონომიკური გაძლიერების საშუალება ქალბატონს საკუთარ სამშობლოში ჰქონოდა; ანუ გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციის საკითხი პირდაპირ კავშირშია დასაქმების შესაძლებლობასთან. არანაკლებ მნიშვნელოვანია შრომის საკანონმდებლო ფორმატი. ხელისუფლების წარმომადგენელნი ამ კავშირს, რიგ შემთხვევებში, არ, ან ვერ აცნობიერებენ.

2014 წლის 25 ნოემბერს, თბილისში ქალებზე ძალადობის და ფემიციდის წინააღმდეგ საპროტესტო აქციაზე ხელისუფლების წარმომადგენლებიც ვიხილეთ. შესაძლებლობით ვისარგებლე და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ **გიგი წერეთელთან** ექსპრეს-ინტერვიუ ჩავიწერე:

– აქ ქალებზე ძალადობის წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატად მოვედი. გენდერული თანასწორობის დამამკვიდრებელი და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის შემუშავების ერთ-ერთი ინიციატორი და მონაწილე მეც გახლდით. ფემიციდის ოცდაოთხი ფაქტი ცივილიზებული საზოგადოებისთვის მეტისმეტად ბევრია. როგორც ხელისუფლება, ისე ხალხი, ამ პრობლემას სწორად უნდა აღიქვავდეს და ადეკვატურად რეაგირებდეს.

– შეგახსენებთ: 2006 წელს თქვენი ხელისუფლების მიერ

მიღებული შრომის კანონმდებლობა ბავშვიან ქალებს დასაქმებაში ხელს უშლიდა. დედების საჭიროებები კი საერთოდ იგნორირებული იყო...

– შრომის კოდექსი ბიზნესისთვის თავისუფალი გარემოს შექმნაზე იყო ორიენტირებული. სწორედ ამაზეა დამოკიდებული სამუშაო ადგილების შექმნა და როგორც მამაკაცების, ისე ქალების დასაქმება. დასაქმებულთა უფლებები უფრო სტანდარტულ ფორმატში იყო გათვალისწინებული. ცხადია, მეტის გაკეთებაც შეიძლებოდა; ამაზე მომავალში ვიზრუნებთ. ეს საკითხის არასწორად დაყენებაა. რა კავშირშია შრომის კანონმდებლობა ოჯახში ქალებზე ძალადობასთან?

– პირდაპირ კავშირშია! ხშირად ქალი მოძალადისგან მხოლოდ იმიტომ ვერ მიდის, რომ მატერიალურად მასზეა დამოკიდებული. ამ დროს იღებთ შრომის კანონმდებლობას, რომელიც ქალთა დასაქმებას ხელს კი არ უწყობს, არამედ პირიქით – აფერხებს...

– სამუშაოს ძიებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე რომ ვისაუბროთ, ეს სამუშაო ჯერ უნდა არსებობდეს. ღია ბაზარი სამუშაო ადგილების შექმნის საშუალებას იძლევა. აქედან გამომდინარე, მეტი ქალი დასაქმდება. ხოლო მოსასმენად უფრო სასიამოვნო შრომის კოდექსის ნორმები ამას ვერ უზრუნველჰყოფს. თუ დამსაქმებელს ფეხმძიმე ქალების მიმართ მეტისმეტად ბევრ ვალდებულებას დავაკისრებთ, საერთოდ აღარ აიყვანს სამსახურში. აქ დაბალანსებული მიდგომაა საჭირო.

როგორც ვხედავთ, გენდერული თანასწორობის საკითხში, ზოგადად, კორექტული პოზიციის მიუხედავად, ამ პოლიტიკოსს, აშკარად, არ ესმოდა მარტივი ჭეშმარიტება: გენდერული დისბალანსი შრომით უფლებებში პირდაპირ განაპირობებს სირთულეებს ქალთა დასაქმების კუთხით და მათზე ძალადობასაც აადვილებს. შრომის კანონმდებლობის საკითხს უამრავი სტატია მივუძღვენი. ყოველდღიურობა კი დისკრიმინაციის ფაქტებით უხვად მამარაგებდა.

ერთხელ, ზამთრის სუსხიან ღამეს, აფთიაქში ფრიად „თვალგასახარი“ სანახაობა ვიხილე: საფუძვლიანად შემრგვალებული ფეხმძიმე პროვიზორი მარტოდმარტო მორიგეობდა! ცხადია, ასეთ ოდიოზურ ფაქტს უყურადღებოდ ვერ დავტოვებდი:

– თქვენი უფროსობა რამ გადარია – შუაღამისას აქ დასაყენებელი მეტი ვეღარავინ იპოვეს? ანდა, თავად როგორ დათანხმდით?!

– აბა, რა ვქნა, სამსახურს ხომ ვერ დავკარგავ?

– ტელეფონი მაინც თუ არსებობს ამ „ოჯახში“?

– არა. მაგრამ მობილური სულ თან დამაქვს.

– ვინმემ რომ შეგაშინოთ?

– ტერიტორიას დაცვა ჰყავს და შიგადაშიგ დამხედავენ ხოლმე. ცხადია, მათთან ხელშეკრულების გაფორმებისას, უფროსობა მხოლოდ თავისი ქონების დაცვაზე ფიქრობდა, თორემ ჩვენ რაში ვანაღვლებდით! მაგრამ დაცვა მთელი ღამე აქ ვერ დადგება და, ძირითადად, მარტო მიწევს ყოფნა. მორიგეობაზე უარს მაინც ვერ ვიტყვი, მაშინ ხომ სამსახურს დავკარგავ! მე ვიკითხო, თორემ შემცვლელს ნახევარ საათში მონახავენ. გაჭირვებული და უმუშევარი ხალხის მეტი რა არის!

– იქნებ თქვენი შრომითი უფლებები „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“, გაგერკვიათ, სადაც მოქალაქეებს იურიდიულ კონსულტაციას უფასოდ უწევენ?

– რა აზრი აქვს? ჩემი უფლებების დაცვა რომც მოვახერხო, პერსპექტივაში წა-

ვაგებ. უფროსობა რაღაცას მოიმიზეზებს და სამსახურიდან მაინც გამიშვებს; თანაც, სავსებით „კანონიერად“. კოლეგებისგან მხარდაჭერას არც უნდა ელოდე. შენი გულისთვის საქმეს არავინ გაიფუჭებს; ყველას თავისი გასაჭირი აქვს და ყურს წაიყრუებენ. ეს ყველაფერი განსაკუთრებით დიდ კორპორაციებში იგრძნობა. პატარა აფთიაქებში ადამიანური ფაქტორი ისევ მუშაობს. შეიძლება, შეგიცოდონ და დაგინდონ. ყოველ შემთხვევაში, ამის შანსი არსებობს.

ქალი „ბოლო ზარამდე“ გმირულად ეწეოდა ჭაპანს (ცხადია, სრული განაკვეთით და ღამის მორიგეობების ჩათვლით!). დეკრეტულ შვებულებას მშობიარობამდე ერთი კვირით ადრე ეღირსა და ქვეყანას ჯანსაღი ბავშვი მოევლინა. ჯანმრთელობის კუთხით პრობლემები, საბედნიეროდ, არც დედას გასჩენია. ცხადია, ეს არც სახელმწიფოს დემოგრაფიული პოლიტიკის დამსახურება იყო და არც, მითუმეტეს, დამსაქმებლის ამაგი; უბრალოდ, ჩვენი ისტორიის გმირი ფიზიკურად და ფსიქიკურად ამტანი აღმოჩნდა. გასაგები მიზეზების გამო, მისი ვინაობის დაზუსტებისაგან თავს ვიკავებ.

ასეთმა ფაქტებმა ნათლად დამანახა, რაოდენ მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული გენდერი შრომის კანონმდებლობასთან. ამ საკითხზე წერის გადაწყვეტილება უფრო გამიმყარდა, როდესაც დაზარალებული თავადაც აღმოვჩნდი: 2010 წლის მარტის დასაწყისში **მედია-ჰოლდინგ „ფორტუნა-7“-ის მეპატრონემ, ვადიმ გეჯაძემ** „სარვამარტო საჩუქარი“ მომიძღვნა – უცერემონიოდ კარზე მიმითითა. ბატონი ვადიმი გააღიზიანა ჟურნალ **„Подруга“**-ს თებერვლის ნომრებში გამოქვეყნებულმა პუბლიცისტურმა ციკლმა, რომელშიც გავაანალიზე აბორტის პრობლემა ისეთი სიტუაციისათვის, როცა ფეხმძიმობა საფრთხეს უქმნის დედის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. შევეხე რა გასაშუქებელი თემის რელიგიურ და ზნეობრივ პარამეტრებს, მკითხველს შევთავაზე ერთად დავფიქრებულიყავით ამ საკითხზე და, გამოხმაურებების მოლოდინში, ციკლი მრავალი წერტილით დავასრულე. **ვადიმ გეჯაძემ** ჩემი ნაშრომი შეაფასა როგორც ანტიქრისტიანული და ზედმეტად ფემინისტური. გამომიცხადა - სავსებით კმაყოფილი ვარ არსებული გენდერული სიტუაციით, საქართველოში ოჯახში ძალადობა არ არსებობს და აღარ დავუშვებ ჩემს ჟურნალში გენდერულ ცვლილებებზე ორიენტირებული მასალების გამოქვეყნებასო; უფრო მეტიც, ბრძანა - ჟურნალისტიკა არ არის თქვენი საქმე და ძალები სხვა სფეროში მოსინჯეთო. აღნიშნულ ფაქტს წინ უძღოდა ოთხწლიანი წარმატებული მუშაობა, მკითხველებისაგან გამოხმაურებები და ჟურნალისტურ კონკურსზე გამარჯვება. აგრეთვე, ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ დაფინანსებული ვიზიტი ჟურნალისტთა ტრენინგზე პოლონეთში, რაც წესით, გამომცემლისთვის საამაყო უნდა ყოფილიყო.

ვადიმ გეჯაძისგან შეურაცხყოფილს და უმუშევარს (მაგრამ, არავითარ შემთხვევაში, დამცირებულს!), ორგანიზაციამ „ქალთა ფონდი საქართველოში“ დახმარების ხელი გამომიწოდა. მათი დაფინანსებით დავწერე მცირე ნაშრომი: „შრომის კანონმდებლობის გენდერული არასრულფასოვნება და მისი ნეგატიური შედეგები“ (თბილისი, 2010). ვსარგებლობ შემთხვევით, რათა ფონდი და მისი ხელმძღვანელი ნანა ფანცულაია კიდევ ერთხელ უდიდესი მადლობით მოვიხსენიო.

გუშინწინ და გუშინ

ქმარშვილიანი ქალებისა და მომავალი დედებისთვის სახელმწიფო სამსახურში ყოველთვის არსებობდა გარკვეული გარანტიები; სამაგიეროდ, კერძო სექტორში შავ დღეში იყვნენ. **2006 წელს** დამტკიცებულ იქნა ე.წ. „ბენდუქიძის შრომის კოდექსი“, რომელიც მეტისმეტად სწორხაზოვნად გაგებული „თავისუფალი ბაზრის“ კვაზილიბერალურ პრინციპებზე აიგო.

სსრკ-ს მხოლოდ ნაკლებად გონიერი ხალხი თუ მისტირის, მაგრამ, ფაქტია, **საბჭოთა შრომის კოდექსში** ფეხმძიმე ქალებისა და მეძუძური დედების, აგრეთვე, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების შეღავათები და უფლებები დეტალურად იყო გაწერილი. მაგალითად, მარტოხელა დედებისთვის კანონი მთელ რიგ შეღავათებს ითვალისწინებდა: რეორგანიზაციის, ან კადრების შემცირებისას იკრძალებოდა მათი სამსახურიდან გაშვება; ბინით, დასასვენებელი საგზურებით უზრუნველყოფის დროს უპირატესობას ანიჭებდნენ და ა.შ. **36-ე მუხლში** დაზუსტებული იყო შტატების შემცირებისას სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლების მქონე მუშაკთა კატეგორიები (კვალიფიკაციის და შრომის ნაყოფიერების თვალსაზრისით თანაბარ პირობებში). ამ კატეგორიაში შედიოდნენ მარტოხელა დედები და ქალები, რომლებსაც ჰყავდათ სამ წლამდე ასაკის ბავშვი **(თავი III, მუხლი 36, პუნქტი 2)**.

საბჭოთა კავშირის შრომის კოდექსის ნორმები ჩინებულად დაიცავდა პროვიზორ ქალბატონს დამსაქმებლის თავგასულობისაგან: ორსული ქალების და სამ წლამდე ბავშვების დედების გამოყენება ღამისა და ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე, დასვენების დღეებში, აგრეთვე მათ გაგზავნა მივლინებაში სასტიკად აკრძალული იყო (თავი მე-12; მუხლი 157; პუნქტი მე-2).

მეძუძური დედების შეღავათებს უზრუნველყოფდა **163-ე მუხლი („შესვენება ბავშვის კვებისათვის“)**:

1. ქალებს, რომლებსაც წლინახევრის ასაკამდე ბავშვები ჰყავდათ, გარდა საერთო შესვენებისა, ეძლეოდათ დამატებითი შესვენება ბავშვების კვებისათვის;

2. ეს შესვენება ეძლეოდათ, სულ ცოტა, ყოველ სამ საათში; თითოეული - არანაკლებ ოცდაათი წუთის ხანგრძლივობით. თუ ქალს ჰყავდა ერთ წლამდე ასაკის ორი ან მეტი ბავშვი, შესვენების ხანგრძლივობა უნდა ყოფილიყო არანაკლებ ერთი საათისა;

3. შესვენება ბავშვის კვებისათვის ითვლებოდა სამუშაო დროდ და ანაზღაურდებოდა საშუალო ხელფასის მიხედვით;

4. შესვენების დროს და მისი მიცემის წესს, დედის სურვილის გათვალისწინებით, ადგენდა ადმინისტრაცია ორგანიზაციის პროფკავშირთან ერთად.

ანუ, ქალს შეეძლო სამუშაო დღე ბავშვის მოვლა-კვების რეჟიმზე აეწყო და არც

ხელფასში ზარალდებოდა. **165-ე მუხლი** ორსული ქალბატონების დასასვენებელი საგზურებით უზრუნველყოფისა და მატერიალური დახმარების საკითხებს არეგულირებდა. იმ ორგანიზაციებს, სადაც ქალის შრომას ფართოდ იყენებდნენ, **166-ე მუხლი** საბავშვო ბაღების, აგრეთვე პირადი ჰიგიენისათვის განკუთვნილი ოთახების მოწყობას ავალდებულებდა. ამ შეღავათებს ქალები თავისუფლად იყენებდნენ, რამეთუ დირექცია თავისი ახირების გამო ვერავის გაუშვებდა სამსახურიდან.

ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის აშკარაა საბჭოთა წყობილების ანტიდემოკრატიული და ანტიჰუმანისტური არსი. მითუმეტეს, სამარცხვინოა, რომ კომუნისტებმა საქართველოს რესპუბლიკის „დემოკრატიის მამებს“ დედებზე და ბავშვებზე ზრუნვაში აშკარად აჯობეს. **2008 წელს ხელვაჩაურში** განვითარებულმა მოვლენებმა თვალსაჩინო გახადა ფსევდო-ლიბერალურ შრომის კოდექსის „სიკეთენი“. მხედველობაში მაქვს **სამკერვალო ფაბრიკაში** მომხდარი დაპირისპირება პერსონალსა და უფროსობას შორის. შრომის კანონმდებლობის „ლიბერალიზმით“ ფრთაშესხმულმა მეპატრონემ მეტისმეტად ლაღად გაინავარდა. ვერ გეტყვით, რამდენად იხეირა მის მიერ გადახდილი გადასახადებით ქვეყნის ბიუჯეტმა, მაგრამ ფაბრიკის თანამშრომლები რომ დაზარალდნენ, ერთმნიშვნელოვნად ნათელია. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ შრომის აუტანელი პირობებით და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულებით მოთმინებადაკარგულმა ხალხმა პროფკავშირების შექმნა გადაწყვიტა. ამ ფაქტმა **დირექტორი ჯეზმინ აშმანი** იმდენად გაამწარა, რომ პროფკომიტეტის წევრები სამსახურიდან გაყარა.

მანანა შუშანიძის (ხელვაჩაურის სამკერვალო ფაბრიკის პროფკომიტეტის თავმჯდომარე) კომენტარი 2010 წელს ჩავიწერე:

– მუშაკთა უმრავლესობა ქალები ვართ: ექვს ბრიგადაში - ორმოცამდე ქალი. ფეხმძიმეებიც, ცხადია, გვყოლია. დეკრეტული შვებულება? როგორ გეკადრებათ, ამის გაფიქრებასაც კი ვინ გაბედავს! ერთ ქალს ბავშვი გაუხდა ავად და სამკურნალოდ თბილისში წაიყვანა. მისცეს ორი კვირა უხელფასო შვებულება. საცოდავს ორი დღით შეაგვიანდა და სამსახურიდან დაითხოვეს. მერე მიღებაზე განცხადება ხელახლა დააწერინეს. მსგავსი ფაქტები უამრავი ყოფილა. ვინაობის დაკონკრეტებას ნუ მომთხოვთ; არ მინდა ხალხი საფრთხეში ჩავაგდო. შრომის კოდექსის გადამკიდე, ყველაფერს უნდა ელოდეს ადამიანი. შაბათ-კვირით, პრაქტიკულად, არ ვსარგებლობთ. სამუშაო დრო არანორმირებულია – 9-12 საათამდე. ყოფილა, რომ გამთენიამდეც გვიმუშავია. საჭმელად რაღაც ხუთწუთიან შესვენებას გვაძლევენ. ავადმყოფობა მაგათთვის არ არსებობს. ბიულეტენს საერთოდ არ ცნობენ – საკუთარ ხარჯზე იავადმყოფეთო. ბოლო წვეთი **დირექტორის, ჯეზმინ აშმანის** საქციელი გახდა. შემობრძანდებოდა, გაივლ-გამოივლიდა, შეგვათვალიერებდა, დაიძახებდა: „ჰაივან! ჰაივან!“, ერთი გულიანად გაიცინებდა და გავიდოდა. ბოლოს, დავინტერესდით, რას ნიშნავდა ეს „ჰაივან“. აღმოჩნდა, რომ საქონელს, პირუტყვს გვეძახდა. ამან საერთოდ გაგვაგიჟა. გადავწყვიტეთ პროფკავშირის დაფუძნება, რათა იმ ვაჟბატონს ეგრძნო, რომ სწორედ ადამიანებთან ჰქონდა საქმე და არა პირუტყვთან. მსურველი უამრავი აღმოჩნდა. უფროსობამ საიდანღაც გაიგო რასაც ვაპირებდით და ხალხს დაშინება დაუწყო – იცოდეთ, გაგყრითო, მაგრამ მუშები ისე იყვნენ გამწარებულნი, რომ უმრავლესობამ (ხუთასი თანამშრომლიდან სამასმა მაინც) დასტური მოგვცა. პროფკომიტეტში სულ ცხრა ქალი ვიყავით. მე

თავმჯდომარედ ამირჩიეს, ხოლო მოადგილედ – **ნარგიზა ევგენიძე**. დაფუძნება მოხდა 11 მარტს (ქალთა საერთაშორისო დღეს მივუსადაგეთ). **ადვოკატმა მერაბ ქავთარაძემ** და **პროფკავშირების გაერთიანების წარმომადგენელმა დოდო ვერძაძემ** დირექტორი ჩვენი ინიციატივის თაობაზე საქმის კურსში ჩააყენეს. თურმე სულ ღიმილ-ღიმილით მიიღო, თავაზიანად მოუსმინა, ვითომ დაეთანხმა კიდეც. ქალბატონი დოდო გაოცებული გამოვიდა: ეს რა კარგი კაცი ყოფილა, ნეტავი რატომ ემდურითო! მეორე დღეს „კარგმა კაცმა“ პროფკავშირის კომიტეტის წევრები კაბინეტში დაგვიბარა. ვიფიქრეთ, რომ საქმე შეთანხმებული დოკუმენტაციის ხელმოწერას ეხებოდა. ავიღეთ გამზადებული საბუთები და მივედით. ამ ვაჟბატონმა კი გამოგვიცხადა: შეგიძლიათ სახლში წაბრძანდეთ, ჩვენთან აღარ მუშაობთო და შუბლზე ჩვენი სანაქებო **შრომის კანონმდებლობის 37-ე და 38-ე მუხლი** აგვაფარა. როდესაც შევეკამათეთ, რის საფუძველზე გვანთავისუფლებო, პატრული გამოიძახა. პატრულის ბიჭებმა ხელი არ დაგვაკარეს: რა გინდა, რას ერჩი ამ ქალებსო? არ მომწონს და სამსახურიდან ვუშვებო. ბოლოს ნებით წამოვედით. აბა, იქ რაღა გვესაქმებოდა? ჩემი მეუღლე **იური ტიუტლიაევიც** ამ ამბების გამო გამოაგდეს.

აი, რა გვითხრა იმავე 2010 წელს **საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების შიდა ქართლის ქსელის ოფისის ხელმძღვანელმა ნინო ნინოშვილმა:**

– ქალბატონების უმიზეზოდ გაშვება არსებული რეალობის განუყოფელი ნაწილია. დაზარალებულებს არ სჯერათ, რომ სამართალს იპოვიან, ამიტომ თავისი უფლებების დაცვას არც ცდილობენ). მეორე მხრივ, „ვიღაცის“ გააღიზიანებაც ერიდებათ: „წახვალ, იჩივლებ და სულ ცარიელზე დარჩები“. ხშირად, დამსაქმებელი განთავისუფლებულ მუშაკს ჰპირდება, რომ მომავალში რაღაცას გამოუნახავს; ისიც იჯერებს. ამასობაში გასაჩივრების ვადა ხელში შემოადნება და მოტყუებული რჩება. მერე, როგორც წესი, ხელს ჩაიქნევს და ყველაფერი ამით მთავრდება. სამწუხაროდ, საკანონმდებლო ბაზა დაზარალებულის ჯეროვანი დაცვის საშუალებას არ გვაძლევს; ფაქტობრივად, მხოლოდ მედიატორის როლიღა შეგვრჩა.

ქალთა შრომითი უფლებების დაუცველობის საკითხი რეგიონებში ძალიან მწვავედ იდგა. ხშირად, ქალები შრომის კოდექსში ჩახედულნი არ იყვნენ და რომც ყოფილიყვნენ, მენტალიტეტიდან გამომდინარე, უმრავლესობა თავის კანონიერ უფლებას ვერ გამოიყენებდა. **საია-ს გორის ოფისის ხელმძღვანელის, ქეთი ბებიაშვილის** სიტყვით, 2006 წლიდან მომართვიანობაში შრომითი დავები წარმოდგენილი იყო ორსული და მეძუძური დედების პრობლემატიკით. ლაპარაკია შეკითხვებზე მეძუძური დედებისგან, მაგრამ ჩივილამდე საქმე არ მისულა. იყო შემთხვევა, როდესაც დეკრეტულ შვებულებაში მყოფი ქალბატონი სამსახურიდან გაანთავისუფლეს, რაც მან სულ შემთხვევით გაიგო. ქალბატონი სამართლიანობის აღდგენას შეეცადა და განთავისუფლების ბრძანება გაუქმდა.

ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის გორის ოფისის თანამშრომელმა ჟანა ადუაშვილმაც გვითხრა, რომ არაერთხელ ყოფილა დეკრეტში გასული ქალბატონების სხვა მუშაკებით ჩანაცვლების ფაქტები. დაზარალებულებმა არ იჩივლეს, ამიტომ ეს ფაქტები ფართო საზოგადოებისათვის უცნობი დარჩა. **ჟანა ადუაშვილმა** ეს ახსნა, ერთის მხრივ, მენტალური პრობლემებით (მომჩივანს ცუდი თვალით უყურებენ), მეორეს მხრივ, ქალბატონებს მიაჩნდათ, რომ მათ გასაჭირს გულთან ახლოს არავინ მიიტანდა. ერთ სამედიცინო დაწესებულებაში დეკრეტული

შვებულებიდან გამოსულ ქალბატონს თავისი ადგილი დაკავებული დახვდა. ცხადია, ჩივილის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო უკანონო ბრძანების გაუქმება, მაგრამ ქალბატონმა საქმის მშვიდობიანად მოგვარება არჩია. ეგონა, სხვა ადგილს გამოუძებნიდნენ, რაც, ცხადია, არ მომხდარა.

რა არის ეს, თუ არა ქალებზე ძალადობა?! ბატონი გიგი წერეთელის ადგილზე არ ვიქნებოდი იმაში დარწმუნებული, რომ შრომის კანონმდებლობის საკითხი ქალთა უფლებებს არ უკავშირდება. თუმცა, იქნებ, მას შემდეგ აზრი შეიცვალა?..

დღეს

მას შემდეგ კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებები შევიდა. საჯარო სექტორში დასაქმებული პირისთვის ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება - 730 კალენდარული დღის ტოლია. აქედან, გაუგებარი მიზეზების გამო, ანაზღაურებადია მხოლოდ 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში - 200 კალენდარული დღე. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო გაცემული დახმარების თანხა არ აღემატება 1000 ლარს.

რაც შეეხება კერძო სექტორს, კანონი კერძო დამსაქმებელს დეკრეტული შვებულების ანაზღაურებას არ ავალდებულებს. ეს მხოლოდ მისი კეთილი ნებაა. სახელმწიფო კი ქალს იმავე ერთჯერად (1000 ლარამდე) დახმარებას სთავაზობს. თანხის რაოდენობა ქალის ხელფასზეა დამოკიდებული. თუ ხელფასი მცირეა, შესაძლოა, ათას ლარზე ბევრად ნაკლებიც მიიღოს; მაღალი ხელფასის შემთხვევაშიც, ერთჯერადი დახმარების თანხა ათას ლარზე მაღალი ვერ იქნება.

საინტერესო დეტალი: ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისთვის ცხადია, რომ ბავშვის გაჩენა-აღზრდაზე გაწეული შრომა ადამიანის საქმიანობათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. უფრო მეტიც: ეს სტრატეგიული მნიშვნელობის შრომაა, ვინაიდან ყველაზე მთავარ ფასეულობას - მოქალაქეს აყალიბებს. დემოგრაფიული ასპექტი კიდევ ცალკე საკითხია. ამდენად, დეკრეტში გასული დედა სამადლო მიზერულ დახმარებას კი არა, მოწიწებით აღსავსე უხვ წახალისებას იმსახურებს. იგივეს ვიტყოდი დეკრეტში გასული მამის შემთხვევაში.

2017 წლის 19 დეკემბრის ჩანაწერის თანახმად, **საქართველოს შრომის კოდექსში** ქალთა უფლებების დასაცავად სპეციალური რეგულაციები შევიდა. საერთო უფლებების გარდა, რაც ნებისმიერ დასაქმებულს აქვს, აგრეთვე დამატებითი დამცავი ნორმებიც დაწესდა:

შრომის კოდექსი დამსაქმებელს აკისრებს ვალდებულებას, რომ მან უზრუნველყოს ორსული ქალის დაცვა ისეთი შრომისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან ნაყოფის კეთილდღეობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

აკრძალულია ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

აკრძალულია ორსული ან ახალნამშობიარები ქალის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

აკრძალულია ღამის სამუშაოზე (22 საათიდან 6 საათამდე) ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალის დასაქმება, აგრეთვე 3 წლამდე ასაკის ბავშვის მომვლელის დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

დასაქმებულს, რომელიც მეძუძური ქალია და კვებავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვს, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 1 საათისა. ბავშვის კვებისათვის შესვენება ითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება.

აკრძალულია დასაქმებული ქალის სამსახურიდან გათავისუფლება თავისი ორსულობის შესახებ დამსაქმებლისთვის შეტყობინებიდან შესაბამისი შვებულების მთელი პერიოდის განმავლობაში. გამონაკლისები დაიშვება მაშინ, თუკი გათავისუფლება ხდება ისეთი საფუძვლით, როგორიცაა: შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა; ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება; პირადი განცხადებით სამსახურიდან წასვლა; მხარეთა წერილობითი შეთანხმება; სასამართლოს განაჩენის ან გადაწყვეტილების ძალაში შესვლა, რომელიც შრომითი ურთიერთობის გაგრძელებას გამორიცხავს.

საჯარო სამსახურში დასაქმებული ქალი არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის, ან მოხელის შეფასების შედეგების გამო.

მოხელეს უფლება აქვს 1 წლამდე ასაკის ბავშვის აღზრდისათვის, აგრეთვე, ორსულობის პერიოდში, ისარგებლოს ნახევარ განაკვეთზე მუშაობის უფლებით.

ცალკე საკითხია, რომ საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მესამე ნაწილი კრძალავს შრომით ურთიერთობებში ყოველგვარ დისკრიმინაციას. და კიდევ: გენდერული თანასწორობის კანონის მე-6 მუხლი ითვალისწინებს შრომით ურთიერთობებში გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვას და სახელმწიფოს მხრიდან ორივე სქესის დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობას.

შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ, რომ პრობლემა მოგვარდა?

სამწუხაროდ, არა. მიზეზები უამრავია. მაგალითად, **ადვოკატ ეკა იობაძის** პრაქტიკაში ხშირია ფაქტები, როდესაც ქალები ვერ ახერხებენ არსებული კანონების გამოყენებას საკუთარი შრომითი უფლებების დასაცავად:

- მაგალითად, ასეთი ფაქტი მახსენდება: ერთ დაწესებულებაში გამოცხადდა იურისტის ვაკანსია. გოგონამ გაიარა ყველა ეტაპი, 70-მდე მონაწილიდან სამი პირი რომ დარჩა, ბოლო გასაუბრებაზე განუცხადეს: ყველაზე უკეთესი მონაცემები გაქვთ, მაგრამ „სარბენი სამუშაოა“ და, განკარგულების თანახმად, ბიჭი უნდა ავიყვანოთო. ანუ გადაწყვიტეს, რომ ეს არ იყო გოგოს შესაფერისი საქმე. ამ დროს ეს არ ყოფილა იმ ტიპის სამუშაო, რომელიც, შრომითი კანონმდებლობის თანახმად, ქალის ჯანმრთელობისთვის შეუფერებლადაა მიჩნეული. ეს, ფაქტობრივად, იყო სქესის ნიშნით დისკრიმინაცია. მსგავსი შემთხვევები ხშირად რეაგირების გარეშე რჩება.

აგრეთვე, არსებობს სიძნელეები ფეხმძიმე და მცირეწლოვანი ბავშვების დედებისთვის, რომლებიც ვერ სარგებლობენ შრომის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით, მაგალითად, ვერ იყენებენ ბავშვის მოვლისთვის საჭირო დამატებით შესვენების დროს და ა.შ, ვინაიდან, შემდგომ, ადმინისტრაციის მხრიდან მოხდება მათი ირიბი ხერხებით შევიწროება. თუკი უფროსობას ძალიან უნდა მუშაკის სამსახურიდან განთავისუფლება, კანონიერი მიზეზის მოძიებას ყოველთვის მოახერხებს. ამიტომ კანონში ჩადებული დეკლარაციული ნორმები არ კმარა. აუცილებელია აღსრულების მექანიზმების დახვეწა; აგრეთვე შრომით დავებზე ორიენტირებული უფასო იურიდიული სერვისების განვითარება, ვინაიდან ადვოკატის მომსახურება არ არის იაფი სიამოვნება. ადამიანებს საკუთარი უფლებების დაცვა ხშირად ფინანსური ფაქტორის გამო უჭირთ. რეაგირების გარეშე დარჩენილი დარღვევები კი შემდგომი დარღვევების წახალისებაა. როდესაც დამსაქმებელს ეცოდინება, რომ მისი უკანონო გადაწყვეტილება რეაგირების გარეშე არ დარჩება, ასე მარტივად ვეღარ შეძლებს დასაქმებულთა უფლებების შელახვას.

მნიშვნელოვანი დეტალი: კანონი დასახვეწია, მაგრამ რაც არსებობს, იმასაც რომ არ იცნობ და ვერ იყენებ, ესეც არანაკლები პრობლემაა. სახელმწიფო ვალდებულია, რომ მოქალაქეთა სამოქალაქო განათლებაზე იზრუნოს. სამართლებრივი ცოდნის მინიმუმს ყველა უნდა ფლობდეს. განვითარებულ ქვეყნებში ეს საკითხი დიდიხანია გადაწყვეტილია. მოსწავლეები და სტუდენტები სასწავლო დაწესებულებებში შესაბამისი სამართლებრივ განათლებასაც იღებენ.

თავი მეთერთმეტე

ქალთა

პოლიტიკური აქტიურობა

მამაკაცებს ქალთა გააქტიურება აფრთხობთ

„რატომ სურთ ამ ქალბატონებს დეპუტატობა? დარჩნენ
იმათ, რაც არიან - ბოზებად!“

რაიმონ დიუპლატიე
ფრანგი სენატორი

1932 წელი

2003 წელს *საპარლამენტო ტრიბუნიდან* ***ადა მარშანიამ*** *სახელისუფლებო ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად პარლამენტს პარტიული სიების კვოტირება შესთავაზა. რეაქცია საკმაოდ ოდიოზური იყო; საბედნიეროდ, პარლამენტარ მამაკაცებს რაიმონ დიუპლატიესავით უცენზურო ლანძღვა-გინება არ დაუწყიათ, მაგრამ ფრიად გახალისდნენ:*

– კი ბატონო, სულ ქალბატონები, თანაც მხოლოდ ლამაზები დავსვათ პარლამენტში; ისინი საქმეს უკეთ გააკეთებენ. ჩვენ კი თოხი დავიჭიროთ! – „დიდსულოვნად“ დათმო ***ჯემალ გოგიტიძემ.***

– მეშინია, რომ პარლამენტში მოსახვედრად მამაკაცები ქირურგიული წესით სქესს გადაიკეთებენ! – „შეშფოთდა“ ***გიგი წერეთელი.***

– კუზანოვს რიგი დაუდგება! – გახალისდა ***გივი შულაროვი****.*

– მოდით ზედა და ქვედა პალატა დავაარსოთ! ზედაში ქალბატონები დავსვათ, ჩვენ კი ქვედაში ვიყოთ! – „მიაგნო“ კომპრომისულ ვარიანტს ***ვასილ მაღლაფერიძემ.***

კულუარებში უარესი „მარგალიტებიც“ აფრქვიეს:

„კი მაგრამ, სად მოვნახოთ ამდენი ჭკვიანი ქალი ერთად?“

„რა საჭიროა ეს მეტიჩრობა? ბოლოს და ბოლოს, ქალის საქმე ქმარი და ოჯახია!“

ერთი შეხედვით პარადოქსია, მაგრამ ასე ოხუნჯობდნენ როგორც კონსერვატიულ-ტრადიციულად მოაზროვნე, ისე ულტრაევროპული ფრაზეოლოგიით მოკეკლუცე პარლამენტარები. რა იდგა ამ სიცილ-ტკარცალის მიღმა, თუ არა ვითომ სახუმარო „ქალი - კუხნაში!“? ავტორის აზრით, ეს იყო ქალთა მხრიდან კონკურენციის ბანალური შიში, მის უკან ჩასაფრებული ფემინოფობიით, ან, სულაც, მიზოგინიით. ამ პროექტის ჩაგდებით ქალებს გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურისკენ მიმავალი გზა, ფაქტობრივად, გადაუკეტეს.

საინტერესო დეტალი: ავტორის მიერ გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩატარებულ კვლევაში, ქალთა 43,71%-მა და მამაკაცთა 78,31%-მა მიიჩნია, რომ ქალი ინტელექტუალური შესაძლებლობებით ჩამორჩება მამაკაცს. საეჭვოა, 2003 წლისთვის სიტუაცია არსებითად შეცვლილიყო ამდენად, პარლამენტართა არასერიოზული დამოკიდებულება საკვლევი ლოგიკური გახლდათ.

ეს იყო აღნიშნულ თემაზე კანონპროექტის შემოთავაზების მეორე მცდელობა. თავად იდეა **გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW)** მიერ იყო რეკომენდებული. სულ ხუთი მცდელობა განხორციელდა (დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ხუთ ტალღად მოიხსენიებენ).

პირველი მცდელობა **1998 წლით** თარიღდება (სამწუხაროდ, ამ პერიოდზე სრული ინფორმაცია დღესდღეობით არ არსებობს). **2003 წლისთვის** მომზადდა გენდერული კვოტირების ორი დამოუკიდებელი ინიციატივა. ერთი ეკუთვნოდა **ქალთა პოლიტიკურ ფორუმს** და ითვალისწინებდა პარტიული სიების ყოველ ათეულში, ქალი-კანდიდატების არანაკლებ 40%-ს. ამას აქტიურად უჭერდა მხარს **NDI-ს** საქართველოს წარმომადგენლობა. მეორე ინიციატივა (რომელიც 2003 წელს ადა მარშანიამ გააჟღერა) - პარლამენტის წევრ ქალებს**.** იმავე წელს აღნიშნულ თემაზე პუბლიკაციის მოსამზადებლად პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა კომენტარები ჩავიწერე.

აი, რა მითხრა მაშინ **ადა მარშანიას** მიერ ლობირებული ვერსიის ერთ-ერთმა ავტორმა, **ნანი ჭანიშვილმა („გენდერული განვითარების ასოციაცია"):**

- თავდაპირველად, უმრავლესობა ჩვენი ინიციატივის მიმართ პოზიტიურად განეწყო, მაგრამ კენჭისყრა მაინც ვერ მოხერხდა. მეორე მოსმენაზე, გარკვეულმა ძალებმა თავისი გაიტანეს და კანონპროექტი გააქილიკეს. მესამე მოსმანეზე კი ჩავარდა. მიუხედავად ამისა, პრეცენდენტი ძალზე მნიშვნელოვანია. არჩევნების დროს ჩატარდება გამოკითხვა და გაირკვევა კანდიდატის დამოკიდებულება კვოტირებასთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, ბევრ პოლიტიკოსს თავისი უარყოფითი პოზიცია ამომრჩეველ ქალთა ხმების დაკარგვად დაუჯდება.

ადა მარშანიას აზრით, ქილიკის მიუხედავად, ამ წინადადების საპარლამენტი ტრიბუნიდან გაჟღერების ფაქტი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა იყო. შეიქმნა პრეცენდენტი, რაც იმის გარანტი იყო, რომ მცდელობები მომავალშიც გაგრძელდებოდა:

- კავკასიური მენტალობიდან გამომდინარე, დარბაზის ქილიკი ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ე.წ. „ქალის კულტი" ქალს, ძირითადად, ოჯახის კონტექსტში მოიაზრებს, ხოლო მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიბრტყეზე დანახვა ძალიან უჭირს. ქალების მხრიდან კონკურენციის შიშიც გასათვალისწინებელია. მამაკაცებს აფრთხობს პოლიტიკურ სარბიელზე ქალების გააქტიურება. ოპონენტთა ნაწილმა ინიციატივის „არაკონსტიტუციურობაზე" მიუთითა: ქალთა სასარგებლოდ კვოტირების დაწესება სქესთა თანასწორობის პრინციპს დაარღვევსო, რაც იმას მიუთითებს, რომ არ ესმით ინიციატივის არსი. კვოტირება დროებითი ზომაა და ითვალისწინებს კონკრეტულ მიზანს - გენდერული ბალანსის მიღწევას და არა უპირატესობის მინიჭებას. პარტიულ სიებში ყოველ მეოთხე ადგილზე ქალის დასახელება გაზრდის ჩვენს წარმომადგენლობას გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში. საზოგადოება ამას შეეჩვევა, ქალები გააქტიურდებიან და მათი წილი მაჟორიტარებს შორისაც მოიმატებს. ამ გამოცდილებამ მსოფლიო მასშტაბით გაამართლა. სამწუხაროდ, მხარი არც პარლამენტარმა ქალბატონებმა დაგვიჭირეს - რაში გვჭირდება რაღაც განსაკუთრებული პირობები, ინვალიდები ხომ არ ვართო?! **ნინო**

ბურჯანაძე თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა ამ იდეას. არავის გაუაზრებია ჩვენი წინადადება რაციონალურად. არადა, ქალების სიმცირე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში ქვეყანას აზარალებს. მართვა-ორგანიზაციაში ყოველთვის წარმოდგენილი უნდა იყოს სამყაროს ხედვის ქალური მხარე, რომელიც, ძირითადად, გარემოს ჰარმონიზაცია-კეთილმოწყობაზეა ორიენტირებული. რა პრინციპებით ხელმძღვანელობს სანიმუშო დიასახლისი? ეს არის ოჯახის წევრთა კვება, ჩაცმა, ჰიგიენა, ჯანმრთელობასა და განათლებაზე ზრუნვა, ურთიერთობის წეს-ჩვეულებათა ჩამოყალიბება, საცხოვრისის მოწესრიგება, კომფორტის შექმნა. იგივე პრინციპები ქალს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სარბიელზე გადააქვს, რაც სახელმწიფოს მოწყობისა და სოციალური პროგრამების განხორციელებაში ვლინდება. ნებისმიერი ქვეყანა, სადაც ქალთა პოლიტიკური აქტიურობა დაბალია, ამ კუთხით მოისუსტებს. შორს წასვლა არც მოგვიწევს, ამის მაგალითი თავად საქართველოა.

პარლამენტარმა ქალბატონებმა განსაკუთრებული პირობები ტყუილად იუკადრისეს. მათ აშკარად დაავიწყდათ, რომ პატრიარქატმა ქალს სწორედაც რომ „სოციალური ინვალიდის“ როლი არგუნა. თავად ტერმინი „ინვალიდი“ უვარგისს ნიშნავს. სხვა რა იყო პატრიარქალური იდეოლოგია, თუ არა ქალის უვარგისობის დასაბუთება და ამის საფუძველზე თვითრეალიზაციის სფეროების შეზღუდვა? მაგალითად, **დორმერ სტენჰოუპს (1694 - 1773, სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი)** მიაჩნდა, ჭკვიანი ადამიანი ქალს ჭკვიანი ბავშვივით უნდა ექცეოდეს - ეთამაშოს, უძღვნას ქათინაურები, მაგრამ, სერიოზულ თემებზე მათთან საუბარი არ ღირსო. **ნევროპათოლოგი და ფსიქოთერაპევტი პოლ მობიუსი (1853 - 1907)** თავის ნაშრომში **„ქალის ფიზიოლოგიური გონებასუსტობა“** წერდა - ქალს არ ძალუძს კარგისა და ცუდის განსხვავება. ამიტომ ინსტიქტი აიძულებს საკუთარ თავში დაურწმუნებელი და მამაკაცზე დამოკიდებული იყოსო. მისი აზრით, გათხოვების შემდეგ ქალი სულიერად დეგრადირებდა და პრიმიტიული ხდებოდა. ასეთ სტერეოტიპებს საუკუნეთა მანძილზე „მიჰყავდა აღლუმი“. ამასობაში ქალი შეეგუა თავის „სოციალურ ინვალიდობას“. წიგნის ავტორის აზრით, სწორედ ეს გახლავთ ქალთა დიდი ნაწილის სოციალურ-პოლიტიკური პასიურობის ყველაზე სიღრმისეული მიზეზი. უფლებადამცველებმა დისკრიმინაციული ტერმინის - „ინვალიდი“ ნაცვლად, „შეზღუდული შესაძლებლობის პირი“ დაამკვიდრეს, რაც უფრო კორექტულია და ზუსტად მიესადაგება ქალის ისტორიულ სტატუსს. ათასწლეულთა მანძილზე მას შესაძლებლობები ხელოვნურად შეუზღუდეს და კვოტირება სწორედ ამ უსამართლობის გამოსწორებას ემსახურება. სამწუხაროა, როდესაც ქალების სასიკეთო ინიციატივებს ისევ ქალები ებრძვიან.

„მამაკაცები ქალებს ასე ადვილად ვერ მოერევიან, თუკი ამაში თავად ქალი არ დაეხმარა!“ - თქვა ნანა დევდარიანმა 1996 წელს ქალთა ორგანიზაციების გაერთიანების მიერ მოწყობილ კონფერენციაზე. როზა კუხალაშვილსაც აწუხებს დეპუტატი ქალების არამყარი პოზიცია. მმართველ პარტიაში ყოფნისას მხარს არ უჭერდნენ კვოტირებას; სამაგიეროდ, როგორც კი ოპოზიციაში გადაინაცვლეს, უცებ შეიცვალეს აზრი და მოეწონათ. მხარდაჭერას ფასი მაშინ აქვს, როცა პროცესებზე ზეგავლენა შეგიძლია, და არა მაშინ, როცა შენზე აღარაფერია დამოკიდებული.

აი, რა თქვა 2003 წელს კვოტირების თემის გარშემო შექმნილ სიტუაციაზე **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ლელა გაფრინდაშვილმა:**

- საუკუნის დასაწყისში კანონპროექტის ჩავარდნა საკმაოდ კანონზომიერი იყო. კვოტირების მნიშვნელობის გააზრებას პოლიტიკური განათლების სხვა დონე სჭირდებოდა, რაც ჩვენი პოლიტიკოსების უმრავლესობას დღესაც კი არ გააჩნია; საზოგადოების ფართო ფენებზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. წლების განმავლობაში სწორედ ქალები წარმოადგენდნენ საარჩევნო პროცესის პიარ-კამპანიათა ლოკომოტივებს, მაგრამ, ძირითადად, მამაკაცთა სასარგებლოდ ირჯებოდნენ; აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ეს ზღვა ენერგია შეეძლოთ თავის პოლიტიკურ თვითრეალიზაციაზე დაეხარჯათ. დამოუკიდებელი პოლიტიკური ინიციატივის უქონლობის მიღმა არაინფორმირებულობა და გაუცნობიერებელი პოლიტიკური ინერტულობა იდგა. ამიტომ, დიდი ხნის მანძილზე, მასკულინურ გარემოში წარმატებას, ძირითადად, ფსიქიკის „მამაკაცური" სტრუქტურის ქალები აღწევდნენ. **ნინო ბურჯანაძეს** საარჩევნო პროგრამაში არ ჰქონდა წარმოდგენილი სოციალური პრობლემატიკა; სამაგიეროდ, შეინიშნებოდა აგრესიულ-მასკულინური მოტივაცია, თუნდაც ტერიტორიების დაბრუნების საკითხში. ეს წმინდა მამაკაცური მიდგომაა.

პარალელი: სოციალური აქცენტი „ქალურ" მმართველობას ნამდვილად ახასიათებს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს ფაქტი არა იმდენად სქესთანაა დაკავშირებული, არამედ უფრო კულტურული ფენომენია. კაცობრიობას ახსოვს კულტურები, სადაც ქალი მამაკაცის თანაბრად ეუფლებოდა საომარ ხელოვნებას და ბრძოლის ველზეც ტოლს არ უდებდა. მათი მმართველი ქალების მოქმედებაც აგრესიულ-მასკულინური იყო. მაგალითად სკვითების დედოფალი ტომირისიც იკმარებს.

ქალის აქტიურობის სოციალურ სფეროსთან მიბმა საუკუნის დასაწყისში ძალიან მდგრადი აღმოჩნდა. **2003 წლის დეკემბერში საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის „კავკასიური სახლის" და ჰაინრიხ ბიოლის ფონდის თანამშრომლობით** ჩატარდა კვლევა **„სტუდენტთა დამოკიდებულების შესწავლა პოლიტიკურ და სოციალურ სფეროში ქალთა მონაწილეობის შესახებ".** კვლევის ავტორი გახლდათ **ფსიქოლოგი ია მერკვილაძე**. გამოკითხულთა 71,6%-მა ქალი სწორედ სოციალური სფეროში დაინახა. მისი პოლიტიკური აქტიურობის შემაფერხებელ ფაქტორებად დასახელდა: საზოგადოებრივი განწყობები - 26%, გამოუცდელობა პოლიტიკური მოღვაწეობის კუთხით - 19%, ნაკლები დაინტერესება პოლიტიკით - 15%, დემოკრატიის არასწორი გაგება საზოგადოებაში - 13%, ფინანსურად დამოკიდებული პოზიცია - 12%, კრიზისული სიტუაციების მართვის უუნარობა - 10%, კონკრეტული პოლიტიკოსი ქალების ცუდი იმიჯის ზეგავლენა - 10%, ქალთა სუსტი წინასაარჩევნო კამპანიები - 7%, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან არასაკმარისი მხარდაჭერა - 6%, სხვა - 7%. რესპონდენტთა 31%-მა კვოტირება დადებითად შეაფასა (სოციალური პრობლემების მოგვარებაზე დადებითად აისახებაო); გამოკითხული ქალების 60%-მა შესაძლებლად მიიჩნია ოჯახის შეთავსება პოლიტიკურ საქმიანობასთან. 41%-ის აზრით, კვოტირების საკითხს არ ჰქონდა მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკური კეთილდღეობისთვის, ხოლო 28%-მა პასუხისგან თავი შეიკავა.

კვლევამ აჩვენა, რომ საუკუნის დასაწყისში კვოტირების/ქალთა პოლიტიკური აქტიურობის მიმართ დამოკიდებულება თავად ქალებში იყო არაერთმნიშვნელო-

ვანი, ხოლო მამაკაცთა უმრავლესობას ამაზე საუბარი კიდეც აღიზიანებდა.

ადა მარშანიას ინიციატივაზე პუბლიკაციის მომზადებისას მამაკაცთა პოზიციითაც დავინტერესდი. **პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ** განაცხადა: კვოტირების შემთხვევაში წინსვლა მოხდება არა პიროვნული ღირსების, არამედ სქესის ნიშნის მიხედვით, რაც პოლიტიკის ხარისხს გააუარესებსო. კვოტირების იდეა არც **პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელმა რომან გოცირიძემ** მოიწონა: ქალთა პოლიტიკური აქტივობის იდეა გამართლებულია, მაგრამ კვოტირება ხელოვნურია და კარგს არაფერს მოგვიტანსო. ყველაზე გონივრულად კი რეალობის თანდათან გამოსწორება მიიჩნია.

ალექსანდრე ნალბანდოვმა კვოტირება შეაფასა, როგორც მდგომარეობის გამოსწორების ეფექტიანი ფორმა ისეთი ქვეყნისთვის, სადაც „დე იურე“ და „დე ფაქტო“ ერთმანეთს არ ემთხვევა:

- პარლამენტში ქალთა მცირე წარმომადგენლობა ნიშნავს უზარმაზარი ინტელექტუალური პოტენციალის გამოუყენებლობას. დაუშვებელია, რომ ელექტორატის ნახევარი მხოლოდ ექვსი პროცენტით იყოს წარმოდგენილი. კონსტიტუციურად ქალი და მამაკაცი თანასწორია, მაგრამ, რეალურად, ქალს მეტი წინააღმდეგობის გადალახვა უწევს; ამიტომ გვირჩევენ კვოტირების დანერგვას გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. საქართველოს არასამთავრობო სტრუქტურებიც იგივეს მოითხოვენ, რაც სავსებით გამართლებულია.

აი, როგორი იყო პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის სტატისტიკა წლების მიხედვით: 1992 - 6,3%, 1995 - 6,4%, 1999 - 7,2%, 2004 - 9,4%, 2008 - 6,5%, 2012 - 12%, 2016 - 16%. ფინანსურმა წახალისებამ აშკარად „არ იმუშავა“. ქალთა წარმომადგენლობის ზრდის დინამიკაც დაბალია. სიტუაციის გამოსწორება მხოლოდ კვოტირებითაა შესაძლებელი.

პირველი წარმატებები

კვოტირების საკანონმდებლო ინიციატივა მესამედ **2008** წელს იქნა წარდგენილი. ინიციატივის ავტორი იყო **ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი,** მხარს **ეუთო** უჭერდა და **ქალთა კოალიციის სამუშაო ჯგუფის** სახელით გაუღერდა. ამ თარიღთანაა დაკავშირებული პირველი წარმატებები.

აი, რა მითხრა **მაია კუპრავა-შარვაშიძემ გენდერული თანასწორობის ქსელის კოორდინატორმა, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის (Gender Task Force – GTF)** წევრმა:

- პარლამენტს წარვუდგინეთ 32400 ამომრჩეველის მიერ ხელმოწერილი კანონპროექტი. მის თანახმად, პარტიას პროპორციულ სიაში სქესთა 50% - იანი ბალანსი უნდა ჰქონოდა დაცული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველ 5%-იან დარღვევაზე საბაზისო დაფინანსების 5% დააკლდებოდა. ხოლო მაჟორიტარ კანდიდატებზე (როგორც ძირითადზე,

ასევე სარეზერვოზე) სქესის პროპორციულობის ყოველ დარღვევაზე დაფინანსება მცირდებოდა 10%-ით. სამწუხაროდ, პარლამენტმა არც ეს ინიციატივა განიხილა. მაგრამ ჩვენს ცდებს უშედეგოდ მაინც არ ჩაუვლია - **2010 წლის გენდერული თანასწორობის კანონის** მიღება სწორედ ამ კანონპროექტის გამოძახილი იყო. მოგვიანებით, **2011 წელს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, რუსუდან კერვალიშვილის** ინიციატივით, მიიღეს პოლიტიკური პარტიების ფინანსური წახალისების კანონი: იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც პარტიულ სიებში 20%-იან გენდერული ბალანსს დაიცავდნენ, დაფინანსება 10%-ით გაეზრდებოდათ. **2013 წელს, Gender Task Force - GTF სამუშაო ჯგუფის** სახელით და მმართველ პარტიასთან თანამშრომლობით, **მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ ორგანულ კანონში** შევიდა ცვლილება **(30-ე მუხლის 71 პუნქტი)**. პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც პარტიული სიის ყოველ ათეულში სამი ქალი ეყოლებოდათ წარმოდგენილი, დამატებით 30%-ან დაფინანსებას მიიღებდნენ. ამ ინიციატივაზე მე და **ქალბატონმა რუსუდან კერვალიშვილმა** ვიმუშავეთ. უმრავლესობის მხრიდან აქტიურად გვეხმარებოდა **ბატონი თამაზ კრავეიშვილი**. ამ წარმატებით მოტივირებულებმა, მალევე წარვადგინეთ წინადადება, რომლის თანახმად, ამომრჩეველთა სიებს უნდა დამატებოდა სქესის განმსაზღვრელი პუნქტი და ეს ინიციატივაც წარმატებით დასრულდა.

კვოტირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივა მეოთხედ დაარეგისტრირა **Gender Task Force-მა 2015 წლის 10 ივნისს**. ინიციატივა **ნინო ჯანაშიამ (Gender Task Force-ის წევრი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების იურისტი)** წარადგინა. მოთხოვნა ეხებოდა პროპორციულ სიებში სქესთა შორის 50%-იან ბალანსს; ანუ პროპორციული წესით არჩეული 77 წევრიდან 38 ქალი უნდა ყოფილიყო, რაც, დღევანდელი პარლამენტის შემადგენლობის 25%-ს შეადგენდა. ინიციატივა არ ითვალისწინებდა რაიმე სპეციალური ზომის დაწესებას მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით. ჯგუფში შემავალი ყველა ორგანიზაცია მხარს უჭერდა მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას, რომელიც აფერხებს ქალთა დაწინაურებას პოლიტიკაში. მენტალიტეტიდან გამომდინარე, მოქალქეები მაჟორიტარებად უფრო მამაკაცებს ასახელებენ. 2015 წლის საკანონმდებლო წინადადებას პარლამენტში ლობისტი არ გამოუჩნდა და პლენარულ სხდომაზე განსახილველად ვერ მოხვდა; თუმცა განხილული იქნა **ადამიანის უფლებათა დაცვისა** და **სამოქალაქო ინტეგრაციის და იურიდიულ საკითხთა კომიტეტებზე**. პირველმა კომიტეტმა საკანონმდებლო წინადადებას მხარი დაუჭირა, ხოლო მეორემ - არა. ამავე პერიოდში, არასამთავრობო ინიციატივის პარალელურად, **პარლამენტის წევრების, ნანა ყეინიშვილის** და **თეიმურაზ ჭკუასელის** მიერ წარდგენილი სამთავრობო ინიციატივის თანახმად, პროპორციულ სიაში ყოველი მესამე განსხვავებული სქესის (ქალი კანდიდატი) უნდა ყოფილიყო. ინიციატივა განიხილეს პლენარულ სხდომაზეც, მაგრამ კენჭისყრა გაურკვეველი ვადით გადაიდო და მე-8 მოწვევის პარლამენტში აღარც ჩატარებულა.

აღნიშნულმა მცდელობებმა მომავლის პერსპექტივაში სერიოზული შედეგი გამოიღო. ამაღლდა საზოგადოების გენდერული ცნობიერება, გაიზარდა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდამჭერთა რიცხვი, გაძლიერდა ქალთა მოძრაობა. თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებშიც ჩატარდა საპროტესტო

აქციები ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მოთხოვნით. **2017 წელს საიამ საკონსტიტუციო კომისიის** ფორმატში ადვოკატირება გაუწია **არსებითი თანასწორობის პრინციპის** აღიარებას და სახელმწიფოს მხრიდან გენდერული თანასწორობისათვის შესაბამისი ზომების უზრუნველყოფას. ამ საკითხის ლობისტი იყო **Gender Task Force-ის წევრი, პარლამენტის ვიცესპიკერი და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავჯდომარე თამარ ჩუგოშვილი**. ძალისხმევამ შედეგი გამოიღო: კონსტიტუციის პროექტის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილში განისაზღვრა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. აგრეთვე, იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

მეხუთე მცდელობა **Gender Task Force-მა** დაარეგისტრირა **2017 წლის 12 ივნისს** (37455 ამომრჩევლის ხელმოწერით). საკანონმდებლო ინიციატივა, **ამერიკის დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI)** მხარდაჭერით, მოამზადა და წარადგინა **ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრმა**. კანონპროექტი ითვალისწინებდა პროპორციულ სიებში ყოველ მეორე ადგილზე განსხვავებული სქესის კანდიდატის წარდგენას. დარღვევის შემთხვევაში, პოლიტიკური პარტია ვალდებული იქნებოდა აღმოეფხვრა ხარვეზი; წინააღმდეგ შემთხვევაში, რეგისტრაციას ვერ გაივლიდა. დეპუტატის მანდატის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს დაიკავებდა სიაში რიგით მომდევნო იმავე სქესის წარმომადგენელი. კანონპროექტი პარლამენტში, ყველა ეტაპზე **მაია კუპრავა-შარვაშიძემ** წარადგინა. უპრეცენდენტო მხარდაჭერისა და დიდი ძალისხმევის მიუხედავად, კანონპროექტი ვერ გავიდა (მხარი დაუჭირა სამოცდაექვსმა დეპუტატმა, თოთხმეტი კი წინააღმდეგი იყო). საერთო ჯამში, ცხრა ხმა დააკლდა.

პარლამენტის სპიკერმა ირაკლი კობახიძემ იმავე სხდომაზე ერთი კვირის ვადაში პარლამენტისთვის ალტერნატიული კანონპროექტის წარდგენა დააანონსა, რაც დაგვიანებით, მაგრამ მაინც განხორციელდა, რაც ჭეშმარიტად ისტორიული გარდატეხა იყო.

თვისობრივი გარდატეხა

ამ წიგნზე მუშაობის პროცესში, **2020 წლის ივლისში,** კვოტირების მოდელის დანერგვის კუთხით, თვისობრივი გარდატეხა მოხდა: პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა საარჩევნო კოდექსის ცვლილებათა პაკეტს. ამიერიდან, საარჩევნო კოდექსის თანახმად, პარტიულ საარჩევნო სიაში ყოველ მეოთხე კანდიდატად განსხვავებული სქესის წარმომადგენელი უნდა იყოს მითითებული. გარდა ამისა, მომდევნო წლებში გათვალისწინებულია არჩევნებზე ქალთა წარმომადგენლობის ეტაპობრივი ზრდა: ქალების რაოდენობა პარლამენტში 2020-წლისთვის გაიზრდება მინიმუმ 30-მდე, 2024 წლისთვის - მინიმუმ 37-მდე, ხოლო 2028 წლიდან პარტიულ სიებში უკვე ყოველი მესამე იქნება განსხვავებული სქესის და ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში 50-მდე გაიზრდება. თუ საარჩევნო სიას ქალი გამოაკლდება, ისევ ქალით უნდა ჩანაცვლდეს, თუ კაცი - ისევ კაცით. კიდევ ერ-

თი დეტალი: გენდერული კვოტირების დაცვისთვის ფინანსურ სარგებელიცაა გათვალისწინებული. სოციალურ ქსელებში უამრავმა ქალბატონმა გამოხატა სიხარული ისტორიული გამარჯვების გამო. განსაკუთრებული სიამაყე ქალთა მოძრაობის წარმომადგენელთა კომენტარებში იგრძნობოდა.

CEDAW კომიტეტის წევრმა, ა/ო „კავკასიური ფემინისტური ინიციატივის“ თავმჯდომარემ, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის წევრმა, ლიკა ნადარაიამ აღნიშნა:

- პანდემიასთან დაკავშირებული კრიზისის გამო, შესაძლა, უკანაც კი წავსულიყავით; კრიზისები ცუდად მოქმედებს მოწყვლად ჯგუფებზე; პირველი, ვინც ტოვებს ასეთ დროს პოლიტიკურ არენას - ქალია; ანუ ხდება მასკულინიზმის გაძლიერება ყველა მიმართულებით. მაგრამ, პირიქით, წინ წავედით. ეს ცვლილება შესაძლებელი გახადა ძალების იმ კონსოლიდირებამ, რაც 2015 წელს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებამ მოიტანა. მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენლობის მხოლოდ ოთხპროცენტიანი ზრდა გვექნება, ეს სწორედ თვისობრივი გარდატეხაა, ვინაიდან ქალთა წარმომადგენლობა გარანტირებულია; შემდგომ ეტაპებზე მისი კიდევ უფრო მეტად გაზრდაა დაგეგმილი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ 30%-იანი დანამატი, რომელიც ადრე წასახალისებლად ეძლეოდა პოლიტიკური პარტიებს, თუკი პარტიულ სიებში ქალებს შეიყვანდნენ, მიზნობრივი გახდა - შიდა პარტიული ქალთა სტრუქტურების გაძლიერებას მოხმარდება. ესეც თვისობრივი გარდატეხის საწინდარია და ფინანსურ ბაზას შეუქმნის ქალთა პოლიტიკურ აქტიურობას. კვოტირების ნორმები ძალაში იქნება 2032 წლამდე, მაგრამ, ცხადია, გადახედვადია იმის მიხედვით, თუ როგორ მოხდება გენდერული უთანასწორობის დაძლევა სხვა სფეროებში; მათ შორის - პოლიტიკაშიც. ამ წლებში რამდენიმე პროცენტიანმა ზრდამაც კი შეცვალა სიტუაცია. ქალი პოლიტიკურ არენაზე უკვე ხილვადია. ნაკლები ინტელექტუალური პოტენციალი იყო ქალთა მოძრაობაში, თუნდაც, 2000-იანი წლების დასაწყისში?! მაგრამ პოლიტიკაში კარი არავინ გაუღო. პირიქით! როდესაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოხდა „კადრების გადადინება“ არასამთავრობო სექტორიდან სახელმწიფო სტრუქტურებში, არც ერთი კარიერულად წინ არ წასულა. ის ფაქტი, რომ ქალთა მოძრაობიდან მოვიდა, მუხრუჭად მოქმედებდა. წინათ პოლიტიკოსი სიტყვა „გენდერს“ თუ ახსენებდა, ეს პოლიტიკური რეპუტაციისთვის დიდი ლაქა იყო. ამას პირადად ვარ შეხებული. ახლა ქალები აღარ გაურბიან გენდერული საკითხების წამოწევას, ვინაიდან ეს მათ პოლიტიკაში ყოფნას აღარ ემუქრება.

ქართველ და გერმანელ ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრის დამფუძნებელი თამარ აბრამიშვილი მტკიცედაა დარწმუნებული, რომ კვოტირება მხოლოდ ქალების ხელისუფლებაში მოყვანის ინსტრუმენტი კი არა, პირველ რიგში, სისტემური ცვლილებების გასაღებია:

- პარტიებს მოუწევთ შეცვალონ სიების შედგენის წესი, იზრუნონ ქალთა მოსაზიდად და განავითარონ პარტიის შიდა დემოკრატიის დონე. პარტიის ლიდერებმა შეკითხვაზე -

როგორ ადგენდნენ საარჩევნო სიებს, გვიპასუხეს - ეს ჩვენი შიდა სამზარეულოაო. კვოტირების მოდელი ამასაც შეცვლის. პარტიებს მოუწევთ ლიდერების გამოსაკვეთად სამართლიანი შიდა არჩევნების ჩატარება. ჩვენ ვითხოვდით საარჩევნო სიებში ყოველი მეორე ყოფილიყო განსხვავებული სქესის ადამიანი. თანასწორობა არის ყოველი მეორე და არა მესამე ან მეოთხე. რატომღაც არავინ იკვლევს პოლიტიკაში მოსული მამაკაცების კვალიფიკაციას, ფსიქიკურ მდგომარეობას, ან ინტელექტს. ქალთა მიმართ კი საზოგადოება უფრო მკაცრია და მოთხოვნებიც უფრო მაღალია. პოლიტიკაში მოსვლის ხელშეწყობა იმასაც გულისხმობს, რომ ქალიც და მამაკაციც მისთვის დამახასიათებელ თავისებურებას ინარჩუნებს და არ ემსგავსება უსქესო პოლიტიკოსს. საჭიროა პოლიტიკაში გვყავდეს ისეთი ადამიანები, რომელთაც კარგად ესმით საკუთარი სქესის საჭიროებები, თუ პრობლემები. დღეს ამისი სრული დეფიციტია. ოცდამეერთე საუკუნე ქალების საუკუნეა. გასაოცარი, თავისუფლების პერიოდში დაბადებული და გაზრდილი თაობა მოდის. დარწმუნებული ვარ, რომ პოლიტიკაში უამრავი ნიჭიერი ლიდერი ქალი გამოჩდება. რაც შეეხება კვოტირების საშუალებით არაკვალიფიცირებული კადრების წამოწევას, პარტიაც მიხვდება, რომ არაკვალიფიცირებული კადრი არ სჭირდება.

არასამთავრობო სექტორი მომავალს იმედიანად არცთუ უსაფუძვლოდ უმზერს. კვოტირების გონივრულმა გამოყენებამ გამოზარდა სკანდინავიაში ლიდერ ქალთა თაობები, რომელთა მზრუნველი ხელი ამ რეგიონს კეთილად წაადგა. ამასთან, როგორც სამართლიანად მიუთითებს ლიკა ნადარაია, მოდელი დროში პროგრესირებადია. შიდა პარტიული ქალთა ორგანიზაციები გაძლიერდებიან პოლიტიკური პროცესების ცოდნის, სტრატეგიული აზროვნების გაღრმავების თვალსაზრისით, რაც საქართველოსაც კეთილად წაადგება.

„ქალები მზად არიან ჩაანაცვლონ პოლიტიკაში უსაქმური მამაკაცები, ხოლო საქმიანებს კი გვერდში ამოუდგნენ!“ - მითხრა ელისო ამირეჯიბმა. ამ პოზიციას ავტორიც უერთდება; აღარაფერი გვიშლის ხელს, რომ პოლიტიკაში სკანდინავიის მაგალითი გავიმეოროთ.

და რატომაც არა?!..

პოლიტიკური მონაწილეობა და „სავსე ქისის“ პრინციპი

სოციალური ჯგუფის სტატუსს განსაზღვრავს პოლიტიკური აქტიურობა, რომელიც, თავის მხრივ, ფინანსურ რესურსს საჭიროებს; ამ რესურსს კი ეკონომიკური საქმიანობა ქმნის. ანუ, ქალთა პოლიტიკურ აქტიურობას შესაბამისი ფინანსური ბაზა ესაჭიროება. **ლუსილ ბოლის „სავსე ქისის პრინციპი“** ამ შემთხვევაშიც აქტუალურია. არც ისაა საკამათო, რომ „პოლიტიკურ ქისას“ ყველაზე წარმატებით თავად ქალები შექმნიან; ანუ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი მჭიდრო კავშირშია მათ ეკონომიკურ აქტიურობასთან. ორივე ერთმანეთს აძლიერებს და, საბოლოოდ, გენდერულ ლანდშაფტზეც აისახება. ქალთა პოლიტიკური გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია აქტიურობა ბიზნესის სამივე (მსხვილ, საშუალო და მცირე) სექტორში. ყველაზე საიმედო, ამ მხრივ, მესაკუთრის პოზიციაა. მცირე ბიზნესის სექ-

ტორი ქალბატონებმა წარმატებით აითვისეს. საშუალო ბიზნესის მფლობელთა შემადგენლობაში, ნაკლებად არიან წარმოდგენილნი. მსხვილი ბიზნესი, კი, ფაქტობრივად, მასკულინიზმის საუფლოა.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლიდან გაეროს ქალთა ორგანიზაცია (საქართველო) ინტენსიურად მუშაობს სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის. იგულისხმება მობილიზაცია, ინდივიდუალური და ინსტიტუციური განვითარება (საგანმანათლებლო პროგრამები). აგრეთვე, ხაზგასასმელია ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს საქმიანობა ქალთა მეწარმეობის წახალისების კუთხით (მაგრამ მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესში).

კავშირ „საფარის“ მიერ **2017 წელს** გამოქვეყნებულ კვლევაში (პროექტი **გაეროს განვითარების პროგრამის - UNDP-ის** და **შვედეთის მთავრობის** ხელშეწყობით განხორციელდა) ვკითხულობთ, რომ ქალთა ჩართულობას ეკონომიკის მაკრო განზომილებაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. კვლევამ აჩვენა, რომ გენდერული სეგრეგირების პროცესი უკვე განათლების სფეროში იწყება. ქალი სტუდენტების რიცხვი ყველაზე დაბალია სოფლის მეურნეობის, საინჟინრო და სამშენებლო დარგებში, აგრეთვე სამეცნიერო პროგრამებში. ეს ტენდენცია სწავლის დამთავრების შემდგომაც გრძელდება. როგორც სოფლად, ისე ქალაქად, შინამეურნეობების 62%-ში უფროსად მამაკაცები მოიაზრებიან. სოფლად ეს ტენდენცია კიდევ უფრო მკვეთრადაა გამოხატული.

საინტერესო დეტალი: 2014 წელს სოფლად რეგისტრირებული 1538 კოოპერატივი აერთიანებდა 13677 პირს; აქედან მხოლოდ 3674 (27%) იყო ქალი. კოოპერატივის თავმჯდომარეებს შორისაც ქალი მხოლოდ 8% იყო; დანარჩენი ქალბატონები კი მეპაიეები იყვნენ.

სავარაუდოდ, მას შემდეგ სიტუაცია დიდად არ შეცვლილა. **2016 წლის** მონაცემების თანახმად, 15 წლის და მეტი ასაკის ქალთა 42% ეკონომიკურად არააქტიურია. იმავე ასაკობრივ კატეგორიაში არააქტიური მამაკაცთა მხოლოდ 22%-ია. მამაკაცთა შორის ეკონომიკურ გააქტიურება ძალზე კარგი მოვლენაა; განსაკუთრებით, წლების განმავლობაში გაგრძელებული კრიზისის დროინდელი აპათიის გათვალისწინებით, მაგრამ ახალგაზრდა ქალთა დასაქმების შედარებით დაბალი პროცენტი ცუდი სიმპტომია. **გაეროს განვითარების პროგრამის** მიერ 2013 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალთა 18%-ს სამსახურის ოჯახთან შეთავსება უჭირს და ურჩევნია არ იმუშაოს, რაც დამოუკიდებელ პოზიციაზე უარის თქმის ტოლფასია. ეს ფაქტი შრომის კანონმდებლობის ხარვეზებსა და დედებზე მიმართული პროგრამების აუცილებლობაზე მიუთითებს. როგორ უნდა გააქტიურდეს ქალი პოლიტიკურად, თუ მის შრომით აქტიურობასაც კი ბარიერები აფერხებს?!

საინტერესო დეტალი: ავტორის მიერ ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკვლევაში, ქალთა 85,24%-მა და მამაკაცთა 93,85%-მა ოჯახის ძირითად მარჩენლად ქმარი მიიჩნია; ანუ, მუშაობა, მათი აზრით, უფრო მამაკაცის შემთხვევაში იყო არსებითი. თუ გასული საუკუნის 80-იან წლებში ქალის პროფესიულ საქმიანობას მენტალიტეტი ბლოკავდა, ახლა ეს უფრო შრომის კანონმდებლობის დამსახურებაა.

კვლევის პროცესში გამოკითხული ათი მსხვილი კომპანიის ხელმძღვანელობა ვერ ხედავდა ქალთა გაძლიერების საჭიროებას; დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ

ორგანიზაციაში წინსვლა მხოლოდ სურვილსა და შრომაზეა დამოკიდებული. ისინი ვერ აცნობიერებდნენ მრავალრიცხოვან დაბრკოლებებს, რომლებიც აფერხებენ ქალების ზრდას როგორც პროფესიულ, ისე სხვა ასპარეზზე და ქალთა გაძლიერებას მხოლოდ დეკრეტულ შვებულებას აკავშირებდნენ. კვლევის თანახმად, 2016 წელს ქალების საშუალო თვიური ხელფასი 731, 2 ლარი იყო, ხოლო მამაკაცის - 1116, 6 ლარი.

პარალელი: აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელსაც, თითქმის ყველა სექტორში, კაცების ხელფასი აღემატება ქალების ხელფასს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ციფრების თანახმად, 2020 წლის მეორე კვარტალში ქალების საშუალო ხელფასი 924,2 ლარია, ხოლო მამაკაცების - 1 352,4 ლარი.

ყველაზე უფრო ძნელად გადასალახი ბარიერი სტიგმური ცნობიერებაა. რამდენიმე თვის წინ, უზენაესი **სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატმა ნუგზარ სხირტლაძემ** გამოაგნებელი განცხადება გააკეთა: მენეჯერულ პოზიციებზე ქალთა დაბალი წარმომადგენლობა თავად ქალების არჩევანია, ვინაიდან ადმინისტრირება ნაკლებად ხიბლავთო. საინტერესოა, რაზე დაყრდნობით გააკეთა ასეთი გამაოგნებელი დასკვნა, როდესაც უზენაეს სასამართლოში 2014-დან 2016 წლამდე ქალი მოსამართლეების რაოდენობა 21%-დან 38%-მდე გაიზარდა? შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მგავსი აზრები მხოლოდ ერთეულებს „აწუხებს“. მამაკაცთა არცთუ მცირე ნაწილს ქალისთვის „სავარძელი“ აშკარად არ ემეტება. განსაკუთრებით - გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში.

სიტუაციის შესაცვლელად აუცილებელია ქალების აქტიურობის გაზრდა პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით. მხოლოდ ასე მოხერხდება გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე არა მხოლოდ მოსვლა, არამედ საიმედოდ გამაგრება. კვოტირების კანონპროექტი ამ პროცესში კატალიზატორის როლს შეასრულებს - ქალები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კანონშემოქმედების პროცესში და მოვლენებზე ზემოქმედების პირდაპირი ბერკეტი ექნებათ.

თაკი მეთორმეტე

ქალის კულტი

ვითი, თუ რეალობა?..

შენიღბული სტიგმა

„ქალებს უკიდურესობები ახასიათებთ. ან კაცებზე გაცილებით უკეთესნი არიან, ან უარსენი“

ჟან დე ლაბრიუერი

თაობათა მანძილზე საზოგადოებას გულწრფელად მიაჩნდა, რომ ქართველი ქალი საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე თაყვანისცემით იყო გარშემორტყმული. ამ ფენომენს **„ქალის კულტად“** მოიხსენიებდნენ. სასმისშემართული თამადა, დანა-ჩანგლის კაკუნის ფონზე, ენაწყლიანად აჩუქურთმებდა ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს ათასჯერ გადაღეჭილი მეტაფორებით და ფსევდო ისტორიული ექსკურსით. **სსრკ-ს** პერიოდში „ქალის კულტი“ განუყოფლად დაუკავშირდა **ქართლის დედის სახე-სიმბოლოს,** რომლის წარმოშობის ისტორია ცალკე კვლევის საგანია. გასულ საუკუნეში **ქართლის დედის სახეს** საპატიო ადგილი მიუჩინეს საბჭოთა იდეოლოგიის სიმბოლოთა პომპეზურ პანთეონში, ვინაიდან კარგად ეხმიანებოდა პოლიტიკურად ანგაჟირებულ, ხმალშემართულ **„როდინა-მატს“**-ს.

ცნობისთვის: ქართლის დედის ქანდაკება ნარიყალაზე 1958 წელს დადგეს თბილისის 1500 წლისთავთან დაკავშირებით. თავდაპირველი გადაწყვეტილების თანახმად - მხოლოდ დროებით, ამიტომ ხისგან იყო შესრულებული. თუმცა, მოგვიანებით, გადაწყვეტილება შეცვალეს და ალუმინით დაფარეს.

სსრკ-ს რღვევის შემდეგ, **ნარიყალაზე** აღმართული ქართლის დედა დემონტაჟისაგან ეროვნულმა სპეციფიკამ იხსნა. ლენინი თავისუფლების მოედნიდან „გააძევეს“, მაგრამ ქართლის დედის მონუმენტური ძეგლი ისევ თავის ადგილზეა. უფრო მეტიც: 1997 წელს ძველი, შედარებით მცირე ზომის ქანდაკება შეცვალა 20 მეტრის სიმაღლის ალუმინის მონუმენტმა. პარალელურად, მოხდა ძველი კონცეფციის განახლება: **ელგუჯა ამაშუკელის „ქართლის დედა“** დამოუკიდებელი და ძლიერი საქართველოს სიმბოლო უნდა გამხდარიყო, თუმცა კრიტიკის ქარ-ცეცხლი მაინც არ ასცდა. 1998 წელს თქვენმა მონა-მორჩილმაც მიუძღვნა ამ თემას პუბლიკაცია. გთავაზოთ რამდენიმე თვალსაზრისს:

ლელა ხომერიკი (ისტორიკოსი):

- „ქართლის დედა“ ასახავს არა ქართველ ქალს, არამედ საზოგადოებაში არსებულ ტრადიციულ აზრს ქართველი დედის შესახებ. მაგრამ რამდენად ზუსტად გამოხატა ავტორმა თუნდაც ეს ტრადიციული შეხედულება? დავიწყოთ იქიდან, რომ ქალი მხოლოდ დედა არ არის... თუ ქართველი დედის სიმბოლოდ განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, რომ შემაშინებლად კატეგორიულია - ან თასი, ან მახვილი! სახეზეც არაფერი აწერია. ვერ გაარკვევ რას ფიქრობს, ან ფიქრობს თუ არა საერთოდ. არსებობს შეხედულება, რომ ქართლის დედის ძეგლი ფემინისტური სიმბოლოა, იმიტომ რომ აქვს არჩევანი - თასი, ან მახვილი. მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ორივე თავად კი არ აიღო, არამედ ააღებინებს. ამას-

თან, წინასწარ განუსაზღვრეს, ვინ მტერია და ვინ მოყვარე.

რუსუდან ფხაკაძე (ფსიქოლოგი):

- ქართულ კულტურაში ქალობა დედობასთანაა გაიგივებული. ქართლის დედა მხოლოდ დედაა, მაგრამ ქალი, ამ სიტყვის სრული გაგებით, არ არის, ვინაიდან ეროტიკულობა ქალში ტრადიციულად „მინუს“ ნიშნით ფასდება. საკუთრივ, ამაშუკელის ქანდაკება კი, ჩემის აზრით, დედობასაც კი არ გამოხატავს. ხმლის მომენტი ზედმეტად მიმაჩნია, ვინაიდან აგრესიულობის ნიშანია. დედობა მოითხოვს სიბრძნეს, ვაჟკაცობას, მაგრამ არა ასეთი სწორხაზოვანი ფორმით.

ილია ზაუტაშვილი (მხატვარი):

- ეს სიმბოლო თავზე მოგვახვიეს. შუა საუკუნეებში, ალბათ, შეესატყვისებოდა ყოფიერებას. მაგრამ დღეს, როდესაც საქართველო ეზიარა მსოფლიო კულტურას, ამ ქანდაკებით იგივე ხაზი გრძელდება - ქალში მნიშვნელოვანია დედა და მეომარი; სამაგიეროდ, მას უკარგავენ ინტელექტს, სოციალურ აქტიურობას, სექსუალობას. ანუ, ქალი მნიშვნელოვანი მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც კარგავს თავისი სქესის ნიშნებს. მუდმივი დედის თანმდევია მუდმივი შვილი. აქედან საზრდოობს ქართველი ადამიანის და ქართული საზოგადოების ინფანტილიზმი.

წარმოდგენილ აზრთა სხვადასხვაობას გასდევს საერთო ლაიტმოტივი: ისტორიულად დამკვიდრებული სტერეოტიპი ქალურ საწყისს გამოვლენის მრავალფეროვნებას უკვეცავს და პატრიარქალურ კლიშეებში ამწყვდევს. პლაკატური მოკრძალებით გარემოცული ქართლის დედის ისტორიულ-მენტალური საწყისები მატრიარქალური ცნობიერების წიაღში ჩაკარგულ დედა-ღვთაებაში უნდა ვეძიოთ. ასეთები იყვნენ **ეგვიპტური ისიდა, წინააზიური კიბელე, ელინური რეა** და ა.შ. ყველა ჩამოთვლილ დედა-ღვთაებას ახასიათებს ძლიერი სექსუალური ენერგეტიკა, ყოვლისმომცველი ინტელექტი და მრავალმხრივი აქტივიზმი. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია **ისიდა,** რომელიც გადაარჩენს თავის მეუღლეს - **ღვთაებრივ ოსირისს** და სამყაროს ბოროტებისგან იხსნის. ისიდაში მნიშვნელოვანია მძაფრი სექსუალობა და **ოსირისისგან** დამოუკიდებელი ძალაუფლებრივი სტატუსი. უფრო მეტიც - ძველეგვიპტურ ღვთაებათა პანთეონში, ფაქტობრივად, ცენტრალური პერსონაა. პატრიარქატის მომძლავრების კვალდაკვალ მოხდა დედა ღვთაების სახის დაკნინება და მისი აქტივიზმის შეკვეცა. ქრისტიანული იდეოლოგიის დამკვიდრების პარალელურად, დედა ღვთაება დედა ღვთისმშობლის ასკეტურ ხატად ტრანსფორმირდება. უბიწო ჩასახვის კონცეფცია საბოლოოდ აფორმებს მის დესექსუალიზაციას, რასაც თავისი იდეოლოგიური და პოლიტიკური საფუძვლებიც ჰქონდა: ქრისტიანულ-პატრიარქალურ სამყაროს სტაბილურობის შესანარჩუნებლად სჭირდებოდა აქტივობაშეკვეცილი და დესექსუალიზირებული ქალი.

პარალელი: გავიხსენოთ პირველი შეცოდების ისტორია: ადამმა და ევამ მიირთვეს აკრძალული ნაყოფი, რათა ავი და კარგი შეეცნოთ და... შეიმოსნენ! სიტყვა „შეცნობა“ ძველად სექსუალური აქტის აღსანიშნავადაც იხმარებოდა („შეიცნო იგი“, ანუ სქესობრივი აქტი დაამყარა). აქაც ჩანს ქცევის მართვის რაოდენ მძლავრი იარაღია ინტიმურ-სექსუალური სფერო. კვლავ გავიმეორებთ: სწორედ ამიტომ ახორციელებს ნებისმიერი ტოტალიტარული სისტემა მის მკაცრ კონტროლს.

საუკუნეთა მანძილზე მოქმედმა პატრიარქალურმა პიარ-მექანიზმმა ფრიად

ხისტი ზნეობრივი ეტიკეტი დაამკვიდრა. ამაში საფუძვლიანად დაეხმარა ეკლესიური იდეოლოგია, რომელმაც სქესობრივი ტაბუებისკენ სწრაფვა ავხორცობად გამოაცხადა. პარალელურად, მოხდა სქესობრივი ქცევის მკაცრი რეგლამენტირება; განსაკუთრებით ქალის შემთხვევაში - მისი სექსუალობა მკაცრად შეიზღუდა. საქართველოში ქალის მისაბაძ სახედ იქცა ქმრის მორჩილი, კარგი მეოჯახე, შვილების მოყვარული ფრიგიდული მეუღლე, ხოლო იდეალად - დესექსუალიზებული ქართლის დედა, რომელიც მხოლოდ დედაა. სატრფოს როლში გაჭირვებით თუ წარმოვიდგენთ; ვნებიან საყვარლად წარმოდგენას კი მკრეხელობაში ჩამოგვართმევენ. ეს ფარისევლური კლიშე თაობათა მანძილზე ინერგებოდა და ქართველ ქალს სრულფასოვანი ქალობა დააკარგვინა. მისი პიროვნული სივრცეები ოჯახის დიასახლისობით და დედობით შემოფარგლა.

დამაფიქრებელი დეტალი: სსრკ-ს დაშლის შემდეგ პირუკუ პროცესის მომსწრენი გავხდით - ხდება ქალის სახის აქცენტირებული სექსუალიზაცია. ავტორის აზრით, პროგრესი სულაც არაა, თუ დესექსუალიზებული ქართველი ქალი ჩვენს თვალწინ სექსუალიზებულ სამომხმარებლო ერთეულად იქცევა.

მარადიული მსხვერპლის გამღები

„იცით რატომ მიყვარს ებრაელები? ძალიან მართლები არიან, რომ ეროვნებას დედით განსაზღვრავენ. ძველი ცივილიზაციის ერებს კარგად აქვთ გაცნობიერებული დედის მნიშვნელობა. რადგანაც მამაკაცების დიდი ნაწილი ომებში და ლაშქრობებში იხოცებოდა, მენტალური მემკვიდრეობის - მწერლობის, წერა-კითხვის და განათლების გადაცემა ქალებს უნდა ეტვირთათ. „ვეფხისტყაოსანიც“ ქალებმა შემოგვინახეს. მათ შორის ისეთებიც იყვნენ, მთელი ტექსტი რომ ზეპირად იცოდნენ...“ - მითხრა ერთხელ ნანა დევდარიანმა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, ისტორიულად, დედობის, თუნდაც, შეკვეცილი სახით გაპიარებას დადებითი მხარეც ჰქონდა. სწორედ ამაზე მიუთითა კომენტარში **მხატვარმა ილია ზაუტაშვილმა.** საომრად წასული მამაკაცის თანამეცხედრე ქართველი ქალი, ხშირ შემთხვევაში, დედაც იყო, მამაც, მარჩენალიც და დამცველიც. ალბათ, აქედან საზრდოობს ცნობილი გამონათქვამი: „აბა, შენ იცი, ქალიც შენ ხარ და კაციც!“. ქართველი ქალის ამ უდიდესმა ძალისხმევამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ერის ფიზიკურ და სულიერ გადარჩენაში.

მაგრამ, პერსპექტივაში, ამ ავ-კარგიანობამ ძალიან უარყოფითი შედეგი მოგვიტანა. **„ქართლის დედის“ კულტს** აქვს კიდევ ერთი მანკიერი მხარე - ოჯახისა და შვილების ცალმხრივი მსახურების ასპექტი, რაც, აგრეთვე ისტორიულად ჩამოყალიბდა და მენტალურად ჩადუღაბდა. მეომარ ერს მებრძოლებს ქალი უზრდიდა, ხოლო ომში წასულ მეუღლეს - კერას უნარჩუნებდა. ხშირად კი, მარტო დარჩენილი და დაქვრივებული ეწეოდა ცხოვრების ჯაპანს. ქართველი ქალი პერმანენტულად მგლოვიარე იყო; გლოვობდა ომში დაღუპულ ქმარს თუ არა, მამას, ძმას, ნათესავს და ა.შ. სწორედ ამიტომ „ქართლის დედის“ სახესთან განუყოფელია ფატალური გამძლეობის დეტალი, რაც შავოსანი დედის ვიზუალურ

ხატშია ხორცშესხმული. შავი ფერი ცხოვრების სიამეთაგან განდგომის სიმბოლოა. ტრადიციულ ქართლის დედას სიამოვნება-გართობასთან არაფერი ესაქმება, ვინაიდან მას მხოლოდ მოვალეობები აქვს - ქამრის, შვილის, ოჯახისა და ერის წინაშე. საპასუხოდ არაფერს ელის და არც უნდა ელოდეს. ქართლის დედა მარადიული ტკივილისთვის განწირული „ნეტარია“, რომელმაც წამებულის „გვირგვინი“ ამაყად თავაწეულმა უნდა ატაროს. „გვირგვინის“ მოხსნის მცდელობა (მაგალითად, გათხოვება) საპატიო მისიის ღალატად ჩაეთვლება. სწორედ ამიტომ თქვეს უარი დაოჯახებაზე **ოთარაანთ ქვრივმა** და **თავსაფრიანმა დედაკაცმა**.

არსებითი დეტალი: პერმანენტული დისკომფორტი ნევროზის წყაროა. ამიტომ ირთვება დამცველი მექანიზმი, რომელიც ტკივილს ბუნებრივ მდგომარეობად, ან, სულაც, ტკბობის წყაროდ გადააქცევს. ქართლის დედა უბრალოდ კი არ ეგუებოდა ტკივილს, არამედ ამაყობდა კიდეც თავისი ამტანობით; ხოლო შავი ფერი, რაღაც გაგებით, მის საფირმო „ხარისხის ნიშნად“ იქცა.

ამისი ყველაზე თვალსაჩინო ლიტერატურული მაგალითია **ნიკო ლორთქიფანიძის თავსაფრიანი დედაკაცი:** „ქართველი ქვრივი... თავსაფრიდან წუღებამდის... წინდაც კი შავი...“, რომელსაც მხოლოდ „შემთხვევით თუ გამოუჩნდება მეტისმეტად ლილიან წყალში გავლებული საცვალი“. რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქმარი ომში კი არა, სნეულებით დაეღუპა! ეს მხოლოდ დეტალია. არსებითი სხვაა - რას მიქვია გათხოვება, „როგორ უმტყუნებს ობლებს?“ სწორედ ამიტომ მოიკვეთა ნათელი ფერები, ხელში მოვალეობათა მძიმე ჯვარი აიღო და მარტოდმარტო შეუყვა ცხოვრების გოლგოთას.

სულისშემძვრელია? დიახ!

დიდებული? მხოლოდ ერთი შეხედვით... შვილების ცივსისხლიანი უმადურობა ყველაფერს ხაზს გადაუსვამს. რატომ მოხდა, რომ შვილად ერთმაც კი ვერ ივარგა?

რა არის ეს - შემთხვევითობა, თუ კანონზომიერება?

პასუხი ქალისთვის ტრადიციული მოდელით განსაზღვრულ როლში უნდა ვეძიოთ. თუკი თავსაფრიან დედაკაცში კონკრეტიზირებული „ქართლის დედა“ პერმანენტული მსხვერპლის გამღებია, ავტომატურად ყალიბდება პერმანენტული მსხვერპლის მიმღები, რომელიც მხოლოდ იღებს და არაფერს გასცემს. ქართლის დედა ბედნიერია შვილის მსახურებით, რაც მას სოციუმში ზნეობრივი გმირის სტატუსს ანიჭებს („დაილოცოს შენი ქალობა!“ და მისთანანი). როდესაც ადამიანი მაზოხისტურ პოზიციას ნეტარებით ითავისებს, საჭირო ხდება სადისტის, ანუ დისკომფორტის წყაროს არსებობა, რომელიც მას „საპატიო დანიშნულების“ რეალიზაციაში დაეხმარება. ამ პოზიციიდან სადისტი კეთილმყოფელია, რომელიც მაზოხისტს ანიჭებს ბედნიერებას „დატკბეს“ ტკივილით. შვილები ეჩვევიან აზრს, რომ დედა მხოლოდ მათი მსახურებისთვისაა გაჩენილი; ამიტომ მადლიერება-დაფასება ან სუსტია, ან საერთოდ გამორიცხული. ეს კანონზომიერება ადვილად ხსნის თავსაფრიანი დედაკაცის შვილების, ერთი შეხედვით, პარადოქსულ უმადურობას. მათი გულცივი ეგოიზმი სწორედაც რომ კანონზომიერებაა და არა შემთხვევითობა. განა „კერპი“ თავს იწუხებს „კერპთაყვანისმცემლის“ პრობლემებით?! მას მიაჩნია, რომ თავისი არსებობის ფაქტითაც საკმარისად აბედნიერებს. ნოველის ყველა დეტალი სადომაზოხისტურ სქემაში ბუნებრივად ეწერება: დედა, რომელიც უყოყმანოდ ითავისებს პერმანენტული „კერპთაყვანისმცემლის“ პო-

ზიციას და შვილები, რომლებიც ასევე უყოყმანოდ იფერებენ „კერპის“ ამპლუას. „კერპთაყვანისმცემლის“ მსახურება, ხშირად, სრულ ექსტაზში გადადის და კერპს მსხვერპლადაც კი ეწირება. სწორედ ამას აკეთებს თავსაფრიანი დედაკაცი. ამიტომ გაუჩინარდა შვილთა ცხოვრებიდან ასე შეუმჩნევლად. თვალში არც კი დაკლებიათ; ერთს მეორესთან ეგონა და არც მოუკითხავთ - ეს არ იყო მათთვის აქტუალური. გამოსათხოვარი ბარათითაც დაკმაყოფილდნენ, ვინაიდან საზოგადოების თვალში რეაბილიტაციისთვის სავსებით კმაროდა. თავსაფრიანი დედაკაცის ეს უკანასკნელი მსხვერპლიც დაუფასებელი აღმოჩნდა. ჩემს მოსაზრებას არავის დავაძალებ, მაგრამ ვფიქრობ, რომ სწორედ ეს არის **თავსაფრიანი დედაკაცის,** უფრო ფართოდ - **„შავოსანი დედის“** და კიდევ უფრო განზოგადებულად - **„ქართლის დედის“** არსი - იგი ქმარს და შვილებს შეწირული მოახლეა. ამის დაწერისას უნებლიედ გამახსენდა სიტყვები **„ასავალ-დასავალში“** მოსული წერილიდან: „გაჩენის დღიდან ვალდებულნი ვართ ჯერ მშობლების, მერე ქმრის, შვილების და მგონი მთელი რესპუბლიკის წინაშე. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?“

მნიშვნელოვანი დეტალი: როდესაც ქალს სოციალური აქტიურობის არეალს შეუზღუდეს, მენტალურად დაწნეხეს და მხოლოდ ოჯახს მიაჯაჭვეს, ქვეცნობიერად კომპენსატორული მოთხოვნილებები გაუჩნდა. ქართველი დედა ამას შვილების საკუთარ პერსონაზე „მიჯაჭვით“ ახერხებს. მისი სამყარო შვილებით იწყება და შვილებითვე მთავრდება, ამიტომ ასე ადვილად ვერ შეელევა. სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოში, თაობათა მანძილზე, ფიზიოლოგიური მშობიარობა ფსიქოლოგიური მშობიარობით არ გრძელდება და სოციალური მშობიარობით არ გვირგვინდება. პროცესი მეორე სტადიის რაღაც ეტაპზე იყინება; შვილი, ფაქტობრივად, არ ტოვებს დედის წიაღს, დედა კი მასზე კრუხივითაა გადაფაფრული.

„ბანკომატი“ დედები

სურათი, რომელიც თბილისის ერთ-ერთი სასაფლაოს მუშაკებს დახვდათ, ***„ოთარაანთ ქვრივიდან“*** *ამოგლეჯილს ჰგავდა: ხანშიშესული ქალბატონი ასაკოვანი მამაკაცის საფლავს ჩახუტებოდა და ისე დაელია სული. მალე გარდაცვლილის ვინაობა გაირკვა - თურმე დასაფლავებულის ქვრივი იყო. პატრონსაც მიაგნეს და ქალბატონმა მეუღლის გვერდით ჰპოვა საუკუნო განსასვენებელი.*

ვინ იყო ის ქალი? რა ტრაგედია დატრიალდა მის ცხოვრებაში?..

ყველაფერი გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. ჩვენი გმირი მაშინ ჯანღონით სავსე ახალგაზრდა ქალი და ორი გოგონას დედა იყო. კრიზისმა ოჯახი შიმშილის ზღვარზე მიიყვანა, ამიტომ ინგლისში სამუშაოდ წასვლა გადაწყვიტა. დატრიალდა, წასასვლელად საჭირო თანხა ისესხა და გაემგზავრა. საცხოვრებელად ნაცნობმა ქალბატონმა შეიფარა. ერთ პატარა ოთახში ექვს ქალს ეძინა. ენობრივი ბარიერის გამო ლონდონში სამსახურის მოძებნა გაუჭირდა. ისეთ ჩიხში აღმოჩნდა, რომ ერთხანს თავის მოკვლაც კი იფიქრა, მაგრამ როდესაც წარმოიდგინა რა დღე დაადგებოდა მის ოჯახს, ეს აზრი თავიდან ამოიგდო. მერე როგორღაც

ძალა მოიკრიბა და ინგლისური ენის შესწავლა დაიწყო. დღე-ღამეს ასწორებდა; საერთო ოთახში რომ არავინ შეეწუხებინა, ღამით თავზე საბან გადაფარებული მეცადინეობდა. ბოლოს შინამოსამსახურის ადგილი იშოვა და პირველი ფულიც გაუჩნდა. ურიგო თანხას არ უხდიდნენ, მაგრამ თავისთვის არაფერი ემეტებოდა და დიდ ნაწილს სახლში აგზავნიდა. ვალის გასტუმრების შემდეგ მეუღლემ თხოვა - სახლში დაბრუნდიო. ბავშვებს კი დედა ენატრებოდათ, მაგრამ ყურიც არ ათხოვა: რა დაბრუნება, რის დაბრუნება, ოჯახს ათასი რამ ჭირდება, შვილების მომავალზე და სწავლა-განათლებაზე უნდა ვიზრუნოო.

ამასობაში წლები გავიდა, ქალიშვილები წამოიზარდნენ. დედა მუხლჩაუხრელად შრომობდა: შვილების სწავლის საფასური ხომ გადაიხადა, კიდევ ცალ-ცალკე ბინები უყიდა და უზრუნველი ცხოვრებისთვისაც ფულს არ აკლებდა. მხოლოდ ათი წლის შემდეგ მოახერხა საქართველოში ჩამოსვლა. სახლში შეეგება მონატრებული და, საბედნიეროდ, ერთგული მეუღლე, რომელსაც ცოლზე დარდით ორჯერ ინფარქტი გადაეტანა. სამაგიეროდ, ქალიშვილები დახვდნენ ფრიად გაუცხოებულნი. დიდი ხნის უნახავ დედას დაწვრილებით ჩამოუთვალეს კიდევ რა პრობლემები ჰქონდათ მოსაგვარებელი. მერე მეუღლისგანაც იგრძნო მინიშნება - საზღვარგარეთ უნდა დაბრუნდეო. „ერთ კვირაში მივხვდი, რომ ზედმეტი ვიყავი!» - ამბობდა მოგვიანებით. თვალცრემლიანი გაემგზავრა ინგლისში. აეროპორტში მხოლოდ მეუღლემ გააცილა.

მერე ისევ თავდაუზოგავი შრომა და დაპროგრამებული ავტომატივით ოჯახისთვის ფულის გამოგზავნა. თითქოს აზარტში შევიდაო, ისე გულმოდგინედ ცდილობდა თანხის დაზოგვას, რომ ოჯახისთვის მეტი გაეგზავნა. საკუთარი თავისთვის კი კაპიკსაც გაჭირვებით იმეტებდა. ჩამოსასვლელად ვეღარც იცლიდა. თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა: შვილებს უნდა ჰქონოდათ ყველაფერი რაც შეიძლება ბევრი და, ამასთან, საუკეთესო. ამასობაში მეუღლე გარდაიცვალა. დაკრძალვაზე შვილებმა ისე ცივად მიიღეს, რომ გულმოკლული ინგლისში დაბრუნდა. მუშაობა და ფულის გაგზავნა - ესღა იყო ახლა მისი ცხოვრების აზრი.

ახლობელთა სახეები სადღაც შორს, მირაჟივით დაშორდა. ამასობაში ოცდაშვიდი წელი გავიდა... შვილებმა ცხოვრება აიწყეს და რაღაც მომენტში იგრძნო, რომ აღარც იყო მათთვის საჭირო. ცხოვრება ხელის გულზე თოვლის ფიფქივით შემოადნა, ლიმონივით გამოწურულმა თავი სრულ მარტოსულად იგრძნო. ნელ-ნელა სიკვდილზე ფიქრები მოეძალა და მეგობარს სთხოვა: ფულს გამოგიგზავნი და საფლავისთვის ნაკვეთი მიყიდეო.

ყურადღება მიაქციეთ - მეგობარს და არა შვილებს!

დაბერებული და დასნეულებული დაბრუნდა სამშობლოში, საიდანაც ოდესღაც ახალგაზრდა და ენერგიით სავსე გაემგზავრა და სადაც უკვე აღარავინ ელოდა - აღარც გარდაცვლილი მეუღლე და აღარც ცოცხალი შვილები. დაბრუნებიდან რამდენიმე თვეში მეუღლის საფლავზე უსულოდ დამხობილი ნახეს. როგორც ჩანს, გულმა უმტყუნა.

„დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან!“ - იტყოდა ნიკო ლორთქიფანიძე. თავად უფრო მკაცრად შეაფასა საკუთარი ცხოვრება: „იქნებ ოჯახს საზღვარგარეთ წასვლით იმაზე მეტი დავაკელი, ვიდრე იმ ფულადი გზავნილებით მივე-

ცი?... იქნებ ჯობდა, არ წავსულიყავი, დავრჩენილიყავი და ერთად გადაგვეტანა გაჭირვება? იქნებ, მაშინ მეუღლეს ჩემზე დარდით ინფარქტი არ დამართოდა, ხოლო შვილებს კი ჩემი სიყვარული არ დაეკარგათო?"- უთქვამს მეგობრისთვის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე.

ძნელი სათქმელია!

ფაქტია, რომ საკუთარი სიცოცხლე მთლიანად შვილებს მიუძღვნა და ეს ნამდვილად იყო „თავსაფრიანი დედაკაცის" თანამედროვე ვერსია...

მასობრივი შრომითი მიგრაცია საზღვარგარეთ, ძირითადად, 2002 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. 2003 წელს ფულადი გზავნილების საერთო ოდენობა იყო 236 მლნ დოლარი, 2011-ში კი – მილიარდ 200 მილიონს მიაღწია. მას მედიაში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული საექსპერტო გათვლების თანახმად, უცხოეთიდან შემოსული ფულადი გზავნილების გარეშე, ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებელი 20-25%-ით მეტი იქნებოდა. ამ ადამიანებმა ქვეყანას და საზოგადოებას ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს.

ქალების შრომით მიგრაციას, ხშირად, **„თვითტრეფიკინგს"**, ან **„ოჯახურ ტრეფიკინგს"** უწოდებენ. ფაქტობრივად, ეს არის ქალებზე ძალადობის სპეციფიკური ფორმა. თვითტრეფიკინგის დროს ადამიანს, შესაძლოა, არც უნდა საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა, მაგრამ თავს არწმუნებს, რომ ეს ერთადერთი გზაა ოჯახის გადასარჩენად; უკვე წასულებს კი, ხშირად, ძალიანაც უნდათ სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ იმავე არგუმენტით თავს დარჩენას აიძულებენ. ოჯახური ტრეფიკინგის შემთხვევაში, კი, ახლობლები ქალს ფსიქოლოგიურად და მორალურად ისე პრესავენ, რომ იძულებულია საზღვარგარეთ დარჩეს და გაუსაძლისი შრომა გააგრძელოს. ზემოთმოყვანილ ისტორიაში ორივე მოვლენის ნიშნები იკვეთება.

„მე წავედი, რომ დავბრუნებულიყავი; მართლა მეცოდებიან ის ქალები, ვინც ოჯახის მიერ აღებული კრედიტების მონა ხდება და ვეღარ ბრუნდება.." - ამბობს უკვე ნახსენები ვანელი ქალბატონი ქეთევან თომეიშვილი, რომელმაც ათზე მეტი წელი იშრომა საზღვარგარეთ და საკუთარი თვალით იხილა, რა უმძიმეს ტვირთს ეჭიდებიან ჩვენი სამუშაოდ წასული თანამემამულენი.

აი, რა მითხრა 2017 წელს **მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის თბილისის მობილურობის ცენტრის კოორდინატორმა ციური ანთაძემ:**

- წლების მანძილზე ვიმუშავე დაბრუნებულ მიგრანტებთან და ყოველდღიურ რეჟიმში ვისმენდი სხვადასხვა ისტორიებს იმ პრობლემებზე, რაც მათ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დახვდათ. ერთი ქართველი ქალბატონი წლების განმავლობაში საბერძნეთში შრომობდა. გამომუშავებულ ფულს თითქმის მთლიანად მეუღლეს და ორ შვილს უგზავნიდა. წლების მერე რომ დაბრუნდა, მეუღლე სხვა ქალთან დაოჯახებული დახვდა. შვილებმაც ვერ მიიღეს გაუცხოებული დედა. მიჭირს იმ ქალბატონის ემოციებისა და სტრესის სიტყვებით გადმოცემა. იძულებული გახდა ისევ საბერძნეთში დაბრუნებულიყო. ისეთი ფაქტებიც მახსენდება, როდესაც ზრდასრულ შვილებს არ გახარებიათ დედის დაბრუნება - ერჩივნათ დარჩენილიყო საზღვარგარეთ და მათთვის ფული ეგზავნა. ერთხელ ასეთი შემთხვევის მომსწრე გავხდი: 72-75 წლის ქალბატონმა მიგრანტებისთვის გათვალისწინებული დახმარების მისაღებად მოგვაკითხა. ზორბა აღნაგობის, ასე ოცდა-

თხუთმეტი წლის ვაჟი კი აგრესიულად ურჩევდა ბიზნეს-გრანტის აღებას. მერე შესაძლო დახმარების თანხაც ეცოტავა და ჩხუბი დაუწყო: რატომ დაბრუნდი, ხომ გეუბნებოდი, არ ჩამოსულიყავიო. ქალმა ტირილი დაიწყო - ჩვიდმეტი წელი ვიმუშავე და ფული გიგზავნე; ახლა ხომ ხედავ, ავად ვარ და მუშაობა აღარ შემიძლიაო. შემძრა ამ შემთხვევამ. ოჯახური ტრეფიკინგის კლასიკური მაგალითია! ამაზე სოციალურ ქსელებში ბევრს წერენ ემიგრანტები. 2015 წლიდან დაბრუნებულ მიგრანტთა დახმარების პროგრამა მოქმედებს. მსგავსი პროექტები საქართველოში ევროკავშირის დაფინანსებით ადრეც ხორციელდებოდა. პროგრამის ფარგლებში მიგრანტებს შეუძლიათ მიიღონ სამედიცინო და ფსიქო-სოციალური დახმარება, ისარგებლონ თვითდასაქმების პროგრამით, მცირე მიკრო-ბიზნეს გრანტებით და ა.შ. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ არის; განსაკუთრებით, კი, იმ შემთხვევაში, თუკი შრომით მიგრანტთა მასობრივი დაბრუნების ტალღა დაიწყება.

მოდით, ისევ მოვუსმინოთ **ქალბატონ ქეთევან თომეიშვილს,** რომელსაც ურთულეს პირობებში მოუწია შრომა:

- 400 დოლარს მიხდიდნენ და 24 საათიან რეჟიმში; ხშირად, შესვენების გარეშე უმძიმეს სამუშაოს ვასრულებდი: ჩავარდნილი მოხუცის მოვლა, საოჯახო საქმე. ერთი დღე მქონდა დასასვენებლად და მაშინაც სხვა ოჯახში გავრბოდი სახლის დასალაგებლად, რომ ყოველთვიური ანაზღაურება მეტი მქონოდა. ასეთ დღეში იყო იქ ქალების უმეტესობა; თან უსაფრთხოდაც ვერ გრძნობ თავს. თუ საბუთები წესრიგში არ გაქვს, შეიძლება ხელფასიც არ გადაგიხადონ. რამდენი შემთხვევა ვიცი, ქალებზე უძალადიათ, მაგრამ ეს ამბავი არავის აინტერესებს... სამედიცინო დაზღვევაც ბევრს არ აქვს, იმიტომ რომ მაშინ გადასახადები უნდა გადაიხადო და „გაალეგალურო“, რაც ისედაც მცირე ხელფასს აკლდება... თუ გაუძლებ, გადარჩები და ამ გადარჩენაში აუცილებლად დაგეხმარება მიზანი. ძალიან ბევრი ქალი ვიცი, შრომობს იქ წლებია, აგზავნის ფულს, მაგრამ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ვერ ახერხებს და ასე გადის მათი ცხოვრება... იცით რატომ? იმიტომ რომ ამ ქალების გამოგზავნილი ფული აქაურებისთვის იოლი ფულია და ასევე იოლად ხარჯავენ. ერთხელ რომ გამოვგზავნე 300 დოლარი, მალე მეც ჩამოვედი ცოტა ხნით და ოჯახში არაფერი ქონდათ საჭმელი. ამის მერე გადავწყვიტე, რომ პირდაპირ ფული კი არ გამომეგზავნა, მაღაზიისთვის გადამეხადა ყოველთვიურად და ჩემებს საკრედიტო ხაზივით ქონდათ გახსნილი პროდუქტის ასაღებად..“

ქეთევანი თომეიშვილი „კერკეტი კაკალი“ გამოდგა და ცხოვრების ქარტეხილებმა ვერ გაანადგურა. სამშობლოში დარჩენილი დედაც ყოველთვის მორალურად მხარს უჭერდა. მისი ცხოვრება საუკეთესო მაგალითია იმ ელენტარული ჭეშმარიტებისა, რომ ქალის ყველაზე საუკეთესო დამცველი, საბოლოო ჯამში, მისი სავსე ქისაა. მაგრამ უამრავი ქალბატონი ასე მედგრად ვერ უხვდება სიძნელეებს და არც ოჯახის წევრებში უმართლებს. ისინი სიხარულით დაბრუნდებოდნენ, მაგრამ ვერ ბედავენ იმის შიშით, რომ აქ საერთოდ უმუშევრად დარჩებიან. როგორც დაბრუნებულმა მიგრანტებმა მითხრეს, მათ შორის 75 წლის მოხუცებიც არიან, რომლებსაც მუშაობის თავიც კი აღარ აქვთ - ძლივს დადიან. ამ თემას მიძღვნილი სტატია **„კვირის პალიტრის“ ონლაინ-ვერსიაში** გამოვაქვეყნე. პუბლიკაციის ქვეშ 48 კომენტარია და კომენტატორთა უმრავლესობა ქალბატონია. ქართველი ქალი ოჯახისთვის ზვარაკად შეწირულის როლს უკვე აშკარად აღარ ეგუება:

„უმადური გაუმაძღარი შვილები... მათ დედა კი არა, საკუთარი ქვეყანაც ფეხებზე ჰკიდიათ, მთავარია ფული არ შემოაკლდეთ და ამაში მთავარი დამნაშავენი - სწორედ შვილებისათვის ზვარაკად შეწირული დედები არიან! ჰოდა, ვის რად უნდა მათი ასეთი თავგანწირვა და ასეთი გადაგვარებული ადამიანები, როგორებიც მათი - უდედოდ და უსიყვარულოდ გაზრდილი შვილები არიან???“

„პირველ რიგში, შვილებს ვასწავლოთ შრომა, ადამიანების დაფასება და პატიოსნება; დანარჩენს თვითონ მიხვდება. ყველაფერს აქვს საზღვარი. ადამიანი ათი და მეტი წლით ოჯახიდან შორს რომ იმყოფება, რა თქმა უნდა, ასწავლის შვილებს, ბინასაც უყიდის, მაგრამ, თავისთავად, გაუცხოვდება. დედამ თავი უნდა დაიფასოს, მიახვედროს შვილები, რომ ის მათი ბანკირი არ არის. მათაც მიხედონ თავის თავს და დედასაც; ხელი გააქანონ, იშრომონ, და იცხოვრონ, ნუ გაუტკბებათ მუქთა ფულები. თუ კარგია, ახლა დედის ადგილზე თავად წავიდნენ და იმუშაონ.“

მიგრანტების დიდი ნაწილი ადრე თუ გვიან საქართველოში დაბრუნდება. მათ შორის „ბანკომატი დედებიც“. აქ გაზრდილი, ხშირად, გაუცხოებული შვილები და შეცვლილი საზოგადოება დახვდებათ. ანუ „ფსიქოლოგიური დაბრუნება“ ძალიან გაუჭირდებათ; ძნელია გაუცხოების გადალახვა, როდესაც ოჯახის თვალში მხოლოდ წყობიდან გამოსული ბანკომატი ხარ. მიგრანტთა მასობრივი დაბრუნების ტალღას სახელმწიფომ კარგად ორგანიზებული და დაფინანსებული სამედიცინო და ფსიქოლოგიური პროგრამები უნდა დაახვედროს. დაუშვებელია უცხოეთში ახლობელთა გადასარჩენად გადახვეწილი ქალები იმ ყველასგან დაუფასებელ დიდებულ ადამიანთა რიგში აღმოჩნდნენ, რომლებიც უძეგლოდ იკარგებიან.

კათოლიკოს-პატრიარქმა ერთხელ საკვირაო ქადაგებაში ბრძანა: დღეს საქართველოში შემოვიდა მანკიერი წესი, დედები ტოვებენ თავიანთ ოჯახებს, მიდიან უცხოეთში და ქმარ-შვილი უპატრონოდ რჩებათო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს დედებს აქ უკეთესი არჩევანი ჰქონდათ და, რატომღაც, საზღვარგარეთ წასვლა არჩიეს. რაღაც არ მახსენდება, ეკლესიის მესვეურთ ტახტზე წამოგორებული მამრები გაეკიცხოთ, რომლებიც გადახვეწილი ცოლების ხარჯზე ცხოვრობენ და საყვარლებსაც არჩენენ. ასეთი პარადოქსული მოსაზრება ნამდვილად არ უწყობს ხელს საშოვარზე გადახვეწილ ქალთა ამაგის დაფასებას.

ქალი „კუხნაში“, ან „ბუტკაში“?!

მეტროს ვაგონში დაახლოებით 10-13 წლის ბავშვები შემოვიდნენ, მშობლებთან ერთად - ხუთი ბიჭი და ერთი გოგო. გოგო დედამ ჩემს გვერდით დასვა და თვითონაც მიუჯდა. ბიჭები მოპირდაპირე მხარეს დასხდნენ და სადგურის მოედნიდან დელისამდე აიკლეს მთელი ვაგონი - „ნამიოკობანას“ თამაშობდნენ, ლექსებს ამბობდნენ, გამოცანებს და ანეკდოტებს ყვებოდნენ... მოკლედ, კარგ ხასიათზე იყვნენ და ჩვენც გვართობდნენ.

დედები ხანდახან შენიშვნასაც აძლევდნენ, მაგრამ, ეტყობოდათ, სინამდვილეში როგორ ამაყობდნენ ბიჭების სითამამით და გონებამახვილობით.

ჩემ გვერდით მჯდარი გოგონა ერთ-ერთის და იყო. თვალებიდან სხივებს აფრქვევდა, ცქმუტავდა, გულშემატკივრობდა - მთელი სულით და გულით ჩართული იყო ბიჭების მხიარულებაში. ჩემსა და დედამისს შორის იჯდა ზამბარასავით მომართული და ყოველ წამს მეგონა, რომ წამოხტებოდა და გაიქცეოდა, შეუერთდებოდა ძმას და მეგობრებს. თუმცა, არა. ერთი ხელი დედის ქურთუკის სახელოზე ჰქონდა მოკიდებული, მეორეთი ძმას გამოცანების სწორ პასუხს ანიშნებდა და თუ ვერ გაა-გებინებდა, ხელს შუბლზე შემოირტყამდა და კისკისებდა. ხანდახან გასძახებდა:

„ეგ როგორ ვერ მიხვდი?!“

„მეც ვიცი ეს თამაში ...“

„საბა, თუ გინდა ჩანთას დაგიჭერ, რომ კარგად დაჯდე.“

ყოველ ჯერზე დედამისი შენიშვნას აძლევდა:

„ანუკი, წყნარად იჯექი!“

„ხმადაბლა გაიცინე, ბიჭი ხომ არ ხარ?!“

„ხელს ნუ უშლი შენს ძმას!“

ყოველი შენიშვნის შემდეგ, ანუკი დედის ქურთუკის სახელოს უფრო მაგრად უჭერდა ხელს და კიდევ უფრო მეტად ანთებული თვალებით უყურებდა ბიჭებს.

- ბიჭოოო, ყველა სიტყვა შენ გამოიცანი, უეჭველი პროფესორი გამოხვალ.

- რა პროფესორი ბიჭოო, მე ფეხბურთელი უნდა გამოვიდე.

- კი, ერთი შენ გამოხვალ ფეხბურთელი და მეორე ხეჩიკა - პილოტი.

- აგერ ვნახოთ თუ არა. მე რომ ვიფრენ სხვადასხვა ქვეყნებში, შენ იჯექი, რაღაცები დახაზე და სახლები აშენე.

- ბიძაჩემია არქიტექტორი და მეც მაგიტომ მინდა. იცი რა მაგარი ოფისი აქვს?

- ყველას ჯობია, ძმაო, ბიზნესმენი გამოხვიდე. ყველაზე ბევრი ფული გექნება.

- პილოტობა ჯობია ყველას! - წამოიძახა ანუკიმ. მერე დედას ახედა და სასწრაფოდ აიფარა პირზე ხელი.

გავხედე. გავუღიმე. - შენ პილოტი უნდა გამოხვიდე? - ვეკითხები.

- მეე? პილოტიი? არა, რა პილოტი. მე ხომ გოგო ვარ.

- მერე რა, რომ გოგო ხარ?! ხეჩიკა თუ უნდა გამოვიდეს, შენ ვერ გამოხვალ? მხრები აიჩეჩა.

- ისე, დედაჩემი მასწავლებელია.

- შენც მასწავლებლობა გინდა?

- ან მასწავლებლობა, ან ექთნობა. ჩემი კლასელის მამაა ექიმი და დაჩიმ ხელი რომ მოიტეხა, თვითონ მოარჩინა.

- ექიმი და ექთანი სხვადასხვა რამეა, ხომ იცი?

- ვიცი, ვიცი - ექთანი არის ექიმის დამხმარე. ექიმობა უფრო რთულია. დედამ მითხრა, რომ ექთანი გამოვიდე, ან მასწავლებელი. ჯერ არ ვიცი რომელი უფრო მინდა.

- მგონი პილოტობა უფრო გინდა.

- მე ხომ გოგო ვაარ?! - მეუბნება სიცილით და ცოტა გაკვირვებული.

სანამ ვუპასუხებდი, მატარებელი დელისზე გაჩერდა და ანუკი, ბიჭებთან ერთად, სიცილ-ხარხარით გავარდა ვაგონიდან. გავედით ჩვენც.

- ანუკი, ნუ გარბიხარ! ქაჯივით ნუ იქცევი ამხელა გოგო!

ვდგავარ შუა მეტროში. ვუყურებ როგორ დაბრუნდა ანუკი და როგორ ჩაეჭიდა დედის ქურთუკის სახელოს. ვუყურებ როგორ გარბიან მათ წინ საბა, ხეჩიკა და დანარჩენები, როგორ იცინიან, როგორ ეხუმრებიან ერთმანეთს, აჯავრებენ მასწავლებლებს...

- გაიქეცი ანუკი, შენც გაიქეცი! შენც მოყევი ანეკდოტები და იცინე, ბევრი იცინე. ხმამაღლა იცინე! იხმაურე, შეაწუხე მთელი ვაგონი, მთელი ქალაქი და მთელი ქვეყანა - ხმამაღლა და ყველას გასაგონად მოყევი რა გიხარია და რა გწყინს. ნუ ჩაიქრობ სხივებს თვალებში! ნუ იჯდები წყნარად, როცა გაქცევა მოგინდება. ნუ იქნები ჩუმად, როცა ლაპარაკი მოგინდება. არ შეგეშინდეს ექიმობის, იმიტომ რომ რთულია. არ თქვა უარი პილოტობაზე, იმიტომ რომ გოგო ხარ. გაუშვი ხელი დედის ქურთუკის სახელოს და გაიქეცი. დაეწიე შენს ძმას. დაეწიე და გაუსწარი. შენ ყველაფერს შეძლებ! შენს თვალებში გაბრწყინებულ სხივებში ვხედავ ამას. ოღონდ, ნუ ჩაიქრობ ამ სხივებს! ნუ იქნები წყნარად, გაიქეცი!

ჩემი ხმა მეტროს მგზავრების ყაყანმა და ორივე მხარეს, საპირისპირო მიმართულებით მოძრავი მატარებლების გრუხუნმა შთანთქა.

ამ ტექსტს ფეისბუკში გადავაწყდი. მისი ავტორი ახალგაზრდა გოგონა **თამთა კაბაბერიძეა** და, მისივე ნებართვით, ამ წიგნში შევიტანე. მან ძალზე მკაფიოდ და ლამაზად გადმოსცა ყველა ის მენტალური ბარიერი, რომელიც ბავშვობიდანვე მკაცრი ცენზორის ხელით შემოსაზღვრავს ქალის თვითრეალიზაციის ჰორიზონტებს; ან, თუ ავტორს დავესესხებით, „თვალში სხივს უქრობს“. სხვათა შორის, ერთი ასეთი „ცენზორი“ ჩემს მოგონებათა ნუსხაში უსიამო ლანდად ჩაიწერა.

საკმაოდ მოძრავი ბავშვი ვიყავი. დღესაც მახსოვს, როგორ დამტუქსა საბავშვო ბაღში აღმზრდელმა:

- რა დღეში ხარ, გოგო მაინც არ იყო, აი შეხედე ამ გოგონას (თანაჯგუფელზე მიმითითა), რა კარგად იქცევა. იმიტომ რომ შენზე ჭკვიანია...

არ ვიცი რატომ, მაგრამ საქმეში გარკვევის სურვილი გამიჩნდა:

- რატომ არის ჩემზე ჭკვიანი, ჩემზე ბევრი ლექსები იცის?

- არა (სრული სიმართლე იყო!).

- ჩემზე უკეთესად ხატავს?

- არა (ჯგუფში ამ უნარით მხოლოდ ერთი გოგონა მჯობნიდა).

- აბა რატომ არის ჩემზე ჭკვიანი?

- ნახე როგორ წყნარად ზის!

ამის იქით დისკუსია „ვეღარ გავქაჩე“, მაგრამ აშკარად მახსოვს - სურვილი არც გამჩენია, რომ ამ ქალისგან ქება დამემსახურებინა. თავად კი, ალბათ, იფიქრა - რა მატრაკვეცა, ენატლიკინა ბავშვიაო...

პატრიარქალური კლიშეები - გოგონა უნდა იყოს წყნარი, მოკრძალებული,

დამჯერი და ა.შ, მოზრდილი ქალის შემთხვევაშიც აქტუალური რჩება. გავიხსენოთ, რა თვისებებს ასხამდნენ ხოტბას თამადები: კდემამოსილი მეუღლე, მზრუნველი დედა, ჩინებული დიასახლისი, სამაგალითო რძალი. რაღაც არ მახსენდება, ქალის, როგორც კარგი პროფესიონალის სადღეგრძელო შეესვათ. უმაღლესი განათლების დიპლომი სასურველი საპატარძლოს აუცილებელ ატრიბუტად ითვლებოდა. ქალს კიდეც მოუწონებდნენ მოეპოვებინა „ხარისხის ნიშანი“ ამ დოკუმენტის სახით, მაგრამ დიდად არავის ესაჭიროებოდა მისი რეალური პროფესიული უნარ-ჩვევები. პროფესიის არჩევის კუთხითაც დაუწერელი „გადარჩევის კანონი“ მოქმედებდა: ეს პროფესია ქალის შესაფერისია, ეს - უფრო მამაკაცური. **თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის** სტუდენტთა უმრავლესობა ყმაწვილი კაცები იყვნენ. სამაგიეროდ, **პედაგოგიურ ინსტიტუტში,** ძირითადად, გოგონები სწავლობდნენ. მასწავლებელთა შორის დღემდე იშვიათად დალანდავთ მამაკაცთა სახეებს. ცხადია, არსებობდნენ ქალი-გეოლოგები, ინჟინრები, არქიტექტორები, მაგრამ ეს არ იყო ტენდენცია. მუშაობის ოჯახთან შეთავსება თუ გაუჭირდებოდათ, უპირატესობა „ქალური მოვალეობებისთვის“ უნდა მიენიჭებინათ. „მეტიჩრობის“ შემთხვევაში, ოჯახი, ხშირად, ინგრეოდა. სახუმარო ფრაზაში - „ქალი - კუხნაში!“ ჭეშმარიტების დიდი მარცვალია. თუმცა კაცებისთვის ამას ხელი არ შეუშლია ცოლები „ბუტკაში“გაემწესებინათ, ან საზღვარგარეთ გაეშვათ და კისერზე დაჯდომოდნენ.

სიტუაცია დღესაც დიდად არ შეცვლილა. გთავაზობთ სოფელში მცხოვრები ქართველი ქალის კომენტარს. თავად ქალბატონმა ანონიმად დარჩენა არჩია:

„ბოსტანში რომ ვთოხნიდი, „კალიასკით“ ბავშვი გვერდით მყავდა; ამ დროს მამამთილი იჯდა ჩრდილში და ნარდს თამაშობდა. არ მკითხოთ ახლა, მონასავით რატომ ვემორჩილებოდი. 19 წლის ვიყავი; სანამ ხმის ამოღება და თავის დაცვა ვისწავლე, კი გავიდა წლები. სოფლებში ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. რძალს ისე უყურებენ, როგორც იაფ მუშახელს. 70% ასეა, მერწმუნეთ. ყველაზე მწარედ სტუდენტობის წლები მახსენდება. წიგნებს მიმალავდნენ, რომ არ მემეცადინა და გამოცდები არ ჩამებარებინა. წლების შემდეგ ვპოულობდი ტახტის ქვეშ, ან კარადის უკან ბიბლიოთეკიდან გამოტანილ წიგნებს. სწავლას, ბავშვის მოვლას და საოჯახო საქმეებს ვერ ვუმკლავდებოდი ერთდროულად“.

სოციალურ ქსელები სოციალურ-მენტალური ლანდშაფტის მკვლევარისთვის ფასდაუდებელი რესურსია. უკანასკნელი წლების კომენტარებში ჩანს როგორც პატრიარქალური ყოფის ინერცია, ისე მისი თანდათანობით ნგრევა და ახალი ტიპის მენტალობის ჩამოყალიბება. ფრაზა „ქალი - კუხნაში“ დღეს უკვე ნაკლებად შეესატყვისება ქალთა დიდი ნაწილის თვითაღქმას და მისწრაფებებს.

ამორძალის სინდრომი

2002 წელს ფსიქოლოგ ქეთევან ვასაძემ მიუთითა დამაფიქრებელ გენდერულ ტენდენციაზე, რომელზედაც სხვა პედაგოგებიც საუბრობდნენ. მისი სიტყვით, თუკი ადრე პრობლემებს ბიჭები ქმნიდნენ, აღნიშნული პერიოდისთვის სიტუაცია შესამ-

ჩნევად შეიცვალა და უფრო საფრთხილონი გოგონები გახდნენ:

- გოგონების გაუხეშება საზოგადოებაში გამეფებული ნიჰილიზმის კონტექსტში უნდა განვიხილოთ. გაუხეშდა საზოგადოება, გაუხეშდა ახალგაზრდობა და გოგონებიც ამ პროცესში მოჰყვნენ. მათ შემთხვევაში მოვლენები უფრო სწრაფად განვითარდა; ბიჭებს არა მარტო „წამოეწივნენ“, არამედ, გარკვეული თვალსაზრისით, „გაუსწრეს“ კიდეც. უცენზურო საუბარი, მუშტი-კრივი ისევ ბიჭების „პრეროგატივაა“; სამაგიეროდ, გოგონების ნიჰილიზმი უფრო გააზრებული, მიზანდასახული და დემონსტრაციულია. ბიჭისგან განსხვავებით, გოგონამ წინასწარვე იცის, რას აკეთებს და რისთვის სჭირდება. არგუმენტაციაც გამზადებული აქვს - ხშირად საკმაოდ კარგად გააზრებული და ლოგიკური. გოგონები უფრო ეშმაკურად მოქმედებენ, მოსალოდნელი რისკი და შედეგებიც გათვლილი აქვთ. ამასთან მათი საქციელი უფრო უკმეხი და შეუვალია. ქალური ბუნების პრაქტიციზმი, ამ შემთხვევაში, მანკიერი ფორმით ვლინდება. ტენდენცია აშკარაა და მომავალში, ალბათ, უფრო გაძლიერდება. ერთი გოგონა დიდი ხნის განმავლობაში არ ამზადებდა გაკვეთილებს. კარგა ხანს თავს ვიკავებდი, არ მინდოდა ცუდი ნიშანი დამეწერა, მაგრამ, ბოლოს, იძულებული გამხადა. ძალიან შევწუხდი: შვილო, რა ჰქენი, რატომ დამაწერინე ძალით ორიანი-მეთქი? მერე და რა ძალა გედგა, ნუ გამიძახებდიო - მიპასუხა არაფრად ჩამგდები ტონით. იცის, რომ, საბოლოოდ, სკოლა ორების დაწერას გაურბის და თავს იმედიანად გრძნობს. ბიჭების ნიჰილიზმი იმპულსური და ბავშვურია. უშნო ცელქობას ვუწოდებდი. პრაქტიკულ შედეგზე, როგორც წესი, გათვლილი არ არის და არგუმენტაციაც მოისუსტებს.

ექსპერტი გოგონების გაუხეშების მიზეზს გარემოს გაუხეშებაში ხედავს, რაც, წლების მანძილზე, კრიზისის გაღრმავების კვალდაკვალ ჩამოყალიბდა. ამ პროცესმა დესტრუქციული გავლენა მოახდინა არა მარტო მენტალობაზე, არამედ გენდერულ ლანდშაფტზე და დემოგრაფიაზეც. **2000 წლისთვის** 100 ფერტილური ასაკის ქალზე შობადობა საშუალოდ 46 ბავშვს უდრიდა, რაც, სავარაუდოდ, მზარდმა გაჭირვებამ და დედობის დაუცველობამ განაპირობა. მეორე მხრივ, არც მამაკაცები ესწრაფოდნენ დაოჯახებას და მარჩენალის ფუნქციის საკუთარ თავზე აღებას. თუ მამაკაცს რეგისტრირებული შემოსავალი არ ჰქონდა, განქორწინების შემთხვევაში, ვერც ალიმენტის გადახდას აკისრებდნენ. ამდენად

გთავაზობთ 2012-2019 წ.წ.-ში რეგისტირებული ქორწინებებისა და განქორწინებების სტატისტიკას, რომელიც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის საიტზეა ხელმისაწვდომი:

რეგისტრირებულ ქორწინებათა სტატისტიკა:

***2012** – 30 412, **2013** – 34 693, **2014** - 31 526, **2015** – 29 157, **2016** – 25 101, **2017** - 23 684, **2018** – 23 202, **2019** - 23 285.*

რეგისტრირებულ განქორწინებათა სტატისტიკა:

***2012** – 7 136, **2013** – 8 089, **2014** – 9 119, **2015** – 9 112, **2016** – 9 539, **2017** – 10 222, **2018** – 10 288, **2019** – 11 205*

ქორწინებების სტატისტიკა ცვალებადია და კლების ტენდენციას ავლენს, სამაგიეროდ, განქორწინებები სტაბილურად მზარდია. ოჯახების 1/3-დან ნახევრამდე ინგრევა და ქალები ცხოვრებისეული გამოწვევების წინაშე მარტონი რჩებიან. სად ახერხებდა ქალების დიდი ნაწილი საარსებო თანხის შეკოწიწებას? სწორია - ბაზრობებზე, პატარპატარა კერძო მაღაზიებში და უკვე საანდაზოდ ქცეულ „ბუტკებში". მცირე ბიზნესი ყოველთვის დაკავშირებული იყო ათას რისკთან. განსაკუთრებით - განუკითხაობის და ქაოსის წლებში. უნდა „გეჭმია" ათასი ჯურის შემმოწმებელ- „მეხარკისთვის", საქმე გერჩია რეკეტიორთან და ა.შ. შესაბამისად, „ჩაირთო" ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმი და მოხდა „სოციალური მუტაცია" - ქალებს „ეშვები" და „ბრჭყალები" წამოეზარდათ. პროცესმა ჯერ ზრდასრულთა თაობა მოიცვა. დროთა განმავლობაში, კი, ვერტიკალში ავიდა და უმცროსი თაობაც ჩაითრია. დადებით მხარედ ის უნდა ჩაითვალოს, რომ **„ამორძალის სინდრომმა"** მოიტანა ქალების ფსიქოლოგიური გაძლიერება; პიროვნულ დამოუკიდებლობას და საზოგადოებრივ აქტიურობას ვგულისხმობ. ხოლო ნეგატიური მხარე, ჩემის აზრით, ფსევდო-მასკულინური ქცევის გათავისებაა. ხაზგასმული აგრესიულობა და ბილწსიტყვაობა მაქვს მხედველობაში.

ქალებს „ბრჭყალები" და „ეშვები" ეზრდებათ, ვინაიდან მიზოგინურ გარემოში ყველაზე მარტივი გამოსავალი გაუხეშებაა. კონსტრუქციული გზის მოძიება რთულია. მახსენდება ნოდარ რუხაძის სიტყვები: „სამწუხაროდ, ზოგიერთ გოგონას წარმოდგენაც არ აქვს, რა არის ძლიერი ქალი და როგორ უნდა გახდეს ასეთი..."

თაკი მეცამეტე

კვერლი თეთა:

„ლელიკოს ზიჭეზი“

„დედის წიაღში“ ჩარჩენილნი

1970 წელს ეკრანზე გამოვიდა **ოთარ იოსელიანის ფილმი „იყო შაშვი მგალობელი“.** პირველივე კადრებიდან თვალშისაცემია ფილმის გმირის სახის განზოგადებულობა. **გიას** თავის საქმეში ნიჭი ნამდვილად არ აკლია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არაფერს ქმნის; მხოლოდ დინებას მიჰყვება: ვითომ მუშაობს, ვითომ მუსიკოსობს... ვითომ, ვითომ, ვითომ. „ადამიანები რომლებიც თამაშობენ“ - ასე მოიხსენიებს **ფსიქოლოგი ერიკ ბერნი** მსგავს პერსონაჟებს. შეიძლება მის ასეთ საქციელში სისტემაც დავადანაშაულოთ: სსრკ-ს დროს ყველაფერს პარტია საზღვრავდა: რა უნდა ჩაგეცვა, როგორ უნდა გეფიქრა, რა უნდა გეთქვა, სად უნდა გემუშავა, როგორი მუსიკა უნდა დაგეწერა და ა.შ. ამდენად, ალბათ, არც უამისობაა. მაგრამ, ვისაც მართლა ჰქონდა ქმნის სურვილი, მაინც ახერხებდა - მეტ-ნაკლებად. მომხიბლავი და გულღია გია, ფაქტობრივად, დიდი ბავშვია. ყველას უყვარს, იმიტომ რომ „კაი ბიჭია“. საკუთარ თავში ჩაღრმავების, ან რაღაცის შეცვლის სურვილი არც აქვს. გია ფილმის ფინალში იღუპება, რაც ძალზე სიმბოლურია; ასეთ ტიპაჟს პერსპექტივა არ აქვს. ჩემის აზრით, მიზეზი არა მხოლოდ სისტემის ჩაკეტილობაშია; ძირითადი მიზეზი სწორედ გიას ინერტულობა და ინფანტილიზმია.

ინფანტილიზმი, ზოგადად, ჭარბადაა მოცემული ქართველი მამაკაცის ხასიათში და ცნობილი სინდრომის - „დედიკოს ბიჭობის“ წარმოებულია. მახსენდება **დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკის, გაგა ნიუარაძის** გამოსვლა ერთ-ერთ ტელეგადაცემაში. მან ძალზე საინტერესოდ და, ჩემის აზრით, სავსებით სწორად ახსნა, რატომ ვერ დაინერგა საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში როკერობა. მოტოციკლეტი ყოველგვარი დაზღვევის გარეშე სამყაროსთან პირისპირ დგომაა, ხოლო მანქანა შედარებით დაცული და იზოლირებული მიკროსამყაროა. ზედმეტი მზრუნველობიდან გამომდინარე, ქართველი მშობელი შვილისთვის უფრო ხალისით ყიდულობდა მანქანას, იმის მიუხედავად, რომ მოტოციკლეტზე ბევრად უფრო ძვირი უჯდებოდა. ასეთი ახსნა ნამდვილად არ არის უსაფუძვლო. სსრკ-ს დროსაც ქართულ ოჯახებში ვაჟებს განსაკუთრებულად ანებივრებდნენ და ცდილობდნენ მათ იზოლირებას სამყაროს გამოწვევებისგან. ამის მაგალითია, თუნდაც, ჯარში სამსახურისგან დახსნის მასობრივი მცდელობები, რაც ძალიან შორს იდგა ეროვნული მოტივაციისგან. უბრალოდ, დედებს სათაყვანებელი ბიჭიკოები შორს და დიდხანს გასაშვებად არ ემეტებოდათ. აქვე ა/ო „ჰეპა+“-ის ხელმძღვანელის მანანა სოლოღაშვილის ნაამბობიც უნდა შეგახსენოთ. ბებია მის ძმას გამორჩეული მზრუნველობით ექცეოდა, თან დებს მოძღვრავდა: არ გეწყინოთ, ბიჭია და მეტი ეკუთვნისო. ბიჭებზე ასეთი „ჩაციკლვა“ „ძლიერი სქესის“ საკრალიზაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა. შედეგად „ბიჭობაში“ ჩარჩენილ ეგოცენტრიკთა თაობები მივიღეთ.

ერთხელ **სექსოლოგ პაატა სოფრომაძესთან** მიღებაზე დედის თანხლებით ახალგაზრდა ბიჭი მივიდა. შვილს ხმა არ ამოუღია, სულ დედა ლაპარაკობდა: ძალ-

ზე ვწუხვართ შვილის სიმარტოვის გამო და გადავწყვიტეთ, ცოლი მოვიყვანოთო. „ამაზე კინაღამ გავგიჟდი - მითხრა **სოფრომაძემ** - როგორ თუ მოიყვანოთ, მათთან ერთად დაწოლას ხომ არ აპირებთ-მეთქი?! წარმოიდგინეთ, იმდენად ჰქონდა საკუთარი თავი შვილთან იდენტიფიცირებული, რომ ცალკე პიროვნულობის განცდა თითქმის დაკარგა და ასეთ საკითხზეც კი „ჩვენობით“ საუბრობდა!“.

სწორედ ამას ჰქვია „დედის წიაღში ჩარჩენა“. აღნიშნული სინდრომი ჩინებულად აიხსნება **ერიკ ბერნისეული** მოდელით. მეცნიერის აზრით, ადამიანის ყველა ქცევას სამი შინაგანი მექანიზმი განაგებს. ეს არის „ბავშვი“, „მშობელი“ და „მოზრდილი“. „ბავშვი“ იმპულსურ ქცევას განსაზღვრავს, „მშობელი“ “ბავშვს“ აკონტროლებს, ხოლო „მოზრდილი“ კი მათ აბალანსებს. სწორედ ამ დაბალანსების წყალობით ვერც „მშობელი“ „დაჩაგრავს“ ბავშვს და ვერც „ბავშვი“ „წამოაჯდება თავზე“ „მშობელს“. დაბალანსებულ და ჰარმონიულ პიროვნებაში სამივე „ძრავა“ შეთანხმებულად მუშაობს, ამიტომ თვითკონტროლი წარმატებით ხორციელდება. ტრადიციული აღზრდის მოდელში **„კენგურუს“ კომპლექსით** შეპყრობილი დედა საკუთარ თავზე იღებს შვილის „შინაგანი მოზრდილის“ ფუნქციას. იგი მთელი ცხოვრების მანძილზე „მწყემსავს“ ვაჟს, რომელიც პიროვნებად ვეღარ ყალიბდება. განებივრებულ „დედიკოს ბიჭს“ გარემოს მიმართ მომხმარებლური დამოკიდებულება აქვს. აგრეთვე ახასიათებს ხაზგასმული სწრაფვა თავისთავადობისკენ, რაც, საბოლოო ჯამში, პოზიორობაა.

„ქართველი დედები ვაჟებს ზრდიან შვილებად და არა მამაკაცებად!“ - მითხრა **მოდელმა ბექა ჯუმუტიამ.** ასეთი „შვილ-ქმარი“ ექსტრემალურ სიტუაციაში ოჯახის დამცველისა და მარჩენალის ფუნქციას ვერ შეასრულებს. სამაგიეროდ, მსუნაგი ბავშვებივით ეტანება სხეულებრივ სიამეებს - დროსტარებას, სექსუალურ ტკობას და ა.შ. „დედიკოს ბიჭების“ სრული ზნეობრივი გაკოტრება მაშინ გამოჩნდა, როცა საზღვარგარეთ გადახვეწილი „დედა-ცოლების“ შესანახები გახდნენ. ნეპოტისტურ გარემოში, შესაძლოა, კარგ თანამდებობაზე აღმოჩნდნენ, ან, სულაც, მენეჯმენტის სფეროში მოკალათდნენ. ამ დროს იმ გალაღებული ბავშვივით იქცევიან, ჯოხის ცხენზე ამხედრებული ჟივილ-ხივილით რომ დაჰქრის და თავი გენერალი ჰგონია. მაგალითები უამრავია; თუნდაც, საქართველოს პარლამენტში.

საინტერესო დეტალი: დაქორწინების შემდეგ „დედიკოს ბიჭი“ მშობელი დედის წიაღიდან „დედა-ცოლის“ წიაღში გადაინაცვლებს და „მარადიული შვილი“ ხდება. არცთუ იშვიათად, „დედა-ცოლი“ მშობელ დედას მთლიანად ანაცვლებს.

მიზეზი - ზედმეტი განებივრება

„დედიკოს ბიჭის“ ყველა ვერსიას ახასიათებს აღზრდა-ჩამოყალიბებაში დედის გადაჭარბებული მონაწილეობა. შედეგად ვიღებთ პასუხისმგებლობის სისუსტეს, ანუ კლასიკურ ინფანტილიზმს. ასეთი ადამიანი თვითკმარი და პასუხისმგებელი ვერ იქნება, ამიტომ, ექსტრემალურ სიტუაციაში, მხარდაჭერას აქეთ საჭიროებს. დევნილმა ქალებმა მწარედ იმწვნიეს ვაჟების მარადიულ შვილებად გაზრდის შედეგი. დევნილობის ტვირთმა, ძირითადად, მათ ზურგზე გადაიარა. მოვუსმინოთ

„აფხაზეთის ა\რ ქალთა საბჭოს“ თავმჯდომარეს, როზა კუხალაშვილის :

- წარმოიდგინეთ, ქალი დაქვრივდა, დარჩა ყველაფრის გარეშე ბავშვებთან ერთად. თუ ბევრ მამაკაცს ჰქონდა იმის ფუფუნება, რომ დეპრესიაში ჩავარდნილიყო და არაფერი ეკეთებინა, ქალებს ამისი ფუფუნება ნამდვილად არ ჰქონიათ. სწორედ ქალებმა დაიწყებს პირველად უსამართლობაზე ლაპარაკი. მხოლოდ ქალები დარბოდნენ სამთავრობო სტრუქტურებში; მე იქ კაცები არასოდეს მინახავს. ქმარი რომც ჰყოლოდა, მაინც ქალი მოდიოდა და ეს იყო ტენდენცია. დევნილების საცხოვრებელ ადგილზე თუ რამე პრობლემა აწუხებდათ, ქალის მეტი ხმას არავინ იღებდა. მამაკაცებს, არ ვიცი, ერიდებოდათ, თუ უჭირდათ ხმის ამოღება. როდესაც ბავშვებს შიათ და სცივათ, აქ უკვე შენი თავმოყვარეობა წინ არ უნდა დააყენო.

- ალბათ, მიზეზი ის არის, რომ ქართველი დედები ბიჭებს უფრო ანებივრებენ, ამიტომ უფრო ინფანტილურები და ყოყოჩები იზრდებიან. სიძნელეების შემთხვევაში კი იბნევიან და პრობლემებს გაურბიან...

- ასი პროცენტით გეთანხმებით. სწორედ ასეა. მაშინაც კი, იმ უმძიმეს მდგომარეობაში, უმეტეს შემთხვევაში, დედები ცდილობდნენ თავისი 14-15 წლის ბიჭები არ დაეტვირთათ და ყველაფერი თავის თავზე აეღოთ. ამ დროს, ამ ასაკის ბიჭს ბევრი რამე შეუძლია - მოიტანოს, წაიღოს და ა.შ. სოფლებში, ხანდახან, 15 წლის ბიჭები ოჯახებსაც არჩენენ. გააჩნია, ვინ როგორ გაზრდის. რატომ არის რომ ქართველ ბიჭთა უმრავლესობისთვის ჯერ დედაა მზრუნველი და მერე ცოლი? სწორედ მაგიტომ, თქვენ რომ აღნიშნეთ - ყველაფერი ზედმეტი განებივრების ბრალია. ამდენად, ჩვენ მივდივართ იქითკენ, რომ ყველა იმ პრობლემის საწყისი, რომელიც საზოგადოების წინაშე დგას, ისევ ქალში უნდა მოვიძიოთ.

- შეგახსენებთ, რომ მამაკაცების დომინანტობა ქალს თავში სისტემამ ჩაუდო; ხოლო სისტემა კი მამაკაცებმა შექმნეს...

- ცხადია, ქალს ოდითგანვე ჩაგონებული აქვს, რომ მამაკაცი გვარის გამგრძელებელია და ამიტომ ეფუფუნება. იმერეთში იციან: გოგონები სხვისი ტუტაა (ანუ ნაცარი), სხვის ოჯახში წავა, ბიჭი კი რჩებაო. როდესაც არჩევანი დგება, ხშირად, ოჯახი წყვეტს, რომ ბიჭმა უნდა დაამთავროს უმაღლესი. ბიჭის შემთხვევაში ავიწყდებათ სიბრძნე: შვილი მტრად გაზარდე, მოყვრად გამოგადგებაო. ცხადია, აქ გონივრულ სიმკაცრეზეა საუბარი. შვილი თავზე არ უნდა დაიჯინო. მის სასიკეთოდ, ხანდახან, გულს უნდა გადავაბიჯოთ. ცხოვრება სიურპრიზებითაა სავსე და ადამიანი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს. ახლა გამახსენდა: სოხუმში მთელი წლის მანძილზე ომი რომ მიდიოდა, უმეტესად ქალები იყვნენ სახლებში დარჩენილნი. ძალიან ბევრმა მამაკაცმა ქალაქი დატოვა.

- საომრად წავიდნენ?...

- არა, განერიდნენ აფხაზეთს...

- მაინც ვერ მივხვდი. ცოლ-შვილი სოხუმში რატომ დატოვეს?

- შვილები გაიყვანეს, მაგრამ სახლი ცარიელი რომ არ დარჩენილიყო, ცოლები დატოვეს. ანუ სახლის მცველად, ხშირად, სწორედ ქალი იყო დარჩენილი.

- ცოლ-შვილი გაერიდებინათ და სახლის მცველებად თავად რომ დარჩენილიყვნენ, არ შეიძლებოდა?

- კაცები ხშირად პანიკაში იყვნენ. ის კაცები მყავს მხედველობაში, რომლებიც არ ომობდნენ და, უბრალოდ, მეზობლად ცხოვრობდნენ. გაოგნებული ვიყავი. ყველას ფსიქიკა ვერ იტანს ასეთ სტრესს. ერთი, მახსოვს, აკანკალებული მოვიდა ჩემთან; ხელში შეკვრა ეჭირა: მეზობელმა აფხაზმა დამიტოვა თავისი ოქროულობა შესანახად. შენ ვიცი, რომ არ წახვალ (დედაჩემი იყო უარზე), ამიტომ მინდა გადასაცემად შენ დაგიტოვოო. არც გამიხსნია, ისე გადავეცი იმ ადამიანს, როდესაც აფხაზები შემოვიდნენ.

- მოკლედ, პირველი გენდერული პრობლემა, რომელიც დევნილებში შეამჩნიეთ, იყო მამაკაცების განრიდება პრობლემებისგან და უღლის მხოლოდ ქალების ძალით გაწევა. რა იყო რიგით მეორე პრობლემა, რომელიც ასევე მწვავედ იდგა ამ თემის წინაშე?

- იცით, უნდა გითხრათ, რომ მამაკაცთა განრიდების პრობლემა იმ წლებში არ ჩარჩენილა და დღესაც აქტუალურია. ბევრი მამაკაცი ძალიანაც მოერგო უმუშევრობას და სასმელს მიეძალა. მათ, ფაქტობრივად, ცოლები არჩენენ. სამწუხაროდ, ზოგმა სინდის-ნამუსი დაკარგა. სხვა სიტყვებს, უბრალოდ, ვერ ვპოულობ. წარმოიდგინეთ, იკრიბება რამდენიმე კაცი, ვიღაცას ფული რომ შეაწერონ და, ელემენტარულად, დალიონ! ხან ერთი ადამიანისგან სესხულობენ ფულს, ხან მეორისგან. თან დაბრუნებას არც აპირებენ. ეს მასობრივი მოვლენა იყო; განსაკუთრებით, დევნილთა კომპაქტურ ცენტრებში. ასეთი დეგრადირება საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა.

- ასეთი ცხოვრების წესი პირდაპირ განაპირობებს ოჯახში ძალადობას...

- რასაკვირველია! პიროვნულად დეგრადირებულ მამაკაცს, რომელიც ასე ცხოვრობს, ტვინში მხოლოდ ის აქვს, რომ დალიოს. თუ ცოლი ფულს იშოვის, ცდილობს წაართვას და სასმელში დახარჯოს. ქალი უარს თუ ეტყვის, კონფლიქტი იწყება. მაგასაც არ ვხედავთ, ქალები ათეულ წლობით საზღვარგარეთ რომ მიდიან, ხოლო მათი უსაქმური ქმრები, ძმები და ვაჟები გამოგზავნილი ფულით საამურად ცხოვრობენ! ისეთი შემთხვევებიც ვიცი, ქალი უმაქნის ქმარს რომ ეყრება და მერე ბავშვთან ერთად საზღვარგარეთ მიდის, ვინაიდან ყოფილი ქმარი შვილს ყურადღებას არ აქცევს.

პარალელი: ბიზნეს-ლედი ქეთევან თომეიშვილს, რომლის შესახებაც წინა თავში გიამბეთ, ემიგრაციაში მიღებულმა მკაცრმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ აღზრდის გამკაცრების აუცილებლობა დაანახა: „შვილთან ურთიერთობაც სიმკაცრეში გადამდის, მაგრამ მირჩევნია შრომას მიეჩვიოს და ამ შრომაში ხელფასი გადავუხადო, რომ თავისი საჭიროებები დაიკმაყოფილოს, ვიდრე მთელი ცხოვრება მე შემომყურებდეს ხელებში. საქართველოში ხომ იცით როგორცაა - 40 წლის კაციც ბავშვია და მოვლას ითხოვს...“

რამდენიმე წლის წინ **ფონდმა „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“** დევნილობის ტრავმაზე და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემაზე ოთხი ათასზე მეტი დევნილი გამოიკვლია (როგორც 90-იანი წლების, ისე **2008 წლის ომის** შედეგად ადგილნაცვალი მოსახლეობა). გამოკვლევა ჩატარდა ისეთი ტიპის ფსიქიკურ აშლილობებზე, როგორიცაა დეპრესია, შფოთვა, სტრესული აშლილობა

და ა.შ. აგრეთვე შესწავლილი იქნა, როგორ ახერხებდნენ მამაკაცები და ქალები პრობლემების გადაწყვეტას. კვლევის მონაცემები **2015 წელს** გამოქვეყნდა

აი რას ამბობს **ფონდის დირექტორი, ფსიქიატრი ნინო მახაშვილი:**

- კლინიკური მდგომარეობები ქალებში უფრო იყო გავრცელებული. დეპრესიის სიმპტომები, მაგალითად, დევნილი ქალების 15,4%-ს აღენიშნებოდა, კაცებში - 11,4%-ს. რაც ნიშნავს რომ ასიდან 15 ქალი და 11 კაცი ამ კლინიკური დიაგნოზის სიმპტომებით იტანჯებოდა (აღარ ჰქონდა მომავლის იმედი, იყო უინტერესო და უინიციატივო და სხვ.). რაც შეეხება სტრესთან გამკლავებას, მამაკაცები ხშირად იყენებდნენ დესტრუქციულ სტრატეგიებს (ალკოჰოლი, აზარტული თამაშები, სიტუაციიდან განრიდება და სხვა), ხოლო ქალები - კონსტრუქციულს (გეგმავდნენ მომავალს, აქტიურად ცდილობდნენ გამოსავლის მოძებნას). თავის სათემო ცხოვრებაში ეს ქალები ხშირად ირგვლივმყოფთა საყრდენები იყვნენ, ქმნიდნენ მხარდამჭერ სოციალურ ქსელს, ანუ მყუდრო სიტუაციას, სადაც შეგეძლო მისულიყავი, ყავა დაგელია და განტვირთულიყავი.

გამოკვლევამ დაადასტურა როზა კუხალაშვილის ემპირიული გამოცდილება: ფსიქიკური დაავადებების მიმართ მეტი მოწყვლადობის მიუხედავად, პრობლემების გადაწყვეტის კონსტრუქციულ სტრატეგიებს სწორედ ქალები იყენებდნენ. „დედის წიაღში ჩარჩენილი“ მამაკაცები სიძნელეებისთვის მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ.

გოგია უიშვილის სინდრომი

2002 წელს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კოალიციის მიერ გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე **სახალხო დამცველის მოადგილემ, თეიმურაზ ლომსაძემ** ყველასათვის მოულოდნელი განცხადება გააკეთა:

- ყველა რატომღაც მხოლოდ მამაკაცის მიერ ქალზე ძალადობის შესახებ ლაპარაკობს. ამ დროს, საყოველთაო კრიზისის გამო, მამაკაცები უფრო განიცდიან ფსიქოლოგიურ ძალადობას და ამაზე რატომღაც ყველა დუმს.

დარბაზში გნიასი ატყდა. ორმა ასაკოვანმა მამაკაცმა **ბატონ ლომსაძეს** მხარი აუბა და პათეტიკურად გვაუწყეს... მამაკაცთა დისკრიმინაციის შესახებ! თურმე როკაპი ცოლები საცოდავ ქმრებს მოსვენებას არ აძლევდნენ და ოჯახის შესანახად ფულს ითხოვდნენ: არ მაინტერესებს საიდან მოიტან; მოიპარე, მაგრამ იშოვეო! მერე კი მათგან ცუდ გზაზე დაყენებული ქმრები ციხეში ხვდებოდნენ.

ძალიან საინტერესოა, რომ იმავე წელს და იმავე ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ ღონისძიებაზე, მსგავსი მოსაზრება **შსს-ს წარმომადგენლის, ბ-ნ ფორაქიშვილისგანაც** მოვისმინე:

- ოჯახში ძალადობაზე საუბრისას, აპრიორი გულისხმობთ, რომ დაზარალებული მხარე ქალია. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ეს ცალმხრივი მიდგომაა? რატომ არ

გინდათ იმის დანახვა, რომ, ხშირ შემთხვევაში, დაზარალებული სწორედ მამაკაცია? ცოლი გასაქანს რომ აძლევს - საიდანაც გინდა ფული მოიტანეო, ეს განა ძალადობა არ არის?“

მისმა სიტყვებმა ხუმრობის ხასიათზე დამაყენა:

- მომიტევეთ, მაგრამ ეს ძალადობაა, თუ სამართლიანი მოთხოვნა? აბა, სახლში რომ მოდის, ცოლისგან ხომ მოითხოვს - საჭმელი მაჭამეო? საიდან აჭმევს, თუ სახლში ფული არ იქნება?

ქალბატონები გამხიარულდნენ. **ფორაქიშვილმა** კი პირქუში მზერა მესროდა და, მგონი, გამინაწყენდა. ალბათ, ჩემი ხუმრობა უადგილო იყო. ყოველთვის უმჯობესია, ოპონენტის არგუმენტები ბოლომდე მოისმინო და დეტალებშიც ჩაეძიო. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მეუღლეთა შორის ძალადობის ხუთი პროცენტის შემთხვევაში დაზარალებული ნამდვილად მამაკაცია; მაგრამ იმ შეხვედრამდე კრიზისი, მეტ-ნაკლები ინტენსივობით, დაახლოებით ათი-თხუთმეტი წელი თუ გრძელდებოდა; „მოძალადე“ ცოლებიც დაახლოებით ამდენივე (ან უფრო ცოტა ხანს) „მძვინვარებდნენ“. და, აი, მამაკაცები უკვე ატირდნენ!

ძალაუნებურად ჩნდება კითხვა: ნეტა რა დღეში ჩაცვივდებოდნენ, მათზე რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში რომ ეძალადათ, როგორც ეს ქალების შემთხვევაში მოხდა? პატრიარქალური წნეხი მთელი პლანეტის მასშტაბით, მეტ-ნაკლებად, ახლაც არსებობს.

მაგრამ, მეორეს მხრივ, პატრიარქალურ კულტურაში მარჩენალის როლის დაკარგვა მართლაც ფსიქოლოგიურად დამანგრეველია. „რა კაცი ვარ მე ახლა? აი, კაცი მაშინ ვიყავი, მთელ კურსს რესტორანში რომ ვეპატიჟებოდი და მერე კი ყველა გოგონას ტაქსით ვუშვებდი სახლში!“ – მითხრა ერთხელ ორმოცს გადაცილებულმა მამაკაცმა. გახანგრძლივებული სტრესი ორგანიზმს შიგნიდან „ხრავს“; დროთა განმავლობაში თავს იჩენს გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და ნევროზები. ორმოცს გადაცილებულ მამაკაცთა გულის დაავადებებით სიკვდილის გახშირებაც ამაზე მეტყველებს.

პარალელი: იგივე სიმპტომები აღენიშნებათ ხანშიშესულ ბაბუინებს (პრიმატთა სახეობა), რომლებიც ჯოგის დაცვას ვეღარ ახერხებენ. სხვა მამრთა უპირატესობა სასოწარკვეთილებაში აგდებს და მწვავე ნევროტული დარღვევები ეწყებათ.

ბიჭობაში ჩარჩენილებს წარუმატებლობა სასოწარკვეთილებაში აგდებს: საკუთარი უსუსურობით ნაკვები აგრესია ნელ-ნელა გროვდება და რაღაც მომენტში გადმოხეთქავს; საკითხავია მხოლოდ, როდის, ვის წინააღმდეგ და რა ფორმით. იმპულსები, ხანდახან, საკუთარ თავისკენაც წარიმართება; დეპრესიისკენ მიდრეკილმა ადამიანმა, შესაძლოა, თავიც კი მოიკლას. ამას შეიძლება **„გოგია უიშვილის სინდრომი“** ვუწოდოთ. „სხვაი, სხვაი იყო მათრახებით ცემა!“- ამბობს თვითმკვლელობის წინ **ეგნატე ნინოშვილის** სასოწარკვეთილი გმირი. ასეთი „სხვაი, სხვაი“ არც თანამედროვე მამაკაცებს აკლიათ კომუნალური გადასახადების ქვითრების, ყოველდღიური სახარჯო ფულის უქონლობის, გაციებული ბავშვის ხიხინის, სამსახურში უფროსის თავგასულობის, და ცოლის საყვედურების სახით.

ეს მონაცემები **1999 წელს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარ-**

ტამენტის პრესცენტრმა მოგვაწოდა:



გრაფიკის მიხედვით, მამაკაცთა შორის სუიციდი 3-4-ჯერ აღემატება ანალოგიურ მაჩვენებლებს ქალებში; მინიმალური მაჩვენებელია - 91, მაქსიმალური - 151; ქალებში: მინიმალური - 30, მაქსიმალური - 56. ციფრები ადასტურებს - ხანგრძლივი სტრესის მიმართ ქალის ფსიქიკა უფრო მდგრადია. ეს ბიოლოგიურადაა განპირობებული (იგივე ფეხმძიმობა ხანგრძლივი სტრესია). სამაგიეროდ, ძლიერი, ხანმოკლე სტრესის მიმართ მამაკაცის ფსიქიკა უფრო მდგრადია. ანუ, მამაკაცი უფრო სპრინტერია, ხოლო ქალი - სტაიერი. **„დედის წიაღში ჩარჩენილის სინდრომი“** კიდევ უფრო აქვეითებს მამაკაცების მდგრადობას ხანგრძლივი სტრესის მიმართ. გაჭიანურებული სოციალური კრიზისიც იგივე ხანგრძლივი სტრესია. ლოგიკურია, რომ ქალებმა მის მიმართ მეტი გამძლეობა გამოავლინეს.

1999 წელს შევისწავლე თვითმკვლელობის მასალები **გლდანი-ნაძალადევის** და **ვაკე-საბურთალოს** რაიონებში. **1999 წელს გლდანში** მოხდა თვითმკვლელობის 20 ფაქტი. აქედან 14-ის მიზეზი სოციალური სიდუხჭირე იყო. ვაკეში იმავე პერიოდში ათმა ადამიანმა მოიკლა თავი. აქედან ორმა სოციალური სიდუხჭირის გამო. ამ მიზეზით თავს, ძირითადად, მამაკაცები იკლავდნენ. ქალთა სუიციდის მიზეზი ემოციურ-გრძნობითი იყო. გამონაკლისი - ავადმყოფი მოხუცებულები, რომლებმაც არსებულ სოციალურ სიტუაციაში თავი „ზედმეტ ბარგად“ იგრძნეს. მოკლედ, სახეზეა ტიპური **„ვოგია უიშვილის სინდრომი“.** გთავაზობთ რამდენიმე ფაქტს, რომელიც **გლდანისა** და **ვაკის პოლიციის** დოკუმენტაციაში მოვიძიე:

ნოდარ რ. 28 წლის უმუშევარი *- მეუღლემ პურის ფული სთხოვა და კაპიკიც არ აღმოაჩნდა. შელაპარაკების შემდეგ გამწარებულმა თავი დანით დაიჭრა.*

გ. ა. 56 წლის, დამსახურებული პედაგოგი, უმუშევარი *- გაჭირვების გამო რაც კი ებადა, ყველაფერი გაყიდეს. ბოლოს ვალი აიღეს და ტრაგედია მევალეების მუქარამ განაპირობა. გამოსათხოვარ ბარათში დაწერა: „იძულებული გავხდი საკუთარი თავისთვის ეს განაჩენი გამომეტანა. ამდენ დამცირებას ვეღარ ავიტან..“*

ა.ს. 37 წლის, სამი შვილის მამა, უმუშევარი *- ბოლო ორი წლის მანძილზე სულიერად მოტყდა, გაუჩნდა საკუთარი თავის უმაქნისობის და არარაობის განცდა. ჩავარდა მძიმე დეპრესიაში, გალოთდა, საშინელ მდგომარეობამდე მივიდა. ბოლოს, როდესაც მეუღლე საყიდლებზე გასული დაიგულა, თავი ჩამოიხრჩო.*

მ.ზ. 39 წლის, ორი შვილის მამა *- დაახლოებით იგივე ისტორია; საბედნიეროდ, არ გალოთებულა. თვითმკვლელობის მიზნით ვენები გადაიჭრა, მაგრამ დროზე მიუსწრეს. „დამატებით კითხვაზე გიპასუხებთ, რომ არავის მიმართ პრეტენზია არ გამაჩნია“ - დაწერა ახსნა-განმარტებით ბარათში.*

დ.მ. 20 წლის, უმუშევარი *- ნასვამ მდგომარეობაში გაახსენდა თავისი შეყვარებული, რომელზედაც ვერ დაქორწინდა ეკონომიური მდგომარეობის გამო და რამდენჯერმე დანა ჩაირტყა. საბედნიეროდ, გადაარჩინეს.*

განსაკუთრებით სულისშემძვრელია **30 წლის გ.ა-ს** ისტორია. თავის ჩამოხრჩობა სცადა, მაგრამ მიუსწრეს და ექიმებმა ძლივს გადაარჩინეს. ამ ადამიანმა ახსნა-განმარტებით ბარათში საოცარი სიზუსტით მოუყარა თავი ყველა იმ პრობლემას, რომელიც აწუხებდა და აწუხებს მამაკაცებს: რისი მაქნისი ვარ, ცხოვრების აზრი დავკარგე, ვერაფერს ვაკეთებ, გავზარმაცდი, იმპოტენტი ვარ და თავის უნდა მოვიკლაო. ანუ გაჭირვებამ მამაკაცი სოციალურად, ფსიქოლოგიურად და ხანდახან ფიზიკურადაც დაასაჭურისა. სუსტი ფსიქიკის პატრონი იქამდეც მიდის, რომ თავს იხრჩობს, დანას ირტყამს და ფანჯრიდანაც ხტება...

„ინფორმაციის თავისუფლების ინსტიტუტის“ საიტზე მოვიძიე თვითმკვლელობის სტატისტიკა 2014-2017 წლებში: 2014 – 306 მამაკაცი 76 ქალი; 2015 – 329 მამაკაცი, 71 ქალი; 2016 – 373 მამაკაცი, 96 ქალი; 2017 – 301 მამაკაცი, 60 ქალი. შემთხვევები ყველაზე მეტი იყო 25-44 წლის ასაკობრივ კატეგორიაში. ზოგადად, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 35-65 წლის მამაკაცებშია.

„საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის“ ხელმძღვანელის, ფსიქიატრი-ფსიქოთერაპევტის მანანა შარაშიძის სიტყვით, პატრიარქალური საზოგადოებისგან დაკისრებული როლის გამო, მამაკაცი სუიციდის მიმართ უფრო მოწყვლადი ხდება:

- ეს ის ასაკია, როდესაც ადამიანი შემდგარი უნდა იყოს. რადგანაც ამას ვერ ახერხებს, სასოწარკვეთილებაში ვარდება და, ხანდახან, სიკვდილის გარდა გამოსავალს ვერ პოულობს. აღრიცხვიანობის მიხედვით, ქალები თითქმის ორჯერ უფრო ხშირად ხდებიან ავად დეპრესიით; სამაგიეროდ, თვითმკვლელობა მამაკაცებში სამჯერ მეტია, რასაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის პარადოქსს ეძახიან. საზოგადოება მამაკაცისგან სიძლიერეს ელის, ხოლო დეპრესია სისუსტესთან ასოცირდება; ამიტომ მამაკაცებს ფსიქიატრიულ სერვისებისთვის მიმართვა კი არა, პრობლემის საკუთარ თავთან აღიარებაც კი უჭირთ. ქალები უფრო მოგვმართავენ. მამაკაცები კი დახმარებას არ ითხოვენ; უბრალოდ, თავს იკლავენ. ანდა, ხდება დეპრესიის სომატიზაცია. ჩინეთში, მაგალითად, მამაკაცები ექიმებს ამ დროს მუცლის ტკივილის ჩივილით მიმართავდნენ. „მუცელი მტკივა“ უფრო მისაღებია მამაკაცისთვის, ვიდრე იმის გაცნობიერება, რომ დეპრესია აწუხებს. არსებობს დეპრესიის თვითშეფასების სკალები (კითხვარები). მამაკაცებს იმდენად უჭირთ დეპრესიის დროს თავისი მდგომარეობის შეფასება, რომ მათთვის განსაკუთრებული სკალის შექმნას ფიქრობენ. ფსიქოლოგიური ტკივილის ჩახშობა ალკოჰოლით და დესტრუქციული, აგრეთვე, სარისკო ქცევებით ხდება. უკვე კვლევებიც დაიდო, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში 25-40 წლის მამაკაცები მოწყვლადნი არიან. საზოგადოება მათგან ელის, რომ ოჯახის მარჩენალი იქნება. ამ დროს სამსახურს კარგავს; ქალი კი შოულობს და მარჩენალი ხდება. პროფესორ ქალს ნაკლებად უჭირს ძიძა გახდეს. მამაკაცი, კი, ამ დროს, საკუთარი პატივისცემის გრძნობას კარგავს და თვითშეფასება უდაბლდება; ანუ, სოციალურ კიბეზე ჩამოცურებას მამაკაცი ქალზე მეტად განიცდის. მის შემთხვევაში შემოსავალი და ღირსება ერთმანეთთან გადაჯაჭვულია. ამიტომაა რომ გარდამავალი ეპოქის ქვეყნებში ამ ასაკის მამაკაცებში თვითმკვლელობათა სტატისტიკა იზრდება...

2002 წელს ამ თემაზე **რუსუდან ფხაკაძეს ვესაუბრე**. მისი სიტყვით, ადრე მამაკაცები ფსიქოლოგიური დახმარების ტელეფონზე არ რეკავდნენ, მაგრამ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში მდგომარეობა შეიცვალა:

- მოგვმართავენ მამაკაცები, რომლებიც ძირითადად ჯანმრთელობას და ფსიქოლოგიურ პრობლემებს უჩივიან. ეს ყველაფერი სოციალური პრობლემებითაა გამოწვეული. გაჭირვება და ამის საფუძველზე აღმოცენებული ფსიქოლოგიური სტრესი ვნებს მამაკაცების უმნიშვნელოვანეს ფიზიოლოგიურ რგოლს - რეპროდუქციულ სისტემას. ანდროლოგები ერთხმად მიუთითებენ საგანგაშო მდგომარეობაზე - მამაკაცების სოციალური უმწეობა მათი ფიზიოლოგიური გაკოტრებით მთავრდება. სოციალური უმწეობა განაპირობებს მამაკაცთა ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ დემასკულინიზაციას. სწორედ ამით აიხსნება ალკოჰოლიზმი, აგრეთვე კარდიოლოგიური და ნევროლოგიური პრობლემების გახშირება.

რაც უფრო ინფანტილურია მამაკაცი, მით უფრო იოლად ხდება „გოგია უიშვილის სინდრომის“ საკბილო. თვითმკვლელობისა და მკვლელობის იმპულსები საერთო წყაროდან საზრდოობს. მამაკაცთა ნაწილი აგრესიას გარემოსკენ მიმართავს. უახლოესი გარემო ოჯახია, ხოლო უახლოესი ობიექტი - მეუღლე. ამიტომ, ზოგი თუ თავს იკლავს, სხვა საკუთარ ცოლს/პარტნიორს უსპობს სიცოცხლეს. რომელ გზას აირჩევს, მის ხასიათზე და კონკრეტულ სიტუაციაზეა დამოკიდებული. რატომ კლავს მაინცდამაინც ცოლს/პარტნიორს გამწარებული „დედიკოს ბიჭი“? იმიტომ, რომ პატრიარქალური გაგებით, ქალი „დაბალი ღობეა“. მაგრამ ეს ახსნის მხოლოდ ნაწილია. კრიზისულ წლებში სწორედ ქალებმა გამოიჩინეს სიყოჩაღე: წამოიწყეს მცირე ბიზნესი, ვაჭრობა; ზოგი საზღვარგარეთ წავიდა ოჯახისა და ქმრის გადასარჩენად. მათ აშკარად აჯობეს მამაკაცებს გამძლეობაში. რა გასაკვირია, რომ ზოგიერთი ცხოვრებაზე განაწყენებული „დედიკოს ბიჭი“ ისე იმეტებს საკუთარი შვილების დედას, რომ ხელიც კი არ უკანკალებს?! განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მოთმინებადაკარგული ქალი მისგან წასვლას გადაწყვეტს.

ბებერ ბაბუინს თუ სხვა მამრთა უპირატესობა აგდებს სასოწარკვეთილებაში, კრიზისით გასრესილი ქართველი მამაკაცი საკუთარი ცოლის/პარტნიორის სიყოჩაღით კომპლექსდება. მაშინაც კი, როდესაც ოჯახს მამაკაცი არჩენს, მისი კონკურენტები ხშირად ქალები არიან. „დედაკაცთა გამეტიჩრებით“ აღძრული გაღიზიანება ნელ-ნელა გროვდება (გავიხსენოთ „მატრაკვეცა ძუკნებზე“ გამწარებული მარკ ლეპინი!). გადაიქცევა თუ არა ბოღმა დამანგრეველ აგრესიად, კონკრეტულ სიტუაციაზეა დამოკიდებული.

შეზღუდული პასუხისმგებლობის მშობელი

„დედიკოს ბიჭი“ ვერასოდეს იქნება სრულფასოვანი მამა. **გია მურღულიას (საერთაშორისო აკადემია ლოგოსი - Logos International Academy, დამფუძნებელი, სამეცნიერო ხელმძღვანელი)** სიტყვით, მამობის ინსტიტუტი „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას“ დაემსგავსა. „შეზღუდული პასუხისმგებლობის მამა“ ყოველგვარი შინაგანი დისკომფორტის გარეშე უთმობს მეუღლეს შვილზე ზრუნვის

და სითბოს გაცემის პატივს. მისი ფუნქცია ხშირად მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ ბავშვს ან თავზე ხელი გადაუსვას, ან თითი დაუქნიოს. ათიოდე წლის წინათ ბატონმა გიამ გადაწყვიტა შეეცვალა სიტუაცია და **მამათა საბჭო** ჩამოაყალიბა. როცა პირველ შეკრებაზე დირექტორი დაინტერესდა, უფროსკლასელთა მამებს ბოლოს როდის ჰქონდათ შვილებთან მეგობრული საუბარი, უმრავლესობამ თავი მორცხვად დახარა და აღიარა, რომ კარგა ხნის წინ თუ ისაუბრეს შვილთან, ან ასეთი ფაქტი საერთოდ ვერ გაიხსენეს. შედეგი: რამდენიმე შეკრების შემდეგ საბჭო უმტკივნეულოდ დაიშალა.

წინა თავში „ქართლის დედის“ ფენომენის მანკიერ მხარეებზე ვისაუბრეთ. მაგრამ ქართველი დედა თუ გადაჭარბებული დედაა, ქართველ მამას არასაკმარისი მამობა უნდა ვუსაყვედუროთ. ყოველდღიურ ყოფაში ყველას გვსმენია ცნობილი ფრაზები: „დედამისი მოვა და მიხედავს!“, „დედას ჰკითხე და აგიხსნის!“, „სულ დედამისმა გაატუტუცა“ და ა.შ. ანუ შვილზე მეურვეობა-ზრუნვა და პასუხისმგებლობა მთლიანად დედასთანაა ასოცირებული.

ინფორმაცია განსჯისთვის: ავტორის აზრით, ეს დისბალანსი ფოლკლორშიც აისახა. გავიხსენოთ, თუნდაც, ზღაპარი „წიქარა“. დაქვრივებული მამაკაცი ცოლს მოიყვანს. დედინაცვალი მცირეწლოვან გერს აითვალწუნებს და ყველანაირად ცდილობს მის დაღუპვას. ობოლს ქომაგად ერთგული ხარი წიქარა ევლინება. რატომ ხარი, და არა ძროხა? ეს არ არის შემთხვევითი. ვფიქრობ, ზღაპარში ჩადებული კოდი შემდეგნაირად იშიფრება: ხარი მიწის სტიქიის სიმბოლოა, ხოლო მიწა - დედობრივი საწყისის საუფლო. მამობრივი საწყისის დაკნინების სიტუაციაში შვილს მასკულინიზირებული დედობრივი საწყისი პატრონობს. არც ისაა შემთხვევითი, რომ როკაპი ცოლის სიტყვაზე მამა ღორს შემოაჯდება და შვილს მოსაკლავად გაეკიდება. ღორი ამ შემთხვევაში ბინძური სხეულებრივი ვნებების სიმბოლოა, რომელშიც ასე ადვილად ეფლობიან ინფანტილური მამაკაცები.

სოციალურმა კრიზისმა მამობრივი უნარები კიდევ უფრო დააკნინა. **ექიმი-ფსიქოთერაპევტი მანანა სოლოღაშვილი** პრაქტიკაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ საკუთარი თავის ახლებურად პოვნა განსაკუთრებით უფროს თაობას გაუჭირდა. ტოტალური დაბნეულობიდან გამოსვლა მხოლოდ მცირე ნაწილმა თუ მოახერხა; ნაწილი კი საკუთარი უმწეობის დაბალანსებას, ან ძალადობით შეეცადა, ან/და ნარკოტიკს და სასმელს მიეძალა. ასეთ სიტუაციაში მამობის დანიშნულების წარმატებით შესრულებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

მსოფლიო ლიტერატურაში ძნელად თუ მოიძიებთ თავდადებული მამობრივი სიყვარულის მაგალითებს. **ბალზაკის „მამა გორიო“** იშვიათი გამონაკლისია. სამაგიეროდ, მრავლადაა ხისტ მამათა სახეები, რომლებიც სასტიკად სჯიან შვილებს შეცდომებისთვის. მაგალითად, **მერიმეს „მატეო ფალკონე“, გოგოლის „ტარას ბულბა“** და **ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“** იკმარებს. უვარგისი მამების სახეებიც, აგრეთვე, მრავლადაა. **ნიკო ლორთქიფანიძის** ნოველაში **„ტრაგედია უგმიროთ“** შიმშილით ჭკუიდან გადასული მამა შვილებს ლუკმას არ გაუყოფს. მერე კი, სინანულში ჩავარდნილი, სიცოცხლეს მოისწრაფებს, თან თავში ჩაქუჩივით უკაკუნებს შეუბრალებელი სიტყვები: „რა ვქენი! დედა ხომ არ იზამდა!“ ქვეტექსტი აშკარაა: დედა უფრო თავდადებული და ძლიერია. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ **ნიკო ლორთქიფანიძის** კალამს ეკუთვნის შვილებს უპირობოდ შეწირული დედობის

აპოლოგია - **„თავსაფრიანი დედაკაცი“.**

ყოფითმა, ლიტერატურულმა და ფერწერულმა ტრადიციამ თავგანწირული სიყვარულის და თავდადების ღირსება ექსკლუზიურად დედობის ფენომენს მიაკუთვნა; და არა მარტო მიაკუთვნა - მის ყველაზე საპატიო და, ფაქტობრივად, ერთადერთ დანიშნულებად აღიარა. ვითომ პატივია? ეჭვი მეპარება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პატივს შეზღუდვები მოჰყვება და ბორკილებად იქცევა.

შვილთა თაობა ახალ პირობებში ჩამოყალიბდა და მზადაა როლების ახლებურად გადანაწილებისთვის. უკანასკნელი ათიოდე წლის მანძილზე ფრიად მნიშვნელოვანი ტრადიცია გაჩნდა - მომავალი მამები მეუღლეების მშობიარობას ესწრებიან; **შპს „ჰერა 2011“-ის გენერალური დირექტორის, მედიცინის დოქტორის, ირაკლი მაჭარაძის** სიტყვით, საქართველოში ეს პრაქტიკა, სადღაც, 1999-2000 წლებიდან შემოვიდა. დანერგვა, ძირითადად, კერძო კლინიკებმა დაიწყეს და ერთ-ერთი პირველი **„ჰერა“** იყო. **ირაკლი მაჭარაძე** იხსენებს, რომ თავიდან მამებს, ცოტა არ იყოს, ეუხერხულებოდათ, ახლა კი აღნიშნულ კლინიკაში მამების 80-90% ესწრება მეუღლის მშობიარობას. ეს უკვე ჩვეულებრივი ამბავია. ქმარი ინდივიდუალურ ბლოკში არავითარ უხერხულობას არ გრძნობს და ცდილობს ცოლი გაამხნევოს, რაც პროცესზე დადებითად მოქმედებს. იშვიათ შემთხვევაში, როდესაც ქმარი დასწრებას ვერ ახერხებს, ყოველთვის არსებობს საპატიო მიზეზი - ფიზიკურად სხვაგანაა, ან შეუძლოდაა.

სამწუხაროდ, აღნიშნული კლინიკის კონსტრუქციული გამოცდილება ზოგად სიტუაციას არ ასახავს. **2020 წელს** გამოქვეყნებული კვლევის **„კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება“** ანგარიშში ვკითხულობთ, რომ 2019 წელს გამოკითხულთა შორის მამების მხოლოდ 7% დაესწრო შვილის დაბადებას. 2013 წელს კი მხოლოდ 4,5% ესწრებოდა. გამოკითხული ქალების 48%-მა განაცხადა, რომ მშობიარობაზე დასწრება კაცებისთვის სავსებით მისაღები უნდა იყოს, რასაც მამების 45% დაეთანხმა. ანუ, ამ კვლევის თანახმად, მომავალი მამის მეუღლის მშობიარობაზე დასწრების მომხრენი ჯერ კიდევ უმცირესობაში არიან, მაგრამ რეალურად დამსწრენი - განუზომლად უფრო ნაკლები. როგორც ვხედავთ, მენტალური პოზიცია რეალურ ქცევასთან აშკარა წინააღმდეგობაშია,

საინტერესო დეტალი: ექიმთან კონსულტაციაზე მისულ ცოლებს ქმრების მხოლოდ ნახევარი ახლდა. ამასთან, ამ ნახევრის ნახევარმაც მოსაცდელ ოთახში ლოდინი არჩია, ხოლო მეოთხედმა - ქალი კლინიკის შესასვლელთან დატოვა. ოთხი მამიდან მხოლოდ ერთი შეხვდა მეუღლესთან ერთად ექიმს. მომავალი მამების უმრავლესობა ვერ აცნობიერებს თავის როლს წინასამშობიარო პერიოდში.

ამ დროს, ქალის მხარდაჭერა როგორც წინასამშობიარო პერიოდში, ისე მშობიარობის დროს მომავალი მამისთვის ფრიად სასარგებლო გამოცდილებაა; ეს არის არა მარტო მეუღლის გამხნევება, არამედ, ჩასახვის მომენტიდან შვილზე პასუხისმგებლობის განაწილება. ანუ, ფსიქოლოგიური გაგებით, მამაც „ორსულადაა“ და „მშობიარობს“. რატომ ხდება, რომ, განქორწინების შემთხვევაში, მამების არცთუ მცირე ნაწილს შვილებზე ზრუნვა ან მინიმუმამდე დაჰყავს, ან თავის დაძვრენას ცდილობს? ცხადია, პირველ რიგში, ეს ინფანტილიზმით აიხსნება: როგორც უკვე

აღინიშნა, „დედიკოს ბიჭები“ სრულფასოვანი მამები ვერ იქნებიან. მაგრამ, ავტორის აზრით, არსებობს კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი: ისინი ჯეროვნად ვერ აცნობიერებენ შვილთან სიღრმისეულ კავშირს, ამიტომ მამობის თვითგანცდა საკმაოდ ფორმალურია. წინასამშობიარო პერიოდში მეუღლის გვერდში დგომა და შვილის მოვლინების პროცესში მონაწილეობა ხელს შეუწყობს ამ სიღრმისეული კავშირის ჯეროვან გაცნობიერება-გაშინაგნებას.

„მეუღლის მშობიარობაზე იმდენად განვიცდიდი, რომ გონება დავკარგე. ახლა რომ ვიცი, რა ტანჯვად დაუჯდა მეუღლეს ჩვენი შვილის დაბადება, კიდევ უფრო მიყვარს და პატივს ვცემ!“ - მითხრა ერთმა ახალგაზრდა მამამ.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დეკრეტულ შვებულებაში გასვლა მამასაც შეუძლია. მშობლების გადასაწყვეტია - ვისი გასვლაა უფრო მიზანშეწონილი. ზემოთნახსენებ გამოკითხვაში მამის დეკრეტულ შვებულებაში გასვლას მხარი დაუჭირა მამაკაცების 65%-მა და ქალების 67%-მა. ასე რომ მოვლენები, შესაძლოა, სასურველი სისწრაფით არ ვითარდება, მაგრამ, ჩვენს თვალწინ, ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება გენდერული ასიმეტრიის გამოსწორება. მოვუსმინოთ ახალგაზრდა მამას, რომელიც მშობელთა როლების ტრადიციულ დაყოფას არ ეთანხმება.

შოთა მ. (35 წლის; ორი ვაუიშვილის მამა):

- დედების და ბებიების თაობაში მიღებული იყო, რომ მამა, ძირითადად, მარჩენალი უნდა ყოფილიყო, ხოლო დედა - შვილების აღმზრდელი. ჩემი შეხედულებით, ეს არ იყო სწორი. ზრუნვა და აღზრდა-სწავლებაში ორივე მშობელმა თანაბრად უნდა მიიღოს მონაწილეობა. ჩვენს ოჯახში სწორედ ასეა. ცხადია, ვცდილობ გავუღვივო ჩემს ბიჭებს ის თვისებები, რაც ახალგაზრდა მამაკაცს სამომავლოდ დასჭირდება: რომ უნდა იყოს სულით და ფიზიკურად ძლიერი, მისდევდეს ჯანსაღ ცხოვრებას და ა.შ. თუმცა, ამ საკითხებზე დედაც ესაუბრება.

- არსებობს მოსაზრება, რომ მამა შვილებს, ძირითადად, მოვალეობით ღირებულებებს უნდა უნერგავდეს, ხოლო დედა - ემოციურ-გრძნობითს. თქვენ რას იტყოდით?

- არა მგონია, რომ მკვეთრი ზღვარი უნდა არსებობდეს. ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, პირიქითაც კი მოხდეს.

- ბავშვის ტექნიკური მოვლა დედის მოვალეობად მიიჩნეოდა ყოველთვის. თქვენს ოჯახში როგორ არის ეს საკითხი გადაწყვეტილი?

- ჩაცმა და ჰიგიენური პროცედურები არაერთხელ ამიღია ჩემს თავზე; ბავშვი კიდეც დამიბანია. საჭმლის მომზადება-ჭმევაში მონაწილეობას ნაკლებად ვღებულობდი. მაგრამ საჭიროება რომ დამდგარიყო, მაგასაც გავართმევდი თავს. არ მაქვს იმის კომპლექსი, რომ, ეს დედის საქმეა და იმან უნდა მიხედოს.

- ვიცი, რომ ბიჭების მამა ხართ. გოგონაც რომ გყოლოდათ, ყველას ერთნაირად მოექცეოდით?

- დისშვილი მყავს გოგონა და ვატყობ, რომ მასთან ბიჭებზე უფრო რბილი და ლოიალური ვარ. ალბათ, გოგონა რომ მყოლოდა, მასაც ასე მოვექცეოდი.

- ჩვენი კანონმდებლობით დეკრეტულ შვებულებაში შეიძლება მამაც გავიდეს; გულწრფელად მიპასუხეთ: დეკრეტულ შვებულებაში გახვიდოდით?

- ასეთი პრობლემა არც დაგვდგომია - მე და ჩემს მეუღლე სახლში ვმუშაობთ.

მაგრამ თუკი ოჯახს დაჭირდებოდა, დეკრეტულ შვებულებაში მე გავიდოდი.

- დღესდღეობით მამას შეუძლია შვილის მოვლინებას დაესწროს და მეუღლე გაამხნევოს. რა აზრის ხართ ამაზე?

- მე, პირადად, არ დავსწრებივარ და, ალბათ, ვერც დავესწრებოდი. ჩემთვის ემოციურად მძიმე გადასატანი იქნებოდა. უბრალოდ, ვერ გავუძლებდი. მაგრამ, ზოგადად, ასეთ დროს მეუღლის გვერდში ყოფნა მიზანშეწონილად მიმაჩნია.

- მშობელთა კრებებზე თუ დადიხართ, ან სკოლაში მასწავლებლებთან თუ გაქვთ კონტაქტი?

- ჩემი მეუღლე დადის. ალბათ, არ არის სწორი - მეც უნდა ვაქტიურობდე. თუმცა, თავად მასწავლებლებიც დედებს იბარებენ. როგორც ჩანს, ჩვენს საზოგადოებაში კიდევ ბევრი რამეა შესაცვლელი.

ნამდვილად ბევრი რამე შესაცვლელი. მშობიარობაზე მამების დასწრების მაჩვენებელი ნელა, მაგრამ მაინც იზრდება. პარალელურად, იზრდება მამების შვილების აღზრდაში ჩართულობაც, ანუ პროცესი დაწყებულია. ქალაქების ქუჩებში უკვე ეხედავთ „კენგურუიან“ ახალგაზრდა მამებს, რომლებიც ამაყად ასეირნებენ შვილებს. შეცვლიან თუ არა ისინი „შეზღუდული პასუხისმგებლობის“ ტრადიციას? წიგნის ავტორს ამისი დიდი იმედი აქვს.

თაკვი მეთოთხმეტე

„ჩატეხილი ხიდის“ გენდერული ვერსია

„მზეთუნახავი“ და „ურჩხული“

უსიერ ტყეში განმარტოებით ცხოვრობს ყველასგან მოძულებული და მთელ ქვეყანაზე გაბოროტებული ურჩხული. ოდესღაც უფლისწული იყო და უწინდელ სახეს მხოლოდ მშვენიერი ქალის სიყვარული დაუბრუნებს. შანსი პრაქტიკულად ნულია. მაგრამ მოხდა საოცრება - გამოჩნდა კეთილი გოგონა, რომელიც არ შეუშინდა მის შემზარავ იერს და... მონსტრი უფლისწულად გარდაიქმნა!

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებში ხშირად შეხვდებით ამ სიუჟეტის სხვადასხვა ვერსიას. ყოველთვის და ყველგან შენარჩუნებულია მთავარი ხაზი: კეთილი და მამაცი მზეთუნახავის წყალობით, ურჩხული მშვენიერ ჭაბუკად გარდაისახება. ურჩხული წარმოდგენილია ფანტასტიკური არსების, მტაცებელი ცხოველის, ან რეპტილიის სახით. ეს სიუჟეტი იმდენად გავრცელებულია, რომ მითური პირველწყაროც უნდა არსებულიყო. მის შემორჩენილ ნიმუშად **გილგამეშის ეპოსის** ერთ-ერთი სიუჟეტური ხაზი გვესახება: **მზეთუნახავი შამხათი** ესტუმრება **ნახევრად პირუტყვ ენქიდუს**, რომელიც, ზემოხსენებული ურჩხულისა არ იყოს, უსიერ ტყეში ცხოვრობს და შიშის ზარს სცემს ყველა სულიერს. ენქიდუ შეიყვარებს შამხათს. აქამდე უცხო განცდები აკეთილშობილებს მის ბუნებას და გილგამეშის დაუძინებელი მტერი ყველაზე ერთგულ მოკავშირედ და მეგობრად გარდაიქმნება.

სიუჟეტის ყველა ვერსიას საერთო ხაზი აერთიანებს: ურჩხულის გარდასახვა მშვენიერი ქალის წყალობით. **„მზეთუნახავი“ (მშვენიერი და კეთილშობილი ქალი) „ურჩხულს“ (აგრესიულ მამაკაცს) „მშვენიერ ჭაბუკად“ (კეთილშობილ მამაკაცად)** გარდაქმნის. ეზოთერული იგავი ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში მითებად, ლეგენდებად და ზღაპრებად ჩამოიქნა. ვფიქრობ, ამ სიუჟეტში დაფიქსირებულია უძველესი წარმოდგენები ქალისა და მამაკაცის ბუნების, აგრეთვე ურთიერთობაში როლების გადანაწილების შესახებ. მამაკაცის დანიშნულებად აღიარებულია სამყაროზე უშუალო ზემოქმედება და პროცესების მართვა („აქტიური“ აქტიურობა), რომელიც შეიძლება იყოს როგორც კონსტრუქციული (გილგამეში), ისე დესტრუქციული (ენქიდუ). ქალის დანიშნულებად კი მამაკაცში სულიერ-ზნეობრივი მუხტის გამოღვიძება და აგრესიის ჩაქრობაა („პასიური“ აქტიურობა) მიჩნეული. ანუ, შუმერთა კოსმოგონიურ და სოციალურ წარმოდგენებში, ქალურ საწყისს საკმაოდ ამაღლებული, თუმცა მეორადი მისია ეკისრება. ეს არის პატრიარქატი მასკულინისტური სექსიზმის გარეშე.

მოგვიანებით პატრიარქატის წიაღში თანდათანობით მძლავრობს მასკულინისტური სექსიზმი და მისი წარმოებული - აგრესიული ფემინოფობია. მიზეზებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ ფაქტის კონსტანტირებით შემოვიფარგლებით. ფაქტი კი ისაა, რომ ქალური საწყისი ნელ-ნელა ნეგატიური შინაარსით იტვირთება. პარალელურად, ტრანსფორმაციას განიცდის მზეთუნახავის სახე-სიმბოლო, რომელიც მაცდურ „ურჩხულად“ გარდაიქმნება და მამაკაცს სულიერად, ან ფიზიკურად ღუპავს. მასკულინისტური სექსიზმის ხელწერა კულტურის მთელ ისტო-

რიას ეტყობა. ელინთა უკიდურესად მასკულინისტურ მითოლოგიაში „მზეთუნახავის“ ამპლუა კარდინალურად შეცვლილია: მზეთუნახავი **კირკეს** მაგია მამაკაცებს ღორებად გარდაქმნის. ნიმფა **კალიფსოც** აჯადოვებს და იმორჩილებს მამაკაცებს, **არტემიდე** უბედურ **აქტეონს** ირმად გადააქცევს და მას საკუთარი ნაგაზები დაგლეჯენ. ცალკე ხაზგასასმელია **მშვენიერი ელენეს** საბედისწერო როლი: **ზევსი ლედა**ს გედის სახით დაეუფლება. ამ უკუღმართი კავშირის შედეგად გაჩენილი ელენეს სილამაზე, ელინური მითური ტრადიციის თანახმად, ათწლიანი ომის და ტროის დაღუპვის მიზეზად იქცევა. უკვე აშკარაა ქალის სილამაზის მიმართ გაჩენილი შიშები. პატრიარქალური ფობიების პრიზმაში „მზეთუნახავი“, მასთან დაკავშირებული რისკების თვალსაზრისით, გარდაიქმნება სახიფათო „ურჩხულად“, რომელიც მამაკაცში ქვენა საწყისებს აღვივებს და დაღუპვის გზაზე აყენებს. „მზეთუნახავი სიცოცხლის შემმუსრავი მახვილია!“ - ღაღადებს აღმოსავლური ანდაზა.

ფემინოფობია-მიზოგინიის ყოველგვარ გამოვლინებას (უნდობლობიდან და სოციალური წნეხიდან - გენდერული მოტივით მკვლელობამდე), არქეტიპული შიშები, ანუ არაცნობიერში ისტორიულად დაფიქსირებული ნეგატიური კოლექტიური წარმოდგენები ასაზრდოებს. ამ წარმოდგენებს ინდივიდუალური გამოცდილებაც ემატება. ანუ, ფაქტობრივად, ნაშრომის დასაწყისში ნახსენები წარმოსახვითი „აისბერგის“ წყალქვეშა ნაწილს მივადექით, პატრიარქატის განვითარების პარალელურად, სქესთა შორის გაჩენილი მენტალურ-ემოციური ბზარი ღრმავდება, ფემინოფობიური მოტივაცია მძლავრდება და ახალი დეტალებით „იხუნძლება“.

რა კავშირშია ეს ყველაფერი ქართულ მენტალობასთან და წიგნის თემასთან? - იკითხავს მკითხველი.

კავშირი პირდაპირი და ძალზე საფუძვლიანია.

საქართველოც ფემინოფობიით შეპყრობილი პატრიარქალური სამყაროს ნაწილია. ქალური საწყისის - „მზეთუნახავის“ ხატის ტრანსფორმაცია ქართულ მითოლოგიასა და ზეპირსიტყვიერებაშიც აისახა. **ოქროსთმიანი დალი** ქართველური ტომების მითოლოგიაში პირველად ოჯახის კეთილი ქალღმერთი უნდა ყოფილიყო; შემდეგ კი მაცდურის, ავსულის, ჯადოქრის თვისებები შეიძინა, რომელიც აცდუნებს მონადირეებს და თუ მისი ნება არ შეასრულეს, სიცოცხლეს მოუსწრაფებს. დროთა განმავლობაში, ნეგატიურმა შტრიხებმა კიდევ უფრო იმძლავრა და ზოგან ბოროტ მაქციად, ზოგან კი ვერაგ ტყის ქალად გარდაისახა. ეს დიალექტიკა იდეალურად იმეორებს „მზეთუნახავის“ კოდის ტრანსფორმაციას - ქალური საწყისი ბოროტ ძალად, ანუ, ფაქტობრივად, „ურჩხულად“ გარდაიქმნება. ქართულ ფოლკლორში განცალკევებით დგას უძველესი კეთილი „მზეთუნახავის“ პატრიარქალური „დუბლიორი“ - დედის ხატი, რომელსაც, ქალის სამიჯნურო იპოსტასისგან განსხვავებით, კონსტრუქციული მისია ეკისრება. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა **ზღაპრული ნოველა „დედის გული“:**

სატრფომ ჭაბუკს, ცოლობაზე თანხმობის სანაცვლოდ, მამის ნაქონი ბეჭედი და დედის გული მოსთხოვა. დედამ ვაჟს ბეჭედი უსიტყვოდ გამოუტანა, მერე კი გული ამოიგლიჯა და გადასცა. ყმაწვილმა ყველაფერი ცხვირსახოცში გაახვია, უბეში შეინახა და სატრფოსკენ გასწია. გზაში წაიბორძიკა და კინაღამ არ დაეცა.

- ვაიმე, შვილო, მოგიკვდეს დედაშენი, ხომ არაფერი იტკინეო? - გამოსძახა დედის გულმა.

ყმაწვილმა მოიყრუა და გზა გააგრძელა. ქალთან რომ მივიდა, ჯერ ბეჭედი მიართვა.

- უი, რამხელა ყოფილა, ჩემს ჩამოქნილ თითებს ეს ეკადრებაო?! - გაიცინა მზეთუნახავმა, ბეჭედი ფეხის ცერზე წამოიცვა და ვაჟს საკოცნელად ტერფი გაუწოდა. სიყვარულით დაბრმავებული ყმაწვილი დაიხარა და...

- ამას რას ვხედავ, ხალხო, ჩემს შვილს როგორ ამცირებენ, ცოცხლად მარხავენ, უშველეთ, გადაარჩინეთო! - დაიკვნესა დედის გულმა.

ყმაწვილი გამოერკვა, წამოხტა და გაიქცა. მივარდა დედასთან, გული საგულეში ჩაუდო და მის წინ მუხლებზე დაემხო:

- დედავ, მაპატიე, მე რეგვენმა, ვერ დაგაფასეო..

- მადლობა ღმერთს რომ გადაგარჩინეო... - გაჭირვებით ამობგერა მომაკვდავმა და გარდაიცვალა.

ამ შემზარავ სიუჟეტში კოდირებული გზავნილის გაშიფვრა რთული არ არის: ქალური საწყისი მხოლოდ თავის სისხლს და ხორცს თუ უერთგულებს, ანუ მხოლოდ დედურ გამოვლინებაშია კეთილი და ნათელი. სხვა მხრივ მასთან სიფრთხილეა საჭირო, რამეთუ, მანკიერი ბუნებიდან გამომდინარე, ამპარტავნება-ანგარების ტყვეობაშია. სილამაზით აღძრული ემოციურ-ხორციელი მიჯაჭვულობა საიმედო იარაღია მსხვერპლის (მამაკაცის) ხელში მოსაგდებად და „გასაურჩხულებლად". მამის ბეჭედში კოდირებულია გვარის სტატუსი და ფასეულობები, რომელიც ვერაგმა ქალმა, პირდაპირი მნიშვნელობით, „დაიკიდა" და ვაჟსაც აქეთკენ უბიძგა. ნიშანდობლივია, რომ მხსნელის როლი მთლიანად დედას ეკისრება და მამა ნოველაში არც კი ფიგურირებს. აღრე ნახსენებ **„წიქარაშიც" „ურჩხულ-მზეთუნახავის"** მიერ გონებადაბნელებული („გაურჩხულებული") მამა დანით მისდევს შვილის მოსაკლავად, ხოლო მხსნელად კი დედის ხატის მასკულინიზირებული ვერსია, წიქარა მოევლინება. აქაც იგივე გზავნილს ვხედავთ - ქალური საწყისი მხოლოდ დედურ ამპლუაშია სიკეთის მომტანი.

საინტერესო დეტალი: აღნიშნული გზავნილის საუკუნეებში ჩაკარგულ ავტორებს უხერხულობას არ უქმნის ფაქტი, რომ ქალი შვილისთვის თუ დედაა, ქმრისთვის ცოლი და სატრფოა. ანუ, ერთ შემთხვევაში, „მზეთუნახავი" გამოდის, ხოლო მეორეში - „ურჩხული". ჩნდება კითხვა: როგორაა შესაძლებელი ამ ორი ურთიერთგამომრიცხავი ასპექტის შეთავსება? სახეზეა კლასიკური კოგნიტური დისონანსი, რომელიც ათასწლეულთა მანძილზე საფუძვლიანად ამღვრევს სქესთა ურთიერთობას და ფემინოფობიას ასაზრდოებს.

მასკულინისტური სტიგმიდან გამომდინარე, მამაკაცთა ცნობიერებაში ქალი ერთდროულად მიმზიდველიც იყო და შემაშინებელიც; ამასთან, რაც უფრო მიმზიდველი - მით უფრო სახიფათო. აღქმის ასეთი „გახლეჩა" სოციალურ ცხოვრებაში უამრავი კომპლექსის და ფობიის წყარო შეიქმნა. ეს ფაქტი ქართულ ფოლკლორში საინტერესოდ აისახა:

ლამაზი ცოლის პატრონსა,
ძაღლი უნდა ჰყავდეს ფრთხილი.
ან ძაღლი უნდა ფხიზლობდეს,

ანდა ქალის დედამთილი!

რად გინდა ქალი ლამაზი, რა ომში გამოვადგება,
ჩაიცვამს წითელ-ყვითელსა, გამოვა, კარზე დადგება,
იმის შემყურე ვაუკაცი კელაპტარივით დადნება

ლამაზი ქალი დღეს შენია, ხვალ – სხვისიო.
ლამაზი ქალის ცოლად შერთვა წყალში ჩავარდნაო.

(ქართული ანდაზები)

მასკულინისტურმა კოგნიტურმა დისონანსმა, თუ ილიასეული ტერმინით ვისარგებლებთ, **„ჩატეხილი ხიდის“ გენდერული ვერსიით** „დაგვასაჩუქრა“. ნებისმიერი ფემინოფობი მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ქალის „ნებაზე მიშვება“ არ შეიძლება. პატრიარქალურმა სისტემამ „რისკების“ გასანეიტრალებლად გარკვეული „დამცავი მექანიზმები“ შეიმუშავა. პირველ რიგში, ეს იყო სოციალური უფლებების შეკვეცა. ვინც სოციალურ მოთხოვნებს შეესატყვისებოდა, მისი დანიშნულება მეოჯახეობა და მემკვიდრეების გაჩენა იყო, სხვების - მამაკაცთა სხეულებრივი კომფორტის უზრუნველყოფა.

პარალელი: უკიდურესად პატრიარქალურ ელადაში ქალები ინტელექტის სფეროს ჩამოაცილეს და საკვებით ოფიციალურად ორ სოციალურ ამპლუაში გამოკეტეს; ეს იყო ცოლი და სხვადასხვა კატეგორიის მეძავები. განათლება მხოლოდ ელიტური მეძავებისთვის - ჰეტერებისთვის იყო ხელმისაწვდომი. ლამაზი, ჭკვიანი და განათლებული ჰეტერების სახით ელიტის წარმომადგენლებმა ძვირადღირებული „ნუგბარი“ გაიმზადეს. ეს ქალებიც, მიუხედავად მათი მდგომარეობის გარეგნული ბრწყინვალებისა, რეალურად დამოკიდებულ მდგომარეობაში იყვნენ; ამიტომ მათი ინტელექტი მამაკაცებს საფრთხეს არ უქმნიდა.

ქალის ფუნქციური „დანაწევრება“ და განათლების შეზღუდვა, ფაქტობრივად, მის „გაუვნებელყოფას“ ემსახურებოდა, რაც პატრიარქალური კულტურის შემდგომ პერიოდებშიც გაგრძელდა. ჭკვიანი, განათლებული და პიროვნულად დამოუკიდებელი ქალი ყოველთვის აღძრავდა შიშებს და ეჭვებს; ყველა აღნიშნულ „რისკთან“ ერთად, თუ ლამაზიც იყო, პრობლემებს ჭარბად მოიმკიდა. პატრიარქალური სისტემისთვის „ქალი-დივერგენტები“, ანუ უნივერსალები, ძალზე სახიფათონი იყვნენ. ინკვიზიცია, მაგალითად, ასეთებს ხშირად კოცონზე აგზავნიდა.

„ქალი ლამაზი და ცოტა ჩერჩეტი უნდა იყოს. წარმოიდგინეთ, რა კოშმარია, როდესაც ოჯახში შემოვა ლამაზი, თან ჭკვიანი!“ - ბრძანა ერთმა ტიპურმა „დედიკოს ბიჭმა“ და თვალები გადაატრიალა. როდესაც შევეკითხე - მაინც რატომ-მეთქი, მიპასუხა - სად მაქვს მაგის ატანის თავი, ტვინს გამომილაყებსო. საბოლოო ჯამში, სავსებით სწორად მიპასუხა; ასეთი ქალის ღირსეული პარტნიორობისთვის შესაფერი ტვინი ნამდვილად არ ჰქონდა.

საქართველოში ჭკვიან, განათლებულ და ძლიერ ქალებს, პირდაპირი მნიშვნელობით, არ წვავდნენ, მაგრამ არც ახარებდნენ. ქართული ყოფისთვის ქალთა ფუნქციური დანაწევრებაც ყოველთვის იყო დამახასიათებელი: აი ეს ქალი გამოდგება ერთხელ დროის გასატარებლად, ეს - საყვარლად, ეს - საცოლედ და ა.შ.

ათიოდე წლის წინ, მე და ჩემი ქალიშვილი სიონთან მივსეირნობდით. რამდენიმე წყვილი ჯვარის დასაწერად თავის რიგს ელოდებოდა. უნებლიედ, ორი ყმაწვილის საუბარს მოვკარით ყური:

- ისე, პატარძალი დიდი არაფერია! - თქვა ერთმა.

- ცოლს სილამაზე რად უნდა?! - უპასუხა მეორემ.

ერთმანეთს უხმოდ გადავხედეთ და გულიანად გაგვეცინა. სიტყვები საჭირო არც იყო.

მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ყმაწვილებს არც ჭკუა და რეალური განათლება მიაჩნდათ ცოლისთვის დიდად საჭირო სამკაულად. რატომ? ასეთი ტიპის მამაკაცთა აზრით, ნაკლებად შეხედული, ნაკლებად ჭკვიანი და ნაკლებად განათლებული ცოლი ადვილად სამართავია. როგორც ჩანს, ქართულ მენტალობაში „დივერგენტების“ მიმართ შიშების დაძლევას კიდევ დიდი ხანი დასჭირდება.

ორი ნაპირი

90-იანი წლების დასაწყისში ერთ-ერთ რადიოგადაცემაში გოგონების ექსპრეს-გამოკითხვა ჩაატარეს. უნდა ეპასუხათ, რა აზრის იყვნენ თანამედროვე ყმაწვილებზე. მეხსიერებაში ჩამრჩა სამი ფრაზა, რომელიც ამომწურავად გამოხატავდა საერთო თვალსაზრისს:

„გადაგვარდნენ, ნამდვილად გადაგვარდნენ... ნახეთ, რით არიან დაკავებულნი თანამედროვე ბიჭები: ზოგი თავხედია, ზოგი უსაქმური, ზოგი ნარკომანი, ზოგი ლოთი, ზოგი იმპოტენტი; ზოგი კი (თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი კატეგორიაც არსებობს) - საჯაროში ზის! “.

„მე საჭიროდ არც კი ვთვლი, რომ რამე ვუთხრა მათ!“.

„ვეტყოდი ასე: ნუ ართულებთ ყველაფერს, სიცოცხლე ძალიან მარტივია!“.

ანუ, მამაკაცთა ნაწილის უსაქმურობა, ნარკომანია და ლოთობა უკვე მაშინ იყო თვალშისაცემი. საჯარო ბიბლიოთეკაში კი არცთუ დიდი ნაწილი ბეჯითობდა (ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ!). თუმცა, ვფიქრობ, განაწყენებულმა გოგონამ საჯაროში ჯდომა ქალთა მიმართ ყურადღების დაქვეითებას დაუკავშირა. შემდგომ ფრაზაში წყენა კიდევ უფრო გამოკვეთილია და განდგომაში გადადის. ყველაზე საინტერესოდ კი მესამე ფრაზა მომეჩვენა. ავტორს აშკარად გაცნობიერებული აქვს, რომ მამაკაცებს საკუთარი ტკივილი აწუხებს; ეს ტკივილი აფერხებს გარე სამყაროსთან (მათ შორის ქალებთან) ადეკვატურ ურთიერთობას და ამიტომ, მისი აზრით, „ყველაფერს ართულებენ“. პირველ ფრაზაში აშკარაა წყენა, მეორეში - გაბუტვა, ხოლო მესამეში - სიტუაციის რაციონალურად გააზრების მცდელობა.

მოდით, მესამე რესპონდენტს მივბაძოთ. დავიწყოთ იქიდან, რომ პრეტენზიები და წყენები ქალთა მიმართ მამაკაცებსაც აქვთ და ეს სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში (იგულისხმება 80-იანი წლები) **„ნიანგის“ გარეკანზე** გამოქვეყნდა კარიკატურა წარწერით: „ნატურიდან ჩაიხატა...“ გვერდზე

ავტორი იყო მითითებული. დახატული ქალის ვულგარულად წათხიპნილი სახენიღაბი, „ირიდათი“ გალურჯებული აჩეჩილი თმა, თუთიყუშივით ჩაცმულობა და მკერდზე უზარმაზარი კულონი წარწერით: „ფრთხილად, შეღებილია!“, უსიამო შთაბეჭდილებას ტოვებდა. გამანადგურებელი ტექსტი ცალკე თემაა. შევეცდები მეხსიერებით აღვიდგინო მისი შინაარსი:

„...რომ შეგეძლოს, ერთს კი არა, ნახევარ შვილს გააჩენდი და ამით მოიხდიდი შენს ვალს ერისა და ქვეყნის წინაშე. ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად ლაპარაკობ და ქართული კი დაგავიწყდა... შენი შვილი მეცხრე კლასიდან ჩამოშორდა სკოლას, უსაქმური და ნარკომანია... ესპანეთში რომ წასულიყავი, რომელიღაც ტრესტში დამლაგებლად გაფორმდი; მადრიდიდან ჩამოტანილი საყურეებით ვაჭრობ; აღარ გყოფნის არც ქმრის, არც მამის, არც „მეგობრის“ ნაქურდალი და ყველას ერთად გაუშვებ ციხეში, ოღონდ კიდევ ერთი პერანგი და მისი ამხანაგი იყიდო... ნახე, როგორ უსაშველოდ მომრავლდა სასაფლაოზე საფლავები. შენ ხარ მათი ავტორი და არქიტექტორი... ვეღარ უძლებენ შენგან ცუდ გზაზე დაყენებული და სიმსივნისთვის განწირული მამაკაცები იმას, რასაც სჩადიან. მათი დღე დაძაბულია. ღამე - უარესი... ვერ გრძნობ საით მიექანები? შეჩერდი!“

ძალიან საგულისხმოა, რომ აღნიშნული კარიკატურა მარტის ნომრის გარეკანზე მოათავსეს. ნომერში უხვად იყო შრომის გმირ ქალთა მაქებარი ტექსტები და პოზიტიური შარჟები, მაგრამ ყველაფერზე მაინც გარეკანის პათოსი დომინირებდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ **„ნიანგის“ რედაქციისთვის** სწორედ ეს პერსონაჟი იყო საზოგადოებაში ზოგადი ატმოსფეროს ამსახველი თუ არა, ტიპური მაინც. სწორედ ასე წარმოედგინა მხატვარს ქართველ ქალთა, სავარაუდოდ, არც თუ მცირე ნაწილი. ზოგიერთი დეტალი აშკარად მიუთითებს, რომ კარიკატურას რეალური პროტოტიპიც ჰყავდა. გზავნილიც ნათელია: უვარგისი ცოლი, უვარგისი დედა, უვარგისი მოქალაქე. ასეთები, ცხადია, არსებობდნენ და ახლაც არსებობენ, მაგრამ ავტორმა მამაკაცთა ადვოკატირებაში გვარიანად გადააჭარბა; ქალებისგან „ცუდ გზაზე“ დაყენებული „დედიკოს ბიჭები“, საკუთარი დროსტარება-გრიალის დასაფინანსებლად, „შავი ფულის“ შოვნაში თავადაც ხალისით იჩენდნენ ინიციატივას. ამდენად, ნამდვილად არ იყო გამართლებული ხელის ცოლებზე შეწმენდა.

კარიკატურაში დაფიქსირებული პოზიციის ფესვები წარსულში უნდა ვეძიოთ:

„ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარ გულს,
რის ქართველობა, რა ქართველობა,
ვითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?!“

ალბათ, გეცნოთ ამონარიდი **ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემიდან „ბედი ქართლისა“**, რომელიც აზრობრივად ზემოაღნიშნული კარიკატურის ტყუპისცალია. მსგავს ნიმუშებს ჭარბად მოვიძიებთ მე-19 საუკუნის ბელეტრისტიკა-პუბლიცისტიკაში, რაც იმ უტყუარ ფაქტზე მიუთითებს, რომ ორივე სქესს ერთმანეთის მიმართ უამრავი პრეტენზია დაუგროვდა; ზოგი უსაფუძვლო, ზოგი, ალბათ, საფუძვლიანი.

აი, რა მომწერა ფეისბუკში ფრენდმა მამაკაცმა, რომელმაც ანონიმად დარჩენა

არჩია:

„ზოგადად, ქალები ცხოვრებაში იმდენად ინტეგრირებულნი და დამოუკიდებელნი გახდნენ, რომ კაცები ოჯახშიც კი შეცვალეს. ქმარს, მისი ბუნებრივი ფსიქოტიპის თანახმად, ყოველთვის სურს დომინანტი იყოს. როდესაც ქალი კაცზე მეტს შოულობს და საკუთარ თავზე იღებს ოჯახის შენახვას, იქ უკვე გენეტიკასთან წინააღმდეგობა იწყება და ქალი იშვიათად მიდის დათმობაზე. ამიტომაც ინგრევა ოჯახები. ქალებს სურთ თანასწორობა ყველა სფეროში, მაგრამ ეს თანასწორობა ხშირად ესმით, როგორც ყველაფრის უფლება. უნდათ რომ მამაკაცი ჩაანაცვლონ, თან, ამავე დროს, სურთ, რომ ურთიერთობებში მათთან იგივე კაცური დამოკიდებულება ჰქონდეს. მაშინ ახსენდებათ, რომ ქალები არიან და მისგან დათმობას მოითხოვენ როგორც საქმეში, ასევე საუბარშიც. მაგალითად, როდესაც პოლიტიკოსი ქალი შეურაცხყოფას აყენებს მამაკაცს და საპასუხოდ შესაბამის რეაქციას ღებულობს, აუცილებლად ახსენდება, რომ ქალია და ეგრევე შეტევაზე გადადის: „ქალს როგორ ესაუბრები?! არა გრცხვენია?“ და ა.შ. თუ ქალებს სურთ იყვნენ კაცების თანასწორები, მაშინ უნდა მიიღონ ეს თავისი მინუს-პლიუსებით. არ შეიძლება მაგნიტი გქონდეს და მას მხოლოდ „+“, ან მხოლოდ „-“ ჰქონდეს... ასეა ცხოვრებაც... თუ ქალებს სურთ იყვნენ ყველაფერში კაცების ტოლნი, ამას უარყოფითი მხარეებიც მოყვება და ნუ წუწუნებენ... ივივეს ვიტყვი კაცების მისამართითაც. როდესაც რაღაცის შეცვლა გვინდა, მაშინ უნდა მივიღოთ ის მინუსებიც, რომელიც ამ ცვლილებას მოყვება. კიდევ ერთი: თავად ქალებს, განსაკუთრებით მათ, ვისაც დომინანტობა სურს, სინამდვილეში მოსწონთ ის კაცები, ვინც კაცობს და მათ თავის ადგილს მიუჩენს, მაგრამ ოჯახში ვერ ეგუებიან. ასეთი ქალები ხშირად მარტოხელა დედები არიან, რადგანაც „ორ სკამზე ერთდროულად ჯდომა“ ჯერ არავის გამოსვლია. ქალების ასეთმა დამოკიდებულებამ შეცვალა კაცების გარკვეული ნაწილის შეხედულება ცხოვრებაზე. კომფორტული ცხოვრება უფრო ურჩევნიათ და ხმასაც კი არ იღებენ. აწყობთ ყველაფერი.“

აღნიშნულ ტექსტში რამდენიმე საკვანძო თვალსაზრისი იკვეთება: 1) ოჯახში მამაკაცის დომინანტური პოზიცია გენეტიკურადაა განპირობებული; 2) თუ ქალს მეტი შემოსავალი აქვს, ეს საფრთხეს უქმნის მამაკაცის დომინანტობას და არღვევს ბუნებისგან დაწესებულ ბალანსს; 3) ქალებს რომლებსაც თანასწორობა სურთ, სინამდვილეში დომინანტი მამაკაცები მოსწონთ; ანუ კოგნიტურ დისონანსში არიან და, ხშირად, სულ მარტონი რჩებიან; 4) მამაკაცების ნაწილმა მიიღო ქალების დომინანტობა, ვინაიდან მოსწონს მუქთა კომფორტი.

პირველი ორი პუნქტი კლასიკური პატრიარქალური წარმოდგენების ნიმუშია, მეორეში კლასიკური ფემინოფობია იკითხება - ქალმა თუ ძალა აიღო, თავზე წამოგაჯდება, მესამე სავსებით სწორი მინიშნებაა ქალთა იმ ნაწილზე, რომელსაც ვერ განუსაზღვრავს, რა სურს და საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში ვარდება. მეოთხე კი მიუთითებს ინფანტილურ მამაკაცებზე, რომლებმაც ქალის კისერზე ჯდომა ძალიანაც შეიფერეს.

ჩემს რესპონდენტს ერთ რამეში ნამდვილად დავეთანხმები: მძიმე სანახავია „ემანსიპირებული“ ქალი, რომელიც ლანძღვა-გინებით იწევს მამაკაცისკენ და როდესაც შესაბამის რეაქციას იმკის, მაშინვე დათმობას მოითხოვს.

ფაქტია, რომ მამაკაცისა და ქალის ჰარმონიულ ურთიერთობას უამრავი ბა-

რიერი ართულებს. ვფიქრობ, მიზეზი ათასწლეულთა მანძილზე დაგროვილ ქვეცნობიერ შიშებში უნდა ვეძიოთ. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა ყმისა და ბატონის მოდელში ვითარდებოდა; ამ პერიოდში გაჩენილმა უნდობლობამ „ჩატეხილი ხიდის“ გენდერული ვერსია ჩამოაყალიბა. ცნობიერი და ქვეცნობიერი ფობიების გამო გენდერული ლანშაფტის გაჯანსაღება წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს. ძველი მოდელები ინგრევა, ხოლო ახალი - ჩამოყალიბების პროცესშია; სწორედ ამის შედეგია ნაწყენი და ამბოხებული ცოლები, არანაკლებ ნაწყენი და გაბრაზებული ქმრები, ფემიციდის გახშირება, კოგნიტურ დისონანსში ჩაძირული საქმიანი ქალები, ქალის კისერზე წამოსკუპებული „დედიკოს ბიჭები“, მოქილიკე პოლიტიკოსი მამაკაცები და ჩვენი ცხოვრების სხვა უამრავი „სამშვენისი“.

ქალი - ფარული მმართველი?..

*ქართული კულტურა მატრიარქალურია. ეს, ერთი შეხედვით, არ ჩანს, მაგრამ რომ დააკვირდები, აშკარაა - აქ სიტუაციას ქალები მართავენ. ერთხელ თბილისში მე და ჩემი მეუღლე მეგობრებს ვეწვიეთ. მასპინძლებმა, როგორც აქ მიღებულია, დიდებული სუფრა გაშალეს და ნაცნობ-მეგობრები დაპატიჟეს. ცოტა ხნის შემდეგ ქალბატონებმა მისაღები ოთახის მყუდრო კუთხეში გადაინაცვლეს. მამაკაცებმა კი დრო ვიხელთეთ და კარგად მოვილხინეთ: ვხუმრობდით, ვხარხარებდით და ერთმანეთს მეგობრობას ვეფიცებოდით. უნდა გენახათ, რა თბილი და შემწყნარებლური ღიმილით გვიმზერდნენ მეუღლეები! აი როგორც ცელქ, მაგრამ ძალიან საყვარელ ვაჟიშვილებს - გაერთონ და დაისვენონო. მამაკაცების მიმართ ეს დედობრივი დამოკიდებულება ყველგან და ყველაფერში იგრძნობა!“ - განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში **ავსტრიელმა ბიზნესმენმა ბაუსბერგმა,** რომელმაც წლების წინ **გუდაურში** სპორტული კომპლექსი ააშენა და ცოლად ქართველი ქალბატონი მოიყვანა.*

სიძის კვალობაზე, **ბატონ ბაუსბერგს** საქართველოში ჩამოსვლა, ალბათ, ხშირად უწევდა, მაგრამ სიტუაცია მაინც ტურისტის თვალით შეაფასა. ჩაღრმავებული ანალიზის შემთხვევაში, სიტუაციას ასე იდილიურად ნამდვილად აღარ აღიქვამდა. ნეტა ოთახის კუთხეში მოკალათებული მანდილოსნები რაღას იტყოდნენ?

„მამაკაცები ბავშვებივით არიან. როდესაც წვეულების დროს სუფრიდან მყუდრო კუთხეში გავდივართ, იქიდან ვუსმენთ სისულელეებს, მთვრალ გონებაზე რომ აფრქვევენ და სიცილით ვიგუდებით!“

ეს იაპონელი ქალბატონის სიტყვებია. წლების წინ რომელიღაც სტატიაში ამოვიკითხე და გონებაში ჩამრჩა. მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ უამრავი ჩვენი ქალბატონიც დაახლოებით ასე ფიქრობს, თუმცა, საქვეყნოდ, ალბათ, ასე ადვილად არ გაამხელს. წიგნის ავტორის აზრით, **ბაუსბერგის** მიერ დახატული იდილიურ სურათის მიღმა ჩატეხილი ხიდის გენდერული ვერსია იმალება. ეს არ არის ღია და თანასწორი პარტნიორობა. **ბერნისეული „მშობელ-ბავშვის“** ტანდემი ასიმეტრიულ ურთიერთობას განაპირობებს და მონაწილეთა პიროვნულ სივრცეებს ახშობს.

2006 წელს ამ თემაზე **ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ გაგა ნიუარაძეს** ვესაუბრე. მისი აზრით, ქალი ყოველთვის ოჯახში ახდენდა პოლიტიკური და სოციალური უუფლებობის კომპენსირებას:

- ქართული კულტურა ნორმატიული თვალსაზრისით მასკულინურია, მაგრამ ლატენტურად - ფემინური. მამაკაცი მთავარი პერსონაა (მიიჩნევა, რომ უფრო ჭკვიანია და ა.შ.). სამაგიეროდ, ყოფაში ქალები წყვეტენ, ვინ ვისზე დაქორწინდება, ვინ სად ისწავლის, სად დაისვენებს და ა.შ. ყოველდღიური ხარჯებისა და ოჯახის ბიუჯეტის მართვაზე აღარაფერს ვამბობ. ნორმატიული მასკულინურობის შეთავსება ლატენტურ ფემინურობასთან საქართველოზე უფრო ძლიერად იაპონიაშია გამოხატული. ამ ქვეყანაში მამაკაცი მეფე და ღმერთია. შვილს თუ ხელში აიყვანს, ეს პატარასთვის დიდ პატივად ითვლება. მამა მხოლოდ შემომტანია; ხოლო ოჯახის, ბიუჯეტის გაძღოლა და ბავშვების მოვლა ცოლს ევალება. დედის წამყვან როლს შორსწასული სოციალური შედეგები მოაქვს; ბავშვი ფსიქოლოგიურად ზრდასრულ პიროვნებად ვერ ყალიბდება, რაც განსაკუთრებით ვაჟებზე აისახება. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება მთლიანად დედაზეა დამოკიდებული და ვაჟი ბიჭობაში „იყინება“. მარადიული დედობა მამაკაცთა მიმართ დამოკიდებულებაშიც იგრძნობა; ქმარიც იგივე „შვილია“, მხოლოდ ზრდასრული. ამიტომაა ქართულ კულტურაში ასე აქტუალური „რძალ-დედამთილიანი“. ვაჟის დედაზე მიჯაჭვულობის გამო, ხშირად, დედამთილი „იმარჯვებს“ და ოჯახი ინგრევა.

უნებლიედ ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენდა:

ფრანგს ჰყავს ცოლი და საყვარელი. უყვარს ცოლი; საყვარელი პრესტიჟისთვის სჭირდება. ინგლისელს ჰყავს ცოლი და ჰყავს საყვარელი. უყვარს საყვარელი. ცოლი პრესტიჟისთვის სჭირდება. ქართველს ჰყავს ცოლი, ჰყავს საყვარელი, კიდევ საყვარელი, კიდევ საყვარელი... და უყვარს მხოლოდ დედიკო...

ანეკდოტში ერთ შეწორებას შევიტანდი: დედაზე ემოციურად მიჯაჭვულია, მაგრამ, ქვეცნობიერად, სულაც არ ეხატება გულზე მისი დიქტატი. ამისი შედეგიც ხომ არაა ყოველდღიურ საუბარში ბაღლინჯოსავით მოდებული: „ჩემი დედა“?...

ისე, არც დედამისია ბედნიერი მხოლოდ „კუხნაში“ ფუსფუსით...

საქართველოს საზოგადოებაში „მეფობს“ მამაკაცი, ოჯახში კი ქალი „ხელმწიფობს“. აღნიშნული „მეფობა/ხელმწიფობა“ კოგნიტური დისონანსითაა მოწამლული. შედეგად ვღებულობთ ფობიებზე აზელილ სოციალურ ნახევარფაბრიკატს, რომელსაც ტრადიციული ქართული ოჯახი ჰქვია. აშკარაა, რომ აღნიშნული ინსტიტუტი კაპიტალურ რემონტს საჭიროებს.

„ნეკნის“ შიში

ნდობის ტელეფონზე მამაკაცმა დარეკა და კონსულტანტ ქალბატონს, რბილად რომ ვთქვათ, უკმეხად ესაუბრა:

- ნეტავი რა გგონიათ თავი? რომ იცოდეთ, რა ბედნიერებაა, როდესაც ქუჩაში ლამაზი ქალი მოდის და შენ კი სულ ფეხზე გკიდია!

რა იყო ეს? ვითომ კონკრეტულ ქალზე განაწყენებული კონკრეტული მამაკაცის კომპლექსი? შესაძლოა, არც უამისობაა, მაგრამ, ვფიქრობ, ეს მეტისმეტად ზედაპირული ახსნაა. კოგნიტურ დისონანსზე დაფუძნებული კულტურა წარმოქმნის სოციალურ სინდრომს, რომელსაც შეიძლება **„„ნეკნის“ შიში“** ვუწოდოთ (მოგეხსენებათ, ბიბლიური ტრადიციის თანახმად, უფალმა ევა ადამის ნეკნისგან შექმნა - ავტ.). იგულისხმება უკვე ნახსენები ქვეცნობიერი შიში ქალთა წინაშე - ფემინოფობია, რომელიც, თუ კონკრეტული გამოცდილებით გამყარდა, მიზოგინიაში გადადის. ფენომენი არასრულფასოვნების განცდით საზრდოობს, რაც ქალთა მიმართ ქედმაღალი დამოკიდებულებით, ან სულაც თავხედობით ინიღბება. შიში იმის მაუწყებელია, რომ ადამიანი ფარულ, ან აშკარა საშიშროებას გრძნობს, რაც ხელს უწყობს „მტრის ხატის“ ჩამოყალიბებას. თუ ისევ **ერიკ ბერნის** მოდელით ვისარგებლებთ, მამაკაცთა მიერ შექმნილმა სოციალურ-გენდერულმა სისტემამ ქალში ჩაკლა „მოზრდილი“, გაკოჭა „მშობელი“, „ბავშვზე“ მეურვეობა კი თავად იკისრა. მაგრამ ქალის „დაპატიმრებული მშობელი“ რევანშს ესწრაფვის - შემოვლითი გზებით ცდილობს მამაკაცის დაჯაბნას და მის „ბავშვის“ პოზიციაში გადაყვანას. აქედან საზრდოობს არცთუ უსაფუძვლო წარმოდგენა ქალური ეშმაკობის შესახებ, რომელიც ლიტერატურასა და ფოლკლორში ხშირად გაშარჟებულია, ყოფაში კი დემონიზირებული. სულ არ არის პარადოქსული, რომ ათასწლეულთა მანძილზე მამაკაცებს ქალი მეორეხარისხოვან არსებად - „ნეკნად“ კი მიაჩნდათ, მაგრამ ამ „ნეკნის“... პანიკურად ეშინოდათ! ახლაც ეშინიათ - ქვეცნობიერად.

„ნეკნის შიშით“ გულგახეთქილი ქართველი მამაკაცი დაუინებით ცდილობს ქალის კონტროლს, ანუ „მშობლობას“. „გაუვნებელყოფა-გაკოჭვის“ მეთოდები უამრავია: უფლებების შეკვეცა, მფარველურ-ფამილარული, ან დამცინავი დამოკიდებულება, ძალადობა, ქალის პოლიტიკური აქტიურობისთვის ბარიერების შექმნა და ა. შ. ფემიციდი „გაკოჭვის“ ყველაზე რადიკალური გამოვლინებაა.

2006 წელს ლელა გაფრინდაშვილმა დაიცვა დისერტაცია თემაზე **„ქართული კულტურის გენდერული პარადიგმები; ინტერდისციპლინარული და ინტერტემპორალური პერსპექტივა“**. მე-19 საუკუნის არქივებზე დაყრდნობით, მეცნიერმა ქალბატონმა აღადგინა იმ პერიოდის გენდერულ კოლიზიათა პანორამა. მიღებული სურათი აქარწყლებს მითს, თითქოს ქართველი ქალი მამაკაცთა თვალში დიდი ზნეობრივი ავტორიტეტით სარგებლობდა. აგრეთვე, მოულოდნელ ამპლუაში წარმოგვიდგებიან ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

XIX საუკუნეში გაჩაღებული „მამათა და შვილთა ბრძოლა“ ყველასათვის ცნობილი ქრესტომათიული ფაქტია. თუმცა, უფრო უპრიანია, „მამათა და ვაჟიშვილთა ბრძოლა“ ეწოდოს (ქალიშვილებს ხმას ვინ ამოაღებინებდა!). სამაგიეროდ, თითოოროლა სპეციალისტმა თუ იცის სქესთა უმწვავესი დაპირისპირების შესახებ იმავე საუკუნის 80-90-იან წლებში. აღნიშნული პერიოდის პრესა გადაჭრელებულია ქალთა და მამაკაცთა პაექრობის ამსახველი პუბლიკაციებით. ამ ისტორიული ფაქტის პერიპეტიები დაწვრილებითაა განხილული **ლელა გაფრინდაშვილის დისერტაციაში, აგრეთვე მისსავე წერილში „დედათა კითხვა და/თუ „ქალთა საკითხი საქართველოში“ (კრებული „გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა“ თბილისი 2005 წ. ტ. I)** ძალიან სიმპტომატურია, რომ ქალები ანონიმებად ყოფნას არჩევდნენ. გამონაკლისი **ბარბარე ჯორჯაძე** აღმოჩნდა:

*„პირველიდანვე დაწყებული ყველა კაცი დედაკაცის გაკილვაში ყოფილა და არის. ყოველივე ბრალეულობა ქალს მიაწერეს და დიდად ცდილობენ ეს თავისი ამხანაგი ყოვლის გზით დაეცათ და დაემდაბლებინათ... შენი წესი ის უნდა იყოს: ხმაგაკმენდილი ჩუმად იყო... სწავლა და სხვა ენებით განათლება რა შენი საქმეაო... თვითონ მამაკაცმა კი შეისხა ამპარტავნობის და ზვაობის ფრთები... გაიფართოვა გზა და დედაკაცი ვალდებულებაში ჩააგდო: თუ მე არა, ლუკმას ვერ შესჭამო, რა იყო უფრო დაემონებინა“ (**„ორიოდე სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ“; ჟურნალი „კვალი“ 1893 წ)**.*

მამაკაცთა პუბლიკაციებში მხოლოდ ზიზღნარევი დაცინვა, ან ლანძღვაა. მაინც რამ გააგულისა ბატონები? ევროპიდან შემოსული ლიბერალიზმის ტალღაზე ქალებმა განათლების მიღება და საზოგადოებრივი აქტიურობა მოიწადინეს. მამაკაცთა მწვავე რეაქციის მაგალითია **დავით კეზელის (მწერალი, პუბლიცისტი, თეატრალური, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე)** სიტყვები:

*„ის მირჩევნია... შავი ზღვის ცხრილით ამოხაპვა განვიზრახო, მანამ ქალს მეცნიერული ბაასი გავუბა, როგორი ჭკუისა და განათლებისაც არ იყოს ის... თუ გინდათ ღირსეულად ატაროთ ქართველი ქალის ერთხელ ქვეყანაზე განთქმული სახელი, გამოირეკეთ თავიდან ოცნებები ექიმობაზედ, პროფესორობაზედ და შეეცადეთ შეიქმნათ დროის შესაფერი დედები. ამისათვის საჭიროა დაწვრილებით შეისწავლოთ თქვენი სამშობლოს წარსული, ძველი ხალხების და განსაკუთრებით რომის ისტორია, რომელთა წაბაძვაც დღეს თქვენი მოვალეობაა. ამერიკელ და ევროპელ ქალებთან თქვენ თვალის სარგო არ გაქვთ. იმიტომ რომ **„Quod licet Jovi, non licet bovi“** (რაც ნებადართულია იუპიტერისთვის, არაა ნებადართული ხარისთვის)...“*

როგორც ჩანს. დავით კეზელი იზიარებდა დასავლეთის ანტიფემინისტთა პოზიციას ქალის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური არასრულფასოვნების შესახებ; სწორედ ამიტომ ყველა ქართველი ქალი – „ტვინარეულიც“ და „სამაგალითოც“ მეორეხარისხოვან არსებებად გამოაცხადა. სამაგიეროდ, ევროპელი და ამერიკელი ქალების შემთხვევაში, განათლების მიღება არ აღაშფოთებს. ძნელი მისახვედრი არაა რატომ - მათი განათლება და ინტელექტი „ნეკნის შიშით“ შეპყრობილ ქართველ მამაკაცებს „საფრთხეს“ ვერ შეუქმნიდა.

კეზელის რეტროგრადიზმი იდეოლოგიურად გააფორმა **ილია ჭავჭავაძის** თანამებრძოლმა, **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრმა, ექიმმა, პუბლიცისტმა და ქველმოქმედმა ექვთიმე ვაშაკიძემ:**

„საშუალო წრიდან დაწყებული მაღალ წრემდის ქართველმა ქალებმა, უსაქმობის გამო, არ იციან რა ქნან... ამ მხრივ, ჩვენი ძველი დედები უფრო ყურადღების ღირსნი არიან. მათში უფრო მეტია დედობაც და ოჯახის და საზოგადო საქმის შეგნებულობაც.“

ძალიან საგულისხმოა, რომ **აკაკი** და **ილიაც** დაუპირისპირდნენ პიროვნული ზრდის სურვილით ანთებულ ქალბატონებს:

„დღეს, ღვთის მადლით, ქალებიც არიან თითო-ოროლა რომ ჩვენს სჯულზედა დგანან, მაგრამ თქვენ ვერც იმათ იცნობთ... თქვენის წრის ქალებზედა კი კარგა ხანია გულგატეხილები ვართ. შრომასა და თანაგრძნობას არ გთხოვთ, მხო-

ლოდ ნუ სცდილობთ, რომ ჩვენს მტრებთან ერთად ხელი გვიშალოთ და გვაბრკოლოთ... სულ რომ ჩამოვთვალო თქვენი ცოდვები, მაშინ მელნად შავი ზღვა მოგვინდება, საწერლად იალბუზი, კალმად კი თქვენი გრძელი ენა", – თითს უქნევს ***აკაკი წერეთელი*** *მიზანში ამოღებულ ქალბატონს.*

„თუ „ცისკარი" უვარგისია, კიდევ თქვენგან, ყვავებო ფარშავანგის ფრთებითა, ბულბულებო ყორნის ჩხავილითა!... ესტეტიკური, სენტიმენტალური, დრამატიზმი და სხვანი... ეს სიტყვები სუსტი არსებებისთვის ძნელი მოსანელებელია... მაღალსასწავლებელს დაბალი გონება ვერ მისწვდება, ტყუილია..." – ეს კი ***დიდი ილია*** *ამკობს* ***ბარბარე ჯორჯაძეს*** *და, ზოგადად, ქალთა სქესს.*

ქალების წინააღმდეგ მომართულ ვაუბატონთა „მხედრიონს" ღირსეული პასუხი გასცა ვინმე **„ოლ-დამ". ლელა გაფრინდაშვილის** ვარაუდით, ეს **ნიკო ნიკოლაძის** მეუღლე **ოლღა გურამიშვილია,** რომელმაც განათლება **ციურიხში** მიიღო:

„..გვარგია კი იდეალად ძველი ქალები? ცხოვრება იცვლება. მაშინ, როცა ყველა წინ, მერმისისკენ იცქირება და მიისწრაფვება, ჩვენ გვეუბნებიან ნანგრევებს ჩაამტერდითო, წარსულს ჩაუკვირდით, იქ იპოვით ქალის იდეალსო. დროის მოთხოვნილება კი გამოიცვალა. ძველი ქართველი დედა ხმალს აძლევდა შვილს ხელში... ჩვენ კი თანამედროვე იარაღი უნდა მივცეთ... ამიტომ ნანგრევებში კი არ უნდა ვქექოთ ჩვენი იდეალი, ჩადრი კი არ უნდა წამოვისხათ, არამედ იდეალად უნდა დავსახოთ ევროპელ ქალთა შესანიშნავი წარმომადგენლები და ჩვენს იმათსავით ავმაღლდეთ გონებით.."

ფსევდონიმი რომ არა, ეს პუბლიკაცია გმირობას გაუტოლდებოდა. ქალები ფრთხილობდნენ; თუკი ევროპულ განათლებას ნაზიარებმა **ილია ჭავჭავაძემ** და **აკაკი წერეთელმა** მამა-პაპურად გათათხეს, ნაკლებად განათლებული ქმრებისა და მამებისგან რაღა ელოდათ?

რეტროგრადულად განწყობილ მამაკაცთა მიერ გამართულ ბაკქანალიაში ეულად გაჟღერდა საღი აზრი, რომელიც ეკუთვნოდა ცნობილი პუბლიცისტს, **მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს სერგი მესხს**:

„ჩვენ ისეთი თვალით ვუყურებთ ქალს, რომ იმის ნახვით პირუტყვული გრძნობის დაკმაყოფილებისა და არშიყობის მეტი აზრი არაფერი მოგვდის. საზარელია ამისთანა შეხედულება ქალზე... ყველასათვის, ვისაც გონება მამაპაპური აზრებითა და ცრუმორწმუნოებით არ აქვს დახშული, ცხადია, რომ ქალი კაცის თანასწორად არის გაჩენილი, რომ იმის დამონება და სხვადასხვა უფლებების წართმევა სიკეთის მაგივრად ვნებს კაცობრიობას და აფუჭებს იმის ბუნებას და ხასიათს, როგორც საზოგადოდ გაფუჭებულია ყოველი „მონისა" და „ბატონის" ბუნება...".

საუბედუროდ, ასეთი გამოსვლები ჟღერდა როგორც ხმა მღაღადებლისა მასკულინისტური სექსიზმის უკიდეგანო უდაბნოში. წარსულში ჩარჩენილი ნაწნავიანი ქალის გაიდეალების მიღმა იდგა მამაკაცთა შიშები ქალთა გააქტიურების წინაშე. ეს იყო ერთგვარი თავდაცვითი რეაქცია. საზოგადოებრივად პასიური, მორჩილი ქალები „საშიშროებას" ვერ შეუქმნიდნენ. იმავე ბუნების შიშები ახლაც შეინიშნება; ხშირად, ძალზე რადიკალური ფორმით. მაგალითისთვის ფემიციდიც იკმარებს.

საინტერესო დეტალი: ლელა გაფრინდაშვილის დისერტაციის დაცვაზე დამ-

სწრე მამაკაცებმა გენდერის სფერო მეცნიერებისთვის ნაკლებად აქტუალურად მიიჩნიეს. ასეთი დამოკიდებულება დიდად უწყობს ხელს გენდერული პრობლემატიკის გაუცნობიერებლობას და სტიგმის შენარჩუნებას, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

როგორ აღვადგინოთ ჩატეხილი ხიდი?

როგორც სავსებით სწორად შენიშნა სერგი მესხმა, ყოველი „მონისა“ და „ბატონის“ ბუნება საფუძველშივე დასახიჩრებულია. მათი ურთიერთობა შიშებითაა გაჯერებული: არც „ბატონი“ ენდობა ყმას და არც „ყმას“ აქვს ილუზიები ბატონის მიმართ. ანუ, თანსწორი და ღია ურთიერთობები საფუძველშივე გამორიცხულია. გენდერულად ასიმეტრიულ ფორმატში ჩამოყალიბებული კომპლექსები დღესაც წამლავს სქესთა ურთიერთობას. როგორ აღვადგინოთ სქესთა შორის ჩატეხილი, ან, თუ გნებავთ, საფუძვლიანად მოფამფალებული ხიდი?

პრობლემას აქვს ფილოსოფიური, პოლიტიკურ-სამართლებრივი, მენტალური და ყოფითი მხარეები. გენდერულად სიმეტრიული კანონების მიღება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გრძელვადიანი შედეგებისთვის. როგორც უკვე აღინიშნა, კანონი მოვლენის არა მიზეზზე, არამედ შედეგზე მუშაობს. ამიტომ, უფრო მნიშვნელოვანია, რომ გენდერულ საკითხების მიმართ პატრიარქალური მენტალური ინერცია დაიძლიოს. განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, რომლებიც გვიან შეუყვნენ დემოკრატიული განვითარების გზას. ხიდის აღდგენა შეუძლებელია მრავალსაუკუნოვანი მენტალური სტიგმის დაძლევის გარეშე. უამისოდ საქმეს ყველაზე საუკეთესო კანონმდებლობაც კი ვერ უშველის.

კავშირმა „საფარი“ 2017 წელს გამოაქვეყნა კვლევა, რომლის თანახმად, გენდერული უთანასწორობის ინდექსი 1995 წლიდან 2015 წლამდე მხოლოდ 0,065-ით გაუკეთესდა, ამასთან, მხოლოდ კანონმდებლობის გაუკეთესების ხარჯზე. ეს ინდექსი თანასწორობას რეპროდუქციული ჯანმრთელობის, გაძლიერების და შრომის ბაზარზე ჩართულობის მიხედვით ზომავს. მენტალური პარამეტრებიც რომ გაეთვალისწინებინათ, შედეგი, სავარაუდოდ, კიდევ უფრო მოკრძალებული იქნებოდა. კანონი საზოგადოებას წინ ექაჩება, ხოლო საზოგადოებრივი მენტალიტეტი - მეტ-ნაკლები წარმატებით უძალიანდება. შედეგად, კოგნიტური დისონანსის რეჟიმში მცხოვრები ქართული ოჯახის ინსტიტუტი მოქმედ ვულკანს დაემსგავსა. გენდერული ლანდშაფტის მოსაწესრიგებლად, წესრიგი ჯერ ადამიანთა თავებში უნდა დამყარდეს. ეს კი მხოლოდ თაობათა მიზანმიმართული აღზრდა-განათლებითაა შესაძლებელი. განათლების გენდერულად კორექტული მოდელის დანერგვა სახელმწიფო სტრატეგიის დონეზე უნდა იქნას აყვანილი. ამ საშვილიშვილო საქმეში მასმედიას დიდი როლის შესრულება შეუძლია.

,,სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა“ 2013 წელს დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოები გენდერული კუთხით გამოიკვლია. მოვუსმინოთ **შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ჯგუფის ხელმძღვანელს, ირმა ხომერიკს:**

- სახელმძღვანელოები მოძველებული სტერეოტიპებით გაჯერებული აღმოჩნდა, რაც განსაკუთრებით, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებზე ითქმის; მაგალითად, რამდენჯერ და რა როლში იყვნენ წარმოდგენილნი გოგონები და ბიჭები, ან რა თვისებები მიეწერებოდათ. ტექსტებში როლების ტრადიციული განაწილება იყო ასახული: დედა აკეთებს საჭმელს, ან აუთოებს; მამა აშენებს, მიდის სამსახურში და ა.შ. მათემატიკის ამოცანებში იმდენად სტერეოტიპული შინაარსები იყო, რომ გაოცებულნი დავრჩით: დედამ ხუთი კილო კარტოფილი იყიდა, ან ოცი ღვეზელი გამოაცხო. ქალი დიასახლისის როლში იყო წარმოდგენილი. არ ავლენდა ისეთ თვისებებს, როგორიცაა კომპეტენტურობა, გადაწყვეტილების მიღება, ავტორიტეტულობა. ეს ყველაფერი რეალობას არ ასახავდა. ქალები ამ დროს უკვე ოჯახებს ფინანსურად უზრუნველყოფდნენ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც აქტიურობდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ილუსტრაციებზე: დედა აუთოებს, მამა კი საწერ მაგიდასთან მუშაობს. გოგონა დედას ეხმარება სუფრის გაშლაში, მამა ამ დროს გაზეთს კითხულობს, ხოლო ბიჭი კონსტრუქტორს აწყობს. სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი პირველად 2006 წელს ჩაატარა **ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის განათლების ჯგუფმა.** სამწუხაროა, რომ წლების განმავლობაში სასკოლო სახელმძღვანელოები კვლავ სტერეოტიპულად წარმოაჩენს ორივე სქესს. **2012 წელს „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“** პროექტის ფარგლებში სამოქალაქო განათლების და ისტორიის გრიფირებული სახელმძღვანელოების ანალიზი ჩავატარეთ. სამოქალაქო განათლების სწავლების ერთ-ერთი მიზანი მოსწავლეთათვის ადამიანის უფლებებზე აუცილებელი ცოდნის მიწოდება და თანასწორობის იდეის დამკვიდრების ხელშეწყობაა (მათ შორის გენდერული თანასწორობის!). ამ დროს სახელმძღვანელოებში ტერმინი გენდერიც კი არ იყო ნახსენები. მხოლოდ ერთ-ერთ ალტერნატიულ სახელმძღვანელოში ერთი გაკვეთილი ეთმობოდა სქესთა თანასწორობის საკითხს, ამასთან საკმაოდ ზოგადი და შეზღუდული ინფორმაციით, რაც საკითხის გასაცნობიერებლად საკმარისი არ არის. სამოქალაქო განათლების კურსი ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ისტორიის სახელმძღვანელოებიც უფრო მეტ ინფორმაციას უნდა იძლეოდეს ცნობილი ქალების, ზოგადად, ქალთა ცხოვრებისა და დამსახურების შესახებ. უამრავი ისტორიული ფაქტი და მოვლენა შეიძლება საინტერესოდ გაანალიზდეს გენდერული თვალსაზრისით. ისტორია ხომ მხოლოდ ომებისა და მეფეთა ცხოვრება არ არის! სასკოლო გარემოში მიმდინარეობს მოზარდის სოციალიზაცია, შესაბამისად, სასწავლო პროცესის როლი გენდერული სტერეოტიპების კვლავწარმოებაში უმნიშვნელოვანესია. სწორედ ამიტომ გაჩნდა ინტერესი შეგვესწავლა განათლების სისტემა რეალურად უწყობს ხელს თანასწორობის იდეის (მათ შორის გენდერულის) დამკვიდრებას, თუ ეს იდეა განათლების სახელმწიფო პოლიტიკაში ფორმალურადაა დეკლარირებული. საერთოდ, სახელმძღვანელოების შედგენისას უამრავი ფაქტორია გასათვალისწინებელი. ავტორი, ცხადია, ძირითად ყურადღებას საგნის შინაარსზე ამახვილებს, მაგრამ თუ გენდერული მგრძნობელობა არ აქვს, ეს მის მიერ შექმნილ

პროდუქტზეც აისახება. ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაციაც ეს იყო - განათლების სამინისტროს მიერ სახელმძღვანელოების გრიფირებისას გენდერული ფაქტორის გათვალისწინება. ახლა სიტუაცია გარკვეულწილად გამოსწორდა და ეს მოთხოვნაც მიიღება მხედველობაში. მომდევნო კვლევა დაადგენს, რამდენად მოხერხდა ახალ სახელმძღვანელოებში სქესთა დისკრიმინაციის აღმოთხვრა.

განათლების სისტემაში გენდერულად კორექტული სამოქალაქო აღზრდის დანერგვა ჯერაც ვერ მოხერხდა. ამ კუთხით დიდი სამუშაოა ჩასატარებელი.

ახალი რეალობა ახალ პიროვნულ თვისებებს და მენტალობას საჭიროებს. უამრავი ტრადიციული სტერეოტიპი დრომოჭმულ ბორკილად იქცა, მაგრამ, ვფიქრობ, აუცილებელია იმ რაციონალური მარცვალის შენარჩუნება, რომელიც კულტურულ თავისთავადობას განაპირობებს. მხოლოდ კარგად ორგანიზებულ და კოორდინირებულ აღზრდა-განათლების სისტემას ძალუძს ამ ისტორიული მისიის შესრულება. მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ სასკოლო განათლება, არამედ, აგრეთვე, პიროვნული განვითარების პროგრამები ზრდასრული ადამიანებისთვის. პიროვნული ზრდა, ერთის მხრივ, მოიცავს ფსიქოლოგიურ ტრენინგებს, მეორე მხრივ – სამოქალაქო განათლების და სხვა სპეციალურ კურსებს. საქართველოში ეს ყველაფერი, ჯერჯერობით, ძირითადად, არასამთავრობო სექტორის ძალებით ხორციელდება. მაგალითად, **საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელში (ხელმძღვანელი - ნინო ბაბალაშვილი).** აღნიშნული ქსელი აერთიანებს **ცენტრებს სამეგრელოში, ზემო სვანეთში, რაჭაში, გურიაში, აჭარაში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში. ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრში.**

სტუდენტმა ლუკა ჩუბინიძემ მენეჯერთა კურსები გაიარა; მაგრამ ყველაზე მეტად სწორედ იქვე გავლილ პიროვნული ზრდის ტრენინგებს ემადლიერება:

– ტრენინგზე გენდერული საკითხებიც განვიხილეთ, რამაც სულ სხვანაირად ჩამომიყალიბა აზროვნება. 12-13 წლის ბავშვი ყველა საკითხს არ უფიქრდება და მასზე გარემო ახდენს გავლენას. ვუყურებდი სამეზობლოში ქმარი ცოლს რომ ეუბნებოდა: იქ არ უნდა წახვიდე, ეს არ უნდა გააკეთო და ეს სწორი მეგონა; ანუ ცოლი ჩემი მონა უნდა ყოფილიყო – ასე ვფიქრობდი მაშინ. გენდერულ ტრენინგზე კი ყველაფერი სხვა კუთხით დავინახე და ამაზე სერიოზული ფიქრი დავიწყე: რატომ უნდა იყოს ცოლი ჩემი მონა? ბოლოს მივხვდი, რომ არავინ არავის მონა არ არის და არც უნდა იყოს. მოკლედ, ჩემგან მოძალადე ქმარი აღარ გამოვა!

შემაშფოთებელია, მაგრამ ფაქტია - ეკლესია აქტიურად ეწინააღმდეგება გენდერულად კორექტული მენტალიტეტის დამკვიდრებას. საპატრიარქოსთან არსებული **„ჩოხოსანთა საზოგადოების“** ეგიდით, **სტუდია „გუთნის“ ხელმძღვანელი ლექსო გელაშვილი** სკოლის მოსწავლეებს ასწავლის, რომ ქალის საზოგადოებრივი აქტიურობა და კარიერული ზრდა ლამის სატანური მოვლენაა: „დაღლილი ქალი, სათანადო სიყვარულს ვერ მისცემს ქმარს და ამის შემდეგ ქმარი სხვაგან მოძებნის სიყვარულს. ეს კი გამოიწვევს ოჯახის დანგრევას... ოჯახი რომ დაინგრევა, შემდეგ ყველაფერი თავისთავად მოხდებაო“ (ანუ,სატანური ძალები იზეიმებენ). **ონლაინ-გამოცემა „ბათუმელების“** პუბლიკაციის თანახმად, ამ კურსს უკითხავენ **რუსთავის მე-17 საჯარო სკოლის** მოსწავლეებს. საინტერესოა, რომ დირექტორი **ნელი ლიქოკელი** გელაშვილის საავტორო სახელმძღვანელოს გაცნობილი არ

იყო; ხოლო გაკვეთილის ვიდეოჩანაწერის გაცნობის შემდეგ, მოუცლელობის მიზეზით, კომენტარისგან თავი შეიკავა. განათლების სამინისტროც ფორმალური კომენტარით შემოიფარგლა: პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა არ მიგვიღია, სკოლა დამოუკიდებელია და უფლება აქვს მოსწავლეებს სერვისი შესთავაზოსო. სამწუხაროა, რომ სამინისტრო ამ ფაქტს ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს „**პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი, ანა აბაშიძე** „ბათუმელებისთვის“ მიცემულ კომენტარში სამართლიანად მიუთითებს, რომ სალექციო კურსი ეწინააღმდეგება როგორც საკაცობრიო ღირებულებებს, ასევე საქართველოს კონსტიტუციას და ბავშვის უფლებათა კონვენციას. ეკლესია, რომლის გავლენა საზოგადოების ნაწილზე საკმაოდ მაღალია, ღიად ქადაგებს დისკრიმინაციული ისტორიული მოდელის დაბრუნებას, რომელშიც ქალს მომსახურე პერსონალის ფუნქცია ეკისრება.

აი, რა თქვა **2012 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა** საკვირაო ქადაგების დროს**:**

„ახლა მიღებულია ასეთი ტერმინი, რომ ცოლი და ქმარი თანასწორუფლებიანია. საღმრთო წერილი კი ამბობს, რომ ოჯახში მთავარი არის ქმარი. ოჯახი ესაა ერთი სხეული და არ შეიძლება ერთ სხეულზე იყოს ორი თავი... ბედნიერია ის ოჯახი, სადაც დედა და ცოლი სწირავს თავს ოჯახს... ადამიანის ბედნიერება უპირველესად ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემაა. მაგალითად, როცა ქმარი მოდის სამსახურიდან, შენ უნდა შესთავაზო დასვენება, უნდა შესთავაზო ფეხების დაბანა, შესთავაზო საჭმელი, სითბო უნდა აჩვენო შენს ქმარს. მინდა კიდევ ერთხელ დათიქრდეთ თქვენს მოვალეობაზე...“

ფეხის დაბანის დეტალს თვალი რომც ავარიდოთ, არა მგონია მართებული იყოს მთელი დღის განმავლობაში ნამუშევარ-ნაჯახირები ქალისთვის ქმრის მომსახურების დაკისრება. მავანი იტყვის - დაეტიონ სახლში და ოჯახს მიხედონ, მამაკაცებმა კი არჩინონო. მაგრამ უკუსვლით ვერც სქესთა შორის ჩატეხილ ხიდს აღვადგენთ და ვერც მომავლის კარებს შევაღებთ.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ეკლესიის მესვეურნი ქალებისთვის რჩევა-დარიგებებს არ იშურებენ, მაგრამ ცოლების კისერზე მოკალათებული ქმრების მიმართ შეგონებები რატომ არ ისმის? ან, იქნებ, რაღაც გამომრჩა?...

ღირებულებათა გადაფასებამ და სოციალური კატაკლიზმებმა სქესთა შორის ურთიერთობაში უამრავი პრობლემა გააჩინა. ეს არ ნიშნავს, რომ დახავსებული წარსული უნდა დავაბრუნოთ, რომელიც გენდერული ჰარმონიის თვალსაზრისით, იდეალური სულაც არ ყოფილა. სქესთა შორის ჩატეხილი, ან თუ გნებავთ, მოფამფალებული ხიდის აღდგენა საზოგადოებრივი ცნობიერების გაჯანსაღებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების გარეშე ვერ მოხერხდება. ყველას გვახსოვს, რა ვნებათა ღელვა ატყდა, როდესაც განათლების სამინისტრომ საგნობრივი კურსის, „მე და საზოგადოება“ დანერგვა დააანონსა. ამ დროს, აღნიშნულ კურსს რევოლუციური როლის შესრულება შეუძლია; ცხადია, გონივრულად დანერგვის შემთხვევაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია პიროვნული ზრდის პროგრამების დანერგვა ზრდასრული მოქალაქეებისთვის, რაც ასევე სახელმწიფო პოლიტიკის რანგში უნდა იქნას აყვანილი. მენტალური გაჯანსაღების ხელშეწყობა სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანაა.

თავისუფლად მოაზროვნე თაობის გამოსაზრდელად მოსემ იუდეველნი უდაბნოში ორმოცი წელი ატარა. ჩვენც, ფაქტობრივად, „უდაბნოში“, ანუ ისტორიული გარდატეხის პერიოდში ვიმყოფებით. გენდერული ლანდშაფტის გაჯანსაღება (და არა მარტო ეს!) იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სწრაფად და გონივრულად ავითვისებთ ისტორიული გამოცდის დროს მიღებულ გაკვეთილებს.

ბოლოსიტყვაობა

წიგნში შევეცადე თვალი მიმედევნებინა გენდერული ლანდშაფტის ცვლილებებისთვის უკანასკნელი ოცი-ოცდახუთი წლის მანძილზე. როგორც უკვე ითქვა, შეუძლებელი იყო ერთი ავტორისთვის, ერთი წიგნის სივრცეში ამ ურთულესი მრავალგანზომილებიანი პროცესის ამომწურავად გაშუქება და არასამთავრობო სექტორის ღვაწლის სრულფასოვანი წარმოჩენა. იმედს ვიტოვებ, რომ ძირითადი ნიშნულებისა და ტენდენციების ნაწილის ასახვა მაინც მოვახერხე.

რა შეიცვალა ყველაზე „მყვირალა“ პრობლემების კუთხით?

1) მიღებული იქნა გენდერული მოტივით ძალადობის საპრევენციო კანონმდებლობა; მიმდინარეობს მისი დახვეწა. დარჩა მენტალური პრობლემები: სქესთა თანასწორუფლებიანობა და გენდერული ნიშნით ძალადობის დაუშვებლობა საზოგადოებრივ ცნობიერებამ ჯერაც ვერ „აითვისა“.

2) დედებისა და ბავშვების უფლებები მეტადაა დაცული, ვიდრე ოციოდე წლის წინ; მაგრამ, ამ კუთხით, კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ეს, განსაკუთრებით, ფეხმძიმე ქალების შრომითი უფლებებისა და დეკრეტული შვებულებების მისამართით ითქმის. ცალკე საკითხია ფეხმძიმე ქალთა, აგრეთვე მცირეწლოვან ბავშვთა დედების დასაქმებასთან დაკავშირებული სირთულეები.

3) საკანონმდებლო ორგანოებში ქალები არ არიან ჯეროვნად წარმოდგენილნი. თუმცა კვოტირების კანონპროექტის მიღება სამომავლოდ ამ ხარვეზის გამოსწორების საფუძვლიან იმედს გვაძლევს.

4) სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებისთანახმად, ქალი ოჯახში, დღესაც ვერ სარგებლობს მამაკაცის თანაბარი უფლებრივი სტატუსით. საოჯახო ბიუჯეტის შექმნაში შეტანილი წვლილიც კი ვერ ახდენს ჯეროვან გავლენას. ამ კუთხით სიტუაცია უკეთესობისკენ მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიცვალა.

5) ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონის მიღებამ, შესაბამისი მექანიზმების დანერგვამ და თავშესაფრების გახსნამ, დანაშაულის გამოვლენის და პრევენციის კუთხით, სიტუაცია უკეთესობისკენ შეცვალა. თუმცა, ჯერ კიდევ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქალები, მენტალური ინერციიდან გამომდინარე, ერიდებიან ამ შესაძლებობის გამოყენებას.

6) კანონი სქესთა საკუთრებრივ უფლებებს თანაბრად იცავს, მაგრამ, სტიგმური მენტალიტეტის გამო, ქალთა უფლებები მაინც ილახება; განსაკუთრებით, მემკვიდრეობის გადაცემის შემთხვევაში.

ჩნდება კითხვა: იქნებ, ღირს შემოვიღოთ დროებითი საკანონმდებლო ნორმა, რომელიც მშობლებს პირდაპირი ტექსტით აუკრძალავს მემკვიდრეობის სქესის ნიშნით განაწილებას? ანუ, სანამ შეეჩვენიან (როგორც კვოტირების შემთხვევაში).

7) ქალის საკუთრებრივი უფლებების მოწყვლადობას საქორწინო ხელშეკრულების არაპოპულარობაც განაპირობებს. ამ კუთხითაც მუშაობაა საჭირო.

8) საკუთარი ღირსების და უფლებების დაცვა, იურიდიული თვალსაზრისით, გაადვილდა, მაგრამ, რეალურად, ისევ მენტალური ბარიერები აფერხებს. ეს, განსაკუთრებით, რეგიონებში შეინიშნება. საკუთარი ღირსებისთვის მებრძოლი ქალი საზოგადოების დიდ ნაწილში დღესაც ნეგატიურ გრძნობებს აღძრავს; თუმცა, ოცი-ოდე წლის წინ, აგრესიის ხარისხი განუზომლად მეტი იყო.

9) ამ წლების ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მიღწევაა ანტიტრეფიკინგული კანონმდებლობის შემუშავება-მიღება. თუმცა, მისი სრული ძალით ამოქმედებისთვის, მოსახლეობის რეგულარული ინფორმირებაა საჭირო.

აი, როგორ აფასებს განვლილ გზას **უფლებადამცველი ბაია პატარაია** ფეისბუკში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში:

„...ადვილად შესამჩნევია, რომ ქალთა მოძრაობის მოთხოვნები თითქმის სრულად არის შესრულებული. თუ გინდათ, შეგახსენებთ რამოდენიმეს:

1. კანონმდებლობის უმეტესობა მიღებულია. დაგვრჩა გაუპატიურების მუხლის შესწორება.

2. ორგანიზაციული რეფორმები გატარებულია. არსებობს დღის ცენტრები და შსს ადამიანის უფლებათა განყოფილება.

3. კვოტები მიღებულია.

4. ქორწინების ასაკი გაზრდილია 18-მდე; ცნობიერება ადრეულ ქორწინებაზე მნიშვნელოვნად გაზრდილია, მათ შორის, აზერბაიჯანულ თემში.

5. სახელფასო სხვაობაზე მუშაობა სახელმწიფოს მხრიდან დაწყებულია.

საჭიროა ახალი მიზნების და ამოცანების დასახვა... ამ ეტაპზე მხოლოდ იმას გთავაზობთ, რომ იფიქროთ და თქვენი იდეები აქ ჩამოწეროთ... ჩემს მოსაზრებებს გაგიზიარებთ, რომელიც ზოგი ძველია, ზოგიც შედარებით ახალი:

1. გაუპატიურების მუხლის ცვლილება.

2. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის იაფ საცხოვრისზე ხელმისაწვდომობა.

3. ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე პოლიტიკის შემუშავება, მიმართულებებად ჩაშლა და კონკრეტული მოთხოვნების დაყენება. ამ ეტაპზე დაყენებულია მოთხოვნა, რომ კანონით აიკრძალოს გენდერული სახელფასო სხვაობა და შემუშავდეს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო ხედვა.

4. ახალი პარლამენტისა და მთავრობის მიერ, სადაც, იმედია, წულუკიანი აღარ იქნება იუსტიციის მინისტრი, სქესის ნიშნულის შეცვლა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში.

5. კვოტა სრულად ვერ აღმოფხვრის ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის პრობლემებს, ამიტომ ქალთა პოლიტიკური გაძლიერებისთვის საჭიროა უფრო დეტალური და მკაფიო სტრატეგიის შეთავაზება. მაგალითად, პარტიებში ქალთა

ორგანიზაციების ჩამოყალიბება და ხელშეწყობა და სხვა.

6. ჩემი დიდი სურვილია, რომ ქალთა მოძრაობა აქტიურად ჩაერთოს მობილური აპლიკაციის Safe You პოპულარიზაციაში, რადგან ეს ახალი ტექნოლოგია ახალ შესაძლებლობებს აძლევს ქალებს.

...მთელი სტრატეგიაა გადასახედი, რომ ახალი მიზნებით და ახალი ძალებით შევუტიოთ ჩამპალ პატრიარქატს... ახალი სტრატეგიული მიზნები და ამოცანები უნდა დავისახოთ და განვახორციელოთ ისე ლამაზად და კოპწიად, როგორც აქამდე ვაკეთებდით".

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ყოველივე ზემოთქმულიდან?

გენდერული ლანდშაფტი ნელა, მაგრამ მაინც იცვლება და პროცესებს ვეღარავინ შეაჩერებს. ეს, მეტწილად, კანონმდებლობაზე ითქმის, მაგრამ საერთაშორისო ვალდებულებები რომ არა, მისი გაჯანსაღება კიდევ უფრო გაიწელებოდა. ეს იმიტომ ხდება, რომ ხელისუფლებაში, ისე საზოგადოებაში მენტალური სფერო საკანონმდებლო სიახლეებს ზანტად მიჰყვება. სიახლეების სწრაფი და ეფექტიანი დანერგვა მხოლოდ მენტალური პროგრესის პირობებშია შესაძლებელი. ამისთვის სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის, აგრეთვე მასმედიის ერთობლივი და მიზანმიმართული ძალისხმევაა საჭირო.

წიგნის გარეკანზე შევეცადე გენდერული დისბალანსის შესაცვლელად მიმდინარე ბრძოლა გამომეხატა. სასწორის პინა ძუ ლომის მხარესაა გადაწეული, ანუ ქალები შეუპოვრად იბრძვიან თავისი უფლებებისთვის, რაც მამაკაცთა დიდ ნაწილს აღიზიანებს. მათი აგრესია, უკეთეს შემთხვევაში, კანონმდებლობის დაბლოკვით, ხოლო უარესში - ფიზიკური აგრესიით და ფემიციდით გამოიხატება. სასწორის პინათა გაწონასწორება მხოლოდ კონსტრუქციული დიალოგით და გონივრული, ორივე მხარისთვის სასიკეთო კომპრომისებითაა შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი

ავტორის პუბლიკაციები

„ქალთა გაზეთი“

„მკვლელი“, 1996 წელი, ოქტომბერი;
„გათელილი ლუკრეცია“, 1996 წელი, თებერვალი;
.„ქალწულობის ინსტიტუტი, უმანკოება თუ ფიქცია?!“, 1996 წლის თებერვალ-მარტი;
„უდანაშაულო დამნაშავენი“, 1996 წელი, იანვარი.
„ობობას ქსელში“, 1997 წელი, აპრილი.
„კაცის გვედით... უკაცოდ?!“, 1997 წელი, აგვისტო.
„ქართული ოჯახი საფუძველში ძალადობრივია!“, 2005 წელი, ნოემბერი.
„დაუცველნი“, 2005 წელი, ნოემბერი.
„დემოკრატიის ორმაგი სტანდარტი“, 2006 წელი, ივლის-აგვისტო.
„მამაკაცებო, თქვენი არ გვეშინია!“, 2006 წელი, ივლის-აგვისტო.

ჟურნალი „სარკე“

„სად უნდა იდგეს ქართლის დედა, ან უნდა იდგეს თუ არა საერთოდ?“, 1998 წელი, 1-8 ივლისი.
„ჩემს საცოლეს მაქსი ეცვას, დანარჩენს კი ყველას მინი, ანუ კიდევ ერთხელ ქალწულობის შესახებ“, 1998 წელი, 5-12 აგვისტო.
„ქართველი დედები ზრდიან შვილებს და არა მამაკაცებს!“, 1998 წელი, 16-23 სექტემბერი.
„როცა ცოლი ქმარს ალიმენტს არ სთხოვს“, 1998 წელი, 23-30 სექტემბერი.

გაზეთი „ექო“

„ჩემი საცოლე ქალწული იყოს, დანარჩენებს თავში ქვა უხლიათ!“, 2002 წელი, 8-14 ოქტომბერი.
„ქართველი დედები მოძალადეებს ზრდიან?!“, 2002 წელი, 13-19 ოქტომბერი.
„გოგოებს ბრჭყალები და ეშვები ეზრდებათ?“, 2002 წელი, 8-14 ოქტომბერი.

„ვინ არიან ფემინიტები - შერეკილი დედაკაცები, თუ დემოკრატები?!“, 2002 წელი, 29 ოქტომბერი-4 ნოემბერი.

„რამდენი ნაცემი ცოლია საქართველოში?“, 2002 წელი, 1-7 ოქტომბერი.

ჟურნალი „იმიჯი“

„ნეკნის შიში“, ნოემბერი 2003 წელი.

„საქართველოს რესპუბლიკა“

„გაგაუპატიურეს? ესე იგი დაიმსახურე!“, 01-01-04-2003.

„მერიდიანი 44“

„არაოპტიმისტური ტრაგედიები „სტაბილურობის“ ავანსცენაზე“, 1999 წელი, 22-25 ოქტომბერი.

„დასრულდა 16-დღიანი აქცია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ“, 2000 წელი, 13-20 დეკემბერი.

„ინტიმი და ქართული კულტურა“, 2000 წელი, 13-15 მარტი.

„ინტიმი და ქართული კულტურა“, 2000 წელი, 16-18 თებერვალი.

„სკოლა მასწავლებლებისთვის“, 2000 წელი, 12-14 იანვარი.

„დაკვრა ოთხ ხელში“, 1999 წელი, 30 აგვისტო-1 სექტემბერი.

„იგავი კომბოსტოზე“, 1999 წელი, 22-24 დეკემბერი.

„ახალგაზრდობა და სექსუალური რევოლუცია“, 1999 წელი, 11-18 დეკემბერი.

„მისი მშვენიერი ლედი. რისი ეშინია ქალს“, 1999 წელი, 10-12 ნოემბერი.

„ვაშლის გემო. რისი ეშინია ქალს“, 1999 წელი, 24-26 ნოემბერი.

„ახალგაზრდობა და სექსუალური რევოლუცია“, 2001 წელი, 11-18 აპრილი.

„ქართველი ქალი: ბორკილგაყრილი სული, თუ იდეალური სიმბოლო?“, 1999 წელი, ივნისი.

„არის თუ არა ევა სუბიექტი?! ქალთა უფლებები საკუთრების კანონის ჭრილში“, 2000 წელი, 30 ოქტომბერი - 1 ნოემბერი.

ჟურნალი „გზა“

„ქმარი ჩემი - მტერი ჩემი?!“, 08-02-2001.

„აფროდიტეს წყევლა“, 15-02-2001.

„ვინ არის დამნაშავე - მოძალადე, თუ მსხვერპლი?!“, 15-08-2002.

„ვინ არის დამნაშავე - მოძალადე, თუ მსხვერპლი?!“, 22-08-2002.

„პასუხისმგებლობით დასჯილნი“, 19-03-2015.

გაზეთი „ახალი ეპოქა“

„ამის შესახებ რატომღაც არავინ ლაპარაკობს“, 2002 წელი, 28 ივნისი-4 ივლისი;

„ახალი მერიდიანი“

„ახალი მერიდიანი“ „მარადიული დილემა: ვინ არის დამნაშავე?“, 2001 წელი, 2-5 ნოემბერი.

„თამაში სახელად ბრძოლა ტრეფიკინგის წინააღმდეგ“, 2001 წელი, 19-21 ნოემბერი.

„დედობრივი საწყისის მასკულინიზირებული ხატი ეროვნულ ცნობიერებაში“ „ახალი მერიდიანი“, 2001 წელი, 10-12 დეკემბერი.

„სქესის კორექცია; ცოდვა, თუ ცოდვისგან თავის დაღწევა?!“ 2001 წელი, 12-15 ნოემბერი.

„მთავარი გაზეთი. კვირას“

„საქართველოში პიროვნებების ნაცვლად ნახევარფაბრიკატებს ზრდიან“, 03-10-2003.

ჟურნალი „იმიჯი“

„გენდერული ასიმეტრია ქართულ ცნობიერებაში“, 2003 წლის ოქტომბერი.

„ნეკნის შიში“, 2003 წლის ნოემბერი.

„ევას ასულნი“, 2003 წლის დეკემბერი.

„ადამის ძენი“, 2004 წლის თებერვალი.

Журнал «Подруга»

«Следствиетекст1 по делу гражданина вне всяких подозрений», №52, декабрь, 2006.

«Почему нас не учать любить?», №45, ноябрь, 2007.

«Бить, или не бить? Закон о насилии в семье недееспособен!», №9, март, 2007.

«К феминизму я пришел не сразу!», №4, февраль, 2008.

«Когда мама и папа как кошка с собакой», №5-6.

«Я сама – горе от ума?», №28, июль, 2008.

«Изнасилование – убожество морали», №30-31, июль-август, 2008.

«Зверь – любимый мой, родной..», №32, август, 2008.

«Еще одно убожество морали», №33, август, 2008.

«Интим и грузинская культура», № 34-35, сентябрь-август, 2008.

«Когда материнская любовь оборачивается злом» №40, октябрью 2008.

«Женская точка зрения», №51, декабрь, 2008.

«Гендер – это серьезно!» №5, февраль, 2009.

«И кто же все-таки правит балом? В Грузии главный мужчина, но верховодит женщина?», №48, декабрь, 2008.

«Насилие в семье – другая точка зрения», №44, ноябрь, 2009.

„HE&SHE - მარადიული დაპირისპირება“ (კრებული „გენდერი, კულტურა და თანამედროვეობა“, მომზადა და გამოსცა კავშირმა „ქალების ინიციატივა თანასწორობისთვის“ ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით, თბილისი 2005).

ონლაინ-პუბლიკაციები

1. http://www.tspress.ge/ka/site/articles/13808/ 2013.03.26 მომხმარებელი ქალების თვითსტიგმატიზაცია;

2. http://www.tspress.ge/ka/site/articles/13985/ 2013.04.25 მომხმარებელი ქალები: გზა თვითგადარჩენისკენ!

3. http://www.tspress.ge/ka/site/articles/14160/ 2013.05.20 ყოფილი ნარკომომხმარებელი ქალი, რომელიც ახლა სხვებს ეხმარება;

4.https://www.kvirispalitra.ge/public/36201-qqali-mamakacis-saflavs-chakhuteboda-da-ise-daelia-suliq-21-e-saukunis-qthavsafriani-dedakacebiq-da-qbankomatiq-dedebi.html?lang=ka-GE „ქალი მამაკაცის საფლავს ჩახუტებოდა და ისე დაელია სული“ - 21-ე საუკუნის „თავსაფრიანი დედაკაცები“ და „ბანკომატი” დედები“;

5. http://www.awa.org.ge/მოხუცებზე_ძალადობა_-_საზოგადოების_სენი/n388;

6. https://druginfoge.wordpress.com/2013/03/29/ მომხმარებელი ქალები: სიცოცხლე შიშის ქვეშ

7. http://www.tspress.ge/ka/site/articles/15270/%20მკვლელები: გუშინ და დღეს;

8. http://www.tspress.ge/ka/site/articles/15295/ შევაჩეროთ ძალადობა! 2014.

11.30;

9. https://socreactive.wordpress.com/2017/11/18/ფემიციდი/ ნოემბერი 18, 2017;

10. https://www.kvirispalitra.ge/public/41678-gvaris-gagrdzelebis-msurvelebs-shetsiruli-sul-cota-25-athasi-gogona-uchinari-femicidi.html 2018, 28 მარტი, გვარის გაგრძელების მსურველებს შეწირული 25 ათასზე მეტი გოგონა - უჩინარი ფემიციდი;

11.http://gza.kvirispalitra.ge/qveyana/526-qalis-tvirthi-ufro-mdzimea.html. 09.11.2014, ქალის ტვირთი უფრო მძიმეა

12. https://socreactive.wordpress.com/2017/11/12/სწავლა-სიბერემდეო/?fbclid=IwAR0aV0H_6GWQs7x7Pf3v5wc5jqXaBCKnail9TlkQBAS29zUGGWdHQmm-Oa8

სხვა ავტორთა პუბლიკაციები

1. http://intermedia.ge/სტატია/107874-ქართული-მითოლოგია-დედა-მიწა/8-9/.

2. https://netgazeti.ge/news/413153/ 11.12.2019, 151 "მოკლული ქალი 6 წელიწადში – როგორ პასუხობს სახელმწიფო ფემიციდს", ნინო ბიძინაშვილი.

3. https://www.svoboda.org/a/29806802.html 08.03. 2019, Любава Малышева, Мужчины убивают женщин. Проблема фемицида в мире и России.

4. https://imedinews.ge/ge/politika/57676/mesame-seqtori-pemitsidis-gamo-qali-patrulebis-raodenoba-unda-gaizardos 18.04.2018, მესამე სექტორი: ფემიციდის გამო ქალი პატრულების რაოდენობა უნდა გაიზარდო.

5. https://netgazeti.ge/news/14534/ 18.06.2012, ოჯახში ძალადობის სტატისტიკა და რეალობა საქართველოში.

6. https://ru.globalvoices.org/2020/03/26/89795/ 26 მარტი 2020, Даже с изменениями в законодательстве Бразилии не удается защитить женщин на фоне растущего числа фемицидов;

7. https://www.newsru.com/world/20oct2016/adgentina.html0 ოქტომბერი 2016, В Аргентине тысячи людей протестовали против насилия над женщинами.

8. http: //www.tabula.ge/ge/story/143954-2018-tsels-saqartveloshi-qalze-dzaladobis-minimum-5875-shemtxveva-moxda 6 თებერვალი, 2019, „2018 წელს საქართველოში ქალზე ძალადობის მინიმუმ 5875 შემთხვევა მოხდა".

9. http://www.tabula.ge/ge/story/59228-ilia-meore-ojaxshi-mtavari-aris-qmari 29 აპრილი, 2012, ილია მეორე: „ოჯახში მთავარი არის ქმარი“.

10. https://www.ekhokavkaza.com/a/29764020.html Февраль 11, 2019, Кавказские пленницы, XXI век, Тенгиз Аблотия.

11. https://batumelebi.netgazeti.ge/news/128732/ 10.04.2018, გოგოს მოტაცების შემთხვევები გაიზარდა, ჯაბა ანანიძე.

12. https://netgazeti.ge/news/393388/ 23.09.2019, 66%-ის აზრით, ქალისთვის ქორწინებამდე სექსი “არასდროს არის გამართლებული” – კვლევა, ნინო ბიძინაშვილი.

13. https://www.kvirispalitra.ge/istoriani/42529-mzithvis-tradicia-saqarthveloshi.html მზითვის ტრადიცია საქართველოში, 2018, 27 აპრილი, ირინე საგანელიძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.

14. https://jam-news.net/ge/kvleva-rogor-ckhovroben-saqartveloshi-mokhucebi/?fbclid=IwAR2yyDwkjb_O-hspeiB5mCxKaWyY1pQhlD-rv-eEQFqnAftiYJffp7T-VQc 20.04.2020 კვლევა: როგორ ცხოვრობენ საქართველოში მოხუცები.

15. https://www.radiotavisupleba.ge/a/30586198.html მაისი 01, 2020, ტრანსგენდერმა ქალმა თავის დაწვა სცადა - პროტესტი თბილისის მერიასთან.

16. https://netgazeti.ge/news/400446/ 23.10.2019, ქალი მოსამართლეების რაოდენობა კაცებს აჭარბებს, მენეჯერულ პოზიციებზე პირიქითაა – კვლევა, მარიამ ბოგვერაძე.

17. https://netgazeti.ge/news/400673/ 24.10.2019 შესაძლოა, ქალებს ნაკლებად ხიბლავდეთ ადმინისტრირება – მოსამართლე ნუგზარ სხირტლაძე; ნინო ჩიჩუა.

18. https://netgazeti.ge/news/393242/ 23.09.2019, ქალისა და კაცის თანაბარი შრომა თანაბრად უნდა ანაზღაურდეს – შრომის კოდექსის შესაძლო ცვლილებალუკა პერტაია.

19. https://www.ambebi.ge/article/52493-ilia-meore-colebs-kmrebis-morchilebisken-moucodebs/ 29-04-2012, ილია მეორე ცოლებს ქმრების მორჩილებისკენ მოუწოდებს.

20. https://batumelebi.netgazeti.ge/news/320190/ 22.12.2020 მოსწავლეებს ასწავლიან, რომ ქალის როლის წამოწევა ეშმაკისეულია - სამინისტრო დუმს.

21. http://mshobeli.ge/index.php/ძალადობა/1645/ 2020-12-08 შსს-ში სექსუალური ძალადობის შესახებ შესული 361 შეტყობინებიდან, განაჩენი მხოლოდ 26 საქმეზე დადგა.

22.https://www.coe.int/ka/web/tbilisi/-/administration-of-justice-on-sexual-violence-crimes-against-women-in-georgia 08.12.2020 ქალთა მიმართ სექსუალური

არასამთავრობო და სამთავრობო სექტორი

1. „ქალები. სიტუაციის პროფილირება საქართველოში“, „კავკასიის ქალთა კვლევითი და საკონსულტაციო ქსელი“, 2002 წელი/

2. „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში; არსებული პოლიტიკის და ინიციატივების ანალიზი“. კავშირი „საფარი“, თბილისი 2017.

3. „ტრანსგენდერების საჭიროებების კვლევა საქართველოში“. ა/ო „ჰეპა+“, 2018 წელი.

4. https://idfi.ge/ge/suicide_statistics_2014_201

5. „საკუთარი ოთახი“ - სერია „ფემინისტური ბიბლიოთეკა“, „ფონდი ტასო“ - ქალთა ფონდი და მეხსიერების კვლევის ცენტრი, 2007.

6. „გენდერი, კულტურა და თანამედროვეობა“ - კავშირი „ქალების ინიტიატივა თანასწორობისთვის“, 2005 წელი.

7. („ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში“, #26/36, 08.02.2019.), https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2019/ojaxshi_dzaladobis_dacvis_efeqtianobis_auditis_angarishi.pdf

8. „ოჯახში ძალადობა, ოჯახური კონფლიქტები და არასრულწლოვნები“ (შსს, საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტი). https://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvlevebi/geo/sxvadasxva%20statistika/ojaxuri_dzaladoba-saboloo(1).pdf

9. კვლევის ანგარიში: „კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება“ 2020, დებოლენა რაკშიტი და რუთი ლევტოვი.

10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: „ქალი და კაცი საქართველოში“, სტატისტიკური პუბლიკაცია, 2020 წელი.

11. „ფემიციდი - დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება@ კავშირი „საფარი“. თბილისი, დეკემბერი, 2016